

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი  
დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

ბესიკ ლოლაძე

სამართლებრივი  
სახედმწიფო  
და მისი ელემენტები

სულხან-საბა ორბელიანის  
უნივერსიტეტის გამომცემლობა

UDC (უაკ) 342.5  
ლ-801

ბესიკ ლოლაძე

**სამართლებრივი სახელმწიფო და მისი ელემენტები**

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დავით ბატონიშვილის  
სამართლის ინსტიტუტი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2025

Besik Loladze

**RECHTSSTAAT AND ITS ELEMENTS**

Prince David Institute for Law of Sulkhan-Saba Orbeliani University

Sulkhan-Saba Orbeliani University Press, 2025

კორექტურა: ციცინო ხითარიშვილი

Copy editor: Tsitsino Khitarishvili

© ბესიკ ლოლაძე, 2025

© დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2025

© სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2025

ISBN 978-9941-8-8296-8

# შინაარსი

## თავი I. საგარეოაზიური სახელმწიფოს არსი და მიზანი

## თავი II. საგარეოაზიური სახელმწიფოს კონსტრუქცია

1. ფორმალური სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია ..... 10
2. მატერიალური სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია ..... 15
3. სამართლებრივი სახელმწიფოს სუმატური და ინტეგრალური გაგებები ....22

## თავი III. საგარეოაზიური სახელმწიფოს ნიშნები

## თავი IV. საგარეოაზიური სახელმწიფო

### და მისი მსგავსი კონსტრუქცია

1. სამართლებრივი სახელმწიფო და RULE OF LAW .....30
2. სამართლებრივი სახელმწიფო და ÉTAT DE DROIT .....33
3. კონცეფციებს შორის დაახლოების ტენდენცია .....35

## თავი V. საგარეოაზიური სახელმწიფო და

### სხვა კონსტიტუციური პრინციპები

1. სამართლებრივი სახელმწიფოსა და სხვა კონსტიტუციური პრინციპების ურთიერთმიმართების დადგენის მნიშვნელობა .....38
2. სამართლებრივი სახელმწიფო და დემოკრატიის პრინციპი .....39
3. სამართლებრივი სახელმწიფო და რესპუბლიკის პრინციპი .....42
4. სამართლებრივი სახელმწიფო და სოციალური სახელმწიფოს პრინციპი .....48

## თავი VI. ძირითადი უფლებებით ვაზლუდა

1. ძირითადი უფლებებით ვაზლუდა, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ელემენტი .....62
2. ძირითადი უფლებებით ვაზლუდის პრინციპის წარმოშობა და მისი ასახვა საქართველოს კონსტიტუციაში .....64
3. ძირითადი უფლებები, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი .....67
4. ხელისუფლების მზლუდავი უფლებების წრე .....75
5. ძირითადი უფლებებით ვაზლუდის ადრესატები .....85
  - 5.1. ხალხი, როგორც ძირითადი უფლებებით ვაზლუდის ადრესატი .....85
  - 5.2. სახელმწიფო, როგორც ძირითადი უფლებებით ვაზლუდის ადრესატი .....86

5.3. საკანონმდებლო ხელისუფლების შეზღუდვა ძირითადი უფლებებით .....	89
5.4. აღმასრულებელი ხელისუფლების შეზღუდვა ძირითადი უფლებებით .....	96
5.5. სასამართლო ხელისუფლების შეზღუდვა ძირითადი უფლებებით .....	101
6. ძირითადი უფლებების ინტერპრეტაციის მნიშვნელობა ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპისათვის .....	109

## თავი VII. თანაზომიერება

1. თანაზომიერების პრინციპის არსი და მნიშვნელობა .....	120
2. თანაზომიერების პრინციპის გამოყენების სფერო.....	124
3. თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნები.....	128
3.1. თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები .....	128
3.2. ლეგიტიმური მიზანი .....	129
3.3. გამოსადეგობა .....	137
3.4. აუცილებლობა.....	140
3.5. შესატყვისობა.....	144

## თავი VIII. სამართლებრივი უსაფრთხოება

1. სამართლებრივი უსაფრთხოების არსი და მნიშვნელობა.....	148
2. ნორმათა სიცხადე.....	150
3. განსაზღვრულობა .....	157
3.1. განსაზღვრულობის პრინციპის საფუძვლები და მოქმედების სფერო... ..	157
3.2. განსაზღვრულობის პრინციპის მოთხოვნები.....	160
3.3. განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებები და ზოგადი დათქმები ....	167
3.4. განსაზღვრულობის პრინციპი და სამართალგამოყენების პრაქტიკა... ..	171
3.5. ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტებისა და სასამართლო გადანყვეტილებების განსაზღვრულობა.....	174
4. სამართლის მდგრადობა და ნდობის დაცვა .....	175
4.1. სამართლის მდგრადობისა და ნდობის დაცვის ზოგადი მნიშვნელობა .....	175
4.2. ნამდვილი და არანამდვილი უკუძალა .....	177
4.3. სამართლებრივი მდგომარეობის დამამძიმებელი ნორმების უკუძალა .....	181
4.4. სამართლებრივი მდგომარეობის გამამუჯობესებელი ნორმების უკუძალა .....	184
4.5. ნდობის დაცვის პრინციპი და უკუძალის არმქონე ნორმები .....	187
4.6. ნდობის დაცვის პრინციპი ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში .....	191
4.7. სასამართლო გადანყვეტილებების მდგრადობა.....	193

**თავი IX. ძალაუფლების გამიჯნა**

- 1. ძალაუფლების გამიჯვნა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი.. 198
- 2. ძალაუფლების გამიჯვნის ფუნქციები ..... 201
- 3. ძალაუფლების ფუნქციური, ორგანიზაციული და პერსონალური გამიჯვნა ..... 206
- 4. ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის მოკლე ისტორია საქართველოში..... 208
- 5. ძალაუფლების გამიჯვნისა და დაბალანსების ფაქტორები ..... 214
  - 5.1. საკანონმდებლო ხელისუფლების კონტექსტი ..... 214
  - 5.2. აღმასრულებელი ხელისუფლების კონტექსტი ..... 219
  - 5.3. სასამართლო ხელისუფლების კონტექსტი ..... 222
  - 5.4. ძალაუფლების ვერტიკალური გამიჯვნის კონტექსტი ..... 227
- 6. საქართველოს, როგორც საპარლამენტო რესპუბლიკის, წინაშე არსებული გამოწვევები ..... 229

**თავი X. კონსტიტუციით შეზღუდვის არსი**

- 1. კონსტიტუციით შეზღუდვის არსი ..... 237
- 2. კონსტიტუციით შეზღუდვა ქართულ საკონსტიტუციო ტრადიციასა და საქართველოს კონსტიტუციაში ..... 241
- 3. კონსტიტუციის უზენაესობა და ქართული სამართლის სისტემის იერარქიული მოწყობა ..... 243
- 4. კონსტიტუციით შეზღუდვის პრინციპის დარღვევის შედეგები ..... 247

**თავი XI. კანონით შეზღუდვა**

- 1. კანონით შეზღუდვის პრინციპის არსი და კავშირი სამართლებრივ სახელმწიფოსთან ..... 251
- 2. კანონით შეზღუდვის პრინციპი საქართველოს კონსტიტუციაში ..... 252
- 3. მმართველობის კანონიერება ..... 252
  - 3.1. მმართველობის კანონიერების მნიშვნელობა და კომპონენტები ..... 252
  - 3.2. კანონის უპირატესობა ..... 254
  - 3.3. კანონის დათქმა ..... 257
  - 3.4. მართლმსაჯულების კანონიერება ..... 273

**თავი XII. სასამართლო დაცვა**

- 1. სასამართლო დაცვის არსი და მნიშვნელობა ..... 277
- 2. საქართველოში სასამართლო დაცვის მოკლე ისტორიული მიმოხილვა ... 279
- 3. სასამართლოსათვის მიმართვის უფლება ..... 283
- 4. უფლება სამართლიან სასამართლოზე ..... 289

5. კანონისმიერი მოსამართლის პრინციპი .....	294
6. დაცვის უფლება .....	297
7. უფლება სასამართლო მოსმენაზე .....	299
8. მხარეთა თანასწორობა .....	301
9. სასამართლო პროცესის საჯაროობა და ზეპირობა .....	304
10. სისხლის სამართლის პროცესის სამართლებრივსახელმწიფოებრივი სტანდარტები .....	308
11. მოსამართლის დამოუკიდებლობა .....	315
<b>თავი XIII. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება</b> .....	<b>318</b>
1. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მნიშვნელობა და მისია სამართლებრივ სახელმწიფოში .....	318
2. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების როლი საკონსტიტუციოსამართლებრივ დინამიკაში .....	328
3. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების კონცენტრირებული მოდელის დამკვიდრება საქართველოში .....	329
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა სამართლებრივსახელმწიფოებრივი კონტექსტი .....	334
4.1. ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლის მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის .....	334
4.2. აბსტრაქტული ნორმათკონტროლის მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის .....	337
4.3. საერთო სასამართლოს წარდგინების მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის .....	340
4.4. უფლებამოსილების შესახებ დავის მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის .....	342
4.5. საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის კონტროლის მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის .....	345
4.6. პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის კონტროლის მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის .....	346
4.7. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შენწყვეტის კონსტიტუციურობის კონტროლის მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის .....	348
4.8. რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლის მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის .....	349

4.9. მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელის მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის.....	350
4.10. იმპიჩმენტთან დაკავშირებით დასკვნის მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის .....	351
4.11. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე დავის მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის .....	353
4.12. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის კონტროლის მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის .....	354
4.13. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის .....	355
5. ქართული საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ძირითადი ნაკლოვანებები, რომლებიც ხელს უშლის სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებას.....	355
5.1. კონსტიტუციური კანონების კონსტიტუციურობის კონტროლის არარსებობა .....	355
5.2. სახელისუფლებო საქმიანობის სრული საკონსტიტუციო კონტროლის არარსებობა.....	359
6. ქართული საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ძირითადი ნაკლოვანებების გამოსწორების გზები .....	362
6.1. კონსტიტუციური კანონების კონსტიტუციურობის კონტროლის შემოღება.....	362
6.2. „რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლის შემოღება.....	367
<b>ბიბლიოგრაფია.....</b>	<b>372</b>



# თავი I.

## სამართლებრივი სახელმწიფოს არსი და მიზანი

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება. მე-4 მუხლის პირველი პუნქტი აცხადებს, რომ „საქართველო არის სამართლებრივი სახელმწიფო“. სამწუხაროდ, სამართლებრივი სახელმწიფო საქართველოში არ არის ობიექტური მოცემულობა. ზოგადად, სამართლებრივი სახელმწიფო არ არის მდგომარეობა, რომლის თუნდაც იდეალური კონდიციები არ იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ მიზანი მიღწეულია და არსებული ვითარება არასოდეს შეიცვლება. ის უფრო სტანდარტების ერთობლიობაა, რომელთა დაცვასაც უწყვეტი და თანამიმდევრული ძალისხმევა სჭირდება.

მართალია კონსტიტუციის მე-4 მუხლში თავმოყრილია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის რამოდენიმე ელემენტი, მაგრამ მისი მასშტაბები გაცილებით ფართოა. სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას პირდაპირ ან ირიბად მრავალი კონსტიტუციური ნორმა და პრინციპი უკავშირდება. ამ კავშირების არსებობისა და მათი შინაარსის დადგენის აუცილებელი წინაპირობაა საკუთრივ სამართლებრივი სახელმწიფოს არსისა და მიზნის გარკვევა. სხვაგვარად წარმოუდგენელია კონსტიტუციის დანაწესების სრულყოფილი ინტერპრეტაცია. ეს შესაძლებელია მხოლოდ მათი განმარტებით სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან კავშირში, ერთიან კონტექსტში.

ისტორიული გამოცდილება და ზოგიერთ სახელმწიფოში არსებული რეალობა ადასტურებს, რომ არადემოკრატიული რეჟიმები ხშირად ბოროტად იყენებენ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას უსამართლო და რეპრესიული სისტემების სამართლებრივი

შეფუთვისათვის. მათთვის სამართლებრივი სახელმწიფო ძალაუფლების გამყარების საშუალება და თავისუფლების დათრგუნვის იარაღია. სამართლებრივი სახელმწიფოს რეალურ არსსა და მიზანთან დაკავშირებით ცოდნის არსებობა და გავრცელება ხელს უშლის მოვლენათა ამგვარ განვითარებას. აქედან გამომდინარე, სამართლებრივ სახელმწიფოზე მკაფიო და ობიექტური წარმოდგენის შექმნას არა მხოლოდ თეორიული, არამედ არანაკლებ წონადი პრაქტიკული ფუნქცია აქვს.

ამა თუ იმ იდეისა თუ კონცეფციის წარმოშობისა და განვითარების ანალიზი მისი არსის საფუძლიანი შეცნობის არსებითი წინაპირობაა. *სამართლით სახელმწიფო ძალაუფლების განონასწორებისა და შეზღუდვის აუცილებლობა* არის სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის აღმოცენების საფუძველი და ამავდროულად, მისი ძირითადი არსი.<sup>1</sup> სამართლის საშუალებით სახელმწიფო ძალაუფლების დაბალანსება საშუალებაა, რომელიც ემსახურება *ინდივიდუალური თავისუფლების დაცვისა და უზრუნველყოფის* მიზნის მიღწევას.<sup>2</sup> ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ამ ორ მახასიათებელს მართებულად უწოდებენ ფუძემდებლურ ღირებულებებს<sup>3</sup> და „სამართლებრივი სახელმწიფოს აუცილებელ კომპონენტებს“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> Badura P., Der Zustand des Rechtsstaates, in: Badura, Peter/Roellecke, Gerd (Mitarb.): Der Zustand des Rechtsstaates. Ein Cappener Gespräch, Köln 1986, 13 (14).

<sup>2</sup> Erbe W., Die Freiheit im sozialen Rechtsstaat, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968, 309 (311); Grzeszick B. (Bearb.), Art. 20 und die allgemeine Rechtsstaatlichkeit, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958, Rn. 11; Huber E. R., Rechtsstaat und Sozialstaat in der modernen Industriegesellschaft, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968, 589 (589 f.); Karpen U., Die geschichtliche Entwicklung des liberalen Rechtsstaates. Vom Vormärz bis zum Grundgesetz, Mainz 1985, 20, 39.

<sup>3</sup> Scheuner U., Die neuere Entwicklung des Rechtsstaats in Deutschland, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968, 461 (489 f.).

<sup>4</sup> ლოლაძე ბ., კონსტიტუციონალიზმის ძირითადი პრინციპები, გეგენავა

აღსანიშნავია, რომ *იმანუელ კანტი*<sup>5</sup> ასევე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ზემოაღნიშნულ ორ კომპონენტს – სამართალსა და თავისუფლებას.<sup>6</sup> *ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის* *ათვის*<sup>7</sup> განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა სამართალზე დაფუძნებული სახელმწიფოს იდეასა და ადამიანის თავისუფლების დაცვას მართლსაწინააღმდეგო ჩარევებისაგან.<sup>8</sup> ამასთან, თავისუფლებაზე, როგორც უმაღლეს ფასეულობაზე, ორიენტაცია არ არის სამართლებრივი სახელმწიფოს ექსკლუზივი. ის დამახასიათებელია ყველა ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპისა<sup>9</sup> და მთლიანობაში, ანთროპოცენტრისტული კონსტიტუციური ნესრიგისათვის.<sup>10</sup>

ინდივიდუალური თავისუფლება, რომლის დაცვაც სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრესი მიზანია, არ გულისხმობს ნებისმიერი საქმიანობის განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების სრულ და შეუზღუდავ შესაძლებლობას. სამართლებრივ სახელმწიფოში თავისუფლება არ არსებობს სამართლებრივი ნესრიგის გარეშე, მის მიღმა.<sup>11</sup> თავისუფლებაში არ

---

დიმიტრი (რედ.), შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი 2021, 31 (36); Stern K., *Der Rechtsstaat. Rektoratsrede*, Krefeld 1971, 10.

<sup>5</sup> ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი (1724–1804).

<sup>6</sup> Arnauld A. v., *Rechtsstaat*, in: Depenheuer, Otto/Grabenwarter, Christoph: *Verfassungstheorie*, Tübingen 2010, 703 (706); Huber, *Rechtsstaat und Sozialstaat*, 589 (591); Menger F.-C., *Der Begriff des sozialen Rechtsstaates im Bonner Grundgesetz*, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): *Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays*, Darmstadt 1968, 42 (48).

<sup>7</sup> გერმანელი ფილოსოფოსი, ფილოლოგი და სახელმწიფო მოღვაწე (1767–1835).

<sup>8</sup> დანვრილებით იხ.: Humboldt W. v., *Ideen zu einem Versuch, die Grenzen der Wirksamkeit des Staats zu bestimmen. Über die Grenzen der Wirksamkeit des Staates*, 2. Auflage, Nürnberg 1954.

<sup>9</sup> Sobota K., *Das Prinzip Rechtsstaat. Verfassungs- und verwaltungsrechtliche Aspekte*, Tübingen 1997, 478.

<sup>10</sup> Loladze B., *Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens*, Potsdam 2015, 38.

<sup>11</sup> Erbe, *Freiheit*, 309 (309).

მოიაზრება და შესაბამისად, დაცული არ არის „იზოლირებული და სახელმწიფოსაგან გაუცხოებული ინდივიდის“ შეუზღუდავი, უპასუხისმგებლო და ზღვარს გადასულ ქცევა.<sup>12</sup>

თავისუფლება, თუ ის გონივრულად არაა განონასწორებული, თვითნებობაში გადაიზრდება, რაც საფრთხეს უქმნის ნამდვილ თავისუფლებას.<sup>13</sup> ამის პრევენციისათვის ხშირად აუცილებელი ხდება თავისუფლების შეზღუდვა თავისუფლებისვე ინტერესში.<sup>14</sup> მაგალითად, სახელმწიფო იძულებას თავისუფლების შემზღუდველი ეფექტი აქვს, თუმცა ის საჭიროა თვითნებობისაგან უსაფრთხოების დასაცავად, რომლის გარეშეც თავისუფლების უზრუნველყოფა წარმოუდგენელია.<sup>15</sup>

კანტი ხაზს უსვამდა თავისუფლების გონივრულ და სწორ გამოყენებას სამართლის მეშვეობით და ერთი ინდივიდის თავისუფლების თავსებადობას სხვის თავისუფლებასთან.<sup>16</sup> მისთვის სამართალი იყო „იმ პირობების გამოხატულება, რომელთა ქვეშაც ერთის თვითნებობა მეორის თვითნებობასთან ერთიანდება თავისუფლების საერთო კანონის მიხედვით.“<sup>17</sup> მოგვიანებით მსგავსი

---

<sup>12</sup> Bogs W., Das Problem der Freiheit im sozialen Rechtsstaat, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968, 509 (509, 512); Erbe, Freiheit, 309 (315); Gerber H., Die Sozialstaatsklausel des Grundgesetzes, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968, 340 (390); Hesse K., Der Rechtsstaat im Verfassungssystem des Grundgesetzes, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968, 557 (574 ff.); Scheuner, Die neuere Entwicklung, 461 (465, 489); BVerfGE 4, 1 (13).

<sup>13</sup> Bogs, Das Problem der Freiheit, 509 (511).

<sup>14</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 39.

<sup>15</sup> შეადარე: Klein E., Staatliches Gewaltmonopol, in: Depenheuer, Otto/Grabenwarter, Christoph: Verfassungstheorie, Tübingen 2010, 635 (644).

<sup>16</sup> დაწვრილებით იხ.: Kant I., Die Metaphysik der Sitten, 13. Auflage (Hrsg. von Wilhelm Weischedel), Frankfurt a. M., 2003 §§ 45, 46.

<sup>17</sup> Kant, იქვე, Rechtslehre, Einleitung, § B. [ავტორის თარგმანი]

მოსაზრება განავითარა რობერტ ფონ მოლმა.<sup>18</sup> ის სამართალს აღიქვამდა, როგორც გამყოფ ხაზს თავისუფლებასა და სახელმწიფოსადმი მორჩილებას შორის, ხოლო სამართლებრივ სახელმწიფოს – როგორც გონიერების სახელმწიფოს.<sup>19</sup>

თავისუფლების დაბალანსების პროცესიც ზომიერებას მოითხოვს, რადგანაც ამ მიმართულებით გადაჭარბება, ე. ი. თავისუფლების გადამეტებული შეზღუდვა სამართალს ჩაგვრის იარაღად აქცევს, ხოლო ინდივიდის მხრიდან მის მიმღებლობას ხელშესახებად ამცირებს ან სულაც, ანადგურებს. აქედან გამომდინარე, ზომიერების დაცვა, დაპირისპირებულ სიკეთეთა შორის „ოქროს შუალედის“ პოვნა სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მან არ უნდა დაუშვას ან უნდა აღკვეთოს როგორც სახელისუფლებო, ასევე ინდივიდუალური თვითნებობა. სამართლებრივი სახელმწიფო გულისხმობს მოქალაქისა და სახელმწიფოს ინტერესთა გონივრულ დაბალანსებას სამართლის დახმარებით. თუ ბალანსი ინდივიდუალური თავისუფლების სასარგებლოდაა დარღვეული, იქმნება ყოვლისმომცველი ანარქიის საფრთხე, ხოლო საჯარო ინტერესებისათვის გადამეტებული უპირატესობის მინიჭებას კი ახლავს სახელმწიფოსადმი ადამიანის გაუცხოებისა და ავტორიტარული რეჟიმის ჩამოყალიბების რისკი.<sup>20</sup>

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას, რომელიც საქმიანობის საყველთაო თავისუფლებას მოიცავს, არც საქართველოს კონსტიტუცია ანიჭებს აბსოლუტურ ხასიათს.<sup>21</sup> შესაძლებელია მისი შეზღუდვა-დაბალანსება, თუმცა კონსტიტუციის ფორ-

<sup>18</sup> გერმანელი იურისტი და პოლიტიკოსი (1777–1823).

<sup>19</sup> Mohl R. v., *Das Staatsrecht des Königsreichs Württemberg*, 1. Theil, Tübingen 1829, 279 f.

<sup>20</sup> Loladze, *Rechtsstaatsprinzip*, 39.

<sup>21</sup> მაგ.: ლოლაძე ბ., ფირცხალაშვილი ა., ძირითადი უფლებები. კომენტარი, თბილისი 2023, 570.

მალური და მატერიალური მოთხოვნების დაცვით.<sup>22</sup> ის სიკეთეები, ანუ ლეგიტიმური მიზნები, რომელთა დასაცავადაც შეიძლება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვა, კონსტიტუციის შესაბამის მუხლში უშუალოდ მითითებული არ არის, თუმცა კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, პირველ რიგში, შეიძლება დავასახელოთ სხვათა უფლებების დაცვა – ადამიანის ძირითადი უფლებების, მათ შორის პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების, განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები. გარდა ამისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო (შემდგომში – საკონსტიტუციო სასამართლო) პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვას დასაშვებად მიიჩნევს კონსტიტუციური წესრიგისა

<sup>22</sup> შეადარე: საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-65-66; საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532, 533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11, 48, 169; საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს № 2/4/570 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის N1/13/732 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-14; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის N1/3/1282 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

და ლეგიტიმური საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად.<sup>23</sup> „სხვათა უფლებებში“ მოიაზრება მესამე პირთა უფლებები, მათ შორის ძირითადი უფლებები.<sup>24</sup> პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვა შეიძლება თვით ამ პიროვნების უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზანსაც კი ემსახურებოდეს, მაგალითად ადამიანის მხარდაჭერის მიმღებად აღიარების შემთხვევაში.<sup>25</sup> საკონსტიტუციო სასამართლო არ განმარტავს, თუ რა იგულისხმება „კონსტიტუციურ წესრიგში“, რომლის დასაცავადაც შესაძლებელია ინდივიდუალური თავისუფლების შეზღუდვა. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ანალოგიურ ტერმინს, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების კონტექსტში, განმარტავს ფართოდ და მასში მოიაზრებს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მყოფ სამართლებრივ წესრიგს,<sup>26</sup> ფორმალურად და მატერიალურად კონსტიტუციის შესაბამის ყველა ნორმას.<sup>27</sup> ამგვარ განმარტებას განაპირობებს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების დაცული სფეროს ფართო გაგება.<sup>28</sup> რაც შეეხება „ლეგიტიმურ საზოგადოებრივი ინტერესებს“, მათ ნაკლებად ექნებათ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში ჩარევის გამართლების უნარი, თუ არ იქნებიან დაკა-

<sup>23</sup> შეადარე: N2/1/536 გადაწყვეტილება, II-66; N2/4/570 გადაწყვეტილება, II-13; N1/1/625, 640 გადაწყვეტილება, II-4, 11.

<sup>24</sup> ლოლაძე, ფირცხალაშვილი, ძირითადი უფლებები, 586; N2/1/536 გადაწყვეტილება, II-69.

<sup>25</sup> დანვრილებით იხ.: N2/4/532,533 გადაწყვეტილება, II-14–16.

<sup>26</sup> BVerfGE 6, 32 (37 ff.); 55, 159 (165); 63, 88 (108 f.); 74, 129 (152); 80, 137 (153); 90, 145 (171 f.).

<sup>27</sup> Ipsen J., *Staatrecht II. Grundrechte*, 24., überarbeitete Auflage, 2021, Rn. 782; Starck C. (Bearb.), *Kommentar zum Art. 2 GG*, in: Mangoldt/Klein, / Starck(Hrsg.): *Kommentar zum Grundgesetz*, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010, Rn. 25.

<sup>28</sup> ლოლაძე, ფირცხალაშვილი, ძირითადი უფლებები, 587; Murswiek D. (Bearb.), *Kommentar zum Art. 2 GG*, in: Sachs, Michael (Hrsg.): *Grundgesetz Kommentar*, 6. Auflage, 2011, Rn. 89; BVerfGE 6, 32 (38 ff.).

ვშირებული ისეთ მნიშვნელოვან კონსტიტუციურ სიკეთესთან,<sup>29</sup> როგორცაა მაგალითად მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა საშიში ინფექციური დაავადებებისაგან<sup>30</sup> ან მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა.<sup>31</sup>

თეორიაში სამართლებრივი სახელმწიფოს მიზნებს შორის, თავისუფლებასთან ერთად, ასახელებენ ასევე ადამიანის ღირსებას, სამართლიანობასა და სამართლებრივ უსაფრთხოებას.<sup>32</sup> ადამიანის ღირსების გამოყოფა ლოგიკურია, რადგანაც ის იცავს ადამიანს, როგორც თავისუფალ არსებას და კრძალავს მის ინსტრუმენტალიზაციას – მიზნის მიღწევის საშუალებად ბოროტად გამოყენებას. ღირსება და თავისუფლება ერთმანეთს მყარად უკავშირდება. რაც შეეხება სამართლიანობას, ის უფრო მასშტაბია, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს ინდივიდის ურთიერთობები სხვა ინდივიდთან და სახელმწიფოსთან, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება.<sup>33</sup> ამდენად, სამართლიანობა, თავისუფლებისაგან განსხვავებით, არ არის მდგომარეობა, რომლის მიღწევაც შეიძლება წარმოადგენდეს მიზანს. ის მდგომარეობის შეფასების საზომია. სამართლებრივი სახელმწიფოს მიზანი არ არის სამართლებრივი უსაფრთხოებაც. ის სამართლებრივი სა-

<sup>29</sup> ლოლაძე, ფირცხალაშვილი, ძირითადი უფლებები, 584.

<sup>30</sup> N2/1/536 გადაწყვეტილება, II-70.

<sup>31</sup> დაწვრილებით იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის N1/2/622 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“, II-22–24.

<sup>32</sup> Stern K., Das Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland, Band I – Grundbegriffe und Grundlagen des Staatsrechts, Strukturprinzipien der Verfassung, 2., völlig neu bearbeitete Auflage, München 1984, 781; Schmidt-Aßmann E., Der Rechtsstaat, in: Isensee, Josef/Kirchhof, Paul (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band II Verfassungsstaat, 3., völlig neu bearbeitete und erweiterte Aufgabe, Heidelberg 2004, 541 (542).

<sup>33</sup> Menger, Der Begriff des sozialen Rechtsstaates, 42 (66); Schulze-Fielitz H. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG (Rechtsstaat), in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 2. Auflage, Tübingen 2006, Rn. 1.

ხელმწიფოს ელემენტია, რომელიც მიზნის მიღწევას ემსახურება. სამართლებრივი უსაფრთხოება სამართალს უყენებს მატერიალურ და ფორმალურ მოთხოვნებს და მიზნად ისახავს სტაბილურ, ნეგატიური სამართლებრივი მოულოდნელობებისაგან დაცულ თავისუფლებას.<sup>34</sup>

მოკლედ შეიძლება შევაჯამოთ, რომ სამართლებრივი სახელმწიფო არა (თვით)მიზანი, არამედ მიზნის – გონივრულად დაბალანსებული თავისუფლების – მიღწევის საშუალებაა. სხვაგვარი გაგება წარმოუდგენელია იმ სახელმწიფოში, რომელიც ანთროპოცენტრისტულ და თავისუფალ საკონსტიტუციოსამართლებრივ წესრიგს ეფუძნება. სახელმწიფოს, მისი ნებისმიერი გამოვლინებით, მიზნად ტრანსფორმირება იწვევს ადამიანის, როგორც მთავარი ფასეულობის, დეგრადირებას. ამის სამწუხარო და მკაფიო მაგალითებია „მიზანი სახელმწიფოები“ საბჭოთა კავშირი და მესამე რაიხი.<sup>35</sup>

---

<sup>34</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 40.

<sup>35</sup> იქვე.

# თავი II. სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტრუქცია

## 1. ფორმალური სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია

სამართლებრივი სახელმწიფოს თანამედროვე გაგება წარმოუდგენელია მატერიალური ელემენტების გარეშე. თუმცა, ისტორიაში იყო პერიოდი, როდესაც სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ მოძღვრება დისტანცირდა მატერიალური საფუძვლებისაგან. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან პრიორიტეტული გახდა სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმალური ნიშნები – მმართველობის კანონიერება, სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა, სასამართლოს დამოუკიდებლობა, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ინდივიდისათვის მიყენებული ზიანის გამო და ა.შ.<sup>36</sup>

ფორმალური სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციის დომინირებას *ფრიდრიხ იულიუს შტალმა*<sup>37</sup> დაუდო სათავე.<sup>38</sup> მისთვის სამართლებრივი სახელმწიფოს ცნებაში მთავარი იყო არა სახელმწიფოს მიზანი და შინაარსი, არამედ მისი რეალიზაციის ფორმა და ხასიათი.<sup>39</sup> აღსანიშნავია, რომ *შტალი* არ იყო სრულად ორიენტი-

<sup>36</sup> Arnauld, Rechtsstaat, 703 (707); Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 4, 36; Karpen, Die geschichtliche Entwicklung, 81; Scheuner: Die neuere Entwicklung, 461 (486); Schmidt-Aßmann, Rechtsstaat, 541 (552); Stern, Staatsrecht I, 771.

<sup>37</sup> გერმანელი სამართლის ფილოსოფოსი და იურისტი (1802–1861).

<sup>38</sup> Buchwald D., Prinzipien des Rechtsstaats. Zur Kritik der gegenwärtigen Dogmatik des Staatsrechts anhand des allgemeinen Rechtsstaatsprinzips nach dem Grundgesetz der Bundesrepublik Deutschland, Aachen 1996, 86; Karpen, Die geschichtliche Entwicklung, 21; Menger, Der Begriff des sozialen Rechtsstaates, 42 (52).

<sup>39</sup> Stahl F. J., Die Philosophie des Rechts, Bd. II, Rechts- und Staatslehre auf der Grundlage christlicher Weltanschauung, 2. Abth., Die Lehre vom Staat und die Principien des deutschen Staatsrechts, 6. Aufl., Nachdr. Der 5. Aufl., Tübingen, 1964, 10.

რებული სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმალურ მხარეზე. ის სახელმწიფოსა და სამართლის მიზნად „ღვთიური წესრიგის შენარჩუნებას“ მიიჩნევდა და მის კონცეფციას, მთლიანობაში, მატერიალური ხასიათი ჰქონდა.<sup>40</sup>

ოტტო ბერმა<sup>41</sup> და რუდოლფ ფონ ვნაისტმა<sup>42</sup> სამართლებრივ სახელმწიფოსთან დაკავშირებული ნაშრომები გამოსცეს შესაბამისად, 1864<sup>43</sup> და 1872<sup>44</sup> წლებში, რითაც გამორჩეული წვლილი შეიტანეს ფორმალური სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის განვითარებაში. მათი ყურადღების ცენტრში იყო ისეთი თემები, როგორცაა მმართველობის სასამართლო კონტროლი, თვითმმართველობა და სხვა.

ფორმალური სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციის გაბატონების გამო, თითქმის დავიწყებას მიეცა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე ლიბერალური ღირებულებები.<sup>45</sup> მონარქია ამ იდეებში საფრთხეს ხედავდა, ამიტომ უპირატესობა მიენიჭა მისი სტაბილურობის უზრუნველყოფას. მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ სამართლებრივი სახელმწიფოს ცნება ფორმალურ-ტექნიკურ დეფინიციად გადააქცია. ის თანდათან გაქრა სახელმწიფოს შესახებ ზოგადი მოძღვრებიდან და გადაინაცვლა ადმინისტრაციული

---

gen 1878 (1. Aufl. unter dem Titel: Die Philosophie des Rechts nach geschichtlicher Ansicht, 1830–1837), 137 f.

<sup>40</sup> Bäuml R., Ridder H., Kommentar zum Art. 20 Abs. 1–3 GG, in: Wassermann, Rudolf (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Band 1, Art. 1–37, 2. Auflage, Neuwied 1989, Rn. 16.

<sup>41</sup> გამოჩენილი გერმანელი იურისტი, სამართალმცოდნე და სახელმწიფო მოღვაწე (1817–1895).

<sup>42</sup> გერმანელი იურისტი და პოლიტიკოსი (1816–1895).

<sup>43</sup> Bähr O., Der Rechtsstaat. Eine publizistische Skizze, Kassel, Göttingen 1864.

<sup>44</sup> Gneist, R. v., Der Rechtsstaat, Berlin 1872.

<sup>45</sup> Stern, Staatsrecht I, 771.

სამართლის სფეროში.<sup>46</sup> ეს ტენდენცია ვაიმარის რესპუბლიკის პერიოდამდე გაგრძელდა.<sup>47</sup>

სამართლებრივი სახელმწიფოს ცნების ფორმალურ გაგება გაიზიარა სამართლის პოზიტივისტურმა მოძღვრებამ. მაგალითად, პოზიტივიზმის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი რიხარდ თომა<sup>48</sup> ყურადღებას ამახვილებდა სამართლებრივი სახელმწიფოს ისეთ ფორმალურ მხარეებზე, როგორცაა მმართველობის საპარლამენტო კონტროლი, საჯარო მოხელეთა პასუხისმგებლობა ძალაუფლების გადამეტების ან დაუდევრობისათვის და დამოუკიდებელი სასამართლოების უფლებამოსილება ყველა სამართლებრივი დავის გადანყვეტაზე.<sup>49</sup>

პოზიტივიზმის გავლენით სამართლებრივი სახელმწიფო დეგრადირდა სამართლის მატერიალური პრინციპიდან ფორმალურ კატეგორიამდე, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში შეფასებულია მძიმე ჩავარდნად სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის განვითარების ისტორიაში.<sup>50</sup> ფორმალური სამართლებრივი სახელმწიფოს ყველაზე მკაფიოდ გამოკვეთილი ნაკლია ორი განუყოფელი კატეგორიის – ფორმისა და შინაარსის – ხელოვნური გამიჯვნა და ფორმალურ ელემენტებზე ყურადღების სრული კონცენტრაცია. ამგვარი მიდგომა ყურადღების მიღმა ტოვებს სამართლებრივი სახელმწიფოს ნამდვილ არსს. მართალია, რუდოლფ ფონ იერინგი<sup>51</sup> ფორმას თვითნებობის „მოსისხლე მტრად“ მიიჩნე-

<sup>46</sup> Menger, Der Begriff des sozialen Rechtsstaates, 42 (53); Robbers G., Kommentar zum Art.20 GG (Aktualisierung Oktober 2009), in: Dolzer, Rudolf /Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), Band 5 (Art. 20–21), Heidelberg seit 1950, Rn. 1742; Scheuner, Die neuere Entwicklung, 461 (462).

<sup>47</sup> Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 15; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 264.

<sup>48</sup> გერმანელი სახელმწიფო სამართლის მეცნიერი (1874–1957).

<sup>49</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 1748.

<sup>50</sup> Stern, Rechtsstaat, 8 f.

<sup>51</sup> გერმანელი მეცნიერი – სამართალმცოდნე (1818–1892).

ვდა,<sup>52</sup> მაგრამ ფორმა ამ ფუნქციას მხოლოდ მაშინ ასრულებს, როდესაც მას ზურგს ადეკვატური შინაარსი უმაგრებს. ფორმას სამართალში შინაარსის გარეშე დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ აქვს. საკონსტიტუციო სასამართლო მართებულად აღნიშნავს, რომ არ არსებობს ფორმა ფორმისათვის.<sup>53</sup> შინაარსგამოცლილი, გამოფიტული ფორმა წამლის იმ ჭურჭელს ემსგავსება, რომელშიც ადვილია წამლის საწამლაკით ჩანაცვლება.<sup>54</sup>

უდავოა ის გარემოება, რომ სამართლებრივი სახელმწიფო ფორმალური სტანდარტების დაკმაყოფილებასაც გულისხმობს. მაგალითად, კანონის უზენაესობის ფორმალური მოთხოვნა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამასთან, უზენაესობაზე პრეტენზია მხოლოდ ისეთ კანონს უნდა ჰქონდეს, რომელიც შინაარსობრივ-მატერიალურ მასშტაბებს აკმაყოფილებს.<sup>55</sup> როგორც ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, ამ მოთხოვნის უგულებელყოფამ კანონი თავისუფლებაზე მალა დააყენა. სამართლებრივი სახელმწიფო გარდაიქმნა „კანონების სახელმწიფოდ“, სადაც კანონს შეეძლო ნებისმიერი, მათ შორის უსამართლო, შინაარსის შექმნა.<sup>56</sup> ფუნდამენტური მატერიალური ფასეულობების – თავისუფლების, სამართლიანობისა და თანასწორობის – გაუფასურებამ კანონი და კანონმდებელი ტოტალიტარული პოლიტიკის ინსტრუმენტად გადააქცია.<sup>57</sup> სახელმწიფო არათუ იზღუდებოდა, არამედ მანიპულირებდა სამართლით, რომელიც ჩამოყალიბდა შეუზღუდავი ძალაუფლების განხორციელებ-

<sup>52</sup> Jhering R. v., *Geist des römischen Rechts auf den verschiedenen Stufen seiner Entwicklung, Zweiter Theil, Zweite Abtheilung, 3. Auflage, Leipzig 1875*, 471.

<sup>53</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის N1/2/378 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, V.

<sup>54</sup> Loladze, *Rechtsstaatsprinzip*, 42.

<sup>55</sup> იქვე.

<sup>56</sup> Stern, *Staatsrecht I*, 773.

<sup>57</sup> Karpen, *Die geschichtliche Entwicklung*, 99.

ბისა და გაძლიერების იარაღად.<sup>58</sup> ფორმალურმა სამართლებრივმა სახელმწიფომ ნაციონალ-სოციალისტურ დიქტატურას ხელსაყრელი პირობები შეუქმნა. მას არც კი დასჭირვებია კონსტიტუციურსამართლებრივად გარანტირებული ფორმალური ელემენტების სრული დემონტაჟი.<sup>59</sup>

სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის ფორმალიზაციამ ხელი შეუწყო მის ბოროტად გამოყენებას, რამაც კატასტროფული შედეგები გამოიწვია. ისტორიული გამოცდილება, რასაც სამწუხაროდ ხშირად არ ითვალისწინებენ, აჩვენებს, რომ ზიანდება არა მხოლოდ სახელმწიფო და საზოგადოება, არამედ თვით კანონითა და სამართლით მანიპულატორებიც. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო ლიტერატურაში მაინც გვხვდება ფორმალური სამართლებრივი სახელმწიფოს აშკარად პოზიტიური შეფასება. მაგალითად, ფორმალური სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციის ბატონობის პერიოდი მოიხსენიება სამოქალაქო სამართლებრივი სახელმწიფოს, ჭეშმარიტი კანონმდებლის, მართლმსაჯულებისა და მმართველობის კლასიკურ ეპოქად.<sup>60</sup> ოპონენტების აზრით, ამგვარი მოსაზრებები ჩამოყალიბებულია გვიანდელი მე-19 საუკუნის იმ იდეის ზეგავლენით, რომლის თანახმად სამართლებრივი სახელმწიფო ემყრება საზოგადოების ავტონომიას სახელმწიფოსაგან. ფორმალური სამართლებრივი სახელმწიფოს დომინირების პერიოდის იდეალიზაციის წინააღმდეგ ყველაზე აშკარად მეტყველებს ის ფაქტი, რომ სწორედ ამ „კლასიკურ ეპოქაში“ ჩაქრა სამართლებრივი სახელმწიფოს ვარსკვლავი.<sup>61</sup>

ფორმალური სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციის კრიტიკა არ გულისხმობს მეორე უკიდურესობაში გადასვლას

<sup>58</sup> Scheuner, *Die neuere Entwicklung*, 461 (463).

<sup>59</sup> Menger, *Der Begriff des sozialen Rechtsstaates*, 42 (56).

<sup>60</sup> Fortshoff E., *Der moderne Staat und die Tugend*, in: *Rechtsstaat im Wandel*, Stuttgart 1964, 13 (19).

<sup>61</sup> Sobota, *Das Prinzip Rechtsstaat*, 36.

და ფორმალური ელემენტების დადებითი მხარეებისა და დამსახურებების იგნორირებას.<sup>62</sup> მათ გარეშე წარმოუდგენელია სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა. აზრს არის მოკლებული სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმისა და შინაარსის ხელოვნური გაყოფა<sup>63</sup> და მით უმეტეს, დაპირისპირება.

## **2. მატერიალური სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია**

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, სამართლებრივი სახელმწიფოსადმი დამოკიდებულება არსებითად შეიცვალა, რაშიც მთავარი როლი ფორმალური სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციის ბატონობის უკიდურესად ნეგატიურმა გამოცდილებამ ითამაშა.<sup>64</sup> ამ პერიოდს უწოდებენ მატერიალური სამართლებრივი სახელმწიფოს იდეასთან დაბრუნებისა და მისი ხელახალი აღმოჩენის ეპოქას.<sup>65</sup> სამართლებრივმა სახელმწიფომ დაიბრუნა თავდაპირველი შინაარსი. ყურადღების ცენტრში მოექცა ისეთი ფასეულობები, როგორცაა თავისუფლება, სამართლიანობა, ღირსება და თანასწორობა. სამართალსა და კანონმდებლობას ნაუყენეს არა მხოლოდ ფორმალური, არამედ მატერიალური მოთხოვნებიც.<sup>66</sup>

მატერიალურ ასპექტებზე ორიენტირება არ გულისხმობს ამჯერად ფორმალური ელემენტების ყურადღების მიღმა დატოვებას. ისინი განიხილება ერთი მედლის ორ მხარედ, რომლებიც არა ანტი-

<sup>62</sup> შეადარე: Robbers, BK, Art. 20, Rn. 1749; Stern, Staatsrecht I, 774.

<sup>63</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 43.

<sup>64</sup> Kloepfer M., Verfassungsrecht I, Grundlagen, Staatsorganisationsrecht, Bezüge zum Völker- und Europarecht, München 2011, 298.

<sup>65</sup> შეადარე: Karpen, Die geschichtliche Entwicklung, 102; Menger, Der Begriff des sozialen Rechtsstaates, 42 (57); Robbers, BK, Art. 20, Rn. 1753; Stern, Rechtsstaat, 9.

<sup>66</sup> Schmidt-Aßmann, Rechtsstaat, 541(553).

თეზები, არამედ ერთი და იმავე საკითხის სხვადასხვა აქცენტებია.<sup>67</sup> სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმალური და მატერიალური ასპექტების დაპირისპირება ითვლება ზედმეტად და დოგმატურად არაპროდუქტიულად.<sup>68</sup> ისინი უფრო ერთმანეთს ავსებს და ერთ მიზანს – თავისუფლების დაცვას – ემსახურება.<sup>69</sup> სამართლებრივ სახელმწიფოში თავისუფლება სამართლებრივად მონესრიგებული, „ჩამოყალიბებული, ფორმაში მოყვანილი თავისუფლებაა.“<sup>70</sup>

სამართლებრივი სახელმწიფო, მატერიალური თვალსაზრისით, პირველ რიგში, სამართლიანი, სამართლიანობაზე ორიენტირებული სახელმწიფოა.<sup>71</sup> სწორედ სამართლიანობაა ის მთავარი ფაქტორი, რის გამოც სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა თითოეული ადამიანისათვის მისაღები და მიმზიდველია.<sup>72</sup> უსამართლო სახელმწიფოში შეიძლება განუხრელად და მკაცრად იცავდნენ კანონის მოთხოვნებს, მაგრამ მას მაინც არაფერი ექნება საერთო სამართლებრივ სახელმწიფოსთან.

*თომა აქვინელი*<sup>73</sup> სამართლიანობის ორ მომენტს გამოჰყოფდა. ერთი მხრივ, ის სამართლიანობის წინაპირობად თვლიდა

<sup>67</sup> Kloepfer, *Verfassungsrecht* I, 298; Schmidt-Aßmann, *Rechtsstaat*, 541 (554).

<sup>68</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 35; Schnapp F. E. (Bearb.): *Kommentar zum Art. 20 GG*, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): *Grundgesetz-Kommentar*, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, München 2012, Rn. 26.

<sup>69</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 41; Robbers, BK, Art. 20, Rn. 1729; Schmidt-Aßmann, *Rechtsstaat*, 541(553); Sobota, *Das Prinzip Rechtsstaat*, 458; Stern, *Staatsrecht* I, 775, 785.

<sup>70</sup> Hesse, *Der Rechtsstaat im Verfassungssystem*, 557 (579).

<sup>71</sup> შეადარე: Bachof O., *Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates. Der soziale Rechtsstaat in verwaltungsrechtlicher Sicht*, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): *Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays*, Darmstadt 1968, 201 (203); BVerfGE 7, 89 (92); 20, 323 (331); 21, 378 (388); 52, 131 (144 f.); 95, 96 (130).

<sup>72</sup> Loladze, *Rechtsstaatsprinzip*, 45.

<sup>73</sup> იტალიელი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი (დაახლოებით 1225–1274).

თავისუფალი ინდივიდების საზოგადოებას, ხოლო მეორე მხრივ, მისი აზრით, აუცილებელი იყო წინამძღოლის არსებობა, რომელიც განახორციელებდა მმართველობას ამ საზოგადოების ინტერესებში.<sup>74</sup> *თომა აქვინელი* ხაზს უსვამდა სამართლიანობის ეფექტიანობას: „გამოცდილება კიდევ უფრო ნათელჰყოფს, რომ მეფეები სამართლიანობით მეტ სიმდიდრეს მოიპოვებენ, ვიდრე ტირანები ძარცვით.“<sup>75</sup> ამ ციტატას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა, თუმცა ის ნაკლებად ახსოვთ ძალაუფლებით გაბრუებულ ავტორიტარებს.

არა მხოლოდ სხვადასხვა საზოგადოებებს, არამედ საზოგადოებრივ ჯგუფებსა და ინდივიდებს აქვთ განსხვავებული წარმოდგენა იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის სამართლიანი და რა – უსამართლო. სამართლიანობის სუბიექტური აღქმა დიფერენცირებულია. *ჰანს კელზენი*<sup>76</sup> მართებულად აღნიშნავდა, რომ ღირებულებათა ნებისმიერი სისტემა, განსაკუთრებით – მორალური წესრიგი და მისთვის ცენტრალური სამართლიანობის იდეა, მორალური ფენომენია და განსხვავებული იმ საზოგადოების ბუნების მიხედვით, რომელშიც ის ყალიბდება.<sup>77</sup> აქედან გამომდინარე, პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა საზოგადოებების, საზოგადოებრივი ჯგუფების ან ადამიანების მიერ ერთი და იგივე მოვლენა, სამართლიანობის თვალსაზრისით, რადიკალურად განსხვავებულად აღიქმება.

სამართლიანობის არსის გარკვევისას მკაფიო და სტაბილური ორიენტირი ვერ იქნება კოლექტიური ან ინდივიდუალური სუბიექტური აღქმა-შეფასება. ამგვარი მიდგომა წარმოშობს სამარ-

<sup>74</sup> Brand J., Hattenhauer H. (Hrsg.), *Der europäische Rechtsstaat. 200 Zeugnisse seiner Geschichte*, Heidelberg 1994, 23.

<sup>75</sup> Aquin T. v., *Über die Herrschaft der Fürsten* (Übersetzung von Friedrich Schreyvogel, Nachwort von Ulrich Matz), Stuttgart 1971, 63.

<sup>76</sup> ავსტრიელი სამართალმცოდნე და სამართლის თეორეტიკოსი (1881–1973).

<sup>77</sup> Kelsen H., *Was ist Gerechtigkeit?* Wien 1953, 12.

თლიანობის იდეის ემოციური მიდგომებით გაჯერების რეალურ რისკს.<sup>78</sup> ეს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს დაუკარგავს სამართლებრივ განსაზღვრულობას, რასაც ჩანაცვლებს წარმოდგენები მატერიალური სამართლიანობის შესახებ.<sup>79</sup> სუბიექტური აღქმების მრავალფეროვნება წარმოშობს სამართლიანობის ცნების მრავალგვარი შინაარსით გადატვირთვის საფრთხეს.<sup>80</sup> ცხადია, ეს ზრდის თვითნებობის რისკს სამართალშემფარდებლების მხრიდან.<sup>81</sup> სამართლიანობის კონტროლერული აღქმა ასევე შეიცავს პოლიტიკური კონფრონტაციის რისკებს,<sup>82</sup> რადგანაც პოლიტიკურ აქტორები, სამართლიანობის კუთხით, ხშირად განსხვავებულად აფასებენ საგნებსა თუ მოვლენებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამართლიანობა არადემოკრატიული რეჟიმებისათვის სპეკულირების საყვარელი თემაა და ისინი ხშირად ცდილობენ საკუთარი თავის სამართლიანად წარმოჩენას.<sup>83</sup>

*კელზენი* აბსოლუტურ სამართლიანობას ირაციონალურ იდეალად მიიჩნევდა.<sup>84</sup> ამ მოსაზრების მართებულობაზე თუნდაც ის გარემოება მეტყველებს, რომ არ არსებობს ზოგადსაკაცობრიო კონსენსუსი სამართლიანობის თაობაზე. სამართლიანობის ზო-

<sup>78</sup> Schmidt-Aßmann, Rechtsstaat, 541 (553).

<sup>79</sup> Benda E., Der soziale Rechtsstaat, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, 719 (722).

<sup>80</sup> Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 51.

<sup>81</sup> Kunig P., Der Rechtsstaat, in: Badura, Peter/Dreier, Horst (Hrsg.): Festschrift 50 Jahre Bundesverfassungsgericht, Zweiter Band – Klärung und Fortbildung des Verfassungsrechts, Tübingen 2001, 421 (433).

<sup>82</sup> Karpen, Die geschichtliche Entwicklung, 38.

<sup>83</sup> დაწვრილებით იხ.: Scheuner, Die neuere Entwicklung, 461 (488); Sommermann K.-P. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: Mangoldt, Hermann von (Begr.)/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010, Rn. 236.

<sup>84</sup> Kelsen, Was ist Gerechtigkeit? 40.

გადი და ყველა შემთხვევის მომცველი ცნების ჩამოყალიბება აშკარად უპერსპექტივოა.<sup>85</sup> ამდენად, სამართლიანობის საკითხი უნდა გაირკვეს ინდივიდუალურად, კონკრეტული შემთხვევის შეფასების საფუძველზე.<sup>86</sup> ამავდროულად, კონკრეტული შემთხვევის შეფასებაც მკაფიო სტანდარტებს მოითხოვს, სხვაგვარად ამ დროსაც სამართლიანობის ზოგადი ცნების დადგენის მსგავსი სირთულეები იჩენს თავს.<sup>87</sup>

სოციალური სამართლებრივი სახელმწიფოს კონტექსტში, გამოჰყოფენ თანასწორობის მნიშვნელობას სამართლიანობისათვის.<sup>88</sup> თანასწორობა მართლაც ხელს უწობს კონსტიტუციიდან სამართლიანობის მატერიალური კრიტერიუმების გამოყვანას.<sup>89</sup> მართალია, ეს პოზიტიურ როლს თამაშობს ცალკეულ შემთხვევებში სამართლიანობის საკითხის შეფასებისათვის, მაგრამ „თანასწორი“ ყოველთვის ვერ იქნება „სამართლიანის“ სინონიმი. თანასწორობა უსამართლო გარემოშიც შესაძლებელია. მაგალითად, ამგვარად „თანასწორი“ იყვნენ საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსებული ადამიანები. უსამართლოა ნებისმიერი გათანასწორება და გათანაბრება, რაც ინდივიდის თავისუფლებას გადაჭარბებულად და არაგონივრულად ზღუდავს.<sup>90</sup>

სწორი არ არის „სამართლიანის“ გაიგივება „სამართლებრივთან“ ან „კანონიერთან“. საკამათოა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სამართლიანობა უზრუნველყოფილია, თუ კანონების შინაარსი და დეპუტატების მოქმედება საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელებისას მორალის მოთხოვნებს შეესაბამება.<sup>91</sup> რთული

<sup>85</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 46.

<sup>86</sup> Karpen, Die geschichtliche Entwicklung, 38.

<sup>87</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 46.

<sup>88</sup> Badura, Der Zustand des Rechtsstaates, 13 (17).

<sup>89</sup> Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 51.

<sup>90</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 47.

<sup>91</sup> Schachtschneider K. A., Prinzipien des Rechtsstaates, Berlin 2006, 20.

დასადგენია, რა არის მორალური ან ამორალური და ვის შეუძლია ამის შემონიშნა.<sup>92</sup> ამას კვლავ მივყავართ სუბიექტურ შეფასებასთან, რაზეც უკვე გავამახვილეთ ყურადღება.

რაციონალური იქნებოდა საუბარი სამართლიანობაზე არა აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტულად, სამართლებრივი სახელმწიფოს მიზნების კონტექსტში. ამ კუთხით, საინტერესო და მნიშვნელოვანია *კელზენის* მოსაზრება, რომ დემოკრატია სახელმწიფოს სამართლიანი ფორმაა, რადგანაც ის იცავს ინდივიდუალურ თავისუფლებას, როგორც მის მიზანს.<sup>93</sup> მართალია, ეს პოზიცია დემოკრატიაზე შეეხება, მაგრამ ის შეიძლება გავავრცელოთ სამართლებრივ სახელმწიფოზეც, რომლის უმთავრესი მიზანი სწორედ ინდივიდუალური თავისუფლების გარანტირებაა. *კელზენი* სამართლიანობის საკითხს უკავშირებს თავისუფლებას, როგორც მიზანს. ამ ლოგიკის მიხედვით, სამართლებრივი სახელმწიფოს მიზნებისათვის სამართლიანია ის სამართლებრივი აქტი ან მოქმედება, რაც ემსახურება ინდივიდუალურ თავისუფლებას, მის დაცვასა და გაძლიერებას.<sup>94</sup> აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სამართლიანობა, მიუხედავად მისი დეფინიციის არარსებობისა, შეფასებადია ადამიანის ფუნდამენტური უფლებებით სრულყოფილად სარგებლობისა და მათი დაცვის ხარისხის მიხედვით.<sup>95</sup>

თავისუფლება სამართლებრივ სახელმწიფოში დაბალანსებულია გონივრულად, თანაზომიერების პრინციპის დაცვით. აქედან გამომდინარე, თავისუფლების ამა თუ იმ განზომილების შემზღვეველი ნორმა ან მოქმედებაც შეიძლება სამართლიანად ჩაითვალოს,

<sup>92</sup> შეადარე: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 47.

<sup>93</sup> Kelsen, Was ist Gerechtigkeit? 16, 42.

<sup>94</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 47.

<sup>95</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-44.

თუ ის თავისუფლებაში ერევა თანაზომიერების სტანდარტების დაცვით. ამ კონტექსტში, სამართლიანობა შეფასების კრიტერიუ-  
მია. ის თავად არ არის სამართლებრივი სახელმწიფოს მიზანი.<sup>96</sup>

ზემოთ ჩამოყალიბებული მოსაზრება ემსგავსება ფილიპ კუ-  
ნიგის<sup>97</sup> შეხედულებას. მისი აზრით, სამართლებრივ სახელმწი-  
ფოში სამართლიანობის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ძი-  
რითადი უფლებების ურთიერთსანინააღმდეგო იმპულსები კანო-  
ნმდებელს მათ დაბალანსებას ავალდებულებს.<sup>98</sup> სამართლიანო-  
ბის მატერიალურ საფუძვლებს ძირითადი უფლებების სფეროში  
ხედავენ სხვა ავტორებიც.<sup>99</sup> სამართლიანობის საკითხის ძირითად  
უფლებებთან დაკავშირება ლოგიკურია, რადგანაც სწორედ ისინი  
იცავენ ინდივიდუალური თავისუფლების ყველაზე მნიშვნელოვან  
სფეროებს. ის გარემოება, რომ ძირითადი უფლებები კონსტი-  
ტუციაშია პოზიტივირებული, ამარტივებს სამართლიანობის კო-  
ნსტიტუციის მკაფიოდ გამოკვეთის ამოცანას. ამავდროულად, კო-  
ნსტიტუცია სრულყოფილად არ ფარავს ინდივიდუალური თავი-  
სუფლების თემას. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ სამართლიანობის  
საკითხის განხილვისას ისევე, როგორც ძირითადი უფლებების  
ინტერპრეტაციისას, სუბიექტურ მომენტს ვერ გამოვრიცხავთ.  
შეუძლებელია სამართლიანობის ცნების განსაზღვრა მხოლოდ  
ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე. მარტოოდენ ის არის  
შესაძლებელი, რომ სუბიექტურ ფაქტორებს შეძლებისდაგვარად  
მცირე მნიშვნელობა მიენიჭოს.<sup>100</sup>

<sup>96</sup> Kloepfer, Verfassungsrecht I, 351.

<sup>97</sup> გერმანელი სამართალმცოდნე საკონსტიტუციო, ადმინისტრაციული და  
საერთაშორისო სამართლის მიმართულებით.

<sup>98</sup> Kunig, Rechtsstaat, 421 (434).

<sup>99</sup> მაგ.: Kloepfer, Verfassungsrecht I, 351.

<sup>100</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 47 f.

### 3. სამართლებრივი სახელმწიფოს სუმატური და ინტეგრალური გაგებები

არსებობს სამართლებრივი სახელმწიფოს სუმატური და ინტეგრალური გაგებები. *სუმატური გაგების* მიხედვით, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი ცალკეული სამართლებრივსახელმწიფოებრივი გარანტიების კრებისითი ცნებაა. *ინტეგრალური გაგება* აღიარებს როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ცალკეულ ელემენტებს, ასევე სამართლებრივი სახელმწიფოს ზოგად ცნებას.<sup>101</sup> განსხვავებას ამ გაგებებს შორის იმით ხსნიან, რომ კონსტიტუციის ტექსტი არ შეიცავს მკაფიო რეგულირებას სამართლებრივი სახელმწიფოს საკითხთან დაკავშირებით. მისი ცალკეული ელემენტები და ასპექტები კონსტიტუციის სხვადასხვა ნორმებშია ასახული.<sup>102</sup>

სამართლებრივი სახელმწიფოს სუმატური გაგების დადებით მხარედ, პირველ რიგში, მისი სიცხადე და კონკრეტიზაცია განიხილება. სამართლებრივი საკითხებისა და პრობლემების გადაწყვეტა ხორციელდება კონსტიტუციის კონკრეტული, პოზიტიური ნორმების საფუძველზე.<sup>103</sup> აქედან გამომდინარე, სუმატური გაგება უფრო მარტივი და ნათლად აღსაქმელია.<sup>104</sup> მისი მიმდევრები სკეპტიკურად უყურებენ სამართლებრივი სახელმწიფოს დეფინიციას. მათი აზრით, სამართლებრივი სახელმწიფოს ზოგადი ცნება ზედმეტია და არ განეკუთვნება პოზიტიურ საკონსტიტუციო სამართალს<sup>105</sup>

<sup>101</sup> იქვე, 48.

<sup>102</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 43.

<sup>103</sup> მაგ.: Arnould, Rechtsstaat, 703 (705); Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 43; Kunig P., Das Rechtsstaatsprinzip. Überlegungen zu seiner Bedeutung für das Verfassungsrecht der Bundesrepublik Deutschland, Tübingen 1986, 98 ff.

<sup>104</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 43.

<sup>105</sup> დაწვრილებით იხ.: Kunig, Rechtsstaatsprinzip, 457 ff., 481 ff.

ან საჭიროებს აბსტრაქციის მაღალ დონეს, რაც მას პრაქტიკულ მნიშვნელობას უკარგავს.<sup>106</sup>

ინტეგრალური გაგება ეფუძნება სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის ისტორიასა და კონსტიტუციის რეგულირების კონტექსტს. მისი მიმდევრების პოზიციით, არსებობს სამართლებრივი სახელმწიფოს ზოგადი და დამოუკიდებელი ცნება, რომელიც უფრო ფართოა, ვიდრე სამართლებრივი სახელმწიფოს ცალკეული გარანტიების უბრალო ჯამი.<sup>107</sup> ზოგად ცნებას აქვს დამოუკიდებელი შინაარსი და ამოცანები,<sup>108</sup> განსაკუთრებით ორგანიზაციული და საპროცესო სამართლის სფეროებში.<sup>109</sup> სამართლებრივი სახელმწიფოს ზოგადი ცნებიდან შესაძლებელია იმ ელემენტების გამოყვანა, რომლებიც კონსტიტუციის ტექსტში უშუალოდ ასახული არ არის (მაგალითად, განსაზღვრულობის პრინციპი).<sup>110</sup> გარდა ამისა, სამართლებრივი სახელმწიფოს ზოგადი პრინციპი, როგორც კონსტიტუციის იმპლიციტური მოთხოვნა, აზრსა და მიმართულებას აძლევს კონსტიტუციის ინტერპრეტაციას და ერთმანეთთან ლოგიკურად აკავშირებს საკონსტიტუციო სამართლის სხვადასხვა ნაწილებს.<sup>111</sup>

სამართლებრივი სახელმწიფოს ზოგად ცნებას ხშირად იყენებს სასამართლო პრაქტიკა. მაგალითად, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს,<sup>112</sup> რომ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი განმტკიცებულია ძირითადი კანონის მე-20

<sup>106</sup> Kloepfer, Verfassungsrecht I, 299.

<sup>107</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 44.

<sup>108</sup> Grzeszick, იქვე; Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 44.

<sup>109</sup> მაგ.: Grzeszick, იქვე; Schmidt-Aßmann, Rechtsstaat, 541 (545); Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 45; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 399 ff.

<sup>110</sup> Stern, Staatsrecht I, 778. ასევე იხ.: Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 45.

<sup>111</sup> Arnauld, Rechtsstaat, 703 (705).

<sup>112</sup> BVerfGE 52, 131 (143); 108, 186 (234 f.).

მუხლის მე-2<sup>113</sup> და მე-3<sup>114</sup> აბზაცებით, ასევე 28-ე მუხლის პირველი აბზაცის პირველი წინადადებით.<sup>115</sup> სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი ასევე გამოიყვანება „ძირითადი კანონის საერთო კონცეფციიდან“.<sup>116</sup> ხანდახან ის კონსტიტუციის კონკრეტულ ნორმაზე მითითების გარეშეც მოიხსენიება.<sup>117</sup>

ინტეგრალური გაგების მთავარ სისუსტეს იმაში ხედავენ, რომ ამით სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი დაკარგავს მკაფიო კონტურებს, გადაგვარდება ცარიელ ფორმულად ან გამდიდრდება ნებისმიერი შესაძლო შინაარსით, რაც მის არსს შეცვლის.<sup>118</sup> ეს სკეპტიციზმი, ერთი შეხედვით, გამართლებულია, თუმცა აღნიშნული რისკების პრევენცია შესაძლებელია სამართლებრივი სახელმწიფოს არსსა და მიზანზე ორიენტაციით. თუ სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩაითვლება სახელმწიფო, სადაც გონივრული და დაბალანსებული თავისუფლების დაცვისათვის სახელმწიფო ხელისუფლება სამართლიანი სამართლის ფარგლებში ხორციელდება, მაშინ უსაფუძვლო იქნება სამართლებრივი სახელმწიფოს კონტურების გაბუნდოვანებასთან და მისი უცხო შინაარსით გადატვირთვასთან დაკავშირებული შიში. სწორედ სამართლებრივი სახელმწიფოს არსსა და მიზანზე დაყრდნობით შეიძლება შევაფასოთ და გავავლოთ მიჯნა, თუ რა არის სამართლებრივსახელმწიფოებრივი

<sup>113</sup> მთელი სახელმწიფო ძალაუფლება მოდის ხალხისგან. ის ხორციელდება ხალხის მიერ არჩევნების და რეფერენდუმების გზით, ასევე საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების სპეციალური ორგანოების მეშვეობით [ავტორის თარგმანი].

<sup>114</sup> საკანონმდებლო ხელისუფლება შეზღუდულია კონსტიტუციური წესრიგით, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება კი – კანონითა და სამართლით [ავტორის თარგმანი].

<sup>115</sup> კონსტიტუციური წესრიგი ლანდებში უნდა შეესაბამებოდეს რესპუბლიკური, დემოკრატიული და სოციალური სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს ამ ძირითადი კანონის გაგებით [ავტორის თარგმანი].

<sup>116</sup> BVerfGE 45, 187 (246).

<sup>117</sup> BVerfGE 95, 96 (140); 97, 67 (78); 101, 275 (288).

<sup>118</sup> Stern, Staatsrecht I, 778.

და რა – არა. არსსა და მიზანზე ორიენტაცია ასევე დაგვეხმარება, რომ არგუმენტირებულად მივაკუთვნოთ ესა თუ ის სამართლებრივი ინსტიტუტი სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს.<sup>119</sup>

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მართლაც არ არის მისი მრავალრიცხოვანი შემადგენელი ნაწილების უბრალო ჯამი. დროთა განმავლობაში მან გამოიყენა როგორც უკვე არსებული ინსტიტუტები, ასევე თავად წარმოქმნა სხვადასხვა ახალი ელემენტი. სამართლებრივი სახელმწიფო ჩამოყალიბდა და განვითარდა, როგორც დამოუკიდებელი იდეა და არა როგორც სხვადასხვა კომპონენტების შერწყმის შედეგი. ეს გარემოება არ ნიშნავს იმას, რომ უნდა მოხდეს სამართლებრივი სახელმწიფოს ცალკეული გარანტიების იგნორირება.<sup>120</sup> გონივრულია მოსაზრება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის *სუბსიდიურ გამოყენებასთან* დაკავშირებით. ეს გულისხმობს სამართლებრივი სახელმწიფოს ზოგად ცნებაზე აპელირებას იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საკითხი არ ექცევა კონსტიტუციის სპეციალური ნორმით გათვალისწინებული რომელიმე გარანტიის ფარგლებში.<sup>121</sup>

---

<sup>119</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 48.

<sup>120</sup> იქვე, 49.

<sup>121</sup> Schmidt-Aßmann, Rechtsstaat, 541 (545); Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 44.

## თავი III. სამართლებრივი სახელმწიფოს ნიშნები

სამართლებრივი სახელმწიფოს ნიშნებთან დაკავშირებით აზრთა დიდი მრავალფეროვნებაა. ზოგიერთი ავტორი სამართლებრივი სახელმწიფოს მხოლოდ რამოდენიმე ნიშანს გამოჰყოფს,<sup>122</sup> სხვებთან კი მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად მეტია.<sup>123</sup> ისეთი სამეცნიერო ნაშრომიც კი გვხვდება, სადაც სამართლებრივი სახელმწიფოს 142 ნიშანია ჩამოთვლილი.<sup>124</sup> აქედან გამომდინარე, არ არსებობს ერთიანი და აღიარებული მიდგომა სამართლებრივი სახელმწიფოს ელემენტებთან დაკავშირებით.<sup>125</sup>

პოზიციები განსხვავდება სამართლებრივი სახელმწიფოს ნიშნების კლასიფიკაციასთან დაკავშირებითაც.<sup>126</sup> მაგალითად, ზოგიერთი ავტორი გამოჰყოფს ორ ჯგუფს: მატერიალური ნიშნები

<sup>122</sup> მაგ.: Bachof, *Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates*, 202; Benda, *Der soziale Rechtsstaat*, 719 (720); Fürst W., *Die Funktionsgebundenheit von Verfassungs- und Verwaltungsrechtsprechung im Spannungsfeld grundgesetzlicher Gewaltenteilung*, in: *Festschrift Edwin Loebenstein zum 80. Geburtstag*, Wien 1991, 31 (30); Hofmann H. (Bearb.), *Kommentar zum Art. 20 GG*, in: Schmidt-Bleibtreu, Bruno (Begr.)/Hofmann, Hans/Hopfau, Axel (Hrsg.): *GG – Kommentar zum Grundgesetz*, 12. Auflage, Köln 2011, Rn. 58; Ipsen H. P., *Über das Grundgesetz*, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): *Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays*, Darmstadt 1968, 16 (22); Kloepfer, *Verfassungsrecht I*, 302; Robbers, *BK, Art. 20, Rn. 1806*; Schnapp, *GG, Art. 20, Rn. 27*; Schnapp F. E., *Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung der Republik Polen*, in: *Osteuropa*, 47 (2001) 3, 171 (172 f.); Schulze-Fielitz, *GG, Art. 20, Rn. 35, 39*; Stern, *Rechtsstaat*, 7 f.; Stern, *Staatsrecht I*, 784.

<sup>123</sup> Karpen, *Die geschichtliche Entwicklung*, 107 f.; Sachs M. (Bearb.), *Kommentar zum Art. 20 GG*, in: Sachs, Michael (Hrsg.): *Grundgesetz Kommentar*, 6. Auflage, München 2011, Rn. 77 f.; Schachtschneider, *Prinzipien*, 16 ff.

<sup>124</sup> Sobota, *Das Prinzip Rechtsstaat*, 254 ff. კრიტიკა: Kunig, *Rechtsstaat*, 421 (432).

<sup>125</sup> Loladze, *Rechtsstaatsprinzip*, 50; Sobota, *Das Prinzip Rechtsstaat*, 527.

<sup>126</sup> დანვრილებით იხ.: Buchwald, *Prinzipien des Rechtsstaats*, 180 ff.

და ფორმალური ნიშნები. *მატერიალურ ნიშნებს* მიაკუთვნებენ ძირითადი უფლებების გარანტირებას, თანაზომიერებას, სამართლიანობას და ა. შ. *ფორმალურ ნიშნებს* შორის სახელდება ძალაუფლების გამიჯვნა, მმართველობის კანონიერება, სასამართლოს დამოუკიდებლობა, სამართლებრივი დაცვა, სამართლებრივი უსაფრთხოება, სახელმწიფო პასუხისმგებლობა და სხვა.<sup>127</sup>

თეორიაში ვხვდებით სამართლებრივი სახელმწიფოს ნიშნების კლასიფიკაციის გაცილებით რთულ, ოთხდონიან ვარიანტსაც.<sup>128</sup> ის ეყრდნობა ნიშნების დახარისხებას სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპისადმი მიმართებისა და მნიშვნელობის მიხედვით.

პირველი დონის ნიშნებია – *ელემენტები*, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. ისინი ხელშეუხებელია იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კონსტიტუციის გადასინჯვა ხდება (ე. ნ. „მუდმივობის გარანტია“). სამართლებრივი სახელმწიფოს ელემენტებს შორის გამოიყოფა სამი ჯგუფი: (1) *დამფუძნებელი ელემენტები* – მათ გარეშე სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელია. მაგალითად: ძალაუფლების გამიჯვნა, სასამართლოს დამოუკიდებლობა და სხვა; (2) *ნომოკრატიული ელემენტები* – ისინი უზრუნველყოფენ, რომ სახელმწიფო შეიზღუდოს სამართლით და არ იმოქმედოს თვითნებურად. მაგალითად: სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი, თანაზომიერების პრინციპი და ა.შ.; (3) *დამაბალანსებელი ელემენ-*

<sup>127</sup> მაგ.: Huber, Rechtsstaat und Sozialstaat, 589 (593 f.); Jarass H. D. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: Jarass, Hans D./Pieroth, Bodo: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, München 2012, Rn. 30; Papier H.-J., Gewaltentrennung im Rechtsstaat, in: Merten, Detlef (Hrsg.): Gewaltentrennung im Rechtsstaat. Zum 300. Geburtstag von Charles de Montesquieu; Vorträge und Diskussionsbeiträge der 57. Staatswissenschaftlichen Fortbildungstagung 1989 der Hochschule für Verwaltungswissenschaftlichen Speyer, Berlin 1989, 95 (95); Stern, Staatsrecht I, 783. კრიტიკულად: Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 48; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 457.

<sup>128</sup> დანვრილებით იხ.: Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 462 ff., 471 f., 518 ff.

ტები – ისინი ემსახურებიან წონასწორობის მიღწევას ინდივიდუალურ თავისუფლებასა და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის. მაგალითად: უფლება სამართლიან სასამართლოზე, ძირითადი უფლებების დაცვა და სხვა.

მეორე დონეს წარმოადგენენ *დამახასიათებელი ნიშნები*. ისინი სამართლებრივი სახელმწიფოს ამა თუ იმ ელემენტის დეფინიციის ნაწილებია, რაც მათ ხელშეუხებლობას განაპირობებს. დამახასიათებელი ნიშნები განვითარებული და ფუნქციონირებადი სამართლებრივი სახელმწიფოს გამოხატულებაა. ისინი განაწარმოებენ სამართლებრივი სახელმწიფოს ელემენტებს. ამ ჯგუფს განეკუთვნება, მაგალითად: სახელმწიფოს მოქმედების განჭვრეტადობა, სასამართლოზე ხელმისაწვდომობა და ა. შ.

*სიტუაციური ნიშნები* ქმნის სამართლებრივი სახელმწიფოს ნიშნების მესამე დონეს. სიტუაციურ ნიშანს არ აქვს დამფუძნებელი ხასიათი და არ არის ხელშეუხებელი, თუმცა შეუძლია თავისი როლის თამაში გარკვეულ შემთხვევებში. ამ ჯგუფის ნიშნები კონტექსტუალურად არიან განპირობებული და მათი გამოვლინება არარეგულარულად ხდება. სიტუაციური ნიშნები არ არის აუცილებელი სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისათვის და უფრო გამონაკლისს წარმოადგენენ, ვიდრე – წესს. მაგალითად, ნორმატიული აქტების უკუძალა სამართლებრივ სახელმწიფოსთან თავსებადი და დასაშვებია მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში.

მეოთხე დონეზე განლაგებულია *არასპეციფიური ნიშნები*. შეუძლებელია მათი ცალსახად მიკუთვნება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპისადმი. ისინი ზოგადად სახელმწიფოებრიობის ფუნქციონირებას უკავშირდება. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის დოგმატურ სისტემაში არასპეციფიური ნიშნებისათვის ადგილი არ მოიძებნება. მაგალითად, ეფექტიანი მმართველობა სასურველია, მაგრამ არაეფექტიანი მმართველობის მქონე სახელმწიფოც შეიძლება იყოს სამართლებრივი, თუ იცავს შესაბამის ფუნდამენტურ სტანდარტებს.

ზემოთ აღწერილი სისტემა, მართალია, სტრუქტურული თვალსაზრისით რთულია, მაგრამ ლოგიკური და მკაფიოა. ის განსაკუთრებით გამოსადეგი იქნებოდა იმ საკითხის შეფასებისას, რამდენად და რა სიმძიმით არღვევს სახელმწიფოს ესათუის აქტი ან ქმედება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს. თუ მომავალში საქართველოს კონსტიტუცია გაითვალისწინებს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მომცველ „მუდმივობის გარანტიას“, სამართლებრივი სახელმწიფოს ნიშნების კლასიფიკაცია დაგვეხმარება ამ პრინციპის ხელშეუხებელი არსის ფარგლების დადგენაში.<sup>129</sup>

---

<sup>129</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 51.

# თავი IV. სამართლებრივი სახელმწიფო და მისი მსგავსი კონსტრუქციები

## 1. სამართლებრივი სახელმწიფო და Rule of Law

სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა გერმანული „ნარმომა-ვლობისა“, თუმცა ვერ ვისაუბრებთ მის ექსკლუზიურობაზე. სახელმწიფო ხელისუფლების სამართლით შეზღუდვას სხვა კონცეფციებიც ითვალისწინებს. თანამედროვე სამყაროში ძალიან მაღალია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ისეთ იდეებთან ურთიერთმიმართების კვლევის ინტერესი, როგორცაა **rule of law, limited government** ან **état de droit**. ამ ინტერესს ამძაფრებს ის ფაქტი, რომ უკვე დიდი ხანია განხორციელდა ძირითად უფლებათა ინტერნაციონალიზაცია და სულ უფრო მზარდია მისი ხარისხი.

**rule of law** პრინციპის სამშობლო ინგლისია, სადაც მონარქის ძალაუფლება შეიზღუდა ნოდებათა უფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე. ის განვითარდა საერთო სამართლის (**common law**) სისტემაში<sup>130</sup> ისეთი აქტების მეშვეობით, როგორცაა **Magna Carta** და **Bill of Rights**.<sup>131</sup> ეს გარემოება განაპირობებს **rule of law** პრინციპის გავრცელებას ქვეყნებში, რომლებიც საერთო სამართლის სისტემას განეკუთვნებიან. ტერმინი „**rule of law**“ ასევე ფართოდაა გავრცელებული საერთაშორისო სამართალში, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სასამართლოების პრაქტიკაში.<sup>132</sup>

მიუხედავად იმისა, რომ **rule of law**-ს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპზე ხანგრძლივი ისტორია აქვს, მისი დეფინიცია

<sup>130</sup> Brand, Hattenhauer, Der europäische Rechtsstaat, XV.

<sup>131</sup> Bäumlín, Ridder, GG, Art. 20, Rn. 4.

<sup>132</sup> Sommermann, GG, Art. 20, Rn. 244.

მოგვიანებით – 1881 წელს ჩამოაყალიბა ალბერტ ვენ დაისმა.<sup>133</sup> მან გამოჰყო **rule of law**-ის სამი ძირითადი ელემენტი: (1) *რეგულარული სამართლის უზენაესობა* (**Supremacy of regular law**) – გულისხმობს, რომ ნებისმიერი ადამიანი ექვემდებარება მხოლოდ სამართალს და დაცულია სახელისუფლებო თვითნებობისაგან; (2) *სამართლის წინაშე თანასწორობა* (**Equality before the law**) – სამართლის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია, მიუხედავად მისი რანგისა და სტატუსისა; (3) *სამართლის სულისკვეთების პრიორიტეტი* (**Predominance of legal spirit**) – ბრიტანული (დაუნერელი) კონსტიტუცია ეფუძნება **common law**-ს, ანუ სამოსამართლო სამართალს და იცავს ინდივიდუალურ უფლებებს სასამართლოების მეშვეობით.<sup>134</sup>

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მაღალი ხარისხით არის დეტალიზებული და სისტემატიზებული. ზოგადად, ლეგალიზმის მაღალი დონე დამახასიათებელია კონტინენტური ევროპისათვის.<sup>135</sup> ამისგან განსხვავებით, **rule of law** ნაკლებად დოგმატიზებული და ფორმალიზებულია.<sup>136</sup>

**Rule of law**-ს არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ პოლიტიკური წონაც აქვს. ის სცდება სამართლით სახელმწიფოს შეზღუდვის ფარგლებს და პოლიტიკური სისტემისათვის სადამფუძნებლო მნიშვნელობაც აქვს. ამგვარი ფართო მოქმედების არეალი არ ჰქონია სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას მე-19 საუკუნეში. ის უფრო აღიქმებოდა სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ დაცვის საშუალებად.<sup>137</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს გაგება დღეისათვის გაცილებით ფართოა. სამართლებრივი

<sup>133</sup> ბრიტანელი იურისტი, კონსტიტუციონალისტი და პოლიტიკის თეორეტიკოსი (1835–1922).

<sup>134</sup> შეადარე: Arnould, Rechtsstaat, 703 (711); Brand, Hattenhauer, Der europäische Rechtsstaat, XV.

<sup>135</sup> Sommermann, GG, Art. 20, Rn. 246.

<sup>136</sup> Schmidt-Aßmann, Rechtsstaat, 541 (604).

<sup>137</sup> Bäumlin, Ridder, GG, Art. 20, Rn. 2.

სახელმწიფოს პრინციპს ფუნდამენტური და სადამფუძნებლო მნიშვნელობა აქვს თანამედროვე სახელმწიფოსათვის.<sup>138</sup>

პარლამენტის უზენაესობა (supremacy of parliament) rule of law-ს არსებითი ნიშანია.<sup>139</sup> ბრიტანეთის მონარქი შებოჭილია პარლამენტის მიერ მიღებული კანონებით.<sup>140</sup> ეს უპირატესობა საკანონმდებლო ორგანომ მონარქთან მწვავე ბრძოლაში მოიპოვა.<sup>141</sup> სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპისათვის პარლამენტის უზენაესობასა და საპარლამენტო სისტემის არსებობას არასოდეს ჰქონია და არც დღეისათვის აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.<sup>142</sup>

პარლამენტის უზენაესობა განაპირობებს კიდევ ერთ პრინციპულ განსხვავებას სამართლებრივ სახელმწიფოსა და rule of law-ს შორის. საქმე შეეხება განსხვავებულ დამოკიდებულებას კონსტიტუციის უზენაესობის მიმართ. პარლამენტის კონსტიტუციით შეზღუდვა rule of law-ს აუცილებელი შინაარსობრივი ელემენტი არ არის.<sup>143</sup> დიდ ბრიტანეთს არ აქვს დანერილი კონსტიტუცია. იქ არც პარლამენტის მიერ მიღებული კანონების საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება. ეს მიდგომა ეფუძნება ლოგიკას, რომ

<sup>138</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 77.

<sup>139</sup> იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი 2005, 343.

<sup>140</sup> Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 4; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 244.

<sup>141</sup> Roellecke G., Kommentar zum Art. 20 GG (Identität der Bundesrepublik), in: Umbach, Dieter C./Clemens, Thomas (Hrsg.): Grundgesetz. Mitarbeiterkommentar und Handbuch, Band I, Heidelberg 2002, Rn. 49.

<sup>142</sup> შეადარე: Sommermann, GG, Art. 20, Rn. 244.

<sup>143</sup> იზორია, კორკელია, კუბლაშვილი ხუბუა, კომენტარები, 343; Denninger E., „Rechtsstaat“ oder „Rule of law“, in: Festschrift für Klaus Lüderssen, Baden-Baden 2002, 41 (43); Bäuml, Ridder, GG, Art. 20, Rn. 6; Simon H., Verfassungsgerichtsbarkeit, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 2, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, 1637 (1644); Sommermann, GG, Art. 20, Rn. 244.

მოსამართლე უნდა ემორჩილებოდეს კანონს და არა პირიქით – კანონი მოსამართლეს. ამ პოზიციას არ იზიარებს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, რომელიც კონსტიტუციის უზენაესობით მთელი სახელმწიფო ხელისუფლების, მათ შორის საკანონმდებლო ხელისუფლების, შეზღუდვას ითვალისწინებს.<sup>144</sup>

საკონსტიტუციო კონტროლის კონტექსტში, სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციასთან მეტი საერთო აქვს ამერიკული სამართლებრივი აზროვნებისათვის დამახასიათებელ **limited government**-ის იდეას. დიდი ბრიტანეთისაგან განსხვავებით, აშშ-ი დანერგილი კონსტიტუციის ქვეყანაა, სადაც ხორციელდება კანონმდებლის საკონსტიტუციო კონტროლი.<sup>145</sup> მეტიც, აშშ-მა, პირველად და ევროპულ სახელმწიფოებზე გაცილებით ადრე დაამკვიდრა ეს პროცედურა.

სამართლებრივ სახელმწიფოსა და **rule of law**-ს შორის კონტრასტი ძირითადად გამონეული იმ სახელმწიფოთა განსხვავებული განვითარების გზებით, სადაც ეს კონცეფციები წარმოიშვა და გავრცელდა.<sup>146</sup> მიუხედავად არსებითი განსხვავებებისა, გამოჰყოფენ ამ პრინციპების საერთო მახასიათებლებსაც. მაგალითად, ორივე კონცეფციის მნიშვნელოვანი ელემენტებია ინდივიდუალური თავისუფლების დაცვა და კანონის წინაშე თანასწორობა.<sup>147</sup>

## 2. სამართლებრივი სახელმწიფო და **État de droit**

ფრანგული კონსტიტუციურსამართლებრივი აზროვნება ძირითადად 1789 წლის დიდი რევოლუციის იდეების გავლენით ჩამოყალიბდა. მისი ამოსავალი წერტილია დემოკრატიული უმრავლესობის მიერ ხელისუფლების განხორციელება კანონების მე-

<sup>144</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 77.

<sup>145</sup> Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 6; Simon, Verfassungsgerichtsbarkeit, 1637 (1644).

<sup>146</sup> Buchwald, Prinzipien des Rechtsstaats, 100.

<sup>147</sup> Denninger, „Rechtsstaat“ oder „Rule of law“, 41 (43); Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 5.

შვეობით.<sup>148</sup> ეს განასხვავებს მას სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციისაგან, რომლისთვისაც უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა რევიზია ჩვეულებრივი მოვლენაა.

ფრანგული სისტემისათვის, ბრიტანულის მსგავსად, უცხოა ინსტიტუცია, რომელიც ძირითადი უფლებების დასაცავად კონტროლს განახორციელებდა პარლამენტის გადაწყვეტილებებზე.<sup>149</sup> მართალია, საფრანგეთში მოქმედებს საკონსტიტუციო საბჭო, მაგრამ ის ფორმით და შინაარსით დიამეტრალურად განსხვავდება საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოებისაგან. საბჭოს მოღვაწეობის შეფასებისას არცთუ უსაფუძვლოდ მიუთითებენ, რომ მან ვერ შეძლო მატერიალურ სამართლებრივ სახელმწიფოებრიობაზე დაფუძნებული ექსპლიციტური მართლმსაჯულების კონცეფციის დამკვიდრება.<sup>150</sup>

რაიმონდ კარე დე მალბერგის<sup>151</sup> მიხედვით, *État de droit*-სა და *État légal*-ს შორის განსხვავება იმაშია, რომ პირველი იცავს ინდივიდუალურ უფლებებს სახელმწიფოს თვითნებობისაგან, ხოლო მეორე მმართველობას მაშინაც ბოჭავს, როდესაც ადამიანის უფლებები არ ირღვევა.<sup>152</sup> ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით, შეიძლება შევნიშნოთ, რომ მმართველობის სამართლით შეზღუდვის იდეა მართლაც არის სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უნიშვნელოვანესი მახასიათებელი, მაგრამ ის არ არის თვითმიზანი. შეიძლება სახელმწიფოს მხრიდან სამართლისა და სამართლიანობის იგნორირება ძირითად უფლებებს პირდაპირ არ ემუქრებოდეს, თუმცა მისი ცალკეული პრეცედენტიც კი ინდივიდუალური თავისუფლებისათვის არსებითი საფრთხის შემცველია. თავისუფლება სრულიად შეუთავსებელია შეუზღუდავ და თვითნებურ მმართველობასთან.<sup>153</sup>

<sup>148</sup> Arnauld, Rechtsstaat, 703 (711); Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 7.

<sup>149</sup> Bäumlin, Ridder, GG, Art. 20, Rn. 12.

<sup>150</sup> იქვე.

<sup>151</sup> ფრანგი იურისტი და კონსტიტუციონალისტი (1861–1935).

<sup>152</sup> Sommermann, GG, Art. 20, Rn. 243.

<sup>153</sup> შეადარე: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 79 f.

État de droit-ს კონცეფციაში, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან შედარებით, ნაკლებად კატეგორიულია კანონის დათქმა. ეს გარემოება აღმასრულებელ ხელისუფლებას მოქმედების უფრო ფართო სივრცესა და შესაძლებლობას აძლევს.<sup>154</sup> საფრანგეთის რესპუბლიკის 1958 წლის 4 ოქტომბრის კონსტიტუციის 34-ე მუხლი განსაზღვრავს, თუ რა საკითხები ექვემდებარება კანონით მონესრიგებას. მაშასადამე, პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობას დანესებული აქვს მკაცრი კონსტიტუციური ჩარჩოები. ეს ნორმა, რომელიც მეოთხე რესპუბლიკის ნეგატიური გამოცდილებითაა გამოწვეული, ზღუდავს პარლამენტის მოქმედების არეალს და ამავდროულად, აფართოებს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განხორციელებული ნორმატიული რეგულირების სფეროს.<sup>155</sup>

### 3. კონცეფციებს შორის დაახლოების ტენდენცია

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი და მისი მონათესავე კონცეფციები დასავლურ სამყაროში განვითარდა. მიუხედავად მრავალ, მათ შორის პრინციპულ, საკითხში განსხვავებული მიდგომისა, მაინც არსებობს კონსენსუსი დემოკრატიისა და თავისუფლების ფუნდამენტურ ღირებულებებთან დაკავშირებით.<sup>156</sup> ეს წარმოადგენს კონცეფციებს შორის დაახლოების ტენდენციის ხელშემწყობ ერთ-ერთ ფაქტორს. სხვადასხვა სისტემები აღარ არის ძველებურად ჩაკეტილი და საკუთარ თავებზე ორიენტირებული. მიმდინარეობს გამოცდილების გაცვლის, პრობლემების დასმის, მათი გადაწყვეტის ძიებისა და დისკუსიის პროცესი.<sup>157</sup>

კონცეფციების დაახლოებას ხელს უწყობს საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები, განსაკუთრებით – ადამიანის უფლებათა და

<sup>154</sup> Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 36.

<sup>155</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 80.

<sup>156</sup> Buchwald, Prinzipien des Rechtsstaats, 100.

<sup>157</sup> Sommermann, GG, Art. 20, Rn. 247.

თავისუფლებათა სფეროში. ამის თვალსაჩინო მაგალითია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და მასზე დაფუძნებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. ევროპული კონვენციის მოქმედება მოიცავს სახელმწიფოებს, სადაც სხვადასხვა კონცეფციები დომინირებს და ავრცელებს მათზე ერთიან სტანდარტებს მთავარი საერთო ფასეულობის – ინდივიდუალური თავისუფლების დაცვისა და უზრუნველყოფის მიზნით.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაზეა ორიენტირებული დიდი ბრიტანეთის Human Rights Act-ის (1998) მე-4 სექცია, რომელიც მოჰყავთ rule of law-სა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის დაახლოების მაგალითად.<sup>158</sup> ეს სექცია ბრიტანეთის მაღალ სასამართლოებს აძლევს პარლამენტის აქტების ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობის შემოწმებისა და ე. წ. შეუსაბამობის დეკლარაციის (declaration of incompatibility) მიღების უფლებამოსილებას. შეუსაბამობის დეკლარაცია არ იწვევს აქტის გაუქმებას, მაგრამ იძლევა გამარტივებული პროცედურით მისი შეცვლის შესაძლებლობას. ამის მაგალითია ე. წ. „საქმე ბელმარშ 9“, რომელიც განიხილა ლორდთა პალატამ.<sup>159</sup> დადგინდა, რომ ტერორიზმში ექვმიტანილი უცხოელების უვადო დაპატიმრება სასამართლო პროცესის გარეშე, რასაც ითვალისწინებდა ანტიტერორიზმის, დანაშაულისა და უსაფრთხოების აქტის (Anti-Terrorism, Crime and Security Act) (2001) 23-ე ნაწილი, ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლებს. ამ გადაწყვეტილების შედეგად, 2005 წელს მიიღეს ახალი კანონმდებლობა – ტერორიზმის პრევენციის აქტი (Prevention of Terrorism Act).

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ საფრანგეთში სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციისადმი მზარდ ინტერეს-

<sup>158</sup> Sommermann, GG, Art. 20, Rn. 244.

<sup>159</sup> დაწვრილებით იხ.: <https://www.bailii.org/uk/cases/UKHL/2004/56.html>.

ზე,<sup>160</sup> რასაც ადასტურებს კონსტიტუციაში 2008 წლის 23 ივლისს შეტანილი ცვლილებებიც, კერძოდ 61–1 მუხლი და 62-ე მუხლის პირველი პუნქტის ახალი რედაქცია. 61–1 მუხლმა შემოიტანა ე. წ. „პრიორიტეტული საკონსტიტუციო საკითხის“ (**Question prioritaire de constitutionnalité**) ინსტიტუტი. სასამართლოში მიმდინარე პროცესის მონაწილეებს შესაძლებლობა ეძლევათ, დააყენონ საკითხი, რომ ამ პროცესში გამოყენებული ნორმა არღვევს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. ამ საკითხს განიხილავს საკონსტიტუციო საბჭო სახელმწიფო საბჭოს ან საკასაციო სასამართლოს წარდგინებით. მაშასადამე, იქმნება შემდგომი საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა, რაც ნაკლებად დამახასიათებელია ფრანგული მოდელისათვის. 62-ე მუხლის მიხედვით, საკონსტიტუციო საბჭოს მიერ 61–1 მუხლის საფუძველზე არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა ძალას კარგავს საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების ან ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული მომენტიდან. საკონსტიტუციო საბჭო ასევე ადგენს იმ წინაპირობებსა და ფარგლებს, რისი გათვალისწინებითაც შეიძლება მოხდეს არაკონსტიტუციური ნორმით გამოწვეული შედეგების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება, ანუ რამდენად და რა პირობებითაა შესაძლებელი ამ ნორმის საფუძველზე მიღებული/გამოცემული სასამართლო გადაწყვეტილებებისა და სამართლებრივი აქტების უკუძალით გადახედვა.

---

<sup>160</sup> მაგ.: Sommermann, GG, Art. 20, Rn. 243.

# თავი V. სამართლებრივი სახელმწიფო და სხვა კონსტიტუციური პრინციპები

## 1. სამართლებრივი სახელმწიფოსა და სხვა კონსტიტუციური პრინციპების ურთიერთმიმართების დადგენის მნიშვნელობა

თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია ფასეულობათა ერთიან სისტემას ქმნის. ამ სისტემის ცენტრალური ღირებულება თავისუფალი და ღირსეული ადამიანია. მის დაცვაზე უნდა კონცენტრირდეს მთელი კონსტიტუციური წესრიგი და სახელმწიფოს ძალისხმევა. ეს მიზანმიმართულება საერთო არის ყველა კონსტიტუციური პრინციპისათვის, როგორც კონსტიტუციური წესრიგის ნაწილისათვის. ცხადია, ეს მნიშვნელოვანი მსგავსება არ გამორიცხავს განსხვავებებს კონსტიტუციურ პრინციპებს შორის. სხვაგვარად არც ექნებოდა აზრი მათ ცალკე არსებობას.

საგნის ან მოვლენის უკეთ აღქმას ხელს უწყობს სხვა საგნებთან ან მოვლენებთან მისი შედარება. ეს კანონზომიერება ვრცელდება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპზეც. შეუძლებელია მასზე სრულყოფილი წარმოდგენის შექმნა, თუ მას იზოლირებულად, ერთიანი კონსტიტუციური კონტექსტიდან მოწყვეტით განვიხილავთ.<sup>161</sup>

ქვემოთ მიმოვიხილავთ სამართლებრივი სახელმწიფოს ურთიერთმიმართებას სამ ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპთან. მოკლედ გავაანალიზებთ, თუ რა დამოკიდებულება აქვს სამართლებრივ სახელმწიფოს დემოკრატიის, რესპუბლიკისა და სოციალური სახელმწიფოს პრინციპებთან.

---

<sup>161</sup> შეადარე: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 59 f.

## 2. სამართლებრივი სახელმწიფო და დემოკრატიის პრინციპი

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების დამყარებას აცხადებს საქართველოს მოქალაქეთა ურყევ ნებად. დემოკრატიას ეძღვნება კონსტიტუციის მე-3 მუხლი, რომელიც საქართველოს აცხადებს დემოკრატიულ რესპუბლიკად, ადგენს სახალხო სუვერენიტეტის პრინციპს, კრძალავს ხელისუფლების უზურპაციას და განსაზღვრავს პოლიტიკური პარტიების როლს ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებისა და განხორციელების პროცესში. დემოკრატიის პრინციპი ამით არ ამოიწურება და გამოხატულია კონსტიტუციის სხვა ნორმებშიც, მაგალითად საკომუნიკაციო ძირითად უფლებებში.

დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი *უმრავლესობის პრინციპია*. დემოკრატიულ სახელმწიფოში გადანყვეტილებებს უმრავლესობა იღებს, მაგრამ უმრავლესობის მიერ დემოკრატიული პროცედურების თუნდაც ზედმიწევნით დაცვით გადანყვეტილების მიღება *eo ipso* არ გულისხმობს მის სამართლიანობას.<sup>162</sup> საკონსტიტუციო სასამართლო მართებულად შენიშნავს, რომ „დემოკრატიული პროცესების ბოროტად გამოყენებით, შესაძლებელია თავად დემოკრატიულ მმართველობასა და ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპებს შეექმნას საფრთხე.“<sup>163</sup> ამიტომაც უმრავლესობის გადანყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ფორმალურ და მატერიალურ მოთხოვნებს.

დემოკრატიული პროცესი ექვემდებარება სამართლებრივსა-სახელმწიფოებრივ გაფორმებასა და ლიმიტაციას.<sup>164</sup> თავის მხრივ,

<sup>162</sup> იქვე, 68.

<sup>163</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის N3/3/600 გადანყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-37.

<sup>164</sup> Benda, *Der soziale Rechtsstaat*, 719 (723); Schmidt R., *Staatsorganisationsrecht sowie Grundzüge des Verfassungsprozessrechts*, 7. Auflage, Gras-

სამართალს სჭირდება დემოკრატიული ლეგიტიმაცია.<sup>165</sup> ამით მა-  
ლდება სამართლის სისტემის ავტორიტეტი, იზრდება საზოგადო-  
ების მხრიდან სამართლის მიმღებლობის ხარისხი და მისი მოქმე-  
დების ეფექტიანობა.<sup>166</sup> თუნდაც მხოლოდ ეს გარემოება მკაფიოდ  
მეტყველებს იმ მოსაზრების საფუძვლიანობაზე, რომ დემოკრატი-  
ისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს შორის მჭიდრო  
ურთიერთკავშირია.<sup>167</sup>

სამართლებრივსახელმწიფოებრივი ლიმიტაციისა და დემოკ-  
რატიული ლეგიტიმაციის ცენტრალური საერთო ფასეულობა თა-  
ვისუფლებაა.<sup>168</sup> სამართლებრივსახელმწიფოებრივი ლიმიტაცია,  
პირველ რიგში, მიზნად ისახავს თავისუფლების გარანტირებას და  
მის დაცვას გადამეტებული შეზღუდვებისაგან. დემოკრატიული  
ლეგიტიმაცია თავისუფლების, კონკრეტულად კი – ნების თავისუ-  
ფალი გამონატვის შედეგია. სახელმწიფოსათვის ორივე სასიცო-  
ცხლოდ აუცილებელია, რათა ის არ გადაგვარდეს დიქტატურად.<sup>169</sup>

სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის პრინციპე-  
ბის ფუნდამენტურ მნიშვნელობასა და ურთიერთკავშირს უსვამს

---

berg bei Bremen 2007, 31; Schmidt-Aßmann, Rechtsstaat, 541 (598); Stern,  
Rechtsstaat, 12; Stern, Staatsrecht I, 870.

<sup>165</sup> Benda, Der soziale Rechtsstaat, 719 (721); Stern, Rechtsstaat, 11.

<sup>166</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 68 f.

<sup>167</sup> Gärditz K. F., Kommentar zum Art. 20 GG, in: Friauf, Karl Heinrich/Höf-  
ling, Wolfram (Hrsg.): Berliner Kommentar zum Grundgesetz, Band 2, Berlin  
seit 2000, Rn. 216; Hesse, Der Rechtsstaat im Verfassungssystem, 557 (583);  
Karpen, Die geschichtliche Entwicklung, 55; Radbruch G., Gesetzliches Un-  
recht und übergesetzliches Recht (1946), Baden-Baden 2002, 17; Scheuner,  
Die neuere Entwicklung, 461 (468); Schmidt-Aßmann, Rechtsstaat, 541 (598);  
Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 225; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 480;  
Stern K., Grundgesetz in Gefahr? – Verfassungsprobleme nach 25 Jahren  
Bundesrepublik Deutschland, in: Stern, Klaus/Siekman, Helmut (Hrsg.), Der  
Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge, Köln/Berlin/  
Bonn/München 1992, 38 (43).

<sup>168</sup> Hesse, Der Rechtsstaat im Verfassungssystem, 557 (583 f.); Klein, Staat-  
liches Gewaltmonopol, 635 (642); Schmidt-Aßmann, Rechtsstaat, 541 (598).

<sup>169</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 69.

ხაზს საკონსტიტუციო სასამართლო. ისინი არა მხოლოდ უმნიშვნელოვანესია კონსტიტუციურ პრინციპებს შორის, არამედ ქმნის პრაქტიკულად ყველა კონსტიტუციური ნორმისა და პრინციპის საფუძველს. ამ საფუძველზეა დაყრდნობილი კონსტიტუციური წყობა. საკონსტიტუციო სასამართლო ამხვილებს ყურადღებას სახელმწიფო ხელისუფლების დამაბალანსებელ ფუნქციაზე, რაც ახასიათებს სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის პრინციპებს: „...ისინი ავალდებულებენ ხელისუფლებას, შეიზღუდოს კონსტიტუციური წყობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ხელისუფლების არც ერთ შტოს არა აქვს უფლება, იმოქმედოს მხოლოდ მიზანშეწონილობის, პოლიტიკური აუცილებლობის ან სხვა მოტივაციის საფუძველზე. ხელისუფლება უნდა ეყრდნობოდეს კონსტიტუციას, კანონს და მთლიანად სამართალს. მხოლოდ ასე იქმნება სამართლიანი მართლწესრიგი, რომლის გარეშეც ვერ შედგება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო.“<sup>170</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოსათვის სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიისათვის საერთო ფუნდამენტური ფასეულობა ძირითადი უფლებებია. ძირითადი უფლებების, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლის, აღიარებასა და შესაბამისად, ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპს, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს ელემენტია, საკონსტიტუციო სასამართლო ასევე მჭიდროდ აკავშირებს დემოკრატიის პრინციპთან.<sup>171</sup>

ურთიერთკავშირი არ გამოორიცხავს გარკვეულ დაპირისპირებებს ამ ორ ფუნდამენტურ პრინციპს შორის.<sup>172</sup> ეს განსაკუთრებით

<sup>170</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

<sup>171</sup> დანვრილებით იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-5.

<sup>172</sup> Stern, Verfassungsprobleme, 38 (43).

მკაფიოდ იკვეთება საკონსტიტუციო კონტროლის კონტექსტში. საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა უმეტესობას შეუძლია შინაარსობრივად არაკონსტიტუციური კანონის გაუქმება, თუნდაც ის ყველა ფორმალური დემოკრატიული წესის დაცვით იყოს მიღებული. ამ შემთხვევაში კონსტიტუციის უზენაესობას აქვს უპირატესობა პარლამენტის უზენაესობის მიმართ. ზედაპირული შეფასებით, ეს ზღუდავს დემოკრატიის პრინციპს, მაგრამ ეს ხდება დემოკრატიისვე ინტერესებში. ზოგადად, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი და მისი ელემენტები ხშირად თამაშობს დემოკრატიისათვის ერთგვარი „აღვირის“ როლს, აბალანსებს მას, რათა არ განიცადოს რადიკალიზაცია და არ გადაგვარდეს უმრავლესობის თვითნებობად.<sup>173</sup> ამგვარ რადიკალიზაციას მოაქვს კატასტროფული შედეგები თავისუფლებისათვის.<sup>174</sup> სამართლებრივ-სახელმწიფოებრივად დაუბალანსებელი უმრავლესობა იწყებს დემოკრატიული სისტემის დემონტაჟს, რადგანაც ის სხვაგვარად ვერ დარჩება უმრავლესობად და თავიდან ვერ აიცილებს პასუხისმგებლობას განხორციელებული თვითნებობისათვის. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი ხელს უწყობს დემოკრატიის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას<sup>175</sup> იმით, რომ მას ანონანსორებს, აფორმებს და ასტაბილურებს.<sup>176</sup>

### **3. სამართლებრივი სახელმწიფო და რესპუბლიკის პრინციპი**

რესპუბლიკის პრინციპის ვიწრო და ფორმალური გაგება გულისხმობს უარს ნებისმიერი სახის მონარქიაზე.<sup>177</sup> რესპუბლიკის

<sup>173</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 69.

<sup>174</sup> Karpen, Die geschichtliche Entwicklung, 55; Scheuner, Die neuere Entwicklung, 461 (468).

<sup>175</sup> Gärditz, GG, Art. 20, Rn. 216.

<sup>176</sup> Hesse, Der Rechtsstaat im Verfassungssystem, 557 (586).

<sup>177</sup> Dreier H. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG (Republik), in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band. 2, 2. Auflage, Tübingen 2006, Rn. 17;

მნიშვნელობის ამ ჩარჩოში მოქცევა შორსაა ამ ფუძემდებლური კონსტიტუციური პრინციპის ნამდვილი არსისაგან. თუ რესპუბლიკის ფორმალური გაგებით შემოვიფარგლებით, ამ კატეგორიის ქვეშ მოიყრის თავს, ერთი მხრივ, დასავლეთის დემოკრატიული და თავისუფალი სახელმწიფოები, ხოლო მეორე მხრივ, ისლამური, დემოკრატიული და სახალხო რესპუბლიკების მთელი სპექტრი, რომელიც ტერმინის „რესპუბლიკა“ პოტენციალის სათავისოდ გამოყენებას ცდილობს.<sup>178</sup>

რესპუბლიკის პრინციპი სახელმწიფოთა ზემოთ დასახელებულ ჯგუფებს უფრო ჰყოფს, ვიდრე აერთიანებს, რადგანაც ის მნიშვნელოვნად მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ მონარქიაზე უარის თქმაა.<sup>179</sup> რესპუბლიკა მკაფიოდ უარყოფს ინდივიდუალური<sup>180</sup> ან ჯგუფური ძალაუფლების<sup>181</sup> ნებისმიერ ფორმას, რომელსაც აქვს მეტაფიზიკური, იდეოლოგიური ან სხვა მსგავსად არადემოკრატიული საფუძველი.<sup>182</sup> რესპუბლიკის პრინციპთან შეუთავსებელია ასევე თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული სისტემა, სადაც ლიდერის პიროვნება და თანამდებობა ერთმანეთთან „შეზრდილია“, ხოლო მისი ძალაუფლება დროში ლიმიტირებული არ არის.<sup>183</sup>

---

Karl-Michael Reineck: Allgemeine Staatslehre und Deutsches Staatsrecht, 15. überarbeitete Auflage, Hamburg 2007, 270.

<sup>178</sup> იქვე, Rn. 13.

<sup>179</sup> Henke W., Die Republik, in: Isensee, Josef/Kirchhof, Paul (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band I, Grundlagen von Staat und Verfassung, 2., unveränderte Auflage, Heidelberg 1995, 863 (867).

<sup>180</sup> იქვე, 863 (874).

<sup>181</sup> იქვე, 863 (868).

<sup>182</sup> შეადარე: Gröschner R., Die Republik, in: Isensee, Josef/Kirchhof, Paul (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band II, Verfassungsstaat, 3., völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, Heidelberg 2004, 369 (402); Henke, Republik, 863 (873).

<sup>183</sup> Klein E., Der republikanische Gedanke in Deutschland. Einige historische und aktuelle Überlegungen, in: Die Öffentliche Verwaltung, Heft 18, September 2009, 741 (744); Henke, Republik, 863 (878).

რესპუბლიკის პრინციპი შეიძლება დაარღვიოს არა მხოლოდ მისმა პირდაპირმა, „გულწრფელმა“ ხელყოფამ პოზიტიური სამართლით, არამედ იმგვარმა მდგომარეობაც, როდესაც ერთი შეხედვით, ფორმალურად სახელმწიფოს რესპუბლიკური მმართველობის ფორმა შენარჩუნებულია, თუმცა რეალურად ის ძალიან შორსაა რესპუბლიკისაგან. ამის მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ ისეთი „მონარქიული რესპუბლიკები“, სადაც შეუზღუდავი ძალაუფლება ფაქტობრივად მემკვიდრეობით გადაეცემა ან სადაც რეალური არაფორმალური მმართველი სულაც არ იწუხებს თავს რაიმე თანამდებობის დაკავებით და მასთან დაკავშირებული თუნდაც ფორმალური პასუხისმგებლობის აღებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული რესპუბლიკის პრინციპი უნდა განიმარტოს ფართოდ, როგორც დემოკრატიული ლეგიტიმაციის არმქონე ინდივიდუალური თუ ჯგუფური ძალაუფლების ნებისმიერი ფორმის მკაფიო აკრძალვა. რესპუბლიკის პრინციპს არღვევს როგორც ღვთისაგან კურთხეული მონარქის, ასევე პროლეტარიატის დიქტატურის განმახორციელებელი საბჭოს, ფალსიფიცირებული არჩევნებით არჩეული პრეზიდენტის, სახელმწიფოს არაფორმალური მმართველის ან სხვა მსგავსი დემოკრატიული ლეგიტიმაციის არმქონე სუბიექტების ბატონობა.<sup>184</sup>

რესპუბლიკის იდეა არ შემოიფარგლება მხოლოდ აკრძალვით. მატერიალური გაგებით ის გულისხმობს თავისუფალ და საყოველთაო კეთილდღეობაზე ორიენტირებულ პოლიტიკურ წყობილებას.<sup>185</sup> ამგვარ გაგებას ზუსტად და კომპაქტურად ასახავს სიტყვის „რესპუბლიკა“ გერმანული სინონიმი – „Freistaat“ (თავისუფალი სახელმწიფო),<sup>186</sup> რომლის მსგავსი ტერმინიც, სამწუხაროდ, ქართულში არ არსებობს.

<sup>184</sup> შეადარე: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 73.

<sup>185</sup> Dreier, GG, Art. 20 (Republik), Rn. 20.

<sup>186</sup> Dreier, იქვე, Rn. 15; Gröschner, Republik, 369 (372 f.); Klein, Der republikanische Gedanke, 741 (743).

რესპუბლიკა არა წესრიგისაგან თავისუფალი პოლიტიკური წყობილება, არამედ კონსტიტუციურ წესრიგში მოქცეული თავისუფლებაა.<sup>187</sup> ის გულისხმობს მტკიცე კავშირს თავისუფლებასა და წესრიგს შორის.<sup>188</sup> ე. წ. „რესპუბლიკური ოპტიუმის ფორმულა“ უარყოფს როგორც წესრიგის უარმყოფელ თავისუფლებას – ანარქიას, ასევე თავისუფლების უარმყოფელ წესრიგს – ტოტალიტარიზმს. აქედან გამომდინარე, რესპუბლიკა არა მხოლოდ ანტიდესპოტური, არამედ ანტიტოტალიტარული და ანტიანარქიულიცაა.<sup>189</sup> სამართლებრივი სახელმწიფოც მსგავსი მიზნისაკენ ისწრაფვის – ოპტიმალური და ზომიერი შუალედისაკენ თავისუფლებასა და სამართლებრივ წესრიგს შორის.<sup>190</sup>

როგორც აღვნიშნეთ, რესპუბლიკა თავისუფალი და დემოკრატიული წესწყობილების სინონიმია. სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა მხოლოდ ასეთ გარემოშია რეალიზებადი.<sup>191</sup> თავის მხრივ, რესპუბლიკისათვის აუცილებელია, რომ სახელმწიფო-სახელისუფლებო ურთიერთობამ სამართლებრივი ურთიერთობის ფორმა მიიღოს. მხოლოდ სამართლებრივი ურთიერთობა იძლევა იმის დოგმატურ-სტრუქტურულ გარანტიას, რომ არ განხორციელდება ძალაუფლება ამ სიტყვის პირველადი, დესპოტური მნიშვნელობით.<sup>192</sup>

საგულისხმოა ტერმინის „რესპუბლიკა“ ეტიმოლოგია. ლათინურიდან „**res publica**“ ითარგმნება, როგორც „საზოგადებრივი საქმე“. ციცერონის<sup>193</sup> მიხედვით, „**res publica**“, როგორც „**res populi**“, ორიენტირებულია საყოველთაო კეთილდღეობაზე.<sup>194</sup>

<sup>187</sup> Gröschner, Republik, 369 (407).

<sup>188</sup> იქვე, 369 (411).

<sup>189</sup> იქვე, 369 (412, 415).

<sup>190</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 74.

<sup>191</sup> იქვე.

<sup>192</sup> Gröschner, Republik, 369 (414).

<sup>193</sup> რომის რესპუბლიკის ცნობილი პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე, ორატორი, ფილოსოფოსი და მწერალი (ძვ. წ. 106 – ძვ. წ. 43).

<sup>194</sup> Gröschner, Republik, 369 (385).

რესპუბლიკის პრინციპისათვის დამახასიათებელი საყოველთაო კეთილდღეობაზე ორიენტირება ამდიდრებს სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ სახელმწიფო ხელისუფლების კანონით და სამართლით შეზღუდვასა და სასამართლო კონტროლს.<sup>195</sup> რესპუბლიკა იცავს სამართალს აბსტრაქტული წესების არაჰუმანურ სისტემად გადაგვარებისა და ფარული ძალაუფლების მქონე ადამიანების ხელში საიდუმლო მმართველობის იარაღად გადაქცევისაგან.<sup>196</sup>

რესპუბლიკის პრინციპი, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მსგავსად, ხელს უშლის დემოკრატიის უმრავლესობის ტირანიად გარდაქმნას. რესპუბლიკა ისევე აქცევს უმრავლესობის ტირანიას ჩარჩოებში, როგორც დემოკრატია – უმცირესობის ტირანიას.<sup>197</sup> მაგალითად, მესამე რაიხში ე. წ. „უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ კანონი<sup>198</sup> პარლამენტმა, ერთი შეხედვით, დემოკრატიული წესების დაცვით, უმრავლესობით მიიღო. ამ კანონით პარლამენტმა თავისი საკანონმდებლო უფლებამოსილება მთავრობას გადაულოცა და მას თვითნებური კანონშემოქმედების შეუზღუდავი და უკონტროლო სივრცე მიანიჭა. თანამედროვე გადმოსახედიდან, მსგავსი კანონის მიღება არღვევს არა მხოლოდ სამართლებრივი სახელმწიფოს, არამედ რესპუბლიკის პრინციპსაც.

რესპუბლიკის პრინციპი იცავს სახელმწიფოს იდეოლოგიური გადატვირთვისგან და ამით გარკვეულწილად ავსებს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მოქმედებას, რომელიც ძირითადად სამართლის სფეროსაკენ არის მიმართული.<sup>199</sup> სწორედ სახელმწი-

<sup>195</sup> იქვე, 369 (426).

<sup>196</sup> Henke, Republik, 863 (883).

<sup>197</sup> Klein, Der republikanische Gedanke, 741 (744 f.).

<sup>198</sup> იგულისხმება კანონი „რაიხისა და ხალხის გაჭირვების დაძლევის შესახებ“, რომელიც 1933 წლის 23 მარტს რაიხსტაგმა მიიღო რაიხსკანცლერ ადოლფ ჰიტლერის ინიციატივით. ამ კანონით მთავრობამ მიიღო უფლებამოსლება, გამოეცა კანონები რაიხსტაგისა და რაიხსრატის თანხმობის, ასევე რაიხის პრეზიდენტის კონტრასიგნაციის გარეშე.

<sup>199</sup> Henke, Republik, 863 (883).

ფოსა და სამართლის საკუთარ ინტერესებსა და იდეოლოგიაზე მორგება ახასიათებს არადემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმების უმრავლესობას. ამის მკაფიო მაგალითებია საბჭოთა კავშირი და მესამე რაიხი. ორივე რეჟიმმა ხელისუფლების უზურპაცია განახორციელა იდეოლოგიური საფუძვლებით. მიუხედავად იდეოლოგიური განსხვავებებისა, მათ შორის იყო მრავალი მსგავსება სახელმწიფო მოწყობისა და სამართლის სისტემის საკუთარ იდეოლოგიურ წარმოდგენებზე მორგების კუთხით.

რესპუბლიკის და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არ გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფო მმართველობის მონარქიული ფორმის პირობებში სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელია. ამის ნათელი მაგალითია ევროპაში არსებული კონსტიტუციური მონარქიები – დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, ბელგია, დანია, ესპანეთი და ა. შ. თეორიაში ვხვდებით ფრთხილ მოსაზრებასაც, რომ ისეთი სისტემები, როგორც მაგალითად დიდი ბრიტანეთია, არა მხოლოდ მონარქიას, არამედ რესპუბლიკასაც განასახიერებს.<sup>200</sup> ეს პოზიცია უსაფუძვლო ნამდვილად არ არის, რადგანაც კონსტიტუციურ მონარქიაში მონარქი მხოლოდ სიმბოლურ ფუნქციას ატარებს და რეალური ძალაუფლება მას არ ეკუთვნის. ამ სახელმწიფოებისათვის უცხოა ძალაუფლების კონცენტრაცია ერთი პირის ხელში.<sup>201</sup> მართალია, „საპარლამენტო მონარქიები“ ფორმალურად რესპუბლიკებს არ წარმოადგენენ, მაგრამ ისინი გაცილებით „რესპუბლიკურები“ არიან, ვიდრე ის რესპუბლიკები, სადაც ხელისუფლება მიტაცებულია. ისეთი „დინასტიური“ რესპუბლიკები, როგორცაა ჩრდილოეთ კორეა, უფრო „მონარქიულია“, ვიდრე ევროპის ფორმალური მონარქიები.<sup>202</sup>

<sup>200</sup> Doehring K., *Allgemeine Staatslehre. Eine systematische Darstellung*, 3., neu bearbeitete Auflage, Heidelberg 2004, 134.

<sup>201</sup> შეადარე: Reineck K.-M., *Allgemeine Staatslehre und Deutsches Staatsrecht*, 15. überarbeitete Auflage, Hamburg 2007, 270.

<sup>202</sup> Loladze, *Rechtsstaatsprinzip*, 75.

## 4. სამართლებრივი სახელმწიფო და სოციალური სახელმწიფოს პრინციპი

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა ერთიან კონტექსტში ახსენებს სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებას, როგორც საქართველოს მოქალაქეთა ურყევ ნებას. ეს პრინციპები განიხილება არა როგორც ალტერნაცია, არამედ საუბარია მათ ერთდროულ დამკვიდრებაზე.<sup>203</sup> 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ კონსტიტუციაში შემოიტანა მე-5 მუხლი – სოციალური სახელმწიფო, რომელშიც ზოგადი დეკლარაციის გარდა, რომ საქართველო სოციალური სახელმწიფოა,<sup>204</sup> თავმოყრილია სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები სოციალურ სფეროში. მაგალითად, სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე.<sup>205</sup> გარდა ამისა, სოციალური სახელმწიფოს პრინციპს უკავშირდება კონსტიტუციით გარანტირებული სოციალური უფლებები, მაგალითად – შრომის თავისუფლება.<sup>206</sup> ამრიგად, სოციალური სახელმწიფო გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ დეკლარაციული და პროგრამული დებულება, რომელიც სახელმწიფოს კონკრეტულად არაფერს ავალდებულებს.<sup>207</sup>

სოციალური სახელმწიფოს იდეა სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციაზე გვიან გაჩნდა. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღებაა გამახვილებული რამოდენიმე

<sup>203</sup> იქვე, 60.

<sup>204</sup> მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>205</sup> მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>206</sup> 26-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>207</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნევრების – ქეთევან ერემადის და ბესარიონ ზოიძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს N1/2/434 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, 9.

სოციალური ხასიათის ნორმაზე, რომლებსაც შეიცავდა ისტორიული აქტები – თავისუფლებათა დიდი ქარტია (1215), ვირჯინიის უფლებათა ბილი (1776), ე. ნ. „პაულსკირხეს კონსტიტუცია“ (1849) და გერმანიის იმპერიის კონსტიტუცია (1871).<sup>208</sup> სოციალური შინაარსის გარანტიები საკონსტიტუციო დონეზე პირველად საფრანგეთის რესპუბლიკის 1793 წლის კონსტიტუციაში აისახა.<sup>209</sup>

ტერმინი „სოციალური სახელმწიფო“ მე-19 საუკუნიდან გამოიყენება.<sup>210</sup> ის სხვადასხვა სახელმწიფოების კონსტიტუციებში გაცილებით გვიან – მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დამკვიდრდა.<sup>211</sup> დასავლეთის მრავალი განვითარებული სახელმწიფოსათვის სოციალური სახელმწიფოს შექმნა და საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფა მთავარ მიზნად იქცა. ამ მიზნის მიღწევის გზაზე შთამბეჭდავი წარმატებებიც თვალსაჩინოა. სოციალური სახელმწიფოს მოთხოვნები ასევე აღიარებულია საერთაშორისო დონეზე არაერთი აქტით.<sup>212</sup>

სოციალურ საკითხს ფორმალურად წამყვანი მნიშვნელობა ჰქონდა ე. ნ. „სოციალისტური ბანაკის“ ქვეყნებისათვის. ამ საკითხზე მუდმივი და გადაჭარბებული აპელირებით ისინი ირგებდნენ ხალხზე

<sup>208</sup> Zacher H. F., Das soziale Staatsziel, in: Isensee, Josef/Kirchhof, Paul (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band II, Verfassungsstaat, 3. völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, Heidelberg 2004, 659 (667).

<sup>209</sup> ლოლაძე ბ., სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, გეგენავა დიმიტრი (რედ.), კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, ნიგნი I, თბილისი 2018, 73 (73).

<sup>210</sup> დანვრილებით იხ.: Forsthoff E., Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968, 165 (171, 173); Huber, Rechtsstaat und Sozialstaat, 589 (596 f.); Stern K., Das Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, in: Stern, Klaus/Siekman, Helmut (Hrsg.), Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge, Köln/Berlin/Bonn/München 1992, 1036 (1046); Stern, Staatsrecht I, 868; Zacher, Das soziale Staatsziel, 659 (674).

<sup>211</sup> დანვრილებით იხ.: ლოლაძე, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, 73 (74); Zacher, Das soziale Staatsziel, 659 (668).

<sup>212</sup> დანვრილებით იხ.: ლოლაძე, იქვე, 73 (74–75).

გამუდმებით მზრუნველის ყალბ იმიჯს. გარდა ამისა, სოციალურ თემატიკაზე აქცენტირებით უკანა პლანზე გადადიოდა ინდივიდუალური თავისუფლებისა და ძირითადი უფლებების პრობლემატიკა,<sup>213</sup> რომელთა დაცვაც ნამდვილად არ იყო სოციალისტური სახელმწიფოების ძლიერი მხარე. სწორედ თავისუფლებისა და ძირითადი უფლებების პატივისცემა განაპირობებს იმას, რომ „სოციალური სახელმწიფო“ გულისხმობს თავისუფალ სოციალურ სახელმწიფოს და არა ტოტალიტარულ სოციალისტურ სახელმწიფოს.<sup>214</sup>

ე. ნ. სოციალისტური სისტემა, რომლის პირობებშიც საქართველომ 70 წლის განმავლობაში იძულებით იარსება, მიმართული იყო ინდივიდუალური თავისუფლების დათრგუნვაზე. თავისუფლებისა და თვითნიციატივის გამოვლინების თითქმის ყველა ფორმა არასასურველი და ზოგჯერ დასჯადიც კი იყო. ეს სისტემა, სხვა ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპებთან ერთად, უარყოფდა სამართლებრივი სახელმწიფოს „ბურჟუაზიულ“ პრინციპს. აშკარა იყო კონფლიქტი სოციალისტურ სახელმწიფოს, სადაც სახელმწიფო და საზოგადოება ერთ მთლიანობას წარმოადგენდა და სამართლებრივ სახელმწიფოს შორის.<sup>215</sup>

სოციალური სახელმწიფოს აქტივობები, სოციალისტური სახელმწიფოსაგან განსხვავებით, ხორციელდება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ფარგლებში.<sup>216</sup> პირველ რიგში, ეს გულისხმობს სამართლებრივი სახელმწიფოს ყველა მოთხოვნის პატივისცემასა და დაცვას.<sup>217</sup> მაგალითად, კანონმდებელს სოცია-

<sup>213</sup> ლოლაძე ბ., სოციალური სახელმწიფო – საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის? კორკელია კონსტანტინე (რედ.), „ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები“, თბილისი 2012, 104 (113); Loladze, Rechtsstaatsprinzip, 61.

<sup>214</sup> Zacher, Das soziale Staatsziel, 659 (732).

<sup>215</sup> იქვე, 659 (729).

<sup>216</sup> იქვე, 659 (730).

<sup>217</sup> Gärditz, GG, Art. 20, Rn. 224; Gerber, Sozialstaatsklausel, 340 (408); Karpen, Die geschichtliche Entwicklung, 110; Scheuner, Die neuere Entwicklung, 461 (507).

ლური სახელმწიფოს მიზნების განხორციელებისას თავისუფალი მოქმედების ფართო სფერო აქვს, მაგრამ მან ეს პროცესი უნდა წარმართოს კონსტიტუციის საზღვრებში.<sup>218</sup> მართებულად აღნიშნავენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, სოციალური სახელმწიფო, რომელმაც სამართლებრივი სახელმწიფოს გზიდან გადაუხვია, აუცილებლად დიქტატურისაკენ წავა.<sup>219</sup>

სოციალური სახელმწიფო გულისხმობს სოციალურ უსაფრთხოებას, ღირსეულ არსებობას, საერთო ეკონომიკურ წონასწორობას, საყოველთაო კეთილდღეობას, თანასწორობასა და სოციალურ სამართლიანობას.<sup>220</sup> მისი ყველა მოთხოვნის სრული მოცულობით რეალიზება ფაქტობრივად შეუძლებელია. ეს მსოფლიოში ეკონომიკურად ყველაზე ძლიერ სახელმწიფოებსაც არ ძალუძთ. აქედან გამომდინარეობს, რომ დასახელებული მიზნები სახელმწიფოს მუდმივი ამოცანა და ზრუნვის საგანი უნდა იყოს.<sup>221</sup>

სოციალური სახელმწიფოს ახასიათებენ, როგორც გათანაბრებისა და განაწილების სახელმწიფოს.<sup>222</sup> ეს თემა განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს. გათანაბრებისა და განაწილების

<sup>218</sup> ლოლაძე, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, 73 (80); Sachs, GG, Art. 20, Rn. 48; BVerfGE 100, 271 (284).

<sup>219</sup> Kägi W., Zur Entwicklung des schweizerischen Rechtsstaates seit 1848, in: Hundert Jahre schweizerisches Recht, Jubiläumsgabe der Zeitschrift für schweizerisches Recht, Centenarium 1852–1952, Basel 1952, 222.

<sup>220</sup> Bachof, Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates, 201 (253); Benda E., Menschenwürde und Persönlichkeitsrecht, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, 161 (164); Zacher, Das soziale Staatsziel, 659 (678); საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის N2/1–392 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-20; N1/2/434 განსხვავებული აზრი, 9.

<sup>221</sup> შეადარე მაგ.: N2/1–392 გადაწყვეტილება, II-20; N1/2/434 განსხვავებული აზრი, 9.

<sup>222</sup> Zacher, Das soziale Staatsziel, 659 (709).

დროს დაუშვებელია გარკვეული ზღვარის გადალახვა. სახელმწიფომ ადამიანური ბუნებით განპირობებული მრავალფეროვნება არ უნდა მოაქციოს ერთ ფორმაში, რაც გამოიწვევს საზოგადოებრივი განვითარების სტაგნაციას ყველა მიმართულებით.<sup>223</sup> თავისუფალი სოციალური სახელმწიფო მოქმედებს *საკუთარი პასუხისმგებლობის* ფუნდამენტური ფორმულის მიხედვით. ყველა სრულწლოვან და ქმედუნარიან ადამიანს აქვს შესაძლებლობა და ამასთანავე, პასუხისმგებლობა, არჩინოს საკუთარი თავი და ოჯახი. სოციალურმა სახელმწიფომ ეს პასუხისმგებლობა კი არ უნდა გააუქმოს, არამედ უნდა გააძლიეროს.<sup>224</sup> საკუთარი პასუხისმგებლობის ფორმულა აბალანსებს, ერთი მხრივ, სახელმწიფოს სოციალურ მიზანს და მეორე მხრივ, ადამიანის ღირსებას, თანასწორობასა და თავისუფლებას.<sup>225</sup>

სოციალურ თანასწორობას ფარდობითი ხასიათი აქვს, რაც განპირობებულია სხვადასხვა ინდივიდთა განსხვავებული შესაძლებლობებით.<sup>226</sup> აქედან გამომდინარე, მისწრაფება უნივერსალური, ტოტალური, წარმატების ან შედეგის თანასწორობისაკენ მცდარია, უპერსპექტივოა და იწვევს თავისუფალი საზოგადოების დემონტაჟს.<sup>227</sup> მსგავსი მცდელობები ახდენს სოციალური სახელმწიფოს იდეის დისკრედიტაციას, სოციალური პარაზიტიზმის სტიმულირებას და აფერხებს პროგრესს.<sup>228</sup>

სოციალური სახელმწიფოს მიზანი ვერ იქნება ეგალიტარული საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელშიც ინდივიდუალური თავ-

<sup>223</sup> ლოლაძე, სოციალური სახელმწიფო, 104 (114); Loladze, Rechtsstaatsprinzip, 62.

<sup>224</sup> Zacher, Das soziale Staatsziel, 659 (680, 716 f.).

<sup>225</sup> იქვე.

<sup>226</sup> იქვე, 659 (690).

<sup>227</sup> შეადარე: იქვე, 659 (689 f.).

<sup>228</sup> შეადარე: ლოლაძე, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, 73 (85); Karpen, Die geschichtliche Entwicklung, 125.

ვისუფლება სრულად ან ნაწილობრივ გაუფასურებულია.<sup>229</sup> საკონსტიტუციო სასამართლო მართებულად აცხადებს, რომ თანასწორობის მიზანი არ არის ყველა პირსა თუ პირთა ჯგუფს შორის უნივერსალური თანასწორობის მიღწევა და მათი ერთ სიბრტყეში ნიველირება.<sup>230</sup> სოციალური სახელმწიფო გულისხმობს კავშირს თანასწორობასა და თავისუფლებას შორის და არა თავისუფლების ნაცვლად თანასწორობის არჩევას.<sup>231</sup>

თეორიაში გავრცელებული მოსაზრებით, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, შანსებისა და სანცისი პოზიციების თანასწორობას მოითხოვს.<sup>232</sup> ამ მოსაზრებას იზიარებს საკონსტიტუციო სასამართლო. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში გასაჩივრებული იყო „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მცირე სანარმოების პირდაპირი მიყიდვის წესით, შეღავათიან პირობებში პრივატიზებას მათში დასაქმებულ პირებზე. ეს ნორმა მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. საქართველოში მსგავსი პროცედურა უკვე მოქმედებდა 1990-იან წლებში, მაგრამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებამ რესპუბლიკაში სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესი

<sup>229</sup> Herzog R. (Bearb.), Die Verfassungsentscheidung für die Sozialstaatlichkeit, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958, Rn. 47.

<sup>230</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის N2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე „რუსეთის მოქალაქეები – ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები – მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-39.

<sup>231</sup> ლოლაძე, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, 73 (85); Herzog, GG, Art. 20 (Die Verfassungsentscheidung für die Sozialstaatlichkeit), Rn. 48; Karpen, Die geschichtliche Entwicklung, 119; Zacher, Das soziale Staatsziel, 659 (730).

<sup>232</sup> მაგ.: Bogs, Das Problem der Freiheit, 509 (516 f.).

არ განახორციელა. გასაჩივრებული ნორმა, სასტარტო პირობების თვალსაზრისით, ათანაბრებდა ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დასაქმებულ პირთა ამ სოციალურად მონყვლად ჯგუფს საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მცოხვრებ მსგავს ჯგუფთან. ამგვარი გათანაბრება საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია სოციალურად მნიშვნელოვნად და სამართლიანად.<sup>233</sup>

სამართლებრივი სახელმნიფო თავისუფლებას იცავს და თავს იკავებს მისი შეზღუდვისაგან, ხოლო სოციალური სახელმნიფო უფრო აქტიურ მოქმედებასთან ასოცირდება.<sup>234</sup> საკამათო არ არის, რომ სახელმნიფომ უნდა იმოქმედოს სოციალური მიზნების მისაღწევად. გაცილებით მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ და რა სტანდარტების დაცვით უნდა განახორციელოს მან შესაბამისი აქტივობები. ამ კითხვაზე ამომწურავი და ცალსახა პასუხის გაცემა შეუძლებელია რადგანაც არ არსებობს სოციალური სახელმნიფოს დამკვიდრების წინასწარ განერილი, დეტალური გეგმა. სოციალური მიზნების მისაღწევად მოქმედების ფორმისა და შინაარსის განსაზღვრისას სახელმნიფო ფართო დისკრეციით სარგებლობს,<sup>235</sup> თუმცა თავისუფალი მოქმედების არეალი უკიდევანო არ არის. საკონსტიტუციო სასამართლო გვთავაზობს საინტერესო და გონივრულ ფორმულას – სახელმნიფომ უნდა გააკეთოს მაქსიმუმი სულ ცოტა მინიმუმის მიღწევისათვის: „...ყოველი სახელმნიფო ვალდებულია არსებული რესურსების ფარგლებში მოსახლეობის სოციალური უფლებების დასაცავად მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავდეს, რათა ამ უფლებათა დაცვის, სულ მცირე, მინიმალურად აუცილებელი დონე მაინც რომ უზრუნველყოს.“<sup>236</sup> ამ პო-

<sup>233</sup> N2/1–392 გადაწყვეტილება, II-10, 11.

<sup>234</sup> Hesse, *Der Rechtsstaat im Verfassungssystem*, 557 (566).

<sup>235</sup> შეადარე მაგ.: N2/1–392 გადაწყვეტილება, II-7, 20; N1/2/434 განსხვავებული აზრი, 9.

<sup>236</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის N1/1/126, 129, 158 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები

ზიციის ჩამოყალიბებიდან რამოდენიმე თვის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ სოციალური უფლებების დაცვის მინიმუმს მიაკუთვნა მოსახლეობის ნაწილის, რომელსაც არ შეეძლო ელექტროენერჯის საფასურის გადახდა, სახელმწიფოს მიერ სუბსიდირება. მან აქვე განაცხადა, რომ სოციალური სახელმწიფო ვალდებულია, საკუთარ თავზე აიღოს არასტაბილური ეკონომიკის ნეგატიური შედეგები.<sup>237</sup> სუბსიდირების ნაწილში მიდგომა სწორია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ელექტროენერჯით, როგორც ელემენტარული და საბაზისო სიკეთით, სარგებლობის შესაძლებლობა, მით უმეტეს 21-ე საუკუნეში, ადამიანის ღირსეული საარსებო მინიმუმის ნაწილია. არაგონივრულია სახელმწიფოსათვის არასტაბილური ეკონომიკის ნეგატიური შედეგების გამოსწორების ფაქტობრივად ყოვლისმომცველი პოზიტიური ვალდებულების დაკისრება. ეს აშკარად სცდება „მინიმალურად აუცილებელი დონის“ უზრუნველყოფის ფარგლებს და ქმნის სახელმწიფოსათვის ისეთი მაქსიმალისტური პრეტენზიების წაყენების საფუძველს, რომელთა დაკმაყოფილებაც ობიექტურად შეიძლება აჭარბებდეს მის შესაძლებლობებს.<sup>238</sup>

სოციალური სახელმწიფოს მოთხოვნების მინიმალურ დონეზე დაკმაყოფილებაც კი დიდადაა დამოკიდებული მის ეკონომიკურ სიძლიერეზე. მდიდარ სახელმწიფოთა ნაწილი დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს სრულად ან მნიშვნე-

---

– (1) ბაჭუა გაჩეჩილაძე, სიმონ თურვანდიშვილი, შოთა ბუაძე, სოლომონ სანადირაძე და ლევან ქვაცხაია, (2) ვლადიმერ დობორჯგინიძე, ნინელი ანდრიძე, გურამ დემეტრაშვილი და შოთა პაპიაშვილი, (3) გივი დონაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, IV.

<sup>237</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბერის N1/3/136 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ“, 8.

<sup>238</sup> ლოლაძე, სოციალური სახელმწიფო, 104 (117); Loladze, Rechtsstaatsprinzip, 64; ლოლაძე, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, 73 (81).

ლოვანნილად უარყოფს, თუმცა ახერხებს მოქალაქეთა მატერიალური კეთილდღეობისა და სოციალური გარანტიების გაცილებით უკეთ უზრუნველყოფას, ვიდრე ის სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოები, რომლებსაც შედარებით სუსტი ეკონომიკები აქვთ. სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით მოსაზრებას, რომ ისეთი ქვეყანა, როგორც კატარია, მართალია, არ არის სამართლებრივი სახელმწიფო, მაგრამ შეიძლება ჩაითვალოს სოციალურ სახელმწიფოდ.<sup>239</sup> ეს პოზიცია ყურადღების მიღმა ტოვებს იმ გარემოებას, რომ სოციალური უზრუნველყოფა ამ ტიპის სახელმწიფოებსა და სოციალურ სახელმწიფოებში სხვადასხვა მოტივებითაა განპირობებული.<sup>240</sup> სოციალური სახელმწიფოს მიზანი თავისუფალი, სოციალურად გარანტირებული და მატერიალურად შეძლებული საზოგადოების ფორმირებაა. არადემოკრატიული რეჟიმისათვის ამგვარი საზოგადოების არსებობა მიუღებელია და რისკებს უკავშირდება. მის სოციალურ აქტივობებს სხვა მოტივაცია წარმართავს – ძალაუფლების შენარჩუნება და განმტკიცება. თუ რეჟიმს აქვს საკმარისი მატერიალური რესურსი, მისთვის გაცილებით გონივრულია ამ მიზნის მიღწევა არა ძალისმიერი, არამედ რბილი საშუალებებით. მის სტაბილურობას უფრო „კმაყოფილი საზოგადოება“ უზრუნველყოფს, ვიდრე „დაშინებული საზოგადოება“. აქედან გამომდინარე, მდიდარ არადემოკრატიულ რეჟიმებში მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა ხელისუფალთა კეთილი ნებისა და „თაფლაკვერის პოლიტიკის“ შედეგია. ისინი ამ პოლიტიკის გატარებისას არაფრით იზღუდავენ თავს, მათ შორის არც სამართლებრივი სახელმწიფოს სტანდარტებით. ეს გარემოებები გამორიცხავს თუნდაც ზღაპრულად მდიდარი არასამართლებრივი სახელმწიფოს სოციალურ სახელმწიფოდ აღიარებას.<sup>241</sup> თანამედროვე სამყაროში სოციალური სახელმწი-

<sup>239</sup> Buchwald, *Prinzipien des Rechtsstaats*, 272.

<sup>240</sup> ლოლაძე, სოციალური სახელმწიფო, 104 (118).

<sup>241</sup> ლოლაძე, იქვე, 104 (118–119); Loladze, *Rechtsstaatsprinzip*, 64 f.

ფოს არსებობა გონივრული და შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის, იმავდროულად, სამართლებრივი სახელმწიფოცაა.<sup>242</sup>

არსებობს სახელმწიფოები, რომლებსაც ეკონომიკური პრობლემების გამო, ობიექტურად უჭირთ თავიანთი მოქალაქეების სათანადო სოციალური უზრუნველყოფა, თუმცა აკმაყოფილებენ დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების სტანდარტებს. ისინი შეიძლება მივაკუთვნოთ სოციალურ სახელმწიფოთა ჯგუფს იმ პირობით, რომ მათ მიერ შესაძლებლობის ფარგლებში განხორციელებული სოციალური ღონისძიებები მიმართულია ადამიანის თავისუფალი და ღირსეული ყოფის უზრუნველყოფისაკენ. ამდენად, მთავარია არა საბოლოო შედეგი და წარმატება, არამედ სახელმწიფოს მოქმედების არსი და მიზანი.<sup>243</sup>

თავისუფლებას სოციალურ სახელმწიფოსთან კავშირში ხშირად ახსენებენ. ის ასრულებს ცენტრალური საერთო ფასეულობის როლს სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს შორის.<sup>244</sup> სამართლებრივი სახელმწიფო თავისუფლებას სამართლებრივი საშუალებებით განამტკიცებს, ხოლო სოციალური სახელმწიფო კი იცავს მას ეკონომიკური და ეგზისტენციალური თვალსაზრისით.<sup>245</sup> ამ მოცემულობას ადექვატურად გამოხატავს ფორმულა – თავისუფლება დაცულობაში.<sup>246</sup>

ადამიანის თავისუფლების სრულყოფილ სურათს, თავისუფალ, დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოსთან

<sup>242</sup> Huber, Rechtsstaat und Sozialstaat, 589 (617).

<sup>243</sup> ლოლაძე, სოციალური სახელმწიფო, 104 (119); Loladze, Rechtsstaatsprinzip, 65.

<sup>244</sup> ლოლაძე, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, 73 (88); Schachtschneider, Prinzipien, 57.

<sup>245</sup> Hesse, Der Rechtsstaat im Verfassungssystem, 557 (568, 576); Huber, Rechtsstaat und Sozialstaat, 589 (615 ff.); Schnapp, GG, Art. 20, Rn. 37; Gröschner R. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG (Sozialstaat), in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 2. Auflage, Tübingen 2006, Rn. 59; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 112 ff.

<sup>246</sup> Stern, Das Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, 1036 (1047).

ერთად, სოციალური ინტეგრაცია და ლეგიტიმაცია ქმნის.<sup>247</sup> სოციალური სახელმწიფოს მთავარი მიზანი, სამართლებრივი სახელმწიფოს მსგავსად, თავისუფლებაა.<sup>248</sup> ის ადამიანს ეკონომიკურად და სოციალურად უფრო დაცულსა და შესაბამისად, თავისუფლებაუნარიანს ხდის თავისუფლების დამაზიანებელი სოციალური ფაქტორების შემსუბუქებით ან განეიტრალებით.<sup>249</sup> თავისუფლების „ვერტიკალურ კონცეფციას“ ემატება და ავსებს საზოგადოებრივი მთლიანობის სოციალური დავალების „ჰორიზონტალური კონცეფცია“.<sup>250</sup> თავისუფლების იმპერატივს განავრცობს სოციალური პასუხისმგებლობის იმპერატივი.<sup>251</sup>

სოციალურმა სახელმწიფომ მაშინ უნდა იმოქმედოს აქტიურად, როდესაც ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის სუსტი მატერიალური მდგომარეობა რაოდენობრიობის ისეთ მასშტაბს აღწევს, რომ ის ხარისხობრიობაში გადაიზრდება და სახიფათო ხდება ღირსებისა და თავისუფლებისათვის. თავისუფალი სოციალური სახელმწიფოს ზემოთ მოყვანილი ფუნდამენტური ფორმულის დარღვევა ამგვარ შედეგს იწვევს.<sup>252</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით შეხედულებას, რომელიც ერთმანეთისაგან მიჯნავს სამართლებრივი სახელმწიფოსა და სოციალური სახელმწიფოს პრინციპების მიზნებს. ამ მოსაზრების მხედვით, სამართლებრივი სახელმწიფო უზრუნველყოფს ინდივიდუალურ თავისუფლებას, ხოლო სოციალური სახელმწიფო – საყოველთაო კეთილდღეობას.<sup>253</sup> აქ მნიშვნელოვანია გაირკვეს, თუ რა იგულისხმება „საყოველთაო კეთილდღეობაში“. აღნიშნული

<sup>247</sup> Zacher, *Das soziale Staatsziel*, 659 (677).

<sup>248</sup> N1/2/434 განსხვავებული აზრი, 9.

<sup>249</sup> შეადარე: ლოლაძე, *სოციალური სახელმწიფო*, 104 (120); Loladze, *Rechtsstaatsprinzip*, 65.

<sup>250</sup> Zacher, *Das soziale Staatsziel*, 659 (690).

<sup>251</sup> Bogs, *Das Problem der Freiheit*, 509 (515).

<sup>252</sup> Loladze, *Rechtsstaatsprinzip*, 66.

<sup>253</sup> Huber, *Rechtsstaat und Sozialstaat*, 589 (589 f.).

შეხედულება მართებულია მხოლოდ იმ პირობით, თუ „საყოველთაო კეთილდღეობას“ გავიგებთ ვინ როდ, როგორც საზოგადოების წევრთა ცხოვრების მაღალ დონესა და მყარ სოციალურ მდგომარეობას. ამგვარი გაგება დამაკნინებელია, რადგანაც ადამიანს წარმოაჩენს მხოლოდ კომფორტის მოყვარულ და მომხმარებელ არსებად და აიგნორირებს იმას, რომ ის, პირველ რიგში, თავისუფალი და ღირსეული ინდივიდია.<sup>254</sup>

სოციალურ სახელმწიფოს ახასიათებენ, როგორც სახელმწიფოს, რომელიც უზრუნველყოფს, თანამონაწილეობს და ანაწილებს. ის არ ტოვებს ინდივიდს მარტო მისი მძიმე სოციალური მდგომარეობის პირისპირ და ეხმარება მას გარკვეული ბენეფიტების მინიჭებით. აქედან გამომდინარე, სოციალური სახელმწიფოს მთავარ მიზნებად თვლიან პოზიტიურ უზრუნველყოფას და თანამონაწილეობას.<sup>255</sup> ეს პოზიცია გვიქმნის წარმოდგენას იმაზე, თუ რა და როგორ უნდა განახორციელოს სოციალურმა სახელმწიფომ, მაგრამ არაფერს გვეუბნება მისი აქტივობის მიზანმიმართულებასთან დაკავშირებით. უზრუნველყოფა და თანამონაწილეობა სოციალური სახელმწიფოს მიზნები ვერ იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სოციალურ სახელმწიფოდ ჩაითვლება ნებისმიერი მდიდარი არადემოკრატიული რეჟიმი, რომელსაც შეუძლია ამ მიზნების რეალიზაცია. კონსტიტუციურ ღირებულებათა თანამედროვე წესრიგის ცენტრში დგას არა „მაძლარი ადამიანი“, არამედ „თავისუფალი ადამიანი“, რომლის თავისუფლებაც დაცულია სხვადასხვა, მათ შორის სოციალური, საფრთხეებისაგან.<sup>256</sup>

სოციალური ღონისძიებების დაფინანსება, როგორც წესი, ბიუჯეტიდან ხდება. ცხადია, ამისათვის საჭირო თანხა უნდა მოაკ-

<sup>254</sup> შეადარე: ლოლაძე, სოციალური სახელმწიფო, 104 (120–121); Loladze, Rechtsstaatsprinzip, 66.

<sup>255</sup> Forsthoff, Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates, 165 (178 f.).

<sup>256</sup> შეადარე: ლოლაძე, სოციალური სახელმწიფო, 104 (121); Loladze, Rechtsstaatsprinzip, 66.

ლდეს სხვა მიმართულებებს. აქედან გამომდინარე, სოციალური ღონისძიებების განხორციელება უკავშირდება საზოგადოების ერთი ნაწილის შესაძლებლობების ზრდას მეორე ნაწილის ხარჯზე. საზოგადოების ნაწილისათვის შესაძლებლობების შემცირება იწვევს მისი თავისუფალი მოქმედების არელის შეზღუდვას, თუმცა ამ მოცემულობის საფუძველზე ვერ დავასკვნით, რომ სოციალური სახელმწიფოს მიზანი ადამიანის თავისუფლების უზრუნველყოფა არ არის.<sup>257</sup> მართალია, თავისუფლების შეზღუდვით თავისუფლების მხარდაჭერა პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ თავისუფლება აბსოლუტურად გარანტირებული არ არის. თავისუფლება გულისხმობს გარკვეული პასუხისმგებლობის ტარებას და საზოგადოებისათვის ანგარიშის განწევის ვალდებულებას.<sup>258</sup> ის არის სოციალურად ლიმიტირებული. ეს ლიმიტაცია ემსახურება თავისუფლების ერთგვარ „განაწილებას“, სხვათა თავისუფლების სტიმულირება-განმტკიცებას და ამ თვალსაზრისით, საზოგადოებაში წონასწორობის მიღწევას.<sup>259</sup>

სოციალურ სახელმწიფოს ახასიათებს აქტიურობა. ეს არ ქმნის იმის მტკიცების საფუძველს, რომ ამ კუთხით, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს, რომელიც ნებისმიერ სახელისუფლებო ჩარევას გამორიცხავს და უპირისპირდება.<sup>260</sup> სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი უშვებს თავისუფლების შეზღუდვას იმ გარემოებებისა და წინაპირობების დაცვით, რაც მის მიერვეა განსაზღვრული.<sup>261</sup> ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თავისუფლების

<sup>257</sup> შეადარე: Roellecke, GG, Art. 20, Rn. 182.

<sup>258</sup> Gerber, Sozialstaatsklausel, 340 (391); Schmidt-Aßmann, Rechtsstaat, 541 (597); Schnapp, GG, Art. 20, Rn. 34.

<sup>259</sup> შეადარე: ლოლაძე, სოციალური სახელმწიფო, 104 (122); Loladze, Rechtsstaatsprinzip, 67.

<sup>260</sup> Huber, Rechtsstaat und Sozialstaat, 589 (601, 607, 612, 614).

<sup>261</sup> Bogs, Das Problem der Freiheit, 509 (517).

უფლებები, მათი ობიექტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, პოზიტიურ, დაცვისა და მოქმედების ვალდებულებებს აკისრებს სახელმწიფოს. მაგალითად, სახელმწიფომ არა მხოლოდ თავი უნდა შეიკავოს ადამიანის ფიზიკურ ხელშეუხებლობაში არაკონსტიტუციური ჩარევისაგან, არამედ უნდა უზრუნველყოს მისი სათანადო დაცვა ხელყოფისაგან. ამასთან, ვერ გამოვრიცხავთ სამართლებრივ და სოციალურ სახელმწიფოებს შორის გარკვეულ დისტანცირებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სოციალური მიზნების მისაღწევად ბრძანება ან იძულება გამოიყენება.<sup>262</sup> ეს დისტანცია არ უნდა გაიზარდოს იმდენად, რომ სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს პრინციპებმა სანინააღმდეგო პოზიციები დაიკავეს.<sup>263</sup>

მოკლე შეჯამების სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს პრინციპები, მართალია, განსხვავებული, მაგრამ თავისუფალი კონსტიტუციური წესრიგის ორი აუცილებელი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და სულაც, ერთმანეთზე დამოკიდებული ნაწილია.<sup>264</sup> სამართლებრივი სახელმწიფო მოითხოვს სოციალური აქტივობის სამართლის ფორმაში მოქცევას.<sup>265</sup> არც სამართლებრივი სახელმწიფო უნდა მოსწყდეს სოციალურ კონტექსტს და არც სოციალური მიზნების განხორციელებამ უნდა შეაჩეროს ცალკეული ინდივიდების თავისუფალი განვითარება. ამ ორ პრინციპს შორის საჭიროა თანხმობა და ბალანსი და არავითარ შემთხვევაში დაყოფა, დაპირისპირება ან იერარქიზაცია.<sup>266</sup>

<sup>262</sup> Bachof, *Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates*, 201 (213).

<sup>263</sup> Loladze, *Rechtsstaatsprinzip*, 67.

<sup>264</sup> Zacher, *Das soziale Staatsziel*, 659 (660 f, 720, 737).

<sup>265</sup> იქვე, 659 (713).

<sup>266</sup> ლოლაძე, *სოციალური სახელმწიფოს პრინციპი*, 73 (89); Bachof, *Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates*, 201 (208, 211); Bogs, *Das Problem der Freiheit*, 509 (517); Dreier H. (Bearb.), *Kommentar zum Art. 20 GG (Einführung)*,

## თავი VI.

### ძირითადი უფლებებით შეზღუდვა

#### 1. ძირითადი უფლებებით შეზღუდვა, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ელემენტი

თეორიაში განსხვავებულ მოსაზრებებს ვხვდებით იმასთან დაკავშირებით, რამდენად არის ძირითადი უფლებებით შეზღუდვა სამართლებრივი სახელმწიფოს ელემენტი. ავტორთა უმრავლესობა ძირითადი უფლებების გარანტირებას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის თავისუფლებას სხვადასხვა სფეროებში, სამართლებრივი სახელმწიფოს ელემენტარულ ნიშნად მიიჩნევს.<sup>267</sup>

---

in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band 2, 2. Auflage, Tübingen 2006, Rn. 12; Fechner E., Freiheit und Zwang im sozialen Rechtsstaat, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968, 73 (80, 93 f.); Herzog, GG, Art. 20 (Die Verfassungsentscheidung für die Sozialstaatlichkeit), Rn. 31; Herzog R. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, Art. 20 im Gefüge des GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958, Rn. 36; Huber, Rechtsstaat und Sozialstaat, 589 (590, 603, 614 f., 618); Schnapp, GG, Art. 20, Rn. 34; Stern, Staatsrecht I, 785, 868 f; BVerfGE 6, 32 (41).

<sup>267</sup> შეადარე მაგ.: ლოლაძე, ფირცხალაშვილი, ძირითადი უფლებები, 80; ლოლაძე, კონსტიტუციონალიზმის ძირითადი პრინციპები, 31 (37); Bachof, Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates, 201 (202); Benda, Der soziale Rechtsstaat, 719 (739); Denninger, „Rechtsstaat“ oder „Rule of law“, 41 (50); Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 24; Ipsen, Über das Grundgesetz, 16 (22); Karpen, Die geschichtliche Entwicklung, 20; Kloepfer, Verfassungsrecht I, 300, 302; Mastronardi P., Verfassungslehre. Allgemeines Staatsrecht als Lehre vom guten und gerechten Staat, Bern/Stuttgart/Wien 2007, 283 f.; Robbers, BK, Art. 20, Rn. 1738, 1806; Roellecke G., Der Zustand des Rechtsstaates, in: Badura, Peter/Roellecke, Gerd (Mitarb.): Der Zustand des Rechtsstaates. Ein Cappenberges Gespräch, Köln 1986, 27 (32); Schachtschneider, Prinzipien, 16, 25; Schmidt-Aßmann, Rechtsstaat, 541 (544); Schnapp, Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung der Republik Polen, 171 (173, 180); Schnapp, GG, Art. 20, Rn. 27; Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 35, 39; Stern, Rechtsstaat, 7, 16; Zippelius R., Würtenberger T., Maunz T. (Begr.), Deutsches Staatsrecht. Ein Studienbuch, 32. Auflage, München 2008, 106.

სამართლებრივი სახელმწიფოს კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის ღირსებას,<sup>268</sup> თავისუფლებას და თანასწორობას კანონის წინაშე.<sup>269</sup>

არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, სამართლებრივი სახელმწიფოს მსგავსად, ძირითადი უფლებების პრინციპიც მიეკუთვნება.<sup>270</sup> ამით გამოირიცხება ძირითადი უფლებების დამოუკიდებელი ფუნდამენტური პრინციპის ელემენტის სახით მიკუთვნება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპისათვის.<sup>271</sup> ამასთან, ეს პოზიცია ყურადღების მიღმა არ ტოვებს კონსტიტუციური პრინციპების ურთიერთდამოკიდებულებას და ხაზს უსვამს, რომ ძირითადი უფლებების პრინციპი მონაწილეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის შინაარსის განსაზღვრაში.<sup>272</sup>

სამართლებრივი ვერ იქნება სახელმწიფო, რომელიც არ იბოჭება ძირითადი უფლებებით. ძირითადი უფლებებით შეზღუდვა არის სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ერთ-ერთი ცენტრალური მოთხოვნა.<sup>273</sup> სწორედ ძირითადი უფლებები ქმნის სამართლებრივ წესრიგს ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობისათვის.<sup>274</sup> სამართლებრივი სახელმწიფოს თემის ძირითადი უფლებებისაგან იზოლირება ყურადღების მიღმა დატოვებს მის უმთავრეს მიზანს – თავისუფლებას, რადგანაც ეს უფლებები იცავს ადამიანის თავისუფლების ყველაზე მნიშვნელოვან სფე-

<sup>268</sup> Bachof, *Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates*, 201 (203); Sachs, GG, Art. 20, Rn. 77; Schmidt-Aßmann, *Rechtsstaat*, 541 (544).

<sup>269</sup> Bachof, *Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates*, 201 (202); Fechner, *Freiheit und Zwang*, 73 (75); Stern, *Staatsrecht I*, 784.

<sup>270</sup> Sobota, *Das Prinzip Rechtsstaat*, 429.

<sup>271</sup> იქვე, 444 ff., 485 f.

<sup>272</sup> იქვე, 451, 486.

<sup>273</sup> Schachtschneider, *Prinzipien*, 16.

<sup>274</sup> Stern, *Staatsrecht I*, 784.

როებს. ამასთან, ძირითადი უფლებების ეფექტიანი და სრულყოფილი დაცვა მხოლოდ სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებშია მიღწევადი. თუ ხელისუფლება გათავისუფლდება ისეთი ქმედითი დამაბალანსებელი საშუალებისაგან, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპია, ძირითადი უფლებები გადაიქცევა მონყვლად და შინაარსისაგან დაცვილ დეკლარაციებად.<sup>275</sup>

ხშირად სამართლებრივ სახელმწიფოს ფაქტობრივად აიგივებენ ე. წ. „კანონების სახელმწიფოსთან“. სამართლებრივ სახელმწიფოს „კანონების სახელმწიფოსაგან“ არსებითად განასხვავებს ძირითადი უფლებები, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი და ადამიანის ღირსების, როგორც უზენაესი სამართლებრივი ფასეულობის, აღიარება.<sup>276</sup> „კანონების სახელმწიფოსათვის“ დამახასიათებელია კანონის უზენაესობის საფარქვეშ ძირითადი უფლებების ცინიკური ხელყოფა.

## **2. ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპის წარმოშობა და მისი ასახვა საქართველოს კონსტიტუციაში**

ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპი თავდაპირველად სრული მასშტაბით აშშ-ში ამოქმედდა. იქ ძირითადი უფლებები თავიდანვე ბოჭავდა ხელისუფლების ყველა შტოს, საკანონმდებლო ხელისუფლების ჩათვლით.<sup>277</sup> ეს პროცესი შედარებით რთულად წარიმართა სხვა ქვეყნებში. მაგალითად, გერმანიაში მე-20 საუკუნის შუახანებამდე მიმდინარეობდა პოლემიკა ძირითადი

<sup>275</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 52.

<sup>276</sup> Bachof, Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates, 201 (203).

<sup>277</sup> Stern K., Das Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland, Band III – Allgemeine Lehren der Grundrechte, Halbband 1 – Grundlagen und Geschichte, nationaler und internationaler Grundrechtskonstitutionalismus, juristische Bedeutung der Grundrechte, Grundrechtsberechtigte, Grundrechtsverpflichtete, München 1988, 1253.

უფლებების ნორმატიულ ძალასთან და ხელისუფლებაზე მზლუდავ მოქმედებასთან დაკავშირებით.<sup>278</sup> მის დასრულებასა და ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპის დამკვიდრებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებულმა უმძიმესმა გამოცდილებამ.

დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებთან შედარებით, კიდევ უფრო გაჭიანურდა ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპის დამკვიდრება პოსტსოციალისტური და პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფოებში. აქ გაბატონებული იდეოლოგიისათვის კატეგორიულად მიუღებელი იყო არადემკრატიული რეჟიმის შეზღუდვა ინდივიდუალური თავისუფლებით. მისთვის ადამიანი წარმოადგენდა მიზნის მიღწევის ინსტრუმენტს და არა მთავარი ღირებულებას. საბჭოთა კონსტიტუციები ფორმალურად ითვალისწინებდა თითქმის ყველა ცნობილ და საყოველთაოდ აღიარებულ უფლებას, მაგრამ დასავლური ტიპის კონსტიტუციებით გარანტირებული უფლებებისაგან განსხვავებით, ამ უფლებებს არ ჰქონდა სახელმწიფო ხელისუფლების შემზღუდველი ძალა.<sup>279</sup>

პოსტსოციალისტური და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ნაწილში დემოკრატიული და სამართლებრივსახელმწიფოებრივი პროცესები წარმატებით წარიმართა. მეორე ნაწილში, რომელსაც საქართველოც მიეკუთვნება, ვხვდებით სხვადასხვა მასშტაბის ჩამორჩენას ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპის დაცვის კუთხით. ამის ძირითად მიზეზად ასახელებენ სასამართლო ხელისუფლების პასიურობასა და შეზღუდულ კომპეტენციას.<sup>280</sup> სასამა-

<sup>278</sup> Höfling W., Die Grundrechtsbindung der Staatsgewalt, in: Juristische Arbeitsblätter, 1995, 431 (431 f.); Stern, Staatsrecht III/1, 1177 ff.

<sup>279</sup> ლოლაძე ბ., აღმასრულებელი ხელისუფლების შეზღუდვა ძირითადი უფლებებით, კორკელია კონსტანტინე (რედ.), „ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა“, თბილისი 2018, გვ. 175 (175).

<sup>280</sup> Dreier H. (Bearb.), Kommentar zum Art. 1 Abs. 3 GG (Grundrechtsbindung), in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band 1, 3. Auflage, Tübingen 2013, Rn. 25.

რთლო მართლაც მთავარ როლს ასრულებს ძირითადი უფლებებით შეზღუდვის დამკვიდრებაში. ამასთან, ეს გარემოება პასუხისმგებლობას არ ხსნის ხელისუფლების სხვა შტოებს, რომლებიც ასევე უნდა იბოჭებოდნენ ძირითადი უფლებებით.

ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპი საქართველოში პირველად აისახა 1995 წლის კონსტიტუციის მე-7 მუხლში შემდეგი რედაქციით: „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც ნარუევალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.“ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ ეს ფორმულირება უცვლელად გადაიტანა კონსტიტუციის მე-4 მუხლის (სამართლებრივი სახელმწიფო) მე-2 პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებაში. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ საქართველოს კონსტიტუცია ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპს სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ელემენტად აღიარებს.

ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპს ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში. სასამართლო თვლის, რომ ძირითადი უფლებების პრიორიტეტსა და პატივისცემას ეფუძნება ფასეულობათა კონსტიტუციური სისტემა.<sup>281</sup> ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპი გულისხმობს ადამიანის, როგორც უმაღლესი ფასეულობისა და მისი უფლებების აღიარებას.<sup>282</sup> ის განსაზღვრავს სახელმწიფოსა და ადამიანს შორის ურთიერთობის შინაარსს.<sup>283</sup> საკონსტიტუციო

<sup>281</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის N2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

<sup>282</sup> N1/4/592 გადაწყვეტილება, II-15.

<sup>283</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელე-

სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას უპირობოდაა შეზღუდული ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი.<sup>284</sup> ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპი ანიჭებს ძირითად უფლებებს ნამდვილ ძალას და იცავს პირს სახელმწიფო თვითნებობისაგან.<sup>285</sup> მის გარეშე ძირითად უფლებებს მხოლოდ დეკლარაციული მნიშვნელობა ექნებოდა, ადამიანები დარჩებოდნენ საკონსტიტუციოსამართლებრივი დაცვის საშუალებების გარეშე და სახელმწიფო მიიღებდა უფლებათა უგულებელყოფის შეზღუდავ შესაძლებლობებს.<sup>286</sup>

### **3. ძირითადი უფლებები, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი**

ტერმინი „უშუალოდ მოქმედი სამართალი“ ნიშნავს, რომ კონსტიტუციაში პოზიტივირებულ ძირითად უფლებებს აქვს ნორმატიული ხასიათი და სავალდებულო ძალა.<sup>287</sup> ისინი, როგორც კონსტიტუციის უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე ნორმები, უშუალოდ მოქმედებს სახელმწიფო ხელისუფლებაზე. ამ კუთხით, ძირითადი უფლებებით შეზღუდვა უკავშირდება კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპს.<sup>288</sup>

---

იშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

<sup>284</sup> N1/4/592 გადანყვეტილება, II-70.

<sup>285</sup> N2/2-389 გადანყვეტილება, II-5.

<sup>286</sup> იქვე.

<sup>287</sup> Höfling W. (Bearb.), Kommentar zum Art. 1 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, München 2011, Rn. 80; Starck C. (Bearb.), Kommentar zum Art. 1 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010, Rn. 167.

<sup>288</sup> იზორია, კორკელია, კუბლაშვილი ხუბუა, კომენტარები, 5; Dreier, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 1; Herdegen M. (Bearb.), Kommentar zum Art. 1 Abs. 3 GG,

ძირითადი უფლებების, როგორც „უშუალოდ მოქმედი სამართლის“ საკონსტიტუციო აღიარება გულისხმობს, რომ ისინი არ წარმოადგენენ უბრალო პროგრამულ დანაწესებს, რომელთა შეზღუდვისას თუ ნორმატიული გაფორმებისას კანონმდებელი სრული თავისუფლებით ისარგებლებდა.<sup>289</sup> ძირითადი უფლებები პირდაპირ მოქმედი, გამოყენებადი და განხორციელებადი სამართალია,<sup>290</sup> რომელიც საკანონმდებლო ხელისუფლებასაც იმპერატიულ ჩარჩოებში აქცევს. ძირითადი უფლებები ზემოქმედებს სახელმწიფოზე პირდაპირ და არა კანონმდებლის მიერ შექმნილი მიმდინარე სამართლის მეშვეობით.<sup>291</sup>

ძირითადი უფლებებით შეზღუდვა იმაში გამოიხატება, რომ ერთი მხრივ, სახელმწიფოს ეკისრება მათი დაცვის ვალდებულება, ხოლო მეორე მხრივ, პირს ენიჭება შესაძლებლობა, დაიცვას თავისი უფლებები.<sup>292</sup> ძირითადი უფლება, როგორც უშუალოდ მოქმედი ობიექტური უფლება, იმავდროულად, განამტკიცებს პირის სუბიექტურსამართლებრივ მდგომარეობას.<sup>293</sup> ძირითადი

---

in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, München seit 1958, Rn. 1; შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი 2003, 333; Stern, Staatsrecht III/1, 1198 f.

<sup>289</sup> Böckenförde E.-W., Schutzbereich, Eingriff, verfassungsimmanente Schranken, Der Staat 42 (2003), 165 (171).

<sup>290</sup> ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა N4, 2010, 51 (52); Dreier, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 32; Hofmann H. (Bearb.), Kommentar zum Art. 1 GG, in: Schmidt-Bleibtreu, Bruno/Klein, Franz (Begr.)/Hofmann, Hans/Hopauf, Axel (Hrsg.): GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, Köln 2011, Rn. 72; Jarass H. D. (Bearb.): Kommentar zum Art. 1 GG, in: Jarass, Hans D./Pieroth, Bodo: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, München 2012, Rn. 31.

<sup>291</sup> Herdegen, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 1; Kunig P. (Bearb.), Kommentar zum Art. 1 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, München 2012, Rn. 50; Stern, Staatsrecht III/1, 1195.

<sup>292</sup> მაგ.: Höfling, GG, Art. 1, Rn. 82.

<sup>293</sup> Dreier, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 35; Hofmann, GG, Art. 1, Rn. 72; Jarass,

უფლებების პოზიტივიზება თავისთავად არ ნიშნავს, რომ ისინი სუბიექტური უფლებებიც არიან. არსებობს მრავალი მაგალითი, როდესაც კონსტიტუციაში ფორმალურად ჩანერილი უფლების რეალიზაცია არ ხდებოდა ან არ ხდება. ძირითადი უფლების, როგორც სუბიექტური უფლების, რეალურ მოქმედებას უზრუნველყოფს ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპი, სასამართლო დაცვის უფლება და საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში.<sup>294</sup>

ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპი არც შეზღუდვის რაიმე კონკრეტულ ფორმას ადგენს და არც რომელიმე ძირითად უფლებას, რომლის დარღვევაზეც დამოუკიდებლად იქნებოდა შესაძლებელი დავა.<sup>295</sup> შეზღუდვის ფორმა და მასშტაბი კონკრეტულ შემთხვევაში დამოკიდებულია შესაბამისი ძირითადი უფლების დამდგენი ნორმის შინაარსზე.<sup>296</sup> გარდა ამისა, ძირითადი უფლებებით შეზღუდვას ახასიათებს სპეციფიკა მისი ადრესატების მიხედვით.<sup>297</sup> თავისებურებები აქვს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ძირითადი უფლებებით შეზღუდვას, რაზეც ქვემოთ, შესაბამის ქვეთავებში გავამახვილებთ ყურადღებას.

სამართლებრივი სახელმწიფოს თანამედროვე გაგების მიხედვით, ადამიანი უნდა იყოს დაცული არა მხოლოდ სახელმწიფოსგან,

---

GG, Art. 1, Rn. 31; Kahl W., Grundrechte, in: Depenheuer, Otto/Grabenwarter, Christoph: Verfassungstheorie, Tübingen 2010, 807 (812); Leibholz G., Rinck H.-J., Hesselberger D., Kommentar zum Art. 1 GG, in: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar an Hand der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, Band I, 6. Auflage, Köln 1975/1989, Rn. 73.

<sup>294</sup> Stern, Staatsrecht III/1, 1200 f.

<sup>295</sup> შეადარე: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის N2/1/431 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შალვა რამიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

<sup>296</sup> Dreier, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 34; Herdegen, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 10; Stern, Staatsrecht III/1, 1202.

<sup>297</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 276.

არამედ სახელმწიფოს მიერაც.<sup>298</sup> ძირითადი უფლების სუბიექტმა, შესაბამისი უფლების ტიპიდან და შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება საჯარო ხელისუფლებას მოსთხოვოს ჩარევისაგან თავის შეკავება, ჩარევის შედეგების აღმოფხვრა, დახმარების განწვევა, თანადგომა და ზოგჯერ რაიმეს შექმნაც კი.<sup>299</sup>

ძირითად უფლებები, პირველ რიგში, თავდაცვით ფუნქციას ასრულებს, რაც განპირობებულია მათი განვითარების ისტორიით.<sup>300</sup> ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით გამოირჩევა აშშ-ის კონსტიტუცია, რომელიც ორიენტირებულია სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებების დადგენაზე. ნეგატიური ვალდებულებები ეკისრება სახელმწიფოს ძირითადი უფლებების თავდაცვითი ფუნქციიდან გამომდინარე. განსხვავებულია სხვა მრავალი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, მიდგომა. საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთი უფლებიდან გამოიყვანა სახელმწიფოს არა მხოლოდ ნეგატიური, არამედ პოზიტიური ვალდებულებები. ამასთან დაკავშირებით მოვიტანთ რამოდენიმე მაგალითს. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, საკუთრების უფლების დამდგენი კონსტიტუციის ნორმა, ერთი მხრივ, იცავს საკუთრების უფლებას არაკონსტიტუციური ჩარევისაგან, ხოლო მეორე მხრივ, აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ განახორციელოს პოზიტიური მოქმედებები და

<sup>298</sup> Hesse K., Bedeutung der Grundrechte, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, 127 (140).

<sup>299</sup> დაწვრილებით იხ.: იზორია, კორკელია, კუბლაშვილი ხუბუა, კომენტარები, 13; Herdegen, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 13 ff.; Mastronardi, Verfassungslehre, 285 f.; Starck, GG, Art. 1, Rn. 173.

<sup>300</sup> მაგ.: Hesse, Bedeutung der Grundrechte, 127 (134 f.); Müller G., Schutzwirkung der Grundrechte, in: Merten, Detlef/Papier, Hans-Jürgen (Hrsg.): Handbuch der Grundrechte in Deutschland und Europa, Band VII/2, Grundrechte in der Schweiz und in Lichtenstein, § 204, Heidelberg/Zürich/St. Gallen 2007, 59 (60); Schnapp F. E., Die Grundrechtsbindung der Staatsgewalt, Juristische Schulung, 1 (1989), 1 (1).

შექმნას ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმები საკუთრების და-საცავად.<sup>301</sup> სასამართლოს განმარტებით, პირადი ცხოვრების ხელ-შეუხებლობა უზრუნველყოფილია როგორც სახელმწიფოს ნეგატი-ური ვალდებულებით, არ ჩაერიოს თვითნებურად ინდივიდის პირად ცხოვრებაში, ისე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებით, უზ-რუნველყოს პირადი ცხოვრების უფლების ეფექტიანი განხორცი-ელების შესაძლებლობა და პატივისცემა, ხელშემშლელი გარემო-ებებისა და შეზღუდვების აღკვეთა.<sup>302</sup> სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე ამახვილებს საკონსტიტუციო სასამართლო ყურა-დღებას შეკრების თავისუფლების კონტექსტშიც. ის არა მხოლოდ ვალდებულია „ხელი არ შეუშალოს მშვიდობიანი შეკრების პრო-ცესს, არამედ კონსტიტუცია ქმნის თავად ამ პროცესის მშვიდობი-ანად წარმართვის დაცვის ვალდებულებას. შეკრების მონაწილეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, სახელმწიფო ვა-ლდებულია, მიიღოს საჭირო ზომები, მათ შორის, შესაბამისი კანონ-მდებლობის შექმნისა და მისი ეფექტური იმპლემენტაციის გზით.“<sup>303</sup>

ძირითადი უფლებები სახელმწიფოს ზღუდავს არა მხოლოდ როგორც სუბიექტური უფლებები, არამედ ასევე როგორც ობი-ექტური კონსტიტუციური ფასეულობები და თავისუფალი, დემოკ-რატიული და სამართლებრივსახელმწიფოებრივი კონსტიტუცი-ური წესრიგის მნიშვნელოვანი ელემენტები.<sup>304</sup> ძირითადი უფლებები

<sup>301</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 ნოემბრის N1/5/224 გა-დანყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ანზორ თევზაია საქა-რთველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I-4; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადანყვეტილება, საქმეზე „დანაიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქისტი საქართველოს პარლამენტის წინააღ-მდეგ“, II-33.

<sup>302</sup> N1/3/407 გადანყვეტილება, II-3.

<sup>303</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის N1/3/538 გადანყვეტილება საქმეზე „პოლიტიკური გაერთიანება „თავისუ-ფალი საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8.

<sup>304</sup> Hesse, *Bedeutung der Grundrechte*, 127 (134); Stern, *Das Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland*, 1036 (1057); Stern, *Verfassungsprobleme*, 38 (42).

ადგენს ობიექტურსამართლებრივ ფუძემდებლურ გადანყვეტილებებს, ღირებულებით ორიენტირებს, დირექტივებსა და იმპულსებს სახელმწიფო ხელისუფლებისათვის.<sup>305</sup> ობიექტურსამართლებრივი ხასიათიდან გამომდინარე, ძირითადი უფლებების ფუნქცია მხოლოდ სუბიექტური დაცვით არ შემოიფარგლება. ისინი მოიცავს ინსტიტუციურ და ფასეულობათა განმსაზღვრელ ელემენტებს და ქმნის ღირებულებათა წესრიგს, რაც გავლენას ახდენს სამართლის ყველა სფეროზე, მათ შორის კერძო სამართალზეც.<sup>306</sup>

ძირითად უფლებებზე, როგორც ობიექტურ ფასეულობებზე, აპელირებენ იმ შემთხვევაში, როდესაც საკონსტიტუციო მართლმსაჯულება სცდება ძირითადი უფლებების, როგორც მხოლოდ დამცავი უფლებების, ინტერპრეტაციის საზღვრებს.<sup>307</sup> ამის მაგალითებია: სოციალური უფლებები, სახელმწიფოს მიერ ძირითადი უფლებების დაცვის ვალდებულებები,<sup>308</sup> ძირითადი უფლებების დაცვა ორგანიზაციული და საპროცესო სტანდარტების მეშვეობით,<sup>309</sup> ინსტიტუტისა და ინსტიტუციური გარანტიები.<sup>310</sup>

ძირითადი უფლებების, როგორც ობიექტური ფასეულობების, კონცეფცია სათავეს იღებს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ე. წ. „ლიუთის გადანყვეტილებიდან“ (Lüth-Urteil). ამ გადანყვეტილებაში სასამართლომ განაცხადა: „ძირითადი კანონის ძირითადი უფლებების დამდგენ ნორმებში ასევე განსხეულებულია ფასეულობათა ობიექტური წესრიგი, რომელიც მოქმედებს სამართლის ყველა სფეროში, როგორც საკონსტიტუციოსამართლებრივი ფუძემდებლური გადანყვეტილება.“<sup>311</sup>

<sup>305</sup> მაგ.: Alexy R., Grundrechte als subjektive Rechte und als objektive Normen, Der Staat 29 (1990), 49 (49); Stern, Staatsrecht III/1, 1366.

<sup>306</sup> დანვრილებით იხ.: Herdegen, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 52 ff.

<sup>307</sup> Alexy, Grundrechte, 49 (49).

<sup>308</sup> Hesse, Bedeutung der Grundrechte, 127 (149); Kahl, Grundrechte, 807 (817).

<sup>309</sup> დანვრილებით იხ.: Herdegen, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 20.

<sup>310</sup> იქვე, Rn. 18.

<sup>311</sup> BVerfGE 7, 198 (198) [ავტორის თარგმანი].

ძირითადი უფლებების ობიექტური გაგება არც საკონსტიტუციო სასამართლოსათვისაა უცხო. მისი პოზიციით, ძირითადი უფლებები უნდა განიმარტოს არა იზოლირებულად, არამედ კონსტიტუციის ფუნდამენტურ პრინციპებთან კავშირში. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გასარკვევია, თუ რამდენად შეესაბამება სადავო ნორმა კონსტიტუციურ წესრიგს და კონსტიტუციის ობიექტურ ფასეულობებს.<sup>312</sup> ძირითადი უფლებების კონსტიტუციური პრინციპების კონტექსტში ინტერპრეტაციის მიზნად სასამართლო იმას მიიჩნევს, რომ განმარტების შედეგად არ უნდა მოხდეს კონსტიტუციური ნორმების დაცემა კონსტიტუციურსამართლებრივი ღირებულებათა წესრიგისაგან.<sup>313</sup>

**N3/1/512** გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ ფაქტობრივად გაიმეორა „ლიუთის გადაწყვეტილების“ მიდგომა და მკაფიოდ გამოჰყო ძირითადი უფლებების ორმაგი ფუნქცია. მისი განმარტებით, ისინი სუბიექტური უფლებებია და ამავდროულად, ქმნიან კონსტიტუციის ფასეულობათა სისტემას.<sup>314</sup> ამაზე საკონსტიტუციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სხვადასხვა ძირითადი უფლებების კონტექსტში. მაგალითად, საკუთრების უფლების დამდგენი ნორმა მისი აზრით, „...ერთი მხრივ, წარმოადგენს კერძო საკუთრების ინსტიტუტის კონსტიტუციურსამართლებრივ გარანტიას, ხოლო, მეორე მხრივ, განამტკიცებს ძირითად უფლებას.“<sup>315</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არაერთხელ გვხვდება მითითება საკუთრების უფლების მნიშვნელობაზე დემოკრატიული

<sup>312</sup> N2/2-389 გადაწყვეტილება, II-3.

<sup>313</sup> N1/3/407 გადაწყვეტილება, II-1; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

<sup>314</sup> N3/1/512 გადაწყვეტილება, II-41.

<sup>315</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის N3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

საზოგადოებისა და სამართლებრივი, სოციალური და დემოკრატიული სახელმწიფოსათვის.<sup>316</sup> ის განსაკუთრებით გამოჰყოფს გამოხატვის თავისუფლების ობიექტურ მნიშვნელობას და მას დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელ და განუყოფელ ელემენტად აცხადებს.<sup>317</sup> „გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძველია, რადგან მის გარეშე შეუძლებელია ადამიანის თვითრეალიზაცია – გამოხატვის თავისუფლება თითოეული ადამიანის განვითარების და მთლიანად საზოგადოების პროგრესის აუცილებელი საფუძველია, სწორედ ის ქმნის საზოგადოებაში დემოკრატიული ღირებულებების გაზიარების პერსპექტივას.“<sup>318</sup> საკონსტიტუციო სასამართლო ხაზს უსვამს განათლების უფლების, როგორც სოციალური ცხოვრების განუყოფელი პროცესის, თვითგანვითარების საფუძვლისა და საზოგადოებრივი სარგებლის მომტანის, განსაკუთრებულ და სასიცოცხლო მნიშვნელობას დემოკრატიული სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის.<sup>319</sup> სასამართლოს პოზიციით, სინდისის თავისუფლება არა მარტო ადამიანის პიროვნული განვითარებისა და ავტონომიის საფუძველია, არამედ ასევე ახდენს გავლენას მთელი საზოგადოების არქიტექტურაზე და განსაზღვრავს მისი დემოკრატიზაციის დონეს. მრავალფეროვნება სინდისის თავისუფლების კუთხით დემოკრატიული საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშ-

<sup>316</sup> მაგ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის N2/1–370, 382, 390, 402, 405 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის N1/1/543 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

<sup>317</sup> N1/3/538 გადაწყვეტილება, II-1.

<sup>318</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/6/561, 568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-39.

<sup>319</sup> N2/3/540 გადაწყვეტილება, II-15–21.

ენელოვანია.<sup>320</sup> საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ობიექტურ მნიშვნელობაზეც და აცხადებს, რომ მისი დაცვა არსებით გავლენას ახდენს დემოკრატიული საზოგადოების განვითარებაზე.<sup>321</sup>

მიუხედავად ძირითადი უფლებების დიდი ობიექტური მნიშვნელობისა, თეორიაში პროორიტეტი მაინც მათ სუბიექტურსამართლებრივ მხარეს ენიჭება.<sup>322</sup> ძირითადი უფლებების, როგორც ობიექტური ფასეულობების, ფუნქცია დაქვემდებარებულ როლს ასრულებს. ის პრინციპულად აძლიერებს ძირითადი უფლებების სავალდებულო ძალას, მდგრადობასა და ინტენსივობას.<sup>323</sup> მთელი კონსტიტუციური წესრიგი, მათ შორის ძირითადი უფლებები, ორიენტირებულია ადამიანზე, მისი ღირსებისა და თავისუფლების დაცვაზე. ძირითადი უფლებებით შეზღუდვის ობიექტური და სუბიექტური ასპექტები ამ მიზნის მისაღწევად ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება და ავსებს.<sup>324</sup>

#### 4. ხელისუფლების მზლუდავი უფლებების წრე

ხელისუფლებას, პირველ რიგში, ის უფლებები და თავისუფლებები ზღუდავს, რომლებიც აღიარებული და გარანტირებულია

<sup>320</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის N1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

<sup>321</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5.

<sup>322</sup> მაგ.: Alexy, Grundrechte, 49 (60 f.); Böckenförde, Schutzbereich, 165 (166); Hesse, Bedeutung der Grundrechte, 127 (136); Starck, GG, Art. 1, Rn. 171, 181; BVerfGE 50, 290 (337).

<sup>323</sup> Dreier, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 35; Forsthoff E., Zur Problematik der Verfassungsauslegung, Stuttgart 1961, 20; Herdegen, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 14; BVerfGE 7, 198 (205).

<sup>324</sup> Hesse, Bedeutung der Grundrechte, 127 (136).

უშუალოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით – „ადამიანის ძირითადი უფლებები“. ამასთან, მეორე თავის ყველა ნორმა ძირითად უფლებას არ ადგენს. ნორმის განთავსება რომელიმე ძირითადი უფლებისადმი მიძღვნილ მუხლში არ იძლევა იმის გარანტიას, რომ მისი დარღვევის გამო შესაძლებელია მიმართვა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის. მაგალითად, კონსტიტუციის მე-17 მუხლის (აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები) მე-7 პუნქტი ადგენს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინსტიტუციურ და ფინანსურ გარანტიას და არა ძირითად უფლებას. ამ ნორმის დარღვევის შემთხვევაში, კომისია ვერ იღავებს საკონსტიტუციო სასამართლოში მისი ძირითადი უფლების ხელყოფის გამო.

2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამდე კონსტიტუციის მეორე თავი შეიცავდა მრავალ ნორმას, რომელიც ადგენდა სახელმწიფოს ამა თუ იმ მიზანს. ამგვარ მიზანს სუბიექტური ხასიათი არ აქვს და მისგან არ გამომდინარეობს ინდივიდუალური უფლება. ის კონსტიტუციით განსაზღვრული ამოცანაა, რომლის მიღწევის პროცესშიც სახელმწიფო ფართო დისკრეციით სარგებლობს.<sup>325</sup> კერძო პირი ვერ იღავებს საკონსტიტუციო სასამართლოში იმასთან დაკავშირებით, რომ დაირღვა, ცალკე აღებული, სახელმწიფოს მიზნის დამდგენი რომელიმე ნორმა. მსგავსი ნორმების კონსტიტუციის მეორე თავში განთავსება მაინც აჩენდა მცდარ მოლოდინებს. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელები თვლიდნენ, რომ დარღვეული იყო კონსტიტუციის იმჟამად მოქმედი რედაქციის 31-ე მუხლის პირველი წინადადება: „სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.“ საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა არ შეაფასა კონსტიტუციის ამ დებულებასთან მიმართებით, რადგანაც ის იყო სახელმწიფოს მიზნის და არა ძირითადი უფლე-

<sup>325</sup> დაწვრილებით იხ.: Hesse, იქვე, 127 (143 ff.).

ბის დამდგენი ნორმა.<sup>326</sup> 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, ამ და მრავალმა სხვა ნორმამ კონსტიტუციის პირველ თავში გადაინაცვლა. 31-ე მუხლის პირველი წინადადების მსგავსი ფორმულირება ამჟამად გვხვდება კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის პირველ წინადადებაში: „სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ განვითარებაზე.“

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებებიდან გამომდინარე, სახელმწიფო და ხალხი ხელისუფლების განხორციელებისას შეზღუდულია არა მხოლოდ კონსტიტუციით პირდაპირ გათვალისწინებული, არამედ საყოველთაოდ აღიარებული უფლებებითა და თავისუფლებებით. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების მბოჭავი ძირითადი უფლებების წრე გაფართოებადია.<sup>327</sup> შესაძლო გაფართოების კრიტერიუმსა და ფარგლებს ითვალისწინებს კონსტიტუციის მითითებული ნორმის მე-3 წინადადება: „კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან.“ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამდე თითქმის იგივე შინაარსის ნორმა განთავსებული იყო კონსტიტუციის მეორე თავში, კერძოდ – 39-ე მუხლში. რეფორმამ ის კონსტიტუციის პირველ თავში გადაიტანა, რაც არ იყო უბრალო ფორმალური გადაადგილება. 39-ე მუხლი, როგორც კონსტიტუციის მეორე თავის ნაწილი, მართალია ეპიზოდურ, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ქვემოთ მოკლედ შევეხოთ ამ ნორმის არსსა და ისტორიას, ასევე იმ შედეგებს, რაც გამოიწვია მისმა გადატანამ კონსტიტუციის პირველ თავში.

<sup>326</sup> N2/1–392 გადაწყვეტილება, II-20.

<sup>327</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 280.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 45-ე მუხლი ადგენდა შემდეგს: „კონსტიტუციაში ჩამოთვლილი გარანტია და უფლება არ უარყოფს სხვა გარანტიასა და უფლებას, რომელიც იქ არ არის მოხსენებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის მიერ აღიარებული პრინციპებისაგან.“ 1995 წლის კონსტიტუციის 39-ე მუხლმა თითქმის უცვლელად გაიმეორა ეს დებულება: „საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.“ დიდი ალბათობით, სწორედ 1921 წლის კონსტიტუციის გავლენით მოხვდა 39-ე მუხლი 1995 წლის კონსტიტუციის ტექსტში. მან ახალი და მნიშვნელოვანი დატვირთვა შეიძინა თანამედროვე რეალობის, განსაკუთრებით კი ძირითადი უფლებების ინტერნაციონალიზაციის გათვალისწინებით.<sup>328</sup> 39-ე მუხლი ასრულებდა ერთგვარი „კარიბჭის“ ფუნქციას საქართველოს საკონსტიტუციოსამართლებრივ სივრცეში ახალი ძირითადი უფლებების შემოტანისათვის. ეს გარემოება ამ ნორმის მართებულ ინტერპრეტაციას დიდ მნიშვნელობას სძენდა. ერთი მხრივ, ძირითადი უფლებების სუბიექტებს ნათელი წარმოდგენა უნდა შექმნოდათ თავიანთი უფლებების წრეზე, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფო ხელისუფლებას უნდა სცოდნოდა ძირითადი უფლებებით მისი შეზღუდვის საზღვრები.<sup>329</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს N1/2/458 განჩინების მიხედვით, გამოიკვეთა კონსტიტუციის 39-ე მუხლის მიზანი – უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, როდესაც ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციით, მაგრამ გამომდინარეობს მისი პრინციპებიდან და ადამიანის უფლებების სფეროში სახელ-

---

<sup>328</sup> შეადარე: იქვე, 281.

<sup>329</sup> იქვე.

მნიფოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებებიდან.<sup>330</sup> იგივე მოსაზრება გაიმეორა სასამართლომ N3/2/416 გადაწყვეტილებაში.<sup>331</sup> N1/2/458 განჩინებაში 39-ე მუხლის სხვა ფუნქციაზეც გამახვილდა ყურადღება – ეს ნორმა იმ შემთხვევებშიც იყო აქტუალური, როდესაც საერთაშორისო აქტით აღიარებული უფლების შინაარსი უფრო ფართო იყო, ვიდრე კონსტიტუციით გარანტირებული ანალოგიური ძირითადი უფლებისა.<sup>332</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა გაერკვია, რა იგულისხმებოდა „საყოველთაოდ აღიარებულ“ უფლებებსა და თავისუფლებებში, რაც არ იყო მარტივი ამოცანა. არ არსებობს საყოველთაო და სავალდებულო კონსენსუსი იმის თაობაზე, თუ რომელი უფლებები განეკუთვნება ძირითადი უფლებების კატეგორიას.<sup>333</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს ვერსიით, „საყოველთაო აღიარება“ გულისხმობს საყოველთაო და საერთაშორისო თანხმობის არსებობას ამა თუ იმ უფლებასთან, როგორც უზენაეს და წარუვალ ღირებულებასთან, დაკავშირებით.<sup>334</sup> ამ მოსაზრებას შეიძლება დავუმატოთ, რომ ამგვარი თანხმობა უნდა გამოიხატებოდეს საერთაშორისო აქტში შესაბამისი უფლების პოზიტივირებაში.<sup>335</sup> ძირითადი

<sup>330</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის N1/2/458 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“, II-22.

<sup>331</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის N3/2/416 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-66.

<sup>332</sup> N1/2/458 განჩინება, II-22.

<sup>333</sup> Hermes G., Bericht, in: Alexy, Robert/Kunig, Philip/Heun, Werner/Hermes, Georg: Verfassungsrecht und einfaches Recht, Verfassungsgerichtsbarkeit und Fachgerichtsbarkeit, VVDStRL (61), Berlin/New York 2002, 232; Stern K., Menschenwürde als Wurzel der Menschen- und Grundrechte, in: Stern, Klaus/Siekman, Helmut (Hrsg.), Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge, Köln/Berlin/Bonn/München 1992, 219 (232).

<sup>334</sup> N1/466 გადაწყვეტილება, II-3.

<sup>335</sup> შეადარე: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 281 f.

უფლებებით შეზღუდვის წინაპირობაა მათი მკაფიო და პოზიტივირებული ფორმა, რომლიდანაც შესაძლებელია სამართლებრივად სავალდებულო შინაარსის გამოტანა.<sup>336</sup>

39-ე მუხლი უფლებების „იმპორტისათვის“ ასევე მოითხოვდა, რომ ისინი „თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.“ საკონსტიტუციო სასამართლოს N1/1/126, 129, 158 გადაწყვეტილებაში, 39-ე მუხლზე დაყრდნობით, განახორციელდა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 22-ე მუხლით<sup>337</sup> და 25-ე მუხლის პირველი პუნქტით,<sup>338</sup> ასევე ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით<sup>339</sup> გათვალისწინებული უფლებების შემოტანა სახელმწიფო ხელისუფლების მზღუდავი უფლებების წრეში. გადაწყვეტილების ამ ნაწილის არგუმენტაცია ძალიან მოკლეა და შემოიფარგლება კონსტიტუციის იმჟამი-

<sup>336</sup> Stern, Staatsrecht III/1, 1197 f.

<sup>337</sup> ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ნაციონალური მეცადინეობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და მისი პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის.

<sup>338</sup> ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში.

<sup>339</sup> წინამდებარე პაქტის თითოეული მონაწილე სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, დამოუკიდებლად და საერთაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის გზით, განსაკუთრებით, ეკონომიკურ დ ტექნიკურ სფეროში, მისთვის ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით მიიღოს ზომები ამ პაქტით აღიარებული უფლებების პროგრესულად სრული რეალიზაციისათვის ყველა სათანადო საშუალებებით, საკანონმდებლო ზომების მიღების ჩათვლით.

ნდელი რედაქციის პრეამბულის, მე-7 მუხლისა და ზემოაღნიშნულ საერთაშორისოსამართლებრივი ნორმების ციტირებით, რასაც მოსდევს დასკვნა, რომ კონსტიტუციის პრინციპებისა და საერთაშორისო აქტების საფუძველზე ეს უფლებები უნდა ვალიაოთ ძირითად უფლებებად, 39-ე მუხლის თვალსაზრისით.<sup>340</sup> ამან დიდი გავლენა მოახდინა საქმის საბოლოო შედეგზე. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ 39-ე მუხლი ირღვეოდა იმ ნორმებით, რომლებიც ვეტერანებისათვის დაწესებულ ელექტროენერჯის სატარიფო შეღავათებს ამცირებდნენ. შემცირების შედეგად ისინი იმდენად უმნიშვნელო მასშტაბებს იძენდნენ, რომ ვეღარ იქნებოდნენ განხილული მინიმალურად დასაშვებ სოციალურ შეღავათებად.<sup>341</sup> N1/1/126, 129, 158 გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული პოზიცია განმეორდა ელექტროენერჯის ტარიფების ზრდის საკითხის განხილვისას. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა, რომ ელექტროენერჯის მაღალი ტარიფის გამო, მოსახლეობის დიდ ნაწილს არ ჰქონდა ამ ელემენტარული და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სიკეთის მიღების საშუალება.<sup>342</sup> N1/2/174 გადაწყვეტილებაში მან კვლავ გამოიყენა კონსტიტუციის 39-ე მუხლი და განაცხადა, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს ყოფილი წევრების სოციალური უზრუნველყოფის უფლება სწორედ ამ ნორმით იყო დაცული.<sup>343</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკამ ერთგვარი საფუძველი შეუქმნა მცდარ აღქმას, რომ ხელისუფლების მზლუდავი ძირითადი უფლებების წრე პოტენციურად მოიცავს საერთაშორისოსამა-

<sup>340</sup> N1/1/126, 129, 158 გადაწყვეტილება, III.

<sup>341</sup> იქვე, IV.

<sup>342</sup> N1/3/136 გადაწყვეტილება, 8.

<sup>343</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 15 ოქტომბრის N1/2/174, 199 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ტრისტან ხანიშვილი, თედორე ნინიძე, ნოდარ ჭითანავა, ლევან ალექსიძე, გიორგი ქავთარაძე და სხვები (სულ 12 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I-II.

როლებრივი აქტებით გარანტირებულ ნებისმიერ უფლებას. საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ ერთ-ერთი მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო შეზღუდულია საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. აქედან გამომდინარე, მას უნდა შეემონებინა სადავო ნორმის შესაბამისობა საერთაშორისოსამართლებრივ აქტებთან.<sup>344</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა ეს მოსაზრება, რაც ფაქტობრივად გულისხმობდა მისი კომპეტენციის არაკონსტიტუციურ გაფართოებას.<sup>345</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით 39-ე მუხლთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკის კრიტიკულ შეფასებას. ჩამოყალიბებულია გარკვეული რეკომენდაციებიც.<sup>346</sup> მათ ქვემოთ მოკლედ შევხებით, რადგანაც ინარჩუნებენ აქტუალობასა და რელევანტურობას საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მე-3 წინადადების განმარტებისას.

პირველ რიგში, მცდარია ძირითადი უფლების რანგის მინიჭება საერთაშორისოსამართლებრივი ნორმით დადგენილ ნებისმიერი უფლებისათვის, რომელიც შეიძლება კონსტიტუციის რომელიმე პრინციპს დაუუკავშიროთ. ამგვარი ექსტენსიური განმარტება გამოიწვევდა კონსტიტუციის ძირითად უფლებათა კატალოგის უსაზღვრო გაფართოებას, რადგანაც უფლებათა უმრავლესობა პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება კონსტიტუციის ერთ ან რამოდენიმე პრინციპს.

კონსტიტუციით პირდაპირ გაუთვალისწინებელი სოციალური უფლების აღიარებისას მხედველობაში არის მისაღები ის ფაქტი, რომ ამ ჯგუფის უფლებათა რეალიზაცია, როგორც წესი, საბიუ-

<sup>344</sup> N2/2–389 გადაწყვეტილება, II-5.

<sup>345</sup> იქვე.

<sup>346</sup> დაწვრილებით იხ.: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 283 ff.

ჯეტო ხარჯებთანაა დაკავშირებული. სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებათა შესრულება და მისი ხარისხი ობიექტურადაა შეზღუდული მისი საფინანსო-ეკონომიკური შესაძლებლობებით. სახელმწიფოს შესაძლებლობების გადაჭარბებული აღქმა განაპირობებს ე. წ. „დეკლარირებული უფლებების“ პრობლემას, რომლის პრევენციაც რეკომენდირებულია.<sup>347</sup> გარდა ამისა, ძალიან მაღალია სახელმწიფოს სოციალური ამოცანის პოლიტიკურ-ოპორტუნისტულად გამოყენების რისკი.<sup>348</sup> ამ ფაქტორების იგნორირებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპის რეალიზაციას, რაც გამონვეული იქნება სახელმწიფოს მიერ შესაბამისი პოზიტიური ვალდებულების (ჯეროვანი) შესრულების შეუძლებლობით.

საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება არ წარმოადგენს ქართულ საკონსტიტუციო სივრცეში ახალი უფლებების შემოტანის პირველად მიზანს. უფლებათა „იმპორტის“ მთავარი მიზანი არის თავისუფალი, დემოკრატიული და სამართლებრივსახელმწიფოებრივი კონსტიტუციური წესრიგისა და მისი უმნიშვნელოვანესი ფასეულობის – ადამიანის – უკეთ დაცვა. საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება ამ კონტექსტში, მართალია, პოზიტიური და ძალიან მნიშვნელოვანია, მარგამ მაინც თანმხლები ეფექტია.

ახალი უფლების შემოტანის გზით ხდება ძირითადი უფლებების სფეროში კონსტიტუციის კონკრეტული ნაკლოვანების გამოსწორება.<sup>349</sup> ამასთან, საერთაშორისო სამართლის ნორმა ვერ ჩაანაცვლებს კონსტიტუციის რეგულირებას. მისი გამოყენება, რამოდენიმე წინაპირობის დაცვით, დასაშვებია მხოლოდ კონსტიტუციის რომელიმე ძირითადი უფლების უფრო ფართოდ განმა-

<sup>347</sup> ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი 2007, 167.

<sup>348</sup> Stern, Das Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, 1036 (1047).

<sup>349</sup> ხეცურიანი, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში, 51 (55).

რტებისათვის. საერთაშორისო სამართლის ნორმის საფუძველზე განხორციელებული ფართო ინტერპრეტაცია არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციაში გამოვლენილ ნებას და კონსტიტუციის შესაბამისი ნორმის არსს. გარდა ამისა, ფართო განმარტების აუცილებლობა უნდა გამომდინარეობდეს რომელიმე კონსტიტუციური პრინციპიდან.

ახალი უფლება თავისთავად უნდა გამომდინარეობდეს კონსტიტუციის პრინციპიდან, ე. ი. იმანენტური უნდა იყოს მისთვის. მისი იგნორირება უნდა ხელყოფდეს რომელიმე კონსტიტუციური პრინციპის არსს. მაგალითად, რომელიმე სოციალური უფლების შემოტანა დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ სხვაგვარად შეუძლებელია სოციალური უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების უზრუნველყოფა. მოსახლეობის დიდ ნაწილი, ელექტროენერჯის გაზრდილი ტარიფების პირობებში, ვეღარ სარგებლობდა ამ ელემენტარული სიკეთით. ბუნებრივია, ეს არღვევდა ღირსეული საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის ფუნდამენტურ სოციალურ-რსახელმწიფოებრივ მოთხოვნას.

2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ, გადაიტანა რა 39-ე მუხლის ტექსტი კონსტიტუციის პირველ თავში, არსებითად გაართულა ამ ნორმის პოტენციალის გამოყენება. ამ ნაბიჯის შესაძლო ნეგატიურ შედეგებთან დაკავშირებით წინასწარი პროგნოზიც გამოითქვა.<sup>350</sup> სამწუხაროდ, ეს პროგნოზი დაადასტურა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკამ. კონსტიტუციის ცვლილებების ძალაში შესვლიდან დღემდე არ ყოფილა თუნდაც ერთი შემთხვევა, როდესაც მოსარჩელემ მოითხოვა მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მე-3 წინადადებაზე დაყრდნობით არათუ ახალი უფლების შემოტანა, არამედ კონსტიტუციის მე-2 თავით გათვალისწინებული რომელიმე უფლების ფართო განმარტება.

<sup>350</sup> დანვრილებით იხ.: ლოლაძე ბ., რამდენიმე მოსაზრება საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მეორე თავში შენარჩუნების მნიშვნელობაზე, [www.emc.org.ge](http://www.emc.org.ge), 02.05.2017.

## 5. ძირითადი უფლებებით შეზღუდვის ადრესატები

### 5.1. ხალხი, როგორც ძირითადი უფლებებით შეზღუდვის ადრესატი

კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადება მკაფიოდ ასახელებს ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპის ორ ადრესატს – ხალხსა და სახელმწიფოს. კონსტიტუციის იგივე ნორმა ადგენს, რომ ორივე ადრესატი იზღუდება „ხელისუფლების განხორციელებისას“. აქედან გამომდინარე, „ხალხი“, როგორც ძირითადი უფლებებით შეზღუდვის ადრესატი, გულისხმობს ხელისუფლების წყაროს კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის<sup>351</sup> თვალსაზრისით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კონსტიტუციური ტერმინი „ხალხი“ არ არის ადამიანთა ნებისმიერი ერთობის აღმნიშვნელი. აქ იგულისხმება საქართველოს ყველა მოქალაქე, სახალხო სუვერენიტეტის მატარებელი „სახელმწიფო ხალხი“, რომელსაც აქვს დამფუძნებელი ხელისუფლება და არ არსებობს სახელმწიფო ხელისუფლების დემოკრატიული ლეგიტიმაციის სხვა წყარო.“<sup>352</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით მოსაზრებას, რომ ხალხმა თავისი ნების გამოვლენისას ძირითადი უფლებები უნდა გაითვალისწინოს.<sup>353</sup> დაისმის ლოგიკური კითხვა, თუ როგორ შეუძლია ხალხს ძალაუფლების განხორციელებისას ძირითადი უფლებების დაცვა ან დარღვევა.<sup>354</sup> კონსტიტუცია ითვალისწინებს ხალხის მიერ ძალაუფლების განხორციელების ორ

<sup>351</sup> სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი ძალაუფლებას ახორციელებს თავისი წარმომადგენლების, აგრეთვე რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით.

<sup>352</sup> N2/2–389 გადაწყვეტილება, II-4.

<sup>353</sup> იზორია, კორკელია, კუბლაშვილი ხუბუა, კომენტარები, 396.

<sup>354</sup> Phirtskhalashvili A., Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung Georgiens vom 24. August 1995, Potsdam 2010, 61.

ფორმას:<sup>355</sup> (1) ძალაუფლების განხორციელება ხალხის წარმომადგენლების მეშვეობით და 2) ძალაუფლების განხორციელება რეფერენდუმითა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებით. პირველ შემთხვევაში საქმე შეეხება წარმომადგენლობით დემოკრატიას, სადაც ხალხი უშუალოდ არ ახორციელებს ძალაუფლებას. ამ დროს ძირითადი უფლებებით შეზღუდვის ადრესატი არის არა ხალხი, არამედ მის მიერ დემოკრატიულად ლეგიტიმირებული სახელმწიფო ორგანოები ან თანამდებობის პირები. ხალხი არ იზღუდება ძირითადი უფლებებით რეფერენდუმის დროს, რადგანაც ის ვერ დაარღვევს ძირითად უფლებებს რეფერენდუმის საშუალებით. კონსტიტუცია საერთოდ კრძალავს რეფერენდუმის ჩატარებას ისეთ საკითხზე, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ძირითადი კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას.<sup>356</sup> რაც შეეხება არჩევნებს, ამ პროცესში ხალხი, ამომრჩევლები ახდენენ არა რომელიმე ძირითადი უფლების შეზღუდვას, არამედ პირიქით – საარჩევნო უფლების რეალიზაციას. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ხალხის მიერ ძირითადი უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობა ობიექტურად არ არსებობს.<sup>357</sup>

## **5.2. სახელმწიფო, როგორც ძირითადი უფლებებით შეზღუდვის ადრესატი**

უკვე აღვნიშნეთ, რომ კონსტიტუციის მიხედვით, ხალხთან ერთად, ძირითადი უფლებებით სახელმწიფოც იბოჭება. ცნობილია სახელმწიფოს ძირითადი უფლებებით შეზღუდვის მასშტაბის განსაზღვრის ორი მიდგომა – ფორმალურ-ინსტიტუციური და მატერიალურ-ფუნქციური. *ფორმალურ-ინსტიტუციური მიდგომის* შემთხვევაში, ძირითადი უფლებებით შეზღუდვის ადრესატებად ით-

<sup>355</sup> მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადება.

<sup>356</sup> 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადება.

<sup>357</sup> შეადარე: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 293.

ვლებიან სახელმწიფო ხელისუფლების მატარებლები ფორმალური მნიშვნელობით, ანუ სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები. *მატერიალურ-ფუნქციური მეთოდის* მიხედვით, ძირითადი უფლებებით იზღუდება სახელმწიფოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციების განხორციელება.<sup>358</sup>

ავტორთა ნაწილი ძირითადი უფლებებით შეზღუდვის მასშტაბის განსაზღვრის მიდგომებს პრაქტიკულ მნიშვნელობას არ ანიჭებს. ისინი მიიჩნევენ, რომ ძირითადი უფლებები სახელმწიფო ხელისუფლებას ნებისმიერ შემთხვევაში მაინც სრულად ზღუდავს.<sup>359</sup> ავტორთა მეორე ნაწილის პოზიცია უფრო დამაჯერებლად არის დასაბუთებული. ისინი აღნიშნავენ, რომ სხვადასხვა მეთოდის გამოყენება განსხვავებულ შედეგს იძლევა იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე შეეხება იმ კერძო სუბიექტების ძირითადი უფლებებით შეზღუდვას, რომლებიც სახელისუფლებო უფლებამოსილებებს ახორციელებენ.<sup>360</sup> მართლაც, თუ ფორმალურ-ინსტიტუციურ მიდგომას გამოვიყენებთ, ეს სუბიექტები არ დაექვემდებარებიან ძირითადი უფლებებით შეზღუდვას,<sup>361</sup> ხოლო თუ საკითხს მატერიალურ-ფუნქციური მეთოდით მივუდგებით, მაშინ ისინი ჩაითვლებიან შეზღუდვის ადრესატებად.

საქართველოს კონსტიტუცია მატერიალურ-ფუნქციურ მიდგომას ეფუძნება. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების მიხედვით, სახელმწიფო ძირითადი უფლებით შეზღუდულია „ხელისუფლების განხორციელებისას“. ძირითადი უფლებებით იზღუ-

<sup>358</sup> Dreier, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 53; Höfling, Die Grundrechtsbindung, 431 (432); Höfling, GG, Art. 1, Rn. 83; Schnapp, Die Grundrechtsbindung, 1 (1 f.); Stern, Staatsrecht III/1, 1204.

<sup>359</sup> მაგ.: Dreier, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 53; Herdegen, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 92; Schnapp, Die Grundrechtsbindung, 1 (2).

<sup>360</sup> Höfling, Die Grundrechtsbindung, 431 (432); Stern, Staatsrecht III/1, 1204.

<sup>361</sup> ლოლაძე, აღმასრულებელი ხელისუფლების შეზღუდვა ძირითადი უფლებებით, 175 (181).

დება ის სუბიექტი, რომელიც ახორციელებს ხელისუფლებას – საკანონმდებლო, აღმასრულებელ ან სასამართლო ფუნქციას. სახელმწიფო ინსტიტუცია ან თანამდებობის პირი არ იზღუდება ძირითადი უფლებებით არასახელისუფლებო ხასიათის ფუნქციის შესრულებისას, მაგალითად კერძოსამართლებრივი გარიგების დადებისას. საკონსტიტუციო სასამართლოს ანალოგიური დამოკიდებულება აქვს ამ საკითხისადმი. ის თვლის, რომ სახელმწიფო ძირითადი უფლებებით იზღუდება საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას.<sup>362</sup>

ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპი მოქმედებს მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ ხელისუფლებაზე. ის არ ბოჭავს სხვა სახელმწიფოთა ორგანოებს ან საერთაშორისო ორგანიზაციებს.<sup>363</sup> ამასთან, ძირითადი უფლებებითაა შეზღუდული სახელმწიფო ორგანოების მიერ სხვა სახელმწიფოთა სახელისუფლებო აქტების აღსრულების პროცესი.<sup>364</sup> მაგალითად, თუ რომელიმე სახელმწიფო მოითხოვს საქართველოსაგან მის ტერიტორიაზე მყოფი პირის დაკავებასა და გადაცემას, ეს არ ათავისუფლებს საქართველოს ხელისუფლებას ამ მოთხოვნის აღსრულების პროცესში შესაბამისი პირის უფლებების დაცვისა და პატივისცემის ვალდებულებისაგან.

სახელმწიფოს ძირითადი უფლებებით შეზღუდვის მოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ შესაბამისი სახელმწიფოს ტერიტორიით. გარკვეული სპეციფიკის გათვალისწინებით, ბოჭვას ექვემდებარება ის საჯარო უფლებამოსილებები, რომლებსაც სახელმწიფო საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებს საზღვარგარეთ ან რომლთა შედეგიც საზღვარგარეთ დგება. სახელმწიფო ხელისუფლება ასევე შეზღუდულია ძირითადი უფლებებით საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობისას, მათ შორის საერთა-

<sup>362</sup> N1/466 გადანყვეტილება, II-3; N2/4/570 გადანყვეტილება, II-15.

<sup>363</sup> Höfling, Die Grundrechtsbindung, 431 (433); Höfling, GG, Art. 1, Rn. 86; Jarass, GG, Art. 1, 38 (50); Kunig, GG, Art. 1, 56 (106).

<sup>364</sup> Jarass, GG, Art. 1, Rn. 43.

შორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადებისას.<sup>365</sup> ამ კონტექსტში, აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს შესაძლებლობა, შეამოწმოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების კონსტიტუციურობა ძირითადი უფლებების დამდგენ ნორმებთან მიმართებით.

### **5.3. საკანონმდებლო ხელისუფლების შეზღუდვა ძირითადი უფლებებით**

საკანონმდებლო ხელისუფლება არის ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპის უმთავრესი ადრესატი. მთავარი ნიშანი, რაც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოების კონსტიტუციებში განმტკიცებულ უფლებებს განასახვავებს კონსტიტუციონალიზმის განვითარების ადრეულ ეტაპებზე მიღებული, ასევე არადემოკრატიული სახელმწიფოების კონსტიტუციებით გათვალისწინებული პროგრამული დანაწესებიდან, არის მათი სავალდებულო ძალა კანონმდებლის მიმართ. საკანონმდებლო ხელისუფლება წარმოადგენს ყველაზე დიდ პოტენციურ საფრთხეს ძირითადი უფლებებისათვის. ეს განპირობებულია ამ შტოს ადგილით სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში, მისი უფლებამოსილებებით, გადანყვეტილებების იურიდიული ძალითა და მოქმედების მასშტაბებით.<sup>366</sup>

საკანონმდებლო ხელისუფლებაში, როგორც ძირითადი უფლებებით შეზღუდვის ადრესატში იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს პარლამენტი. ავტონომიურ რესპუბლიკებში საკანონმდებლო უფლებამოსილებებს ახორციელებენ ავტონომი-

<sup>365</sup> დანვრილებით იხ.: იზორია, კორკელია, კუბლაშვილი ხუბუა, კომენტარები, 8; ლოლაძე, კონსტიტუციონალიზმის ძირითადი პრინციპები, 31 (38–39); Dreier, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 44 ff.; Herdegen, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 11; Höfling, Die Grundrechtsbindung, 431 (433); Jarass, GG, Art. 1, Rn. 44; Leibholz, Rinck, Hesselberger, GG, Art. 1, Rn. 74; Starck, GG, Art. 1, Rn. 212, 223; BVerfGE 6, 290 (295); 57, 9 (23).

<sup>366</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 296.

ური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები. ძირითადი უფლებებით შეპოჭილია არა მხოლოდ მთლიანად საკანონმდებლო ორგანო, არამედ მისი სტრუქტურებიც – კომიტეტები და კომისიები, რომლებიც ახორციელებენ საპარლამენტო უფლებამოსილებებს ან მონაწილეობენ მათ განხორციელებაში და აქვთ თავიანთი მოქმედებით უფლებების დარღვევის პოტენციალი. რაც შეეხება საკანონმდებლო ორგანოს აპარატს, მის საქმიანობას აქვს ადმინისტრაციული და დამხმარე ხასიათი. აქედან გამომდინარე, ის უფრო ადმინისტრაციული ორგანოების კატეგორიას მიეკუთვნება, ვიდრე საკანონმდებლო ხელისუფლებას.<sup>367</sup>

ძირითადი უფლებებით შეზღუდულია როგორც საკანონმდებლო, ასევე პარლამენტისა და მისი სტრუქტურების მიერ განხორციელებული ნებისმიერი სხვა სახელისუფლებო ამოცანა.<sup>368</sup> ამასთან, პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობა ძირითადი უფლებებით არ არის შეპოჭილი იმ ნაწილში, რაც შეეხება კონსტიტუციის გადასინჯვას. ეს იმითაა განპირობებული, რომ საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს ე. წ. „მუდმივობის გარანტიას“, რომელიც დაიცავდა ფუნდამენტურ საკონსტიტუციო პრინციპებს კონსტიტუციის გადასინჯვისას.

ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპის მოთხოვნები საკანონმდებლო ხელისუფლების მიმართ კონკრეტული ძირითადი უფლების შინაარსზე არის დამოკიდებული. ძირითადი უფლებების დამდგენი ნორმებიდან გამომდინარეობს აკრძალვები ან/და მოთხოვნები.<sup>369</sup> შესაბამისად, კანონმდებელს ეკისრება ნეგატიური, რაც გულისხმობს მოქმედებისაგან თავის შეკავებას, ან/და პოზიტიური, რაც მოითხოვს სათანადო მოქმედებას, ვალდებულებები.

<sup>367</sup> იქვე, 297.

<sup>368</sup> შეადარე: Dreier, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 54 ff.; Herdegen, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 93; Jarass, GG, Art. 1, Rn. 32; Starck, GG, Art. 1, Rn. 224, 226; Stern, Staatsrecht III/1, 1289.

<sup>369</sup> Kahl, Grundrechte, 807 (808).

კანონმდებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი კანონის მიღებისაგან, რომელიც ძირითად უფლებას არღვევს.<sup>370</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „კანონმდებელი ხელისუფლების განხორციელებისას შეზღუდულია ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით, რაც მას არ აძლევს შესაძლებლობას, თვითმიზნური, არაგონივრული და არაპროპორციული საშუალებების გამოყენებით შეზღუდოს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით განმტკიცებული ადამიანის ძირითადი უფლებები.“<sup>371</sup> ამ კონტექსტში, ძირითადი უფლებები ასრულებს საკანონმდებლო უფლებამოსილების საზღვრის როლს, რის გამოც მათ ასევე „ნეგატიური კომპეტენციის ნორმებს“ უწოდებენ.<sup>372</sup> მაგალითად, კანონმდებლის მიერ სიკვდილით დასჯის შემოღება ერთდროულად დაარღვევდა როგორც სიცოცხლის უფლებას, ასევე ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპს.

ზოგიერთი ძირითადი უფლების რეალიზაცია შეუძლებელია კანონმდებლის მოქმედებისა და აქტიურობის გარეშე. ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპი მას ამ დროს ავალდებულებს შესაბამისი საკანონმდებლო სივრცის შექმნას.<sup>373</sup> ამ კონტექსტში, ძირითად უფლებებს უწოდებენ „ეტალონებს“ და „სახელმძღვანელო პრინციპებს“, რომლებიც მიმართულებას აძლევენ საკანონმდებლო პროცესს.<sup>374</sup> მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „გაფიცვის უფლება ალიარებულია. ამ უფლების განხორციელების პირობები და წესი განისა-

<sup>370</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 298.

<sup>371</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის N3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-29.

<sup>372</sup> Kahl, Grundrechte, 807 (809); Stern, Staatsrecht III/1, 1257.

<sup>373</sup> Höfling, Die Grundrechtsbindung, 431 (435); Höfling, GG, Art. 1, Rn. 98; Starck, GG, Art. 1, Rn. 224, 287.

<sup>374</sup> Stern, Staatsrecht III/1, 1259.

ზღვრება ორგანული კანონით.“ თუ კანონმდებელი თავს შეიკავებს ამ საკითხების ორგანული კანონით მონესრიგებისაგან, მაშინ მისი უმოქმედობა დაარღვევს გაფიცვის უფლებასა და იმავდროულად, ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპსაც.

ძირითადი უფლებები ზღუდავს კანონმდებელს როგორც საჯაროსამართლებრივ, ასევე კერძოსამართლებრივ სფეროებში. უფლებებით ბოჭვა კერძოსამართლებრივ სფეროში უფრო მსუბუქია, რადგანაც აქ დიდი მნიშვნელობა აქვს კერძო ინიციატივასა და ავტონომიას.<sup>375</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, წინააღმდეგ შემთხვევაში, კერძოსამართლებრივი ნორმები მიაღწევდა მოუქნელობის ისეთივე მაღალ დონეს, რაც დამახასიათებელია საჯაროსამართლებრივი წესებისათვის. კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მონესრიგებისას კანონმდებელი შედარებით თავისუფალია, მაგრამ ის არ სარგებლობს სრული დისკრეციით და უნდა დარჩეს კონსტიტუციის ფარგლებში.<sup>376</sup> მოგვიანებით საკონსტიტუციო სასამართლომ დააკონკრეტა თავისი მიდგომა და აღნიშნა, რომ კერძოსამართლებრივი ნორმების შეფასებისას შედარებით ფართო და თავისუფალია პროპორციულობის მოთხოვნები, ხოლო კანონმდებელს აქვს უფრო მაღალი შეფასების ზღვარი.<sup>377</sup>

კანონმდებელი, ერთი მხრივ, ექვემდებარება ძირითადი უფლებებით ბოჭვას, ხოლო მეორე მხრივ, აქვს მათი შეზღუდვის უფლებამოსილება. ამ პროცესში ის არ უნდა გასცდეს კონსტიტუციურ-სამართლებრივ ჩარჩოებს როგორც ფორმალური, ასევე მატერიალური თვალსაზრისით.<sup>378</sup> მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ კანონმდებელი მხოლოდ ფორმალურად

<sup>375</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 299.

<sup>376</sup> N2/1–370, 382, 390, 402, 405 გადანყვეტილება, II-16.

<sup>377</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის N2/2/656 გადანყვეტილება საქმეზე „სს „სილქ როუდ ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-17; N3/4/550 გადანყვეტილება, II-26.

<sup>378</sup> Böckenförde, Schutzbereich, 165 (168).

არ იყო ვალდებული, რომ შრომითი უფლებების დაცვა კანონით მოენესრიგებინა. ეს კანონი მატერიალური თვალსაზრისითაც კონსტიტუციის შესაბამისი უნდა ყოფილიყო.<sup>379</sup> მსგავსი მიდგომა ჩამოაყალიბა სასამართლომ საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით.<sup>380</sup> მატერიალურ საკითხებს თანაზომიერების პრინციპის განხილვისას შეეხებით. აქ ყურადღებას მხოლოდ იმ საკონსტიტუციო დათქმებზე გავამახვილებთ, რომლებიც საკანონმდებლო ხელისუფლებას აძლევენ ძირითადი უფლებების სფეროში მოქმედების საფუძველს.

საქართველოს კონსტიტუციაში არ არის ზოგადი ნორმა, რომელიც დაადგენდა, რომ ძირითადი უფლებების შეზღუდვა მხოლოდ კანონით ან კანონის საფუძველზე დასაშვებია. მიუხედავად ამისა, ეს მოთხოვნა გამომდინარეობს კონსტიტუციის სისტემური ანალიზიდან და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან.<sup>381</sup> გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსა და სამეცნიერო ლიტერატურის მიდგომით, დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში კანონმდებელმა უნდა მიიღოს ძირითადი უფლებებისათვის მნიშვნელოვანი ყველა რეგულირება.<sup>382</sup> საკონსტიტუციო სასამართლომაც ცალსახად აღნიშნა, რომ ძირითადი უფლებების შეზღუდვა მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებშია დასაშვები.<sup>383</sup>

<sup>379</sup> N2/2–389 გადაწყვეტილება, II-18.

<sup>380</sup> N1/2/384 გადაწყვეტილება, II-16.

<sup>381</sup> მაგ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის N1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-18.

<sup>382</sup> მაგ.: იზორია, კორკელია, კუბლაშვილი ხუბუა, კომენტარები, 411; Herdegen, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 44; BVerfGE 49, 89 (126); 88, 103 (116).

<sup>383</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/2/503, 513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-36.

კანონის ზოგადი დათქმისაგან განსხვავებით, საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს მრავალ კონკრეტულ დათქმას. *კლაუს შტერნმა*<sup>384</sup> ჩამოაყალიბა კანონის იმ კონკრეტული დათქმების, რომლებიც ქმნიან ძირითად უფლებებში კანონმდებლის ჩარევის საკონსტიტუციოსამართლებრივ საფუძველს, საინტერესო კლასიფიკაცია. მან გამოჰყო ოთხი ჯგუფი:<sup>385</sup> კონსტიტუციის დათქმები,<sup>386</sup> კანონის დათქმები,<sup>387</sup> რეგულირების დათქმები<sup>388</sup> და გაფორმების დათქმები.<sup>389</sup>

*კონსტიტუციის დათქმის* შემთხვევაში, ძირითად უფლებას უშუალოდ რომელიმე კონსტიტუციური ნორმა ზღუდავს. კანონმდებელს ამ დროს არ აქვს დისკრეციის სფერო ან ის ძალიან ვიწროა. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შეკრების თავისუფლება აქვს „ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში..“. უშუალოდ კონსტიტუცია უზღუდავს მითითებული კატეგორიის პირებს შეკრების თავისუფლებას, ხოლო კანონმდებელს არ აქვს ამის შეცვლის სხვა გზა, გარდა კონსტიტუციის შესაბამისი ნორმის გადასინჯვისა.

კონსტიტუცია *კანონის დათქმის* საშუალებით ანიჭებს კანონმდებელს ამა თუ იმ უფლების შეზღუდვის უფლებამოსილებას. როგორც წესი, კანონის დათქმას ახლავს შეზღუდვის განხორციელების სხვადასხვა პირობები. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებების „შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ

<sup>384</sup> გამოჩენილი გერმანელი კონსტიტუციონალისტი (1932–2023).

<sup>385</sup> Stern, Staatsrecht III/1, 1302.

<sup>386</sup> Verfassungsvorbehalte.

<sup>387</sup> Gesetzesvorbehalte.

<sup>388</sup> Regelungsvorbehalte.

<sup>389</sup> Ausgestaltungsvorbehalte.

კანონის შესაბამისად“. თუმცა, ეს ნორმა ამით არ შემოიფარგლება და იქვე ადგენს პირობას, რომ ამ ძირითადი უფლებების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ „...დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.“ კანონის დათქმის შემთხვევაში კანონმდებელს გაცილებით ფართო მიხედულების სფერო აქვს. მას შეუძლია მიზნის მიღწევის პოტენციური გზების შეფასება და მათ შორის არჩევანის გაკეთება. ამ პროცესში კანონმდებელი შეზღუდულია კონსტიტუციის ნორმებითა და პრინციპებით.<sup>390</sup>

*რეგულირების დათქმა* კანონის დათქმისაგან ძირითადად იმით განსხვავდება, რომ ის არ მიუთითებს კონკრეტულ სიკეთეზე, რომლის დასაცავადაც შესაძლებელია შესაბამისი ძირითადი უფლების შეზღუდვა. ამასთან, კანონმდებელს აქვს ამ უფლებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების მოწესრიგების უფლებამოსილება. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საჯარო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.“ ეს კონსტიტუციური ნორმა არ ადგენს იმ ლეგიტიმურ მიზანს ან მიზნებს, რომელთა მიღწევისთვისაც შესაძლებელი იქნებოდა საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების შეზღუდვა. კანონმდებელს ენიჭება უფლებამოსილება, განსაზღვროს ამ უფლების რეალიზაციის მოთხოვნები და პირობები. ცხადია, ეს გარკვეული შეზღუდვების დადგენასაც გულისხმობს.

*გაფორმების დათქმა* რეგულირების დათქმას ძალიან ჰგავს და მისგან რთული გასამიჯნია.<sup>391</sup> ამ შემთხვევაში კანონმდებელი

<sup>390</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის N2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9.

<sup>391</sup> Stern, Staatsrecht III/1, 1303.

ძირითად უფლებას ანიჭებს შინაარსობრივ სუბსტანციას ან პროცესუალურსამართლებრივ გარანტირებას.<sup>392</sup> ის სამართლებრივად აფორმებს და აკონკრეტებს, თუ რა მოიაზრება შესაბამის უფლებაში. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით“. ამ უფლებათა შინაარსის დაკონკრეტებასა და მათი პროცედურული გარანტიების ჩამოყალიბებას კონსტიტუცია კანონმდებელს მიანდობს.

ძირითადი უფლების დამდგენი ზოგიერთი ნორმა პირდაპირ არ მიუთითებს, თუ რამდენადაა შესაძლებელი ამ უფლების შეზღუდვა. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი უფლების არსს. მაგალითად, კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო.“ თეორიასა და პრაქტიკაში მყარად გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, ადამიანის ღირსების ფუნდამენტური მნიშვნელობა კრძალავს მის ნებისმიერ საკანონმდებლო შეზღუდვას. კონსტიტუცია პირდაპირ არც სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვას ითვალისწინებს – „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.“<sup>393</sup> ამ უფლების არსი არათუ კრძალავს, არამედ მოითხოვს კანონმდებლისაგან მის პროცესუალურსამართლებრივ გაფორმებას, რაც შეზღუდვების დაწესებასაც გულისხმობს.<sup>394</sup>

#### **5.4. აღმასრულებელი ხელისუფლების შეზღუდვა ძირითადი უფლებებით**

აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას ახლავს ძირითადი უფლებების დარღვევის მომეტებული რისკი. როგორც წესი, აღმასრულებელ ხელისუფლებას უწევს უფლების შეზღუდვასთან

<sup>392</sup> იქვე, 1301.

<sup>393</sup> 31-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება.

<sup>394</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 301.

დაკავშირებით კანონმდებლის ან სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების უშუალო განხორციელება. აქედან გამომდინარე, ინდივიდი ძირითადად სწორედ აღმასრულებელ ხელისუფლებას აიგივებს მისი უფლებების მზღლუდავ სახელმწიფოსთან.<sup>395</sup>

აღმასრულებელ ხელისუფლებას, როგორც ძირითადი უფლებების ადრესატს, წარმოადგენს იმ სუბიექტების ფართო სპექტრი, რომლებიც არ მიეკუთვნება საკანონმდებლო ან სასამართლო ხელისუფლებას.<sup>396</sup> მათ რიცხვს განეკუთვნება ის ორგანოები და თანამდებობის პირები, რომლებიც არ შედიან სამთავრობო ვერტიკალში.<sup>397</sup>

ე.წ. „უშუალო სახელმწიფო მმართველობა“, ანუ საჯარო უფლებამოსილებების განხორციელება სახელმწიფო ან მუნიციპალური ორგანოების მიერ, უდავოდ ექვემდებარება ძირითადი უფლებებით შეზღუდვას.<sup>398</sup> ამასთან, კერძოსამართლებრივმა სუბიექტებმაც შეიძლება განახორციელონ საჯარო ამოცანები ე. წ. „ირიბი სახელმწიფო მმართველობის“ ფორმით.<sup>399</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, კერძო სუბიექტები ისევე იზღუდებიან ამ პროცესში, როგორც საჯარო სუბიექტები.<sup>400</sup> აღსანიშნავია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადმინისტრაციულ ორგანოდ განიხილავს ნებისმიერ სხვა

<sup>395</sup> შეადარე: ლოლაძე, აღმასრულებელი ხელისუფლების შეზღუდვა ძირითადი უფლებებით, 175 (176).

<sup>396</sup> Stern, Staatsrecht III/1, 1322.

<sup>397</sup> დანვრილებით იხ.: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 302.

<sup>398</sup> Stern, Staatsrecht III/1, 1333.

<sup>399</sup> დანვრილებით იხ.: იქვე, 1333 ff.

<sup>400</sup> შეადარე: ლოლაძე, აღმასრულებელი ხელისუფლების შეზღუდვა ძირითადი უფლებებით, 175 (184); Herdegen, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 101; Hesse, Bedeutung der Grundrechte, 127 (152); Heun W., Bericht, in: Alexy, Robert/Kunig, Philip/Heun, Werner/Hermes, Georg: Verfassungsrecht und einfaches Recht, Verfassungsgerichtsbarkeit und Fachgerichtsbarkeit, Berlin/New York 2002, 80 (91); Höfling, GG, Art. 1, Rn. 102; Jarass, GG, Art. 1, Rn. 38; Kunig, GG, Art. 1, Rn. 60; Mastronardi, Verfassungslehre, 285; Müller, Schutzwirkung der Grundrechte, 59 (67 f.); Starck, GG, Art. 1, Rn. 227, 232; Stern, Staatsrecht III/1, 1334 f.

პირს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს.<sup>401</sup> ასევე საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სუბიექტის საჯარო დაწესებულებად მიჩნევის კრიტერიუმები – კონსტიტუციის ან/და კანონით დადგენილი წესით სახელმწიფო ფუნქციების შესრულება, ასევე საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების ან/და დელეგირებული სახელმწიფო ფუნქციის განხორციელება.<sup>402</sup>

აღმასრულებელი ხელისუფლების ძირითადი უფლებებით შეზღუდვა უკავშირდება კანონის უზენაესობისა და კანონის დათქმის პრინციპებს.<sup>403</sup> აღმასრულებელი ხელისუფლება მოქცეულია კანონის ჩარჩოებში, კანონი კი ძირითადი უფლებებით შეზღუდვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამასთან, აღმასრულებელი ხელისუფლების ძირითადი უფლებებით ბოჭვა არ არის დამოკიდებული მხოლოდ კანონმდებელზე. როდესაც საკანონმდებლო ხელისუფლება ძირითადი უფლებებისათვის რელევანტურ თემასთან მიმართებით პასიურობს, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ პირდაპირ კონსტიტუციის საფუძველზე უნდა იმოქმედოს.<sup>404</sup>

კანონმდებელი ხანდახან იყენებს განუსაზღვრელ სამართლებრივ ცნებებსა და ზოგად ფორმულირებებს, რაც აღმასრულებელ ხელისუფლებას აძლევს შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების სივრცეს.<sup>405</sup> ძირითადი უფლებები მას ამ შემთხვევაშიც მკაცრად ზღუდავს. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დაკავებაზე უფლებამოსილი პირი არა მხოლოდ დარწმუნებული უნდა იყოს, რომ დაკავებულმა დანაშაული ჩაიდინა, არამედ ისიც უნდა გაარკვიოს, თუ რა დანაშაულს შეეხება საქმე და რამდენად ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსი ამი-

<sup>401</sup> მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>402</sup> N1/4/757 გადაწყვეტილება, II-9.

<sup>403</sup> Kunig, GG, Art. 1, Rn. 61; Stern, Staatsrecht III/1, 1343.

<sup>404</sup> Stern, Staatsrecht III/1, 1344.

<sup>405</sup> Dreier, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 60.

სათვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას. ყოველივე ეს უნდა განემარტოს დაკავებულ პირს. დაკავებაზე უფლებამოსილი პირის ვარაუდი საჭიროებს ობიექტურ საფუძვლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაკავებით დაირღვევა პირადი ხელშეუხებლობის უფლება.<sup>406</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ ეს მოსაზრება განავითარა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმებისას, რომელიც ითვალისწინებს ზოგადი შინაარსის ფორმულირებას – დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავებას, როდესაც ის შესაძლოა მიიმალოს.

აღმასრულებელი ხელისუფლება ძირითადი უფლებებით იზღუდება საჯარო საქმიანობის განხორციელებისას.<sup>407</sup> საჯარო საქმიანობაში იგულისხმება ყველა მოქმედება, მიუხედავად მისი განხორციელების ფორმისა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად მიმართულია საჯარო ამოცანების შესრულებისაკენ.<sup>408</sup> ძირითადი უფლებები ბოჭავს აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა საჯარო ღონისძიებასა და აქტს. შეზღუდვას ექვემდებარება როგორც ნორმატიული, ასევე ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები.<sup>409</sup> საქართველოში ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებზე საკონსტიტუციო კონტროლის არარსებობა ართულებს ძირითადი უფლებებით აღმასრულებელი ხელისუფლების სრულყოფილი შეზღუდვის უზრუნველყოფას.<sup>410</sup>

ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპმა აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან შეიძლება მოითხოვოს მოქმედებისაგან თავის შეკავებას ან პირიქით – აქტიური მოქმედება. ეს დამოკიდებუ-

<sup>406</sup> N2/1/415 გადაწყვეტილება, II-33.

<sup>407</sup> Höfling, GG, Art. 1, Rn. 100.

<sup>408</sup> Herdegen, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 94; Höfling, Die Grundrechtsbindung, 431 (435); Starck, GG, Art. 1, Rn. 227; Stern, Staatsrecht III/1, 1324 ff.

<sup>409</sup> Dreier, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 53, 60; Jarass, GG, Art. 1, Rn. 33; Stern, Staatsrecht III/1, 1327.

<sup>410</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 304.

ლია კონკრეტულ ძირითად უფლებასა და მის შინაარსზე. ნებისმიერ შემთხვევაში, აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის არსი და პროცესი ძირითადი უფლებებით განისაზღვრება და იმართება.<sup>411</sup>

საინტერესო არის საკითხი, თუ რამდენადაა შეზღუდული ძირითადი უფლებებით აღმასრულებელი ხელისუფლება კერძოსამართლებრივი საქმიანობის განხორციელებისას, მაგალითად სამენარმეო საქმიანობაში მონაწილეობისას. თეორია ამ თემაზე მსჯელობისას ძირითადად ყურადღებას ამახვილებს სამენარმეო საქმიანობაში სახელმწიფოს მონაწილეობის ფორმაზე. როდესაც სახელმწიფო სანარმოს წილის ან აქციების ერთპიროვნული მესაკუთრეა, მაშინ ეს სანარმო სრულად ექვემდებარება შეზღუდვას ძირითადი უფლებებით. იგივე მიდგომა ვრცელდება ე. წ. „შერეულ საჯარო საზოგადოებებზე“. ამ სანარმოთა წილები ან აქციები განაწილებულია საჯარო სამართლის სხვადასხვა სუბიექტებს შორის, კერძო სუბიექტების მონაწილეობის გარეშე.<sup>412</sup> თუ აღნიშნულ სანარმოებზე ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპი არ გავრცელდება, სახელმწიფოს მიეცემა შესაძლებლობა, მათი გამოყენებით თავი დააღწიოს ამ პრინციპის მოქმედებას.<sup>413</sup> ძირითადი უფლებებით არ იბოჭებიან ე. წ. „შერეული ეკონომიკური საზოგადოებები“. ამ ფორმის სანარმოებში წილს ან აქციებს, საჯარო სამართლის სუბიექტებთან ერთად, კერძო სუბიექტებიც ფლობენ. მათი მოქცევა ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპის მოქმედების სფეროში საფრთხეს შეუქმნიდა კერძოსამართლებრივი მონაწილეების პერსონალურ ავტონომიას.<sup>414</sup> ამასთან, სახელმწიფო ვალდებულია,

<sup>411</sup> Stern, Staatsrecht III/1, 1343.

<sup>412</sup> Dreier, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 69; Herdegen, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 96; Jarass, GG, Art. 1, Rn. 39.

<sup>413</sup> იზორია, კორკელია, კუბლაშვილი ხუბუა, კომენტარები, 10; Jarass, GG, Art. 1, Rn. 39; Müller, Schutzwirkung der Grundrechte, 59 (66 f.); Schnapp, Die Grundrechtsbindung, 1 (6); Stern, Staatsrecht III/1, 1205.

<sup>414</sup> Höfling, Die Grundrechtsbindung, 431 (436).

რომ ამგვარ საწარმოში თავისი მონაწილეობის ფარგლებში, პატივი სცეს და დაიცვას ძირითადი უფლებები.<sup>415</sup>

აღმასრულებელი ხელისუფლება შებოჭილია ძირითადი უფლებებით ე. წ. „განსაკუთრებული სახელისუფლებო ურთიერთობის“ ფარგლებშიც. ეს არის სპეციფიური ურთიერთობა, რომელიც სამხედრო მოსამსახურეს, მსჯავრდებულს და სხვა რამოდენიმე კატეგორიის პირს აქვს შესაბამის სახელმწიფო ორგანოსთან.<sup>416</sup> აუცილებლად გასათვალისწინებელია ამ ტიპის ურთიერთობის სპეციფიკა და ის გარემოება, რომ ის *a priori* გულისხმობს გარკვეული უფლების რეალიზაციის შეუძლებლობას ან შეზღუდულ შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, „განსაკუთრებულ სახელისუფლებო ურთიერთობას“, ძირითადი უფლებებით ბოჭვის კუთხით, არ ნაეყენება იგივე მოთხოვნები, რაც „ჩვეულებრივ“ ურთიერთობას სახელმწიფოსა და ადამიანს შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ურთიერთობა დაკარგავდა თავის ფუნქციას.<sup>417</sup>

## **5.5. სასამართლო ხელისუფლების შეზღუდვა ძირითადი უფლებებით**

ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპის ერთ-ერთი ადრესატი სასამართლო ხელისუფლებაა.<sup>418</sup> ეს გამომდინარეობს როგორც ამ პრინციპის დამდგენი კონსტიტუციური ნორმიდან, ასევე

<sup>415</sup> Dreier, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 70; Höfling, Die Grundrechtsbindung, 431 (436); Höfling, GG, Art. 1, Rn. 104; Jarass, GG, Art. 1, Rn. 40; Starck, GG, Art. 1, Rn. 231.

<sup>416</sup> Bachof, Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates, 201 (230); Dreier, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 64; Hofmann, GG, Art. 1, Rn. 74; Höfling, Die Grundrechtsbindung, 431 (435); Schnapp, Die Grundrechtsbindung, 1 (6).

<sup>417</sup> ლოლაძე, აღმასრულებელი ხელისუფლების შეზღუდვა ძირითადი უფლებებით, 175 (187); Stern, Staatsrecht III/1, 1376.

<sup>418</sup> სასამართლოს ძირითადი უფლებებით შეზღუდვასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ.: ლოლაძე ბ., სასამართლოს შეზღუდვა კონსტიტუციითა და ძირითადი უფლებებით, უგრეხელიძე მინდია, ქანთარია ბექა (რედ.), კონსტიტუციონალიზმი. მიღწევები და გამოწვევები, თბილისი 2019, 522 (526–528).

კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებიდან – „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს.“ მორჩილება კონსტიტუციისადმი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს კონსტიტუციური უფლებების დაცვასა და პატივისცემას. კონსტიტუციის აღნიშნული ნორმები ერთობლივად ქმნის სასამართლო ხელისუფლების ძირითადი უფლებებით შეზღუდვის საკონსტიტუციო საფუძველს.<sup>419</sup>

იმის გასარკვევად, თუ რომელი ორგანოები მოიაზრება სასამართლო ხელისუფლებაში, როგორც ძირითადი უფლებებით შეზღუდვის ადრესატში, გამოიყენება ფორმალური და მატერიალური კრიტერიუმები. ფორმალური თვალსაზრისით, საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ საკონსტიტუციო სასამართლო და საერთო სასამართლოები. საერთო სასამართლოების სისტემიდან კონსტიტუცია მხოლოდ უზენაეს სასამართლოს გამოჰყოფს,<sup>420</sup> ხოლო მასში შემავალი სხვა სასამართლოების განსაზღვრას ორგანულ კანონს მიანდობს.<sup>421</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, საერთო სასამართლოების სისტემას, გარდა უზენაესი სასამართლოსი, განეკუთვნება რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოები. საერთო სასამართლოების სისტემაში შეიძლება შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლოები, ასევე სამხედრო სასამართლოები, თუმცა მხოლოდ საომარი მდგომარეობის დროს.

ძირითადი უფლებებით იზღუდება მართლმსაჯულების განმარტავი სახორციელებელი ის სუბიექტებიც, რომლებიც ფორმალურად, პირდაპირ ან ირიბად არ არის მოხსენიებული კონსტიტუციაში,

<sup>419</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 305.

<sup>420</sup> 61-ე მუხლი.

<sup>421</sup> 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის მე-5 წინადადება.

მაგრამ შეიძლება ჩაითვალოს „სასამართლოებად“ მატერიალური თვალსაზრისით. მათი იდენტიფიცირებისათვის დაგვეხმარება შტერნის მოსაზრება, რომელიც აყალიბებს მართლმსაჯულების შემდეგ ნიშნებს: (1) მართლმსაჯულებას ახორციელებს დამოუკიდებელი (სახელმწიფო) ორგანო; (2) მართლმსაჯულება ხორციელდება სპეციალურად დადგენილი წესით; (3) მართლმსაჯულების განხორციელება გულისხმობს ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას მოქმედი სამართლის საფუძველზე; (4) მართლმსაჯულების განხორციელება სრულდება საბოლოო და შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებით.<sup>422</sup> მაგალითად, არბიტაჟი ახორციელებს მართლმსაჯულებას მატერიალური თვალსაზრისით და ამ საჯარო ფუნქციის რეალიზაციის პროცესში ის იზღუდება ძირითადი უფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.<sup>423</sup>

სასამართლო ხელისუფლების ძირითადი უფლებებით შეზღუდვის სპეციფიკა გამოიხატება ძირითადი უფლებებისადმი მისი დამოკიდებულების ბიპოლარულ ხასიათში.<sup>424</sup> სასამართლო, როგორც ძირითადი უფლებების მცველი, აკონტროლებს ხელისუფლების სხვა შტოებს. სასამართლოს საშუალებით უფლებების დაცვა ემსახურება ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპის რეალიზაციას.<sup>425</sup> სასამართლო კონტროლის გარეშე ეს პრინციპი მხოლოდ პროგრამული დანაწესი იქნებოდა.<sup>426</sup> საკონსტიტუციო სასამართლო თამამობს წამყვან როლს ძირითადი უფლებებით შეზღუდვის განხორციელებისათვის.<sup>427</sup> მართალია, ის არ არის ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც ძირითად უფლებებს იცავს,

<sup>422</sup> Stern, Staatsrecht III/1, 1431 f.

<sup>423</sup> შეადარე: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 306; Starck, GG, Art. 1, Rn. 247.

<sup>424</sup> დანვრილებით იხ.: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 306 f.

<sup>425</sup> Herdegen, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 11.

<sup>426</sup> Stern, Staatsrecht III/1, 1208.

<sup>427</sup> Schnapp, Die Grundrechtsbindung, 1 (1).

მაგრამ მას აქვს ყველაზე ქმედითი ბერკეტები. საკონსტიტუციო სასამართლო ზოგჯერ ძირითადი უფლებების დაცვის ერთადერთი საშუალებაა. ის აყალიბებს ძირითადი უფლებების დოგმატიკას, ახორციელებს მათი შინაარსისა და ფარგლების საბოლოო და სავალდებულო ინტერპრეტაციას.<sup>428</sup> კონსტიტუციური უფლებების მოქმედება და სავალდებულო ძალა მნიშვნელოვანწილად სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზეა დამოკიდებული.<sup>429</sup> აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს „ძირითადი უფლებების მცველს“<sup>430</sup> უწოდებენ, რაც ნამდვილად არ არის გადაჭარბებული შეფასება.

სასამართლო ხელისუფლება, ძირითადი უფლებების დაცვის პარალელურად, თავად იზღუდება ამ უფლებებით. სწორედ ამაში მდგომარეობს ძირითად უფლებებთან მისი ურთიერთობის ბიპოლარობა.<sup>431</sup> სასამართლომ ძირითადი უფლებები უნდა დაიცვას პროცესუალური და მატერიალური თვალსაზრისით.<sup>432</sup> ის პროცესის მონაწილეების მიმართ უშუალოდ ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას. სასამართლო ხელისუფლება შებოჭილია ძირითადი უფლებებით როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი დავების განხილვისას. ნებისმიერი სასამართლო პროცესი უნდა წარიმართოს სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნების დაცვით.<sup>433</sup> საერთო სასამართლომ არ უნდა განახორციელოს საკანონმდებლო ნორმების ისეთი ინტერპრეტაცია, რითაც დავის ერთ მხარეს უპირატესობა მიენიჭება მეორე

<sup>428</sup> Schnapp, Die Grundrechtsbindung, 1 (6); Starck, GG, Art. 1, Rn. 261.

<sup>429</sup> Stern, Staatsrecht III/1, 1305; Starck, GG, Art. 1, Rn. 284.

<sup>430</sup> Stern, იქვე, 1296.

<sup>431</sup> Höfling, Die Grundrechtsbindung, 431 (436); Höfling, GG, Art. 1, Rn. 105; Kunig, GG, Art. 1, Rn. 62; Schnapp, Die Grundrechtsbindung, 1 (6).

<sup>432</sup> Dreier, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 81; Höfling, Die Grundrechtsbindung, 431 (436); Höfling, GG, Art. 1, Rn. 106; Kunig, GG, Art. 1, Rn. 62; Schnapp, Die Grundrechtsbindung, 1 (6 f.); Starck, GG, Art. 1, Rn. 239; Stern, Staatsrecht III/1, 1429 ff.

<sup>433</sup> BVerfG 52, 203 (207).

მხარის კონსტიტუციური უფლებების გაუმართლებელი შეზღუდვისა და მისი კანონიერი ინტერესების სრული იგნორირების ხარჯზე.<sup>434</sup> სასამართლოს არა მხოლოდ დაპირისპირებულ სიკეთეთა აწონ-დაწონა და მათ შორის ბალანსის დაცვა ევალება, არამედ მან უნდა გათვალისწინოს ის პოტენციური ზიანი, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებით შეიძლება მიადგეს რომელიმე ძირითადი უფლების რეალიზებას.<sup>435</sup>

ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპი გავლენას ახდენს სასამართლო გადაწყვეტილებების მატერიალურ მხარეზე.<sup>436</sup> სასამართლო შინაარსობრივად ძირითადი უფლებებით მხოლოდ იმიტომ არ არის შეზღუდული, რომ სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს და მისი გადაწყვეტილებები სახელისუფლებო აქტებია. ძირითადი უფლებით სასამართლოს ბოჭვის მასშტაბები დამოკიდებულია შესაბამისი ძირითადი უფლების გავლენის ხარისხზე განსახილველ სამართლებრივ ურთიერთობასა და გამოსაყენებელ მატერიალურსამართლებრივ ნორმებზე.<sup>437</sup> აქედან გამომდინარე, სასამართლო ხელისუფლების ძირითადი უფლებებით შეზღუდვა უკავშირდება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით ბოჭვას.<sup>438</sup> სასამართლო გადაწყვეტილებას აქვს სამართალშეფარდებითი ხასიათი. მისი შინაარსი დამოკიდებულია ხელისუფლების სხვა შტოების მიერ დადგენილ სამართალსა და ამ სამართალზე ძირითადი უფლებების გავლენაზე.<sup>439</sup>

<sup>434</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/5/675, 681 გადაწყვეტილება საქმეზე „მპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „მპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-46, 82.

<sup>435</sup> იქვე, II-61.

<sup>436</sup> დანვრილებით იხ.: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 308.

<sup>437</sup> Stern, Staatsrecht III/1, 1445.

<sup>438</sup> Höfling, Die Grundrechtsbindung, 431 (437).

<sup>439</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 308.

სასამართლო გადაწყვეტილებები შინაარსობრივად შეზღუდულია ძირითადი უფლებებით როგორც საჯაროსამართლებრივ, ასევე კერძოსამართლებრივ სფეროებში.<sup>440</sup> კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეები სარგებლობენ მეტი პერსონალური ავტონომიით. აქ მართმლსაჯულება შედარებით მსუბუქადაა შეზღუდილი ძირითადი უფლებებით, ვიდრე საჯაროსამართლებრივ სფეროში. ძირითადი უფლებების გავლენა კერძო სამართალზე გამოირჩევა ფრთხილი და დახვეწილი ხასიათით.<sup>441</sup> სასამართლო თუ კერძო სამართლის სფეროში მოექცევა ზედმეტად დაკონკრეტებულ საკანონმდებლო ჩარჩოებში, ამით მას შეიძლება გადამეტებულად შეეზღუდოს სიტუაციის შეფასებისა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. ეს შეიცავს საფრთხეს სამართლიანი სასამართლოს უფლებისათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, სასამართლო დისკრეციაც იზღუდება, ერთი მხრივ, კონსტიტუციური უფლებებითა და პრინციპებით, მეორე მხრივ კი – პროცესუალური საკანონმდებლო ნორმებით. კანონმდებელმა უნდა დაადგინოს მკაფიო და განჭვრეტადი საფუძვლები და კრიტერიუმები სასამართლოსათვის.<sup>442</sup> ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო კანონმდებლისაგან მოითხოვს ბალანსის დაცვას, რაც გადამონმებას ექვემდებარება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

სასამართლო ხელისუფლების ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპი მოითხოვს სასამართლოს მიერ სამართლის კონსტიტუციაზე ორიენტირებულ განმარტებას. ამ პროცესში კანონმდებლობა „იჟღინთება“ ძირითადი უფლებების შინაარსით.<sup>443</sup>

<sup>440</sup> Herdegen, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 98; Hofmann, GG, Art. 1, Rn. 73; Jarass, GG, Art. 1, Rn. 34; Leibholz, Rinck, Hesselberger, GG, Art. 1, Rn. 80; Schnapp, Die Grundrechtsbindung, 1 (7 f.).

<sup>441</sup> Stern, Staatsrecht III/1, 1445.

<sup>442</sup> N1/5/675, 681 გადაწყვეტილება, II-55, 56.

<sup>443</sup> მაგ.: Dreier, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 85.

როდესაც ნორმის განმარტების რამოდენიმე ვარიანტი არსებობს, სასამართლომ, ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპიდან გამომდინარე, უნდა აირჩიოს *ძირითადი უფლების შესაბამისი ინტერპრეტაცია*. ამისათვის შეიძლება საჭირო გახდეს, როგორც ნორმის ტელეოლოგიური რედუქცია,<sup>444</sup> ე. ი. მისი შინაარსისა და მოქმედების ფარგლების შევიწროვება ძირითადი უფლების დაცვის ინტერესებში, ასევე პირიქით – ნორმის ფართო განმარტება.<sup>445</sup>

ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპი უშუალოდ ზემოქმედებს სასამართლოზე *სასამართლო დათქმების* შემთხვევაში. აქ იგულისხმება უფლებების შეზღუდვის ის შემთხვევები, რომლებიც კონსტიტუციიდან გამომდინარე, სასამართლოს გადანყვეტილებით ხორციელდება. ამ დროს სასამართლო თავად იღებს ძირითადი უფლებისათვის რელევანტურ, მზღუდავ აქტს.<sup>446</sup> საქართველოს კონსტიტუციაში სასამართლო დათქმების სამ ფორმას ვხვდებით:<sup>447</sup> (1) ძირითად უფლებაში ჩარევა *მხოლოდ* სასამართლო გადანყვეტილებით არის შესაძლებელი. სასამართლო ამ გადანყვეტილებას ვერ მიიღებს საკუთარი შეხედულებისამებრ, საკანონმდებლო საფუძვლის გარეშე. მაგალითად, კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადანყვეტილებით.“; (2) სასამართლო დათქმა წარმოადგენს ძირითადი უფლების შეზღუდვის სხვა ფორმის *ალტერნატივას*. მაგალითად, კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მე-3 წინადადებიდან გამომდინარე, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებათა შეზღუდვა შესაძლებელია სასამართლოს გადანყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. მართალია,

<sup>444</sup> Dreier, იქვე, Rn. 84; Starck, GG, Art. 1, Rn. 331.

<sup>445</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 309.

<sup>446</sup> Stern, Staatsrecht III/1, 1482.

<sup>447</sup> დანვრილებით იხ.: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 309.

2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ შემოიღო შემდგომი სასამართლო კონტროლი გადაუდებელი აუცილებლობისას ამ უფლებების შეზღუდვისას, მაგრამ ამ შემთხვევაში უშუალოდ სასამართლო კი არ ზღუდავს უფლებას, არამედ ამონმებს სხვა ორგანოს მიერ განხორციელებულ შეზღუდვას; (3) სასამართლო და კანონის დათქმების კუმულაცია. მაგალითად, კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადების შესაბამისად, „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით..“. აქვე ხაზი უნდა გაუფხვავთ, რომ მაშინაც კი, როდესაც ნორმა კანონის დათქმას პირდაპირ არ ითვალისწინებს, უფლების შეზღუდვის საკანონმდებლო საფუძვლის არსებობა მაინც აუცილებელია.

საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო დათქმებში ხედავს მართლმსაჯულების ორმაგ ფუნქციას. სასამართლო ხელისუფლება, ერთი მხრივ, ძირითად უფლებას ზღუდავს, ხოლო მეორე მხრივ, ქმნის იმის გარანტიას, რომ ჩარევა არ იყოს გადამეტებული და არაკონსტიტუციური.<sup>448</sup> საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო დათქმებს განიხილავს ძირითადი უფლებების დაცვის დამატებით საშუალებად. ამ შემთხვევაში უფლების შეზღუდვა და ჩარევის აუცილებლობის შეფასება ნეიტრალური ორგანოს მიერ ხორციელდება. ამით მცირდება თვითნებობის რისკი სახელმწიფო ხელისუფლების ან სხვა სუბიექტების მხრიდან.<sup>449</sup> ძირითადი უფლებების შეზღუდვა სასამართლოს მიერ ემსახურება კერძო და საჯარო ინტერესების სამართლიან დაბალანსებასაც.<sup>450</sup> ამასთან, სასამართლო დათქმა არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ძირითადი უფლება თანაზომიერად შეიზღუდება.<sup>451</sup> ეს ინსტიტუტი ასრულებს

<sup>448</sup> N1/2/503, 513 გადაწყვეტილება, II-2.

<sup>449</sup> N2/4/532, 533 გადაწყვეტილება, II-205.

<sup>450</sup> N1/2/519 გადაწყვეტილება, II-21; N1/1/625, 640 გადაწყვეტილება, II-33.

<sup>451</sup> N1/2/503, 513 გადაწყვეტილება, II-63.

პოზიტიურ ფუნქციას მხოლოდ იმ პირობით, რომ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა გარანტირებულია.<sup>452</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო ხშირად გვევლინება უფლებათა უსამართლო შეზღუდვის გამმართლებლად და არა მათი დაცვის გარანტიად.

## **6. ძირითადი უფლებების ინტერპრეტაციის მნიშვნელობა ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპისათვის**

ძირითადი უფლებებით შეზღუდვის მასშტაბების განსაზღვრისას რელევანტური არის მათი შინაარსი. ძირითადი უფლებების დამდგენი ნორმების ლაკონური და ზოგადი ფორმულირება გამორიცხავს ამა თუ იმ უფლების შინაარსის სრულყოფილი გარკვევას მხოლოდ სიტყვასიტყვითი განმარტებით. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მათი კომპლექსური ინტერპრეტაცია.<sup>453</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო არის მთავარი ფიგურანტი ძირითადი უფლებების ინტერპრეტაციის კუთხით. სახელმწიფო ხელისუფლების ძირითადი უფლებებით შეზღუდვის ფარგლები, უმეტესწილად, სწორედ მის პრაქტიკაზეა დამოკიდებული. საკონსტიტუციო სასამართლომ ძირითადი უფლებები შეძლებისდაგვარად ფართოდ უნდა განმარტოს. ეს აძლიერებს მათ მნიშვნელობას, დაცვის ხარისხს და ემსახურება თავისუფლების უკეთ დაცვას.<sup>454</sup> ძირითადი უფლებების ფართო ინტერპრეტაცია არ ნიშნავს კონსტიტუციის ტექსტიდან იმდენად მონყევას, რომ სამართალშეფა-

<sup>452</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 310.

<sup>453</sup> ლოლაძე, ფირცხალაშვილი, ძირითადი უფლებები, 92; Stern K., Verfassungsrechtliche wider „ideologische“ Deutung der Grundrechte, in: Stern, Klaus/Siekmann, Helmut (Hrsg.), Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge, Köln/Berlin/Bonn/München 1992, 234 (252).

<sup>454</sup> Starck, GG, Art. 1, Rn. 155.

რდება სამართალშემოქმედებაში გადაიზარდოს და საკონსტიტუციო სასამართლომ კანონმდებლის ფუნქცია მოირგოს. მან პატივი უნდა სცეს ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპს კონსტიტუციის ტექსტის განმარტებისას.<sup>455</sup> აუცილებელია ერთგვარი ოქროს შუალედის დაცვა, რაც საკმაოდ რთული გამონვევაა. ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ რამოდენიმე საქმეს, რათა შეგვექმნას ზოგადი წარმოდგენა, თუ როგორ გაართვა თავი საკონსტიტუციო სასამართლომ ამ გამონვევას.

თავდაპირველად შევეხებით უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლების – ადამიანის ღირსების განმარტებას. საკონსტიტუციო სასამართლოს ადრეულ პრაქტიკაში ამ ფუნდამენტური უფლების ინტერპრეტაცია ეფუძნებოდა ღირსების სამოქალაქოსამართლებრივ გაგებას.<sup>456</sup> „ღირსებაში“ მოიაზრებოდა პიროვნების მიერ საკუთარი მორალური თუ სხვა თვისებების შეფასება.<sup>457</sup> ადამიანის ღირსების ამგვარი გაგება არ შეესაბამებოდა მის რეალურ წონას და მკვეთრად ამცირებდა მის მნიშვნელობას. ის არა მარტო ძირითადი უფლება, არამედ კონსტიტუციის წამყვანი პრინციპი და ფუნდამენტური ელემენტია.<sup>458</sup> ადამიანის ღირსების დაცვა არის

<sup>455</sup> შეადარე: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 286; Simon, Verfassungsgerichtsbarkeit, 1637 (1670).

<sup>456</sup> მაგ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 29 აპრილის N2/76/1 განჩინება საქმეზე „ირაკლი ბერიაშვილი და ვიქტორ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 3.

<sup>457</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის N2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II.

<sup>458</sup> Benda, Menschenwürde und Persönlichkeitsrecht, 161 (164 f.); Haller W., Menschenwürde, Recht auf Leben und persönliche Freiheit, in: Merten, Detlef und Papier, Hans-Jürgen (Hrsg.): Handbuch der Grundrechte in Deutschland und Europa, Band VII/2, Grundrechte in der Schweiz und in Lichtenstein, § 209, Heidelberg/Zürich/St. Gallen 2007, 199 (205 f.); Kahl, Grundrechte, 807 (825); Maihofer W., Rechtsstaat und menschliche Würde, Frankfurt a. M. 1968, 103 f.; Müller J. P., Geschichtliche Grundlagen, Zielsetzung und Funktionen der Grundrechte, in: Merten, Detlef/Papier, Hans-Jürgen (Hrsg.): Handbuch der Grund-

სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი მიზნი<sup>459</sup> და სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძველი.<sup>460</sup> ის იცავს ადამიანის პერსონალურ ხელშეუხებლობასა და ავტონომიას, უზრუნველყოფს ინდივიდის, როგორც სამართლის სუბიექტის, პატივისცემას და კრძალავს მის გადაქცევას შიშველ ობიექტად, მიზნის მიღწევის საშუალებად.<sup>461</sup> სახელმწიფო პატივს სცემს ადამიანის ღირსებას, რომელიც მის შექმნამდე არსებობდა და მის გარეშეც იარსებებს.<sup>462</sup> ღირსება წარმოადგენს ადამიანობის სტატუსის იმ მინიმალურ წინაპირობას, რომლის აღიარებაზეც არავის შეიძლება ეთქვას უარი.<sup>463</sup>

არსებითი ცვლილება ადამიანის ღირსების განმარტებასთან დაკავშირებით განხორციელდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“. სასამართლო აღარ დაეყრდნო ღირსების სამოქალაქოსამართლებრივ გაგებას, რადგანაც ღირსება გაცილებით მეტია, ვიდრე ადამიანის მორალური თუ სხვა თვისებების

---

rechte in Deutschland und Europa, Band VII/2, Grundrechte in der Schweiz und in Lichtenstein, § 202, Heidelberg/Zürich/St. Gallen 2007, 3 (8); Schnapp, Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung der Republik Polen, 171 (180); Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 426; Stern, Menschenwürde, 219 (224 f.).

<sup>459</sup> Maihofer, Rechtsstaat und menschliche Würde, 44; Stern, Menschenwürde, 219 (226).

<sup>460</sup> Schmidt-Aßmann, Rechtsstaat, 541 (554).

<sup>461</sup> იზორია, კორკელია, კუბლაშვილი ხუბუა, კომენტარები, 84–85; Haller, Menschenwürde, 199 (205 f.); Ipsen J., Der Staat der Mitte. Verfassungsgeschichte der Bundesrepublik Deutschland, München 2009, 354; Maihofer W., Prinzipien freiheitlicher Demokratie, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, 427 (493 f.); Mastronardi, Verfassungslehre, 283.

<sup>462</sup> Bäumlin R., Die rechtsstaatliche Demokratie. Eine Untersuchung der gegenseitigen Beziehungen von Demokratie und Rechtsstaat, Zürich 1954, 56 f.

<sup>463</sup> შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, თბილისი 2003, 157.

თვითშეფასება. მან აღნიშნა, რომ ღირსება არა მხოლოდ სუბიექტური უფლება, არამედ ფუნდამენტური პრინციპია, რომელსაც სხვა ძირითადი უფლებები ეფუძნება. ამ უფლებას აჰყავს ადამიანი, როგორც დამოუკიდებელი, თავისუფალი და სხვებთან თანასწორი სუბიექტი, მთავარი კონსტიტუციური ფასეულობის რანგში. ადამიანი არის სახელმწიფოს მთავარი მიზანი და არა ობიექტი ან მიზნის მიღწევის საშუალება. მას ღირსება იმის გამო აქვს, რომ ადამიანია და არა სუბიექტური თვითშეფასებიდან ან საზოგადოების მხრიდან მისი შეფასებიდან გამომდინარე. სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ადამიანის ღირსება ყოველგვარი წინაპირობის გარეშე. ღირსების უზრუნველყოფა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს თითოეული ადამიანის პერსონალურ აღიარებას, რომლის ჩამორთმევა ან შეზღუდვა დაუშვებელია.<sup>464</sup> ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლომ გადაუხვია ძველ მიდგომას და შემოგვთავაზა ადამიანის ღირსების ფართო ინტერპრეტაცია.<sup>465</sup> მან გაიზიარა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოების თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებულ მიდგომა ამ ფუნდამენტურ ძირითად უფლებასთან მიმართებით.<sup>466</sup> ღირსების უფლების ფართო განმარტება მყარად დამკვიდრდა საკონსტიტუციო სასამართლოს შემდგომ პრაქტიკაში.<sup>467</sup>

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანის ღირსების ძირითადი უფლების ვიწრო განმარტება განაპირობა ორიენტირებამ მის სამოქალაქოსამართლებრივ გაგებაზე. მსგავსი შეცდომების დაშვება

<sup>464</sup> დაწვრილებით იხ.: N2/2–389 გადაწყვეტილება, II-30, 31.

<sup>465</sup> ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშენიერაძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა. 1996–2012 წლების სასამართლო პრაქტიკა, თბილისი 2013, 86–88.

<sup>466</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 287.

<sup>467</sup> მაგალითად იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/421, 422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4; N3/1/512 გადაწყვეტილება, II-43; N2/4/532, 533 გადაწყვეტილება, II-176.

მოსალოდნელია, თუ მოხდება გადამეტებული აქცენტირება ამა თუ იმ ცნების მიმდინარე კანონმდებლობაში ჩამოყალიბებულ შინაარსზე. ამ კუთხით, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში პოზიტიური ტენდენცია შეინიშნება. ის ხაზს უსვამს, რომ ტერმინებს აქვთ ავტონომიური კონსტიტუციური მნიშვნელობა.<sup>468</sup> მათი შინაარსის განსაზღვრა არ უნდა მოხდეს ნაკლები იურიდიული ძალის აქტებში მოცემული განმარტებებით. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ეს აქტები შეფასების ობიექტია და არა შეფასების მასშტაბი. კონსტიტუციური ტერმინების შინაარსი თვითმყოფადია და არ არის დამოკიდებული კანონმდებლობაში მოცემულ დეფინიციებზე.<sup>469</sup> საკონსტიტუციო სასამართლო ხედავს თვითნებობის საფრთხეს იმ შემთხვევისათვის, თუ კონსტიტუციის შინაარსის განმარტება კანონმდებლობაზე გახდება დამოკიდებული.<sup>470</sup> კონსტიტუცია უდგენს თამაშის წესებს კანონმდებელს და არა პირიქით.

საკონსტიტუციო სასამართლო დიდი ხნის განმავლობაში ვინაშე როდ განმარტავდა კანონის ნინაშე თანასწორობის უფლებას, რო-

<sup>468</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N2/7/636 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით ცინცილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11, 16.

<sup>469</sup> N2/4/532, 533 გადაწყვეტილება, II-63; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის N2/2/579 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-19; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის N3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის N3/4/641 გადაწყვეტილება საქმეზე „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-15.

<sup>470</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – სალომე ქინქლაძე, ნინო კვეციანაძე, ნინო ოდიშარია, დარი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15.

მელიც გარანტირებული იყო კონსტიტუციის იმჟამად მოქმედი რედაქციის მე-14 მუხლით: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.“ საკონსტიტუციო სასამართლო ამ ნორმის გრამატიკული განმარტების საფუძველზე ასკვნიდა, რომ იკრძალებოდა დისკრიმინაცია მოხლოდ მე-14 მუხლში ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით. მან ამ მიზეზით არსებითად განსახილველად არ მიიღო რამოდენიმე კონსტიტუციური სარჩელი, რომლებშიც მოსარჩელები მიუთითებდნენ დისკრიმინაციაზე სხვა ნიშნებით. ამ პრაქტიკამ დააკნინა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის, რომელიც სამართლებრივ სახელმწიფოში თავისუფლებისა და თანასწორობის დამაკავშირებელი რგოლია,<sup>471</sup> ფუნდამენტური მნიშვნელობა და დაიმსახურა სამართლიანი კრიტიკა.<sup>472</sup> არასწორი მიდგომა შეიცვალა N2/1–392 გადაწყვეტილებით. საკონსტიტუციო სასამართლო გასცდა გრამატიკული განმარტების ფარგლებს და ყურადღება გაამახვილა მე-14 მუხლის მიზანზე – კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფასა და დისკრიმინაციის არდაშვებაზე. მან განმარტა, რომ იკრძალებოდა დისკრიმინაცია სამუშაო ადგილის მიხედვით მიუხედავად იმისა, რომ ეს ნიშანი არ იყო პირდაპირ გათვალისწინებული კონსტიტუციით.<sup>473</sup> ამ გადაწყვეტილებამ გზა გაუხსნა იმ შესაძლებლობების გამოყენებას, რაც აქვს თანასწორობის პრინციპს ძირითადი უფლებების დასაცავად და სამართლებრივი სახელმწიფოს გასაძლიერებლად.<sup>474</sup> საკონსტიტუ-

<sup>471</sup> შეადარე: Benda, *Menschenwürde und Persönlichkeitsrecht*, 161 (167); Mastronardi, *Verfassungslehre*, 284; Stern, *Menschenwürde*, 219 (231).

<sup>472</sup> ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი, 165–166.

<sup>473</sup> N2/1–392 გადაწყვეტილება, II-2.

<sup>474</sup> Loladze, *Rechtsstaatsprinzip*, 289.

ციო სასამართლომ მოგვიანებით აღნიშნა, რომ კონსტიტუციაში რომელიმე ნიშნის არდასახელება არ გამოირიცხავს არაგონივრულ, უსაფუძვლო და არაკონსტიტუციურ დიფერენციაციას.<sup>475</sup> ეს პოზიტიური ტენდენცია შემდგომ გადაწყვეტილებებშიც გაგრძელდა.<sup>476</sup>

უკიდურესად ფორმალისტურმა მიდგომებმა ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპის რეალიზაცია სხვა უფლებების ნაწილშიც დააზიანა. ამის მაგალითია თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლების ვინრო-ფორმალური განმარტება. N2/3/182, 185, 191 გადაწყვეტილებაში საქმე შეეხებოდა იმჟამინდელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთ ნორმას. ის ავალდებულებდა პროცესის მონაწილეს, რომ გამოძიებლისა და პროკურორისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია იმ ექსპერტიზის ფარგლებში დასმული კითხვებისა და შედეგების შესახებ, რომელიც მან თავისი ინიციატივითა და ხარჯით ჩაატარა. საკონსტიტუციო სასამართლომ გრამატიკული განმარტების საფუძველზე განაცხადა, რომ თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლება ვრცელდებოდა მტკიცებულების მხოლოდ ერთ სახეზე – ჩვენებაზე და ის არ შეეხებოდა ექსპერტის დასკვნას.<sup>477</sup> სასამართლომ ყურადღების მიღმა დატოვა ის ობიექტური გარემოება, რომ ექსპერტის დასკვნის გამოყენებაც შეიძლება ბრალდებულის საწინააღმდეგოდ. მას არ გაუთვალისწინებია კონსტიტუციის იმჟამინდელი რედაქციის

<sup>475</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“, II-1.

<sup>476</sup> მაგ.: N2/1/536 გადაწყვეტილება, II-22.

<sup>477</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის N2/3/182,185,191 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 4.

42-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიზანი – პირის დაცვა თვითინკრინაციისაგან. ამ გადანყვეტილებას დაერთვის განსხვავებული აზრი, რომელიც აკრიტიკებს თვითინკრინაციისაგან დაცვის უფლების დამდგენი ნორმის სიტყვასიტყვით განმარტებას და მართებულად აღნიშნავს, რომ ფორმალური მიდგომა ვერ გამოდგება ძირითადი უფლებების ეფექტიანად დასაცავად.<sup>478</sup>

ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპის რეალიზაციის ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება კონსტიტუციის ფორმალისტური განმარტებაა. ადვილი არ არის იმის მიზეზების დადგენა, თუ რამ გამოიწვია საკონსტიტუციო სასამართლოს მკაცრი ორიენტირება ნორმების სიტყვასიტყვით შინაარსზე. ამ ამოცანას ისიც ართულებს, რომ ფორმალისტური მიდგომა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით არ შემოიფარგლება და მთლიანად ქართული სამართლებრივი პრაქტიკის სენია. მსგავსი პრობლემა დამახასიათებელია ტოტალიტარული და პოსტოტალიტარული ქვეყნებისათვის, სადაც იურიდიულ პრაქტიკაში წამყვან როლს ასრულებს ნორმათა განმარტების ფორმალური ასპექტები, ხოლო შეფასებით მსჯელობასა და შემოქმედებით მიდგომას თითქმის არავინ უწევს ანგარიშს.<sup>479</sup>

საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გამოიყენოს ინტერპრეტაციის ყველა შესაძლო მეთოდი ძირითადი უფლების დამდგენი ნორმის სრულყოფილი განმარტებისათვის.<sup>480</sup> ეს ზრდის როგორც

---

<sup>478</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ლამარა ჩორგოლაშვილის განსხვავებული აზრი საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის N2/3/182, 185, 191 გადანყვეტილებაზე საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ფიროზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2.

<sup>479</sup> Krell A., 10 Jahre brasilianische Bundesverfassung: Rechtsdogmatische und rechtssoziologische Aspekte der Entwicklung des Grundrechtsschutzes, in: *Verfassung und Recht in Übersee*, 32 (1999) 1, 8 (15).

<sup>480</sup> მაგ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 22 მარტის N2/1/481 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნინო ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9; საქართველოს

კონკრეტული უფლების, ასევე ზოგადად, ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპის დაცვის ხარისხს. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის ძველი რედაქციის 30-ე მუხლის ფორმულირება იყო შემდეგი შინაარსის: „შრომა თავისუფალია“. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ეს ნორმა არ ამოიწურებოდა მხოლოდ იძულებითი შრომის აკრძალვით და აძლევდა პირს უფლებას, განეხორციელებინა შრომითი საქმიანობა, ასევე შეენარჩუნებინა ან დაეტოვებინა სამუშაო ადგილი. დასაქმებული პირი ასევე დაცული იყო ისეთი რეგულირებისაგან, რომელიც პირდაპირ ან ირიბად უშვებდა სამსახურიდან მისი დაუსაბუთებელი, თვითნებური და უსამართლო გათავისუფლების შესაძლებლობას.<sup>481</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გამოცდილების გათვალისწინება ხელს უწყობს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ფორმალური მიდგომების დაძლევას. ეს დადებით გავლენას ახდენს ძირითადი უფლებების დაცვის ხარისხის გაუმჯობესებაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს არაფერი აქვს სანინააღმდეგო, როდესაც მხარეები მათ პოზიციებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებითა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკით ამყარებენ.<sup>482</sup> ქვემოთ მოვიტანთ რამოდენიმე მაგალითს.

საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილება საქმეზე *ბრუმარესკუ რუმინეთის წინააღმდეგ* სასამართლო დაცვის უფლების ფართო განმარტებისას და დაადგინა, რომ ეს უფლება სასამარ-

---

საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის N2/1/484 გადანყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

<sup>481</sup> N2/2-389 გადანყვეტილება, II-19.

<sup>482</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის N2/6/264 გადანყვეტილება საქმეზე „შპს „უნისერვისი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 4.

თლო გადანყვეტილებების აღსრულებასაც მოიცავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო დაცვას აზრი დაეკარგებოდა.<sup>483</sup>

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებებზე საქმეებზე *აროუსმითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* და *ლე კურ გრანდმეზონი და ფრიტცი საფრანგეთის წინააღმდეგ*, როდესაც მსჯელობდა კეთილსინდისიერ წინააღმდეგობასთან დაკავშირებით. საბოლოოდ, მან დაადგინა, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდაზე უარის თქმის საფუძველი არარელიგიური ხასიათის რწმენა და შეხედულებებიც შეიძლება იყოს.<sup>484</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გამოცდილების გაზიარებას უდავოდ უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად ამისა, მისი პრაქტიკა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციის განმარტებისას მაინც დამხმარე ფუნქციით გამოიყენება.<sup>485</sup> თავის მხრივ, არც საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება ევროპული კონვენციის დარღვევის დადგენა, რაც მას პრაქტიკაში რამოდენიმეჯერ აქვს გაკეთებული.<sup>486</sup> აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოგვიანებით საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ამოცანად მკაფიოდ გამოკვეთა კონსტიტუციისა და არა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების განმარტება.<sup>487</sup> ამასთანავე, მან მიუთითა განსახილველი საკითხის

<sup>483</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის N1/14/184, 228 გადანყვეტილება საქმეზე „სააქციო საზოგადოებები – „საქგაზი“ და „ანაჯგუფი“ (ყოფილი „თბილგაზოაპარატი“) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 4.

<sup>484</sup> N1/1/477 გადანყვეტილება, II-17.

<sup>485</sup> შეადარე მაგ.: Hesse, *Bedeutung der Grundrechte*, 127 (133); BVerfGE 74, 358 (370); 111, 307 (323).

<sup>486</sup> მაგ.: N2/6/264 გადანყვეტილება, 4; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის N2/3/286 გადანყვეტილება საქმეზე „მოქალაქე ოლეგ სვინტრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2, 4; N1/14/184, 228 გადანყვეტილება, 2.

<sup>487</sup> N2/2–389 გადანყვეტილება, II-5; საქართველოს საკონსტიტუციო სასა-

გადანყვეტისას საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების მაქსიმალური პატივისცემის აუცილებლობაზე.<sup>488</sup>

უკვე აღვნიშნეთ, რომ ძირითადი უფლებების განმარტება არ უნდა გადაიზარდოს სამართალშემოქმედებაში. მაგალითად, მოსარჩელე N431 კონსტიტუციური სარჩელით დავობდა საარჩევნო უფლების დარღვევაზე. ის სარჩელის განხილვის პერიოდისათვის, სასამართლოს განაჩენის საფუძველზე, იმყოფებოდა სასჯელალსრულების დაწესებულებაში. საქართველოს კონსტიტუციის იმჟამად მოქმედი რედაქციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ამ კატეგორიის მოქალაქეებს არ ჰქონდათ არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება. თვით კონსტიტუციის ნორმა გამორიცხავდა მისი ფართოდ განმარტების შესაძლებლობას. ის ისე იყო ფორმულირებული, რომ ნებისმიერი მეთოდის გამოყენებით ინტერპრეტაცია ერთი შედეგით მთავრდებოდა. კონსტიტუციის ნორმა გამორიცხავდა მოსარჩელეს საარჩევნო პროცესში მონაწილეობისაგან. არ არებობდა საარჩევნო უფლების დაბრუნების სხვა გზა, გარდა სასჯელალსრულების დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის მოხდის დასრულებისა. კონსტიტუცია არ აძლევდა კანონმდებელს ამ კატეგორიის პირთათვის საარჩევნო უფლების მინიჭების უფლებამოსილებას. 28-ე მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულ აკრძალვას მკაფიო და იმპერატიული ხასიათი ჰქონდა და გამორიცხავდა განსხვავებული განმარტების ყველა ვარიანტს.<sup>489</sup>

---

მართლოს 2008 წლის 18 ივნისის N2/3/441 განჩინება საქმეზე „საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10, 11; N2/1/415 გადანყვეტილება, II-4.

<sup>488</sup> N2/1/415 გადანყვეტილება, II-5.

<sup>489</sup> N2/1/431 განჩინება, II-3.

## თაჰი VII. თანაზომიერება

### 1. თანაზომიერების პრინციპის არსი და მნიშვნელობა

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი არ გამოორიცხავს ინდივიდუალური თავისუფლების გონივრულ და ზომიერ შეზღუდვას. შეესაბამება თუ არა კონკრეტული შეზღუდვა ამ მოთხოვნებს, მონმდება თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით, რომელიც ითვლება სამართლებრივი სახელმწიფოს განუყოფელ ნიშნად.<sup>490</sup> ეროვნული და საერთაშორისო სასამართლოები აღიარებენ თანაზომიერებას წამყვან პრინციპად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს მათ პრაქტიკაზე.<sup>491</sup>

თანაზომიერების პრინციპს აქვს ზეპოზიტიური ხასიათი. ის მაშინაც ზღუდავს ხელისუფლებას, როდესაც უშუალოდ არ არის ასახული კონსტიტუციასა და კანონმდებლობაში. 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ კონსტიტუციაში გაჩნდა ჩანანერი, რომელიც თანაზომიერების პრინციპის გამოხატულებად შეიძლება ჩავთვალოთ:<sup>492</sup> „ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება.“<sup>493</sup>

<sup>490</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 27; Robbers, BK, Art. 20, Rn. 1806; Sachs, GG, Art. 20, Rn. 78; Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 35; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 239; Stern, Rechtsstaat, 8; Stern, Staatsrecht I, 784.

<sup>491</sup> Kloepfer M., Die Entfaltung des Verhältnismäßigkeitsprinzips, in: Schmidt-Aßmann, Eberhard/Sellner, Dieter/Hirsch, Günter/Kemper, Gerd-Heinrich/Lehmann-Grube, Hinrich (Hrsg.): Festgabe 50 Jahre Bundesverwaltungsgericht, Köln u. a. 2003, 329 (329 ff.); Robbers, BK, Art. 20, Rn. 1887; Sachs, GG, Art. 20, Rn. 145; Schlink B., Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, in: Badura, Peter/Dreier, Horst (Hrsg.): Festschrift 50 Jahre Bundesverfassungsgericht, Bd. II, Tübingen 2001, 445 (445); Zippelius, Deutsches Staatsrecht, 123.

<sup>492</sup> შეადარე: ლოლაძე, ფირცხალაშვილი, ძირითადი უფლებები, 176.

<sup>493</sup> 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

დაუშვებელია, რომ სახელმწიფოს მოქმედება იყოს პრინციპულად შეუზღუდავი და დაუსაბუთებელი. ეს იდეა უდევს საფუძვლად თანაზომიერების პრინციპს.<sup>494</sup> ის მოითხოვს სახელისუფლებო საქმიანობის შემოფარგვლას მხოლოდ აუცილებელი ზომებით და თანაფარდობაში ყოფნას დასახულ მიზანთან.<sup>495</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანი დაექვემდებარებოდა შეუზღუდავ სახელმწიფო თვითნებობას.<sup>496</sup>

თანაზომიერების პრინციპი არის სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი ბირთვის ნაწილი<sup>497</sup> და მისი გადამწყვეტი მატერიალური განზომილება.<sup>498</sup> სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, ადამიანის თავისუფლების ზოგად პრეზუმფციასთან კავშირში, მოითხოვს, რომ ინდივიდი არ უნდა დაექვემდებაროს სახელმწიფო ხელისუფლების არასაჭირო ჩარევებს.<sup>499</sup> სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი თანაზომიერების პრინციპის საშუალებით ექცევა სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობის ცენტრში.<sup>500</sup>

<sup>494</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 107.

<sup>495</sup> Kloepfer, Die Entfaltung des Verhältnismäßigkeitsprinzips, 329 (330); Reuter T., Die Verhältnismäßigkeit im engeren Sinne – das unbekannte Wesen, Juristische Ausbildung, 7 (2009), 511 (512).

<sup>496</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 107.

<sup>497</sup> დანვრილებით იხ.: Badura P., Staatsrecht. Systematische Erläuterung des Grundsatzes für die Bundesrepublik Deutschland, 4., neu bearbeitete Auflage, München 2010, 377; Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 108; Jarass, GG, Art. 20, Rn. 80; Kloepfer, Die Entfaltung des Verhältnismäßigkeitsprinzips, 329 (329); Kunig, Rechtsstaatsprinzip, 350 ff.; Münch I. v. (Begr.), Mager U. (Bearb.), Staatsrecht I. Staatsorganisationsrecht unter Berücksichtigung der europarechtlichen Bezüge, 7., völlig neu bearbeitete Auflage, Stuttgart 2009, 359; Robbers, BK, Art. 20, Rn. 1876; Sachs, GG, Art. 20, Rn. 146; Scheuner, Die neuere Entwicklung, 461 (496); Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 253; Starck, GG, Art. 1, Rn. 285; Zippelius, Deutsches Staatsrecht, 106, 123; BVerfGE 76, 256 (359); 111, 54 (82).

<sup>498</sup> ლოლაძე, ფირცხალაშვილი, ძირითადი უფლებები, 172–173; ლოლაძე, კონსტიტუციონალიზმის ძირითადი პრინციპები, 31 (40–41); Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 107; Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (512).

<sup>499</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 1878.

<sup>500</sup> Benda, Der soziale Rechtsstaat, 719 (725).

თანაზომიერების პრინციპი ხშირად გამოჰყავთ ძირითადი უფლებებიდან და მათი არსიდან.<sup>501</sup> ის ძირითადი უფლებების სფეროში მართლაც წამყვან როლს თამაშობს. სახელმწიფო ხელისუფლებამ ადამიანის თავისუფლება მხოლოდ იმ ზომით უნდა შეიზღუდოს, რაც აუცილებელია საჯარო ინტერესის დასაცავად.<sup>502</sup> ამასთან, თანაზომიერების პრინციპს მნიშვნელობა არა მხოლოდ ძირითადი უფლებებისათვის აქვს. სახელმწიფოს ნებისმიერი მოქმედება უნდა აკმაყოფილებდეს მის მოთხოვნებს.<sup>503</sup> თანაზომიერების პრინციპი გამოიყენება ისეთ სფეროებშიც, როგორცაა მაგალითად სახელმწიფო მონყობის სამართალი.<sup>504</sup> აქედან გამომდინარე, მისი საფუძველი მხოლოდ ძირითადი უფლებები არ არის.<sup>505</sup> გასათვალისწინებელია თანაზომიერების პრინციპის წარმოშობის ისტორიაც. ის უფრო ძველია, ვიდრე ძირითადი უფლებები და ლოკურია, რომ არ წარმოშობილა მათგან.<sup>506</sup>

თანაზომიერების მოთხოვნა განავრცობს და აძლიერებს ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპს. ძირითადი უფლებებით ბოჭვა აზრს დაკარგავდა მისი არარსებობის შემთხვევაში.<sup>507</sup> „ზღვარის ზღვრის“, ე. ი. მიზნის მიღწევის საშუალების მატერიალური შეზღუდვის გარეშე, ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპი გა-

<sup>501</sup> დაწვრილებით იხ.: Kunig, Rechtsstaatsprinzip, 352, 354 ff.; Robbers, BK, Art. 20, Rn. 1879 f.; Schnapp F. E., Die Verhältnismäßigkeit des Grundrechtseingriffs, Juristische Schulung, 11 (1983), 850 (852 f.); Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 251 ff.; Zippelius, Deutsches Staatsrecht, 123; BVerfGE 19, 342 (348 f.).

<sup>502</sup> Kloepfer, Die Entfaltung des Verhältnismäßigkeitsprinzips, 329 (331).

<sup>503</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 312.

<sup>504</sup> Schlink, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, 445 (445 f., 448 f.); Zippelius, Deutsches Staatsrecht, 125.

<sup>505</sup> Kloepfer, Die Entfaltung des Verhältnismäßigkeitsprinzips, 329 (331); Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (512); Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 252; Stern, Staatsrecht I, 862.

<sup>506</sup> Schlink, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, 445 (448); Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 251.

<sup>507</sup> დაწვრილებით იხ.: Schlink, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, 445 (446).

მოიფიტებოდა, ხოლო ძირითადი უფლებები უშუალოდ მოქმედი სამართლიდან პროგრამულ დებულებებამდე „ჩამოქვეითდებოდა“ და „გაუფასურდებოდა“.<sup>508</sup> ამასთან, კონკრეტული ძირითადი უფლების დაცული სფერო და მნიშვნელობა დიდ გავლენას ახდენს თანაზომიერების პრინციპის მოქმედების მასშტაბებსა და ინტენსივობაზე.<sup>509</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა თანაზომიერების პრინციპის საფუძველია.<sup>510</sup> ის ყურადღებას ამახვილებს თანაზომიერების მნიშვნელობაზე ინდივიდის დაცვისათვის სახელმწიფო ხელისუფლების თვითნებობისაგან.<sup>511</sup> ძირითად უფლებებში ჩარევა არ დაექვემდებარებოდა მატერიალურ შეზღუდვებს ამ პრინციპის გარეშე.<sup>512</sup> საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიუღებელია ანტიპრინციპი – მიზანი ამართლებს საშუალებას.<sup>513</sup> ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბალანსის დაცვას ინდივიდის ძირითად უფლებებსა და საზოგადოების ინტერესებს შორის.<sup>514</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო თანაზომიერების პრინციპს თითქმის ყველა გადაწყვეტილებაში იყენებს, თუმცა სულ სხვა ვითარება იყო მისი განვითარების საწყის ეტაპზე. მან თანაზომიერე-

<sup>508</sup> Dreier, GG, Art. 1 Abs. 3, Rn. 58; Hesse, Bedeutung der Grundrechte, 127 (157).

<sup>509</sup> Kloepfer, Die Entfaltung des Verhältnismäßigkeitsprinzips, 329 (339); Kunig, Rechtsstaatsprinzip, 355 ff.

<sup>510</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის N1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I; N2/1/415 გადაწყვეტილება, II-13.

<sup>511</sup> მაგ.: N2/1/415 გადაწყვეტილება, II-13.

<sup>512</sup> იქვე.

<sup>513</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 თებერვლის N1/1/374, 379 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები შალვა ნათელაშვილი და აკაკი მიქაძე საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ“, III.

<sup>514</sup> მაგ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 21 ივლისის N1/51 გადაწყვეტილება საქმეზე „ქალაქ თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“; N1/3/407 გადაწყვეტილება, II-7; N1/1/625, 640 გადაწყვეტილება, II-31.

ბის პრინციპი პირველად 2001 წელს ახსენა.<sup>515</sup> ამგვარი დაგვიანება, დიდი ალბათობით, გამონვეული იყო ფორმალისტური მიდგომების დომინაციით.<sup>516</sup> თანაზომიერების პრინციპის უგულვებლყოფა ნა-რმოადგენდა ამ პერიოდის გადაწყვეტილებათა უმრავლესობის ში-ნაარსობრივი სიმწირის უმთავრეს მიზეზს.<sup>517</sup>

## 2. თანაზომიერების პრინციპის გამოყენების სფერო

თანაზომიერების პრინციპის მოქმედება ვრცელდება ყველა სახელმწიფო ორგანოზე, მიუხედავად იმისა, თუ ხელისუფლების რომელ შტოს განეკუთვნება ის.<sup>518</sup> ფუნქციონალური თვალსაზრისით, ამ პრინციპის მოთხოვნებს ექვემდებარება ნებისმიერი სახელისუფლებო უფლებამოსილების განხორციელება.<sup>519</sup>

კანონმდებლის დისკრეციის მასშტაბები თანაზომიერების პრინციპის კონტექსტში და მის საქმიანობაზე საკონსტიტუციო კონტროლის ინტენსივობა დამოკიდებულია შესაბამის სფეროზე, კანონმდებლის მიერ სიტუაციის შესატყვისად შეფასების შესაძლებლობასა და შეზღუდული ძირითადი უფლების მნიშვნელო-

<sup>515</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის N1/1/103, 117, 137, 147–48, 152–53 გადაწყვეტილება საქმეზე – „საქართველოს მოქალაქეები – (1) ვალიდა დარბაიძე, ნათელა ციმაკურიძე და ნანა მირველაშვილი, (2) ნატალია ოკუჯავა, (3) მაია მელაძე, (4) მარი მიქიაშვილი, (5) დავით ადამიძე, ნანა სარაშვილი, გიორგი ოკუჯავა და სხვები (სულ 54 მოქალაქე), (6) ჟუჟუნა ბერიანიძე და (7) მარია ვარამაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, VII.

<sup>516</sup> ლოლაძე ბ., თანაზომიერების პრინციპი და მისი გამოყენება საქართველოში, კორკელია კონსტანტინე (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული ინსტიტუტები, თბილისი 2024, 97 (115–116).

<sup>517</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 311 f.

<sup>518</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 1908; Sachs, GG, Art. 20, Rn. 148; Schlink, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, 445 (445); Schnapp, Die Verhältnismäßigkeit, 850 (854 f.); Zippelius, Deutsches Staatsrecht, 123.

<sup>519</sup> ლოლაძე, თანაზომიერების პრინციპი, 97 (112); Kunig, Rechtsstaatsprinzip, 358 f.; Robbers, BK, Art. 20, Rn. 1884.

ბაზე.<sup>520</sup> ხელისუფლების სხვა შტოები, კანონის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე, იბოჭებიან საკანონმდებლო დანა-  
ნესებით. ეს გარემოება მათ არ ათავისუფლებს თანაზომიერე-  
ბის პრინციპის დაცვის მოვალეობისაგან თავიანთი დისკრეციის  
სფეროში მოქმედებისას.<sup>521</sup> მაგალითად, საკონსტიტუციო სასა-  
მართლოს განმარტებით, ეჭვმიტანილის დაკავებაზე უფლება-  
მოსილი პირი კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დარწმუნდეს, რომ  
ეს ღონისძიება გამოსადეგი, აუცილებელი და შესატყვისი ზომაა  
ლეგიტიმური მიზნის – მართლმსაჯულების განხორციელების –  
მისაღწევად.<sup>522</sup>

თანაზომიერების პრინციპი ქმნის მატერიალურ ზღვარს ძირი-  
თად უფლებაში ჩარევისას. ის, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს  
„გადამეტებული ზომების აკრძალვას“.<sup>523</sup> როდესაც ძირითადი  
უფლება სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებას აკისრებს, მან  
თავი უნდა შეიკავოს ამ უფლებაში გადამეტებული და არათანა-  
ზომიერი ჩარევისაგან. ძირითადი უფლებიდან შეიძლება ასევე  
სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება გამომდინარეობდეს. ამ  
დროს თანაზომიერების პრინციპი გარდაიქმნება „არასაკმარისი  
ზომების აკრძალვად“.<sup>524</sup> ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ეკრძალება  
უმოქმედობა ან არასათანადო, არათანაზომიერი მოქმედებს პო-  
ზიტიური ვალდებულების შესასრულებლად. „არასრული ზომების  
აკრძალვა“ წარმოადგენს თანაზომიერების პრინციპის განსაკუთ-

<sup>520</sup> Hesse, Bedeutung der Grundrechte, 127 (156).

<sup>521</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 1968.

<sup>522</sup> N2/1/415 გადანყვეტილება, II-37.

<sup>523</sup> Sachs, GG, Art. 20, Rn. 147. შეადარე ასევე: N1/3/393, 397 გადანყვეტი-  
ლება, I.

<sup>524</sup> მაგ.: Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 126 ff.;  
Michael L., Die drei Argumentationsstrukturen des Grundsatzes der Verhältnis-  
mäßigkeit – Zur Dogmatik des Über- und Untermaßverbotes und der Gleichheits-  
sätze, Juristische Schulung, 2 (2001), 148 (151 f.); BVerfGE 88, 203 (254 f.).  
კრიტიკულად: Schlink, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, 445 (462 ff.).

რებულ შემთხვევას.<sup>525</sup> ზოგიერთი ავტორი უარყოფს მის შინაარსობრივ მიმართებას თანაზომიერების პრინციპთან.<sup>526</sup> ეს მცადრი პოზიცია განპირობებულია ამ პრინციპის ფუძემდებლური იდეის იგნორირებით, რაც საშუალების მიზანთან თანაზომიერ მიმართებას გულისხმობს.<sup>527</sup> ამგვარი მიმართება უზრუნველყოფილი უნდა იყოს ასევე სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ღონისძიებების განხორციელებისას.<sup>528</sup>

თანაზომიერება მონმდება თანასწორობის ძირითადი უფლების შეზღუდვის შემთხვევაშიც,<sup>529</sup> თუმცა ამ დროს მიდგომა დიფერენცირებულია.<sup>530</sup> განსხვავებული მოპყრობის თანაზომიერება სრულყოფილად შეფასდება მხოლოდ ე. წ. „მკაცრი შეფასების ტესტის“ ფარგლებში. ამ ტესტის გამოყენება გარკვეულ ფაქტორებზეა დამოკიდებული. პირველ რიგში, თანაზომიერების შეფასებას ის დიფერენციაცია ექვემდებარება, რომელიც ხორციელდება ე. წ. „კლასიკური ნიშნის“ საფუძველზე. „კლასიკურია“ ნიშანი, რომელიც უშუალოდ კონსტიტუციის მე-11 მუხლითაა გათვალისწინებული.<sup>531</sup> „კლასიკურ ნიშნებს“ ასევე აქვს ის საერთო მახასიათებელი, რომ მათი მიხედვით დისკრიმინაციის საფრთხე ისტორიუ-

<sup>525</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 1907.

<sup>526</sup> მაგ.: Sachs, GG, Art. 20, Rn. 147.

<sup>527</sup> შეადარე: ლოლაძე, თანაზომიერების პრინციპი, 97 (100); Robbers, BK, Art. 20, Rn. 1882.

<sup>528</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 315.

<sup>529</sup> დანვრილებით იხ.: Michael, Argumentationsstrukturen, 148 (152 ff.); Robbers, BK, Art. 20, Rn. 1912 f.

<sup>530</sup> N1/1/493 გადაწყვეტილება, II-5, 6; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/1/539 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-19; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის N1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-24; N2/1/536 გადაწყვეტილება, II-27; N2/4/532, 533 გადაწყვეტილება, II-107.

<sup>531</sup> N2/1/536 გადაწყვეტილება, II-28; N2/4/532, 533 გადაწყვეტილება, II-112.

ლად ძალიან მაღალია.<sup>532</sup> „მკაცრი შეფასების ტექსტის“ შერჩევის ფაქტორია ასევე განსხვავებული მოპყრობის ინტენსივობა.<sup>533</sup> ინტენსივობის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ რამდენად აცილებს დიფერენციაცია თანასწორ პირებს კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობისაგან.<sup>534</sup> ამ დაცვების შესაფასებლად პრაქტიკაში გამოიყენება რამოდენიმე კრიტერიუმი. დიფერენციაცია ინტენსიურად არ ითვლება, თუ პირს უფლება სრულად არ აქვს წართმეული და რჩება მისი რეალიზაციის გონივრული შესაძლებლობა.<sup>535</sup> მნიშვნელობა ენიჭება იმასაც, თუ რამდენად არის დიფერენცირების ნიშნის შეცვლა დამოკიდებული შესაბამის პირზე<sup>536</sup> და აქვს თუ არა მას ნეგატიური სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლის,<sup>537</sup> საკუთარი ძალისხმევით დიფერენციაციის ხარისხის შემცირების ან აღმოფხვრის შესაძლებლობა.<sup>538</sup> მაღალი ინტენსივობა არ არსებობს იმ შემთხვევაშიც, როდესაც საკითხის რეგულირება და განსხვავებულად მონესრიგება გასული არ არის პირის ნებელობის სფეროდან.<sup>539</sup> დიფე-

<sup>532</sup> N2/4/532, 533 გადანყვეტილება, II-109.

<sup>533</sup> N1/1/493 გადანყვეტილება, II-6; N2/1/536 გადანყვეტილება, II-30.

<sup>534</sup> N1/1/493 გადანყვეტილება, II-5; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის №2/3/522, 553 გადანყვეტილება საქმეზე „სპს „გრინა აშორდია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13.

<sup>535</sup> N2/3/522, 553 გადანყვეტილება, II-14.

<sup>536</sup> N2/4/532, 533 გადანყვეტილება, II-133.

<sup>537</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №2/5/556 გადანყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ია უჯმაჯურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27.

<sup>538</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადანყვეტილება N1/4/557, 571, 576 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-19.

<sup>539</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის N2/2/565 გადანყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ილია ლეჟავა და ლევან როსტომიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21.

რენცირების ინტენსივობის შეფასების კიდეც ერთი კრიტერიუმია მისი მოქმედების ვადის ხანგრძლივობა.<sup>540</sup>

### **3. თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნები**

#### **3.1. თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები**

თეორიასა და პრაქტიკაში გამოჰყოფენ თანაზომიერების პრინციპის სამ მოთხოვნას:<sup>541</sup> (1) *მიზნის მისაღწევად გამოსადეგობის პრინციპი* – ძირითად უფლებაში ჩარევა უნდა იყოს შესაბამისი მიზნის მიღწევისათვის გამოსადეგი; (2) *ჩარევის მინიმალურობის პრინციპი* – ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა იყოს მიზნის მიღწევისათვის აუცილებელი; (3) *პროპორციულობის პრინციპი* – ძირითად უფლებაში ჩარევა უნდა იყოს მიზნის მიღწევისათვის შესაბამისი, ვინრო გაგებით პროპორციული. სამივე მოთხოვნის წინაპირობაა, რომ ძირითადი უფლების შეზღუდვა ემსახურებოდეს *ლეგიტიმური მიზნის* მიღწევას.

თანაზომიერების პრინციპის თითოეული მოთხოვნა მომდევნოსათვის *განმსაზღვრელია*.<sup>542</sup> თანაზომიერება მოწმდება ზემოთ მოცემული თანამიმდევრობით და ყოველ მომდევნო საფეხურზე

<sup>540</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 25 ოქტომბრის N1/11/629, 652 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – როინ გავაშელიშვილი და ვალერიანე მიგინიეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-25–29.

<sup>541</sup> დაწვრილებით იხ.: ლოლაძე, ფირცხალაშვილი, ძირითადი უფლებები, 188–195; Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 110; Jarass, GG, Art. 20, Rn. 83; Kunig, Rechtsstaatsprinzip, 354; Mager, Staatsrecht I, 359; Michael, Argumentationsstrukturen, 148 (148); Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (513); Robbers, BK, Art. 20, Rn. 1897, 1914; Schnapp, Die Verhältnismäßigkeit, 850 (852); Starck, GG, Art. 1, Rn. 278; Sachs, GG, Art. 20, Rn. 149 ff.; BVerfGE 67, 157 (173); 104, 337 (347 ff.); N3/1/512 გადაწყვეტილება, II-60.

<sup>542</sup> Schmidt, Staatsorganisationsrecht, 81.

გადასვლა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ძირითად უფლებაში ჩარევა არ არღვევს წინა მოთხოვნას. მაგალითად, ჩარევის მინიმალურობის პრინციპის დარღვევა ანუ აუცილებლობა მონმდება მხოლოდ მაშინ, თუ დადასტურდა, რომ დაცულია მიზნის მისაღწევად გამოსადეგობის პრინციპი.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში გვხვდება გარკვეული ნაკლოვანებები თანაზომიერების პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ის ზოგჯერ არ განიხილავს ძირითადი უფლების შეზღუდვის გამოსადეგობასა და აუცილებლობას ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის, თუმცა მაინც ადგენს თანაზომიერების პრინციპის დარღვევას.<sup>543</sup> ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც გადაწყვეტილებიდან არ ჩანს, რომ სასამართლომ იმსჯელა თანაზომიერების პრინციპის რომელიმე მოთხოვნის შესრულების შესახებ. ის შემოიფარგლა მხოლოდ ლეგიტიმურ მიზანზე მსჯელობით და ფაქტობრივად მხოლოდ ამის საფუძველზე გააკეთა დასკვნა, რომ თანაზომიერების პრინციპი დაცული იყო.<sup>544</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ თანაზომიერების შემონმება ნებისმიერ შემთხვევაში სრულყოფილად უნდა ჩაატაროს, რათა გამოუსადეგარი, არააუცილებელი ან არაპროპორციული საშუალება თანაზომიერად არ შეფასდეს.<sup>545</sup>

### 3.2. ლეგიტიმური მიზანი

თანაზომიერების პრინციპის სამივე მოთხოვნა მჭიდრო კავშირშია ლეგიტიმურ მიზანთან,<sup>546</sup> რომელიც მთავარ გავლენას ახ-

<sup>543</sup> მაგ.: N1/3/393, 397 გადაწყვეტილება, II.

<sup>544</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის N2/1/631 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – თეიმურაზ ჯანაშია და გიული ალასანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-67–76.

<sup>545</sup> შეადარე: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 314.

<sup>546</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 111; Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (513); Sachs, GG, Art. 20, Rn. 149.

დენს მათზე.<sup>547</sup> ძირითად უფლებაში ჩარევა ყოველთვის უნდა იყოს საშუალება გარკვეული მიზნის მისაღწევად. მიზნის არარსებობა ლოგიკურად გამორიცხავს თანაზომიერების შემონახვას, რადგანაც ის ეფუძნება საშუალების, მიზნისა და მათი ურთიერთმიმართების სხვადასხვა ასპექტის ანალიზს.<sup>548</sup> აქედან გამომდინარე, თანაზომიერების შემონახვისას, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს ძირითადი უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი.<sup>549</sup>

ლეგიტიმური მიზანს აქვს ორმაგი ხასიათი. ერთი მხრივ, ის აძლევს სახელმწიფოს კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, ხოლო მეორე მხრივ, ლეგიტიმური მიზანი არის ადამიანის უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანესი გარანტია და იცავს მათ შეზღუდვისაგან არარელევანტური მიზნებისა თუ მიზეზების გამო.<sup>550</sup>

ძირითადი უფლების ნებისმიერი შეზღუდვა არის თვითნებური და თვითმიზნური, თუ არ არის განსაზღვრული მისი მიზანი.<sup>551</sup>

<sup>547</sup> ლოლაძე, ფირცხალაშვილი, ძირითადი უფლებები, 183; ლოლაძე, კონსტიტუციონალიზმის ძირითადი პრინციპები, 31 (41); Künig, Rechtsstaatsprinzip, 358.

<sup>548</sup> ლოლაძე, თანაზომიერების პრინციპი, 97 (101).

<sup>549</sup> მაგ.: N1/1/477 გადაწყვეტილება, II-42.

<sup>550</sup> N2/4/570 გადაწყვეტილება, II-17.

<sup>551</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბრის N2/2/180–183 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 6; N2/1–370, 382, 390, 402, 405 გადაწყვეტილება, II-28; N1/3/534 გადაწყვეტილება, II-27; N2/3/540 გადაწყვეტილება, II-24; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768, 769, 790, 792 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები – ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამაღბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის

მიზნის ფორმალურად მითითება არ არის საკმარისი. უფლებაში ჩარევა თვითნებურია იმ შემთხვევაშიც, როდესაც მისი მიზანი ფორმალურად დასახელებულია, მაგრამ ის მატერიალურად არ შეესაბამება კონსტიტუციის პრინციპებს.<sup>552</sup> ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა ემსახუროდეს განსაზღვრული, არსებითად ღირებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.<sup>553</sup>

ძირითად უფლებაში ჩარევის მიზანი უნდა აკმაყოფილებდეს ლეგიტიმურობის სტანდარტს.<sup>554</sup> ლეგიტიმურობაში იგულისხმება მიზნის მართლზომიერება და უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციასთან შესაბამისობა.<sup>555</sup> ჰანს კელზენი მართებულად აღნიშნავს: „...როდესაც საბოლოო მიზნის გამართლება შეუძლებელია, მაშინ ამ მიზნის მიღწევის საშუალებასაც ვერ გაამართლებ.“<sup>556</sup> გამოორიცხულია ნებისმიერი მიზანი, რომელიც თავისთავად არალეგიტიმური და არაკონსტიტუციურია.<sup>557</sup> ლეგიტიმურად ითვლება ყველა საჯარო ინტერესი, რომელიც კონსტიტუციურსამართლებრივად არ გამოორიცხება. გარდა ამისა, მიზნის ლეგიტიმურობა დამოკიდებულია იმ ძირითად უფლებაზე, რომელიც იზღუდება.<sup>558</sup>

---

წინააღმდეგ“, II-196; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის N1/1/650, 699 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-22, 23.

<sup>552</sup> შეადარე: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის N3/5/626 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ოლეგ ლაცაბიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-48–50.

<sup>553</sup> N2/5/556 გადაწყვეტილება, II-30.

<sup>554</sup> მაგ.: Jarass, GG, Art. 20, Rn. 83a; Zippelius, Deutsches Staatsrecht, 123; BVerfGE 100, 313 (359); 115, 320 (345); 117, 163 (182); N2/2–389 გადაწყვეტილება, II-7; N2/1/415 გადაწყვეტილება, II-18–20.

<sup>555</sup> მაგ.: Klopfer, Die Entfaltung des Verhältnismäßigkeitsprinzips, 329 (334); Robbers, BK, Art. 20, Rn. 1897, 1915; N2/6/264 გადაწყვეტილება, 2.

<sup>556</sup> Kelsen, Was ist Gerechtigkeit? 16 [ავტორის თარგმანი].

<sup>557</sup> Michael, Argumentationsstrukturen, 148 (149); Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (513).

<sup>558</sup> BVerfGE 124, 300 (331).

მიზნის მართლზომიერების საკითხი განსხვავებულად განიხილება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების მიერ უფლებათა შეზღუდვის შემთხვევაში. კანონმდებლისათვის მოქმედებს მიზნის მართლზომიერების პრეზუმფცია, ვიდრე საპირისპირო არ დასაბუთდება კონსტიტუციაზე დაყრდნობით. აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებებისათვის კი პირიქითაა – მიზნის მართლზომიერება უნდა დასაბუთდეს,<sup>559</sup> ე. ი. ამ შემთხვევაში მიზნის არამართლზომიერების პრეზუმფცია მოქმედებს.

საკონსტიტუციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ძირითადი უფლების შეზღუდვის მიზნის შესაბამისობას კონსტიტუციასთან და მის პრინციპებთან. მაგალითად, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მან იმსჯელა ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ იმ ნორმების კონსტიტუციურობაზე, რომლებიც ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებს ართმევდა მუნიციპალურ არჩევნებში მერობისა და გამგებლობის კანდიდატების წარდგენის უფლებას. მოპასუხე მხარე ამ შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად თვლიდა ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ეფექტურ ფუნქციონირებას, რასაც ხელს შეუშლიდა განსხვავებული მსოფლმხედველობის პირთა მიერ ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობა (თუ არჩეული იქნებოდა საინიციატივო ჯგუფის წარდგენილი კანდიდატი). საკონსტიტუციო სასამართლომ ეს მიზანი არ ჩათვალა ლეგიტიმურად, რადგანაც ის ეწინააღმდეგებოდა პლურალისტული, დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლებს და კონსტიტუციის სულისკვეთებას.<sup>560</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო მოითხოვს *ლოგიკური კავშირის* არსებობას ძირითადი უფლების შეზღუდვასა და ლეგიტიმურ

<sup>559</sup> Schlink, *Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit*, 445 (450).

<sup>560</sup> N3/2/588 გადაწყვეტილება, II-45, 47.

მიზანს შორის.<sup>561</sup> ის, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ თვლის შეზღუდვის მიზანს ლეგიტიმურ მიზნად.<sup>562</sup> მართალია, საშუალებასა და მიზანს შორის ლოგიკური კავშირი გამოსადეგობის ფარგლებშიც მონმდება, მაგრამ განსხვავებულ კონტექსტში, რაზეც ქვემოთ გავამახვილებთ ყურადღებას. მოცემულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, რამდენად არსებობს ლოგიკური კავშირი ზოგადად, იმ ხარისხით მაინც, რომ არ გამოირიცხოს კონკრეტული ლეგიტიმური მიზნით შესაბამისი უფლების შეზღუდვის გამართლების უნარი.<sup>563</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, ლეგიტიმურ მიზანს უნდა ჰქონდეს შესაბამისი *შეზღუდვის გამართლების უნარი*. ამგვარი უნარი აქვს მიზანს, რომელიც გამომდინარეობს „დემოკრატიული ღირებულებებისაგან, რაზეც სახელმწიფო და საზოგადოება არის დაფუძნებული.“<sup>564</sup>

ხელისუფლების შტოებს აქვთ განსხვავებული დისკრეცია ლეგიტიმური მიზნის განსაზღვრისას. *საკანონმდებლო ხელისუფლება*, ამ კუთხით, ყველაზე თავისუფალია. ის უფლებამოსილია, რომ თავისი მოქმედების მიზნები დამოუკიდებლად, კონსტიტუციის ფარგლებში დაადგინოს.<sup>565</sup> ამის მიზეზია საკანონმდებლო ორგანოს უშუალო დემოკრატიული ლეგიტიმაცია, რისგანაც გამომდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი ურთიერთობების მონესრიგების დისკრეცია. ხელისუფლების დანაწილების პრინციპიც მოითხოვს კანონ-

<sup>561</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის N1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-44; N1/1/543 გადაწყვეტილება, II-40; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის N2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-25.

<sup>562</sup> N2/2/558 გადაწყვეტილება, II-26–28; N2/4/532, 533 გადაწყვეტილება, II-147.

<sup>563</sup> ლოლაძე, თანაზომიერების პრინციპი, 97 (104).

<sup>564</sup> N2/4/570 გადაწყვეტილება, II-17.

<sup>565</sup> Badura, Staatsrecht, 377; Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (513); Schlink, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, 445 (450).

ნმდებლისათვის თავისუფალი მოქმედების სფეროს მინიჭებას.<sup>566</sup> საკანონმდებლო ხელისუფლებას შეუძლია არა მხოლოდ მიზნის შერჩევა, არამედ მისი რეალიზაციის მასშტაბების განსაზღვრაც.<sup>567</sup> კანონმდებლის თავისუფლების ხარისხი იმატებს ლეგიტიმური მიზნის წონის ზრდის პროპორციულად.<sup>568</sup> ამასთან, ის შეუზღუდავი არ არის მიზნის განსაზღვრისას. აქ დიდ როლს თამაშობს ისეთი გარემოებები, როგორცაა ძირითად უფლებაში ჩარევის არსი და სიმძიმე. მაგალითად, კანონმდებელი საკუთრების უფლების შეზღუდვისას მეტი თავისუფლებით სარგებლობს, ვიდრე უფრო მძიმე ჩარევის – საკუთრების ჩამოთვემისას.<sup>569</sup> მისი დისკრეცია მიზნის განსაზღვრისას მნიშვნელოვნადაა შევიწროებული, როდესაც ხდება აზრის თავისუფლების შინაარსობრივი შეზღუდვა.<sup>570</sup>

ძირითადი უფლების დამდგენი კონსტიტუციური ნორმა ხშირად ითვალისწინებს ამ უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანს ან მიზნებს. კანონმდებლის დისკრეციის სფერო ამ დროს დამოკიდებულია შესაბამისი ნორმის განსაზღვრულობის ხარისხზე. რაც უფრო მკაფიოდ აყალიბებს კონსტიტუცია კონკრეტული უფლების შეზღუდვის მიზანს ან მიზნებს, მით უფრო ვიწროვდება საკანონმდებლო ხელისუფლების თავისუფალი მიხედულების არეალი.

<sup>566</sup> Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (514).

<sup>567</sup> Alexy R., Bericht, in: Alexy, Robert/Kunig, Philip/Heun, Werner/Hermes, Georg: Verfassungsrecht und einfaches Recht, Verfassungsgerichtsbarkeit und Fachgerichtsbarkeit, VVDStRL, Berlin/New York 2002, 7 (17).

<sup>568</sup> N1/1/539 გადაწყვეტილება, II-26.

<sup>569</sup> N2/1–370, 382, 390, 402, 405 გადაწყვეტილება, II-16; N1/2/384 გადაწყვეტილება, II-12.

<sup>570</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება N2/482, 483, 487, 502 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-28.

კანონმდებელი ვერ „შექმნის“ განსხვავებულ და ახალ მიზანს, თუ კონსტიტუციის ფორმულირება ცალსახა და მკაფიოა.<sup>571</sup> მისი დისკრეციის სფერო ფართოვდება კონსტიტუციაში ზოგადი ტერმინების გამოყენებისას. მაგალითად, კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადების შესაბამისად, საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის.“ არ არსებობს „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ ზოგადი და ყველა საზოგადოებისათვის უნივერსალური დეფინიცია. ამ ცნების კონკრეტული შინაარსი დამოკიდებულია შესაბამის ეპოქაზე, ისტორიულ მდგომარეობაზე, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებზე, ასევე საკუთრების ობიექტის ბუნებასა და სოციალურ მნიშვნელობაზე.<sup>572</sup> აქედან გამომდინარე, კანონმდებელს ეძლევა აღნიშნული ტერმინის დაკონკრეტებისა და შინაარსობრივი გაფორმების ფართო შესაძლებლობა.

კონსტიტუციაში ვხვდებით ძირითადი უფლებების დამდგენ ნორმებს, რომლებშიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მათი შეზღუდვის შესაძლებლობა და შესაბამისად, არც ლეგიტიმური მიზანია განსაზღვრული. თუ ასეთი უფლება აბსოლუტური ხასიათის არაა (მაგალითად, პიროვნების თავსუფალი განვითარების უფლება), მაშინ ის შეიძლება დაექვემდებაროს ჩარევას და ამას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ლეგიტიმური მიზანი. ამგვარი შეზღუდვები გამკაცრებულ შინაარსობრივ შემონემას ექვემდებარება. მათი მიზანი შეიძლება იყოს სხვათა უფლებების ან კონსტიტუციური სიკეთეების და არა ნებისმიერი საჯარო ინტერესის დაცვა.<sup>573</sup>

აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს ლეგიტიმური მიზნის განსაზღვრისას, კანონმდებელთან შედარებით, გა-

<sup>571</sup> N1/1/468 გადანყვეტილება, II-29. შეადარე ასევე.: Schlink, *Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit*, 445 (448).

<sup>572</sup> N2/1–370, 382, 390, 402, 405 გადანყვეტილება, II-14; N1/2/384 გადანყვეტილება, II-12.

<sup>573</sup> დაწვრილებით იხ.: Michael, *Argumentationsstrukturen*, 148 (150).

ცილებით ვინრო მიხედულების ფარგლები აქვთ. აღმასრულებელი ხელისუფლება შეხოჭილია კანონმდებლის მიერ დადგენილი მიზნებით სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაშიც კი.<sup>574</sup> სასამართლო ხელისუფლება ასევე ვერ შექმნის ძირითადი უფლების შეზღუდვის რაიმე ახალ მიზანს, რომელიც ან პირდაპირ არ არის მითითებული კანონში, ან არ გამომდინარეობს მისი განმარტებიდან.

ლეგიტიმური მიზნის იდენტიფიცირების საკითხს აქვს დიდი მნიშვნელობა. იდენტიფიცირებისას გაითვალისწინება როგორც ისტორიული კანონმდებლის მიერ სუბიექტურად განზრახული მიზნები, ასევე ის მიზნები, რომლებიც კანონმდებლობის განმარტების შედეგად, ობიექტურად გამოვლინდება.<sup>575</sup> ნორმის მიზანი შეიძლება შეიცვალოს და დასცილდეს კანონმდებლის პირველად ჩანაფიქრს დროთა განმავლობაში და ცვალებადი გარემოებების ზეგავლენით.<sup>576</sup> აქედან გამომდინარე, მართებულია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პრიორიტეტის მინიჭება *კანონის ნებისათვის*. *კანონმდებლის ნება* შეიძლება არ იყოს სრულად და გასაგებად გამოსატყუი. შედეგად, შესაბამისი ნორმის ტექსტი, შინაარსობრივი თვალსაზრისით, დასცილდება კანონმდებლის რეალურ ჩანაფიქრს. გარდა ამისა, კანონშემფარდებლის კონკრეტული გადაწყვეტილების საფუძველი ვერ იქნება ის ზოგადი მიზნები, რაც კანონმდებელმა დასახა, მაგრამ კანონში არ აისახა.<sup>577</sup> საკონსტიტუციო სასამართლო სრულად არ უგულებელჰყოფს კანონმდებლის ნებას. ლეგიტიმური მიზნის დადგენისათვის ის განმარტების *ისტორიულ მეთოდსაც* მიმართავს ხოლმე.<sup>578</sup> აღსანიშნავია, რომ

<sup>574</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 111; Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (513); Schlink, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, 445 (450); Schnapp, Die Verhältnismäßigkeit, 850 (855).

<sup>575</sup> Jarass, GG, Art. 20, Rn. 83; Michael, Argumentationsstrukturen, 148 (148).

<sup>576</sup> ლოლაძე, ფირცხალაშვილი, ძირითადი უფლებები, 187.

<sup>577</sup> N1/3/407 გადაწყვეტილება, II-17.

<sup>578</sup> მაგ.: N2/2-389 გადაწყვეტილება, II-7-11.

კანონმდებლის ნების გარკვევა, თუ ის უშუალოდ არ არის კანონში ასახული, პრაქტიკულ სირთულეებსაც უკავშირდება. ეს სირთულეები იზრდება კანონის მიღებიდან დროის გასვლის კვალობაზე. განმარტებითი ბარათი, საკომიტეტო თუ პლენარული სხდომის ოქმი და სხვა დოკუმენტაცია, სამწუხაროდ, ხშირად არ იძლევა ან შეიცავს არასრულ ინფორმაციას შესაბამისი კანონის მიზანთან დაკავშირებით. არ არის გამორიცხული კანონმდებლის მიერ რეალური მიზნების დაფარვის შემთხვევებიც, რასაც ქვემოთ, სამართლებრივი უსაფრთხოების კონტექსტში შევხვებით.

ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ არ განსაზღვრავს იმას, თუ ვინ უნდა დაასახელოს ძირითადი უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი. ამას პრაქტიკაში, როგორც წესი, მოპასუხე აკეთებს. პირველ რიგში, მის ინტერესებშია ამ საკითხზე სასამართლოსათვის არგუმენტირებული პოზიციის წარდგენა. მიუხედავად ამისა, მოპასუხე მხარე ზოგჯერ არ ასახელებს ძირითადი უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანს. საკონსტიტუციო სასამართლო ამ ვითარებაში თავად აანალიზებს შესაბამის კანონმდებლობას და ადგენს ჩარევის ლეგიტიმურ მიზანს.<sup>579</sup> ამგვარი დამოკიდებულება გამართლებულია, რადგანაც საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტს აქვს ობიექტური, კონსტიტუციური მართლწესრიგის დაცვის ფუნქცია, რაც სასამართლოს საკითხის ყოველმხრივ შესწავლა-გამოკვლევას ავალდებულებს.

### 3.3. გამოსადეგობა

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი კრძალავს სახელი-სუფლებო თვითნებობას, მათ შორის – მიზნის მიღწევას აშკარად გამოუსადეგარი საშუალებებით.<sup>580</sup> სწორედ თვითნებობის აკრძალვის პრინციპია გამოსადეგობის სტანდარტის საფუძველი.<sup>581</sup>

<sup>579</sup> იხილე მაგ.: N3/5/626 გადაწყვეტილება, II-55.

<sup>580</sup> Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (513); BVerfGE 30, 250 (262 ff.).

<sup>581</sup> Mager, Staatsrecht I, 359.

ძირითადი უფლების შეზღუდვა, როგორც საშუალება, გამო-  
სადევი უნდა იყოს საფრთხეში მყოფი სამართლებრივი სიკეთის  
ქმედითი დაცვისათვის.<sup>582</sup> ის ხელს უნდა უწყობდეს სასურველი შე-  
დეგის დადგომასა და მიზნის მიღწევას.<sup>583</sup> არ არის სავალდებულო,  
რომ ძირითადი უფლების შეზღუდვა კონკრეტულ შემთხვევაში წა-  
რმოადგენდეს საუკეთესო, ყველაზე გამოსადეგ<sup>584</sup> და ეფექტურ<sup>585</sup>  
საშუალებას, იძლეოდეს მიზნის მიღწევის გარანტიას.<sup>586</sup> საკმარი-  
სია, რომ ძირითად უფლებაში ჩარევამ შექმნას მიზნის მიღწევის  
შესაძლებლობა.<sup>587</sup>

გონივრული და ლოგიკური კავშირის არსებობას სადავო ნორ-  
მით დადგენილ შეზღუდვასა და ლეგიტიმურ მიზანს შორის დიდი  
ყურადღება ექცევა გამოსადეგობის შემონიშნისას.<sup>588</sup> ამგვარი კა-  
ვშირის არარსებობა ძირითად უფლებაში ჩარევას გამოუსადეგარ  
საშუალებად აქცევს,<sup>589</sup> რადგან მიზნის მიღწევას თეორიულადაც  
გამორიცხავს. გამოსადეგობის კრიტერიუმს ასევე ვერ აკმაყოფი-  
ლებს საშუალება, რომლის იგნორირება ამკარად შესაძლებელია,<sup>590</sup>

<sup>582</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 1899; Starck, GG, Art. 1, Rn. 278.

<sup>583</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 112; Michael, Argumentationsstrukturen, 148 (149); Sachs, GG, Art. 20, Rn. 150; Schmidt, Staatsorganisationsrecht, 114; Schnapp, Die Verhältnismäßigkeit, 850 (852); Zippelius, Deutsches Staatsrecht, 123.

<sup>584</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 1916.

<sup>585</sup> N1/2/503, 513 გადაწყვეტილება, II-40.

<sup>586</sup> Kloepfer, Die Entfaltung des Verhältnismäßigkeitsprinzips, 329 (334); Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (513).

<sup>587</sup> N1/1/539 გადაწყვეტილება, II-30; N2/1/536 გადაწყვეტილება, II-71; N3/3/600 გადაწყვეტილება, II-48; BVerfGE 96, 10 (23).

შეადარე ასევე.: BVerfGE 100, 313 (373); 103, 293 (307).

<sup>588</sup> მაგალითად, იხ.: N3/3/600 გადაწყვეტილება, II-48; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის N2/6/746 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-14, 17.

<sup>589</sup> N3/1/512 გადაწყვეტილება, II-63; N3/3/600 გადაწყვეტილება, II-52.

<sup>590</sup> N3/1/512 გადაწყვეტილება, II-67.

რომელიც საერთოდ გამორიცხავს მიზნის მიღწევას<sup>591</sup> ან აშკარად არაეფექტურია.<sup>592</sup>

ზემოაღნიშნული მიდგომა დამკვიდრებულია თეორიასა და პრაქტიკაში, თუმცა გვხვდება გადახვევებიც. მაგალითად, წინააღმდეგობრივია N1/3/534 გადანყვეტილება. საკონსტიტუციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ კანონმდებლის მიერ შერჩეული რეგულირება მიზნის მიღწევის შესაძლებლობას უნდა ქმნიდეს. მიუხედავად ამისა, ის იქვე მოითხოვს, რომ ჩარევამ შესაბამის მიზანს „გარდაუვალად“ და „ნამდვილად“ უნდა მიაღწიოს.<sup>593</sup> N1/4/557,571,576 გადანყვეტილებაც იგივეს იმეორებს.<sup>594</sup> ეს პოზიცია გადამეტებულად მკაცრია, რადგანაც ფაქტობრივად მოითხოვს შერჩეული საშუალების ნარმატიულობის გარანტიას.<sup>595</sup>

ხელისუფლების სხვადასხვა შტოების დისკრეციის ფარგლები გამოსადეგობის სფეროში ერთმანეთისაგან განსხვავებულია. კანონმდებლის მოქმედების, შეფასებისა და პროგნოზის არეალი უფრო ფართოა.<sup>596</sup> მისი პროგნოზი ძირითადი უფლების შეზღუდვის გამოსადეგობასთან დაკავშირებით არ უნდა იყოს აშკარად მცდარი<sup>597</sup> ან ზედაპირული.<sup>598</sup> არალოგიკურია მოსაზრება, რომ კანონმდებლის მიხედულების სფერო განსაკუთრებით ფართოა, თუ ძირითად უფლებაში ჩარევა მიზნის მიღწევის ერთადერთი სა-

<sup>591</sup> N1/1/539 გადანყვეტილება, II-36; N1/3/534 გადანყვეტილება, II-31.

<sup>592</sup> N2/482, 483, 487, 502 გადანყვეტილება, II-49.

<sup>593</sup> N1/3/534 გადანყვეტილება, II-30.

<sup>594</sup> N1/4/557, 571, 576 გადანყვეტილება, II-23.

<sup>595</sup> Loladze, Rechtsstaatprinzip, 321.

<sup>596</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 122; Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (514); Sachs, GG, Art. 20, Rn. 150 f.; Zippelius, Deutsches Staatsrecht, 124; BVerfGE 25, 1 (12 f.); 103, 293 (307); 104, 337 (347 f.); 105, 17 (34); 109, 133 (157); 110, 141 (158); 110, 177 (194); 110, 226 (262); 115, 276 (308); 116, 202 (224).

<sup>597</sup> მაგ.: BVerfGE 16, 147 (181); 17, 306 (315); 39, 210 (230).

<sup>598</sup> Sachs, GG, Art. 20, Rn. 151; Robbers, BK, Art. 20, Rn. 1924; BVerfGE 30, 250 (263); 77, 84 (108).

შუალეზა.<sup>599</sup> როდესაც კანონმდებელს განკარგულებაში მხოლოდ ერთი საშუალება აქვს, საუბარი ზედმეტია დისკრეციაზე. დისკრეცია მოითხოვს გარკვეული არჩევანის არსებობას. გარდა ამისა, რთული გასარკვევია, რამდენად არის კონკრეტული საშუალება მიზნის მიღწევის ერთადერთი გზა.<sup>600</sup>

კანონქვემდებარე აქტის მიმღებ ან გამომცემ სუბიექტს აქვს შეფასებისა და მოქმედების დისკრეცია მხოლოდ კანონით დადგენილ ფარგლებში.<sup>601</sup> ადმინისტრაციული აქტებისა და ღონისძიებების გამოსაადგობა ექვემდებარება გამკაცრებულ შეფასებას. საექვო შემთხვევები წყდება ადმინისტრაციული ორგანოს საზიანოდ,<sup>602</sup> ე. ი. შესაბამისი აქტი ან ღონისძიება არ ჩაითვლება გამოსაადგად. იგივე მიდგომა უნდა გავრცელდეს სასამართლო აქტზე, რომელიც ასევე კანონის საფუძველზე და მის ფარგლებში გამოიცემა.

### 3.4. აუცილებლობა

აუცილებლობის სტანდარტის მიხედვით, ძირითად უფლებაში ჩარევამ არ უნდა გადაამეტოს ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის საჭირო ზომას.<sup>603</sup> სახელმწიფო ძირითადი უფლებების შეზღუდვისას უნდა შემოიფარგლოს იმით, რაც აუცილებელია სხვა, თანაბარფასეული სიკეთეების დასაცავად.<sup>604</sup> არ უნდა დაირღვეს აუცილებლობის ზღვარი საგნობრივი, სივრცობრივი, დროისა და პერსონალური თვალსაზრისით.<sup>605</sup> აუცილებლობის კრიტერიუმის დახმარებით ხდება თავისუფლების შეძლებისდაგვარად ეფექტი-

<sup>599</sup> N2/482, 483, 487, 502 გადანყვეტილება, II-59.

<sup>600</sup> Loladze, Rechtsstaatprinzip, 321.

<sup>601</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 1924; BVerfGE 53, 135 (145).

<sup>602</sup> Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (515).

<sup>603</sup> Jarass, GG, Art. 20, Rn. 85; Michael, Argumentationsstrukturen, 148 (149); Starck, GG, Art. 1, Rn. 278; BVerfGE 100, 226 (241); 110, 1 (28).

<sup>604</sup> N2/2/180–183 გადანყვეტილება, 6.

<sup>605</sup> Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (513).

ანი შენარჩუნება და ძირითადი უფლებების ოპტიმალური დაცვის უზრუნველყოფა.<sup>606</sup>

აუცილებლობის მოთხოვნა დარღვეულია, თუ ლეგიტიმური მიზნის მიღწევა შესაძლებელია სხვა, უფრო მსუბუქი და მსგავსად ქმედითი საშუალებით.<sup>607</sup> ალტერნატიული საშუალება „უფრო მსუბუქია“, თუ ის ძირითად უფლებაში არ ერევა ან ზღუდავს მას მნიშვნელოვნად ნაკლებად.<sup>608</sup> ამასთან, უფრო მსუბუქი საშუალება არ აუარესებს მესამე პირთა და საზოგადოების მდგომარეობას.<sup>609</sup> მან ასევე არ უნდა გამოიწვიოს სახელმწიფოსათვის არაპროპორციულად მაღალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნა.<sup>610</sup> აქედან გამომდინარე, ალტერნატიული საშუალების სიმსუბუქის შემოწმებისას გასათვალისწინებელია მესამე პირთა და საჯარო ინტერესები.

იმის გასარკვევად, რამდენადაა ალტერნატიული საშუალება „ნაკლებად შეზღუდველი“, მხედველობაში მიიღება შეზღუდული ძირითადი უფლების თავისებურებანი, შეზღუდვის ინტენსივობა და შედეგები, ასევე დაზარალებულთა რაოდენობა.<sup>611</sup> მართალია,

<sup>606</sup> Zippelius, Deutsches Staatsrecht, 124.

<sup>607</sup> Badura, Staatsrecht, 377; Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 114; Mager, Staatsrecht I, 359; Robbers, BK, Art. 20, Rn. 1918; Sachs, GG, Art. 20, Rn. 152; Schlink, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, 445 (453); Schmidt, Staatsorganisationsrecht, 115; Schnapp, Die Verhältnismäßigkeit, 850 (852).

<sup>608</sup> მაგ.: BVerfGE 68, 193 (219); 90, 145 (172). შეადარე ასევე: Robbers, BK, Art. 20, Rn. 1900.

<sup>609</sup> Jarass, GG, Art. 20, Rn. 85; Michael, Argumentationsstrukturen, 148 (149); Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (513); Robbers, BK, Art. 20, Rn. 1918; Schlink, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, 445 (457); BVerfGE 103, 172 (183 f.); 113, 167 (259).

<sup>610</sup> Jarass, GG, Art. 20, Rn. 85; Robbers, BK, Art. 20, Rn. 1918; Sachs, GG, Art. 20, Rn. 152; BVerfGE 77, 84 (110 f.); 81, 70 (91 f.); 116, 96 (127). კრიტიკულად: Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 114.

<sup>611</sup> მაგ.: Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (513); Sachs, GG, Art. 20, Rn. 152.

საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, კანონმდებელს განუსაზღვროს მიზნის მიღწევის კონკრეტული და უალტერნატივო საშუალება, მაგრამ მან უნდა გაანალიზოს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლო გზები და არაკონსტიტუციურად ცნოს ნორმა, რომელიც ყველაზე ნაკლებად არ ზღუდავს უფლებას.<sup>612</sup> კანონმდებლის მიერ შერჩეული საშუალება და შესაბამისი სადავო ნორმა უნდა იყოს ყველაზე ნაკლებად მზღლუდავი.<sup>613</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო საშუალებას არათანაზომიერად თვლის, თუ იგივე მიზნის მიღწევა უფრო მსუბუქი და ნაკლებად მზღლუდავი ჩარევით შეიძლებოდა.<sup>614</sup> სახელმწიფოს მიერ შერჩეული ღონისძიება გამოსადეგი საშუალებებიდან ყველაზე ნაკლებად დამაზიანებელი და შემზღლუდველი უნდა იყოს.<sup>615</sup> კანონმდებელმა უნდა „შეარჩიოს რეგულირება, რომელიც ყველაზე ნაკლებად შეზღუდავს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს“.<sup>616</sup>

<sup>612</sup> N1/4/557, 571, 576 გადანყვეტილება, II-31.

<sup>613</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/2/596 გადანყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნათია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-30; N2/2/656 გადანყვეტილება, II-17; N3/4/550 გადანყვეტილება, II-26; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის N2/8/734 გადანყვეტილება საქმეზე „ააიბ „ფრემა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41.

<sup>614</sup> მაგ.: N1/1/477 გადანყვეტილება, II-60; N1/1/468 გადანყვეტილება, II-32, 56; N2/4/532, 533 გადანყვეტილება, II-78.

<sup>615</sup> N1/1/374, 379 გადანყვეტილება, II; N2/482, 483, 487, 502 გადანყვეტილება, II-32; N2/1/484 გადანყვეტილება, II-18; N1/1/539 გადანყვეტილება, II-33; N2/1/536 გადანყვეტილება, II-38; N2/2/558 გადანყვეტილება, II-31; N2/4/532, 533 გადანყვეტილება, II-13, 172; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის N1/2/569 გადანყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-44.

<sup>616</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადანყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-23.

ლიტერატურაში ვხვდებით მოსაზრებას, რომ ჩარევის ინტენსივობა არ უკავშირდება აუცილებლობის პრინციპს. ის რელევანტურია მხოლოდ შესატყვისობის (ვინრო გაგებით პროპორციულობის) შემონმებისას.<sup>617</sup> ჩარევის ინტენსივობის შემონმება მართლაც დიდ როლს თამაშობს ძირითადი უფლების შემზღუდვის სიმძიმის დადგენისათვის შესატყვისობის კონტროლის ეტაპზე. მიუხედავად ამისა, ჩარევის სიმძიმე და მისი ინტენსივობა ასევე მნიშვნელოვანია აუცილებლობის შემონმებისას მიზნის მიღწევის სხვადასხვა საშუალებების შედარებისათვის. ამ კუთხით მისი როლის უგულბელებოა არასწორია.<sup>618</sup> აქედან გამომდინარე, ჩარევის ინტენსივობის ფაქტორი გასათვალისწინებელია ორივე შემთხვევაში, ოღონდ განსხვავებული მიზნებისათვის.<sup>619</sup>

ალტერნატიული საშუალება „მსგავსად ქმედითი“ არის მაშინ, როდესაც მას წარმატების მიღწევის აშკარად მსგავსი პერსპექტივა აქვს და არსებითად იგივე შედეგის დადგომას უზრუნველყოფს.<sup>620</sup> საკონსტიტუციო სასამართლო ამის გასარკვევად ამონმებს, თუ რამდენად შეუძლია ნაკლებად შემზღუდველ საშუალებას ლეგიტიმური მიზნის მიღწევა.<sup>621</sup> ალტერნატიულ საშუალებას უნდს ჰქონდეს „რესურსი, ისევე ეფექტურად უზრუნველყოს საჯარო ინტერესის დაცვა, როგორც სადავო რეგულაციას“.<sup>622</sup>

<sup>617</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 116.

<sup>618</sup> Michael, Argumentationsstrukturen, 148 (149).

<sup>619</sup> ლოლაძე, თანაზომიერების პრინციპი, 97 (109).

<sup>620</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 114; BVerfGE 25, 1 (20); 30, 292 (319); 77, 84 (109 ff.); 81, 70 (91); 100, 313 (375).

<sup>621</sup> N2/2/558 გადაწყვეტილება, II-52.

<sup>622</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის N1/5/826 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა ფხალაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-23.

### 3.5. შესატყვისობა

თანაზომიერების პრინციპის მესამე მოთხოვნას სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენებენ: შესატყვისობა,<sup>623</sup> თანაზომიერება ვინრო გაგებით,<sup>624</sup> გადამეტებული ზომების აკრძალვა,<sup>625</sup> დასაშვებობა,<sup>626</sup> პროპორციულობა,<sup>627</sup> სიკეთეთა ანონ-დანონა.<sup>628</sup> ცნებათა ამ მრავალფეროვნებას დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება, რადგანაც მათი შინაარსები ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდება.<sup>629</sup>

შესატყვისობის პრინციპი მოითხოვს ბალანსის დაცვას ჩარევასა და ძირითადი უფლების მნიშვნელობას,<sup>630</sup> შეზღუდვის სიმძიმესა და მისი გამამართლებელი საფუძვლების ნონადობას,<sup>631</sup> ცალკეულ პირთათვის მიყენებულ ზიანსა და საზოგადოებისათვის წარმოშობილ სარგებელს<sup>632</sup> შორის. მაშასადამე, აქ ყურადღების ცენტრშია გონივრული ბალანსი, პროპორცია ძირითადი უფლების შეზღუდვის საშუალებასა და მიზანს შორის.<sup>633</sup>

თეორიაში შესატყვისობის მოთხოვნას შესრულებულად თვლიან, თუ ჩარევით მიყენებული ზიანი იგივე სიდიდისა ან მხოლოდ უმნიშვნელოდ აღემატება მის შედეგად მიღებულ სიკეთეს.<sup>634</sup>

<sup>623</sup> მაგ.: Jarass, GG, Art. 20, Rn. 86; Michael, Argumentationsstrukturen, 148(149).

<sup>624</sup> მაგ.: Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 117; BVerfGE 104, 337 (349).

<sup>625</sup> მაგ.: BVerfGE 90, 145 (173); 105, 17 (36).

<sup>626</sup> მაგ.: Schmidt, Staatsorganisationsrecht, 115.

<sup>627</sup> მაგ.: Starck, GG, Art. 1, Rn. 278.

<sup>628</sup> Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 516.

<sup>629</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 1901.

<sup>630</sup> Robbers, იქვე, Rn. 1919; BVerfGE 67, 157 (173).

<sup>631</sup> Sachs, GG, Art. 20, Rn. 154; BVerfGE 65, 1 (54); 113, 167 (260); 118, 168 (195); 120, 224 (241).

<sup>632</sup> მაგ.: N1/5/826 გადანყვეტილება, II-30; BVerfGE 76, 1 (51); 100, 313 (375 f.).

<sup>633</sup> მაგ.: N2/6/264 გადანყვეტილება, 2, 4; N3/1/512 გადანყვეტილება, II-70; Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (513).

<sup>634</sup> მაგ.: Zippelius, Deutsches Staatsrecht, 124.

საკონსტიტუციო სასამართლო შესატყვისობის უფრო მაღალ სტანდარტს აწესებს – უფლებაში ჩარევა არ უნდა იყოს იმაზე მკაცრი, რასაც მოითხოვს კონკრეტული საჯარო ინტერესის დაცვა.<sup>635</sup> „უფლებისათვის მიყენებული ზიანი არ უნდა აღემატებოდეს იმ ინტერესს, რომლის დაცვისათვისაც ის იზღუდება“.<sup>636</sup> საკონსტიტუციო სასამართლო ძირითადი უფლების შეზღუდვას ვინრო გაგებით პრპორციულად მიიჩნევს, როდესაც ის შესაბამისი საჯარო მიზნის ადექვატურია<sup>637</sup> და ჩარევის საშუალებით დაცული სიკეთე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მის მიერ უფლებისათვის მიყენებული ზიანი.<sup>638</sup> აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო გამორიცხავს, რომ უფლების შეზღუდვით მიყენებული ზიანი აღემატებოდეს მის შედეგად მიღებულ სიკეთეს.

შესატყვისობის შემონება სამი საფეხურისაგან შედგება:<sup>639</sup> 1) ძირითადი უფლების შეზღუდვის შეფასება – შეფასდება ჩარევის სახე, სიმძიმე, ინტენსივობა და მასშტაბები, ასევე მისი ზეგავლენა შესაბამის უფლებაზე;<sup>640</sup> 2) ძირითადი უფლების შეზღუდვის მნიშვნელობის გარკვევა ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის – შეფასდება შეზღუდვის საშუალებით დასაცავი სამართლებრივი სიკეთის რანგი და მის წინააღმდეგ მიმართული საფრთხის ინტენსივობა,<sup>641</sup> ასევე ჩარევის ზღვარი და ფაქტობრივი გარემოებები;<sup>642</sup> 3) სიკეთეთა შედარება და ანონ-დანონა – ამ ეტაპზე ხდება ძირითადი

<sup>635</sup> მაგ.: N1/2/384 გადანყვეტილება, II-11.

<sup>636</sup> N1/5/675, 681 გადანყვეტილება, II-62.

<sup>637</sup> N1/2/384 გადანყვეტილება, II-23.

<sup>638</sup> N1/1/468 გადანყვეტილება, II-44.

<sup>639</sup> დანვრილებით იხ.: Alexy, Verfassungsgerichtsbarkeit und Fachgerichtsbarkeit, 7 (19 f.); Jarass, GG, Art. 20, Rn. 86a; Michael, Argumentationsstrukturen, 148 (150); Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (515 ff.).

<sup>640</sup> BVerfGE 92, 277 (327); 100, 313 (376); 113, 63 (80).

<sup>641</sup> BVerfGE 113, 63 (80); 120, 274 (327).

<sup>642</sup> BVerfGE 115, 320 (360).

უფლების შეზღუდვის სიმძიმისა და მისი ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობის შედარება და აწონ-დაწონა. გამოიყენება ე. წ. „რაც უფრო-მით უფრო ფორმულა“<sup>643</sup> – რაც უფრო მძიმეა ჩარევა ძირითად უფლებაში, მით უფრო წონადი უნდა იყოს მისი მიზანი.<sup>644</sup> საკონსტიტუციო სასამართლოც ხშირად ეყრდნობა ამ ფორმულას.<sup>645</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო შესატყვისობის შეფასებისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს უფლებაში ჩარევის ინტენსივობასა და ხანგრძლივობას,<sup>646</sup> ასევე შეზღუდული ძირითადი უფლების წონადობას.<sup>647</sup> შესაბამისი სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული შესაძლო საფრთხის შეფასება არსებით როლს ასრულებს აწონ-დაწონის პროცესში. სამართლებრივ სიკეთეში იგულისხმება, ერთი მხრივ, ის კონკრეტული ძირითადი უფლება, რომელიც იზღუდება და, მეორე მხრივ, ის საჯარო ინტერესი, რომლის დასაცავადაც ხდება უფლებაში ჩარევა.<sup>648</sup>

საკანონმდებლო ხელისუფლება შესატყვისობის ნაწილშიც დისკრეციის უფრო ფართო სფეროთი სარგებლობს. მეცნიერთა ნაწილის აზრით, კანონმდებელი თანაზომიერების პრინციპს მაშინ არღვევს, თუ შეზღუდული ინტერესები აშკარად უფრო წონადია, ვიდრე სახელმწიფოს ჩარევის მიზნები.<sup>649</sup> ისინი საკანონმდებლო ხელისუფლების ამოცანად მიიჩნევენ მიზანსა და საშუალებას შორის ოპტიმალური ურთიერთმიმართების განსაზღვრას. ცალკეულ შემთხვევებში კანონმდებელს შეუძლია ეს ამოცანა აღმასრულებ-

<sup>643</sup> იხ.: Alexy, Verfassungsgerichtsbarkeit und Fachgerichtsbarkeit, 7 (19); Schnapp, Die Verhältnismäßigkeit, 850 (852); Zippelius, Deutsches Staatsrecht, 124.

<sup>644</sup> BVerfGE 118, 168 (195).

<sup>645</sup> მაგ.: N1/2/384 გადაწყვეტილება, II-19; N2/1/415 გადაწყვეტილება, II-15.

<sup>646</sup> N1/2/503, 513 გადაწყვეტილება, II-43, 52.

<sup>647</sup> N2/1/415 გადაწყვეტილება, II-16.

<sup>648</sup> N1/3/407 გადაწყვეტილება, II-12.

<sup>649</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 1919.

ბელ ხელისუფლებას მიანდოს. საკონსტიტუციო სასამართლოს შეზღუდვა მხოლოდ გადამეტებული ზომების აკრძალვის პრინციპის დარღვევის შემონიშნებითა და აშკარა დარღვევების გამოვლენით ითვლება ანონ-დანონის პროცესში სასამართლოს გადამეტებულად სუბიექტური მიდგომის პრევენციის საშუალებად.<sup>650</sup> ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს გასვლა აშკარა დარღვევების კონტროლის ფარგლებს მიღმა და არსებითი გარემოებების ყოველმხრივი ანონ-დანონვა ხანდახან აუცილებლად მიიჩნევა.<sup>651</sup> ანონ-დანონის პროცესის სიმკაცრე დამოკიდებულია ძირითად უფლებაში ჩარევის ინტენსივობასა და შეზღუდული უფლების მნიშვნელობაზე.<sup>652</sup> საკონსტიტუციო სასამართლოც ანიჭებს კანონმდებელს ფართო დისკრეციას ამ სფეროში.<sup>653</sup> ის მით უფრო მეტი თავისუფლებით სარგებლობს, რაც უფრო მეტი საფრთხე ემუქრება ძირითად უფლებასთან დაპირისპირებულ სიკეთეს.<sup>654</sup>

---

<sup>650</sup> Michael, Argumentationsstrukturen, 148 (149 f.).

<sup>651</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 1920.

<sup>652</sup> Reuter, Die Verhältnismäßigkeit, 511 (514).

<sup>653</sup> მაგ.: N2/2–389 გადანყვეტილება, II-24.

<sup>654</sup> N2/482, 483, 487, 502 გადანყვეტილება, II-102.

## თაჰი VIII. სამართლებრივი უსაფრთხოება

### 1. სამართლებრივი უსაფრთხოების არსი და მნიშვნელობა

სამართალი ანგრევს ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის, თუ ის არ შეესაბამება სამართლებრივი უსაფრთხოების სტანდარტებს. ეს არა მარტო ნეგატიურად აისახება ინდივიდუალურ ინტერესებზე, არამედ სერიოზულად აკნინებს სახელმწიფოსა და სამართლის ავტორიტეტს. სამართლებრივი სახელმწიფო სამართლის უზენაესობის სახელმწიფოა. ის თავადაც მოქცეულია და ინდივიდუალურ თავისუფლებასაც აქცევს სამართლებრივ ჩარჩოებში. ამ ჩარჩოების დაცვისა და პატივისცემის მოთხოვნას აზრი დაეკარგება, თუ ისინი საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, საკმარისად განსაზღვრული, გასაგები და განჭვრეტადი არ არიან, ხოლო მათ ადრესატებს დაკარგული აქვთ ნდობა არსებული სამართლებრივი მდგომარეობის სტაბილურობისადმი. სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი მოითხოვს, რომ სამართალი იყოს გასაგები, სანდო და განჭვრეტადი,<sup>655</sup> ე. ი. აკმაყოფილებდეს ხარისხობრივ სტანდარტებს.<sup>656</sup>

ფართოდ გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, სამართლებრივი უსაფრთხოება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს განეკუთვნება.<sup>657</sup> საკონ-

<sup>655</sup> Arnould, Rechtsstaat, 703 (714).

<sup>656</sup> ლოლაძე, კონსტიტუციონალიზმის ძირითადი პრინციპები, 31 (43).

<sup>657</sup> Badura, Staatsrecht, 377; Benda, Der soziale Rechtsstaat, 719 (741); Dohring, Allgemeine Staatslehre, 179; Fischer K., Die Verfassungsmäßigkeit rückwirkender Normen, Juristische Schulung, 9 (2001), 861 (861); Hofmann, GG, Art. 20, Rn. 89; Mager, Staatsrecht I, 351; Robbers, BK, Art. 20, Rn. 1984; Stein E., Götz F., Staatsrecht, 21., neu bearbeitete Auflage, Tübingen 2010, 156; Zippelius, Deutsches Staatsrecht, 119.

სტიტუციო სასამართლოც უსვამს ხაზს კავშირს სამართლებრივი უსაფრთხოების, მისი ცალკეული მოთხოვნებისა და სამართლებრივ სახელმწიფოს შორის.<sup>658</sup> სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარი მიზანი – თავისუფლების დაცვა და ხელშეწყობა – ვერ განხორციელდება სახელისუფლებო აქტების განუსაზღვრელობის, წინააღმდეგობრიობისა და არაპროგნოზირებადობის პირობებში.<sup>659</sup> ამგვარი სამართლებრივი გარემო არაპროგნოზირებადს ხდის ინდივიდის ცხოვრებას, ართმევს ან უკიდურესად უზღუდავს მას დაგეგმვის საშუალებას, საკუთარი გეგმების მიხედვით ცხოვრების შესაძლებლობა კი ინდივიდუალური თავისუფლების განუყოფელი ნაწილია.<sup>660</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, სამართლებრივი ნდობის პრინციპის დარღვევა აფერხებს ადამიანის პიროვნულ განვითარებას და აქედან გამომდინარე, სამართლებრივი უსაფრთხოების დაცვა პიროვნული თავისუფლების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.<sup>661</sup> სამართლებრივ უსაფრთხოებასა და სამართლებრივი წესრიგის სანდოობას, სუბიექტურთან ერთად, ობიექტური განზომილებაც აქვს. ისინი ითვლებიან თავისუფალი კონსტიტუციური წესრიგის ერთ-ერთ საფუძვლად.<sup>662</sup>

---

<sup>658</sup> N2/2-389 გადაწყვეტილება, II-6; N1/3/407 გადაწყვეტილება, II-11; N2/3/522, 553 გადაწყვეტილება, II-41; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის N2/1/598 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ კანდელაკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-30.

<sup>659</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 326.

<sup>660</sup> Zippelius, Deutsches Staatsrecht, 107.

<sup>661</sup> N2/3/522, 553 გადაწყვეტილება, II-42.

<sup>662</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 2133, 2339, 2345; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 288; Stern K., Rechtliche und ökonomische Bedingungen der Freiheit, in: Stern, Klaus/Siekmann, Helmut (Hrsg.), Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge, Köln/Berlin/Bonn/München 1992, 206 (211).

## 2. ნორმათა სიცხადე

კანონის ხელმისაწვდომობას, სამართლებრივი უსაფრთხოების კონტექსტში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება.<sup>663</sup> ნორმათა სიცხადის პრინციპი მოითხოვს სამართლის ნორმების სათანადო მომზადებასა და გამოქვეყნებას.<sup>664</sup> ნებისმიერმა პირმა უნდა შეძლოს თავისი სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ სანდო ინფორმაციის მიღება არაგონივრული დაბრკოლებების გარეშე.<sup>665</sup> ნორმათა სიცხადის პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს.<sup>666</sup> ზოგიერთი ავტორი მას სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტურ მოთხოვნადაც მიიჩნევს.<sup>667</sup> ნორმათა სიცხადე ასევე კავშირშია საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპებთან.<sup>668</sup>

ნორმათა სიცხადის პრინციპის კონტექსტში, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ითვლება ნორმის „გამოქვეყნებად“. ერთმანეთისაგან განსხვავდება „ფორმალური“ და „მატერიალური“ გამოქვეყნებები. „ფორმალური გამოქვეყნება“ გულისხმობს, რომ ნორმის შინაარსი ცნობილია მისი ადრესატებისათვის, თუ დაცულია გამოქვეყნების ფორმალური წესი. „მატერიალური გამოქვეყნება“ მოითხოვს საზოგადოებისათვის მის ფაქტობრივ გაცნობას. განსხვავებული მიდგომები არსებობს გამოქვეყნების კონცეფციებთან დაკავშირებით. მაგალითად, გერმანული თეორია და სასამართლო პრაქტიკა უპირატესობას ანიჭებს „ფორმალურ

<sup>663</sup> შეადარე მაგ.: N1/3/407 გადაწყვეტილება, II-11.

<sup>664</sup> Arnould, Rechtsstaat, 703 (715); Denninger, „Rechtsstaat“ oder „Rule of law“, 41 (45); Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 52; Jarass, GG, Art. 20, Rn. 66; Sachs, GG, Art. 20, Rn. 123.

<sup>665</sup> Sommermann, GG, Art. 20, Rn. 302.

<sup>666</sup> მაგ.: Hofmann, GG, Art. 20, Rn. 87; Jarass, GG, Art. 20, Rn. 63; BVerfGE 99, 216 (243); 103, 21 (33); 108, 1 (20).

<sup>667</sup> Sachs, GG, Art. 20, Rn. 123.

<sup>668</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 2284; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 140.

გამოქვეყნებას“. საკმარისად ითვლება ფორმალურ-პროცედურული მოთხოვნების დაცვით კანონის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის იმ ფორმით უზრუნველყოფა, რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეს, შეიქმნას წარმოდგენა მის შინაარსზე.<sup>669</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის უფრო მნიშვნელოვანი ნორმის ფაქტობრივი ხელმისაწვდომობაა, ვიდრე მისი ფორმალურად სწორი გამოქვეყნება.<sup>670</sup> ეს მიდგომა ნორმათა სიცხადის საკითხს სუბიექტურ შეფასებებზე გადამეტებულად დამოკიდებულს ხდის. ის მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, როდესაც აშკარაა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობდა კანონზე გონივრული ხელმისაწვდომობა.<sup>671</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს არ მიუნიჭებია უპირატესობა გამოქვეყნების რომელიმე კონცეფციისათვის. მიუხედავად ამისა, საქართველოს კონსტიტუციითა<sup>672</sup> და კანონმდებლობით<sup>673</sup> ნორმატიული აქტების გამოქვეყნების წესის დეტალური რეგულირება ქმნის ვარაუდის საფუძველს, რომ ამ წესით გამოქვეყნებული აქტი ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.<sup>674</sup>

დადგენილი ფორმით გამოქვეყნებას ექვემდებარება არა მხოლოდ კანონები, არამედ სხვა სახელისუფლებო აქტებიც, მათ შორის სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების აქტები.<sup>675</sup> „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონი ითვალისწინ-

<sup>669</sup> მაგ.: BVerfGE 16, 6 (16 ff.); 90, 60 (85); Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 141.

<sup>670</sup> Matscher F., Der Gesetzesbegriff der EMRK, in: Festschrift Edwin Loebenstein zum 80. Geburtstag, Wien 1991, 105 (113, 118).

<sup>671</sup> შეადარე: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 327.

<sup>672</sup> დანვრილებით იხ.: 46-ე მუხლი.

<sup>673</sup> დანვრილებით იხ.: „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის 201 მუხლი, 26-ე – 28-ე მუხლები.

<sup>674</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 328.

<sup>675</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 52; Jarass, GG, Art. 20, Rn. 66; Robbers, BK, Art. 20, Rn. 2288; Sachs, GG, Art. 20, Rn. 124; BVerfGE 84, 133 (159).

ნებს გამონაკლისებს, როდესაც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი არ ქვეყნდება. ეს მხოლოდ მაშინ ხდება, თუ ის სახელმწიფო საიდუმლოებას შეიცავს.<sup>676</sup> თუ ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ზღუდავს უფლებებსა და თავისუფლებებს ან ადგენს იურდიულ პასუხისმგებლობას, მისი გამოქვეყნება სავალდებულოა.<sup>677</sup>

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ითვალისწინებს კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის გამოქვეყნებას.<sup>678</sup> ეს ძალიან სასარგებლო დაინტერესებული პირებისათვის. მათ ეძლევათ შესაძლებლობა, რომ ნათელი წარმოდგენა შეიქმნან სამართლებრივი მდგომარეობის შესაძლო ცვლილებებზე და ჩაერთონ ადმინისტრაციულ წარმოებაში.<sup>679</sup>

ნორმათა სიცხადის პრინციპი ასევე ვრცელდება ნორმის გადასინჯვასა და გაუქმებაზე. ეს პროცედურები უნდა განხორციელდეს შესაბამისი ნორმის მომზადებისა და გამოქვეყნების ანალოგიური წესით.<sup>680</sup> „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონი ითვალისწინებს, რომ ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანა ხდება მხოლოდ იმავე სახის ნორმატიული აქტით.<sup>681</sup> ნორმატიული აქტის ცვლილების მომზადება, მიღება (გამოცემა) და ძალაში შესვლა ხდება იმ ნორმატიული აქტის მომზადების, მიღებისა (გამოცემისა) და ამოქმედებისთვის დადგენილი წესით, რომელშიც შეიტანება ეს ცვლილება.<sup>682</sup> რაც შეეხება ნორმატიული

<sup>676</sup> „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება.

<sup>677</sup> „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადება.

<sup>678</sup> ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 1062 მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>679</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 329.

<sup>680</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 52; Robbers, BK, Art. 20, Rn. 2284; Sachs, GG, Art. 20, Rn. 123.

<sup>681</sup> მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის პირველი წინადადება.

<sup>682</sup> მე-20 მუხლის მე-6 პუნქტი.

აქტის გაუქმებას, ეს შეიძლება მოხდეს იმავე ან უპირატესი იურდიული ძალის მქონე აქტით.<sup>683</sup> ამ კონტექსტში, ასევე რელევანტურია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომელიც ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა ან ძალადაკარგულად გამოცხადება ხდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისათვის/გამოცემისათვის დადგენილი წესით.<sup>684</sup>

საქართველოს კონსტიტუცია მოითხოვს სასამართლო გადაწყვეტილების საქვეყნოდ გამოცხადებას.<sup>685</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ასევე საქვეყნოდ ცხადდება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილება.<sup>686</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის გამოქვეყნებად ითვლება მისი სრული ტექსტის საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნება.<sup>687</sup>

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ შეესაბამება სამართლის სიცხადის მოთხოვნას. კერძოდ, სამოქალაქო საქმეზე ცხადდება არა დასაბუთებული გადაწყვეტილება, არამედ მისი სარეზოლუციო ნაწილი და ისიც მხოლოდ საქმის ზეპირი განხილვის შემდეგ.<sup>688</sup> პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებს აქვთ 14 დღის ვადა სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან დასაბუთებული გადაწყვეტილების მოსამზადებლად მხარეთათვის გადასაცემად,<sup>689</sup> ხოლო საკასაციო სასამართლო-

<sup>683</sup> 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და მე-2 პუნქტი.

<sup>684</sup> 601 მუხლის მე-8 ნაწილი; 61-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>685</sup> 62-ე მუხლის მე-3 პუნქტის მე-3 წინადადება.

<sup>686</sup> 27-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

<sup>687</sup> 25-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

<sup>688</sup> 257-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება.

<sup>689</sup> 257-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

სათვის ეს ვადა ერთი თვითაა განსაზღვრული.<sup>690</sup> დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს დასაბუთებული და ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე და არა პირიქით – ჯერ ჩამოაყალიბოს პოზიცია და შემდეგ ეძებოს არუმენტები მის გასამართლებლად. როდესაც მოსამართლეს გადაწყვეტილების გამოცხადებისას უკვე აქვს შესაბამისი არგუმენტები, მათი დალაგება და ქალაქზე გადატანა არ საჭიროებს იმდენ დროს, რაც არაგონივრულად გააჭიანურებდა სასამართლო პროცესს. თუ დავუშვებთ, რომ მოსამართლემ ისე გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რომ არგუმენტები არ ჰქონდა, ჩნდება ლეგიტიმური და ლოგიკური კითხვა, როგორ მივიდა ის მათ გარეშე საბოლოო გადაწყვეტილებამდე.<sup>691</sup>

ადმინისტრაციულ საქმეებზე საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა გამოქვეყნებაზე, ძირითადად, ვრცელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესი.<sup>692</sup> გამონაკლისის სახით, დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეებისათვის გადასაცემად მომზადების ვადა საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობიდან გამომდინარე დავის შემთხვევაში შემცირებულია 10 დღემდე,<sup>693</sup> ხოლო ნევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურთან ან/და არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურთან დაკავშირებით ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას – 3 კალენდარულ დღემდე.<sup>694</sup> ამასთან, უცვლელი რჩება წესი, რომ ჯერ ცხადდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და მხოლოდ ამის შემდეგ მზადდება დასაბუთებული გადაწყვეტილება. მხოლოდ ნევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურთან ან/და

<sup>690</sup> 257-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>691</sup> შეადარე: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 331.

<sup>692</sup> ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>693</sup> ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 132 მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>694</sup> ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21105 მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურთან დაკავშირებით საქმეებზე არის სასამართლო უფლებამოსილი (და არა ვალდებული), რომ გამოიტანოს დასაბუთებული გადანყვეტილება, ნაცვლად სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისა.<sup>695</sup> აქედან გამომდინარე, ზემოთ გამოთქმული შენიშვნები ადმინისტრაციულ პროცესზეც ვრცელდება. ამასთან, ადმინისტრაციულ პროცესთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა მივუთითოთ იმ უდავოდ მართებულ რეგულირებაზე, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე სასამართლო გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა გამოქვეყნდეს იმავე წესით, რა წესითაც იყო გამოქვეყნებული ბათილად ცნობილი/ძალადაკარგულად გამოცხადებული ნორმატიული აქტი.<sup>696</sup>

განაჩენის მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი ცხადდება საჯაროდ სხდომის დარბაზში სისხლის სამართლის პროცესშიც.<sup>697</sup> მსჯავრდებულისათვის ან გამართლებულისათვის და ბრალმდებლისათვის, ასევე პროცესის სხვა მონაწილისათვის (მისი მოთხოვნით) განაჩენისა და განსხვავებული აზრის ასლების გადაცემისათვის დადგენილია განაჩენის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 5 დღისა, ხოლო რთულ, მრავალტომიან ან მრავალი პირის ბრალდების საქმეზე – არაუგვიანეს 14 დღისა.<sup>698</sup> ამდენად, სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებშიც განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება წინ უსწრებს მის დასაბუთებას. ცხადია, ამ შემთხვევაზეც ვრცელდება ზემოთ ჩამოყალიბებული შენიშვნები.

სამართლის ნორმის ადრესატისათვის ცხადი უნდა იყოს არა მხოლოდ შესაბამისი ნორმის არსებობა, არამედ მისი შინაარსობ-

<sup>695</sup> ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21105 მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>696</sup> ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

<sup>697</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 277-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>698</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 278-ე მუხლის პირველი ნაწილი.

რივი მხარეც. შინაარსობრივი სიცხადე გულისხმობს, რომ ნორმა უნდა იყოს შინაარსობრივად საკმარისად გასაგები, ნათელი, შეცნობადი, აღქმადი და არაორაზროვანი.<sup>699</sup> ეს მოთხოვნა ვრცელდება როგორც ამკრძალავ და შემზღუდველ, ასევე აღმჭურველ ნორმებზე.<sup>700</sup> წინააღმდეგობრივი არ უნდა იყოს არა მხოლოდ ცალკეული ნორმები, არამედ სამართლებრივი ნესრიგი მთლიანობაში.<sup>701</sup> შინაარსობრივი სიცხადის მოთხოვნები ჰგავს განსაზღვრულობის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, ხშირად აღნიშნავენ, რომ ნორმათა სიცხადისა და განსაზღვრულობის პრინციპები ერთმანეთს კვეთს.<sup>702</sup> ვხვდებით მოსაზრებასაც, რომ ნორმათა სიცხადე განსაზღვრულობის პრინციპის შემადგენელი ნაწილია, რომელიც მოითხოვს, რომ ნორმების განმარტება არ უნდა საჭიროებდეს გადამეტებულ ძალისხმევას.<sup>703</sup> ეს მოსაზრება სწორია ნორმათა შინაარსობრივ სიცხადესთან მიმართებით.

ნორმათა სიცხადის პრინციპი მოიცავს ასევე *ნორმათა სინამდვილის* მოთხოვნას.<sup>704</sup> ნორმის ადრესატისათვის გასაგები უნდა იყოს მისი ნამდვილი მიზანი. კანონმდებელმა არ უნდა შენიღბოს თავისი რეალური განზრახვა.<sup>705</sup> მის მიერ ნორმათა სინამდვილის მოთხოვნის დარღვევა საფრთხეს უქმნის ძირითად უფლებებს და

<sup>699</sup> Arnauld, Rechtsstaat, 703 (715); Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 53; Jarass, GG, Art. 20, Rn. 63; Robbers, BK, Art. 20, Rn. 2280 ff.; Sachs, GG, Art. 20, Rn. 125; BVerfGE 1, 14 (45); 17, 306 (314); 47, 239 (247); 98, 106 (118 f.); 99, 216 (243); 103, 21 (33); 108, 169 (181 f.).

<sup>700</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 2291.

<sup>701</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 56; Robbers, BK, Art. 20, Rn. 2282, 2289, 2323; Schnapp, GG, Art. 20, Rn. 46; Zippelius, Deutsches Staatsrecht, 113; BVerfGE 98, 83 (97); 98, 106 (118 f., 125 ff.); 98, 265 (301 f.).

<sup>702</sup> მაგ.: Jarass, GG, Art. 20, Rn. 63.

<sup>703</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 2279.

<sup>704</sup> მაგ.: Robbers, BK, Art. 20, Rn. 2320; Sachs, GG, Art. 20, Rn. 125; BVerfGE 107, 218 (256); 108, 1 (20); 114, 196 (236 f.).

<sup>705</sup> Robbers, იქვე, Rn. 2322; BVerfGE 17, 306 (318).

ართულებს მათ დაცვას.<sup>706</sup> ავტორიტარული რეჟიმებისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა ნორმათა სინამდვილის მოთხოვნის იგნორირება. ისინი ხშირად ნილბავენ ძირითადი უფლებების მძიმე ხელყოფას კეთილშობილური მიზნებით.

ნორმათა სიცხადის კონტექსტში, მნიშვნელოვანია მითითებითი ნორმების თემა. მითითებითი ნორმები, როგორც ასეთი, არ ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს.<sup>707</sup> განსხვავებენ *სტატიკურ* და *დინამიურ* მითითებებს.<sup>708</sup> სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს, რომ დაინტერესებულ პირს, პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გარეშე, უნდა შეეძლოს მითითებული ნორმებისა და მათი შინაარსის საკმარისი სიცხადით აღქმა.<sup>709</sup> ნორმათა სიცხადის პრინციპი ირღვევა, როდესაც მითითებებითა და ე. წ. „შემდგომი მითითებებით“ წარმოიქმნება შეცდომის მაღალი რისკი სამართალგამოყენებაში.<sup>710</sup>

### **3. განსაზღვრულობა**

#### **3.1. განსაზღვრულობის პრინციპის საფუძვლები და მოქმედების სფერო**

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი წარმოადგენს სახელისუფლებო აქტების განსაზღვრულობის მოთხოვნის დოგმატურ საფუძველს.<sup>711</sup> საკონსტიტუციო სასამართლო ასევე აკავშირებს

<sup>706</sup> ლოლაძე, კონსტიტუციონალიზმის ძირითადი პრინციპები, 31 (44).

<sup>707</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 54; Robbers, BK, Art. 20, Rn. 2285 f.; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 138.

<sup>708</sup> დანვრილებით იხ.: Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 54 f.; Hofmann, GG, Art. 20, Rn. 88; Robbers, BK, Art. 20, Rn. 2285 f.; Schnapp, GG, Art. 20, Rn. 39; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 290.

<sup>709</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 2266; Schnapp, GG, Art. 20, Rn. 39; BVerfGE 8, 274 (302).

<sup>710</sup> BVerfGE 110, 33 (61 f.).

<sup>711</sup> შეადარე: ლოლაძე, ფირცხალაშვილი, ძირითადი უფლებები, 196; Jarass, GG, Art. 20, Rn. 57; Papier H.-J., Möller J., Das Bestimmtheitsgebot und seine Durchsetzung, Archiv des öffentlichen Rechts, 122 (1997), 177 (178); Robbers,

განსაზღვრულობას სამართლებრივ უსაფრთხოებასა და სამართლებრივ სახელმწიფოსთან.<sup>712</sup> სამართლის უზენაესობის ნომოკრატიული იდეის განხორციელება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც სამართალი განსაზღვრული და გასაგებია.<sup>713</sup>

განსაზღვრულობის პრინციპი უკავშირდება სამართლებრივი სახელმწიფოს ისეთ მნიშვნელოვან ელემენტებს, როგორცაა კანონით შეზღუდვა, ძალაუფლების გამიჯვნა, ძირითად უფლებები<sup>714</sup> და სამართლებრივი დაცვა.<sup>715</sup> მაგალითად, ნორმა უნდა იყოს იმდენად განსაზღვრული, რომ იძლეოდეს სასამართლო კონტროლის განხორციელების საკმარის საშუალებას.<sup>716</sup>

---

BK, Art. 20, Rn. 2128; BVerfGE 120, 274 (315 f.).

<sup>712</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406, 408 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-34; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/4/614, 616 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიგა ბარათაშვილი და კარინე შახპარონიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-22; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის N2/3/680 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს იუ-სი-ჯი გრინ ფაუერი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუნეებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-29.

<sup>713</sup> Kunig, Rechtsstaatsprinzip, 396; Papier, Möller, Das Bestimmtheitsgebot, 177 (181 f.).

<sup>714</sup> Gärditz, GG, Art. 20, Rn. 227; Hofmann, GG, Art. 20, Rn. 85; Kunig, Rechtsstaatsprinzip, 398 ff.; Papier, Gewaltentrennung, 95 (103); Papier, Möller, Das Bestimmtheitsgebot, 177 (179 f.); Zippelius, Deutsches Staatsrecht, 119. კრიტიკა: Ulrich M. Gassner: Gesetzgebung und Bestimmtheitsgrundsatz, Zeitschrift für Gesetzgebung, 37 (1996), S. 37 (42 ff., 50 ff.); ლოლაძე ბ., განსაზღვრულობის პრინციპი სამართლებრივ სახელმწიფოში, დემეტრაშვილი სოფიო (რედ.), ავთანდილ დემეტრაშვილი 80, თბილისი 2021, 509 (510–511).

<sup>715</sup> Papier, Gewaltentrennung, 95 (103); Papier, Möller, Das Bestimmtheitsgebot, 177 (180 f.); Robbers, BK, Art. 20, Rn. 2131; Zippelius, Deutsches Staatsrecht, 119; ლოლაძე, განსაზღვრულობის პრინციპი, 509 (511).

<sup>716</sup> Badura, Staatsrecht, 377; Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 58; BVerfGE 110, 33 (54 f.).

თავის მხრივ, სასამართლო კონტროლი ასრულებს დამაბალანსებელი ფაქტორის როლს საკანონმდებლო ნორმების განუსაზღვრელობისას.<sup>717</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო ხაზს უსვამს განსაზღვრულობის მნიშვნელობას, ერთი მხრივ, კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფისათვის და მეორე მხრივ, ძირითად უფლებებში თვითნებური ჩარევებისაგან ეფექტიანი სამართლებრივი დაცვისათვის. განსაზღვრულობის პრინციპი პირს იცავს სამართალშემფარდებლის თვითნებობისაგან, რის საფუძველსაც ბუნდოვანი და გაუგებარი კანონმდებლობა ქმნის.<sup>718</sup> აქედან გამომდინარე, საჯარო ხელისუფლების უფლებამოსილებებს კანონი დეტალურად და განსაზღვრულობის საკმარისი დონით უნდა ადგენდეს. ის არ უნდა აძლევდეს აღმასრულებელ ხელისუფლებას თავისი საქმიანობის ფარგლების დამოუკიდებლად დადგენის შესაძლებლობას. ეს ზრდის ძირითად უფლებებში გადამეტებული ჩარევის საფრთხეს და უფლებამოსილების შეგნებულად ბოროტად გამოყენების ცდუნებას.<sup>719</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კანონი თავად არ უნდა ახდენდეს მისივე დარღვევის პროვოცირებას.“<sup>720</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ზოგადად სასამართლოსა და განსაკუთრებით – უზენაესი სასამართლოს როლს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და განსაზღვრულობის პრინციპის დაცვისათვის. ეს როლი გამოიხატება ნორმათა განმარტებასა და შეფარდებაში, კანონის ინტერპრეტაციის სწორი და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებაში, კანონის ბუნდოვანებისა და არაერთგვაროვანი გამოყენების პრევენციაში. საერთო სასამართლოები აღმოფხვრიან საკანონმდებლო ვაკუუმსა და ხარვეზებს კანონის ინტერპრეტაციითა და ანალოგიის გამოყენებით.

<sup>717</sup> Gärditz, GG, Art. 20, Rn. 227.

<sup>718</sup> N3/7/679 გადანყვეტილება, II-29.

<sup>719</sup> N1/3/407 გადანყვეტილება, II-14; N1/4/614, 616 გადანყვეტილება, II-22.

<sup>720</sup> N1/1/625, 640 გადანყვეტილება, II-69.

საკონსტიტუციო სასამართლოს ეს მიდგომა მიაჩნია სამართლებრივ ურთიერთობათა სრულ სპექტრთან დაკავშირებით მართლმსაჯულების განხორციელების გარანტიად.<sup>721</sup>

განსაზღვრულობის პრინციპის გამოყენების სფერო ფართოა. ის, პირველ რიგში, ვრცელდება სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობებზე. ამ სფეროში განსაზღვრულობის მოთხოვნის სიმკაცრის ხარისხი ყველაზე მაღალია. განსაზღვრულობის პრინციპს მნიშვნელობა აქვს სხვა სფეროებშიც. მაგალითად, მის ნაწილად ითვლება *კომპეტენციის განსაზღვრულობა*,<sup>722</sup> რაც ძალიან მნიშვნელოვანია საჯარო სუბიექტებს შორის ურთიერთობაში. განსაზღვრულობის სტანდარტებს, მართალია, შედარებით მსუბუქად, მაგრამ მაინც უნდა აკმაყოფილებდეს კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმებიც.

### **3.2. განსაზღვრულობის პრინციპის მოთხოვნები**

განსაზღვრულობის პრინციპის უნივერსალური დეფინიცია არ არსებობს.<sup>723</sup> აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ტერმინოლოგიური თვალსაზრისითაც.<sup>724</sup> საკონსტიტუციო სასამართლო ასევე შეუძლებლად მიიჩნევს განსაზღვრულობის ზოგადი მასშტაბის დადგენას და მიუთითებს კონკრეტული შემთხვევის თავისებურებების მნიშვნელობაზე.<sup>725</sup> განსაზღვრულობის კონკრეტული შინაარსობრივი მოთხოვნები სხვადასხვა შემთხვევებში მართლაც განსხვავებულია. ამასთან, მაინც შეიძლება ზოგადი წარმოდგენის ჩამოყალიბება იმაზე, თუ რას მოითხოვს განსაზღვრულობის პრინციპი.<sup>726</sup>

<sup>721</sup> N2/1/598 გადანყვეტილება, II-14, 31.

<sup>722</sup> Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 139.

<sup>723</sup> მაგ.: Gärditz, GG, Art. 20, Rn. 227; Robbers, BK, Art. 20, Rn. 2129, 2199.

<sup>724</sup> დანვრლებით იხ.: Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 133.

<sup>725</sup> N2/3/406, 408 გადანყვეტილება, II-37; N3/7/679 გადანყვეტილება, II-30.

<sup>726</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 334.

ნორმის შინაარსი ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ მისმა ადრესატებმა აღიქვან თავიანთი სამართლებრივი მდგომარეობის არსი და შესატყვისად იმოქმედონ.<sup>727</sup> ადამიანმა ზუსტად და სწორად უნდა გაიგოს, თუ რას მოითხოვს მისგან კანონმდებელი, რათა განჭვრიტოს თავისი მოქმედების შედეგი.<sup>728</sup> კანონმა მის მიერ მოწესრიგებული ურთიერთობები არა მხოლოდ ნათლად უნდა ჩამოაყალიბოს, არამედ უნდა გამიჯნოს ერთმანეთისაგან. მაგალითად, განსაზღვრულობის პრინციპს არღვევს ერთი და იმავე ქმედებისათვის სამართლებრივი პასუხისმგებლობის სხვადასხვა სახის დაწესება და სამართალგამომყენებლისა და სამართალშემფარდებლისათვის სრული თავისუფლების მინიჭება, თუ რა სახის პასუხისმგებლობა უნდა დააკისრონ პირს კონკრეტულ შემთხვევაში.

განსაზღვრულობის პრინციპი მოითხოვს სამართლებრივი მდგომარეობის ნათლად და გასაგებად ჩამოყალიბებას არა მხოლოდ კანონის ადრესატებისათვის, არამედ ნორმათშემფარდებლებისთვისაც.<sup>729</sup> ერთის მხრივ, პირმა, რომლის უფლებაც იზღუდება, ზუსტად უნდა იცოდეს ჩარევის მიზანი, წესი, დრო ფორმა და განხორციელებაზე უფლებამოსილი სუბიექტი. მეორე მხრივ, სამართალშემფარდებელი საჭიროებს მკაფიო ინსტრუქციებს ჩარევის საფუძვლების, მიზნების, წესისა და ინტენსივობის თაობაზე, რათა არ განხორციელდეს უფლების თვითნებური შეზღუდვა.<sup>730</sup>

ნორმა უნდა იყოს განსაზღვრული საკმარისად და არა ოპტიმალურად ან მაქსიმალურად.<sup>731</sup> ყველა ნორმა გასაგები ვერ იქნება

<sup>727</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 58; Mager, Staatsrecht I, 355; Papier, Möller, Das Bestimmtheitsgebot, 177 (184); Robbers, BK, Art. 20, Rn. 2129; Sachs, GG, Art. 20, Rn. 126; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 289; Stein, Götz, Staatsrecht, 156; Stern, Staatsrecht I, 830; BVerfGE 31, 255 (264); 108, 52 (75); 110, 33 (53 f.); 113, 348 (375).

<sup>728</sup> მაგ.: N2/2–389 გადაწყვეტილება, II-6; N1/3/407 გადაწყვეტილება, II-11; N2/3/406, 408 გადაწყვეტილება, II-36.

<sup>729</sup> N1/2/384 გადაწყვეტილება, II-26; N2/4/532, 533 გადაწყვეტილება, II-27.

<sup>730</sup> N1/4/614, 616 გადაწყვეტილება, II-23.

<sup>731</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 61; Künig,

ნებისმიერი ადამიანისათვის.<sup>732</sup> გადამეტებულმა განსაზღვრულობამ ზოგჯერ შეიძლება ხელი შეუშალოს ნორმის განმარტებას ძირითადი უფლებების შესაბამისად და ამით საფრთხე შეუქმნას ცალკეული ურთიერთობების სამართლიანად მოწესრიგებას.<sup>733</sup> ამასთან, კანონის განსაზღვრულობა არ უნდა იყოს იმდენად დაბალი ხარისხის, რომ ისეთი არსებითი საკითხების გადაწყვეტამ, როგორც ძირითადი უფლებების შეზღუდვა, აღმასრულებელი ან სასამართლო ხელისუფლების დისკრეციის სფეროში გადაინაცვლოს.<sup>734</sup>

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კანონით ნათლად განისაზღვროს ადმინისტრაციულ ორგანოთა მოქმედების სფეროს საზღვრები და შესაძლებელი იყოს მათი დარღვევის სასამართლოს საშუალებით გადამოწმება. ეს მოთხოვნა განსაკუთრებით მკაცრია მაშინ, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს ენიჭება ინდივიდის სამართლებრივ პოზიციებში ჩარევის უფლებამოსილება.<sup>735</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს ასევე შეუძლებლად მიაჩნია საკანონმდებლო რეგულირებისას ყველა ბუნდოვანების *a priori* თავიდან აცილება. მიუხედავად ამისა, ის კანონმდებლისაგან მოითხოვს, რომ მან ნათლად ჩამოაყალიბოს ძირითადი იდეა, თავისი მიზნები და ნება მაინც.<sup>736</sup> აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას ახასიათებს გარკვეული წინააღმდეგობები განსაზღვრულობის საკითხში კანონმდებლის თავისუფალი მოქმედების სფეროსთან დაკავშირებით.<sup>737</sup> როგორც წესი, კანონმდებელს ენიჭება ფართო დისკრეცია იმ პირობით, რომ მისი ნება

---

Rechtsstaat, 421 (440).

<sup>732</sup> ლოლაძე, განსაზღვრულობის პრინციპი, 509 (514).

<sup>733</sup> Gassner, Bestimmtheitsgrundsatz, 37 (41).

<sup>734</sup> Gärditz, GG, Art. 20, Rn. 227; Hesse, Bedeutung der Grundrechte, 127 (155). შეადარე ასევე: N2/1/415 გადაწყვეტილება, II-41.

<sup>735</sup> მაგ.: Robbers, BK, Art. 20, Rn. 2175; BVerfGE 6, 32 (42); 21, 73 (78 ff.).

<sup>736</sup> N2/3/406, 408 გადაწყვეტილება, II-37.

<sup>737</sup> დანვრილებით იხ.: ლოლაძე, განსაზღვრულობის პრინციპი, 509 (515–517).

ნათლად უნდა შეიცნობოდეს. ამგვარად შეიძლება ნორმის არასწორი ინტერპრეტაციის, თვითნებობისა და ძირითადი უფლებების დარღვევის თავიდან აცილება.<sup>738</sup> განსაზღვრულობის შემომების სიმკაცრე იცვლება იმის მიხედვით, თუ როგორია კონკრეტულ შემთხვევაში ძირითადი უფლების შეზღუდვის ინტენსივობა და სიმძიმე,<sup>739</sup> ე. ი. საკონსტიტუციო სასამართლო იყენებს „რაც უფრო, მით უფრო“ ფორმულას. N1/3/407 გადაწყვეტილება უხვევს ამ მიდგომიდან, რადგანაც მოითხოვს ნორმის თითქმის ოპტიმალურ განსაზღვრულობას, რომელიც ცალსახად გამორიცხავს ძირითადი უფლების დარღვევის ცალკეულ შემთხვევასაც კი.<sup>740</sup> სადავო ნორმა არღვევს განსაზღვრულობის პრინციპს, თუ მისი გონივრული განმარტების ერთი ვერსია მაინც არაკონსტიტუციურია.<sup>741</sup> საკონსტიტუციო სასამართლო იგივე გადაწყვეტილებაში ავითარებს სანინალმდეგო მოსაზრებას და აცხადებს, რომ ნორმის განუსაზღვრელობა არაკონსტიტუციური არ არის, თუ შესაძლებელია მისი გონივრული ინტერპრეტაცია, რაც ნორმისა და მის მიერ მოწესრიგებული ურთიერთობების არსს დამაჯერებლად ცხადსა და თვალსაჩინოს გახდის.<sup>742</sup>

შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ამჟამად უფრო განსაზღვრულობის პრინციპის მკაცრი გაგება დომინირებს. ნორმა ითვლება არაკონსტიტუციურად, თუ ის იძლევა არაკონსტიტუციური განმარტების შესაძლებლობას.<sup>743</sup> სასამართლოს განმარტებით, ნორმა უნდა იყოს იმდენად განსაზღვრული, „რომ მისი გამოყენების საფუძველზე, ცალსახად გამოირიცხოს კონსტიტუციური უფლების დარღვევის შემთხვევა“.<sup>744</sup> მკაცრი მი-

<sup>738</sup> N1/2/384 გადაწყვეტილება, II-12.

<sup>739</sup> იქვე, II-26; N1/5/675, 681 გადაწყვეტილება, II-61.

<sup>740</sup> N1/3/407 გადაწყვეტილება, II-11.

<sup>741</sup> იქვე, II-30.

<sup>742</sup> იქვე, II-16.

<sup>743</sup> N3/2/646 გადაწყვეტილება, II-43.

<sup>744</sup> N1/4/614, 616 გადაწყვეტილება, II-26.

დგომის დომინაცია, სავარაუდოდ იმითაა განპირობებული, რომ სასამართლოს ეჭვი ეპარება, რომ კეთილსინდისიერად აღსრულება მისი გადანყვეტილება და გადანყვეტილების ადრესატები თავს შეიკავებენ ნორმის არაკონსტიტუციური ინტერპრეტაციისაგან. სამწუხაროდ, ეს პესიმიზმი არც თუ ისე უსაფუძვლოა. საკონსტიტუციო სასამართლოს მოუწევს მსგავსი ნაბიჯების გადადგმა, ვიდრე არ გაფართოვდება მისი უფლებამოსილება ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებისა და საერთო სასამართლოების გადანყვეტილებების საკონსტიტუციო კონტროლის თვალსაზრისით.

განსაზღვრულობის გამკაცრებული სტანდარტის დაუკმაყოფილებლობის გამო ნორმის სრულად არაკონსტიტუციურად გამოცხადების პრევენცია შესაძლებელია სადავო ნორმის ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობის ინსტიტუტის გამოყენებით.<sup>745</sup> ის იძლევა არა მთლიანად ნორმის, არამედ მისი კონკრეტული განმარტების, ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობის შესაძლებლობას.<sup>746</sup>

უცხოური გამოცდილების მიხედვით, განსაზღვრულობის მოთხოვნები კონკრეტულ შემთხვევაში დამოკიდებულია ნორმის გავლენის ინტენსივობაზე მის ადრესატზე, ასევე მის მიერ მონესრიგებული ურთიერთობის თავისებურებებზე.<sup>747</sup> გამორჩეულად მკაცრად ფასდება ძირითადი უფლების მზღლუდავი ნორმა, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც შეზღუდვის წინაპირობებს ადგენს.<sup>748</sup> ის უნდა იყოს საკემარისად განსაზღვრული შინაარსის, რეგულირების საგნის, მიზნისა და მასშტაბების მიხედვით.<sup>749</sup> საკონსტიტუციო

<sup>745</sup> შეადარე: ლოლაძე, განსაზღვრულობის პრინციპი, 509 (517–518).

<sup>746</sup> მაგ.: N3/7/679 გადანყვეტილება, II-32.

<sup>747</sup> Gärditz, GG, Art. 20, Rn. 227; Jarass, GG, Art. 20, Rn. 59; Kunig, Rechtsstaat, 421 (440); Papier, Möller, Das Bestimmtheitsgebot, 177 (187 f.); Robbers, BK, Art. 20, Rn. 2199; BVerfGE 86, 288 (311); 93, 213 (238); 102, 254 (337); 109, 133 (188); 110, 33 (55).

<sup>748</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 65; Sachs, GG, Art. 20, Rn. 128; BVerfGE 17, 306 (314 f); 41, 251 (266).

<sup>749</sup> Hofmann, GG, Art. 20, Rn. 85; Papier, Möller, Das Bestimmtheitsgebot, 177

კონტროლის განხორციელებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძირითად უფლებაში ჩარევის ფორმას, სიმძიმესა და ინტენსივობას,<sup>750</sup> ასევე იმას, თუ რამდენად ცალსახად და გასაგებად არის ჩამოყალიბებული და გამოკვეთილი სადავო ნორმის რეგულირების საგანი.<sup>751</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოც უსვამს ხაზს განსაზღვრულობის პრინციპის მნიშვნელობას ძირითადი უფლებების შეზღუდვისას და მათი შინაარსის განსაზღვრისას.<sup>752</sup> ის განიხილავს ნორმის განსაზღვრულობის შემოწმებას, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის ნაწილს და ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმს.<sup>753</sup> სასამართლო აღნიშნავს, რომ ბუნდოვან და ორაზროვან ნორმას არ შეუძლია კონსტიტუციის შესაბამისად მოაწესრიგოს ძირითად უფლებაში ჩარევა.<sup>754</sup> ძირითადი უფლების შეზღუდვის მიზნები, საფუძვლები და შედეგები განსაზღვრული და განჭვრეტადი უნდა იყოს.<sup>755</sup>

განსაზღვრულობა უნდა აკმაყოფილებდეს განსაკუთრებით მკაცრ სტანდარტებს იმ შემთხვევაში, როდესაც ძირითად უფლებაში ჩარევას აქვს ფარული ხასიათი და ინდივიდმა მხოლოდ **post factum** შეიძლება შეიტყოს ამის შესახებ.<sup>756</sup> მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ გამორჩეულად მკაცრად შეაფასა იმ ნორმათა განსაზღვრულობა, რომლებიც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ფარგლებში კომუნიკაციის საიდუმლოებას ზღუდავდა. მან ეს სიმკაცრე გაამართლა იმით, რომ ამ ღონისძიებებს ფარული

---

(188); Sommermann, GG, Art. 20, Rn. 291; BVerfGE 8, 274 (325); 80, 137 (161).

<sup>750</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 2139, 2200; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 289, 291; BVerfGE 83, 130 (145); 110, 33 (55); 120, 378 (408).

<sup>751</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 60; BVerfGE 87, 234 (263); 93, 213 (238); 102, 254 (337); 102, 347 (361).

<sup>752</sup> N1/1/374, 379 გადაწყვეტილება, II; N1/3/407 გადაწყვეტილება, II-11.

<sup>753</sup> N2/2-389 გადაწყვეტილება, II-6; N1/3/407 გადაწყვეტილება, II-11.

<sup>754</sup> N2/1/415 გადაწყვეტილება, II-41.

<sup>755</sup> N1/2/503, 513 გადაწყვეტილება, II-26.

<sup>756</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 65; BVerfGE 100, 313 (359 f., 372); 110, 33 (53 f.).

ხასიათი აქვს, ხოლო ინდივიდს არ ეძლევა სამართლებრივი საშუალება, მონაწილეობა მიიღოს შესაბამის სასამართლო პროცესში და დაიცვას თავისი ინტერესები. გართულებულია იმ მესამე პირის ინტერესების დაცვაც, რომლის უფლებებიც ზიანდება მიუხედავად იმისა რომ, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება მის წინააღმდეგ არ არის მიმართული.<sup>757</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების მომწესრიგებელი ნორმები იმდენად განსაზღვრული უნდა იყოს, რომ გამორიცხავდეს ძირითადი უფლებების დარღვევის მცირე საფრთხესაც კი.<sup>758</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო არანაკლები სიმკაცრით აფასებს განსაზღვრულობას სისხლისა და საპოლიციო სამართლის სფეროში, როდესაც მაგალითად, საქმე შეეხება პოლიციური უფლებამოსილებების დამდგენ ნორმებს, რომლებიც ძირითადი უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობას იძლევა.<sup>759</sup> სასამართლოს პოზიციით, მაქსიმალურად ცალსახა და განსაზღვრული უნდა იყოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები. არ უნდა არსებობდეს მათი ორაზროვანი განმარტებისა<sup>760</sup> და სამართალშემფარდებლების მხრიდან მანიპულირებისა და თვითნებობის შესაძლებლობა.<sup>761</sup>

საინტერესოა N1/3/393, 397 გადაწყვეტილება სისხლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების იმ ნორმების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, რომლებიც ითვალისწინებდა დაპატიმრებას სასამართლოსადმი აშკარა და უხეში უპატივცემულობის გამო. საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ორ გარემოებაზე. პირველ რიგში, კანონმდებელმა ნათლად უნდა ჩამოაყალიბოს და განმარტოს სამართალდარ-

<sup>757</sup> N1/3/407 გადაწყვეტილება, II-13.

<sup>758</sup> N2/1/484 გადაწყვეტილება, II-10.

<sup>759</sup> N1/2/503, 513 გადაწყვეტილება, II-26.

<sup>760</sup> N2/3/182, 185, 191 გადაწყვეტილება, 1, 2.

<sup>761</sup> N2/1/631 გადაწყვეტილება, II-16.

ღვევის შინაარსი. გარდა ამისა, სამართალდარღვევა მკვეთრად და ცალსახად უნდა იმიჯნებოდეს მსგავსი ობიექტის წინააღმდეგ მიმართული სხვა სამართალდარღვევებისაგან. სადავო ნორმები არ შეესაბამებოდა ამ მოთხოვნებს. მათი შინაარსი იყო ბუნდოვანი. გარდა ამისა, შეუძლებელი იყო სადავო ნორმების ცალსახა გამიჯვნა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მსგავსი დანაშაულებრივი ქმედებისაგან.<sup>762</sup>

განსაზღვრულობის მოთხოვნები შედარებით მსუბუქია კერძო სამართლის სფეროში. ეს გამონაკლისი არის კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა ავტონომიურობის მაღალი დონით. ამ ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების განსაზღვრულობის შეფასებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ მათ უნდა ჰქონდეთ მრავალფეროვნებისა და მოქნილობის მაღალი ხარისხი.<sup>763</sup> მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ სახელშეკრულებო ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების განსაზღვრულობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „...ხისტი მიდგომა მნიშვნელოვნად გაართულებდა სახელშეკრულებო ურთიერთობებს და მრავალმხრივ შეაფერხებდა საზოგადოების განვითარებას.“<sup>764</sup>

### **3.3. განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებები და ზოგადი დათქმები**

განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებები და ზოგადი დათქმები ხშირად გვხვდება ნორმატიულ აქტებში. მათ აქვთ ზოგადი შინაარსი, რაც წარმოშობს ფართო სივრცეს ინტერპრეტაციისათვის. განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებებისა და ზოგადი დათქმების გამოყენება ზრდის სამართლის შესაძლებლობას დინამიურად ცვალებადი ურთიერთობების მოწესრიგებისას. ამასთან, ისინი

<sup>762</sup> N1/3/393, 397 გადაწყვეტილება, III.

<sup>763</sup> ლოლაძე, განსაზღვრულობის პრინციპი, 509 (522).

<sup>764</sup> N3/7/679 გადაწყვეტილება, II-47.

ზრდიან სახელმწიფო ორგანოთა თვითნებური მოქმედების საფრთხეს. აქედან გამომდინარე, საჭიროა სათანადო ბალანსის დაცვა, რაც შესაძლებელია განსაზღვრულობის პრინციპის მართებული გამოყენებით განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებებისა და ზოგადი დათქმების მიმართ.<sup>765</sup>

განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებისა და ზოგადი დათქმის გამოყენება, როგორც ასეთი, სისხლის სამართლის სფეროშიც კი არ გულისხმობს, რომ ამით ირღვევა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი და კონსტიტუცია.<sup>766</sup> მათი არსებობა ზოგჯერ საჭიროც კი არის, რათა გაადვილდეს ნორმების ცვალებად რეალობაზე მორგება.<sup>767</sup> მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებელს ობიექტურად არ შეუძლია გონივრული ეჭვის წარმოქმნის შემთხვევებისა და მონაცემების ამომწურავი ჩამონათვალის განსაზღვრა. მან უნდა დაადგინოს ზოგადი კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც შეიძლება პირის დაკავების კონკრეტული შემთხვევის განხილვა და შეფასება.<sup>768</sup> საკონსტიტუციო სასამართლო ასევე აღიარებს მოქნილი ტერმინების გამოყენების საჭიროებას საპოლიციო სამართალში და აცხადებს, რომ ნორმას პრაქტიკული გამოყენებისათვის გარკვეული მოქნილობა სჭირდება, რათა მოერგოს წინასწარ განუსაზღვრელ გარემოებებს.<sup>769</sup> ეს მიდგომა განსხვავდება საკონსტიტუციო სასამართლოს ადრინდელი პოზიციისაგან, რომელიც მან ჩამოაყალიბა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“

<sup>765</sup> ლოლაძე, განსაზღვრულობის პრინციპი, 509 (522–523).

<sup>766</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 2146, 2204; BVerfGE 92, 1 (12); 96, 68 (97 f.).

<sup>767</sup> დაწვრილებით იხ.: Bachof, Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates, 201 (240, 257); Hofmann, GG, Art. 20, Rn. 86; Kunig, Rechtsstaat, 421 (440); Mager, Staatsrecht I, 355 f.; Papier, Möller, Das Bestimmtheitsgebot, 177 (184 ff.); Schnapp, GG, Art. 20, Rn. 39; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 289; Zippelius, Deutsches Staatsrecht, 120.

<sup>768</sup> N2/1/415 გადაწყვეტილება, II-46.

<sup>769</sup> N1/2/503, 513 გადაწყვეტილება, II-31.

კანონის, რომელიც კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებდა, კონსტიტუციურობაზე მსჯელობისას. სასამართლოს აზრით, კანონის საერთო შინაარსს აბუნდოვანებდა, მის გაგებასა და ცალკეული მუხლებით გათვალისწინებულ ურთიერთობებში გარკვევას ართულებდა ის გარემოება, რომ არ იყო განმარტებული ტერმინები „მოსარგებლე“, „რეგისტრაცია“, „გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ“ და სხვა.<sup>770</sup> ეს პოზიცია გადაჭარბებულად მკაცრია, რადგანაც კერძო სამართალში განსაზღვრულობის სტანდარტი შედარებით რბილია, რაც არ გაუთვალისწინებია საკონსტიტუციო სასამართლოს.

განსაზღვრულობის პრინციპი დაცულია, თუ განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნების ან ზოგადი დათქმის დაზუსტება და სანდო ინტერპრეტაცია შესაძლებელია განმარტების ტრადიციული მეთოდების გამოყენებით.<sup>771</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონის ბუნდოვანება *a priori* არ ნიშნავს მის არაკონსტიტუციურობას, თუ ის „განმარტების სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენებით იძლევა მისი შინაარსის განსაზღვრის შესაძლებლობას.“<sup>772</sup> ურთიერთობის ზოგადი ნორმით მონესრიგება არ ითვლება ამ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის თვითკმარ საფუძვლად.<sup>773</sup> საკონსტიტუციო სასამართლო ნორმათშემფარდებლისაგან მოითხოვს განმარტების ისეთი მეთოდის გამოყენებას, რომელიც ყველაზე კარგად ჰფენს ნათელს ნორმის არსსა და მოქმედების ფარგლებს.<sup>774</sup>

<sup>770</sup> N1/1/103, 117, 137, 147–48, 152–53 გადაწყვეტილება, II-5.

<sup>771</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 2204; Sachs, GG, Art. 20, Rn. 127; BVerfGE 90, 1 (16 f.); 92, 365 (409 f.); 117, 71 (111 f.); 118, 168 (188).

<sup>772</sup> N2/1/631 გადაწყვეტილება, II-17, 18.

<sup>773</sup> N3/7/679 გადაწყვეტილება, II-51, 52.

<sup>774</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-18.

მისი აზრით, კანონი განუსაზღვრელია, როდესაც მიუხედავად ინტერპრეტაციის ყველა მეთოდის გამოყენებისა, შეუძლებელია მისი ნამდვილი შინაარსის დადგენა ან კანონის არსი გასაგებია, მაგრამ ბუნდოვანია მისი მოქმედების ფარგლები.<sup>775</sup>

ნორმის განმარტებისა და დაკონკრეტების აუცილებლობა არ ნიშნავს მის განუსაზღვრელობას.<sup>776</sup> ამასთან, დაცული უნდა იყოს საკანონმდებლო დისკრეციის გარე ზღვარი და ნორმა ტოვებდეს სასამართლო შემონმების შესაძლებლობას.<sup>777</sup> დაუშვებელია, რომ მისი ამკარა განუსაზღვრელობა საფუძველს უქმნიდეს სამოხელეო ან სამოსამართლეო თვითნებობას.<sup>778</sup> მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლო პოზიციით, სისხლის სამართლის ნორმების ინტერპრეტაციისას მაქსიმალურად უნდა შემცირდეს ურთიერთსაწინააღმდეგო სამართლებრივი შედეგების მიღების შანსი. ქმედების დასჯადობის დადგენის კანონმდებლის ექსკლუზიური უფლებამოსილება ისე უნდა განხორციელდეს, რომ ნორმის შემფარდებელმა თავად ვერ შესძლოს დანაშაულის შემადგენლობის შექმნა.<sup>779</sup>

ზემოხსენებულ კონტექსტში, საინტერესო არის **N1/1/186** გადაწყვეტილებაც. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სადავო ნორმის მიხედვით, სასამართლოს შეეძლო მხარის წარმომადგენლად არ დაეშვა პირი, რომელსაც არ ჰქონდა „საკმარისი მონაცემები“. კანონმდებელი არ აკონკრეტებდა, თუ რას გულისხმობდა ამ ტერმინში. შედეგად, მოსამართლე სრული თავისუფლებით სარგებ-

<sup>775</sup> იქვე, II-19.

<sup>776</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 2205, 2218; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 289; Stein, Götz, Staatsrecht, 156; BVerfGE 83, 130 (145); 84, 133 (149); 103, 332 (384).

<sup>777</sup> Jarass, GG, Art. 20, Rn. 58; Schnapp, GG, Art. 20, Rn. 39; BVerfGE 6, 32 (42); 21, 73 (78 ff.).

<sup>778</sup> შეადარე: Papier, Gewaltentrennung, 95 (105); Robbers, BK, Art. 20, Rn. 2174; BVerfGE 80, 137 (161).

<sup>779</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის **N2/2/516, 542** გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-37.

ლობდა სადავო ნორმის ინტერპრეტაციისას, რაც ზრდიდა თვითნებობის რისკს. მდგომარეობას ართულებდა ის გარემოება, რომ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გასაჩივრება არ დაიშვებოდა. ეს ყოველივე მძიმედ არღვევდა დაცვის უფლებას.<sup>780</sup>

### **3.4. განსაზღვრულობის პრინციპი და სამართალგამოყენების პრაქტიკა**

ნორმის გამოყენების პრაქტიკა, რომელიც შეესაბამება კონსტიტუციას, *a priori* არ ადასტურებს ამ ნორმის კონსტიტუციურობას.<sup>781</sup> საკონსტიტუციო სასამართლო სწორ პრაქტიკას თვლის არასაკმარისად უფლების დარღვევის საფრთხის პრევენციისათვის.<sup>782</sup> ამასთან, სასამართლოს მიაჩნია ნორმის არაკონსტიტუციურად გამოყენების პრაქტიკის არარსებობა დამატებით არგუმენტად მისი კონსტიტუციურობის სამტკიცებლად.<sup>783</sup>

პრაქტიკაში ნორმის არასწორი განმარტება ავტომატურად არ ნიშნავს მის არაკონსტიტუციურობას.<sup>784</sup> აქედან გამომდინარე, ნორმის კონსტიტუციურობის შემონმებისას მისი გამოყენების პრაქტიკა, მართალია, მხედველობაში მიიღება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ნორმა სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა,<sup>785</sup> მაგრამ არაკონსტიტუციურობა, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს სადავო დანაწესის შინაარსიდან და არა მისი გამოყენების პრაქტიკიდან.<sup>786</sup>

<sup>780</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 26 თებერვლის N1/1/186 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ნაქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>781</sup> N1/3/407 გადაწყვეტილება, II-28.

<sup>782</sup> N2/1/536 გადაწყვეტილება, II-47.

<sup>783</sup> N1/3/538 გადაწყვეტილება, II-15; N2/1/631 გადაწყვეტილება, II-53.

<sup>784</sup> N2/2/180–183 გადაწყვეტილება, 4; N2/3/406, 408 გადაწყვეტილება, II-44.

<sup>785</sup> N2/1/481 განჩინება, II-10.

<sup>786</sup> შეადარე: N1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილება, II-20.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა არაერთგვაროვანია სამართალგამოყენების პრაქტიკის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. სასამართლოსათვის გადაწყვეტილებათა ერთ ნაწილში პრიორიტეტული არის სადავო ნორმის მისეული ინტერპრეტაცია.<sup>787</sup> ამასთან, ის ბევრ გადაწყვეტილებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სხვა ორგანოთა მიერ სადავო ნორმის განმარტებას. საკონსტიტუციო სასამართლომ, ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული ნდობა გამოუცხადა საერთო სასამართლოებს და აღნიშნა, რომ „როგორც წესი, იღებს და იხილავს საკანონმდებლო ნორმას სწორედ იმ ნორმატიული შინაარსით, რომლითაც იგი საერთო სასამართლომ გამოიყენა.“<sup>788</sup> მან მიიჩნია საერთო სასამართლოების პრაქტიკაში დამკვიდრებულ ნორმის განმარტება მის ცალსახა, რეალურ შინაარსად, ხოლო უზენაესი სასამართლოს მიერ შემოთავაზებულ ინტერპრეტაცია – ნორმის შინაარსის გაგების წყაროდ.<sup>789</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, საერო სასამართლოებისა და უზენაესი სასამართლოს მიერ ნორმის ერთგვაროვანი განმარტების შემთხვევაში მისი ბუნდოვანების პრობლემა არ დგას.<sup>790</sup> მან მოგვიანებით შეამცირა საერთო სასამართლოებისადმი ფაქტობრივად უპირობო ნდობის ხარისხი და აღიარა, რომ საერთო სასამართლოების მიერ განხორციელებული განმარტება შეიძლება იყოს მიუღებელი მისი არაერთგვაროვნების ან აშკარა არაგონივრულო-

<sup>787</sup> მაგ.: N1/3/407 გადაწყვეტილება, II-29–31; N2/3/406, 408 გადაწყვეტილება, II-45; N2/482, 483, 487, 502 გადაწყვეტილება, II-118.

<sup>788</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის N1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის N1/10/703 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12; N3/4/550 გადაწყვეტილება, II-4; N3/7/679 გადაწყვეტილება, II-75.

<sup>789</sup> N1/10/703 გადაწყვეტილება, II-14, 16, 19.

<sup>790</sup> იქვე, II-17.

ბის გამო.<sup>791</sup> განმარტების არაერთგვაროვნებაში იგულისხმება საერთო სასამართლოების წინააღმდეგობრივი პოზიცია ერთსა და იმავე საკითხზე, რაც იწვევს მართლმსაჯულების არაპროგნოზირებადობას. აშკარად არაგონივრულია მაგალითად განმარტება, რომელიც უპირისპირდება კანონმდებლის ნებას, ფაქტობრივად აყალიბებს ახალ კანონს და სარფთხეს უქმნის ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპს.<sup>792</sup>

მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რამ გამოიწვია ძირითადი უფლების დარღვევა. თუ ეს არის ნორმის აშკარად თვითნებური განმარტების შედეგი, მაშინ ლოგიკური გამოსავალია იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობა, რაც ნორმამ შეიძინა ამგვარი განმარტებით. როდესაც ძირითადი უფლებების ხელმყოფი პრაქტიკა გამოწვეულია თვით სადავო ნორმის განუსაზღვრელობით, მაშინ მთლიანად ნორმა და არა მისი რომელიმე ნორმატიული შინაარსი უნდა გამოცხადდეს არაკონსტიტუციურად. ამ შემთხვევების გამიჯვნა შესაძლებელია ე. წ. „კეთილსინდისიერი განმარტების ტესტის“ გამოყენებით. ეს ტესტი თავდაპირველად ჩამოყალიბდა N2/2–389 გადაწყვეტილებაში და უკავშირდებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო ნორმების აშკარად თვითნებურ განმარტებას. ტესტის მიხედვით, თუ კეთილსინდისიერი განმარტების პირობებში შეუძლებელია ნორმის თვითნებური და ძირითად უფლებათა საზიანო გამოყენება, ის შეესაბამება სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნებს.<sup>793</sup> საკონსტიტუციო სასამართლო ხშირად იყენებს „კეთილსინდისიერი განმარტების ტესტს“ სიმკაცრის სხვადასხვა ხარისხით.<sup>794</sup>

<sup>791</sup> N1/2/552 გადაწყვეტილება, II-16; N3/7/679 გადაწყვეტილება, II-78.

<sup>792</sup> N1/10/703 გადაწყვეტილება, II-38.

<sup>793</sup> N2/2–389 გადაწყვეტილება, II-6.

<sup>794</sup> მაგ.: N2/1/415 გადაწყვეტილება, II-43; N1/3/538 გადაწყვეტილება, II-3, 6, 12; N2/1/631 გადაწყვეტილება, II-58–60, 75; N3/2/646 გადაწყვეტილება, II-69; N2/3/680 გადაწყვეტილება, II-9.

### 3.5. ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განსაზღვრულობა

განსაზღვრულობის პრინციპი ვრცელდება სამართალგამოყენებისა და სამართალშეფარდების აქტებზე.<sup>795</sup> არა მხოლოდ ინდივიდუალურ-სამართლებრივი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის სამართლებრივი საფუძველი, არამედ თვით ეს აქტიც უნდა იყოს საკმარისად განსაზღვრული.<sup>796</sup> თეორიაში გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ამ სახის აქტები უნდა აკმაყოფილებდეს განსაზღვრულობის გამკაცრებულ მოთხოვნებს, რადგანაც ისინი შეეხებიან კონკრეტულ შემთხვევებს და აღასრულებენ ნორმატიულ აქტს ამ შემთხვევებში.<sup>797</sup> განსაზღვრულობის პრინციპი ვრცელდება როგორც მავალეზელ ან ამკრძალავ, ასევე აღმჭურველ ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებზე.<sup>798</sup>

სასამართლო გადაწყვეტილებები უნდა აძლევდეს სამართლებრივი მდგომარეობის მკაფიოდ აღქმის შესაძლებლობას იმ პირებს, რომლებსაც ისინი შეეხება. მაგალითად, საერთო სასამართლომ ისე უნდა განმარტოს ნორმა, რომ პირისათვის ნათელი იყოს, თუ რა ქმედების გამო ეკისრება მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.<sup>799</sup> სასამართლოს მიერ შემოთავაზებული ნორმის განმარტება უფრო ნათელი და გასაგები უნდა იყოს, ვიდრე თვით ამ ნორმის შინაარსი.<sup>800</sup> განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განსაზღვრუ-

<sup>795</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 2137.

<sup>796</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 67; Jarass, GG, Art. 20, Rn. 61; Robbers, BK, Art. 20, Rn. 2157 ff.

<sup>797</sup> Grzeszick, იქვე, Rn. 68; Robbers, BK, Art. 20, Rn. 2208; Sachs, GG, Art. 20, Rn. 130.

<sup>798</sup> შეადარე: Zippelius, Deutsches Staatsrecht, 119 f.; BVerfGE 108, 52 (75).

<sup>799</sup> N3/2/416 გადაწყვეტილება, II-38.

<sup>800</sup> Papier, Möller, Das Bestimmtheitsgebot, 177 (192).

ლობა მის აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემებისა და დაბრკოლებების პრევენციისათვის.<sup>801</sup> სასამართლო გადაწყვეტილების მკაფიო და თანამიმდევრული არგუმენტაცია აუცილებელია არა მარტო ადამიანის უფლებების უკეთ დაცვისთვის, არამედ ის ასევე ამაღლებს სასამართლო ხელისუფლებისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლის ავტორიტეტს.

## **4. სამართლის მდგრადობა და ნდობის დაცვა**

### **4.1. სამართლის მდგრადობისა და ნდობის დაცვის ზოგადი მნიშვნელობა**

სახელმწიფო აქტების მდგრადობა და ნდობის დაცვა არსებული სამართლებრივი მდგომარეობის ან სუბიექტურსამართლებრივი პოზიციისადმი ითვლება სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის ცენტრალურ ელემენტებად.<sup>802</sup> სამართალმა სტაბილურობა უნდა დაამკვიდროს და განამტკიცოს. ის ამ ფუნქციას ასრულებს, თუ პირს შეუძლია თავისი სამართლებრივი მდგომარეობის განჭვრეტა და აქვს მისდამი ნდობა.<sup>803</sup> ის, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება გაუცხოვდეს სახელმწიფოსა და სამართლის მიმართ ან სულაც, დაუპირისპირდეს მათ.<sup>804</sup> არასტაბილური, არამდგრადი სამართალი ვერ ასრულებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების მომწესრიგებელი ფაქტორის როლს.<sup>805</sup>

<sup>801</sup> ლოლაძე, კონსტიტუციონალიზმის ძირითადი პრინციპები, 31 (45).

<sup>802</sup> ლოლაძე, იქვე; Mager, Staatsrecht I, 356; Robbers, BK, Art. 20, Rn. 2540; Sachs, GG, Art. 20, Rn. 131; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 154 ff., 506 ff; Stern, Staatsrecht I, 831.

<sup>803</sup> შედარე: Benda, Der soziale Rechtsstaat, 719 (741).

<sup>804</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 342.

<sup>805</sup> Maurer H., Kontinuitätsgewähr und Vertrauensschutz (§ 79), in: Isensee, Josef/Kirchhof, Paul: Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band IV – Aufgaben des Staates, 3., völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, Heidelberg 2006, 395 (396).

ინდივიდებისათვის სამართლებრივი უსაფრთხოება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ნდობის დაცვას.<sup>806</sup> სამართლის მდგრადობა და ნდობის დაცვა მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. სამართლის მდგრადობა აძლიერებს ინდივიდის ნდობას სახელისუფლებო აქტებისა და მათი სტაბილურობისადმი.<sup>807</sup> ნდობის დაცვის პრინციპი მოითხოვს, რომ გათვალისწინებული, რესპეტირებული და დაცული იყოს ცალკეული პირის ნდობა შესაბამისი სამართლებრივი მდგომარეობის მდგრადობისადმი და სახელმწიფო მოქმედებების სანდოობისადმი.<sup>808</sup>

ნდობის დაცვის პრინციპი აქცევს კონსტიტუციით დაცული სამართლებრივი პოზიციების შემზღუდავ სახელისუფლებო აქტებს ვინრო და მკაცრ საზღვრებში.<sup>809</sup> მისი მოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ ძირითადი უფლებებით, არამედ ის ვრცელდება სხვა სფეროებზეც.<sup>810</sup> მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ნდობაც ექვემდებარება დაცვას.<sup>811</sup> ნდობის დაცვა ასევე ითვლება ევროპული გაერთიანების სამართლის ერთ-ერთ დაუნერეღ პრინციპად.<sup>812</sup>

ნდობის დაცვის პრინციპი საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში უფრო ცნობილია „სამართლებრივი ნდობის პრინციპის“ სახელწოდებით. სასამართლო მის მიზნად მიიჩნევს სამარ-

<sup>806</sup> მაგ.: Badura, Staatsrecht, 375, 378; Fischer, Die Verfassungsmäßigkeit rückwirkender Normen, 861 (861); BVerfGE 13, 261 (271).

<sup>807</sup> Sachs, GG, Art. 20, Rn. 131.

<sup>808</sup> Maurer, Kontinuitätsgewähr und Vertrauensschutz, 395 (397, 401); Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 155.

<sup>809</sup> BVerfGE 63, 343 (356 f.); 67, 1 (14).

<sup>810</sup> Maurer, Kontinuitätsgewähr und Vertrauensschutz, 395 (401, 474); Sachs, GG, Art. 20, Rn. 131; Thienel R., Vertrauensschutz und Verfassungsrecht, Wien 1990, 72.

<sup>811</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 1998.

<sup>812</sup> Altmeyer S, Vertrauensschutz im Recht der Europäischen Union und im deutschen Recht. Analyse und Vergleich anhand der Rechtsprechung des EuGH und der deutschen Fachgerichte, Baden-Baden 2003, 117.

თლისადმი მოქალაქეების ნდობის განმტკიცებას. დაცულია მხოლოდ ისეთი ნდობა, რომელიც ეფუძნება ლეგიტიმურ და კანონიერ მოლოდინს. ნდობის პრინციპი ირღვევა, თუ ეს მოლოდინი გაუმაართლებლად და დაუსაბუთებლად შეზღუდული.<sup>813</sup>

## 4.2. ნამდვილი და არანამდვილი უკუძალა

ნორმების უკუძალის საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის მდგრადობისა და ნდობის დაცვის კონტექსტში. განსხვავებენ უკუძალის ორ სახეს: (1) ნამდვილი (რეტროაქტიური) უკუძალა და (2) არანამდვილი (რეტროსპექტიური) უკუძალა.<sup>814</sup> ნამდვილი უკუძალა ნიშნავს, რომ ნორმა ერევა დასრულებულ სამართლებრივ ურთიერთობაში და ცვლის მის შედეგებს. არანამდვილი უკუძალის შემთხვევაში, ნორმა ვრცელდება დაუსრულებელ სამართლებრივ ურთიერთობაზე და ზეგავლენას ახდენს მასზე სამომავლოდ, ე. ი. არ ცვლის იმ სამართლებრივ შედეგებს, რომლებიც დადგა მის ამოქმედებამდე.<sup>815</sup>

განსხვავებულია მიდგომა სხვადასხვა სახის უკუძალის დასაშვებობის მიმართ. არანამდვილი უკუძალა, როგორც წესი, კონსტიტუციურსამართლებრივად დასაშვებია.<sup>816</sup> სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი არ კრძალავს ნორმებში ცვლილებების შე-

<sup>813</sup> N2/3/522, 553 გადანყვეტილება, II-42, 43, 44, 65; N1/2/569 გადანყვეტილება, II-33.

<sup>814</sup> დანვრილებით იხ.: N1/1/428, 447, 459 გადანყვეტილება, II-7; BVerfGE 11, 139 (145 f.); 101, 239 (263 f.); 103, 271 (287); 103, 392 (403); 105, 17 (36 f.); 109, 133 (180 ff.). კრიტიკულად: Altmeyer, Vertrauensschutz, 133; Mager, Staatsrecht I, 357 f. სანიანალმდეგო პოზიცია იხ.: Thienel, Vertrauensschutz, 20.

<sup>815</sup> შეადარე მაგ.: N1/1/428, 447, 459 გადანყვეტილება, II-6; Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 76; Hofmann, GG, Art. 20, Rn. 78; Jarass, GG, Art. 20, Rn. 69; Mager, Staatsrecht I, 356 f.; Schnapp, GG, Art. 20, Rn. 41.

<sup>816</sup> მაგ.: Mager, Staatsrecht I, 357; Robbers, BK, Art. 20, Rn. 2423; Zippelius, Deutsches Staatsrecht, 121.

ტანას.<sup>817</sup> ნამდვილი უკუძალა, ძირითადად, არაკონსტიტუციურია. ის არ შეესაბამება სამართლებრივი უსაფრთხოებისა და ნდობის დაცვის პრინციპებს.<sup>818</sup>

ნამდვილი უკუძალა არ არის აბსოლუტურად აკრძალული. მისი, გამონაკლისის სახით, დაშვება მოითხოვს განსაკუთრებულ გამართლებას.<sup>819</sup> უცხოური გამოცდილების მიხედვით, ნამდვილი უკუძალა შეიძლება იყოს გამართლებული, თუ ის განპირობებულია საყოველთაო კეთილდღეობის გადაუდებელი და აუცილებელი საფუძვლებით ან არ არსებობს დასაცავი ინდივიდის ნდობა. ნამდვილი უკუძალის გამართლების ყველაზე გავრცელებული მაგალითია შემთხვევები, როდესაც: (1) არსებული სამართლებრივი მდგომარეობა იმდენად ბუნდოვანი და ნაკლოვანია, რომ სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი მის უკუძალით შეცვლას მოითხოვს; (2) პირს აქვს ნდობა ნორმის მიმართ, რომელიც არ არის ძალაში; (3) პირს უნდა ჰქონოდა სამართლებრივი მდგომარეობის უკუძალით შეცვლის მოლოდინი; (4) პირს არ გამოუხატავს ნდობა არსებული სამართლებრივი მდგომარეობისადმი; (5) საქმე შეეხება უმნიშვნელო შემთხვევას.<sup>820</sup>

<sup>817</sup> Fischer, Die Verfassungsmäßigkeit rückwirkender Normen, 861 (863); Jarass, GG, Art. 20, Rn. 73; BVerfGE 103, 271 (287).

<sup>818</sup> Mager, Staatsrecht I, 357; Robbers, BK, Art. 20, Rn. 2382.

<sup>819</sup> Jarass, GG, Art. 20, Rn. 71; Maurer, Kontinuitätsgewähr und Vertrauensschutz, 395 (424); Robbers, BK, Art. 20, Rn. 2345; ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა ნესრიგი, 71; BVerfGE 72, 200 (257).

<sup>820</sup> დანერგებით იხ.: ლოლაძე ბ., უკუძალის საკითხის მართებული განმარტების მნიშვნელობა ძირითადი უფლებების სფეროში, კორკელია კონსტანტინე (რედ.), „ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში“, თბილისი 2017, 115 (123–124); Altmeyer, Vertrauensschutz, 131 f.; Fischer, Die Verfassungsmäßigkeit rückwirkender Normen, 861 (862 f.); Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 83 ff.; Hofmann, GG, Art. 20, Rn. 81 ff.; Jarass, GG, Art. 20, Rn. 72; Mager, Staatsrecht I, 357; Maurer, Kontinuitätsgewähr und Vertrauensschutz, 395 (418 ff.); Robbers, BK, Art. 20, Rn. 2393 ff.;

საკონსტიტუციო სასამართლო გაცილებით მკაცრად უდგება ნამდვილი უკუძალის დასაშვებობის საკითხს. მისი აზრით, ნამდვილი უკუძალა, გამონაკლისის წესით, მხოლოდ მაშინაა გამართლებული, როდესაც კანონი უკუძალით აუმჯობესებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას.<sup>821</sup> ეს ხისტი პოზიცია, სავარაუდოდ, განპირობებულია იმით, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უკუძალის თემას მხოლოდ კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის (ძველი რედაქციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი) ქრილში განიხილავს და იყენებს წესისა და გამონაკლისის იმ კონსტრუქციას, რასაც ეს კონსტიტუციური ნორმა გვთავაზობს.<sup>822</sup> სასამართლოს ყურადღების მიღმა რჩება ის გარემოება, რომ 31-ე მუხლის მე-9 პუნქტი შეეხება მხოლოდ იმ ნორმებს, რომლებიც აწესრიგებენ სამართლებრივ პასუხისმგებლობას და ანალოგიური სიმკაცრის გამოჩენა სხვა საკითხების მარეგულირებელი ნორმებისადმი გაუმართლებელია.

ზემოაღნიშნული მიდგომით არის გამოწვეული საკონსტიტუციო სასამართლოს გადამეტებულად ლოიალური პოზიცია არანამდვილი უკუძალის დასაშვებობასთან დაკავშირებით.<sup>823</sup> ის თვლის არანამდვილ უკუძალას კანონის დროში მოქმედების ბუნებრივ და აუცილებელ ფორმად, რომელიც შეიძლება ჰქონდეს სამართლებრივი მდგომარეობის როგორც გამაუმჯობესებელ, ასევე გამაუარესებელ კანონს.<sup>824</sup> არანამდვილი უკუძალის ფაქტობრივად აბსოლუტური დასაშვებობის აღიარება არ არის მართებული, რადგანაც

---

Schnapp, GG, Art. 20, Rn. 42; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 295; Stein, Götz, Staatsrecht, 160; Zippelius, Deutsches Staatsrecht, 122; BVerfGE 13, 261 (272); 30, 367 (389); 72, 200 (258 f.); 95, 64 (86 f.); 97, 67 (79 f., 81 f.); 98, 17 (39); 101, 239 (263 f.); 103, 392 (404).

<sup>821</sup> N1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილება, II-6.

<sup>822</sup> ლოლაძე, უკუძალის საკითხის მართებული განმარტების მნიშვნელობა, 115 (124).

<sup>823</sup> იქვე.

<sup>824</sup> N1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილება, II-7.

კანონმდებელი ამ დროს ვალდებულია შეასრულოს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და ნდობის დაცვის მოთხოვნები.<sup>825</sup> არანამდვილი უკუძალა შეიძლება, გამონაკლისის სახით, ჩაითვალოს არაკონსტიტუციურად, თუ არსებობს გარკვეულ წინაპირობათა ერთობლიობა.<sup>826</sup> პირველ რიგში, ნორმა არანამდვილი უკუძალით უნდა აუარესებდეს სამართლებრივ მდგომარეობას იმგვარად, რისი განჭვრეტაც შეუძლებელი იყო და რასაც პირი წინასწარ ვერ გაითვალისწინებდა.<sup>827</sup> გარდა ამისა, პირის ნდობა არსებული სამართლებრივი მდგომარეობის მიმართ უნდა იყოს უფრო წონადი, ვიდრე ნორმის საზოგადოებრივად სასარგებლო მიზანი.<sup>828</sup> ამის გარკვევა შესაძლებელია სიკეთეთა შედარებისა და ანონ-დანონვის მეთოდის გამოყენებით.<sup>829</sup> ცხადია, არანამდვილი უკუძალის გამართლება უფრო მარტივია, ვიდრე ნამდვილი უკუძალის. პირის ნდობა შეიძლება გადანონოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის არა მხოლოდ „გადაუდებელმა და აუცილებელმა“, არამედ „უპირატესმა“ ინტერესმაც.<sup>830</sup> ამ დროს სახელმწიფოს მიერ ცვლილების განხორციელების ინტერესს აქვს უფრო დიდი წონა, ვიდრე ნამდვილი უკუძალის შეთხვევაში.<sup>831</sup>

<sup>825</sup> Fischer, Die Verfassungsmäßigkeit rückwirkender Normen, 861 (863); Maurer, Kontinuitätsgewähr und Vertrauensschutz, 395 (427); Robbers, BK, Art. 20, Rn. 2429.

<sup>826</sup> Fischer, Die Verfassungsmäßigkeit rückwirkender Normen, 861 (863); Hofmann, GG, Art. 20, Rn. 80; Jarass, GG, Art. 20, Rn. 74; Schnapp, GG, Art. 20, Rn. 42.

<sup>827</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 91; Robbers, BK, Art. 20, Rn. 2429; BVerfGE 68, 287 (307).

<sup>828</sup> Badura, Staatsrecht, 378; Zippelius, Deutsches Staatsrecht, 121; BVerfGE 101, 239 (263); 103, 392 (403).

<sup>829</sup> Altmeyer, Vertrauensschutz, 131 f.; Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 90; Maurer, Kontinuitätsgewähr und Vertrauensschutz, 395 (432 f.); Robbers, BK, Art. 20, Rn. 2433 ff.

<sup>830</sup> Stein, Götz, Staatsrecht, 160.

<sup>831</sup> Maurer, Kontinuitätsgewähr und Vertrauensschutz, 395 (427).

### 4.3. სამართლებრივი მდგომარეობის დამამძიმებელი ნორმების უკუძალა

ნდობის დაცვის პრინციპს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივი მდგომარეობის დამამძიმებელი კანონების უკუძალის შემთხვევაში.<sup>832</sup> ინდივიდს უნდა ჰქონდეს ნდობა სამართლის მდგრადობისადმი დროში.<sup>833</sup> ის სხვაგვარად ვერ შეძლებს სამართლით მინიჭებული შესაძლებლობების სრულყოფილად განხორციელებას და დადგენილი აკრძალვების კეთილსინდისიერად დაცვას.<sup>834</sup>

დამამძიმებლად ითვლება არა მხოლოდ მავალელები ან ამკრძალავი, არამედ ნებისმიერი სხვა ნორმა, რომელიც არსებულ სამართლებრივ პოზიციას უკუძალით აუარესებს,<sup>835</sup> მაგალითად აუქმებს ან ამცირებს იმ შეღავათს, რომლითაც პირთა გარკვეული ჯგუფი სარგებლობდა. უკუძალის აკრძალვა არის მნიშვნელოვანი არა მხოლოდ სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის, არამედ სახელმწიფოსა და თვითმმართველ ერთეულებს შორის ურთიერთობისთვისაც.<sup>836</sup>

საქართველოს კონსტიტუცია არ შეიცავს ნორმას, რომელიც გენერალურად აკრძალავდა სამართლებრივი მდგომარეობის დამამძიმებელი ნორმების უკუძალას. 31-ე მუხლის მე-9 პუნქტი შეეხება მხოლოდ სამართლებრივი პასუხისმგებლობის დამდგენ ან დამამძიმებელ ნორმებს.<sup>837</sup> აქ იგულისხმება არა მარტო სისხლის-სამართლებრივი, არამედ ნებისმიერი სხვა სახის სამართლებრივი

<sup>832</sup> Altmeyer, Vertrauensschutz, 109; Robbers, BK, Art. 20, Rn. 2332.

<sup>833</sup> Maurer, Kontinuitätsgewähr und Vertrauensschutz, 395 (403); Zippelius, Deutsches Staatsrecht, 120.

<sup>834</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 343.

<sup>835</sup> Hofmann, GG, Art. 20, Rn. 80; BVerfGE 30, 367 (386).

<sup>836</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 2352.

<sup>837</sup> შეადარე: ლოლაძე, უკუძალის საკითხის მართებული განმარტების მნიშვნელობა, 115 (116–117).

პასუხისმგებლობის შემოღება ან გამკაცრება, ასევე სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებების შეცვლის შემთხვევები.<sup>838</sup>

კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტი განამტკიცებს კანონიერების პრინციპს, უზრუნველყოფს სამართლის საგარანტიო ფუნქციას. ის სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის პრაქტიკული რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი საფუძველია.<sup>839</sup> ეს ნორმა პირს აძლევს შესაძლებლობას, წინასწარ დადგენილი, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი და ზოგადი წესების საფუძველზე განჭვრიტოს, თუ რომელი ქმედებაა მართლსაწინააღმდეგო და თავისი საქმიანობა ამ წესების დაცვით წარმართოს. 31-ე მუხლის მე-9 პუნქტი წარმოადგენს ქმედით გარანტიას თვითნებური სამართლებრივი დევნის წინააღმდეგ, აქვს აბსოლუტური ხასიათი და არ უშვებს გამონაკლისს. მისი დარღვევისას საფრთხე ექმნება არა მარტო ცალკეულ უფლებებს, არამედ სამართლებრივ უსაფრთხოებასა და კონსტიტუციურ ღირებულებათა მთელ წესრიგს. ეს წესრიგი ადამიანებს უქმნის იმის გონივრულ მოლოდინს, რომ სახელმწიფო იმოქმედებს სამართლის ფარგლებში და ცალკეულ პირთა ქმედება შეფასდება არსებული ნორმატიული სინამდვილის საფუძველზე.<sup>840</sup>

<sup>838</sup> შეადარე: ლოლაძე, იქვე, 115 (117); N1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილება, II-4; N1/2/552 გადაწყვეტილება, II-6; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 13 აპრილის N3/1/633, 634 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის “გ” ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის “გ” ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-15; Kunig, Rechtsstaatsprinzip, 417; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 164; BVerfGE 26, 186 (203 f.).

<sup>839</sup> N1/4/557, 571, 576 გადაწყვეტილება, II-47.

<sup>840</sup> შეადარე: N1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილება, II-1; N3/2/416 გადაწყვეტილება, II-40.

საკონსტიტუციო სასამართლომ გაავრცელა უკუძალის აკრძალვის პრინციპის მოქმედება პირობით მსჯავრზე. მართალია, პირობითი მსჯავრი არ არის სასჯელის სახე, მაგრამ ის ყოველთვის უკავშირდება სასჯელს. საკონსტიტუციო სასამართლო არ განიხილავს სასჯელს, როგორც სანქციის მხოლოდ რაოდენობრივ მხარეს. სასჯელი გამოიხატება სანქციის რეალიზაციის ფორმაშიც. პირობით მსჯავს აქცესორული ხასიათი აქვს, რადგანაც ის არ არსებობს სასჯელის გარეშე. ის ხანდახან უფრო ამსუბუქებს პირის მდგომარეობას, ვიდრე სასჯელის შემცირებას. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ სასჯელის, ანუ სამართლებრივი პასუხისმგებლობის ირიბ გამკაცრებას გაუთანაბრა პირობითი მსჯავრის უკუძალით გაუქმება.<sup>841</sup>

როგორც აღვნიშნეთ, კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტი არ მოიცავს უკუძალის ყველა შემთხვევას. საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა ამ საკითხისადმი ერთგვაროვანი არ არის. მის ადრეულ პრაქტიკაში ვხვდებით პოზიციას, რომ ეს ნორმა მხოლოდ იმ კანონის უკუძალის საკითხს შეეხება, რომელიც სამართლებრივ პასუხისმგებლობას ანესებს ან ამკაცრებს.<sup>842</sup> მოგვიანებით საკონსტიტუციო სასამართლომ 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის (იმჟამინდელი 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის) მოქმედება გაავრცელა ყველა იმ კანონზე, რომელიც „...წარსულში წარმოშობილი ურთიერთობების მონესრიგებას ისახავს მიზნად (ან ასეთი თანმდევი ეფექტი გააჩნია)...“<sup>843</sup> მათ შორის უფლების დამდგენ ან სხვაგვარად სარგებლის მიმნიჭებელ კანონებზეც.<sup>844</sup>

უკუძალის საკითხის სრულად მოქცევა 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მოქმედების სფეროში, როგორც აღვნიშნეთ, ზოგჯერ

<sup>841</sup> N1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილება, II-31-33.

<sup>842</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 29 ოქტომბრის N2/16/201 განჩინება საქმეზე „მოქალაქე დიმიტრი ციხელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2.

<sup>843</sup> N1/2/552 გადაწყვეტილება, II-4.

<sup>844</sup> იქვე, II-8, 9.

ქმნის მცდარი დასკვნების გამოტანის საფუძველს. აქ დაისმის ლოგიკური კითხვა: თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომას არ გავიზიარებთ, რამდენად იქნება შესაძლებელი იმ ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმება, რომელსაც უკუძალა აქვს, მაგრამ სამართლებრივ პასუხისმგებლობას არ შეეხება? ამ კითხვას დადებითი პასუხი უნდა გავცეთ. კანონმდებელი, პასუხისმგებლობის დამდგენი ან დამამძიმებელი ნორმების უკუძალის აბსოლუტური აკრძალვის პარალელურად, შეზღუდულია სახელმწიფო მოქმედების განჭვრეტადობისა და პროგნოზირებადობის სამართლებრივსახელმწიფოებრივი მოთხოვნით. ეს ხდება მაშინ, როდესაც უკუძალის მქონე ნორმა პირის სამართლებრივ მდგომარეობას აუარესებს და ამით ნდობის დაცვის პრინციპს არღვევს.<sup>845</sup> ბუნებრივია, პირი ვერ იდავეებს საკონსტიტუციო სასამართლოში მხოლოდ პრინციპის დარღვევაზე, მაგრამ თუ სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებამ და ნდობის დაცვის პრინციპის დარღვევამ მისი რომელიმე ძირითადი უფლება ხელჰყო, მას შეუძლია ამ უფლების დარღვევაზე მითითება და თავისი არგუმენტაციის გამყარება უკუძალის აკრძალვისა და ნდობის დაცვის პრინციპებზე დაყრდნობით.<sup>846</sup>

#### **4.4. სამართლებრივი მდგომარეობის გამაუმჯობესებელი ნორმების უკუძალა**

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს არ ეწინააღმდეგაბ ნორმა, რომელიც უკუძალით აუმჯობესებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას.<sup>847</sup> ეს იმითაა განპირობებული, რომ სამართლებ-

<sup>845</sup> Hofmann, GG, Art. 20, Rn. 76; Robbers, BK, Art. 20, Rn. 2337; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 294.

<sup>846</sup> შეადარე: ლოლაძე, უკუძალის საკითხის მართებული განმარტების მნიშვნელობა, 115 (121).

<sup>847</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 75; Robbers, BK, Art. 20, Rn. 2372; Stein, Götz, Staatsrecht, 159. განსხვავებული პოზიცია იხ.: Maurer, Kontinuitätsgewähr und Vertrauensschutz, 395 (425).

რივი უსაფრთხოება იცავს პირს მხოლოდ სამართლებრივი პოზიციების გაუარესებისაგან.<sup>848</sup>

კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მე-2 წინადადება არ შეეხება სამართლებრივი მდგომარეობის გამაუმჯობესებელ ყველა ნორმას. მისი მოქმედება ვრცელდება მხოლოდ სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამაუმჯობესებელი და შემამსუბუქებელი ნორმების უკუძალაზე – „კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.“ საინტერესოა, რამდენად მოითხოვს კონსტიტუციის ეს ნორმა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან გამაუმჯობესებელი კანონისათვის უკუძალის სავალდებულო წესით მინიჭებას. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ კითხვას ცალსახად უარყოფითი პასუხი გასცა.<sup>849</sup> მისი აზრით, ამგვარი ნორმის უკუძალა ემსახურება ორი მიზნის მიღწევას: „ა) პირის დაცვას მის უფლებებში გაუმართლებელი ჩარევისაგან (როდესაც უფლებაში ჩარევა ხდება რეალური საჭიროების, მიზნის გარეშე ან ხდება იმაზე უფრო მძიმე, ინტენსიური ჩარევა, ვიდრე ეს ობიექტურად აუცილებელია დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად) და ბ) ზოგადად, სამართლის ჰუმანურობის ხელშეწყობას.“<sup>850</sup> სასამართლომ განმარტა, რომ უკუძალის საკითხზე მსჯელობისას მხედველობაშია მისაღები შესაბამისი კანონის კავშირი: 1) სამართლის ჰუმანურობის ფუნქციასთან და 2)

<sup>848</sup> ლოლაძე, უკუძალის საკითხის მართებული განმარტების მნიშვნელობა, 115 (126); Fischer, Die Verfassungsmäßigkeit rückwirkender Normen, 861 (862).

<sup>849</sup> N1/4/557, 571, 576 გადაწყვეტილება, II-58, 65, 71; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608, 609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-25.

<sup>850</sup> N1/4/557, 571, 576 გადაწყვეტილება, II-61; იხ. ასევე: N3/1/633, 634 გადაწყვეტილება, II-17.

თავისუფლებაში თანაზომიერი ჩარევის აუცილებლობის მიზანთან, რათა პირების პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება არ მოხდეს უსაფუძვლოდ.<sup>851</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს არაფერი უთქვამს იმაზე, თუ რა სტანდარტით უნდა ვიხელმძღვანელოთ სამართლის ჰუმანურობის ფუნქციის განსაზღვრისათვის ან მასთან კავშირის დადგენისა და შეფასებისათვის. ის შემოიფარგლა მხოლოდ მის მნიშვნელობაზე ზოგადი და მოკლე მსჯელობით.<sup>852</sup> მან ასევე ღიად დატოვა იმ კრიტერიუმების საკითხი, რომლებზე დაყრდნობითაც შეიძლება განხორციელდეს სავალდებულო უკუძალით გასაზღვრველი ნორმების იდენტიფიცირება.<sup>853</sup> სასამართლომ ჩათვალა, რომ კონსტიტუციის შესაბამისი ნორმა „დამატებით ზღუდავს სახელმწიფოს თავისუფალი მიხედულების ფარგლებს პრინციპით – არ მოხდეს ადამიანის თავისუფლებაში ჩარევა მაშინ, როდესაც ამის აუცილებლობა არ/ალარ არსებობს და იმაზე უფრო მკაცრად, ვიდრე ეს ობიექტურად აუცილებელია კონკრეტული ლეგიტიმური მიზნების დასაცავად.“<sup>854</sup> შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი მიდგომა დამკვიდრდა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში.<sup>855</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ აღწერილი პოზიციის შეფასებისას, პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ მას აკლია კონკრეტიკა. სამართლის ჰუმანურობის ფუნქციასთან კავშირზე მითითება ზედმეტია, რადგანაც პასუხისმგებლობის შემცირება ან გაუქმება ყოველთვის ჰუმანური აქტია. პასუხისმგებლობის გამაუქმებელი ან შემამსუბუქებელი ნორმისათვის თანაზომიერების ტესტის ჩატარების აუცილებლობა არ არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც პირის მიმართ შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომის

<sup>851</sup> N1/4/557, 571, 576 გადანყვეტილება, II-66.

<sup>852</sup> იქვე, II-63.

<sup>853</sup> იქვე, II-72.

<sup>854</sup> იქვე, II-71.

<sup>855</sup> იხ.: N3/1/608, 609 გადანყვეტილება, II-25, 30, 31; N3/1/633, 634 გადანყვეტილება, II-18, 20, 34, 36, 37.

აღსრულება არ დასრულებულა. სახელმწიფო პასუხისმგებლობის გაუქმებით ფაქტობრივად აცხადებს, რომ აღარ არსებობს ამ გზით დასაცავი სიკეთე. ის ვერ გააგრძელებს არსებობას პირთა მხოლოდ ერთი ჯგუფისათვის. პასუხისმგებლობის შემსუბუქება ნიშნავს, რომ სახელმწიფოს აზრით, შესაბამისი სიკეთის დაცვა უწინდელზე მსუბუქი სანქციითაა შესაძლებელი. ეს გარემოებები აზრს უკარგავს თანაზომიერების შემონმებას, რადგანაც წინასწარ ცნობილი იქნება მისი შედეგი. თუ კანონმდებელმა პასუხისმგებლობის გამაუქმებელი ან შემამსუბუქებელი ნორმები მაინც არ გაავრცელა პირთა რომელიმე ჯგუფზე, ეს ნიშნავს ამ ჯგუფის დისკრიმინაციასა და ინსტრუმენტალიზაციას. განსხვავებული არის მდგომარეობა, როდესაც პასუხისმგებლობა გაუქმდა ან შემსუბუქდა პირის მიერ პასუხისმგებლობის ზომის მოხდის შემდეგ. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს სანქციის ხასიათსა და არსს. მაგალითად, თუ უქმდება რომელიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთა ან მცირდება მისი ვადა, პრაქტიკულად შეუძლებელია იმ პირების მდგომარეობის შემსუბუქება რომლებმაც უკვე მოიხადეს ეს სასჯელი. შედარებით რთულად არის საქმე, მაგალითისათვის, ფინანსური სანქციების შემთხვევაში. მათი გაუქმებისას ან შემცირებისას ვერ გამოვრიცხავთ ნამდვილი უკუძალის შესაძლებლობას. სწორედ ამ ვითარებაში უნდა ამოქმედდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შემოთავაზებული ობიექტური საჭიროების დადგენის, თანაზომიერების შემონმების, სიკეთეთა შედარებისა და ანონ-დანონვის მოდელი.<sup>856</sup>

#### **4.5. ნდობის დაცვის პრინციპი და უკუძალის არმქონე ნორმები**

ნდობის დაცვის პრინციპი, როგორც წესი, არ ვრცელდება იმ ნორმებზე, რომლებიც სამომავლო სამართლებრივ ურთიერთ-

<sup>856</sup> ლოლაძე, უკუძალის საკითხის მართებული განმარტების მნიშვნელობა, 115 (128–129).

ბებს ანესრიგებს.<sup>857</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონმდებლის უფლებამოსილებები გადამეტებულად შეიზღუდებოდა.<sup>858</sup> ნდობის დაცვის პრინციპი არ უზრუნველყოფს გარკვეული სამართლებრივი მდგომარეობის ხელშეუხებლობას.<sup>859</sup> ის ადგენს საკონსტიტუციოსამართლებრივ საზღვრებს მხოლოდ დამამძიმებელი უკუძალის მქონე კანონებისათვის.<sup>860</sup> სამართლებრივი უსაფრთხოება ასევე არ მოითხოვს, რომ პირისათვის ხელსაყრელი კანონი უცვლელი დარჩეს.<sup>861</sup> სამართალი იცვლება დროის მოთხოვნების მიხედვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დაშორდება რეალობას და შედეგად, შეირყევა მისი სავალდებულო ძალა.<sup>862</sup>

სამართლებრივი უსაფრთხოებას და ნდობის დაცვის პრინციპს ზოგჯერ მაინც აქვს მნიშვნელობა უკუძალის არმქონე ნორმებისათვის. სამართლებრივი უსაფრთხოება, სამართლის მდგრადობასთან ერთად, მის განჭვრეტადობასაც მოითხოვს.<sup>863</sup> ნდობის დაცვის საკითხი რელევანტურია კონსტიტუციურად გარანტირებულ სამართლებრივ მდგომარეობაში ჩარევისას, ასევე კანონით დადგენილი შეღავათების გაუქმების ან შეკვეცისას.<sup>864</sup> მაგალითად, პირის სამართლებრივი მდგომარეობის ცვლილება შეიძლება შემომწმდეს ნდობის დაცვის პრინციპთან მიმართებით, თუ კანონმდებელს ან

---

<sup>857</sup> Aubert J.-F., Willkürverbot und Vertrauensschutz als Grundrechte, in: Merten, Detlef/Papier, Hans-Jürgen (Hrsg.): Handbuch der Grundrechte in Deutschland und Europa, Band VII/2, Grundrechte in der Schweiz und in Lichtenstein, § 228, Heidelberg/Zürich/St. Gallen 2007, 723 (742); Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 71; Maurer, Kontinuitätsgewähr und Vertrauensschutz, 395 (435); Robbers, BK, Art. 20, Rn. 2357.

<sup>858</sup> Sachs, GG, Art. 20, Rn. 139.

<sup>859</sup> შეადარე: BVerfGE 109, 133 (189 f.).

<sup>860</sup> BVerfGE 38, 61 (83); 68, 193 (222).

<sup>861</sup> Badura, Staatsrecht, 378; Schmidt, Staatsorganisationsrecht, 304.

<sup>862</sup> Maurer, Kontinuitätsgewähr und Vertrauensschutz, 395 (396, 436).

<sup>863</sup> Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 154.

<sup>864</sup> დაწვრილებით იხ.: Sommermann, GG, Art. 20, Rn. 297.

ადმინისტრაციულ ორგანოს ნათლად ჰქონდა დადასტურებული არსებული მდგომარეობის სტაბილურობა ან ამის თაობაზე გაცემული ჰქონდა ცალსახა დაპირება.<sup>865</sup> შემომწმებისას ყურადღება ექცევა შესაბამისი ცვლილების განჭვრეტადობასა და პროგნოზირებადობას.<sup>866</sup> მხედველობაში მიიღება ისიც, თუ რამდენად ექვემდებარება დაინტერესებული პირის ნდობა დაცვას.<sup>867</sup> აქაც სიკეთეთა შედარება და აწონ-დანონვა ხორციელდება, ერთი მხრივ, არსებული სამართლებრივი მდგომარეობის მიმართ დაინტერესებული პირის ნდობასა და მეორე მხრივ, ცვლილების მნიშვნელობას შორის საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის.<sup>868</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, უკუძალის არმქონე ნორმების ნდობის დაცვის პრინციპთან შესაბამისობის კუთხით, არ გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით. მან სიკეთეთა შედარება და აწონ-დანონვა კი არ განახორციელა, არამედ ყურადღება გაამახვილა კანონმდებლობის სტაბილურობასა და სამართლიანობაზე კანონმდებლობით დადგენილი შეღავათების შემცირებაზე მსჯელობისას.<sup>869</sup> არსებული სამართლებრივი მდგომარეობის შენარჩუნებისათვის უპირატესობის მინიჭებამ შეიძლება დააზიანოს საზოგადოებრივი ან/და მესამე პირთა ინტერესები. მაგალითად, თუ სახელმწიფოს ფინანსური შესაძლებლობები შეზღუდულია, მოქალაქეთა ერთი ნაწილისათვის შეღავათების არსებული მასშტაბების შენარჩუნებამ შეიძლება დააზიანოს მოქალაქეთა სხვა ნაწილი, რომელიც ასევე სახელმწიფო მხარდაჭერაზეა დამოკიდებული.<sup>870</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს არ განუხორციელებია დაპირისპირებულ სიკეთეთა შედარება და აწონ-დანონვა N1/2/411

<sup>865</sup> Aubert, Willkürverbot und Vertrauensschutz, 723 (741 f.).

<sup>866</sup> BVerfGE 76, 256 (350).

<sup>867</sup> Altmeyer, Vertrauensschutz, 45; Stein, Götz, Staatsrecht, 160.

<sup>868</sup> BVerfGE 67, 1 (15).

<sup>869</sup> N1/1/126, 129, 158 გადაწყვეტილება, VI.

<sup>870</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 350.

გადანყვეტილებაშიც, რომელიც წინააღმდეგობრივი შინაარსისაა. სასამართლომ ჯერ აღნიშნა, რომ არ უნდა დაირღვეს ნდობის დაცვის პრინციპი, მიუხედავად საკანონმდებლო სიახლის მიზნისა. ეს პოზიცია ფაქტობრივად გამორიცხავს ანონ-დანონვას, რადგანაც ცალსახა უპირატესობას ანიჭებს ნდობის დაცვას. საკონსტიტუციო სასამართლომ რამოდენიმე წინადადების შემდეგ აღიარა, რომ არ არსებობს შეუცვლელი კანონმდებლობა და ხაზს გაუსვა, რომ ნებისმიერი ცვლილება უნდა იყოს მიმართული მართლწესრიგის გაძლიერებისაკენ.<sup>871</sup> ამასთან, მან არ დააკონკრეტა, თუ რა იგულისხმა „მართლწესრიგის გაძლიერებაში“. ეს ტერმინი არ ასახავს ინტერსთა იმ მრავალფეროვან პალიტრას, რაც შეიძლება გახდეს სხვადასხვა სიტუაციებში კანონის შეცვლის საჭიროების საფუძველი.<sup>872</sup>

საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია იმ ნორმებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრძელებდნენ ვადიანი შემზღუდველი ნორმატიული აქტის მოქმედებას. მისი განმარტებით, ამგვარი აქტის მოქმედების გახანგრძლივება არაგონივრული ვადით აზიანებს დაინტერესებული პირის ნდობასა და მთელ მართლწესრიგს, იწვევს გაუცხოებას სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი.<sup>873</sup> მართალია, ეს მოსაზრება მართებულია, მაგრამ შესაძლებელი იყო იმის უფრო ნათლად ჩამოყალიბება, თუ რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს ვადის გაგრძელებამ და რა ფაქტორებია გასათვალისწინებელი ამ საკითხის გადანყვეტისას.<sup>874</sup>

---

<sup>871</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე შპს “რუსენერგოსერვისი”, შპს “პატარა კახი”, სს “გორგოჭა”, გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო “ფერმერი” და შპს “ენერჯია” საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ, II-21.

<sup>872</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 351.

<sup>873</sup> N1/1/374, 379 გადაწყვეტილება, X.

<sup>874</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 351.

#### 4.6. ნდობის დაცვის პრინციპი ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში

სამართლებრივი უსაფრთხოება მოითხოვს ადმინისტრაციული აქტების მდგრადობას.<sup>875</sup> ნდობის დაცვის პრინციპი ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოების აქტებსა და მოქმედებებზე.<sup>876</sup> ამ პრინციპის წარმოშობის ისტორია უკავშირდება აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტების გაუქმების თემას.<sup>877</sup> აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტების, რომელთა მიმართაც დაინტერესებულ პირს ნდობა აქვს, მდგრადობას დღეისათვისაც ანიჭებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას.<sup>878</sup>

უკუძალასთან დაკავშირებული მოთხოვნები ვრცელდება ადმინისტრაციულ აქტებზეც.<sup>879</sup> ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას ასევე უნდა გაითვალისწინოს უკუძალის აკრძალვისა და ნდობის დაცვის ის სტანდარტები, რასაც კანონი უნდა აკმაყოფილებდეს.<sup>880</sup>

ნდობის დაცვის საკითხის განხილვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღებისას/გამოცემისას სცდება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას და საერთო სასამართლოების უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება. საერთო სასამართლოს შეუძლია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის გამოყენება, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებისა და კანონიერი ნდობის ინსტიტუტებს. *ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება წერილო-*

<sup>875</sup> Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 506.

<sup>876</sup> დანვრილებით იხ.: Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 95 ff.; Jarass, GG, Art. 20, Rn. 78; Maurer, Kontinuitätsgewähr und Vertrauensschutz, 395 (453 ff.); Sommermann, GG, Art. 20, Rn. 304.

<sup>877</sup> Altmeyer, Vertrauensschutz, 122.

<sup>878</sup> Badura, Staatsrecht, 379; Maurer, Kontinuitätsgewähr und Vertrauensschutz, 395 (441 ff.).

<sup>879</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 2341.

<sup>880</sup> Maurer, Kontinuitätsgewähr und Vertrauensschutz, 395 (440).

ბითი დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს, რომ გარკვეული ქმედება განხორციელდება. დაპირება შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი.<sup>881</sup> კანონიერი ნდობა გამოირიცხება, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება კანონსაწინააღმდეგოა, შესაბამისი ნორმატიული აქტის შეცვლის გამო პირი ვეღარ აკმაყოფილებს დაწესებულ მოთხოვნებს ან დაპირების საფუძველი დაინტერესებული მხარის უკანონო მოქმედება იყო.<sup>882</sup> კანონიერი ნდობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობისას. ის არსებობს, თუ დაინტერესებულმა მხარემ განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე და ამ აქტის ბათილად ცნობით მას ზიანი მიაღგება. კანონიერი ნდობა ვერ დაეფუძნება დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედებას.<sup>883</sup> ნდობის დაცვის პრინციპი გამოირიცხავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.<sup>884</sup> ამასთან, ნათლად არ იკვეთება, თუ სად გადის „არსებითობის ზღვარი“. მისი განსაზღვრა მინდობილია ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოსათვის. ამგვარ შემთხვევებში რეკომენდირებული არის ანონ-დანონვა დაინტერესებული პირის კანონიერ ნდობასა და სახელმწიფოს, საზოგადოების ან მესამე პირის უფლებებსა და ინტერესებს შორის. ამ ბუნდოვან სამართლებრივ მდგომარეობას ერთგვარად აკომპენსირებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის მე-6 ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს დაინტერესებული მხარისათვის ადმინისტრაცი-

<sup>881</sup> ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>882</sup> იქვე, მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>883</sup> იქვე, 60<sup>1</sup> მუხლის მე-5 ნაწილი.

<sup>884</sup> იქვე, 60<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილი.

ული აქტის ბათილად ცნობით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას. კომპენსაცია განისაზღვრება კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთგანონასნორების საფუძველზე. კოდექსით ასევე შეზღუდულია აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება.<sup>885</sup> ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია ზიანის ანაზღაურება დაინტერესებული მხარისათვის, რომელსაც კანონიერი ნდობა ჰქონდა.<sup>886</sup>

როგორც აღვნიშნეთ, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ ამონმებს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების შესაბამისობას ნდობის დაცვის პრინციპთან. მიუხედავად იმისა, მაინც შეიძლება მოვიტანოთ მაგალითი, როდესაც მან იმსჯელა ნდობის დაცვის საკითხზე კერძო პირსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის ურთიერთობაში. საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა ნდობის დაცვის მნიშვნელობას საგადასახადო სამართლის სფეროში საგადასახადო საიდუმლოების ინსტიტუტის კონსტიტუციურობის განხილვისას. მისი აზრით, ნდობის ფაქტორი დიდ როლს ასრულებს საგადასახადო ორგანოსა და გადასახადის გადამხდელს შორის ურთიერთობაში. გადასახადის გადამხდელს აქვს ლოგიკური და გონივრული მოლოდინი, რომ ინფორმაცია, რომელიც გადასცა საგადასახადო ორგანოს, გამოყენებული იქნება საგადასახადო ადმინისტრირებისათვის და არა სხვა, გაუთვალისწინებელი მიზნებისათვის.<sup>887</sup> ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა გადასახადის გადამხდელის დაცვას დაქვემდებარებული ნდობის არსებობაზე.

#### **4.7. სასამართლო გადაწყვეტილებების მდგრადობა**

სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის ელემენტარული მოთხოვნა არის სასამართლო

<sup>885</sup> იქვე, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>886</sup> იქვე, 61-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

<sup>887</sup> N2/3/406, 408 გადაწყვეტილება, II-9.

გადაწყვეტილებების მდგრადობის უზრუნველყოფა.<sup>888</sup> აქ ერთმანეთს უპირისპირდება, ერთი მხრივ, სამართლებრივი უსაფრთხოება და ნდობის დაცვა, ხოლო მეორე მხრივ – სამართლიანობა და კანონიერება. ამ დაპირისპირებაში, როგორც წესი, უპირატესობა ენიჭება კანონიერი და სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილების მიღებას.<sup>889</sup> ამასთან, სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით მართებულ მოსაზრებას, რომ ნდობის დაცვა *a priori* არ წარმოადგენს მეორეხარისხოვან ღირებულებას. სამართლიანობისა და კანონიერების ინტერესს მისთვის შესაფერისი წონა მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ სათანადოდ არის შეფასებული ნდობის დაცვა და მისი მნიშვნელობა.<sup>890</sup>

სამართლიანობის ინტერესს უპირატესობა ენიჭება სამართლებრივ უსაფრთხოებასთან და ნდობის დაცვასთან მიმართებით სასამართლოში საქმის წარმოების განახლებისას.<sup>891</sup> საქმის წარმოების განახლება და კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა მხოლოდ საგამონაკლისო წესით დაიშვება, რაც განპირობებულია სამართლებრივი მშვიდობის ინტერესით.<sup>892</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, ეს ინსტიტუტი ემსახურება სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების ლეგიტიმურ მიზანს და საბოლოო ჯამში – ძირითადი უფლებების ადექვატურ დაცვას.<sup>893</sup> ამასთან, სასამართლო აღნიშ-

<sup>888</sup> ლოლაძე, კონსტიტუციონალიზმის ძირითადი პრინციპები, 31 (47); Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 506, 509.

<sup>889</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 104; Maurer, Kontinuitätsgewähr und Vertrauensschutz, 395 (468); Sachs, GG, Art. 20, Rn. 143.

<sup>890</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 2459.

<sup>891</sup> შეადარე: Hofmann, GG, Art. 20, Rn. 90.

<sup>892</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 101; Robbers, BK, Art. 20, Rn. 1988; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 179 f.; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 304.

<sup>893</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის N3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯა-

ნავს, რომ სასამართლოსა და მისი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებისადმი ნდობა სამართლებრივი უსაფრთხოების მნიშვნელოვანი გარანტიაა.<sup>894</sup> თუ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება დროში შეუზღუდავად დადგება ეჭვქვეშ, საფუძველი გამოეცლება ნდობას სასამართლოსადმი.<sup>895</sup>

საქართველოს კანონმდებლობა ამომწურავად განსაზღვრავს სასამართლოში საქმის წარმოების განახლების შემთხვევებს, ადგენს შესაბამის ვადებს და პროცედურას.<sup>896</sup> აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვას, როგორც წესი, დროში არ ზღუდავს.<sup>897</sup> ეს, სავარაუდოდ, გამონვეულია სისხლის სამართლის სფეროში სამართლიანობის განსაკუთრებული მნიშვნელობით.<sup>898</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, საქმის წარმოების დროში შეუზღუდავი განახლება განპირობებულია იმ სიკეთის სპეციფიკით, რაც სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ობიექტია.<sup>899</sup>

საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობის დროში შეზღუდვა ხანდაზმულობის ვადით ემსახურება სამართლებრივ უსაფრთხოებას, თუმცა შეიძლება დაუპირისპირდეს სამართლიანობას.<sup>900</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, ამ ტიპის ხანდაზმულობის ვადის მიზანს წარმოადგენს სამართლებრივი უსა-

---

ნაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-20.

<sup>894</sup> იქვე, II-25.

<sup>895</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება N1/3/161 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, V.

<sup>896</sup> დანვრილებით იხ.: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე – 432-ე მუხლები; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე – 314-ე მუხლები.

<sup>897</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლი.

<sup>898</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 356.

<sup>899</sup> N1/3/161 გადაწყვეტილება, VI.

<sup>900</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 1992.

ფრთხობის, სამართლებრივ ურთიერთობებში სტაბილურობისა და ნესრიგის, სასამართლო გადაწყვეტილებებისადმი ნდობის დაცვა.<sup>901</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში, დაისადგურებდა გაურკვეველობა მხარეებს შორის ურთიერთობაში და შეიქმნებოდა სამართლებრივი დავის უსასრულოდ გაგრძელების საშიშროება.<sup>902</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს გამოიწვევდა „პროცესის უკვადავებას“, როგორც ეს საბჭოთა პერიოდში იყო.<sup>903</sup> მან განახორციელა ანონ-დანონვა, ერთი მხრივ, იმ პირთა ინტერესებსა და ნდობის დაცვას, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების შენარჩუნებაში, ხოლო, მეორე მხრივ, კი – იმ პირთა უფლებების დაცვის საჭიროებას შორის, რომლებსაც სურთ საქმის წარმოების განახლება.<sup>904</sup> ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ უპირატესობა მიანიჭა კერძო პირის ძირითადი უფლების დარღვევის პრევენციის ინტერესს იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილების მდგრადობაში დაინტერესებული მხარე სახელმწიფო იყო.<sup>905</sup>

დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მდგრადობის საკითხი საინტერესოა სამართლებრივი უსაფრთხოების კუთხით. როდესაც ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოებს აქვთ ერთგვაროვანი მიდგომა, ჩნდება ნდობა მის მიმართ. პირს აქვს მოლოდინი, რომ სასამართლო ანალოგიურად გადაწყვეტს საქმეს მსგავს შემთხვევაში.<sup>906</sup> აქვე არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით, რაც მოიცავს არსებული პრაქტიკის

<sup>901</sup> N3/1/531 გადაწყვეტილება, II-19.

<sup>902</sup> იქვე, II-26.

<sup>903</sup> N1/3/161 გადაწყვეტილება, II.

<sup>904</sup> დანვრილებით იხ.: N3/1/531 გადაწყვეტილება, II-31–35.

<sup>905</sup> დანვრილებით იხ.: იქვე, II-36–39.

<sup>906</sup> Maurer, *Kontinuitätsgewähr und Vertrauensschutz*, 395 (465).

მართებულობაში ეჭვის შეტანის შესაძლებლობასაც.<sup>907</sup> ცალმხრივი უპირატესობის მინიჭება არსებული სასამართლო პრაქტიკის შენარჩუნების ინტერესისათვის შეაყოვნებდა სამართლის განვითარებას და გააძნელებდა მართლმსაჯულების შესაძლო შეცდომების გამოსწორებას.<sup>908</sup> ცვალებადობა მართლმსაჯულების ბუნებაშია,<sup>909</sup> თუმცა ამ პროცესში გასათვალისწინებელია ნდობის დაცვის ფაქტორი. ცვლილება საკმარისად უნდა იყოს არგუმენტირებული და თავსდებოდეს სასამართლო პრაქტიკის განჭვრეტადი განვითარების ფარგლებში.<sup>910</sup>

---

<sup>907</sup> იქვე, 395 (466).

<sup>908</sup> ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი, 82.

<sup>909</sup> Kunig, Rechtsstaatsprinzip, 433.

<sup>910</sup> BVerfGE 84, 212 (227 f.); 122, 248 (277); Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 106; Jarass, GG, Art. 20, Rn. 79.

# თავი IX. ძალაუფლების გამიჯვნა

## 1. ძალაუფლების გამიჯვნა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი

ძალაუფლის გამიჯვნის იდეა წარმოიშვა ანტიკურ ეპოქაში.<sup>911</sup> მონტესკიემ<sup>912</sup> მას მისცა კლასიკური, ტრიადად დანაწილების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებები) ფორმა. მოგვიანებით ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპი აისახა აშშ-ის 1787 და საფრანგეთის 1791 წლის კონსტიტუციებში, ასევე ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა 1789 წლის დეკლარაციაში.<sup>913</sup> დღეისათვის ის აღიარებულია ყველა დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში.

ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპი ითვლება სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტურ ფორმალურ ელემენტად.<sup>914</sup> ძალაუფლების გამიჯვნა და ბალანსის დაცვა ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის აუცილებელია სამართლებრივი სახელმწიფოსათვის.<sup>915</sup> სამართალი ქმნის სამართლებრივი სახელმწი-

<sup>911</sup> Herzog R. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG (Die Verfassungsentscheidung für die Gewaltenteilung), in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958, Rn. 18; Mager, Staatsrecht I, 351; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 70; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 199.

<sup>912</sup> შარლ ლუი დე მონტესკიე – ფრანგი განმანათლებელი, მწერალი, ფილოსოფოსი და სახელმწიფოს თეორეტიკოსი (1689–1755).

<sup>913</sup> დანვრილებით იხ.: Horn H.-D., Gewaltenteilige Demokratie, demokratische Gewaltenteilung. Überlegungen zu einer Organisationsmaxime des Verfassungsstaates, Archiv des öffentlichen Rechts, 127 (2002), 427 (428); Sachs, GG, Art. 20, Rn. 79; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 205.

<sup>914</sup> ლოლაძე, კონსტიტუციონალიზმის ძირითადი პრინციპები, თბილისი 2021, 31 (47); Badura, Staatsrecht, 370; Herzog, GG, Art. 20 GG (Gewaltenteilung), Rn. 2, 124; Mager, Staatsrecht I, 351; Mastronardi, Verfassungslehre, 280; Schmidt-Aßmann, Rechtsstaat, 541 (544); Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 487; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 197, 207; Zippelius, Deutsches Staatsrecht, 110.

<sup>915</sup> მაგ.: Bachof, Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates, 201 (202);

ფოსათვის აუცილებელ წონასწორობას. ის ანაწილებს ამოცანებს ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის და აკებს ურთიერთშეკავებისა და ბალანსის სისტემას.<sup>916</sup>

საქართველოს კონსტიტუცია განიხილავს ძალაუფლების გამიჯვნას სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ელემენტად.

ამას მკაფიოდ ადასტურებს ის გარემოება, რომ ეს პრინციპი მოცემულია კონსტიტუციის მე-4 მუხლის (სამართლებრივი სახელმწიფო) მე-3 პუნქტში – „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.“ საკონსტიტუციო სასამართლო ასევე მიუთითებს ძალაუფლების გამიჯვნისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს შორის მჭიდრო კავშირზე.<sup>917</sup> მისი განმარტებით, „აღნიშნული კონსტიტუციური დებულების დანიშნულებას არ წარმოადგენს ხელისუფლების მხოლოდ ფორმალური დაყოფა სხვადასხვა შტოებად, არამედ მისი მიზანია, აღნიშნულ შტოებს შორის შეკავებისა და განწონასწოების რეალური და ქმედითი კონსტიტუციურსამართლებრივი მექანიზმების უზრუნველყოფა, რაც გამოხატულია კიდევ კონსტიტუციის შესაბამის თავებში მოცემული რეგულირებებით, რომლებიც განსაზღვრავს ხელისუფლების თითოეული შტოს კომპეტენციას და მის ურთიერთმიმართებას სხვა შტოებთან.“<sup>918</sup>

ძალაუფლების გამიჯვნა ითვლება კონსტიტუციის წამყვან ორგანიზაციულ პრინციპად.<sup>919</sup> სწორედ ორგანიზაციული მნიშ-

---

Fechner, Freiheit und Zwang, 73 (75); Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 23; Hofmann, GG, Art. 20, Rn. 58; Huber, Rechtsstaat und Sozialstaat, 589 (593); Kloepfer, Verfassungsrecht I, 302; Robbers, BK, Art. 20, Rn. 1806; Sachs, GG, Art. 20, Rn. 77; Schachtschneider, Prinzipien, 17; Schmidt-Aßmann, Rechtsstaat, 541 (544); Schnapp, Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung der Republik Polen, 171 (172); Schnapp, GG, Art. 20, Rn. 27; Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 35, 39; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 239; Stern, Rechtsstaat, 7; Stern, Staatsrecht I, 784.

<sup>916</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 54.

<sup>917</sup> N3/5/768, 769, 790, 792 გადაწყვეტილება, II-6.

<sup>918</sup> იქვე, II-7.

<sup>919</sup> შეადარე: BVerfGE 3, 225 (247); 67, 100 (130).

ენელობიდან გამომდინარე, მიდიან დასკვნამდე, რომ მიუხედავად შეხების წერტილებისა, ძალაუფლების გამიჯვნა არ არის მხოლოდ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ქვეშემთხვევა და დამოუკიდებელი რეგულირების სფერო აქვს.<sup>920</sup> ამ დასკვნას მართებულად ეწინააღმდეგება მოსაზრება, რომ ორგანიზაციული მნიშვნელობა არ არის ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის იზოლირებულად და დამოუკიდებლად განხილვის საფუძველი სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი და დემოკრატიული კონტექსტიდან, რომლის ელემენტსა და გამოხატულებასაც ის წარმოადგენს.<sup>921</sup> არსებობს შუალედური პოზიცია, რომლის მიხედვითაც, ერთი მხრივ, უნდა ვაღიაროთ ძალაუფლების გამიჯვნის სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი ფუნქცია, ხოლო მეორე მხრივ – მისი, როგორც ორგანიზაციული პრინციპის, დამოუკიდებელი მნიშვნელობა.<sup>922</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის მნიშვნელობის დამაკნინებელ მოსაზრებას, რომ ის აღარ ასრულებს ძალაუფლების შებოჭვისა და დაბალანსების ფუნქციას და გადაიქცა ხელისუფლების ორგანიზების ინსტრუმენტად.<sup>923</sup> რთულია ამ დასკვნის გაზიარება, მით უმეტეს, თუ საკითხს შევხედავთ საქართველოსა და იმ ქვეყნების პოზიციიდან, რომლებიც ჯერჯერობით წარუმატებლად ცდილობენ დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობას ან სულაც, ხელი აიღეს ამ განზრახვაზე და შეუდგნენ არადემოკრატიული რეჟიმების ჩამოყალიბება-გამყარებას. ამ სახელმწიფოებში ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსი, როგორც წესი, ირღვეოდა და იღრვევა პრეზიდენტის ან/და აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ. ეს მრავალ თავსატეხს უმზადებს პოსტკომუნისტურ საზო-

<sup>920</sup> Gärditz, GG, Art. 20, Rn. 39; Jarass, GG, Art. 20, Rn. 23.

<sup>921</sup> Cornils M., Gewaltenteilung, in: Depenheuer, Otto/Grabenwarter, Christoph: Verfassungstheorie, Tübingen 2010, 657 (662).

<sup>922</sup> Benda, Der soziale Rechtsstaat, 719 (737).

<sup>923</sup> Forstthoff, Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates, 165 (193).

გადოებებს და აფერხებს მათ სამართლებრივსახელმწიფოებრივ, დემოკრატიულ, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებასაც კი.<sup>924</sup>

## 2. ძალაუფლების გამიჯვნის ფუნქციები

თანამედროვე დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოები განსხვავებულად არის მოწყობილი. ფორმას არ აქვს წამყვანი მნიშვნელობა ძალაუფლების გამიჯვნის კონტექსტში.<sup>925</sup> მთავრია, რომ ამ პრინციპმა მიაღწიოს თავის მიზნებს, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისათვის.<sup>926</sup> ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპი არ ადგენს კატეგორიულ ან ლოგიკურ შაბლონს. ის არის სახელმწიფოს ფუნქციონირების „ემპირიული კოორდინაციის ფორმა“ იმისდა მიხედვით, თუ როგორ ჩამოაყალიბებს მას კონსტიტუციურ-პოლიტიკური ნება.<sup>927</sup>

ძალაუფლების გამიჯვნის ფუნქციებიდან, პირველ რიგში, გამოიყოფენ *სახელმწიფო ხელისუფლების დაბალანსებას* და *თავისუფლების სახელმწიფო-ორგანიზაციულ დაცვას*.<sup>928</sup> სახელმწიფო

<sup>924</sup> შეადარე: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 54.

<sup>925</sup> ლოლაძე, კონსტიტუციონალიზმის ძირითადი პრინციპები, 31 (48).

<sup>926</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 358.

<sup>927</sup> Horn, Gewaltenteilige Demokratie, 427 (454).

<sup>928</sup> დანვრილებით იხ.: Badura, Staatsrecht, 371; Badura, Der Zustand des Rechtsstaates, 13 (16); Fürst, Funktionsgebundenheit, 31 (32); Hofmann, GG, Art. 20, Rn. 55; Jarass, GG, Art. 20, Rn. 23; Karpen, Die geschichtliche Entwicklung, 20; Klein E., Gesetzgebung ohne Parlament? Berlin 2004, 21; Leibholz G., Rinck H.-J., Hesselberger D., Kommentar zum Art. 20 GG, in: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar an Hand der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, Band II, 6. Auflage, Köln 1975/1989, Rn. 461; Mager, Staatsrecht I, 352; Mastronardi, Verfassungslehre, 281 f., 288; Möllers C., Dogmatik der grundgesetzlichen Gewaltenteilung, Archiv des öffentlichen Rechts, 132 (2007), 493 (496 f., 509); Sachs, GG, Art. 20, Rn. 81; Scheuner, Die neuere Entwicklung, 461 (471); Schmidt-Aßmann, Rechtsstaat, 541 (544); Sommermann, GG, Art. 20, Rn. 198, 207; Vogel H.-J., Gewaltenvermischung

ხელისუფლების დაბალანსება ხელს უშლის ძალაუფლების კონცენტრაციას ერთი პირის ან პირთა ჯგუფის ხელში. ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ხელისუფლების უზურპირების მსურველი პირის ან პოლიტიკური ძალის განკარგულებაში ერთდროულად არ აღმოჩნდება ამ მიზნის მიღწევის ყველა აუცილებელი საშუალება.<sup>929</sup> ძალაუფლების ამგვარი კონცენტრაცია ყოველთვის საშიშია თავისუფლებისათვის, რადგანაც უზურპატორი ვერ შეინარჩუნებს ძალაუფლებას თავისუფლების დათრგუნვის გარეშე. ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპი, ორგანიზაციული თვალსაზრისით, ამიტომაც იცავს თავისუფლებას საფრთხეებისაგან.<sup>930</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო ფაქტობრივად იმეორებს ზემოთ აღწერილ შეხედულებებს. მისი განმარტებით, ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპი მიმართულია სახელმწიფო ხელისუფლების კონცენტრაციის, ბოროტად გამოყენებისა და უზურპირების პრევენციისა და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისაკენ.<sup>931</sup>

ხელისუფლების დაბალანსებისა და თავისუფლების დაცვის ფუნქციები მკაფიოდ უსვამს ხაზს ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის კავშირს სამართლებრივ სახელმწიფოსთან.<sup>932</sup> ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის ეს ფუნქციები მიუთითებს მის სპეციფიურ სამართლებრივსახელმწიფოებრივ განზომილებაზე. ეს განზომილება გამოიხატება იმის სამართლებრივ გაფორმებაში, თუ

---

statt Gewaltenteilung? Zu neueren Entwicklungen im Verhältnis der Verfassungsorgane zueinander, Neue juristische Wochenschrift, 23 (1996), 1505 (1505); Wrege W. R., Das System der Gewaltenteilung im Grundgesetz, Juristische Ausbildung, 8 (1996), 436 (436); Zippelius, Deutsches Staatsrecht, 111; BVerfGE 3, 225 (247); 9, 268 (279); 67, 100 (130); 95, 1 (15, 17); 124, 78 (120).

<sup>929</sup> შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, 90.

<sup>930</sup> Schnapp, GG, Art. 20, Rn. 56; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 197.

<sup>931</sup> N3/4/641 გადაწყვეტილება.

<sup>932</sup> Benda, Der soziale Rechtsstaat, 719 (738); Herzog, GG, Art. 20 (Gewaltenteilung), Rn. 2; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 207.

როგორ უნდა განხორციელდეს პოლიტიკური ძალაუფლება ხელისუფლების სხვადასხვა შტოების მიერ, ასევე მათ კომპეტენციურ შეზღუდვასა და ამის საშუალებით ძირითადი უფლებებისათვის ნორმატიული მოქმედების შესაძლებლობის მინიჭებაში.<sup>933</sup>

ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპს სახელმწიფო ხელისუფლების დაბალანსებისა და თავისუფლების დაცვის ფუნქციების შესრულება შეუძლია მხოლოდ დემოკრატიული და სამართლებრივსახელმწიფოებრივი კონსტიტუციური წესრიგის სხვა მნიშვნელოვან პრინციპებთან ერთად.<sup>934</sup> ის არ არის ერთადერთი ფაქტორი, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლებას აბალანსებს. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ელემენტთა ფართო სპექტრია მიმართული ინდივიდუალური თავისუფლების ინტერესებში სახელმწიფო ხელისუფლების განონასწორებისაკენ.<sup>935</sup>

ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპს აქვს რაციონალიზაციის ფუნქცია. ის ზრუნავს სახელმწიფო ხელისუფლების რაციონალურობის უზრუნველყოფისა და სახელისუფლებო ფუნქციების ადეკვატური განაწილებისათვის. თეორიასა და პრაქტიკაში გავრცელებული პოზიციის მიხედვით, სახელმწიფო გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს შეძლებისდაგვარად სწორად, ანუ იმ ორგანოების მიერ, რომელთაც ამისათვის აქვთ საუკეთესო ორგანიზაციული, პერსონალური, ფუნქციონალური და პროცედურული შესაძლებლობები.<sup>936</sup> ამ პოზიციას აკრიტიკებენ იმის გამო, რომ „სისწო-

<sup>933</sup> Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 67.

<sup>934</sup> დანვრილებით იხ.: Cornils, Gewaltenteilung, 657 (670 ff.).

<sup>935</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 359.

<sup>936</sup> BVerfGE 68, 1 (86); 95, 1 (15); Fürst, Funktionsgebundenheit, 31 (32); Jarass, GG, Art. 20, Rn. 23; Klein, Gesetzgebung ohne Parlament? 21; Mager, Staatsrecht I, 352; Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 68; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 198, 207; Wrege, Das System der Gewaltenteilung, 436 (436); Zippelius, Deutsches Staatsrecht, 111; ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი, 148. კრიტიკულად: Cornils, Gewaltenteilung, 657 (683 ff.).

რისა“ და „ფუნქციონალობის“ კრიტერიუმები არ არის ჩამოყალიბებული და დასაბუთებული.<sup>937</sup> სხვა სიტყვებით რომ აღვწეროთ, ამ კრიტერიუმების შინაარსი ბევრადაა დამოკიდებული სუბიექტურ შეფასებაზე.

საკონსტიტუციო სასამართლოც ამახვილებს ყურადღებას რაციონალიზაციის ფუნქციაზე. მისი განმარტებით, „...ხელისუფლების დანაწილება უზრუნველყოფს შესაბამის კონსტიტუციურ ორგანოებს შორის პასუხისმგებლობის რაციონალურ დანაწილებას. ხელისუფლების დანაწილების პირობებში შესაძლებელი ხდება სახელმწიფო გადაწყვეტილებების მაქსიმალურად კვალიფიციურად, ობიექტურად და მიუკერძოებლად მიღება. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში ეფექტური და სამართლიანი მართვის წინაპირობაა შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება იმ ორგანოების მიერ, რომლებიც კომპეტენტური არიან თავიანთი კონსტიტუციური სტატუსით, ფუნქციითა და უფლებამოსილებებით.“<sup>938</sup>

ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის კონტროლის ფუნქცია გამოიხატება იმაში, რომ ის ემსახურება სახელმწიფო ორგანოთა ურთიერთკონტროლს.<sup>939</sup> შეუძლებელია ძალაუფლების სრული და ყოვლისმომცველი გამიჯვნა.<sup>940</sup> ძალაუფლების გამიჯვნა გაცილებით მეტია, ვიდრე სახელმწიფო უფლებამოსილებების უბრალო გა-

<sup>937</sup> მაგ.: Möllers, Dogmatik, 493 (498).

<sup>938</sup> N3/4/641 გადაწყვეტილება, II-3.

<sup>939</sup> Herzog, GG, Art. 20 (Gewaltenteilung), Rn. 9; Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 68; Stern, Staatsrecht I, 792 f.; BVerfGE 95, 1 (15).

<sup>940</sup> Cornils, Gewaltenteilung, 657 (668 f.); Herzog, GG, Art. 20 (Gewaltenteilung), Rn. 8; Horn, Gewaltenteilige Demokratie, 427 (439); Jarass, GG, Art. 20, Rn. 24; Kelsen H., Wesen und Entwicklung der Staatsgerichtsbarkeit, in: Ooyen, Robert Christian van (Hrsg.): Wer soll der Hüter der Verfassung sein? Abhandlungen zur Theorie der Verfassungsgerichtsbarkeit in der pluralistischen, parlamentarischen Demokratie, Tübingen 2008, 24; Leibholz, Rinck, Hesselberger, GG, Art. 20, Rn. 462; Mager, Staatsrecht I, 352; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 210; Zippelius, Deutsches Staatsrecht, 111; BVerfGE 95, 1 (15); 124, 78 (120).

ნანილება. ის წარმოადგენს ურთიერთპატივისცემის ვალდებულებათა, ურთიერთკონტროლის, შეზღუდვების, შეკავებისა და ბალანსის (checks and balances) სისტემას.<sup>941</sup> ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთგავლენის შესაძლებლობა არათუ დაშვებულია,<sup>942</sup> არამედ აუცილებელიცაა ძირითადი უფლებების ეფექტიანი და დინამიური დაცვის,<sup>943</sup> დემოკრატიული და სამართლებრივსახელმწიფოებრივი კონტროლის<sup>944</sup> ინტერესებში. ეს ძალაუფლების ეფექტიანი გამიჯვნის შემადგენელი ნაწილია და არა გამონაკლისი ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპიდან.<sup>945</sup>

ხელისუფლების შტოთა ურთიერთკონტროლის სისტემა ისე უნდა მოეწყოს, რომ არათანაზომიერად არ შეიზღუდოს სახელმწიფო ხელისუფლების ეფექტიანობა და რაციონალობა, რაც დესტაბილიზაციას გამოიწვევდა.<sup>946</sup> ურთიერთკონტროლს ახლავს ერთმანეთის შეფერხებასა და დაბლოკვაში გადაზრდის საფრთხე. შედეგად, ჩნდება მოთხოვნილება „ძლიერ გადანყვეტილების მიმღებზე“.<sup>947</sup> ეს საფრთხე იღებს მკვეთრ კონტურებს პოსტსაბჭოთა საზოგადოებაში, რომელიც ყოველთვის ხალისით არ იღებს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას და სიამოვნებით გადააბარებს მას, საკუთარი თავისუფლების ლომის წილთან ერთად, ფორმალურ თუ არაფორმალურ „ძლიერ გადანყვეტილების მიმღებს“.

<sup>941</sup> Fürst, Funktionsgebundenheit, 31 (32); Hofmann, GG, Art. 20, Rn. 55; Sachs, GG, Art. 20, Rn. 81; Schnapp, Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung der Republik Polen, 171 (173); Schnapp, GG, Art. 20, Rn. 57; Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 71; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 212.

<sup>942</sup> Leibholz, Rinck, Hesselberger, GG, Art. 20, Rn. 462.

<sup>943</sup> Cornils, Gewaltenteilung, 657 (680).

<sup>944</sup> Mager, Staatsrecht I, 352.

<sup>945</sup> Badura, Staatsrecht, 373.

<sup>946</sup> შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, 93; Cornils, Gewaltenteilung, 657 (695); Sommermann, GG, Art. 20, Rn. 213.

<sup>947</sup> Cornils, Gewaltenteilung, 657 (699).

### 3. ძალაუფლების ფუნქციური, ორგანიზაციული და პერსონალური გამიჯვნა

გამოჰყოფენ ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის ფუნქციურ, ორგანიზაციულ და პერსონალურ ასპექტებს.<sup>948</sup> ძალაუფლების ფუნქციური გამიჯვნა გულისხმობს სახელმწიფო უფლებამოსილებათა დაყოფას სამ ფუნქციურ სფეროდ – კანონმდებლობა, მმართველობა და მართლმსაჯულება, ე. ი. მათ განაწილებას საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს შორის. ძალაუფლების ფუნქციურ გამიჯვნას ასევე აღწერენ ტერმინით „ძალაუფლებათა განსხვავება“.<sup>949</sup>

ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპი არ გამორიცხავს სხვადასხვა შტოთა შორის უფლებამოსილებებთან გადაცემისა და გადაკვეთის შემთხვევებს.<sup>950</sup> ამის მაგალითებია: საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის სამართალშემოქმედებითი უფლებამოსილებების დელეგირება; აღმასრულებელი ხელისუფლების მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში; მსჯავრდებულთა შეწყალება; სამოსამართლო სამართალი; კანონებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება და სხვა.<sup>951</sup> ჩარევა დაუშვებელი არის მხოლოდ ხელისუფლების შესაბამისი შტოს კონსტიტუციურ ამოცანათა ბირთვში.<sup>952</sup> ამ ბირთვის

<sup>948</sup> Herzog, GG, Art. 20 (Gewaltenteilung), Rn. 13 ff.; Horn, Gewaltenteilige Demokratie, 427 (437); Jarass, GG, Art. 20, Rn. 24; Mager, Staatsrecht I, 352; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 75; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 209; Wrege, Das System der Gewaltenteilung, 436 (436); Zippelius, Deutsches Staatsrecht, 110 f.

<sup>949</sup> Gewaltenunterscheidung. იხ.: Herzog, GG, Art. 20 (Gewaltenteilung), Rn. 14.

<sup>950</sup> Sachs, GG, Art. 20, Rn. 85.

<sup>951</sup> Kunig, Rechtsstaat, 421 (437); Mager, Staatsrecht I, 353; Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 75; Vogel, Gewaltenvermischung, 1505 (1506); Zippelius, Deutsches Staatsrecht, 111 f.

<sup>952</sup> BVerfGE 9, 268 (279 f.); 34, 52 (59); 95, 1 (15 f.). დაწვრილებით იხ.: Cornils, Gewaltenteilung, 657 (677 f.); Herzog, GG, Art. 20 (Gewaltenteilung), Rn.

ფარგლები აბსტრაქტულად არ განისაზღვრება და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ანონ-დანონვის გზით დგინდება.<sup>953</sup>

*ძალაუფლების ორგანიზაციული გამიჯვნა* გულისხმობს სახელისუფლებო უფლებამოსილებების მიკუთვნებას სპეციალური, ორგანიზაციულად გაყოფილი და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორგანოებისათვის. ამ კონტექსტში მთავარი მნიშვნელობა აქვს ინსტიტუციურ-ორგანიზაციულ ასპექტს. ძალაუფლების ორგანიზაციულ დანაწილებას ასევე უწოდებენ „*ძალაუფლებათა დაყოფას*“.<sup>954</sup>

*ძალაუფლების პერსონალური გამიჯვნა* კრძალავს ერთი პირის მიერ ხელისუფლების სხვადასხვა შტოებში თანამდებობების ერთდროულად დაკავებას. მაშასადამე, ძალაუფლების გამიჯვნა მოითხოვს პერსონალური გამყოფი ხაზების გავლენასაც.<sup>955</sup> ძალაუფლების პერსონალური დანაწილება, ადგენს რა თანამდებობრივი შეუთავსებლობის შემთხვევებს, განავრცობს ძალაუფლების გამიჯვნის ფუნქციურ და ორგანიზაციულ ასპექტებს.<sup>956</sup> ამასთან, პერსონალური გამიჯვნა არ გულისხმობს მხოლოდ შეუთავსებლობის პრინციპს. ის ასევე კრძალავს ხელისუფლების სხვადასხვა შტოების წარმომადგენელთა შორის არასათანადო კოლაბორაციას.<sup>957</sup> მაგალითად, როდესაც პოლიტიკური ძალა განამნებს „ერთგულ ადამიანებს“ თანამდებობებზე ხელისუფლების სხვადასხვა შტოებში, შეუთავსებლობის წესები ცარიელ ფორმალობად იქცევა და ირღვევა ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპი.<sup>958</sup>

---

115; Jarass, GG, Art. 20, Rn. 24; Leibholz, Rinck, Hesselberger, GG, Art. 20, Rn. 471, 491; Möllers, Dogmatik, 493 (499 f.); Sachs, GG, Art. 20, Rn. 93; Schnapp, GG, Art. 20, Rn. 58; Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 71; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 215; Vogel, *Gewaltenvermischung*, 1505 (1506).

<sup>953</sup> Wrege, *Das System der Gewaltenteilung*, 436 (436).

<sup>954</sup> იხ.: Herzog, GG, Art. 20 (*Gewaltenteilung*), Rn. 15.

<sup>955</sup> Hofmann, GG, Art. 20, Rn. 55.

<sup>956</sup> Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 69.

<sup>957</sup> Herzog, GG, Art. 20 (*Gewaltenteilung*), Rn. 17.

<sup>958</sup> Loladze, *Rechtsstaatsprinzip*, 362.

#### 4. ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის მოკლე ისტორია საქართველოში

საქართველოს არ აქვს პოზიტიური და ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილება ძალაუფლების გამიჯვნასთან ან მის სხვადასხვა გამოვლინებებთან დაკავშირებით. ქვემოთ მაინც შევეცდებით არსებული გამოცდილების მოკლე აღწერას და ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტების გამოყოფას.

ძალაუფლების გამიჯვნისა და მონარქის ძალაუფლების შეზღუდვის პირველი სერიოზული მცდელობა ემთხვევა თამარ მეფის ეპოქას. მეჭურჭლეთუხუცესმა *ყუთლუ-არსლანმა* და მისმა დასმა მოითხოვა წარმომადგენლობითი ორგანოს – *კარავის* დაარსება. კარავს უნდა განეხორციელებინა საკანონმდებლო ხელისუფლების ამოცანები, ხოლო მეფე კი მის გადანყვეტილებებს აღასრულებდა. მონარქმა გონივრული დიპლომატიის გამოყენებით აიცილა მისი ძალაუფლების შეზღუდვის საფრთხე. *ყუთლუ-არსლანმა* მას ერთგულედა შეჰფიცა. მიუხედავად ამისა, მეფე მაინც წავიდა გარკვეულ დათმობებზე. ახალი ვაზირების დანიშვნა მხოლოდ დიდგვაროვანთა თანხმობით ხდებოდა. ქალაქის მცხოვრებთა მდიდარი ფენის წარმომადგენლებს მიეცათ სამეფო საბჭოს წევრობის უფლება.<sup>959</sup> ეს ისტორია შეიძლება შეფასდეს, როგორც მოძრაობის დაწყება სამეფო ძალაუფლების შეზღუდვის მიმართულებით ხელისუფლების დანაწილების იდეის საშუალებით.<sup>960</sup> ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ამ ტენდენციის გაგრძელება გამოინვევდა მეფის ძალაუფლების შეზღუდვას და შეზღუდული მონარქიის დაფუძნებას.<sup>961</sup> სამწუხაროდ, საქართველოს ისტორია შემდგომი საუკუნეების მანძილზე ძალიან

<sup>959</sup> Fährnrich H., *Geschichte Georgiens*, Leiden/Boston 2010, 210.

<sup>960</sup> აბაშმაძე ვ., ქართული ინტელექტუალური ფენომენები, ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებები, თბილისი 1992, 457; დემეტრაშვილი ა., კონსტიტუციონალიზმის პარადიგმები საქართველოში. საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, N3, 2010, 99 (100–101).

<sup>961</sup> Loladze, *Rechtsstaatsprinzip*, 21.

როულად განვითარდა, რამაც არათუ შეაფერხა ქვეყნის პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ეკონომიკური განვითარება, არამედ რეგრესიც კი გამოიწვია. ამ ფონზე ძირითადი პრობლემა გახდა ერის ფიზიკური გადარჩენა და პროგრესზე საუბარი ზედმეტი იყო.<sup>962</sup>

იმ იმპერიებისათვის, რომლებიც სხვადასხვა დროს იპყრობდნენ საქართველოს ან მის რომელიმე ნაწილს, უცხო და მიუღებელი იყო ძალაუფლების გამიჯვნის იდეა. ამ თვალსაზრით, გამონაკლისს არ წარმოადგენს რუსეთის იმპერია, რომელიც ყოველთვის არსებითად ჩამორჩებოდა და დღეისთვისაც ჩამორჩება მსოფლიოს პროგრესულ სახელმწიფოებს. რუსეთის იმპერია, რომელმაც მე-19 საუკუნეში განახორციელა ქართული სამეფო-სამთავროების ანექსია, იყო კლასიკური აბსოლუტისტური პოლიციური სახელმწიფო, რომლისთვისაც დამახასიათებელია მისი ქვეშევრდომების (და არა მოქალაქეების) მეურვეობა და პირადი ცხოვრების მართვა, ხშირად მათივე ნების სანინალმდეგოდაც კი.<sup>963</sup> ცხადია, ამგვარი სახელმწიფოსათვის ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპი კატეგორიულად მიუღებელი იყო.

1918–1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდი იყო ძალიან მოკლე ნათელი პაუზა რუსულ წყვედი-ადში. ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის გავლენა შესამჩნევია საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაზე მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის პირდაპირ ნახსენები კონსტიტუციის ტექსტში.<sup>964</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით 1921 წლის კონსტიტუციის ძალაუფლების გამიჯვნის მოდელის კრიტიკულ შეფასებას. განსაკუთრებით უსვამენ ხაზს პარლამენტის ძლიერ პოზიციას ხელისუფლების სხვა შტოებთან შედარებით. ყურადღება მახვილდება იმაზეც, რომ

<sup>962</sup> Neukomm R., Nachwort, in: Rustaweli, Schota: Der Mann im Pantherfell, Zürich 1974, 453 (458 f.).

<sup>963</sup> შეადარე: Radbruch G., Der Mensch im Recht, Tübingen 1927, 7.

<sup>964</sup> Gaul W., Verfassungsgebung in Georgien. Ergebnisse internationaler rechtlicher Beratung in einem Transformationsstaat, Berlin 2001, 104.

კონსტიტუციის ავტორებმა არ გამოიყენეს ცნება „სასამართლო ხელისუფლება“ და შესაბამის თავს „სასამართლო“ უწოდეს.<sup>965</sup> ეს მოსაზრება საკამათოა, რადგანაც 1921 წლის კონსტიტუციის მე-6 თავის შინაარსი გასხვავებულ სურათს ქმნის. კონსტიტუციის ტექსტში ყველაფერია გათვალისწინებული, რაც სასამართლოს დამოუკიდებლობისათვის არსებითი შეიძლება ყოფილიყო. მაგალითისათვის, 78-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო დამოუკიდებელი იყო და მხოლოდ კანონს ემორჩილებოდა. 79-ე მუხლი კატეგორიულად გამორიცხავდა სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებას, შეცვლას ან შეჩერებას საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს მიერ. მოსამართლის პერსონალური დამოუკიდებლობა გარანტირებული იყო სხვა თანამდებობაზე მისი გადაყვანის აკრძალვით სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. სამსახურეობრივი უფლებამოსილების დროებით შეჩერება მხოლოდ მაშინ იყო შესაძლებელი, როდესაც მოსამართლის წინააღმდეგ გამოძიება მიმდინარეობდა. მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება საჭიროებდა სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილებას.<sup>966</sup> გარდა ზემოაღნიშნულისა, კონსტიტუციის მე-6 თავის სათაურისათვის გადამეტებული მნიშვნელობის მინიჭება არ არის მართებული.<sup>967</sup>

ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპაციამ, კომუნისტური რეჟიმის დამყარებამ და საბჭოთა იმპერიის ნაწილად გადაქცევამ საქართველო ათწლეულების განმავლობაში მოაქცია იზოლირებულ ტოტალიტარულ სივრცეში, სადაც ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპი უარყოფილი იყო. ძალაუფლება ფორმალურად სრულად ეკუთვნოდა მუშათა და გლეხთა საბჭოებს,<sup>968</sup> ხოლო რეალურად –

<sup>965</sup> დემეტრაშვილი, პარადიგმები, 99 (107).

<sup>966</sup> საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 83-ე მუხლი.

<sup>967</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 31.

<sup>968</sup> საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1936 წლის 5 დეკემბრის კონსტიტუციის მე-3 მუხლი; საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1977 წლის 7 ოქტომბრის კონსტიტუციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი.

კომუნისტური პარტიის ელიტას. კომუნისტური რეჟიმი არ უშვებდა მისი შეუზღუდავი ძალაუფლების მოქცევას რაიმე საზღვრებში. ძალაუფლება იყო უკიდურესად კონცენტრირებული როგორც ჰორიზონტალურად, ასევე ვერტიკალურად.<sup>969</sup> საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზაცია და საქმიანობა ეყრდნობოდა ე. წ. „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ პრინციპს.<sup>970</sup> დემოკრატიისა და საბჭოური ცენტრალიზმის ერთ კონტექსტში მოხსენიება ოქსიმორონია, რადგანაც ისინი აბსოლუტურად შეუთავსებელია ერთმანეთთან.

კომუნისტური პარტიის დამარცხებამ და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ძალების გამარჯვებამ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში დააჩქარა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესი. ეროვნულმა ხელისუფლებამ, სამწუხაროდ, 1921 წლის კონსტიტუციის მოქმედების აღდგენას ამჯობინა საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციის გადასინჯვა. მართალია, 1978 წლის კონსტიტუციამ ბევრი პოზიტიური ცვლილება განიცადა, მაგრამ ის მაინც დარჩა საბჭოთა კონსტიტუციად თავისი არსით. ეს შეეხება ძალაუფლების გამიჯვნის საკითხსაც. სახელმწიფო ხელისუფლების ვერტიკალმა მხოლოდ ზედაპირული ცვლილებები განიცადა. მოგვიანებით განხორციელებულმა ცვლილებებმა და პრეზიდენტის ხელში ძალაუფლების კონცენტრაციამ კიდევ უფრო გააუარესა მდგომარეობა.<sup>971</sup> პრობლემები არსებობდა ძალაუფლების ვერტიკალური გამიჯვნის კუთხითაც. კონსტიტუცია არ ითვალისწინებდა ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტს. ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები შედიოდნენ სახელმწიფოს წარმომადგენლობითი ორგანოების ერთიან სისტემაში.<sup>972</sup>

<sup>969</sup> შეადარე: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 26.

<sup>970</sup> მაგ.: სსრკ-ს 1936 წლის კონსტიტუციის მე-2, მე-3, 108-ე, 130-ე, 137-ე, 139-ე, 143-ე, 145-ე, 146-ე, 149-ე და 150-ე მუხლები.

<sup>971</sup> დანვრილებით იხ.: დემეტრაშვილი, პარადიგმები, 99 (109).

<sup>972</sup> საქართველოს რესპუბლიკის 1978 წლის 15 აპრილის კონსტიტუციის 85-ე და 137-ე მუხლები.

საქართველო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და სამართლებრივ ქაოსში აღმოჩნდა 1991–1992 წლების დეკემბერ-იანვარში პრეზიდენტის დამხობის შემდეგ.<sup>973</sup> 1992 წლის 6 ნოემბერს მიიღეს კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“. მან გარკვეული წესრიგი შეიტანა ქვეყანაში არსებულ მძიმე სიტუაციაში.<sup>974</sup> ამასთან, „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კანონს მრავალი ნაკლი ჰქონდა, განსაკუთრებით ძალაუფლების გამოყენების კუთხით. ძალაუფლება კონცენტრირებული იყო ერთი პირის ხელში.<sup>975</sup> სახელმწიფოს მეთაური, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს ამოცანებს ასრულებდა, იმავდროულად პარლამენტის თავმჯდომარეც იყო.<sup>976</sup>

საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც მიიღეს 1995 წლის 24 აგვისტოს, დღესაც ძალაშია. მან განიცადა მრავალი ცვლილება, რომელთაგან სამმა მასშტაბურმა გადასინჯვამ – 2004, 2010 და 2017 წლებში – შეცვალა სახელმწიფო მმართველობის მოდელი. 1995 წლის კონსტიტუციის პირვანდელი რედაქციით გათვალისწინებული საპრეზიდენტო რესპუბლიკა 2004 წელს გარდაიქმნა ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკად, 2010 წელს – ნახევრადსაპარლამენტო რესპუბლიკად, ხოლო 2017 წელს – საპარლამენტო რესპუბლიკად. მაშასადამე, საქართველომ მოსინჯა რესპუბლიკური სახელმწიფო მმართველობის ფაქტობრივად ყველანაირი მოდელი, თუმცა წარუმატებლად. წარუმატებლობაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ სხვაგვარად არ დადგებოდა არსებული მოდელების გადასინჯვის საჭიროება. ამის მთავარი მიზეზი იყო გაუნონასწორებელი ძალაუფლების კონცენტრაცია ადრეულ ეტაპზე პრეზიდენ-

<sup>973</sup> დანვრილებით იხ.: Gaul, *Verfassungsgebung*, 7.

<sup>974</sup> დემეტრაშვილი, პარადიგმები, 99 (110).

<sup>975</sup> Loladze, *Rechtsstaatsprinzip*, 34.

<sup>976</sup> „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 6 ნოემბრის კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი და მე-17 მუხლი.

ნტების, ხოლო მოგვიანებით – არაფორმალური მმართველობისა და პარტიული ელიტის ხელში.

ქართულ სახელმწიფო მმართველობის მოდელებს „ორიგინალებისაგან“ ყოველთვის განასხვავებდა ძალაუფლების ბალანსის დარღვევა. მაგალითად, საპრეზიდენტო რესპუბლიკის ქართულ ვარიანტში პრეზიდენტს ჰქონდა გაცილებით ფართო უფლებამოსილებები და ხელისუფლების სხვა შტოებზე ზეგავლენის ბერკეტები, ვიდრე აქვს პრეზიდენტს საპრეზიდენტო რესპუბლიკის კლასიკურ მოდელში.

ძალაუფლების გამიჯვნასთან დაკავშირებული პრობლემები გამონეუელია მრავალი ფაქტორით. ისინი სერიოზულად აბრკოლებენ საქართველოს სამართლებრივ სახელმწიფოდ ტრანსფორმაციას. ყველა ფაქტორის მიმოხილვა შორს ნაგვიყვანდა, ამიტომ გამოვარჩევთ ორ ყველაზე ხელშემშლელ გარემოებას. პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ *პოლიტიკური ნების არქონა*. დამოუკიდებელი საქართველოს უახლეს ისტორიაში არ მოიძებნება სახელმწიფოს მმართველი პირი ან პოლიტიკური ძალა, რომელიც ასხივებდა საკუთარი ძალაუფლების დაბალანსების თუნდაც მოკრძალებულ სურვილს. საკონსტიტუციო რეფორმები ნაკარნახევი იყო უფრო ძალაუფლების განმტკიცებისა და შენარჩუნების ინტერესით, ვიდრე დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის მიზნით. *პოლიტიკური ნების არქონას* ემატება *საზოგადოებრივი ნების არქონა*. საზოგადოების სოლიდურ ნაწილს კვლავ რჩება მოთხოვნილება „ძლიერ ხელზე“, რაც რეალურად არის სახელმწიფოსაგან მისი გაუცხოების გამოხატულება. ამ ნაწილს ურჩევნია, რომ მის ნაცვლად გადაწყვეტილება მიიღოს და შესაბამისად, პასუხისმგებლობა აიღოს ვინმე სხვამ და დიდად არ ალეღვებს ის რისკები ინდივიდუალური თავისუფლებისათვის, რაც ამგვარი სიტუაციის თანმდევა. სიმშვიდე და კომფორტი მათთვის, სავარაუდოდ, თავისუფლებაზე უფრო ძვირფასია.

## 5. ძალაუფლების გამიჯვნისა და დაბალანსების ფაქტორები

### 5.1. საკანონმდებლო ხელისუფლების კონტექსტი

თეორიაში გამოჰყოფენ იმ ფაქტორებს, რომლებიც აძლიერებენ საკანონმდებლო ხელისუფლების პოზიციებს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მიმართებით. ეს ფაქტორებია: კანონის უზენაესობისა და კანონის დათქმის პრინციპები, ადმინისტრაციული თანამდებობისა და სადეპუტატო მანდატის შეუთავსებლობა, სპარლამენტო კონტროლი.<sup>977</sup>

კანონის უზენაესობის პრინციპი მოითხოვს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების სამართალშემოქმედებითი თუ სხვა სახის საქმიანობა წარმართოს კანონის საფუძველზე და მის ფარგლებში. მაგალითად, საქართველოს მთავრობის სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით, თუმცა საკანონმდებლო ხელისუფლებას ამ შემთხვევაში ის აბალანსებს, რომ მხოლოდ მთავრობას აქვს ამ კანონის პროექტის წარდგენის უფლებამოსილება.<sup>978</sup>

საქართველოს კონსტიტუცია, კანონის დათქმის პრინციპიდან გამომდინარე, განსაზღვრავს საკითხებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებელმა შეიძლება მოაწესრიგოს. მაგალითად, ის ითვალისწინებს პარლამენტის ე. წ. „საგადასახადო სუვერენიტეტს“ – „სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით. მხოლოდ კანონით შეიძლება გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურისა და შემოღების წესის, მათი განაკვეთების ან განაკვეთების ფარგლების დადგენა. გადასახადისაგან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ კანონით. საგადასახადო კონტროლს ახორციელებენ მხოლოდ კანონით განსაზღვრული საგადასახადო ორგანოები.“<sup>979</sup> პარლამენტის საგადა-

<sup>977</sup> Jarass, GG, Art. 20, Rn. 25; Kunig, Rechtsstaat, 421 (437); Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 72; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 218.

<sup>978</sup> კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

<sup>979</sup> 67-ე მუხლის პირველი პუნქტი.

სახადო სუვერენიტეტს დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი სახელმწიფოს კონტექსტში, რადგანაც მის მიზნად ითვლება საზოგადოების კოლექტიური თავისუფლების დაცვა სახელმწიფოსაგან.<sup>980</sup> საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციისა და ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის დარღვევად თვლის აღნიშნული უფლებამოსილებების გადაცემას აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის.<sup>981</sup> კონსტიტუციის დარღვევით დაწესებული გადასახადი ან მოსაკრებელი არღვევს ასევე საკუთრების უფლებას.<sup>982</sup> ბუნებრივია, კანონის დათქმის პრინციპი მხოლოდ ამ საკითხით არ შემოიფარგლება და მის შინაარსზე შესაბამის ქვეთავში გამახვილდება ყურადღება.

საქართველოს კონსტიტუციითა არის უზრუნველყოფილი, ფორმალური თვალსაზრისით, საკანონმდებლო ხელისუფლებასა და სხვა შტოებს შორის ძალაუფლების პერსონალური განაწილება. პარლამენტის წევრს არ აქვს რაიმე თანამდებობის დაკავების უფლება საჯარო სამსახურში.<sup>983</sup> პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველს წარმოადგენს სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება.<sup>984</sup> შეუთავსებლობის წესი, განსაკუთრებით სამთავრობო თანამდებობისა და საპარლამენტო მანდატის შეუთავსებლობა, შეიძლება პოზიტიურად შეფასდეს. საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელში ისედაც მჭიდრო კავშირი არსებობს მთავრობასა და პარლამენტს შორის. თანამდებობრივი შეუთავსებლობის გაუქმება ან შემსუბუქება ამ

<sup>980</sup> Mastronardi, *Verfassungslehre*, 288.

<sup>981</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 20 თებერვლის N1/3–21 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე ოთარ ზოიძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“.

<sup>982</sup> N1/3–21 გადაწყვეტილება; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება № 2/1/187–188 საქმეზე „შპს „აირზენა საქართველოს ავიახაზები“ საქართველოს პარლამენტის და საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს წინააღმდეგ“, ბ.

<sup>983</sup> 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირველი წინადადება.

<sup>984</sup> 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

კავშირს კიდევ უფრო გააძლიერებდა ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის საზიანოდ.<sup>985</sup>

საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საპარლამენტო კონტროლის სხვადასხვა ფორმას. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად ეფექტიანია პრაქტიკაში საპარლამენტო კონტროლის ესა თუ ის მექანიზმი. თავდაპირველად შევეხებით ისეთ ინსტიტუციურ მექანიზმებს, როგორცაა კომიტეტი და კომისია. *პარლამენტის კომიტეტის* ერთ-ერთი კონსტიტუციური მიზანია მთავრობისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების საქმიანობის კონტროლი.<sup>986</sup> პარლამენტის კომიტეტების საქმიანობის ინტენსივობისა და ქმედითობის ხარისხი ამ მიმართულებით არსებითად იკლებს იმ შემთხვევაში, როდესაც პარლამენტში და შესაბამისად, კომიტეტებშიც უმრავლესობა აქვს ერთ პოლიტიკურ პარტიას. ცხადია, კომიტეტის წევრთა უმრავლესობა ლოიალურად არის განწყობილი აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებული მათი პოლიტიკური თანაგუნდელებისა და თანამოაზრეების მიმართ. წესით და რიგით, მსგავსი პრობლემა არ უნდა არსებობდეს *საგამოძიებო* და *სხვა დროებით კომისიაში*, რადგანაც აქ ოპოზიციის წარმომადგენლობა არ უნდა იყოს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლები.<sup>987</sup> ერთი შეხედვით, არც კომისიის შექმნა უნდა იყოს დაკავშირებული დიდ დაბრკოლებებთან – მისი შექმნის ინიცირებისათვის საკმარისია პარლამენტის წევრთა ერთი მეხუთედი, ანუ 30 დეპუტატი,<sup>988</sup> ხოლო გადაწყვეტილება შექმნის შესახებ მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედის მხარდაჭერით.<sup>989</sup> ამდენად, კომისია მაინც უნდა

<sup>985</sup> Loladze, Rechtsstaatprinzip, 365.

<sup>986</sup> 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>987</sup> საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-4 წინადადება.

<sup>988</sup> საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>989</sup> საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადება.

შეიქმნას, თუნდაც პარლამენტის ყველა დანარჩენი წევრი ენინააღმდეგებოდეს ამ ინიციატივას. კონსტიტუცია ადგენს დამატებით გარანტიებს კომისიის საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად – „საგამოძიებო კომისიის მოთხოვნით მის სხდომაზე გამოცხადება, აგრეთვე საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი საბუთებისა და ინფორმაციის წარდგენა სავალდებულოა.“<sup>990</sup> კონსტიტუცია ფორმალურად ქმნის ოპოზიციის მიერ საპარლამენტო კონტროლის განხორციელების აღნიშნული მექანიზმის შექმნისა და ფუნქციონირების წინაპირობებს, მაგრამ ყველაფერი აზრს კარგავს, თუ უზენაესი კანონის მოთხოვნები და სულისკვეთება არ შესრულდება. სამწუხაროდ, ამის მაგალითები არსებობს, დაწყებული საპარლამენტო უმრავლესობის მიერ რეგისტრაციის არგავლით და ამგვარად კომისიის შექმნის ხელოვნური დაბლოკვით<sup>991</sup> და დასრულებული ისეთი კომისიის შექმნით, რომელიც თავისი შემადგენლობით არაკონსტიტუციურია, ხოლო რეალურად საპარლამენტო უმრავლესობის პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება და არა აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლს.

პარლამენტის წევრის კითხვისა და ინტერპელაციის ინსტიტუტები ასევე ემსახურება აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლს. *პარლამენტის წევრის კითხვის* ადრესატი შეიძლება იყოს მთავრობა, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანო, მთავრობის წევრი, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების ორგანო, სახელმწიფო დაწესებულება. პარლამენტის წევრის კითხვაზე დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა.<sup>992</sup> *ინტერპელაციის* უფლება აქვს საპარლამენტო ფრაქციას ან პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდკაციან ჯგუფს. ინტერპელაციის წესით დასმული შეკითხვის ადრესატი

<sup>990</sup> 42-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>991</sup> შეადარე: ლოლაძე ბ., სასამართლო სამართალსა და პოლიტიკას შორის, გეგენავა დიმიტრი (რედ.), ლადო ჭანტურია 60, თბილისი 2023, 316 (320).

<sup>992</sup> საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტი.

შეიძლება იყოს მთავრობა, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანო ან მთავრობის წევრი. პარლამენტის წევრის კითხვისაგან განსხვავებით, შეკითხვაზე პასუხის გაცემა ხდება პარლამენტის სხდომაზე. პასუხი შეიძლება გახდეს პარლამენტის განხილვის საგანი.<sup>993</sup> ამასთან, ბუნდოვანია, თუ რა შესაძლო შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ განხილვას. მსგავსად ზემოთ მიმოხილული მექანიზმებისა, კითხვა და ინტერპელაცია მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ეფექტიანი, როდესაც მათ სათანადო პასუხისმგებლობით უდგებიან ადრესატები და ადგილი არ აქვს თვითნებობას მათი ან საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან.

საკანონმდებლო ხელისუფლების პოზიციებს სასამართლო ხელისუფლებასთან მიმართებით, უპირველეს ყოვლისა, ამყარებს: კანონის უზენაესობა, სასამართლოს შეზღუდვა კანონით, საკონსტიტუციო კონტროლის შემოფარგვლა კონკრეტული კომპეტენციებით, კანონმდებლის კონსტიტუციური უფლებამოსილებების მითვისების აკრძალვა.<sup>994</sup> კონსტიტუციის ნორმას, რომელიც ადგენს მოსამართლის დამორჩილებას მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონისადმი<sup>995</sup> განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკანონმდებლო და სასამართლო შტოების ურთიერთობის კუთხით. კანონმდებლის პრეროგატივა არის კონსტიტუციისა და კანონების მიღება და გადასინჯვა. ის განსაზღვრავს სასამართლო ხელისუფლების დაკომპლექტებისა და ორგანიზების ძირითად წესებს. კანონმდებლის მიერ მიღებული კანონები წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის საფუძველს როგორც მატერიალური, ასევე პროცესუალური თვალსაზრისით. ამ კონტექსტში, იმასაც კი აღნიშნავენ, რომ კანონის უზენაესობა იწვევს კანონმდებლის უზენაესობას.<sup>996</sup>

<sup>993</sup> საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>994</sup> Herzog, GG, Art. 20 (Gewaltenteilung), Rn. 58; Jarass, GG, Art. 20, Rn. 25; Kunig, Rechtsstaat, 421 (437); Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 72.

<sup>995</sup> 63-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება.

<sup>996</sup> მაგ.: Horn, Gewaltenteilige Demokratie, 427 (444).

კანონმდებლის პოზიციებს სასამართლო ხელისუფლებასთან მიმართებით ასევე აძლიერებს მისი უშუალო ჩართულობა პერსონალური საკითხების გადაწყვეტაში. კერძოდ, პარლამენტი ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს,<sup>997</sup> ასევე უზენაესი სასამართლოს წევრებსა (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით)<sup>998</sup> და თავმჯდომარეს (უზენაესი სასამართლოს წევრთაგან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით).<sup>999</sup>

## 5.2. აღმასრულებელი ხელისუფლების კონტექსტი

აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საუბრისას, პირველ რიგში, არკვევენ, თუ რომელ ორგანოებს თუ თანამდებობის პირებს მოიცავს ეს შტო. აღმასრულებელ ხელისუფლებას უდავოდ განეკუთვნება მთავრობა, სამინისტროები და მათ სისტემაში შემავალი თუ კონტროლს დაქვემდებარებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ტერიტორიული ორგანოები, ასევე სახელმწიფო რწმუნებულები ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე და ა. შ.

საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ ინსტიტუციებსა და თანამდებობის პირებს, რომლებიც მართალია, უშუალოდ არ შედიან სამთავრობო ვერტიკალში, მაგრამ თავისი არსით არ განეკუთვნებიან საკანონმდებლო ან სასამართლო ხელისუფლებას. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სახალხო დამცველი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ეროვნული ბანკი და ა. შ. დაისმის კითხვა, თუ ხელისუფლების რომელ შტოს შეიძლება მივაკუთვნოთ მსგავსი ინსტიტუციები და თანამდებობის პირები. უცხოური გამოცდილების მიხედვით, აღ-

<sup>997</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება.

<sup>998</sup> საქართველოს კონსტიტუციის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადება.

<sup>999</sup> საქართველოს კონსტიტუციის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება.

მასრულებელი ხელისუფლების „სუბსტრაცია“ სხვა შტოებისაგან ხორციელდება ე. წ. „ნეგატიური კონცეფციის“, ანუ გამორიცხვის მეთოდის გამოყენებით.<sup>1000</sup> თუ ორგანო ან თანამდებობის პირი არ ახორციელებს კანონშემოქმედებით ან სასამართლო უფლებამოსილებებს, ის განეკუთვნება აღმასრულებელ ხელისუფლებას.<sup>1001</sup> აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლების უფრო ზუსტი და მოქნილი აღწერა შეუძლებელია, თუ გავითვალისწინებთ მისი უფლებამოსილებების გაზრდილ მოცულობას.<sup>1002</sup>

აღმასრულებელი ხელისუფლების პოზიცია სხვა შტოების მიმართ არ არის საკანონმდებლო ხელისუფლების პოზიციასაგან მყარი, თუმცა ის მაინც სარგებლობს გარკვეული დამოუკიდებლობით.<sup>1003</sup> საკანონმდებლო ხელისუფლებას არ აქვს უფლება, შეითავსოს ისეთი ფუნქცია, რომელიც არსობრივად აღმასრულებელ ხელისუფლებას ეკუთვნის და მისთვის არის დამახასიათებელი.<sup>1004</sup> მართებულად აღნიშნავენ, რომ საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელება არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ყოვლისმომცველი საპარლამენტო დათქმა არსებობდეს,<sup>1005</sup> ე. ი. პარლამენტს ჰქონდეს ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილება. მაგალითად, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპებთან შეუთავსებელია პარლამენტის მიერ ე. წ. „ერთი შემთხვევის კანონის“ მიღება,<sup>1006</sup> რაც აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციის მითვისებას ნარმოადგენს.

<sup>1000</sup> Möllers, Dogmatik, 493 (514); Schmidt, Staatsorganisationsrecht, 65.

<sup>1001</sup> შეადარე: Sachs, GG, Art. 20, Rn. 83; Stern, Staatsrecht I, 795.

<sup>1002</sup> Herzog, GG, Art. 20 (Gewaltenteilung), Rn. 98.

<sup>1003</sup> Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 73.

<sup>1004</sup> Schulze-Fielitz, იქვე; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 219; Wrege, Das System der Gewaltenteilung, 436 (437).

<sup>1005</sup> Badura, Staatsrecht, 374; Hofmann, GG, Art. 20, Rn. 55; Wrege, Das System der Gewaltenteilung, 436 (436).

<sup>1006</sup> შეადარე მაგ.: Herzog, GG, Art. 20 (Gewaltenteilung), Rn. 83; Zippelius, Deutsches Staatsrecht, 111.

მთავრობის როლი საკანონმდებლო პროცესში ამყარებს მის პოზიციას საკანონმდებლო ხელისუფლებასთან მიმართებით. მას აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებამოსილება. მთავრობის მიერ წარდგენილ კანონპროექტს, მისივე მოთხოვნით, პარლამენტი რიგგარეშე განიხილავს.<sup>1007</sup> ამგვარად, მთავრობას შეუძლია მოახდინოს ირიბი გავლენა პარლამენტის დღის წესრიგზე.<sup>1008</sup> როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ მთავრობას აქვს მთავრობის სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონის პროექტის წარდგენის უფლება.

საკანონმდებლო ხელისუფლებასთან მიმართებით მთავრობას საკმაოდ მყარი პოზიციები აქვს საბიუჯეტო სფეროში. მხოლოდ ის არის უფლებამოსილი, პარლამენტის კომიტეტებთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განხილვის შემდეგ, პარლამენტს წარუდგინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი.<sup>1009</sup> მთავრობის თანხმობა აუცილებელია სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში ცვლილების შეტანისათვის,<sup>1010</sup> ასევე იმ კანონის მიღებისათვის, რომელიც იწვევს მიმდინარე საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას. პარლამენტმა შეიძლება მიიღოს ანალოგიური შედეგების გამომწვევი კანონი, რომელიც მომავალ საბიუჯეტო წელს უკავშირდება, მხოლოდ მთავრობის თანხმობით ან მთავრობის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის ფარგლებში.<sup>1011</sup> პარლამენტის

<sup>1007</sup> საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>1008</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 369.

<sup>1009</sup> საქართველოს კონსტიტუციის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება.

<sup>1010</sup> საქართველოს კონსტიტუციის 66-ე მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება.

<sup>1011</sup> საქართველოს კონსტიტუციის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე პრეზიდენტის შენიშვნების გაზიარება საჭიროებს მთავრობის თანხმობას.<sup>1012</sup>

მთავრობა საჭიროებს პარლამენტის ნდობას. საკანონმდებლო ორგანოს შეუძლია მისთვის უნდობლობის გამოცხადება. პრემიერ-მინისტრის ინიციატივით ნდობის გამოცხადების ინსტიტუტი აძლიერებს მთავრობის მდგომარეობას ამ ურთიერთობაში.<sup>1013</sup> აღსანიშნავია, რომ პრემიერ-მინისტრი შეზღუდული არ არის თემატური, დროის ან ჯერადობის თვალსაზრისით ნდობის საკითხის დასმისას. მას ეძლევა საკანონმდებლო ორგანოზე ზემოქმედებისა და პოზიციის გაძლიერების საშუალება პოლიტიკური უთანხმოების შემთხვევაში. თუ პარლამენტი არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ნდობა გამოუცხადოს პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მესამედზე მეტის მიერ წამოყენებული პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარდგენილ მთავრობას, მაშინ დიდია იმის ალბათობა, რომ მან ნდობა გამოუცხადოს მისთვის არასასურველ მთავრობის მოქმედ შემადგენლობას დათხოვნის თავიდან ასაცილებლად.

აღმასრულებელი ხელისუფლების მდგომარეობას სასამართლო ხელისუფლებასთან ურთიერთობაში ამყარებს ის გარემოება, რომ სასამართლო შემოიფარგლება მხოლოდ კანონიერების კონტროლით,<sup>1014</sup> ე. ი. ის, როგორც წესი, აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას აფასებს კანონიერების კუთხით. მართლმსაჯულების კონცენტრაცია ამ საკითხზე განამტკიცებს პარლამენტის დემოკრატიულ დომინაციას.<sup>1015</sup>

### **5.3. სასამართლო ხელისუფლების კონტექსტი**

სასამართლო ხელისუფლება უნდა იყოს გავლენებისაგან უფრო დაცული და მკაცრად განცალკავებული, ვიდრე სხვა შტო-

<sup>1012</sup> საქართველოს კონსტიტუციის 66-ე მუხლის მე-7 პუნქტის მე-2 წინადადება.

<sup>1013</sup> საქართველოს კონსტიტუციის 58-ე მუხლი.

<sup>1014</sup> Jarass, GG, Art. 20, Rn. 26; Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 73.

<sup>1015</sup> Arnould, Rechtsstaat, 703 (727).

ები.<sup>1016</sup> ძალაუფლების გამიჯვნა იღებს უფრო მკვეთრ კონტურებს მასთან მიმართებით.<sup>1017</sup> სასამართლო წარმოადგენს ინდივიდუალური თავისუფლების დაცვის უმნიშვნელოვანეს საშუალებას. ეს ინსტიტუცია იქცევა ყველაზე ეფექტიან იარაღად თავისუფლების წინააღმდეგ, თუ ის დამოუკიდებლობას კარგავს. ამიტომაცაა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა დაცული განსაკუთრებული კონსტიტუციური გარანტიებით.<sup>1018</sup>

სასამართლოს გაძლიერება, განსაკუთრებით კი – საკონსტიტუციო მართლმსაჯულების არსებობა და ეფექტიანი ფუნქციონირება, არის ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის განვითარების გამორჩეული ნიშანი.<sup>1019</sup> სასამართლო ხელისუფლებას „ძალაუფლების გამიჯვნის იდეის ნამდვილ გარანტიასაც“ კი უწოდებენ.<sup>1020</sup> სასამართლო მართლაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ძალაუფლების გამიჯვნის მთავარი ფუნქციების რეალიზაციისათვის – ძალაუფლების დაბალანსებისა და თავისუფლების დაცვისათვის. მის გადანყვეტილებებს ხშირად აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ კუთხით.<sup>1021</sup>

იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც სხვა შტოებთან მიმართებით სასამართლო ხელისუფლების პოზიციებს აძლიერებს, მოიხსენიებენ: სასამართლო დათქმას, სასამართლოს მონოპოლიას მართლმსაჯულების განხორციელებაზე, სასამართლოს ორგანი-

<sup>1016</sup> Heyde W., Rechtsprechung, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 2, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, 1579 (1582); Hofmann, GG, Art. 20, Rn. 55; Wrege, Das System der Gewaltenteilung, 436 (437).

<sup>1017</sup> Leibholz, Rinck, Hesselberger, GG, Art. 20, Rn. 521; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 221.

<sup>1018</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 375 f.

<sup>1019</sup> შეადარე: Sommermann, GG, Art. 20, Rn. 204.

<sup>1020</sup> Herzog, GG, Art. 20 (Gewaltenteilung), Rn. 36.

<sup>1021</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 376.

ზაციულ დამოუკიდებლობას, მოსამართლეთა საგნობრივ და პერსონალურ დამოუკიდებლობას, მოსამართლეთა თანამდებობრივ შეუთავსებლობასა და სასამართლოს მიერ ხელისუფლების სხვა შტოების კონტროლის უფლებამოსილებებს.<sup>1022</sup> ამასთან, აღნიშნავენ, რომ ძალაუფლების გამიჯვნა სასამართლოს მატერიალურ დამოუკიდებლობას აძლიერებს, თუმცა თავად არ ქმნის მას.<sup>1023</sup> ეს მოსაზრება მართებულია, რადგანაც სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა მრავალ სხვა ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორზეა დამოკიდებული.<sup>1024</sup>

საქართველოს კონსტიტუცია ზოგჯერ ითვალისწინებს სასამართლო დათქმას, როგორც ამა თუ იმ ძირითადი უფლების შეზღუდვის წინაპირობას. მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადანყვეტილებით.<sup>1025</sup> სასამართლო დათქმა აძლევს სასამართლოს შესაძლებლობას, რომ დააბალანსოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანო ამ უფლებათა შეზღუდვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და დაიცვას უფლების სუბიექტი მისი შესაძლო თვითნებობისაგან.

საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებს აქვს *მონოპოლია* სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე.<sup>1026</sup> საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლს,<sup>1027</sup> ხოლო საერთო სასამართლოები – მართლმსაჯულებას.<sup>1028</sup>

<sup>1022</sup> Heyde, Rechtsprechung, 1579 (1582); Jarass, GG, Art. 20, Rn. 27; Leibholz, Rinck, Hesselberger, GG, Art. 20, Rn. 521; Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 74.

<sup>1023</sup> Cornils, Gewaltenteilung, 657 (673).

<sup>1024</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 376.

<sup>1025</sup> მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>1026</sup> საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>1027</sup> 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება.

<sup>1028</sup> 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება.

როგორც საკონსტიტუციო სასამართლო, ასევე საერთო სასამართლოები არის ორგანიზაციულად დამოუკიდებელი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შტოებისაგან. კონსტიტუცია ადგენს მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად ისეთ გარანტიებს, როგორიცაა:<sup>1029</sup> მოსამართლის დამოუკიდებლობა და დამოჩილება მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონისადმი; მოსამართლეზე რაიმე ზემოქმედების ან მის საქმიანობაში გადანყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით ჩარევის აკრძალვა; მოსამართლისათვის კონკრეტულ საქმეზე ანგარიშის მოთხოვნის აკრძალვა; მოსამართლის დამოუკიდებლობის შემზღვეველი ყველა აქტის ბათილობა; მოსამართლის ხელშეუხებლობა; სახელმწიფოს ვალდებულება მოსამართლისა და მისი ოჯახის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე; მოსამართლის შეუცვლელიობა.

სასამართლო ხელისუფლება ფორმალურად გამიჯნულია სხვა შტოებისაგან პერსონალური თვალსაზრისით. მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია სხვა თანამდებობასთან. მას ასევე ეკრძალება პარტიის წევრობა ან მონაწილეობა პოლიტიკურ საქმიანობაში.<sup>1030</sup> როგორც აღვნიშნეთ, ძალაუფლების პერსონალურ დანაწილებასთან შეუთავსებელია სხვადასხვა შტოების თანამდებობის პირთა შორის ფარული კოლაბორაცია. ეს შეეხება განსაკუთრებით სასამართლო ხელისუფლებას და მოსამართლეებს.

ხელისუფლების სხვა შტოების აქტები და მოქმედებები შეიძლება გახდეს სასამართლო კონტროლის ობიექტი. საერთო სასამართლოების მიერ კონტროლი ხორციელდება კანონიერების კუთხით, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან – კონსტიტუციურობის თვალსაზრისით. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს კონტროლი შემოიფარგლება ძირითადად ნორმატიული აქტების სფეროთი. მისი რამოდენიმე უფლებამოსილება გან-

<sup>1029</sup> დანვრილებით იხ.: 63-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტები.

<sup>1030</sup> 63-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

საკუთრებულ კავშირშია ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპთან. საკონსტიტუციო სასამართლო პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, გენერალური პროკურორის, ეროვნული ბანკის საბჭოს, გენერალური აუდიტორის, სახალხო დამცველის ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ან აღმასრულებელი ორგანოს სარჩელის საფუძველზე იხილავს დავას შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესახებ.<sup>1031</sup> ეს ინსტიტუტი აძლევს საშუალებას ხელისუფლების სხვადასხვა შტოების წარმომადგენელ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს, დაიცვან მათი კომპეტენციები და შესაბამისად, ძალაუფლების ფუნქციონალური გამიჯვნა. ძალაუფლების ვერტიკალური გამიჯვნის კუთხით, გარკვეული პოტენციალი აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგ უფლებამოსილებებს: (1) დავა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე;<sup>1032</sup> (2) საქართველოს კონსტიტუციასთან და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის შემოწმება;<sup>1033</sup> (3) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სარჩელის საფუძველზე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება კონსტიტუციის მეცხრე თავთან მიმართებით (მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელი).<sup>1034</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს უფლებამოსილებები არის პრაქტიკულად „მკვდარი“ ისევე, როგორც საქართველოს კონსტიტუციის 59-ე-64-ე მუხლებთან მიმართებით ნორმატიული

<sup>1031</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

<sup>1032</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

<sup>1033</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

<sup>1034</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

აქტების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა,<sup>1035</sup> რომელიც კარგი მექანიზმია (მისი გამოყენების შემთხვევაში) სასამართლო ხელისუფლების დასაცავად, განსაკუთრებით კანონმდებლის მხრიდან ჩარევებისაგან.<sup>1036</sup>

#### **5.4. ძალაუფლების ვერტიკალური გამიჯვნის კონტექსტი**

ძალაუფლების ჰორიზონტალურ დანაწილებასთან ერთად, საუბრობენ მის ვერტიკალურ გამიჯვნაზეც.<sup>1037</sup> საჯარო უფლებამოსილებების ვერტიკალური განაწილება და დეცენტრალიზაცია ხელს უწყობს ძალაუფლების დეკონცენტრაციას და დაბალანსებას. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ფედერაციასა და მის სუბიექტებს შორის კომპეტენციათა გამიჯვნისას ფედერალურ სახელმწიფოში.<sup>1038</sup> ეს არ ნიშნავს, რომ სხვა ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის მქონე დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოებში ძალაუფლების ვერტიკალური დაბალანსება წარმოადგენს მეორეხარისხოვან საკითხს. უბრალოდ, როგორც წესი, ფედერაციის სუბიექტებს უფლებამოსილებათა უფრო ფართო სპექტრი გადაეცემათ და საერთოსახელმწიფოებრივი საკითხების გადანყვეტაში მათი ჩართულობაც უფრო აქტიურია, ვიდრე უნიტარული თუ რეგიონალური მოწყობის სახელმწიფოებში.

<sup>1035</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი.

<sup>1036</sup> შეადარე: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 378.

<sup>1037</sup> მაგ.: Möllers, Dogmatik, 493 (526 ff.); Reinhold Zippelius: Problemfelder der Machtkontrolle, in: Merten, Detlef (Hrsg.): Gewaltentrennung im Rechtsstaat. Zum 300. Geburtstag von Charles de Montesquieu; Vorträge und Diskussionsbeiträge der 57. Staatswissenschaftlichen Fortbildungstagung 1989 der Hochschule für Verwaltungswissenschaften Speyer, Berlin 1989, S. 27 (30); BVerfGE 104, 249 (279).

<sup>1038</sup> ლოლაძე, კონსტიტუციონალიზმის ძირითადი პრინციპები, 31 (52); Wrege, Das System der Gewaltenteilung, 436 (439).

საქართველოს კონსტიტუცია ტერიტორიული მოწყობის საფუძვლებს უთმობს მხოლოდ ერთ მუხლს.<sup>1039</sup> ეს განპირობებულია იმ სამწახარო გარემოებით, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ დღეისათვის ხელყოფილია ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა. ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის გადასინჯვა მოხდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ, უფლებამოსლებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე.<sup>1040</sup> ამ კონსტიტუციურ ჩანაწერში იკვეთება ძალაუფლების ვერტიკალური გამიჯვნის კონტურები.<sup>1041</sup> ძალაუფლების ვერტიკალური განაწილების კიდევ ერთი საფუძველი არის კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს. ავტონომიური რესპუბლიკების უფლებამოსილებები და მათი განხორციელების წესი განისაზღვრება კონსტიტუციური კანონებით.<sup>1042</sup> დღეისათვის მიღებულია კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებით მსგავსი კანონი ჯერჯერობით მიღებული არ არის. ამ კანონების ფორმალური მიღება არ არის საკმარისი. ისინი უნდა აძლევდნენ ავტონომიურ რესპუბლიკებს უფლებამოსილებათა ფართო წრეს და მათი დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობას. ეს, ბუნებრივია, უნდა მოხდეს სახელმწიფო სუვერენიტეტისა და უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების განსაკუთრებული გამგებლობის სფეროს ხელყოფის გარეშე.

*ადგილობრივი თვითმმართველობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ძალაუფლების ვერტიკალური გამიჯვნისათვის.*<sup>1043</sup> კონ-

<sup>1039</sup> მე-7 მუხლი (ტერიტორიული მოწყობის საფუძვლები).

<sup>1040</sup> მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>1041</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 379.

<sup>1042</sup> მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>1043</sup> შეადარე: Herzog, GG, Art. 20 (Gewaltenteilung), Rn. 33; Wrege, Das System der Gewaltenteilung, 436 (439).

სტიტუცია ზოგადად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციის სფეროს, რაც მოიცავს „ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს“. ის ასევე ადგენს: სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველ ერთეულების უფლებამოსილების გამიჯვნას სუბსიდიარობის პრინციპის საფუძველზე;<sup>1044</sup> ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციის უნივერსალურობის პრინციპს;<sup>1045</sup> თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებების სრულობასა და ექსკლუზიურობას და მათ განხორციელებას დამოუკიდებლად.<sup>1046</sup> ადგილობრივი თვითმმართველობის ამ და სხვა გარანტიების ასახვა კონსტიტუციაში აძლიერებს ძალაუფლების ვერტიკალურ გამიჯვნას. ამასთან, ნებისმიერი გარანტია ქალაქდზე დარჩება, თუ მუნიციპალური ორგანოების არჩევა არ განხორციელდება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების საფუძველზე და მუნიციპალიტეტებს არ ექნებათ შესაბამისი მატერიალური და ფინანსური საშუალებები თავიანთი უფლებამოსილებების ეფექტიანად განხორციელებისათვის.

## **6. საქართველოს, როგორც საპარლამენტო რესპუბლიკის, წინაშე არსებული გამოწვევები**

საქართველოსათვის ისტორულად დამახასიათებელი პრობლემები ძალაუფლების გამიჯვნასთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, არ დარჩენილა წარსულში. უფრო პირიქით – გამოწვევები მომრავლდა. საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი საქართველოში დამკვიდრდა 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად. მას ახასიათებს გარკვეული სპეციფიკა ძალაუფლების გამიჯვნის თვალსაზრისით. სახელისუფლებო ბალანსის დაცვა შეუძლებელია ამ სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე.

<sup>1044</sup> მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებები, 75-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>1045</sup> 75-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>1046</sup> 75-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

საპარლამენტო რესპუბლიკის მთავრობის ჩამოყალიბება დამოკიდებული არის საპარლამენტო უმრავლესობის ნებაზე. ეს განაპირობებს იმ მოცემულობას, რომ ერთი და იგივე პოლიტიკური ძალა ან კოალიცია დომინირებს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შტოებში. ამ დომინაციით საფრთხე ექმნება ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპისა და მისი ფუნქციების რეალიზებას.<sup>1047</sup> რისკი იზრდება იმ შემთხვევაში, როდესაც საპარლამენტო უმრავლესობა და შესაბამისად, მთავრობა ერთი პარტიის ხელშია. ამ დროს არ მოქმედებს შიდაკოალიციური კონტროლისა და ბალანსის მექანიზმებიც კი.

საპარლამენტო რესპუბლიკას ახასიათებს პარლამენტსა და მთავრობას შორის გადამეტებულად მჭიდრო კავშირისა და ურთიერთზეგავლენის საფრთხე. ეს იწვევს ურთიერთშეკავებისა და დაბალანსების დეფიციტს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შტოებს შორის. ვხვდებით მოსაზრებას, რომ საპარლამენტო რესპუბლიკაში არსებობს არა ძალაუფლების ნამდვილი გამიჯვნა, არამედ უფლებამოსილებათა უბრალო განაწილება.<sup>1048</sup> მთავრობას „საპარლამენტო უმრავლესობის კომიტეტსაც“ კი უწოდებენ, რათა ხაზი გაუსვან მის დამოკიდებულებას პარლამენტზე, თუმცა ამავდროულად, არც მთავრობის ზეგავლენას ივინყებენ საკანონმდებლო ორგანოზე.<sup>1049</sup> ეს ზეგავლენა ითვლება იმდენად ძლიერად, რომ საუბრობენ პარლამენტის მიერ კანონმდებლობის ფუნქციის მატერიალური თვალსაზრისით დაკარგვაზე. საკანონმდებლო ორგანო შინაარსობრივად ველარ ზემოქმედებს სა-

<sup>1047</sup> შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, 127; Sachs, GG, Art. 20, Rn. 92; Wrege, Das System der Gewaltenteilung, 436 (438).

<sup>1048</sup> Herzog, GG, Art. 20 (Gewaltenteilung), Rn. 30.

<sup>1049</sup> Schneider H.-P., Gewaltenschränkung zwischen Parlament und Regierung, in: Merten, Dettlef (Hrsg.): Gewaltentrennung im Rechtsstaat. Zum 300. Geburtstag von Charles de Montesquieu; Vorträge und Diskussionsbeiträge der 57. Staatswissenschaftlichen Fortbildungstagung 1989 der Hochschule für Verwaltungswissenschaften Speyer, Berlin 1989, 77 (85 f.).

კანონმდებლო პროცესზე. ეს პროცესი, ამ მიზეზის გამო, უფრო ემსგავსება კანონპროექტების რატიფიკაციის პროცედურას და შემოიფარგლება მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის მხარდაჭერით ან უარყოფით, მისი შინაარსის არსებითი კორექტირების გარეშე.<sup>1050</sup>

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მჭიდრო კავშირი ქმნის თვითნებური სახელისუფლებო მოქმედებების, მათ შორის მართლმსაჯულებისა და სხვა პოლიტიკურად ნეიტრალური ორგანოების გავლენის ქვეშ მოქცევის, ცდუნებასა და რეალურ შესაძლებლობას. ამის პრევენციისათვის აუცილებელი არის დამატებითი ქმედითი შემაკავებელი მექანიზმების გამოყენება და ამ კუთხით, როგორც უცხოური გამოცდილების გაზიარება, ასევე ეროვნული თავისებურებების გათვალისწინება.

საპარლამენტო რესპუბლიკაში *ოპოზიციის როლის გაზრდა* აუცილებელია პარლამენტსა და მთავრობას შორის ბალანსის დამყარებისა და შენარჩუნებისათვის. აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლს, ძირითადად, ოპოზიცია იღებს საკუთარ თავზე იმ პირობებში, როდესაც მთავრობა სარგებლობს საპარლამენტო უმრავლესობის ნდობით.<sup>1051</sup> ძალაუფლების გამიჯვნის ხაზი გადის არა იმდენად პარლამენტსა და მთავრობას, არამედ პოლიტიკურ პოზიციასა და ოპოზიციას შორის.<sup>1052</sup> თეორიაში ძალაუფლების ფუნქციური გამიჯვნის თანამედროვე ფორმაზეც კი საუბრობენ, რომელშიც მართლმსაჯულების ფუნქციასთან ერთად, წარმოდგენილია არა კლასიკური (კანონმდებლობა და მმართველობა), არამედ *ინიციატივისა და ალტერნატივის ფუნქციები*.<sup>1053</sup>

<sup>1050</sup> Klein, Gesetzgebung ohne Parlament? 8.

<sup>1051</sup> Zippelius, Deutsches Staatsrecht, 112; Zippelius, Problemfelder der Machtkontrolle, 27 (29).

<sup>1052</sup> Ipsen, Der Staat der Mitte, 35; Klein, Gesetzgebung ohne Parlament? 12; Vogel, Gewaltenvermischung, 1505 (1507).

<sup>1053</sup> დანვრილებით იხ.: Schneider, Gewaltenverschränkung, 77 (86 f.).

ოპოზიციური კონტროლი, როგორც წესი, არ არის საკმარისად ქმედითი იმის გამო, რომ ოპოზიციის შესაძლებლობებს ობიექტურად ზღუდავს მისი ყოფნა უმცირესობაში.<sup>1054</sup> ეს განსაკუთრებული სიცხადით ჩანს იმ სახელმწიფოებში, რომელთაც არ აქვთ დემოკრატიული და სამართლებრივსახელმწიფოებრივი განვითარების ხანგრძლივი გამოცდილება. გამარჯვებული აქ თითქმის ყოველთვის ცდილობს, რომ გააკონტროლოს ხელისუფლების ყველა შტო და ფაქტობრივად შეუზღუდავი ძალაუფლება შეინარჩუნოს განუსაზღვრელი ვადით. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხელისუფლებაში მოსული ყველა პოლიტიკური ძალა, სამწუხაროდ, ამ გზას დაადგა. ხელისუფლების სრული კონტროლის მიღწევა და შენარჩუნება საჭიროებს საყრდენს, რომელიც ძირითადად ე. წ. „ძალოვანი უწყებების“ სახით გამოჩნდება ხოლმე. ეს უწყებები და ზოგადად, სახელმწიფო ინსტიტუტები უნდა ემსახურებოდეს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს დაცვას და არა რომელიმე პოლიტიკური ძალის ძალაუფლების გაძლიერებასა და გახანგრძლივებას.

საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს რამოდენიმე ტრადიციულ საშუალებას ოპოზიციის მდგომარეობის გასაძლიერებლად. ყურადღება უკვე გავამახვილეთ საპარლამენტო კონტროლის მექანიზმებზე. ამჯერად შევეხებით კონსტიტუციური სარჩელის ინსტიტუტს. პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს: ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე (აბსტრაქტული ნორმათკონტროლი),<sup>1055</sup> საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით,<sup>1056</sup> პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობისა და ამ პარტიის

<sup>1054</sup> Wrege, *Das System der Gewaltenteilung*, 436 (438).

<sup>1055</sup> მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>1056</sup> მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

ნარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხზე,<sup>1057</sup> პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის საკითხზე,<sup>1058</sup> რეფერენდუმის ან არჩევნების მომწესრიგებელი ნორმისა და ამ ნორმის საფუძველზე ჩასატარებელი ან ჩატარებული რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით.<sup>1059</sup> ეს საშუალებები, სამწუხაროდ, არ გამოიყენება ეფექტიანად და სასურველი ინტენსივობით, თუმცა ამაში მხოლოდ ოპოზიციის დადანიშნულება არ იქნებოდა სწორი. ოპოზიციის კონსტიტუციური სარჩელის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება ხშირად გამოწვეულია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით დაკავებული საკამათო პოზიციებით.

ენ. „ძალაუფლების პარტიციპატორული განონასწორების“ იდეის რეალიზაცია, „ტრადიციული“ საშუალებების ეფექტიან გამოყენებასთან ერთად, გაზრდიდა ოპოზიციის მიერ ძალაუფლების დაბალანსების შესაძლებლობას.<sup>1060</sup> ამ იდეის არსი იმაში მდგომარეობს, რომ საპარლამენტო ოპოზიციას უნდა მიეცეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში ქმედითი ჩართულობის შესაძლებლობა. ამით გაძლიერდებოდა მისი პოზიციები სახელისუფლებო სისტემაში, გაუმჯობესდებოდა ძალაუფლების განონასწორების ხარისხი და შემცირდებოდა უმრავლესობის თვითნებობის რისკი.

ზემოხსენებული იდეის განხორციელება გულისხმობს რამოდენიმე ნაბიჯის გადადგმას: (1) *პარლამენტში პარიტეტული ორგა-*

<sup>1057</sup> მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

<sup>1058</sup> მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

<sup>1059</sup> მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

<sup>1060</sup> ამ იდეასთან დაკავშირებით დანვრილებით იხ.: ლოლაძე ბ., ხელისუფლების დაბალანსების დამატებითი მექანიზმი, ინტერნეტ-ჟურნალი „ლიბერალი“ (<http://liberali.ge/articles/view/2836/khelisuflebis-dabalansebis-damatebiti-meqanizmi>), 04.12.12; Loladze, Rechtsstaatsprinzip, 383 f.

ნოს შექმნა. მის ერთ ნახევარს უნდა აკომპლექტებდეს უმრავლესობა, ხოლო მეორე ნახევარს – ოპოზიცია; (2) *გადაწყვეტილებების მიღება კონსენსუსის წესით*. პარიტეტული ორგანო წინასწარ უნდა დაეთანხმოს გადაწყვეტილების მიღებას კონსტიტუციით გათვალისწინებულ გარკვეულ საკითხებზე. მაგალითად, ასეთი საკითხი შეიძლება იყოს ძირითადი უფლებების განსაკუთრებით ინტენსიური ან მასობრივი შეზღუდვა. ამგვარად მოხდებოდა განსახვავებული აზრის უგულვებლყოფის პრევენცია მაშინ, როდესაც ოპოზიციას შეუძლია და უნდა გაიზიაროს კიდეც პასუხისმგებლობა; (3) *პერსონალური საკითხების გადაწყვეტა კონსენსუსის წესით*. იმ თანამდებობის პირებისა და ორგანოების, რომლებიც პოლიტიკურად ნეიტრალური უნდა იყვნენ, მოქმედება მმართველი პოლიტიკური ძალის ინტერესებში დიდ საფრთხეს უქმნის სამართლებრივ სახელმწიფოსა და ძირითად უფლებებს. პარიტეტულმა ორგანომ წინასწარ უნდა შეითანხმოს შესაბამისი თანამდებობის პირების კანდიდატურები და წარუდგინოს პარლამენტს. ამით მიღწეული იქნებოდა პერსონალური მიუკერძოებლობა პოლიტიკურად სენსიტიურ სფეროებში ან სულ ცოტა, წინაპირობები შეიქმნებოდა ამისათვის; (4) *ორგანოებისა და თანამდებობის პირთა კონტროლი*. პარიტეტულ ორგანოს უნდა მიეცეს ეფექტიანი კონტროლის მექანიზმი იმ თანამდებობის პირთა საქმიანობაზე, რომელთა შერჩევაშიც მან მიიღო მონაწილეობა.

ძალაუფლების პარტიციპატორული განწინასწორება, გარკვეულწილად, შეზღუდავს დემოკრატიის ელემენტს – უმრავლესობის პრინციპს, თუმცა ამას გადანონის მისი დადებითი გავლენა სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებასა და ძალაუფლების დაბალანსებაზე. პარტიციპატორული დაბალანსება ხელს შეუწყობდა იმ სისტემის დემონტაჟს, რომელიც არა სამართალს, არამედ პოლიტიკურ ნებას ექვემდებარება და იცვლის „ბატონს“ მმართველი პოლიტიკური ძალის შეცვლასთან ერთად. ამგვარი სისტემა სერი-

ოზულად აბრკოლებს საქართველოს თავისუფალ, დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას. ბოლოსდაბოლოს, დემოკრატიის საბოლოო მიზანიც ხომ თავისუფლების დაცვა და რეალიზებაა და არა ყველას უსიტყვო მორჩილება უმრავლესობის ნებისადმი. ძალაუფლების დაბალანსება და ოპოზიციის როლის გაზრდა ხელს შეუწყობს პოლიტიკური სისტემის განვითარებასაც, რაც აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს წინსვლისათვის დემოკრატიისა და თავისუფლების გზაზე.

საპარლამენტო რესპუბლიკაში, საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოების მჭიდრო პოლიტიკური კავშირის პირობებში, წინა პლანზე გამოდის *სასამართლო ხელისუფლების როლი* ძალაუფლების გამიჯვნისა და დაბალანსებისათვის.<sup>1061</sup> სასამართლოს შეუძლია ამ როლის შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის არ ექვემდებარება პოლიტიკურ ზეგავლენას, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია. ამ კონტექსტში, განსაკუთრებით გამოიყოფენ საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მნიშვნელობას. მხოლოდ მას შეუძლია საპარლამენტო უმრავლესობის თვითნებური და არაკონსტიტუციური გადაწყვეტილებების გაუქმება და ამით მმართველი პოლიტიკური ძალის თვითნებური მოქმედების შეზღუდვა. ამასთან, სასამართლო კონტროლი ვერ ახერხებს სახელისუფლებო დისბალანსისა და სამართლებრივ სახელმწიფოზე მისი უარყოფითი გავლენის სრულ განონასწორებას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სასამართლოს დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია იდეალურად.<sup>1062</sup> ეს განპირობებული არის თუნდაც იმ გარემოებით, რომ სასამართლო ხელისუფლების მსჯელობის საგანი ვერ გახდება ძალაუფლების გამიჯვნის ყველა პრობლემა. საქართველოს სასამართლო ხელისუფლება, მისი არცთუ სახარბი-

<sup>1061</sup> დაწვრილებით იხ.: ლოლაძე, სასამართლო სამართალსა და პოლიტიკას შორის, 316 (316–318).

<sup>1062</sup> Herzog, GG, Art. 20 (Gewaltenteilung), Rn. 36.

ელო მდგომარეობიდან გამომდინარე, ნაკლებად ახერხებს ძალა-უფლების დაბალანსების მნიშვნელოვანი ფაქტორის როლის შესრულებას, თავადაა მოქცეული შიდა თუ გარე ზეგავლენის ქვეშ და თავისი „წვლილი“ უფრო შეაქვს ძალაუფლების კონცენტრაციაში.

პარლამენტის ზედა პალატა წარმოადგენს ძალაუფლების დაბალანსების დამატებით მექანიზმს საპარლამენტო რესპუბლიკებში.<sup>1063</sup> თუ ის ქვედა პალატისაგან განცალკავებულად, სხვა დროს და განსხვავებულ წესით აირჩევა, მასში, როგორც წესი, იქმნება ძალთა განსხვავებული ბალანსი.<sup>1064</sup> ცხადია, ზედა პალატას უნდა ჰქონდეს შესაბამისი უფლებამოსილებები სახელისუფლებო წონასწორობის გასაუმჯობესებლად. პარლამენტის ზედა პალატის ფაქტორის ამოქმედების პერსპექტივა საქართველოში ბუნდოვანია. პირველ რიგში, მისი შექმნა უკავშირდება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. გარდა ამისა, კონსტიტუცია ითვალისწინებს ზედა პალატის – სენატის შემადგენლობის დაკომპლექტების ზოგად წესს, ხოლო მისი უფლებამოსილებების განსაზღვრას ორგანულ კანონს მიანდობს.<sup>1065</sup> აქედან გამომდინარე, რთული სათქმელია, თუ როდის შეიქმნება სენატი და რამდენად ექნება მას ის უფლებამოსილებები, რომლებიც დადებით გავლენას მოახდენს ძალაუფლების დაბალანსებაზე.

საბოლოოდ, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ცალკე აღებული რომელიმე საშუალება დამოუკიდებლად ვერ მოაგვარებს ძალაუფლების დისბალანსთან დაკავშირებულ პრობლემებს. ამისათვის აუცილებელი არის კარგად გააზრებული, მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება და ამოქმედება. დღეისათვის არსებული მდგომარეობა ქმნის ნაკლები ოპტიმიზმის საფუძველს, რადგანაც ძალაუფლების დაბალანსების დამატებითი მექანიზმები საქართველოში არ არსებობს ან არაეფექტურია.

<sup>1063</sup> შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, 125.

<sup>1064</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 384.

<sup>1065</sup> 37-ე მუხლის პირველი პუნქტი.

# თავი X. კონსტიტუციით შეზღუდვა

## 1. კონსტიტუციით შეზღუდვის არსი

კონსტიტუციის უზენაესობა და კონსტიტუციით შეზღუდვა აღიარებულია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ნაწილად.<sup>1066</sup> სახელმწიფოს შეზღუდვა სამართლით წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს წამყვან იდეას. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციით შეზღუდვა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის არსებითი ელემენტია.<sup>1067</sup> ის მოითხოვს კონსტიტუციის ნორმებისა და პრინციპების დაცვასა და პატივისცემას.<sup>1068</sup>

კონსტიტუცია შეიძლება სახელმწიფოს უკრძალავდეს, ან პირიქით – ავალდებულებდეს რაიმე მოქმედების განხორციელებას. მაგალითად, სახელმწიფოს ეკრძალება ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება.<sup>1069</sup> ამისგან განსხვავებით, სახელმწიფომ უნდა იმოქმედოს, რათა შექმნას განსაკუთრებული პირობები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის.<sup>1070</sup> კონსტიტუციით შეზღუდვის პრინციპი შეიძლება დაირღვეს არა მხოლოდ სახელმწიფოს მოქმედებით, არამედ მისი უმოქმედობითაც.<sup>1071</sup>

<sup>1066</sup> მაგ.: Bachof, *Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates*, 201 (202); Benda, *Der soziale Rechtsstaat*, 719 (720); Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 26; Hofmann, GG, Art. 20, Rn. 58; Huber, *Rechtsstaat und Sozialstaat*, 589 (593); Karpen, *Die geschichtliche Entwicklung*, 107; Klopfer, *Verfassungsrecht I*, 302; Robbers, BK, Art. 20, Rn. 1806; Sachs, GG, Art. 20, Rn. 77; Schachtschneider, *Prinzipien*, 17; Schmidt-Aßmann, *Rechtsstaat*, 541 (544); Schnapp, GG, Art. 20, Rn. 27; Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 35, 39; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 239; Stern, *Staatsrecht I*, 784.

<sup>1067</sup> Sobota, *Das Prinzip Rechtsstaat*, 476.

<sup>1068</sup> Badura, *Staatsrecht*, 374.

<sup>1069</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>1070</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>1071</sup> Badura, *Staatsrecht*, 387.

ხელისუფლების ყველა შტო იზღუდება კონსტიტუციით. აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შეზღუდვა ატარებს უფრო ირიბ ხასიათს, რადგანაც ისინი, ამავდროულად, არიან შეპოჭილი კანონით. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც არის საკანონმდებლო ხელისუფლების შეზღუდვა, რადგანაც მისი სამართლით ბოჭვა გამოიხატება ფაქტობრივად მხოლოდ კონსტიტუციით შეზღუდვაში. აქედან გამომდინარე, სწორია მოსაზრება, რომ კანონმდებლის კონსტიტუციით შეზღუდვა არის მკაფიო გადაწყვეტილება პარლამენტის შეუზღუდავი სუვერენიტეტის წინააღმდეგ.<sup>1072</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების მიხედვით, კონსტიტუციით შეზღუდვა არ გულისხმობს ბოჭვას ჩვეულებითი ან დაუნერელი საკონსტიტუციო სამართლით, რომელიც მომდინარეობს კონსტიტუციისაგან დამოუკიდებელი სამართლის წყაროებიდან.<sup>1073</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებდით კონსტიტუციის ფარგლების არაკონტროლირებად და არაპროგნოზირებად გაფართოებას.<sup>1074</sup>

კონსტიტუციას აქვს ფუძემდებლური მნიშვნელობა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. ავტორიტარულ და ტოტალიტარულ რეჟიმსაც შეუძლია ფორმალურად კონსტიტუციის მიღება, მაგრამ კონსტიტუცია, როგორც ღირებულებათა წესრიგი, მხოლოდ დემოკრატიულ სახელმწიფოებში წარმოადგენს სახელმწიფოსა და ინდივიდის მხრიდან დაფასებისა და პატივისცემის ობიექტს. აქ კონსტიტუცია ეყრდნობა ფართო კონსენსუსს იმ ფასეულობებთან დაკავშირებით, რომლებმაც კაცობრიობის პროგრესი განაპირობა და სამომავლო პოზიტიური განვითარების წინაპირობას ქმნის.<sup>1075</sup>

<sup>1072</sup> Sommermann, GG, Art. 20, Rn. 249.

<sup>1073</sup> მაგ.: Grzeszick B. (Bearb.), Die Verfassungsgrundsätze des Art. 20 Abs. 3 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958, Rn. 31.

<sup>1074</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 386.

<sup>1075</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 385; ლოლაძე, კონსტიტუციონალიზმის ძირითადი პრინციპები, 31 (52).

მნიშვნელოვანი გარემოება, რაც დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოს არადემოკრატიულისაგან განასხვავებს, არის კონსტიტუციის უზენაესობის რეალური უზრუნველყოფა და ამისათვის აუცილებელი ინსტიტუციების შექმნა. ამიტომაცაა, რომ საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას განიხილავენ კონსტიტუციით შეზღუდვის „აუცილებელ ინსტიტუციურ შედეგად“,<sup>1076</sup> კონსტიტუციის უზენაესობის განმტკიცებისა და რეალიზაციის მნიშვნელოვან ფაქტორად.<sup>1077</sup> საკონსტიტუციო კონტროლის მოდელები ხშირად ერთმანეთისაგან განსხვავდება. მიუხადავად ამისა, აქ უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მიზანი – თავისუფალი, დემოკრატიული და სამართლებრივსახელმწიფოებრივი კონსტიტუციური წესრიგის სავალდებულო ძალის უზრუნველყოფა. საკონსტიტუციო კონტროლი გადამწყვეტია კონსტიტუციით შეზღუდვის პრინციპის რეალიზაციისათვის. ამასთან, ის ჰპოვებს თავის ლეგიტიმაციასა და ძალას სწორედ კონსტიტუციაში, ე. ი. კონსენსუსში, რომელიც ბოჭავს ხელისუფლების ყველა შტოს.<sup>1078</sup> აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუცია შეასრულებს თავის როლს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას აქვს შესატყვისი კომპეტენცია, არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი.

კონსტიტუცია, როგორც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძველი, საჭიროებს უპირატეს იურდიულ ძალას სხვა სამართლებრივ აქტებთან მიმართებით.<sup>1079</sup> ძირითადი

<sup>1076</sup> Sommermann, GG, Art. 20, Rn. 249.

<sup>1077</sup> Grabenwarter C., Die Verfassung in der Hierarchie der Rechtsordnung, in: Depenheuer, Otto/Grabenwarter, Christoph (Hrsg.): Verfassungstheorie, Tübingen 2010, 391 (407); Ossenbühl F., Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, in: Isensee, Josef/Kirchhof, Paul (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band V – Rechtsquellen, Organisation, Finanzen, Heidelberg, München, Landsberg, Berlin 2007, § 101, 183 (184).

<sup>1078</sup> Simon, Verfassungsgerichtsbarkeit, 1637 (1661).

<sup>1079</sup> Hesse K., Verfassung und Verfassungsrecht, in: Benda, Ernst/Maihofer,

კანონის ძალა უნდა შეესატყვისებოდეს მის მნიშვნელობას. კონსტიტუციის უზენაესობა ნიშნავს, რომ ხელისუფლების ყველა შტო შებოჭილია კონსტიტუციით თავისი საქმიანობისას. ის სხვაგვარად აზრს დაკარგავდა. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციის უზენაესობა ეფუძნება კონსტიტუციით შეზღუდვას.<sup>1080</sup> ამასთან, კონსტიტუციას სხვა ნორმატიული აქტებისაგან გამოარჩევს არა მხოლოდ იურიდიული ძალა, არამედ ასევე – შინაარსობრივი მხარე და ღირებულებათა სისტემა, რომელსაც ის ქმნის. კონსტიტუციით შეზღუდვა, პირველ რიგში, წარმოადგენს ამ ღირებულებებით შეზღუდვას.<sup>1081</sup>

კონსტიტუციით შეზღუდვა არსობრივად განსხვავდება კანონით შეზღუდვისაგან. კანონის კონსტიტუციურობის ფარგლები ნაკლებად მკაცრია, ვიდრე კანონქვემდებარე აქტის კანონიერების ფარგლები. კანონქვემდებარე აქტი მიიღება/გამოიცემა კანონის საფუძველზე და შინაარსობრივად არ უნდა ეწინააღმდეგებოდენ მას. ბუნებრივია, დაუშვებელი არის ფორმალური და მატერიალური თვალსაზრისით არაკონსტიტუციური კანონების მიღება, მაგრამ დემოკრატიულად ლეგიტიმირებულ კანონმდებელს აქვს უფრო ფართო თავისუფალი მოქმედების სფერო კონსტიტუციის ჩარჩოებში, ვიდრე კანონქვემდებარე აქტის მიმღებ/გამომცემ სუბიექტს – კანონის ჩარჩოებში.<sup>1082</sup> კონსტიტუცია იძლევა თავისუფალი კანონმემოქმედების საშუალებას განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ღიად ტოვებს გარკვეულ საკითხებს.<sup>1083</sup>

---

Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, 3 (8).

<sup>1080</sup> Sommermann, GG, Art. 20, Rn. 253.

<sup>1081</sup> ლოლაძე, სასამართლოს შეზღუდვა, 522 (525).

<sup>1082</sup> შეადარე: Badura, Staatsrecht, 376.

<sup>1083</sup> შეადარე: Hesse, Verfassung und Verfassungsrecht, 3 (8 f.); Stein, Götz, Staatsrecht, 155.

## 2. კონსტიტუციით შეზღუდვა ქართულ საკონსტიტუციო ტრადიციასა და საქართველოს კონსტიტუციაში

კონსტიტუციის უზენაესობა და კონსტიტუციით შეზღუდვა არ არის სიახლე ქართული კონსტიტუციონალიზმისათვის. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მე-8 მუხლის შესაბამისად, კონსტიტუცია იყო სახელმწიფოს უზენაესი კანონი. იკრძალებოდა ისეთი კანონის, დეკრეტის, ბრძანების ან განკარგულების გამოქვეყნება, რომელიც არღვევდა კონსტიტუციის ნორმებს ან მათ არსს. კონსტიტუციისა და მისი პრინციპების შესრულება კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში ცხადდებოდა „სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლების“ მოვალეობად. ეს იყო იმ ეპოქისათვის ცალსახად პროგრესული მიდგომა. ამ კუთხით, განსაკუთრებით შეიძლება გამოვყოთ კანონმდებლის კონსტიტუციით შეზღუდვა. მიუხედავად იმისა, რომ ნორმა, გარკვეულწილად, წინააღმდეგობრივი იყო და მხოლოდ კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაზე მიუთითებდა, ტერმინი „სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლება“ აშკარად სასამართლო ხელისუფლებასაც გულისხმობდა.<sup>1084</sup> ამდენად, სასამართლოც იყო შეზღუდული კონსტიტუციით. ნაკლოვანებად შეიძლება ჩავთვალოთ ის გარემოება, რომ კონსტიტუციის უზენაესობა არ იყო ინსტიტუციურად განმტკიცებული საკონსტიტუციო კონტროლის საშუალებით. ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მსგავსი ნაკლი ახასიათებდა იმ დროის კონსტიტუციათა უდიდეს უმრავლესობას.<sup>1085</sup> მაგალითად, ვაიმარის კონსტიტუცია ასევე არ ითვალისწინებდა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ინსტიტუტს, ხოლო კონსტიტუციის უზენაესობა ამერიკულ თეზისად ითვლებოდა.<sup>1086</sup>

<sup>1084</sup> ლოლაძე, სასამართლოს შეზღუდვა, 522 (525).

<sup>1085</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 387.

<sup>1086</sup> Schöbener B., Allgemeine Staatslehre, München 2009, 226.

კონსტიტუციის დღეისათვის მოქმედი რედაქციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციის უზენაესობისა და კონსტიტუციით შეზღუდვის თვალსაზრისით. ამ პუნქტის პირველი წინადადება წარმოადგენს კონსტიტუციით შეზღუდვის პრინციპის საფუძველს, რადგანაც ის განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში. მე-4 პუნქტის მე-2 წინადადება ითვალისწინებს კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპს და კონსტიტუციას აცხადებს სახელმწიფოს უზენაეს კანონად. ეს ნორმა ანიჭებს კონსტიტუციას უმაღლეს ადგილს ნორმატიული აქტების იერარქიაში.<sup>1087</sup> კონსტიტუციით შეზღუდვის საკითხი არ ამოიწურება აღნიშნული ნორმებით. მაგალითად, კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების მიხედვით, მოსამართლე თავის საქმიანობაში ემორჩილება კონსტიტუციას. კონსტიტუციის ეს დანაწესი შეეხება სასამართლო ხელისუფლების შეზღუდვას კონსტიტუციით.

საკონსტიტუციო სასამართლო არაერთხელ შეხებია კონსტიტუციის უზენაესობისა და კონსტიტუციით შეზღუდვის საკითხს. მისი განმარტებით, სამართლებრივი სახელმწიფო აქცევს სახელმწიფო ხელისუფლების მოქმედებებს კონსტიტუციურსამართლებრივ ჩარჩოებში სწორედ ამ პრინციპების საშუალებით.<sup>1088</sup> საკონსტიტუციო სასამართლოსათვის აშკარაა ის დიდი მნიშვნელობა, რაც აქვს სახელმწიფო ხელისუფლების კონსტიტუციით, კანონითა და მთლიანად სამართლით ბოჭვას სამართლიანი მართლწესრიგის, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებისათვის.<sup>1089</sup> საკონსტიტუციო სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების საკონსტიტუციოსამართლებრივ შეზღუდვაში მოია-

<sup>1087</sup> შეადარე: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 388.

<sup>1088</sup> შეადარე: N2/2–389 გადაწყვეტილება, II-18.

<sup>1089</sup> N1/3/407 გადაწყვეტილება, II-2.

ზრებს ნებისმიერი საკანონმდებლო და კანონმქვემდებარე აქტის ფორმალურ და მატერიალურ შესაბამისობას კონსტიტუციასთან.<sup>1090</sup> ეს გულისხმობს შესაბამისობას არა მხოლოდ კონსტიტუციის ნორმებთან, არამედ ასევე მის პრინციპებთან. აქედან გამომდინარე, სადავო ნორმის შემონემა ხდება ორივესთან მიმართებით, ერთიან კონტექსტში. საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი არის იმის დადგენა, რამდენად შეესაბამება გასაჩივრებული ნორმა კონსტიტუციურ ნესრიგს.<sup>1091</sup>

### **3. კონსტიტუციის უზენაესობა და ქართული სამართლის სისტემის იერარქიული მოწყობა**

კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობის პრინციპები აისახება სამართლებრივი სისტემის იერარქიულ მოწყობაში.<sup>1092</sup> სწავლება მართლწესრიგის იერარქიული მოწყობის შესახებ ეკუთვნის ადოლფ იულიუს მერკლს.<sup>1093</sup> ის გაიზიარა კელზენმა, რომელსაც ეკუთვნის ტერმინი „მართლწესრიგის საფეხურებრივი მოწყობა“.<sup>1094</sup> იერარქიზაცია დამახასიათებელია მართლწესრიგის სამართლებრივსახელმწიფოებრივი მოწყობისათვის.<sup>1095</sup> მას სიცხადე შეაქვს სამართლის სისტემაში და თავიდან გვაცილებს გართულებებს სამართალშემოქმედებისა და სამართალგამოყენების პროცესში.

<sup>1090</sup> N1/4/614, 616 გადაწყვეტილება, II-17; N3/5/768, 769, 790, 792 გადაწყვეტილება, II-14.

<sup>1091</sup> N2/2-389 გადაწყვეტილება, II-3.

<sup>1092</sup> Denninger, „Rechtsstaat“ oder „Rule of law“, 41 (48); Grabenwarter, Die Verfassung, 391 (405).

<sup>1093</sup> ავსტრიელი მეცნიერი სახელმწიფო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში (1890–1970).

<sup>1094</sup> Stufenbau der Rechtsordnung. იხ.: Grabenwarter, Die Verfassung, 391 (392 ff.).

<sup>1095</sup> Kunig, Rechtsstaat, 421 (435).

კონსტიტუცია ასრულებს ორ ძირითად ფუნქციას სამართლის ნორმების იერარქიაში. ის, შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, სამართლის სხვა ნორმების წარმოქმნის, ხოლო მეორე მხრივ, მათი გაუქმების საფუძველი.<sup>1096</sup> მსგავსი ფუნქციები აქვს ნებისმიერ ნორმატიულ აქტს სხვა, იერარქიის უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი ნორმატიული აქტების მიმართ.<sup>1097</sup>

საქართველოს კონსტიტუცია შეიცავს ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ სხვადასხვა ნორმატიული აქტების სახეებსა და მათი მიღების პროცედურას. მაგალითად, 45-ე მუხლი ეძღვნება კანონმემოქედებას და პარლამენტის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესს. კონსტიტუცია ასევე ადგენს ნორმატიული აქტების იერარქიის გარკვეულ საფუძველებს. ამ თვალსაზრისით, საინტერესო არის მე-4 მუხლის რამოდენიმე ნორმა. ამ მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადება არა მხოლოდ განამტკიცებს კონსტიტუციის უზენაესობას, არამედ მიუჩენს მას ადგილს ნორმატიული აქტების იერარქიის უმაღლეს საფეხურზე. მე-5 პუნქტი ითვალისწინებს მნიშვნელოვან რეგულირებას საერთაშორისო ხელშეკრულებების იურიდიულ ძალასთან და საქართველოს სამართლის სისტემაში მათ ადგილთან დაკავშირებით. საერთაშორისო სამართლს ენიჭება უპირატესობა საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებით. კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. ამასთან, საერთაშორისო ხელშეკრულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ შეთანხმებას. აქედან გამომდინარეობს, რომ საერთაშორისო აქტები იკავებს მესამე საფეხურს ნორმატიული აქტების იერარქიაში კონსტიტუციისა და კონსტიტუციური შეთანხმების შემდეგ. ამასთან წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის მე-8 მუხლის მე-2 წინადადება, რომელიც აცხა-

<sup>1096</sup> Grabenwarter, Die Verfassung, 391 (399).

<sup>1097</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 389.

დებს, რომ კონსტიტუციური შეთანხმება „სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში.“ აღნიშნული პრინციპები და ნორმები ასახულია საერთაშორისო ხელშეკრულებებში. ამდენად, ეს საერთაშორისო ხელშეკრულებები ნორმატიული აქტების იერარქიაში უფრო მაღლა უნდა იდგეს, ვიდრე კონსტიტუციური შეთანხმება. კარგი იქნებოდა, თუ გამოსწორდებოდა კონსტიტუციის ნორმებს შორის არსებული შეუსაბამობა.<sup>1098</sup>

საქართველოს კონსტიტუცია მიანდობს ორგანულ კანონს ნორმატიული აქტების იერარქიის განსაზღვრას.<sup>1099</sup> ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ დეტალურად აწესრიგებს ქართული სამართლის სისტემის საფეხურებრივ მოწყობას. ის შეეხება სხვა მნიშვნელოვან საკითხებსაც: ნორმატიული აქტების სახეები, მათი მომზადების, მიღების/გამოცემის წესი და ა.შ. „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის მე-7 მუხლი არეგულირებს ნორმატიული აქტების ურთიერთმიმართებას. საკანონმდებლო აქტები, კონსტიტუციური შეთანხმება და საერთაშორისო ხელშეკრულებები განლაგებულია *იერარქიის* შემდეგ საფეხურებზე:<sup>1100</sup> (1) კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი; (2) კონსტიტუციური შეთანხმება; (3) საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება; (4) ორგანული კანონი, პრეზიდენტის დეკრეტი; (5) კანონი, პარლამენტის რეგლამენტი. საკანონმდებლო აქტებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა კანონქვემდებარე აქტების მიმართ.<sup>1101</sup> აქედან გამომდინარე, კანონქვემდებარე აქტები განლაგებულია იერარქიის ქვედა საფეხურზე. ამასთან,

<sup>1098</sup> შეადარე: იქვე.

<sup>1099</sup> მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის მე-3 წინადადება.

<sup>1100</sup> მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>1101</sup> მე-7 მუხლის მე-7 პუნქტი.

მათ შორისაც არის დადგენილი იერარქია. ამ იერარქიის სათავეშია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელსაც აქვს უპირატესი იურიდიული ძალა პარლამენტის დადგენილები და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიული აქტების მიმართ.<sup>1102</sup> აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიული აქტების იურიდიული ძალა განისაზღვრება აღმასრულებელ ხელისუფლებაში ამ ორგანოთა (თანამდებობის პირთა) იერარქიის შესაბამისად.<sup>1103</sup> მაგალითად, საქართველოს მთავრობის დადგენილებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა მინისტრის ბრძანებასთან მიმართებით.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონი ასევე აწესრიგებს საქართველოს ნორმატიული აქტების ურთიერთმიმართებას ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის ნორმატიულ აქტებთან,<sup>1104</sup> კერძოდ: (1) საქართველოს ნორმატიულ აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ავტონომიური რესპუბლიკების ნორმატიული აქტების მიმართ; (2) საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიულ აქტს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიული აქტების მიმართ; (3) საქართველოს ნორმატიულ აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტების მიმართ. ამასთან, გასათვალისწინებელია უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპი, რაც იცავს ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების შესაძლებლობას, დამოუკიდებლად მოაწესრიგონ ნორმატიულად მათ ექსკლუზიურ უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხები.

<sup>1102</sup> მე-7 მუხლის მე-10 პუნქტი.

<sup>1103</sup> მე-7 მუხლის მე-11 პუნქტი.

<sup>1104</sup> მე-7 მუხლის მე-12 პუნქტი.

ნორმატიული აქტების იერარქიას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. ეს თვალსაჩინოა განსაკუთრებით ნორმათა კოლიზიის შემთხვევაში. ამ დროს უპირატესობა ენიჭება იმ ნორმატიულ აქტს, რომელიც იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზეა. თუ ერთმანეთს ეწინააღმდეგება თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტები, უპირატესობით სარგებლობს უფრო გვიან მიღებული (გამოცემული) აქტი.<sup>1105</sup>

#### **4. კონსტიტუციით შეზღუდვის პრინციპის დარღვევის შედეგები**

კონსტიტუციის შეზღუდვის პრინციპის დარღვევის კონტექსტში, მნიშვნელოვანია ორი გარემოება – ვის შეუძლია დარღვევის დადგენა და რაშია მისი სამართლებრივი შედეგები. დარღვევის დადგენა შესაძლებელია საკონსტიტუციო კონტროლის საშუალებით. საკონსტიტუციო სასამართლო ფლობს არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტების გაუქმების მონოპოლიას. საერთო სასამართლო ვერ გააუქმებს იმ ნორმას, რომელიც მას არაკონსტიტუციურად მიაჩნია. მან ამ შემთხვევაში უნდა შეაჩეროს სამართალწარმოება და მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს წარდგინებით. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ ხელისუფლების სხვა ორგანოებსაც აქვთ კონსტიტუციით შეზღუდვის პრინციპის დარღვევის დადგენის უფლებამოსილება და ვალდებულება.<sup>1106</sup> მაშასადამე, დარღვევის დადგენა შეუძლია თეორიულად ყველა სახელმწიფო ორგანოს, მაგრამ დგება განსხვავებული შედეგები.<sup>1107</sup>

ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებითა და სასამართლო გადანყვეტილებებით კონსტიტუციით შეზღუდვის პრინციპის

<sup>1105</sup> მე-7 მუხლის მე-8 პუნქტი.

<sup>1106</sup> Stein, Götz, Staatsrecht, 154.

<sup>1107</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 391.

დარღვევის დადგენის საკითხი პრობლემურია. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, როგორც წესი, შემოიფარგლება მხოლოდ ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწებით. კონსტიტუციით შეზღუდვის პრინციპის სრულყოფილი განხორციელება ფაქტობრივად შეუძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის სრულყოფის გარეშე.<sup>1108</sup>

აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ კონსტიტუციით შეზღუდვის პრინციპის დარღვევის აღმოჩენისას მნიშვნელოვანია, თუ რომელი სამართლებრივი აქტი არღვევს კონსტიტუციას. აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, რამდენად შეუძლია ადმინისტრაციულ ორგანოს უარი განაცხადოს კანონის გამოყენებაზე მისი არაკონსტიტუციურობის გამო.<sup>1109</sup> ზოგიერთი ავტორის პოზიციით, ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ჰქონდეს ეს შესაძლებლობა, თუ კონსტიტუციის დარღვევა არის აშკარა და განსაკუთრებით მძიმე.<sup>1110</sup> ამ მოსაზრების გაზიარება რთულია. კანონის არაკონსტიტუციურობის დადგენა არის საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივა. თუ ადმინისტრაციულ ორგანოს მიეცემა იმ კანონის იგნორირების შესაძლებლობა, რომელიც მისი აზრით არაკონსტიტუციურია, გაჩნდება საფრთხე, რომ ის ამ გზით თავს დააღწევს შესაბამისი კანონით შეზღუდვას. აღმასრულებელ ხელისუფლებას აქვს საკმარისი ბერკეტები კანონის კონსტიტუციურობის საკითხის საკონსტიტუციო სასამართლოში გასარკვევად. იგივე შეიძლება ითქვას კონსტიტუციურ შეთანხმებასთან და საერთაშორისო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. თუ ადმინისტრაციულ ორგანოს უშუალოდ არ აქვს კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების შეტანის უფლებამოსილება, მან

<sup>1108</sup> იქვე, 392.

<sup>1109</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Verfassungsgrundsätze), Rn. 49; Sachs, GG, Art. 20, Rn. 97, 108.

<sup>1110</sup> მაგ.: Jarass, GG, Art. 20, Rn. 36; Zippelius, Deutsches Staatsrecht, 112.

ეს საკითხი უნდა დააყენოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს წინაშე.<sup>1111</sup>

საინტერესოა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტით კონსტიტუციით შეზღუდვის პრინციპის დარღვევის საკითხი. ამ შემთხვევაშიც კონსტიტუციური სარჩელი ან წარდგინებაა შესატანი, რადგანაც საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხსაც. თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი არ შეესაბამება როგორც კონსტიტუციას, ასევე იერარქიაში მასზე ზემოთ მდგომ სხვა ნორმატიულ აქტს, მისი გაუქმება შეუძლია მიმღებ (გამომცემ) ორგანოს (თანამდებობის პირს), მის ზემდგომ ორგანოს (თანამდებობის პირს) ან საერთო სასამართლოს.<sup>1112</sup>

კონსტიტუციით შეზღუდვის პრინციპის დარღვევის სამართლებრივი შედეგი, როგორც წესი, არის შესაბამისი სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად ცნობა. სადავოა საკითხი, თუ რა მომენტიდან უნდა ჩაითვალოს აქტი ძალადაკარგულად. როდესაც აქტის გაუქმება *ex nunc* მოქმედებს, უპირატესობა ენიჭება სამართლებრივი უსაფრთხოების ინტერესს. აღნიშნავენ, რომ ამ შემთხვევაში საფრთხე ექმნება კონსტიტუციის ავტორიტეტს, რადგანაც ხდება არაკონსტიტუციური მდგომარეობის ერთგვარი ლეგალიზება ნორმის გამოცემასა და მის გაუქმებას შორის არსებულ დროის მონაკვეთში.<sup>1113</sup> უპრობლემო არ არის ასევე ნორმის *ex tunc* ძალადაკარგულად გამოცხადება. უკვე დამდგარი სამართლებრივი შედეგების რევიზიამ შეიძლება ხელყოს დაინტერესებული პირის ნდობა. აქედან გამომდინარე, ოპტიმალური გამოსავალი არის სა-

<sup>1111</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 392.

<sup>1112</sup> „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-10 პუნქტი; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და მე-5 ნაწილი; ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 601 მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>1113</sup> Stein, Götz, Staatsrecht, 154.

კითხის გადაწყვეტა კონკრეტულ შემთხვევაში დაპირისპირებული ინტერესების შედარებისა და ანონ-დანონვის საფუძველზე.<sup>1114</sup> საქართველოს კონსტიტუცია, სამნუხაროდ, არ იძლევა არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის **ex tunc** ძალადაკარგულად გამოცხადების შესაძლებლობას. არაკონსტიტუციური აქტი ან მისი ნაწილი კარგავს ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან (**ex nunc**), თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას.<sup>1115</sup>

---

<sup>1114</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 393.

<sup>1115</sup> მე-60 მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადება.

# თავი XI. კანონით შეზღუდვა

## 1. კანონით შეზღუდვის პრინციპის არსი და კავშირი სამართლებრივ სახელმწიფოსთან

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი წარმოუდგენელია ნომოკრატიის იდეის გარეშე. კანონით შეზღუდვისა და მმართველობის კანონიერების პრინციპები, კონსტიტუციით შეზღუდვის პრინციპის მსგავსად, განასახიერებს ამ იდეას.<sup>1116</sup>

კანონით შეზღუდვის პრინციპს უჭირავს ცენტრალური ადგილი სამართლებრივი სახელმწიფოს ნომოკრატიულ ელემენტებს შორის. ის აქცევს კანონს კონსტიტუციური წესრიგის ცენტრად.<sup>1117</sup> კანონით შეზღუდვა გულისხმობს საკანონმდებლო რეგულირების დაცვასა და პატივისცემას.<sup>1118</sup> კანონის შესრულება არის ყველას ვალდებულება და არა ცალკეული პირების შეხედულებაზე დამოკიდებული საკითხი.<sup>1119</sup>

კანონით შეზღუდვის პრინციპი მოითხოვს არა მხოლოდ კანონსაწინააღმდეგო ქმედებისაგან თავის შეკავებას, არამედ ასევე კანონით დაკისრებული მოვალეობების განხორციელებას.<sup>1120</sup> კა-

<sup>1116</sup> მაგ.: Bachof, Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates, 201 (202); Benda, Der soziale Rechtsstaat, 719 (720); Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 26; Hofmann, GG, Art. 20, Rn. 58; Huber, Rechtsstaat und Sozialstaat, 589 (593); Karpen, Die geschichtliche Entwicklung, 107; Klopfer, Verfassungsrecht I, 302; Robbers, BK, Art. 20, Rn. 1806; Sachs, GG, Art. 20, Rn. 77; Schachtschneider, Prinzipien, 17; Schmidt-Aßmann, Rechtsstaat, 541 (544); Schnapp, GG, Art. 20, Rn. 27; Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 35, 39; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 239; Stern, Staatsrecht I, 784.

<sup>1117</sup> ლოლაძე, სასამართლოს შეზღუდვა, 522 (523); Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 490.

<sup>1118</sup> Sachs, GG, Art. 20, Rn. 110.

<sup>1119</sup> N2/2/180–183 გადაწყვეტილება, 2.

<sup>1120</sup> Detterbeck S., Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, Juristische Ausbildung, 4 (2002), 235 (235); Grzeszick, GG, Art. 20 (Verfassungsgrundsätze), Rn. 145; Hofmann, GG, Art. 20, Rn. 70; Ossenbühl, Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, 183 (185 ff.); Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 105.

ნონით შეზღუდვას აქვს დიდი მნიშვნელობა ძალაუფლების გამიჯვნის კონტექსტში. ის ხელს უშლის აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების თვითნებურ მოქმედებასა და შეჭრას საკანონმდებლო ხელისუფლების კომპეტენციაში.<sup>1121</sup>

## **2. კანონით შეზღუდვის პრინციპი საქართველოს კონსტიტუციაში**

კონსტიტუცია არ ითვალისწინებს სპეციალურ ჩანაწერს აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების კანონით შეზღუდვის შესახებ, თუმცა ეს პრინციპი ასახულია კონსტიტუციის სხვადასხვა ნორმებში. მაგალითად, კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-8 პუნქტი აქცევს კანონის ფარგლებში მთავრობის საქმიანობას – მთავრობის სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით. 63-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება, კონსტიტუციით შეზღუდვასთან ერთად, ადგენს სასამართლო ხელისუფლების კანონით შეზღუდვასაც. თუნდაც ამ მაგალითების გამო, რეალობასა აცდენილი შეფასება, რომ კანონით შეზღუდვის პრინციპმა ასახვა ვერ ჰპოვა საქართველოს კონსტიტუციაში.<sup>1122</sup>

## **3. მმართველობის კანონიერება**

### **3.1. მმართველობის კანონიერების მნიშვნელობა და კომპონენტები**

მმართველობის კანონიერების პრინციპი წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების კანონით შეზღუდვის გამობატულებას.<sup>1123</sup> აღმასრულებელი ხელისუფლება ატარებს ყველაზე დიდ პოტენციურ საფრთხეს სამართლებრივი სახელმწიფოსათ-

<sup>1121</sup> Kunig, Rechtsstaat, 421 (437).

<sup>1122</sup> Gaul, Verfassungsgebung, 104.

<sup>1123</sup> ლოლაძე, კონსტიტუციონალიზმის ძირითადი პრინციპები, 31 (53).

ვის. აქედან გამომდინარე, ის საჭიროებს მკვეთრ საკანონმდებლო საფუძვლებსა და საზღვრებს. აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა უნდა დაექვემდებაროს ეფექტიან კონტროლს და ხორციელდებოდეს სამართლებრივსახელმწიფოებრივ ჩარჩოებში. ამასთან, რთულია ხელისუფლების ამ შტოს გაკონტროლება მისი სპეციფიკის, საქმიანობის წესისა და დიდი მასშტაბების გამო.<sup>1124</sup>

სამეცნიერო ლიტერატურა მიიჩნევს მმართველობის კანონიერებას სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მნიშვნელოვან, აუცილებელ და უძველეს ელემენტად.<sup>1125</sup> სამართლებრივ სახელმწიფოში მმართველება იბოჭება და იმართება კანონით.<sup>1126</sup> მმართველობის კანონიერება უზრუნველყოფს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის რეალიზებას საჯარო მმართველობის განხორციელებისას.<sup>1127</sup> აღმასრულებელი ხელისუფლების არც ერთი მოქმედება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს.<sup>1128</sup>

მმართველობის შედგება ორი კომპონენტისაგან: (1) *კანონის უპირატესობა* და (2) *კანონის დათქმა*.<sup>1129</sup> ეს კომპონენტები ით-

<sup>1124</sup> შეადარე: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 394.

<sup>1125</sup> მაგ.: Hofmann, GG, Art. 20, Rn. 70; Robbers, BK, Art. 20, Rn. 2104; Schnapp, GG, Art. 20, Rn. 61; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 480; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 261.

<sup>1126</sup> Schuppert G. F., Regierung und Verwaltung, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 2, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, 1499 (1515).

<sup>1127</sup> Badura, Staatsrecht, 379.

<sup>1128</sup> Stein, Götz, Staatsrecht, 161.

<sup>1129</sup> Detterbeck, Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, 235 (235); Hofmann, GG, Art. 20, Rn. 70, 84; Kelsen, Wesen und Entwicklung der Staatsgerichtsbarkeit, 11; Lerche P., Vorbehalt des Gesetzes und Wesentlichkeitstheorie, in: Merten, Detlef/Papier, Hans-Jürgen (Hrsg.): Handbuch der Grundrechte in Deutschland und Europa, Band III – Grundrechte in Deutschland: Allgemeine Lehren II, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg 2009, § 62, 301 (302); Ossenbühl, Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, 183 (191); Schmidt, Staatsorganisationsrecht, 96; Schnapp, GG, Art. 20, Rn. 65; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 463; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 270.

ვლება თანამედროვე კონსტიტუციების სამართლებრივსახელმწიფოებრივ მიღწევად.<sup>1130</sup>

### 3.2. კანონის უპირატესობა

კანონმდებლის მიერ ნების გამოხატვას აქვს უპირატესობა სახელმწიფოს სხვა მოქმედებებთან მიმართებით.<sup>1131</sup> ეს იმით არის განპირობებული, რომ პარლამენტი ლეგიტიმირებულია უშუალოდ ხალხის მიერ.<sup>1132</sup> კანონის უპირატესობა წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს ტრადიციულ, ისტორიულ ელემენტს.<sup>1133</sup> ის წარმოიშვა მე-19 საუკუნეში, როგორც მონარქის აღმასრულებელი ძალაუფლების შეზღუდვის საშუალება.<sup>1134</sup>

კანონის უპირატესობის მთავარი მოთხოვნა არის ის, რომ ადმინისტრაციული აქტები და ღონისძიებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს.<sup>1135</sup> ეს პრინციპი არ უშვებს გამონაკლისებს.<sup>1136</sup> კანონს ენიჭება უპირატესობა კანონისა და კანონქვემდებარე აქტის კოლიზიისას. აქედან გამომდინარე, კანონის უზენაესობას ასევე მოიხსენიებენ ხოლმე, როგორც *კოლიზიის წესს*<sup>1137</sup> და *ნორმათა*

<sup>1130</sup> Hoffmann-Riem W., Gesetz und Gesetzesvorbehalt im Umbruch. Zur Qualitäts-Gewährleistung durch Normen, Archiv des öffentlichen Rechts, 130 (2005), 5 (7).

<sup>1131</sup> Benda, Der soziale Rechtsstaat, 719 (735); Ossenbühl, Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, 183 (184); Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 104; Stein, Götz, Staatsrecht, 162.

<sup>1132</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Verfassungsgrundsätze), Rn. 72.

<sup>1133</sup> Hesse, Der Rechtsstaat im Verfassungssystem, 557 (563); Klein, Gesetzgebung ohne Parlament? 27.

<sup>1134</sup> Ossenbühl, Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, 183 (184).

<sup>1135</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 2113; Schnapp, GG, Art. 20, Rn. 65; Zippelius, Deutsches Staatsrecht, 115.

<sup>1136</sup> Badura, Staatsrecht, 381; Schmidt, Staatsorganisationsrecht, 96, 112; Schnapp, GG, Art. 20, Rn. 66; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 271.

<sup>1137</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Verfassungsgrundsätze), Rn. 73; Sachs, GG, Art. 20, Rn. 112.

იერარქიის გამოხატულებას.<sup>1138</sup> ამასთან, კანონის უპირატესობა არ უნდა დავინახოთ მხოლოდ მართლწესრიგის საფეხურეობრივი მონყობის კუთხით. კანონის ფარგლებს ექვემდებარება მმართველობის არა მარტო ნორმათშემოქმედებითი, არამედ სხვა სახის საქმიანობაც. აქედან გამომდინარე, კანონის უპირატესობას აქვს უფრო ფართო მნიშვნელობა, ვიდრე მხოლოდ კოლიზიის წესს.<sup>1139</sup>

კანონის უპირატესობის პრინციპი უკრძალავს ადმინისტრაციულ ორგანოებს არა მხოლოდ არაკანონიერი აქტების გამოცემას, არამედ ამგვარი აქტების გამოყენებასაც.<sup>1140</sup> კანონის უპირატესობა ასევე მოითხოვს კანონთან შესაძლო წინააღმდეგობების თავიდან აცილებას ინტერპრეტაციის გზით.<sup>1141</sup> შესაძლებელია კანონთან შესაბამისი განმარტების გამოყენებით მოხდეს ადმინისტრაციული აქტის გაუქმების, როგორც უკიდურესი ღონისძიების, თავიდან არიდება. ეს ძალიან ჰგავს ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისი განმარტების ინსტიტუტს.<sup>1142</sup>

კანონის უპირატესობის პრინციპი სხვა ნორმებთან, განსაკუთრებით ძირითადი უფლებების დამდგენ ნორმებთან, კავშირში ადგენს შედეგების აღმოფხვრის ვალდებულებას. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოასწოროს თავისი კანონსწინააღმდეგო ქმედების შედეგები და აღადგინოს მართლზომიერი მდგომარეობა. შედეგების აღმოფხვრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძირითადი უფლებების სფეროში.<sup>1143</sup> ეს საკითხი უკავშირდება სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, რომელიც არის სამართლებრივი

<sup>1138</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 2105.

<sup>1139</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 395.

<sup>1140</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Verfassungsgrundsätze), Rn. 145; Jarass, GG, Art. 20, Rn. 40.

<sup>1141</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 2114.

<sup>1142</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 395 f.

<sup>1143</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Verfassungsgrundsätze), Rn. 141; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 271.

სახელმწიფოს არსებითი მახასიათებელი. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი ასახულია კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტში, რომელიც ადგენს საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებას – „ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.“ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გამოხატულებას წარმოადგენს ასევე მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის მე-2 წინადადება – „უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.“

საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა შედეგების აღმოფხვრის ვალდებულებასა და სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. ის მართებულად შენიშნავს კავშირს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან, რომელიც მოითხოვს რეაგირებას სახელმწიფო ორგანოთა თუ თანამდებობის პირთა ნებისმიერ უკანონო ქმედებაზე. უნდა არსებობდეს ხელმისაწვდომი და ეფექტური მექანიზმი უფლებებში აღსადგენად და მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.<sup>1144</sup> კონსტიტუციის შესაბამისი ნორმა ანიჭებს ყველას ზიანის ანაზღაურების უფლებას, უზრუნველყოფს სამართლებრივი დაცვის საშუალებას (სასამართლოსათვის მიმართვა) და განსაზღვრავს ზიანის ანაზღაურების მასშტაბებს (სრულად ანაზღაურება). საკონსტიტუციო სასამართლო ხედავს კანონმდებლისათვის დატოვებულ არეალს მხოლოდ პროცედურული საკითხების მოწესრიგებაში.<sup>1145</sup> ანაზღაურებას ექვემდებარება რო-

<sup>1144</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის N2/4/735 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – მერი გიორგაძე და ფიქრია მერაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

<sup>1145</sup> შეადარე: N2/3/423 გადაწყვეტილება, II-2; საქართველოს საკონსტი-

გორც ქონებრივი, ასევე მორალური ზიანი.<sup>1146</sup> მართებულია საკონსტიტუციო სასამართლო მოსაზრება, რომ საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებას აქვს ადმინისტრაციულ ორგანოთა და თანამდებობის პირთა თვითნებობისა და ძალაუფლების უკანონოდ გამოყენების პრევენციის პოტენციალი.<sup>1147</sup> ამ პოტენციალის რეალური ამოქმედება საჭიროებს გამართულ კანონმდებლობასა და სასამართლოს, რომელიც დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განიხილავს და გადაწყვეტს დავებს კერძო პირებსა და სახელმწიფოს შორის.

### 3.3. კანონის დათქმა

კანონის დათქმის მთავარი მოთხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ აუცილებელი არის სახელმწიფო საქმიანობის გარკვეული ფუნდამენტური სფეროების საკანონმდებლო ლეგიტიმაცია.<sup>1148</sup> ამ სფეროებში აღმასრულებელი ხელისუფლება მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი აძლევს მას ამის უფლებამოსილებას.<sup>1149</sup>

კანონის დათქმა უკავშირდება დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს.<sup>1150</sup> მას აქვს არგუმენტირებული გამართლება. პირველ რიგში, კანონი არის საკანონმდებლო პრო-

---

ტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის N2/3/630 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

<sup>1146</sup> იქვე, II-8.

<sup>1147</sup> იქვე, II-2.

<sup>1148</sup> შეადარე: Jarass, GG, Art. 20, Rn. 44; Lerche, Vorbehalt des Gesetzes und Wesentlichkeitstheorie, 301 (304); Robbers, BK, Art. 20, Rn. 2012; BVerfGE 98, 218 (251).

<sup>1149</sup> Detterbeck, Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, 235 (236); Schnapp, GG, Art. 20, Rn. 65.

<sup>1150</sup> მაგ.: Hömig D., Grundlagen und Ausgestaltung der Wesentlichkeitslehre, in: Schmidt-Aßmann, Eberhard/Sellner, Dieter/Hirsch, Günter/Kemper, Gerd-Heinrich/Lehmann-Grube, Hinrich: Festgabe 50 Jahre Bundesverwaltungsgericht, Köln, Berlin, Bonn, München 2003, 273 (288); Ossenbühl, Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, 183 (202 ff.).

ცესის პროდუქტი. ამ პროცესს ახასიათებს მეტი საჯაროობა, რაციონალურობა და დაპირისპირებული ინტერესების გათვალისწინება. გარდა ამისა, კანონის დათქმას აქვს თავისუფლების დამცავი ფუნქცია.<sup>1151</sup> ის ამცირებს ძირითად უფლებებში თვითნებური ჩარევის რისკს.<sup>1152</sup> კანონი გაცილებით უკეთ უზრუნველყოფს თავისუფლების დაცვას, ვიდრე ნებისმიერი სხვა ნორმატიული აქტი. ამ კონტექსტში, აშკარაა კანონის დათქმის კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან.<sup>1153</sup>

კანონის დათქმიდან გამომდინარე, აღმასრულებელი ხელისუფლების აქტები და მოქმედებები საჭიროებს კანონიერ საფუძველს. გარდა ამისა, ის კრძალავს გარკვეული სამართალშემოქმედებითი უფლებამოსილებების დელეგირებას აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის.<sup>1154</sup> მაშასადამე, კანონის დათქმა უყენებს შინაარსობრივ მოთხოვნებს კანონის ნორმებს.<sup>1155</sup> თეორიასა და პრაქტიკაში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, ეს შინაარსობრივი მოთხოვნები არის კანონის სამართლებრივსახელმწიფოებრივი ცნებისა და ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის გამოხატულება.<sup>1156</sup> ზოგიერთი მეცნიერი კანონის დათქმას ძალაუფლების გამიჯვნის ცენტრალურ საკითხადაც კი განიხილავს.<sup>1157</sup>

კანონის დათქმა იღებს *პარლამენტის დათქმის* სახეს, როდესაც ის კრძალავს გარკვეული საკითხების ნორმატიული მოწესრი-

<sup>1151</sup> შეადარე: Hoffmann-Riem, *Gesetz und Gesetzesvorbehalt*, 5 (10 f.).

<sup>1152</sup> ლოლაძე ბ., ძირითადი უფლებების შეზღუდვის დელეგირების სტანდარტები და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა COVID-19-ის პირობებში, *კორკელია კონსტანტინე (რედ.)*, „ადამიანის უფლებათა დაცვა და კოვიდ-19-ის პანდემია“, თბილისი 2021, 109 (114).

<sup>1153</sup> Loladze, *Rechtsstaatsprinzip*, 396.

<sup>1154</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Verfassungsgrundsätze), Rn. 75; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 273.

<sup>1155</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Verfassungsgrundsätze), Rn. 75; BVerfGE 83, 130 (142); 101, 1 (34).

<sup>1156</sup> Badura, *Staatsrecht*, 384; BVerfGE 1, 14 (60); 34, 52 (59 f.).

<sup>1157</sup> Ossenbühl, *Vorrang und Vorbehalt des Gesetzes*, 183 (188).

გების აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის დელეგირებას.<sup>1158</sup> ეს არ ნიშნავს, რომ ამ ინსტიტუტების გაიგივება შესაძლებელია. პარლამენტი არ ახორციელებს თავის ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს მხოლოდ კანონების მიღებით.<sup>1159</sup> გარდა ამისა, პარლამენტის დათქმა, კანონის დათქმისაგან განსხვავებით, გამოორიცხავს სამართალშემოქმედებითი კომპეტენციის გადაცემას.<sup>1160</sup>

მართალია, კანონის დათქმა არ გამოორიცხავს აღმასრულებელი ხელისუფლების თავისუფალი მოქმედების სფეროების არსებობას, მაგრამ კანონმდებელმა უნდა დაადგინოს მნიშვნელოვანი კრიტერიუმები, რათა ადამიანის თავისუფლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება სრულად არ გადავიდეს აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციაში, იყოს პროგნოზირებადი და განჭვრეტადი.<sup>1161</sup> აღმასრულებელი ხელისუფლება არ არის გათავისუფლებული სასამართლო კონტროლისაგან მაშინაც კი, რდესაც ის მოქმედებს თავისი დისკრეციის ფარგლებში. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა იმოქმედოს შესაბამისი უფლებამოსილების მიზნის მისაღწევად და დაიცვას თავისუფალი მიხედულების კანონით დადგენილი საზღვრები.<sup>1162</sup> ეს მოსაზრება გავრცელებულია თეორიაში და ასევე ასახულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლში, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება შეუძლია მხოლოდ კანონით დადგენილ ფარგლებში და იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება.<sup>1163</sup>

<sup>1158</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Verfassungsgrundsätze), Rn. 76; Jarass, GG, Art. 20, Rn. 44.

<sup>1159</sup> Detterbeck, Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, 235 (237); Lerche, Vorbehalt des Gesetzes und Wesentlichkeitstheorie, 301 (306).

<sup>1160</sup> Ossenhühl, Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, 183 (190, 207).

<sup>1161</sup> Badura, Staatsrecht, 382; Sachs, GG, Art. 20, Rn. 115; BVerfGE 8, 274 (324 f.); 49, 89 (145 f.); 113, 348 (376).

<sup>1162</sup> Badura, Staatsrecht, 387 f.; Kunig, Rechtsstaatsprinzip, 329; Schuppert, Regierung und Verwaltung, 1499 (1515).

<sup>1163</sup> მე-6 მუხლი.

საკონსტიტუციო სასამართლო აქცევს მკაცრ კონსტიტუციურსამართლებრივ ჩარჩოებში კანონმდებლის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებას. დისკრეცია არ გულისხმობს მოქმედების სრულ თავისუფლებას. ის უზრუნველყოფს სამართლებრივად შებოჭილ თავისუფლებას. ადამიანის უფლებები და კონსტიტუციური პრინციპები განსაზღვრავს დისკრეციული უფლებამოსილების მიზნებსა და ფარგლებს. ის, ისევე როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერი უფლებამოსილება, უნდა ხორციელდებოდეს კონსტიტუციით დადგენილ საზღვრებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო ხედავს უფლებამოსილების გადაჭარბების ან არამიზნობრივად გამოყენების, ე. ი. თვითნებობის საფრთხეს. ის გამოჰყოფს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გასათვალისწინებელ რამოდენიმე მნიშვნელოვან მოთხოვნას: კონკრეტული შემთხვევის მონესრიგებისათვის ყველაზე უფრო მისაღები სამართლებრივი შედეგის შერჩევა, მიღებული გადაწყვეტილების შედეგის დასაბუთება და მისი დამყარება სამართლებრივ საფუძვლებზე.<sup>1164</sup>

განასხვავებენ კანონის დათქმის ორ სახეს: (1) *კანონის ზოგადი დათქმა* და (2) *კანონის სპეციალური (კონკრეტული) დათქმა*. კონსტიტუცია ითვალისწინებს სპეციალურ დათქმას კონკრეტული საკითხის, მაგალითად ამა თუ იმ ძირითადი უფლების შეზღუდვის,<sup>1165</sup> კანონით მონესრიგებისათვის. ზოგადი დათქმა გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის პრინციპებიდან<sup>1166</sup> და ის პირდაპირ ასახული არ არის კონსტიტუციის

<sup>1164</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის N3/3/763 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტი წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 42 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-59.

<sup>1165</sup> შეადარე: ლოლაძე, ფირცხალაშვილი, ძირითადი უფლებები, 157.

<sup>1166</sup> დაწვრილებით იხ.: Jarass, GG, Art. 20, Rn. 46; Lerche, Vorbehalt des Ge-

ტექსტში. ზოგად დათქმას ენიჭება მნიშვნელობა სპეციალური დათქმის არარსებობის შემთხვევაში. ის არ უნდა გავაიგივოთ კანონის ტოტალურ დათქმასთან,<sup>1167</sup> ე. ი. ყველა საკითხის კანონით მონესრიგების ვალდებულებასთან.

კანონის ზოგად დათქმას აქვს განსაკუთრებული დატვირთვა ძირითადი უფლებების სფეროში.<sup>1168</sup> მისი საშუალებით კანონი ასრულებს გარანტიის როლს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპისა და ინდივიდუალური თავისუფლებისათვის.<sup>1169</sup> სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი კრძალავს ჩარევას ძირითად უფლებებში შესატყვისად განსაზღვრული საკანონმდებლო საუფუძვლის გარეშე.<sup>1170</sup> ეს აკრძალავს იმ შემთხვევებზეც ვრცელდება, როდესაც სახელმწიფო უფლებების შეზღუდვას ირიბად, მესამე პირების საშუალებით ახორციელებს.<sup>1171</sup>

კონსტიტუციაში ვხვდებით ძირითად უფლებებს, რომელთა დამდგენი ნორმები არ შეიცავენ კანონის სპეციალურ დათქმას, მაგრამ ამ უფლებებს არ აქვს აბსოლუტური ხასიათი. ამ დროს მოქმედებს ე. ნ. შიდაკონსტიტუციური ზღვარი, რომელსაც უკავშირებენ სახელმწიფო ხელისუფლების კანონით შეზღუდვის პრინციპს.<sup>1172</sup> ამ ტიპის ძირითადი უფლებების შეზღუდვა, კანონის ზოგადი დათქმის გარეშე, სრულად გადაინაცვლებდა აღმასრულებელი და სამართლო ხელისუფლებების დისკრეციაში.<sup>1173</sup>

---

setzes und Wesentlichkeitstheorie, 301 (319). კრიტიკულად: Grzeszick, GG, Art. 20 (Verfassungsgrundsätze), Rn. 99 ff.

<sup>1167</sup> Lerche, Vorbehalt des Gesetzes und Wesentlichkeitstheorie, 301 (318).

<sup>1168</sup> დანვრილებით იხ.: Grzeszick, GG, Art. 20 (Verfassungsgrundsätze), Rn. 81; Jarass, GG, Art. 20, Rn. 48 ff.; Karpen, Die geschichtliche Entwicklung, 68; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 276.

<sup>1169</sup> Badura, Staatsrecht, 374.

<sup>1170</sup> Badura, Staatsrecht, 381; Robbers, BK, Art. 20, Rn. 2121.

<sup>1171</sup> Hoffmann-Riem, Gesetz und Gesetzesvorbehalt, 5 (44).

<sup>1172</sup> დანვრილებით იხ.: ლოლაძე, ფირცხალაშვილი, ძირითადი უფლებები, 163–166.

<sup>1173</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 2009.

ერთიანი აზრი არ არსებობს კანონის დათქმის მოცულობასა და შინაარსთან დაკავშირებით. ერთი მხრივ, ხაზს უსვამენ, რომ მას არ აქვს ტოტალური ხასიათი და უნდა არსებობდეს „კანონისაგან თავისუფალი“ სივრცეები ადმინისტრაციული საქმიანობის განსახორციელებლად.<sup>1174</sup> კანონის ტოტალური დათქმა საფრთხეს შეუქმნიდა ძალაუფლების გამიჯვნას, განსაკუთრებით – მის რაციონალიზაციის ფუნქციას.<sup>1175</sup> კანონის ტოტალური დათქმის უარსაყოფად ასევე აპელირებენ აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებელ დემოკრატიულ ლეგიტიმაციაზე და მის ლეგიტიმურ კონსტიტუციურსამართლებრივ საკუთარი პასუხისმგებლობის სფეროზე.<sup>1176</sup> მეორე მხრივ, არსებობს მოსაზრება, რომელიც კანონის ტოტალურ დათქმას უჭერს მხარს.<sup>1177</sup> გვხვდება შუალედური პოზიციაც, რომლის მიხედვითაც კანონის დათქმის სიმკაცრე დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე.<sup>1178</sup>

კანონის დათქმა უდავოდ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო ერევა პირის ინტერესებსა და უფლებებში.<sup>1179</sup> თუ ადმინისტრაციული ორგანო ახორციელებს მომსახურებას, კანონის დათქმა საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მომსახურებას აქვს სასიცოცხლო მნიშვნელობა დაინტერესებულ პირთათვის. საკანონმდებლო რეგულირება ასევე არის აუცილებელი ისეთი მომსახურებისათვის, რომელიც ამძიმებს მესამე პირთა მდგომარეობას ან არსებითად შეეხება საზოგადოებრივ ინტერესებს.<sup>1180</sup>

<sup>1174</sup> Badura, Staatsrecht, 380; Detterbeck, Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, 235 (238); Hofmann, GG, Art. 20, Rn. 84; Jarass, GG, Art. 20, Rn. 51; Schmidt, Staatsorganisationsrecht, 97; BVerfGE 68, 1 (109).

<sup>1175</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 2020.

<sup>1176</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Verfassungsgrundsätze), Rn. 108.

<sup>1177</sup> დანვრილებით იხ.: Ossenbühl, Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, 183 (194 ff.).

<sup>1178</sup> დანვრილებით იხ.: Schnapp, GG, Art. 20, Rn. 73 ff.

<sup>1179</sup> Detterbeck, Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, 235 (236).

<sup>1180</sup> Badura, Staatsrecht, 383; Hofmann, GG, Art. 20, Rn. 71; Robbers, BK, Art. 20,

არსებითობის თეორიამ დიდი წვლილი შეიტანა აზრთა სხვადასხვაობის დაძლევაში კანონის დათქმის მოცულობასთან დაკავშირებით.<sup>1181</sup> ეს თეორია განავითარა გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ.<sup>1182</sup> მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ კანონმდებელმა თავად უნდა მიიღოს ყველა არსებითი გადაწყვეტილება ფუძემდებლურ ნორმატიულ სფეროებში.<sup>1183</sup> არსებითობის თეორია გვეხმარება არა მხოლოდ იმის დადგენაში, რამდენად ვრცელდება კონკრეტულ შემთხვევაზე კანონის დათქმა, არამედ ის განსაზღვრავს შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირების შინაარსობრივ განზომილებასაც.<sup>1184</sup>

არსებითობის დადგენის ზოგადი ფორმულა არ არსებობს.<sup>1185</sup> გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს: „როდის არის საჭირო საკანონმდებლო რეგულირება, შეიძლება შევაფასოთ შესაბამისი საგნობრივი სფეროსა და რეგულირების საგნის თავისებურების მიხედვით. შეფასების კონსტიტუციურსამართლებრივი კრიტერიუმები ამ დროს გამომდინარეობს ძირითადი კანონის ფუძემდებლური პრინციპებიდან და განსაკუთრებით – მასში გარანტირებული ძირითადი უფლებებიდან. მათ შესაბამისად, არსებითი ძირითადი უფლებებისათვის მნიშვნელოვან სფეროში, როგორც წესი, ნიშნავს „არსებითს ძირითადი უფლებების განსახორციელებლად“. ფაქტი, რომ საკითხი პოლიტიკურად საკამათოა, თავისთავად არ ნიშნავს რომ ის არსებითია.“<sup>1186</sup> ეს და

---

Rn. 2031; Schmidt, Staatsorganisationsrecht, 112; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 123; Stein, Götz, Staatsrecht, 163; Zippelius, Deutsches Staatsrecht, 116 f.

<sup>1181</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 2019; Schnapp, GG, Art. 20, Rn. 76.

<sup>1182</sup> დაწვრილებით იხ.: Jarass, GG, Art. 20, Rn. 47.

<sup>1183</sup> BVerfGE 49, 89 (126); 84, 212 (226).

<sup>1184</sup> Deterbeck, Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, 235 (237); BVerfGE 83, 130 (237).

<sup>1185</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 2027.

<sup>1186</sup> BVerfGE 98, 218 (251) [ავტორის თარგმანი].

სხვა პოზიციები არის ზოგადი ხასიათის, ამიტომაც ზოგიერთი ავტორი მიუთითებს არსებითობის ზუსტი კრიტერიუმების ნაკლებობაზე.<sup>1187</sup> აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საკითხთა მრავალფეროვნების გამო, ფაქტობრივად შეუძლებელია არსებითობის უფრო ზუსტი კრიტერიუმების დადგენა. ამან შეიძლება გამოიწვიოს შეცდომების დაშვება შეფასებისას.<sup>1188</sup>

კანონმდებელს ეკისრება ყველა არსებითი გადაწყვეტილების მიღების ვალდებულება, განსაკუთრებით – ძირითადი უფლებების სფეროში. მან შეიძლება მიანდოს აღმასრულებელ ხელისუფლებას მხოლოდ მეორეხარისხოვანი საკითხების გადაწყვეტა.<sup>1189</sup> კანონმდებელმა თავად უნდა განსაზღვროს ძირითად უფლებაში ჩარევის საგანი, შინაარსი, მიზანი და ზომა.<sup>1190</sup> იმის გასაკრვევად, თუ რამდენად არის კონკრეტული საკითხი არსებითი მნიშვნელობის, მხედველობაში მიიღება შესაბამისი რეგულირების მნიშვნელობა ძირითადი უფლების რელიზაციისათვის,<sup>1191</sup> ასევე მისი გავლენის ინტენსივობა ძირითად უფლებაზე.<sup>1192</sup>

ძალაუფლების გამიჯვნა და ფუნქციათა კონსტიტუციური განაწილება საზღვრებს უწესებს არსებითობის პრინციპს.<sup>1193</sup> დაუშვებელია ჩარევა აღმასრულებელი ხელისუფლების სუბსტანციურ უფლებამოსილებებში.<sup>1194</sup> საპარლამენტო დათქმა არ უნდა ნავი-

<sup>1187</sup> Detterbeck, Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, 235 (236 f.); Ossenbühl, Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, 183 (206, 209); Zippelius, Deutsches Staatsrecht, 116.

<sup>1188</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 400.

<sup>1189</sup> მაგ.: Hofmann, GG, Art. 20, Rn. 71; Schmidt, Staatsorganisationsrecht, 109; VerfGE 77, 170 (230 f.); 83, 130 (142); 95, 267 (307); 98, 218 (251); 101, 1 (34); 108, 282 (312); 116, 24 (58).

<sup>1190</sup> მაგ.: Robbers, BK, Art. 20, Rn. 2006; Stein, Götz, Staatsrecht, 162; BVerfGE 8, 274 (325); 80, 137 (161).

<sup>1191</sup> BVerfGE 95, 267 (308).

<sup>1192</sup> BVerfGE 49, 89 (127); 83, 130 (142); 98, 218 (252).

<sup>1193</sup> შეადარე: Grzeszick, GG, Art. 20 (Verfassungsgrundsätze), Rn. 129.

<sup>1194</sup> Sommermann, GG, Art. 20, Rn. 274.

დეს ძალიან შორს, რადგანაც ეს იწვევს პარლამენტის ისეთ დომინაციას, რაც შეუთავსებელია ძალაუფლების განაწილებაზე დაფუძნებულ დემოკრატიასთან.<sup>1195</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს პრაქტიკა იმასთან დაკავშირებით, თუ რა საკითხები უნდა მოაწესრიგოს კანონმდებელმა და რისი რეგულირების დელეგირებაა შესაძლებელი აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის. მან ზოგადი განათლების სრულად დაფინანსებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შეუძლებელია ყველა დეტალის კანონით მოწესრიგება, თუმცა კანონმდებელმა თავად უნდა მიიღოს არსებითი ჩარჩო რეგულირებები, რათა სამინისტროს არ შეეძლოს მათი შეცვლა.<sup>1196</sup>

საკონსტიტუციო სასამართლომ შედარებით დეტალურად ჩამოაყალიბა პოზიცია კონსტიტუციის ძველი რედაქციის 50-ე მუხლის მე-5 პუნქტის<sup>1197</sup> განმარტებისას.<sup>1198</sup> მან, პირველ რიგში, ხაზი გაუსვა, რომ კანონმდებელმა უნდა მოასწრიგოს ფუნდამენტური საკითხები. ამასთან, სასამართლომ არ დაასახელა კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა ფუნდამენტური და არაფუნდამენტური საკითხების გამიჯვნა. მართებული არის მისი განმარტება, რომ დელეგირება თავისთავად არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. სასამართლომ გამოჰყო სამი შემთხვევა, როდესაც დელეგირება არაკონსტიტუციურია: (1) უფლებამოსილების დელეგირება, თუ ეს კონსტიტუციით აკრძალულია; (2) დელეგირების საშუალებით პარლამენტის მიერ უარის თქმა მისი კონსტი-

<sup>1195</sup> შეადარე: Zippelius, *Deutsches Staatsrecht*, 116.

<sup>1196</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 29 დეკემბრის N2/35 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 1.

<sup>1197</sup> „5. პარლამენტის წევრის არჩევის წესი, აგრეთვე არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაუშვებლობა განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.“

<sup>1198</sup> N3/3/763, II-78.

ტუციური უფლებამოსილების განხორციელებაზე და (3) უფლებამოსილების ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი ნაწილის დელეგირება. კონსტიტუციის ფორმალური მოთხოვნებია დარღვეული პირველ და მეორე შემთხვევაში. ამის დადგენა, როგორც წესი, არ მოითხოვს საფუძვლიან მატერიალურ-სამართლებრივ ანალიზს. მესამე შემთხვევა საჭიროებს კონკრეტული სიტუაციის გაცილებით ღრმა გაანალიზებასა და შეფასებას. თუ პარლამენტი არ იღებს კანონს, ეს არ ნიშნავს, რომ მან განახორციელა შესაბამისი საკითხის მონესრიგების დელეგირება. პარლამენტის უმოქმედობა არ უქმნის რომელიმე სხვა ორგანოს საკანონმდებლო უფლებამოსილებების მითვისების საფუძველს. მართებულია მიდგომა, რომ კანონმდებელს შეუძლია სხვა ორგანოს მიანდოს ფორმალური (იმ პირობით, თუ მათ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს) და სხვა საკითხების მონესრიგება, მათი ბუნებიდან გამომდინარე. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს გამორჩა, რომ კანონმდებელი ამ შემთხვევაშიც უნდა უდგენდეს დელეგირების ადრესატს გადაცემული უფლებამოსილების განხორციელების მკაფიო კრიტერიუმებს, რადგანაც ამას მოითხოვს სამართლებრივი უსაფრთხოების, ძალაუფლების გამიჯვნისა და თვითნებობის აკრძალვის პრინციპები. დელეგირების კონკრეტული შემთხვევა ექვემდებარება საფუძვლიან გადამოწმებას სწორედ ამ თვალსაზრისით. მხოლოდ იმაზე აპელირება, რომ გარკვეული კრიტერიუმები არსებობს, არ არის საკმარისი.<sup>1199</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გასცეს დასაბუთებული პასუხი კითხვას, თუ რამდენად არის საკმარისი კანონმდებლის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმები როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი კუთხით. ამის ალტერნატივად არ გამოდგება იმის მტკიცება, რომ დელეგირების საფუძველზე გამოცემული აქტი ექვემდებარება საკონსტიტუციო კონტროლს

---

<sup>1199</sup> იქვე, II-80.

და მის კონსტიტუციასთან შეუსაბამობას ვერ გამოორიციხავს „კანონმდებლობაში ზედმინევენით განერილი კრიტერიუმები სახელმწიფო ორგანოთა მოქმედების ფარგლების შესახებ“.<sup>1200</sup> დელეგირების ფარგლების განუსაზღვრელობა ან ბუნდოვანი და არასრულყოფილი განსაზღვრა უკვე პრობლემურია კონსტიტუციურობის თვალსაზრისით. ამ დროს არაკონსტიტუციური აქტის გამოცემის საფრთხე არის არა ჰიპოთეტური,<sup>1201</sup> არამედ რეალური. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა იმოქმედოს და არ დაელოდოს დელეგირების ფარგლებში კანონქვემდებარე აქტის გამოცემასა და მის გასაჩივრებას, მით უმეტეს, თუ ამ აქტის საფუძველი არის არაკონსტიტუციური კანონი.

საკონსტიტუციო სასამართლომ განაგრძო აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის სამართალშემოქმედებითი საქმიანობის დელეგირების სტანდარტების დადგენა მოგვიანებით მიღებულ გადაწყვეტილებებში. მისი განმარტებით, უნდა იყოს განსაზღვრული ის სუბიექტი, ორგანო, რომელსაც გადაეცემა საკანონმდებლო უფლებამოსილება.<sup>1202</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ განსაზღვრა კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც კონკრეტული საკითხი ჩაითვლება ფუნდამენტურად, ხოლო მისი დელეგირება – დაუშვებლად. კერძოდ, საკითხის ფუნდამენტურობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად წარმოადგენს ის მაღალი პოლიტიკური ან საზოგადოებრივი ინტერესის საგანს.<sup>1203</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მნიშვნელოვანი და პრინციპული პოლიტიკურ-სამართლებრივი გადაწყვეტილება არის არადელეგირე-

<sup>1200</sup> იქვე, II-82.

<sup>1201</sup> იქვე.

<sup>1202</sup> N1/4/757 გადაწყვეტილება, II-20.

<sup>1203</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის N2/5/700 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, „შპს კასტელ ჯორჯია“ და „სს წყალი მარგებელი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ, II-12–17.

ბადი, მისი იმპლემენტაციისათვის საჭირო ტექნიკური დეტალების მონესრიგება კი – დელეგირებადი.<sup>1204</sup>

ძირითადი უფლებების სფეროში დელეგირებადი და არადელეგირებადი საკითხების გამიჯვნა მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მიხედვით გაკრიტიკებულია სამეცნიერო ლიტერატურაში.<sup>1205</sup> ამ კრიტერიუმზე დაყრდნობა ყურადღების მიღმა ტოვებს მთავარ გარემოებას – დელეგირებული საკითხის მნიშვნელობას პირის სუბიექტურ-სამართლებრივი პოზიციისათვის. აქედან გამომდინარე, ძირითადი უფლებების სფეროში მთავარია ის, თუ რამდენად არსებითია დელეგირებული საკითხი მათი რეალიზაციისათვის და არა ის, თუ რა პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ამ საკითხს.<sup>1206</sup> ძირითადი უფლებების განხორციელებისათვის არსებითი არის მათი შეზღუდვის შინაარსის, საგნის, მიზნისა და ზომის დადგენა კანონმდებლის მიერ, რაზეც უკვე გავამახვილეთ ყურადღება. ამ საკითხებზე ორიენტაცია აძლევს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობას, რომ შეფასება გააკეთოს საკონსტიტუციოსამართლებრივი მასშტაბების საფუძველზე. ამისგან განსხვავებით, საკითხის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობაზე მსჯელობას ახლავს არასამართლებრივი კრიტერიუმების გამოყენებისა და სუბიექტური თვითნებობის საფრთხე.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის **N1/1/1505,1515,1516,1529** გადაწყვეტილებამ საქმეზე „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინა-

<sup>1204</sup> დაწვრილებით იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს **N1/7/1275** გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II-21-54.

<sup>1205</sup> დაწვრილებით იხ.: ლოლაძე, დელეგირების სტანდარტები, 109 (120–121).

<sup>1206</sup> მაგალითად იხ.: BVerfGE 98, 218 (251).

აღმდეგ “ დაადასტურა ზემოხსენებული საფრთხის რეალურობა. ამ საქმეში, სხვა საკითხებთან ერთად, დავა მიმდინარეობდა COVID-19-ის პერიოდში მიღებულ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონის იმ ნორმებთან დაკავშირებით, რომლებიც იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დადგენის უფლებამოსილებას გადასცემდა მთავრობას ან მთავრობის მიერ განსაზღვრულ სამინისტროს. ეს ფაქტობრივად წარმოადგენდა რიგი ძირითადი უფლებების შეზღუდვის ნორმატიული მოწესრიგების ტოტალურ დელეგირებას აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, რაც ეწინააღმდეგებოდა ძალაუფლების გამიჯვნის, განსაზღვრულობისა და კანონის დათქმის პრინციპებს. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ არ დაადგინა კონსტიტუციის დარღვევა.<sup>1207</sup>

არსებითობის თეორის ქართული ვარიანტის საკონსტიტუციო საფუძველი არ იკვეთება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან. ჩვენი აზრით, ამ საფუძველს ქმნის სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის პრინციპები, ასევე კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვითაც პარლამენტი განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. 36-ე მუხლის პირველი პუნქტი არის კანონის ზოგადი დათქმა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის იმ ძირითადი საკითხებისათვის, რომელთა ნორმატიული რეგულირებაც შესაძლებელია. აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა მოქმედებდეს იმ საკანონმდებლო გადაწყვეტილებების ფარგლებში, რომლებიც მიღებულია საშინაო და საგარეო პოლიტიკის არსებით საკითხებთან დაკავშირებით. მას აქვს ამ ფარგლებში თავისუფალი მოქმედების სფერო. აქედან გამომდინარე, კანონის ზოგადი დათქმა არ არის აბსოლუტური და ტოტალური ხასიათის.<sup>1208</sup>

<sup>1207</sup> ვრცელი კრიტიკული ანალიზი იხ.: ლოლაძე, დელეგირების სტანდარტები, 109 (121–135).

<sup>1208</sup> შეადარე: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 400 f.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი ნორმების ანალიზიდან ირკვევა, რომ არსებობს ერთგვარი *შუალედური სფერო* საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს შორის. ამ სფეროს საზღვრებს ქმნის, ერთი მხრივ, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც სავალდებულო საკანონმდებლო რეგულირებას ექვემდებარება, ხოლო, მეორე მხრივ, – აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთათვის კონსტიტუციით უშუალოდ განსაზღვრული უფლებამოსილებები. მაგალითად, პარლამენტი ვერ მიითვისებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელების ფუნქციას, რადგანაც ეს მთავრობის ექსკლუზიური ამოცანაა.<sup>1209</sup> მაშასადამე, შუალედურ სფეროს მიეკუთვნება საკითხები, რომლებიც არც საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია და არც აღმასრულებელი ხელისუფლების ექსკლუზიური უფლებამოსილებები. უპირატესობა პარლამენტს უნდა მიენიჭოს, შუალედური სფეროს საკითხების ნორმატიული მონესრიგების კუთხით, რადგანაც საკანონმდებლო ორგანოს აქვს უშუალო დემოკრატიული ლეგიტიმაცია, ხოლო საკანონმდებლო პროცესს – ღია ხასიათი. აღმასრულებელ ხელისუფლებას მხოლოდ მაშინ უნდა შეეძლოს შუალედური სფეროს საკითხების მონესრიგება, როდესაც პარლამენტი ამ უფლებამოსილებას არ ახორციელებს.<sup>1210</sup>

*კანონის სპეციალური დათქმები* გვხვდება ძირითადი უფლებების, ორგანიზაციულ-ინსტიტუციურ, საფინანსო-საბიუჯეტო ან საგარეო პოლიტიკის სფეროებში.<sup>1211</sup> საქართველოს კონსტიტუციაში მოცემული კანონის სპეციალური დათქმები შეიძლება დავაჯგუფოთ ასევე იმის მიხედვით, თუ რა სახის საკანონმდებლო აქტით

<sup>1209</sup> საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>1210</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 401.

<sup>1211</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Verfassungsgrundsätze), Rn. 92 ff.; Ossenbühl, Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, 183 (201).

უნდა მოწესრიგდეს შესაბამისი საკითხი.<sup>1212</sup> ეს კლასიფიკაცია არის მნიშვნელოვანი, რადგანაც სხვადასხვა საკანონმდებლო აქტები განლაგებულია ნორმატიული აქტების იერარქიის განსხვავებულ საფეხურზე და ერთმანეთისაგან განსხვავდება იურიდიული ძალით. რაც უფრო არსებითი და მნიშვნელოვანია საკითხი, მით უფრო მაღალი დონის კანონითა არის გათვალისწინებული მისი მოწესრიგება. კონსტიტუცია, ამ თვალსაზრისით, გვთავაზობს კანონის სპეციალური დათქმის სამ სახეს: (1) *კონსტიტუციური კანონის სპეციალური დათქმა* – მაგალითად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებები და მათი განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონებით;<sup>1213</sup> 2) *ორგანული კანონის სპეციალური დათქმა* – მაგალითად, უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე და სხვა შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით;<sup>1214</sup> 3) *ჩვეულებრივი კანონის სპეციალური დათქმა* – მაგალითად, არავინ არის ვალდებული მისცეს იმ ახლოებელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრე განისაზღვრება კანონით.<sup>1215</sup>

კანონის სპეციალური დათქმები ძალიან ხშირად გვხვდება *ძირითადი უფლებების სფეროში*. მაგალითად, საკუთრების უფლების შეზღუდვა დასაშვებია „კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით“.<sup>1216</sup> ზოგიერთი ავტორი მკვეთრად გამოყოფს კანონის დათქმებს ძირითადი უფლებების სფეროში კანონის სხვა დათქმებისაგან. მათი აზრით, ძირითად უფლებებთან დაკავშირებული კანონის დათქმები, გამონაკლისის სახით, აძლევს ნებართვას საკანონმდებლო ხელისუფლებას, განახორციელოს მოქმედება, რომელიც, როგორც წესი, აკრძალულია. ამისგან განსხვავე-

<sup>1212</sup> დანვრილებით იხ.: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 401 f.

<sup>1213</sup> მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>1214</sup> 26-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-3 წინადადება.

<sup>1215</sup> 31-ე მუხლის მე-11 პუნქტი.

<sup>1216</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი.

ბით, „ჩვეულებრივი“ კანონის დათქმა გულისხმობს გამონაკლისის გარეშე აკრძალვას აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის, რომ იმოქმედოს საკანონმდებლო საფუძვლის გარეშე.<sup>1217</sup> ამგვარ გამოიყენება არ ეთანხმება ავტორთა უმრავლესობა. პირველ რიგში, ძირითადი უფლებების სფეროში კანონის დათქმები, სხვა სპეციალური დათქმების მსგავსად, უკრძალავს აღმასრულებელ ხელისუფლებას უფლებათა შეზღუდვას საკანონმდებლო საფუძვლის გარეშე.<sup>1218</sup> გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ ისტორიული თვალსაზრისით, კანონის დათქმის თავდაპირველი მიზანი იყო სწორედ თავისუფლებისა და საკუთრების დაცვა.<sup>1219</sup>

კონსტიტუცია *ორგანიზაციულ-ინსტიტუციური დათქმით* ადგენს, რომ ამა თუ იმ ინსტიტუციის ორგანიზებასთან და საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები უნდა მოწესრიგდეს კანონით. მაგალითად, საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილება, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.<sup>1220</sup>

*საფინანსო-საბიუჯეტო დათქმა* დაფუძნებულია ხანგრძლივ საკონსტიტუციოსამართლებრივ ტრადიციაზე.<sup>1221</sup> ის მოითხოვს საფინანსო-საბიუჯეტო სფეროს არსებითი საკითხების სავალდებულო საკანონმდებლო მოწესრიგებას. მაგალითად, პარლამენტის ყოველწლიურად იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს.<sup>1222</sup>

<sup>1217</sup> შეადარე მაგ.: Grzeszick, GG, Art. 20 (Verfassungsgrundsätze), Rn. 98; Sachs, GG, Art. 20, Rn. 113.

<sup>1218</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 2010.

<sup>1219</sup> Hofmann, GG, Art. 20, Rn. 70; Hömig, Wesentlichkeitslehre, 273 (274); Kunig, Rechtsstaatsprinzip, 318; Lerche, Vorbehalt des Gesetzes und Wesentlichkeitstheorie, 301 (312); Ossenbühl, Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, 183 (191 ff.); Robbers, BK, Art. 20, Rn. 2001, 2010; Zippelius, Deutsches Staatsrecht, 115.

<sup>1220</sup> 68-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

<sup>1221</sup> Ossenbühl, Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, 183 (201).

<sup>1222</sup> საქართველოს კონსტიტუციის 66-ე მუხლის პირველი პუნქტი.

მხოლოდ კანონით განისაზღვრება ასევე გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურა, განაკვეთები ან განაკვეთების ფარგლები, შემოღებისა და გადახდის წესი, საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოები.<sup>1223</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქმე, როდესაც კანონი ადგენდა გადასახადის სახეობას, ხოლო მთავრობის დადგენილება განსაზღვრავდა მის განაკვეთსა და ადმინისტრირების წესს. სასამართლომ მიუთითა ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის დარღვევაზე.<sup>1224</sup>

კანონის საგარეო-პოლიტიკური დათქმები გვხვდება იმ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში, რომლებშიც პარლამენტი საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციას ახდენს კანონით. ამგვარი დათქმები არ გვხვდება საქართველოს კონსტიტუციაში, რადგანაც პარლამენტი ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებას დადგენილებით და არა საკანონმდებლო აქტით.<sup>1225</sup> აქედან გამომდინარე, საგარეო-პოლიტიკურ სფეროში შეიძლება ვისაუბროთ უფრო პარლამენტის დათქმაზე,<sup>1226</sup> თან მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელთა რატიფიცირება, დენონსირება და გაუქმება პარლამენტის პრეროგატივაა.

### **3.4. მართლმსაჯულების კანონიერება**

სასამართლო ხელისუფლების მდგომარეობას აქვს ორმაგი ბუნება კანონით შეზღუდვის კონტექსტში. სასამართლო, განსაკუთრებით – ადმინისტრაციული მართლმსაჯულება, ერთი მხრივ, არის

<sup>1223</sup> საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 და მე-3 წინადადებები.

<sup>1224</sup> N1/3–21 გადაწყვეტილება.

<sup>1225</sup> „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>1226</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 403.

ამ პრინციპის განხორციელების ინსტიტუციური გარანტია.<sup>1227</sup> ის, მეორე მხრივ, თავად ექვემდებარება კანონით შეზღუდვას. სასამართლო კონტროლი ხორციელდება მხოლოდ კანონის ფარგლებში.<sup>1228</sup>

კანონით შეზღუდვა აკისრებს სასამართლოს ნეგატიურ და პოზიტიურ ვალდებულებებს. *ნეგატიური ვალდებულება* გულისხმობს თავის შეკავებას კანონსაწინააღმდეგო გადანყვეტილებებისა და მოქმედებებისაგან, ხოლო *პოზიტიური ვალდებულება* – კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას, ე. ი. მოქმედების განხორციელებას.<sup>1229</sup>

სასამართლოს კანონით შეზღუდვა, პირველ რიგში, ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერ სასამართლო გადანყვეტილებას სჭირდება საკანონმდებლო საფუძველი.<sup>1230</sup> საფუძვლის ფორმალური მითითება საკმარისი არ არის, აუცილებელია მისი გამოყენების დასაბუთება.<sup>1231</sup> სასამართლო გადანყვეტილების შინაარსი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონის მოთხოვნებს. სასამართლოს კანონით შეზღუდვა არ გულისხმობს, რომ მას შეუძლია სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების იგნორირება. მან უნდა გამოიყენოს შესაბამისი ნორმა<sup>1232</sup> და ამასთან, გაითვალისწინოს იერარქია როგორც კანონებს, ასევე მათსა და სხვა ნორმატიულ აქტებს შორის.<sup>1233</sup>

<sup>1227</sup> ლოლაძე, სასამართლოს შეზღუდვა, 522 (523–524); Badura, Staatsrecht, 380.

<sup>1228</sup> Hoffmann-Riem, Gesetz und Gesetzesvorbehalt, 5 (42).

<sup>1229</sup> შეად.: ლოლაძე, სასამართლოს შეზღუდვა, 522 (523); Detterbeck, Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, 235 (235); Grzeszick, GG, Art. 20 (Verfassungsgrundsätze), Rn. 145; Hofmann, GG, Art. 20, Rn. 70; Ossenbühl, Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, 183 (185 ff.); Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 105.

<sup>1230</sup> Heyde, Rechtsprechung, 1579 (1627); Sachs, GG, Art. 20, Rn. 119; BVerfGE 69, 315 (371 f.).

<sup>1231</sup> ლოლაძე, სასამართლოს შეზღუდვა, 522 (524).

<sup>1232</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Verfassungsgrundsätze), Rn. 146; Sachs, GG, Art. 20, Rn. 119; BVerfGE 96, 375 (394).

<sup>1233</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 404.

მართლმსაჯულების კანონიერება საზღვრებში აქცევს სამოსამართლო სამართალს.<sup>1234</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოების მხრიდან თვითნებობის საფრთხე მიიღებდა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის საშიშ მასშტაბებს. ამასთან, კანონით შეზღუდვა არ გამოორიციხავს მოსამართლეთა მიერ სამართლის განვითარებას.<sup>1235</sup> ამის გარეშე სამოსამართლო საქმიანობა დაკარგავდა ეფექტიანობას და მოქნილობას ზოგჯერ იმდენადაც, რომ ვერ შეძლებდა სამართლებრივი დავის გადაწყვეტასაც კი. აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ სამართლის განვითარება განიხილება მოსამართლის არა მარტო უფლებამოსილებად, არამედ ამოცანადაც.<sup>1236</sup> ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევებს შეეხება, როდესაც ვაკუუმი არსებობს მოქმედ კანონმდებლობაში.<sup>1237</sup> სამოსამართლო სამართლის განვითარებაზე გავლენას ახდენს ასევე ისეთი ფაქტორები, როგორიცაა საზოგადოებრივი ურთიერთობების დინამიური ცვლელადობა, ამ დინამიკაზე კანონმდებლის რეაგირების შეზღუდული შესაძლებლობები, ასევე მრავალი ნორმის ზოგადი და ღია ფორმულირება.<sup>1238</sup>

მოსამართლე უნდა დარჩეს მართლმსაჯულების განხორციელების ფარგლებში სამართლის განვითარებისას. მან არ უნდა დაივინყოს, რომ სამართალშემოქმედება არ არის სამოსამართლო ფუნქცია.<sup>1239</sup> დაუშვებელია სამოსამართლო სამართლის განვითარება *contra legem*, ე. ი. ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რო-

<sup>1234</sup> Badura, Staatsrecht, 386; Grzeszick, GG, Art. 20 (Verfassungsgrundsätze), Rn. 148; Hermes, Verfassungsrecht und einfaches Recht, 119 (152); BVerfGE 69, 315 (371 f.).

<sup>1235</sup> Hofmann, GG, Art. 20, Rn. 92; Jarass, GG, Art. 20, Rn. 42; Robbers, BK, Art. 20, Rn. 2021; Sachs, GG, Art. 20, Rn. 120.

<sup>1236</sup> Heyde, Rechtsprechung, 1579 (1629).

<sup>1237</sup> BVerfGE 69, 315 (371); 98, 49 (59 f.); 108, 150 (160).

<sup>1238</sup> შეადარე: BVerfGE 96, 375 (394).

<sup>1239</sup> მაგ.: Heyde, Rechtsprechung, 1579 (1630); Sommermann, GG, Art. 20, Rn. 286.

მელიც ეწინააღმდეგება კანონის მკაფიო მოთხოვნას.<sup>1240</sup> ეს უკვე იქნებოდა მართლმსაჯულების კანონიერების პრინციპის იგნორირება. სასამართლომ კანონს არ უნდა დაუკარგოს არსი და მიზანი.<sup>1241</sup> მან ასევე არ უნდა შეცვალოს კანონის კონცეფცია.<sup>1242</sup> კანონმდებლის ცალსახად გამოსატული ნების კორექტირება დაუშვებელია, თუ შეცვლილი ურთიერთობები არ მოითხოვს ნორმის ახლებურად მისადაგებას.<sup>1243</sup> სამოსამართლო სამართლის განვითარების ფარგლები ვინროვდება, როდესაც საქმე შეეხება პირის სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებას,<sup>1244</sup> განსაკუთრებით – ძირითადი უფლებების შეზღუდვას.<sup>1245</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო მოითხოვს ბალანსის დაცვას სამოსამართლო სამართლის განვითარებისას. ერთი მხრივ, საერთო სასამართლოები აზუსტებენ და ავითარებენ ზოგადი შინაარსის საკანონმდებლო ნორმებს კონკრეტული საქმეების გადაწყვეტისას. მეორე მხრივ, ისინი შებოჭილნი არიან კონსტიტუციითა და კანონით. საერთო სასამართლომ არ უნდა დაუშვას კონსტიტუციური უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა და „მხედველობაში მიიღოს სამართლებრივი შედეგი, რომელიც საკანონმდებლო ნორმების გამოყენებამ, ინტერპრეტირებამ შეიძლება მოახდინოს კონსტიტუციურ უფლებაზე“.<sup>1246</sup>

---

<sup>1240</sup> მაგ.: Grzeszick, GG, Art. 20 (Verfassungsgrundsätze), Rn. 148; Heyde, Rechtsprechung, 1579 (1631); Hofmann, GG, Art. 20, Rn. 96.

<sup>1241</sup> BVerfGE 96, 375 (394).

<sup>1242</sup> BVerfGE 128, 193 (211).

<sup>1243</sup> BVerfGE 122, 248 (283, 298).

<sup>1244</sup> BVerfGE 69, 315 (371 f.); 122, 248 (286).

<sup>1245</sup> BVerfGE 63, 266 (289).

<sup>1246</sup> N1/5/675, 681 გადაწყვეტილება, II-7.

## თავი XII. სასამართლო დასვა

### 1. სასამართლო დაცვის არსი და მნიშვნელობა

თეორიასა და პრაქტიკაში გაბატონებული შეხედულების მიხედვით, სასამართლო დაცვა არის სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ერთ-ერთი ფუძემდებლური ელემენტი.<sup>1247</sup> ინდივიდუალური სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა კანონების სახელმწიფოს გადააქცევს ნამდვილ სამართლებრივ სახელმწიფოდ.<sup>1248</sup> სამართლებრივ სახელმწიფოს, რომლისთვისაც სამართალი და სამართლიანობა მთავარი ფასეულობებია, უნდა გააჩნდეს ინსტიტუტები, რომლებიც მათ დაცვას უზრუნველყოფს.<sup>1249</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო ხაზს უსვამს სასამართლო დაცვაზე უფლების ფუნდამენტურ მნიშვნელობას დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოსათვის<sup>1250</sup> და მის მჭიდრო კავშირს

<sup>1247</sup> Bachof, Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates, 201 (249 f.); Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 133; Hofmann, GG, Art. 20, Rn. 60; Hartmut Maurer: Rechtsstaatliches Prozessrecht, in: Badura, Peter/Dreier, Horst (Hrsg.): Festschrift 50 Jahre Bundesverfassungsgericht, Zweiter Band – Klärung und Fortbildung des Verfassungsrechts, Tübingen 2001, 467 (469); Papier H.-J., Justizgewähranspruch, in: Isensee, Josef/Kirchhof, Paul (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band VIII, Grundrechte: Wirtschaft, Verfahren, Gleichheit, Dritte, völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, Heidelberg 2010, § 170, 491 (495); Schenke W.-R., Justizgewähr und Grundrechtsschutz, in: Merten, Detlef/Papier, Hans-Jürgen (Hrsg.): Handbuch der Grundrechte in Deutschland und Europa, Band III – Grundrechte in Deutschland: Allgemeine Lehren II, Heidelberg 2009, § 78, 923 (924); Schmidt-Aßmann, Rechtsstaat, 541 (579 ff.); Schmidt-Jortzig E., Effektiver Rechtsschutz als Kernstück des Rechtsstaatsprinzips nach dem Grundgesetz, in: Neue Juristische Wochenschrift, 40 (1994), 2569 (2571); Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 211; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 188 ff.; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 322; Stern, Staatsrecht I, 838 ff.; BVerfGE 93, 99 (107); 101, 275 (294 f.); 107, 395 (401); 108, 341 (347).

<sup>1248</sup> Gärditz, GG, Art. 20, Rn. 10.

<sup>1249</sup> Schmidt-Jortzig, Effektiver Rechtsschutz, 2569 (2571).

<sup>1250</sup> N3/1/531 გადაწყვეტილება, II-1.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან.<sup>1251</sup> სასამართლო ამ უფლებას განიხილავს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპისა და მისი ელემენტების მნიშვნელოვან კონსტიტუციურ-რსამართლებრივ გარანტიას. სასამართლო დაცვის საშუალება თუ არ არსებობს, სამართლის მეშვეობით სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერ შეზღუდვას აზრი ეკარგება.<sup>1252</sup>

ფუნდამენტური უფლებების ნებისმიერ აღიარებას აღარ აქვს მნიშვნელობა, თუ პირს არ შეუძლია მათი ეფექტიანად დაცვა სამართლიან გარემოში. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო თავს გაითავისუფლებს ძირითადი უფლებების მბოჭავი ძალისაგან და ისარგებლებს სრული თავისუფლებით მათი შეზღუდვისას. მის კეთილ ნებაზე გახდება დამოკიდებული, რამდენად იქნება უზრუნველყოფილი ინდივიდუალური თავისუფლება. ეს ქმნის ძირითადი უფლებების გამოფიტულ დეკლარაციებად დეგრადირების საფრთხეს. სასამართლო დაცვა ამიტომაც მიეკუთვნება, გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ელემენტებს.<sup>1253</sup>

სასამართლო უნდა იყოს ინდივიდისათვის სამართლიანობის უკანასკნელი და საიმედო თავშესაფარი, როდესაც სხვა სახელმწიფო ორგანოები თვითნებურად მოქმედებენ. თუ ეს ზღუდეც ჩამოიშალა, პირი მოხვდება ჩიხურ სიტუაციაში. ამგვარ სიტუაციაში ყოფნა ხშირად აიძულებს მას, რომ გავიდეს სამართლებრივი

<sup>1251</sup> N1/2/503, 513 გადაწყვეტილება, II-47.

<sup>1252</sup> N1/3/421, 422 გადაწყვეტილება, II-1.

<sup>1253</sup> მაგ.: Bachof, Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates, 201 (202); Benda, Der soziale Rechtsstaat, 719 (720); Fechner, Freiheit und Zwang, 73 (75); Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 28; Hofmann, GG, Art. 20, Rn. 58; Huber, Rechtsstaat und Sozialstaat, 589 (593); Karpen, Die geschichtliche Entwicklung, 108; Kloepfer, Verfassungsrecht I, 302; Robbers, BK, Art. 20, Rn. 1806; Sachs, GG, Art. 20, Rn. 77 f.; Schachtschneider, Prinzipien, 17; Schmidt-Aßmann, Rechtsstaat, 541 (544); Schnapp, GG, Art. 20, Rn. 27; Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 39; Sommermann, GG, Art. 20, Rn. 239; Stern, Rechtsstaat, 8; Stern, Staatsrecht I, 784.

სივრციდან, ეძიოს თავისი უფლებებისა და ინტერესების დაცვის ალტერნატიული საშუალება. ეს საშუალება, როგორც წესი, არალეგალურია. ცხადია, ამით საფრთხე ექმნება სამართლებრივ და პოლიტიკურ სტაბილურობას. აქედან გამომდინარე, დამოუკიდებელი და ქმედითი სასამართლო სისტემა არის ამ სტაბილურობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი.<sup>1254</sup>

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ძირითადი ნაწილი, როგორც ლამაზი დეკლარაცია, ქალაღზე დარჩებოდა ეფექტიანი და დამოუკიდებელი სასამართლო დაცვის უზრუნველყოფის გარეშე. ამ კონტექსტში, დღეისთვისაც აქტუალურია ოტტო ბერის შემდეგი სიტყვები: „იმისათვის, რომ სამართალი სინამდვილედ გადაიქცეს, არ არის საკმარისი საჯარო სამართლის კანონებით განსაზღვრა, არამედ უნდა არსებობდეს მართლმსაჯულება, რომელიც დაადგენს სამართალს კონკრეტული შემთხვევისათვის და ამით შეუქმნის არაორაზროვან საფუძველს სამართლის აღდგენას იქ, სადაც ის დარღვეულია.“<sup>1255</sup>

## **2. საქართველოში სასამართლო დაცვის მოკლე ისტორიული მიმოხილვა**

პირველ რიგში, ყურადღებას გავამახვილებთ სააჯო კარზე, რომელიც წარმოადგენდა ზოგადად სასამართლო დაცვის, ხოლო განსაკუთრებით კი – სახელმწიფოსა და მისი წარმომადგენლებისაგან ინდივიდის დაცვის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუციას. ეს იყო კოლეგიური ორგანო, რომელსაც მე-12 საუკუნიდან მნიშვნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ხელმძღვანელობდა. სააჯო კარის კომპეტენცია ვრცელდებოდა უმნიშვნელოვანეს საქმეებზე როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის სფეროში. ის

<sup>1254</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 407.

<sup>1255</sup> Bähr, Der Rechtsstaat, 192.

ასევე ასრულებდა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოს ფუნქციებს. სამართლებრივსახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, აუცილებლად მოსახსენებელია ის ფაქტი, რომ მოსარჩელეთა წრე არ იყო შეზღუდული. ყველას შეეძლო ეჩვილა ფეოდალის ან სახელმწიფო მოხელისათვის.<sup>1256</sup> შედარებისათვის, საღვთო რომის იმპერიის იმპერატორის კარზე სასამართლოზე ხელმისაწვდომობა გაცილებით გვიან, 1356 წელს, უზრუნველყო *ოქროს ბულამ*, რაც შეფასებული არის სამართლებრივი სახელმწიფოს ფესვებად შუა საუკუნეებში.<sup>1257</sup>

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია ითვალისწინებდა სასამართლო დაცვის მექანიზმებს სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა უფლებების შეზღუდვისას. პირის დასჯა შეიძებოდა მხოლოდ სასამართლო წესით.<sup>1258</sup> პიროვნების შეპყრობა ან თავისუფლების სხვაგვარი აღკვეთა, ასევე გაჩხრეკა შესაძლებელი იყო სასამართლოს ან საგამოძიებო ორგანოს დასაბუთებული ბრძანებით.<sup>1259</sup> შეპყრობილი, ანუ დაკავებული პირი უნდა წარედგინათ სასამართლოსათვის.<sup>1260</sup> სასამართლო ორგანოებს ჰქონდათ ვალდებულება, თუ მიიღებდნენ ინფორმაციას წესის დარღვევით პირის შეპყრობაზე, დაუყოვნებლივ გამოეძიათ საქმე და გადაეწყვიტათ განთავსუფლების ან შეპყრობის გაგრძელების საკითხი.<sup>1261</sup> ბინის გაჩხრეკა შესაძლებელი იყო მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.<sup>1262</sup> კერძო მინერ-მოწერის ამოხმა, ანუ ამოღება და გადასინ-

<sup>1256</sup> ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია. წიგნი მეორე. ნაკვეთი პირველი, თბილისი 1928, 131–132, 136–137; ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია. წიგნი მეორე. ნაკვეთი მეორე, თბილისი 1929, 477–478, 46–47.

<sup>1257</sup> Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 11.

<sup>1258</sup> მე-20 მუხლი.

<sup>1259</sup> 22-ე მუხლი.

<sup>1260</sup> 25-ე და 26-ე მუხლები.

<sup>1261</sup> 27-ე მუხლი.

<sup>1262</sup> 28-ე მუხლი.

ჯვა შესაძლებელი იყო მხოლოდ სასამართლოს წარდგინებით.<sup>1263</sup> მხოლოდ სასამართლოს გადანყვეტილებით შეიძლებოდა მიმოსვლისა და ბინადრობის არჩევის თავისუფლების შეზღუდვა.<sup>1264</sup> პირი პასუხს აგებდა მხოლოდ სასამართლოს წინაშე გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციისას ჩადენილი ყოველი დანაშაულისათვის.<sup>1265</sup> მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით იყო შესაძლებელი საპროფესიო და სხვაგვარი კავშირის გაუქმება.<sup>1266</sup>

1921 წლის კონსტიტუცია ითვალისწინებდა სასამართლო დამოუკიდებლობის გარანტიებს. სასამართლო იყო დამოუკიდებელი და ემორჩილებოდა მხოლოდ კანონს.<sup>1267</sup> არ შეიძლებოდა სასამართლოს განაჩენის გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება კანონმდებელი, აღმასრულებელი ან ადმინისტრაციული ორგანოების მიერ.<sup>1268</sup> განმტკიცებული იყო მოსამართლის შეუცვლელიობისა<sup>1269</sup> და სასამართლო სხდომის საჯაროობის პრინციპებიც.<sup>1270</sup>

ადამიანი ფაქტობრივად სრულიად დაუცველი იყო სახელმწიფოს წინაშე საბჭოთა რეჟიმის პირობებში. აცდენა სამართალსა და რეალობას შორის აძლევდა დიდ სივრცეს კომუნისტურ თვითნებობას. მაგალითად, 1936 წლის 5 დეკემბრის ე. წ. „სტალინური კონსტიტუციის“ მე-9 თავი სასამართლოსა და პროკურატურას ეძღვნებოდა. ამ თავის 112-ე მუხლში საზეიმოდ იყო დეკლარირებული, რომ ყველა მოსამართლე დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ექვემდებარება. 111-ე მუხლი ითვალისწინებდა სასამართლო პროცესის საჯაროობას და სასამართლო დაცვის

---

<sup>1263</sup> 29-ე მუხლი.

<sup>1264</sup> 30-ე მუხლი.

<sup>1265</sup> 32-ე მუხლი.

<sup>1266</sup> 35-ე მუხლი.

<sup>1267</sup> 78-ე მუხლი.

<sup>1268</sup> 79-ე მუხლი.

<sup>1269</sup> 83-ე მუხლი.

<sup>1270</sup> მე-80 მუხლი.

უზრუნველყოფას. 127-ე მუხლით გარანტირებული იყო პიროვნების ხელშეუხებლობა. 106-ე – 109-ე მუხლების თანახმად, მოსამართლეები და მსაჯულები აირჩეოდნენ საბჭოების ან პირდაპირ მოქალაქეთა მიერ (რაიონულ და საქალაქო სასამართლოებში).<sup>1271</sup> ამ ფორმალურ გარანტიებს ჰქონდა ცინიკური ხასიათი, რადგანაც 1937 წლის სასტიკი რეპრესიები მალევე დაიწყო და ყველასათვის ცხადი გახდა, თუ როგორი „დამოუკიდებელი“ იყო სინამდვილეში საბჭოთა სასამართლო და რამდენად შეეძლო ადამიანს „თავი დაეცვა“ მისი საშუალებით.<sup>1272</sup>

1978 წელს მიღებულმა საბჭოთა კონსტიტუციამ, რომელმაც გარკვეული პოზიტიური ცვლილებები განიცადა, განაგრძო მოქმედება 1990 წლის ოქტომბრის არჩევნებში ევროვნული ძალების გამარჯვების შემდეგაც. ამ კონსტიტუციის ერთ-ერთ უმძიმეს ნაკლს წარმოადგენდა ის, რომ არასაკმარისად იყო უზრუნველყოფილი სასამართლოს დამოუკიდებლობა, მიუხედავად კონსტიტუციის გადასინჯვისა. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები და მსაჯულები ანგარიშვალდებულნი და პასუხისმგებელნი იყვნენ ამრჩევი ორგანოებისა და ამომრჩევლების წინაშე. შესაძლებელი იყო მათი განწვევა.<sup>1273</sup>

კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საერთოდ არ შეიცავდა ნორმებს ძირითადი უფლებებისა და სასამართლოს შესახებ. ამისგან განსხვავებით, სასამართლო დაცვასთან დაკავშირებული ნორმები აისახა 1995 წლის კონსტიტუციაში. ისინი შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ:<sup>1274</sup> (1) *ძირითადი საპროცესო უფლე-*

<sup>1271</sup> მსგავსი რეგულირებები ძალაში დარჩა სსრკ-ს დაღამდე, მაგალითად: სსრკ-ს 1977 წლის კონსტიტუციის 152-ე, 155-ე, 157-ე, 158-ე და 159-ე მუხლები.

<sup>1272</sup> შეადარე: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 27.

<sup>1273</sup> საქართველოს რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციის 164-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

<sup>1274</sup> დაწვრილებით იხ.: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 56 f.

ბების დამდგენი ნორმები – მაგალითად, საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება<sup>1275</sup> და (2) ხელმისაწვდომი, დამოუკიდებელი და ქმედითი სასამართლო დაცვის სისტემის უზრუნველყოფი ნორმები – მაგალითად, მოსამართლის დამოუკიდებლობა და დამორჩილება მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონისადმი.<sup>1276</sup>

### 3. სასამართლოსათვის მიმართვის უფლება

სასამართლო დაცვის უფლების რეალიზება შეუძლებელია სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე. კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება განამტკიცებს სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას – „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.“ ეს უფლება ითვლება სხვა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აუცილებელ გარანტიად,<sup>1277</sup> რომელსაც ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის.<sup>1278</sup> სასამართლოსათვის მიმართვის უფლების გარეშე ნებისმიერი უფლება იქნებოდა თეორიული და ფიქციური,<sup>1279</sup> დადგებოდა კითხვის ქვეშ<sup>1280</sup> და იარსე-

<sup>1275</sup> 31-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება.

<sup>1276</sup> 63-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება.

<sup>1277</sup> მაგ.: ხეცურიანი, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში, 51 (52); საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის N2/5/309, 310, 311 გადაწყვეტილება საქმეზე „1) მოქალაქეები: ლილი თელია, არჩილ მეფარიძე და გურამ თოხაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2) მოქალაქე სერგო გოგიტიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 3) მოქალაქე როსტომ ბოლქვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 4; N1/2/384 გადაწყვეტილება, II-24.

<sup>1278</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის N3/1/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-56.

<sup>1279</sup> N1/3/421, 422 გადაწყვეტილება, II-1.

<sup>1280</sup> N1/2/503, 513 გადაწყვეტილება, II-47.

ბებდა მისი უფლებებლყოფის საშიშროება.<sup>1281</sup> ეს უფლება აკისრებს სასამართლო ხელისუფლებას თვითნებობისაგან დაცვის ინსტიტუტის ფუნქციას.<sup>1282</sup>

სასამართლოსათვის მიმართვის უფლება ხელს უწყობს პირს მისი თავისუფლების ამა თუ იმ სეგმენტის დაცვაში. მას აქვს დამხმარე ხასიათი და ითვლება ინსტრუმენტულ უფლებად, საპროცესო გარანტიად,<sup>1283</sup> სამართლებრივ ბერკეტად დარღვეული უფლების დასაცავად ან უფლების დარღვევის პრევენციისათვის.<sup>1284</sup> კონკრეტული დასაცავი უფლების არსებობა წარმოადგენს სასამართლოსათვის მიმართვის უფლების განხორციელების წინაპირობას.<sup>1285</sup> დასაცავ უფლებაში იგულისხმება არა მხოლოდ ძირითადი უფლებები, არამეს ის უფლებებიც, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციით.<sup>1286</sup>

სამართლებრივი სახელმწიფოს კონტექსტში, განსაკუთრებით გამოჰყოფენ საჯარო ხელისუფლების წინააღმდეგ სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას. მას განიხილავენ, როგორც

---

<sup>1281</sup> N1/466 გადაწყვეტილება, II-14.

<sup>1282</sup> N2/4/532, 533 გადაწყვეტილება, II-144.

<sup>1283</sup> N2/4/532, 533 გადაწყვეტილება, II-142; N3/5/768, 769, 790, 792 გადაწყვეტილება, II-61; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 თებერვლის N1/3/638 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლევან ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

<sup>1284</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

<sup>1285</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს N1/2/434 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1; N1/3/421, 422 გადაწყვეტილება, II-2; N1/466 გადაწყვეტილება, II-16; N2/4/532, 533 გადაწყვეტილება, II-58. შეადარე ასევე: Maurer, *Rechtsstaatliches Prozessrecht*, 467 (474); Schmidt-Aßmann E., *Art. 19 VI GG als Teil des Rechtsstaatsprinzips*, in: *Neue Zeitschrift für Verwaltungsrecht*, 1 (1983), 1 (3).

<sup>1286</sup> მაგ.: Maurer, *Rechtsstaatliches Prozessrecht*, 467 (484); Schenke, *Justizgewähr*, 947; BVerfGE 78, 214 (226); 83, 182 (195).

სამართლებრივსახელმწიფოებრივი პროცესისა და საერთოდ, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ცენტრალურ მოთხოვნას<sup>1287</sup> და ამ პრინციპის რეალიზაციის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს.<sup>1288</sup> საჯარო ხელისუფლების წინააღმდეგ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება ახდენს გადამწყვეტ გავლენას სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური სურათის ჩამოყალიბებაზე.<sup>1289</sup> სახელმწიფო ხელისუფლების ქმედითი სასამართლო კონტროლი აუცილებელია სახელმწიფოს მოქმედებების განჭვრეტადობისა და ინდივიდის უფლებების დაცვისათვის.<sup>1290</sup>

საქართველოს კონსტიტუცია არ შეიცავს სპეციალურ ნორმას, რომელიც გაითვალისწინებდა სამართლებრივ დაცვას სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონსტიტუცია ღიად ტოვებს ამ უმნიშვნელოვანეს საკითხს. სასამართლოსათვის მიმართვის უფლება მოიცავს საჯარო ხელისუფლების წინააღმდეგ სასამართლოსათვის მიმართვასაც. ამ უფლების სხვაგვარი ინტერპრეტაცია შეენიშნაღმდეგებოდა მის შინაარსსა და მიზანს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლო დაცვის უფლება, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს შესაძლებლობას, სასამართლოში გაასაჩივრო და სამართლებრივად შეაფასო სახელმწიფო ხელისუფლების ყველა გადაწყვეტილება ან მოქმედება.<sup>1291</sup>

საჯარო ხელისუფლების წინააღმდეგ სასამართლო დაცვის კონტექსტში, დაისმის კითხვა, თუ რამდენად მოიცავს ეს უფლება ასევე დაცვას სასამართლო ხელისუფლებისაგან. გერმანული თეორია და სასამართლო პრაქტიკა, უმეტესწილად, უარყოფით პა-

<sup>1287</sup> Mastronardi: Verfassungslehre, S. 280, 282; Sachs, GG, Art. 20, Rn. 162; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 513 f.; ლოლაძე, კონსტიტუციონალიზმის ძირითადი პრინციპები, 31 (56).

<sup>1288</sup> Benda, Der soziale Rechtsstaat, 719 (739).

<sup>1289</sup> Schmidt-Aßmann: Art. 19 VI GG als Teil des Rechtsstaatsprinzips, 1 (2).

<sup>1290</sup> Sommermann, GG, Art. 20, Rn. 322; BVerfGE 107, 395 (401).

<sup>1291</sup> N1/3/393, 397 გადაწყვეტილება, I.

სუხს სცემს ამ კითხვაზე.<sup>1292</sup> ამ პოზიციის მთავარი არგუმენტი არის ის, რომ სხვაგვარად ვერ შესრულდებოდა მართლმსაჯულების ფუნქცია – დავების საბოლოო გადაწყვეტა სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სამართლებრივი მშვიდობის ინტერესებში.<sup>1293</sup> ამასთან, სამართლებრივ დაცვას სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ შესაძლებლად თვლიან, როდესაც სასამართლო არღვევს საკონსტიტუციოსამართლებრივ სტანდარტებს, განსაკუთრებით – სამართლებრივსახელმწიფოებრივ პროცესუალურ დანაწესებს და საპროცესო ძირითად უფლებებს.<sup>1294</sup>

საკონსტიტუციო სასამართლომ მრავალჯერ გაუსვა ხაზი იმას, რომ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება ზემდგომ ინსტანციაში ცალსახად წარმოადგენს სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზებას.<sup>1295</sup> ამასთან, სასამართლო გადა-

<sup>1292</sup> მაგ.: Heyde, Rechtsprechung, 1579 (1602); Hofmann, GG, Art. 20, Rn. 60; Jarass, GG, Art. 20, Rn. 104; Maurer, Rechtsstaatliches Prozessrecht, 467 (493); Papier, Justizgewähranspruch, 491 (495); Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 213; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 210; BVerfGE 4, 74 (94 f.); 11, 232 (233); 54, 277 (291 f.); 65, 76 (90); 83, 24 (31); 89, 381 (390).

<sup>1293</sup> დაწვრილებით იხ.: Maurer, Rechtsstaatliches Prozessrecht, 467 (482); Schenke, Justizgewähr, 942 f.

<sup>1294</sup> დაწვრილებით იხ.: Breuer M., Staatshaftung für judikatives Unrecht: eine Untersuchung zum deutschen Recht, zum Europa- und Völkerrecht, Tübingen 2011; Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 141; Maurer, Rechtsstaatliches Prozessrecht, 467 (481 f.); Schenke, Justizgewähr, 974 f.; Schenke W.-R., Verfassungsrechtliche Garantie eines Rechtsschutzes gegen Rechtsprechungsakte? in: Juristen Zeitung, 3 (2005), 116 (122 f.); Andreas Voßkuhle: Rechtsschutz gegen den Richter. Zur Integration der Dritten Gewalt in das verfassungsrechtliche Kontrollsystem vor dem Hintergrund des Art. 19 Abs. 4 GG, München 1993, S. 146 ff., 255 ff.; BVerfGE 107, 395 (407).

<sup>1295</sup> N2/6/264 გადაწყვეტილება, 2; N2/3/286 გადაწყვეტილება, 3; N1/3/393, 397 გადაწყვეტილება, II; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-7–9.

წყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება არ ითვლება თვითმიზნად და უფლების დაცვის უალტერნატივო საშუალებად. გასაჩივრების შეზღუდვა არ განიხილება ჩარევად სამართლიანი სასამართლოს უფლებაში, თუ უფლების დაცვა არის შესაძლებელი სხვა ეფექტიანი და ადეკვატური საშუალებებით.<sup>1296</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლო დაცვის უფლება არ მოიცავს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას. მან აღნიშნა, რომ უზენაესი სასამართლო არის მართლმსაჯულების უმაღლესი ინსტანცია და არ არსებობს ორგანო, რომელსაც აქვს მისი გადაწყვეტილებების შემოწმების უფლებამოსილება. სხვაგვარი მიდგომა არ იქნებოდა შესაბამისობაში უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციურ ფუნქციასთან. გარდა ამისა, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემთხვევაში, არ არსებობს მისი გასაჩივრების მიზნები სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის განვითარების სახით.<sup>1297</sup>

სასამართლოსათვის მიმართვის უფლება არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობებით. ის ვრცელდება ასევე კერძო პირებს შორის დავებზე.<sup>1298</sup> ინდივიდუალური თავისუფლება საჭიროებს სასამართლო დაცვას არა მხოლოდ საჯარო ხელისუფლებისაგან, არამედ სხვა შესაძლო საფრთხეებისაგან. მშვიდობიანი წესრიგი მხოლოდ ასე შენარჩუნდება, „რადგანაც სხვაგვარად ურთიერთობების განმსაზღვრელი იქნე-

<sup>1296</sup> გადაწყვეტილება N3/3/601, II-18.

<sup>1297</sup> N2/1/598 გადაწყვეტილება, II-51, 52.

<sup>1298</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/1/403,427 გადაწყვეტილება საქმეზე „კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1; Heyde, Rechtsprechung, 1579 (1582); Hofmann, GG, Art. 20, Rn. 60; Papier, Justizgewähranspruch, 491 (492, 494); Sachs, GG, Art. 20, Rn. 162; Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 211; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 206.

ბოდა ძლიერთა მიერ საკუთარი ინტერესების გატანა და მუშტის ძალა.<sup>1299</sup> სასამართლო დაცვის უფლებები საჯარო და კერძო სამართლის სფეროებში არსებითად არ განსხვავება შინაარსობრივი თვალსაზრისით.<sup>1300</sup>

სასამართლოსათვის მიმართვის უფლება მოიცავს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვასაც.<sup>1301</sup> საკონსტიტუციო სასამართლო მართებულად უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ საერთო და საკონსტიტუციო მართლმსაჯულებები სასამართლო დაცვის განსხვავებულ შესაძლებლობებს იძლევა, სხვადასხვა სამართლებრივი შედეგებით. აქედან გამომდინარე, ისინი არ წარმოადგენს სრულფასოვან ალტერნატივას ერთმანეთისათვის.<sup>1302</sup>

სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას არ აქვს აბსოლუტური ხასიათი.<sup>1303</sup> ის ექვემდებარება საკანონმდებლო გაფორმებას, რაც შეიძლება მის შეზღუდვაშიც გამოიხატოს.<sup>1304</sup> როგორც აღნიშავენ, არსებობს მხოლოდ სახელმწიფოს მიერ მონეობილი და კანონით მონესრიგებული სამართლებრივი დაცვა.<sup>1305</sup> აქედან გამომდინარე, სასამართლოსათვის მიმართვის ფორმალური წინა-

<sup>1299</sup> Schmidt-Jortzig, *Effektiver Rechtsschutz*, 2569 (2571) [ავტორის თარგმანი].

<sup>1300</sup> Maurer, *Rechtsstaatliches Prozessrecht*, 467 (493); Schenke, *Justizgewähr*, 925, 973.

<sup>1301</sup> EVGG Nr. 1/2/434 vom 27.8.2009, II-9; N1/466 გადაწყვეტილება, II-20, 22; N3/5/768, 769, 790, 792 გადაწყვეტილება, II-62.

<sup>1302</sup> N1/2/434 გადაწყვეტილება, II-13–14.

<sup>1303</sup> N1/3/161 გადაწყვეტილება, IV; N1/1/403, 427 გადაწყვეტილება, II-10; N1/2/434 გადაწყვეტილება, II-1; N1/3/421, 422 გადაწყვეტილება, II-2; N3/1/531 გადაწყვეტილება, II-3; N2/2/558 გადაწყვეტილება, II-6; N2/4/532, 533 გადაწყვეტილება, II-145.

<sup>1304</sup> N2/6/264 გადაწყვეტილება, 2; Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 134; Papier, *Justizgewähranspruch*, 491 (498 f.); Schmidt-Aßmann, *Rechtsstaat*, 541 (582); Schmidt-Jortzig, *Effektiver Rechtsschutz*, 2569 (2573); Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 212; BVerfGE 33, 367 (383); 47, 239 (247 f.); 51, 324 (343); 93, 99 (107).

<sup>1305</sup> Maurer, *Rechtsstaatliches Prozessrecht*, 467 (489).

პირობების, ვადებისა და სხვა მოთხოვნების დადგენა დასაშვებად ითვლება.<sup>1306</sup> ეს მოთხოვნები უნდა იყოს თანაზომიერი, გონივრული და საგნობრივად დასაბუთებული.<sup>1307</sup> გონივრული ურთიერთ-მიმართება უფლების შეზღუდვასა და ლეგიტიმურ მიზანს შორის დაცული უნდა იყოს.<sup>1308</sup> სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვა ადმინისტრაციული ხასიათის სირთულეების გამო არის ცალსახად გამორიცხული.<sup>1309</sup> მხედველობაშია მისაღები არა მხოლოდ უფლების სუბიექტის, არამედ პროცესის სხვა მონაწილეებისა და ქმედითი მართლმსაჯულების ინტერესიც.<sup>1310</sup>

#### 4. უფლება სამართლიან სასამართლოზე

სამართლიანი სასამართლოს პრინციპი მომდინარეობს ანგლო-ამერიკული სამართლიდან. ის აისახა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში.<sup>1311</sup> უფლება სამართლიან სასამართლოზე გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან და ითვლება მის გამოხატულებად.<sup>1312</sup> საქართველოს

<sup>1306</sup> Heyde, Rechtsprechung, 1579 (1602); Papier, Justizgewähranspruch, 491 (499); Schenke, Justizgewähr, 953, 957 ff.; Zippelius, Deutsches Staatsrecht, 129.

<sup>1307</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 134; Papier, Justizgewähranspruch, 491 (499); BVerfGE 88, 118 (124).

<sup>1308</sup> მაგ.: N2/6/264 გადანყვეტილება, 4; N3/1/531 გადანყვეტილება, II-4; N2/4/532, 533 გადანყვეტილება, II-145.

<sup>1309</sup> N2/6/264 გადანყვეტილება, 2; N2/2/558 გადანყვეტილება, II-46.

<sup>1310</sup> Maurer, Rechtsstaatliches Prozessrecht, 467 (489).

<sup>1311</sup> იქვე, 467 (500).

<sup>1312</sup> Heyde, Rechtsprechung, 1579 (1608); Nierhaus M., Beweismaß und Beweislast: Untersuchungsgrundsatz und Beteiligtenmitwirkung im Verwaltungsprozeß, München 1989, 449 ff.; Sachs, GG, Art. 20, Rn. 163; Schmidt-Aßmann, Rechtsstaat, 541 (582); Schmidt-Jortzig, Effektiver Rechtsschutz, 2569 (2571); Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 216; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 452; Tettinger P. J., Fairneß und Waffengleichheit: rechtsstaatliche Direktiven für Prozeß und Verwaltungsverfahren, München 1984, 1 ff.; VerfGE 38, 105 (111); 46, 202 (210); 57, 250 (274 ff.); 93, 99 (112 f.); 103, 44 (64); 110, 339 (342).

საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი ამ კავშირს.<sup>1313</sup> ის მიიჩნევს, რომ სამართლიან სასამართლოზე უფლების სრულყოფილ რეალიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის.<sup>1314</sup> ამ უფლებას, გარდა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპისა, აკავშირებენ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან, პიროვნების თავისუფლებასა და ადამიანის ღირსებასთან.<sup>1315</sup>

სამართლიანი სასამართლოს პრინციპი არის ზოგადი ხასიათის და არ შეიცავს დეტალებში განსაზღვრულ მოთხოვნებსა და აკრძალვებს. ის მოითხოვს კონკრეტიზაციასა და მისადაგებას ცალკეულ შემთხვევებზე, რაც კანონმდებლისა და სასამართლოების საქმეა.<sup>1316</sup> მიუხედავად სამართლიანი სასამართლოს პრინციპის ზოგადი ხასიათისა, მაინც გამოჰყოფენ მის რამოდენიმე მნიშვნელოვან მოთხოვნას: მხარეთა თანასწორობა,<sup>1317</sup> სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება,<sup>1318</sup> მტკიცების ტვირთის სამართლიანი გადანაწილება<sup>1319</sup> და ა. შ.

სასამართლო დაცვის უფლება მოითხოვს ეფექტიანი სასამართლო დაცვის უზრუნველყოფას.<sup>1320</sup> ამას აქვს დიდი მნიშვნელობა

<sup>1313</sup> N1/3/393, 397 გადაწყვეტილება, II; N1/2/596 გადაწყვეტილება, II-2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის N3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-55; N2/6/746 გადაწყვეტილება, II-1.

<sup>1314</sup> N3/3/601 გადაწყვეტილება, II-2.

<sup>1315</sup> Jarass, GG, Art. 20, Rn. 98; BVerfGE 70, 297 (308); 118, 212 (231); 122, 248 (271).

<sup>1316</sup> Hofmann, GG, Art. 20, Rn. 65; Maurer, Rechtsstaatliches Prozessrecht, 467 (494); Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 216; BVerfGE 57, 250 (276); 70, 297 (308 f.); 86, 288 (317 f.).

<sup>1317</sup> Benda, Der soziale Rechtsstaat, 719 (740).

<sup>1318</sup> Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 221.

<sup>1319</sup> Schulze-Fielitz, იქვე, Rn. 216; BVerfGE 106, 28 (48); 117, 202 (240).

<sup>1320</sup> Heyde, Rechtsprechung, 1579 (1603); Maurer, Rechtsstaatliches Prozess-

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპისათვის.<sup>1321</sup> სასამართლო დაცვა, გარდა სასამართლოზე ხელმისაწვდომობისა, მოითხოვს მოსამართლის მიერ დავის საგნის საფუძვლიან, სრულყოფილ ფაქტობრივ და სამართლებრივ შემონიშნებას და ამის საფუძველზე სავალდებულო გადაწყვეტილების მიღებას.<sup>1322</sup> სასამართლო დაცვის ეფექტიანობის მოთხოვნის ადრესატი არის როგორც კანონმდებელი საპროცესო ნორმების დადგენისას, ასევე სასამართლო ამ ნორმების გამოყენებისას.<sup>1323</sup> სასამართლო გადაწყვეტილებების მდგრადობას ასევე მოიხსენიებენ ქმედით სამართლებრივ დაცვა-სთან კავშირში.<sup>1324</sup> სასამართლო გადაწყვეტილებების მდგრადობაზე უკვე გავამახვილეთ ყურადღება სამართლებრივი უსაფრთხოების ფარგლებში.

უფლება სამართლიან სასამართლოზე ასახულია კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებაში – „საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია.“ საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ კონსტიტუციით უზრუნველყოფილია სამართლიანი და ღია პროცესის უფლება, სამართლებრივი პოზიციების გამოხატვის შესაძლებლობა, დაცვის უფლება, ასევე საქმის განხილვა გონივრულ ვადაში,<sup>1325</sup> დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სა-

---

recht, 467 (493 f.); Papier, Justizgewähranspruch, 491 (497, 499); Robbers G., Ausländer im Verfassungsrecht, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.), Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, 391 (407); Schmidt-Jortzig, Effektiver Rechtsschutz, 2569 (2569); Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 200.

<sup>1321</sup> Schmidt-Jortzig, Effektiver Rechtsschutz, 2569 (2572); Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 212.

<sup>1322</sup> BVerfGE 85, 337 (345).

<sup>1323</sup> Maurer, Rechtsstaatliches Prozessrecht, 467 (488); VerfGE 77, 275 (284); 97, 298 (315).

<sup>1324</sup> Papier, Justizgewähranspruch, 491 (500 f.).

<sup>1325</sup> N3/5/768, 769, 790, 792 გადაწყვეტილება, II-64.

სამართლს მიერ.<sup>1326</sup> მისი აზრით, სასამართლოსათვის მიმართვა იქნებოდა უფლებების დაცვის ფიქტიური, თეორიული და არა რეალური მექანიზმი, ეფექტიანი სასამართლო დაცვის გარეშე.<sup>1327</sup> საკონსტიტუციო სასამართლო, ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის კონტექსტში, მოითხოვს სასამართლოების კომპეტენციის იმგვარ განსაზღვრას, რაც შეესაბამება უფლებათა ადექვატურ დაცვას.<sup>1328</sup>

სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება ასრულებს მნიშვნელოვან როლს სამართლიან სასამართლოზე უფლების კონტექსტში. ის საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირს, სრულყოფილად გამოიყენოს გასაჩივრების უფლება, ხოლო ზემდგომ სასამართლოს კი – განახორციელოს გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება. სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების მოთხოვნა არის სასამართლო თვითნებობისაგან დაცვის ქმედითი მექანიზმი.<sup>1329</sup> საკონსტიტუციო სასამართლო მართებულად უკავშირებს სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ხარისხს საზოგადოების მხრიდან მისდამი დამოკიდებულებას. ნაკლოვანი დასაბუთება აჩენს ეჭვს, რომ მართლმსაჯულება იყო თვითნებური. საკონსტიტუციო სასამართლო ამის თავიდან ასაცილებლად ადგენს სტანდარტებს, რომელთა მიხედვითაც ყველა სასამართლო ორგანომ უნდა იხელმძღვანელოს. სასამართლო გადაწყვეტილების არგუმენტაცია უნდა იყოს საკმარისად ცხადი, ანუ განსაზღვრულობის პრინციპის დაცვა არის აუცილებელი. პასუხი უნდა გაეცეს საქმის ყველა არსებით საკითხს. მოსამართლის მსჯელობა უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ არგუმენტებს.<sup>1330</sup>

<sup>1326</sup> N1/3/393, 397 გადაწყვეტილება, II.

<sup>1327</sup> N1/466 გადაწყვეტილება, II-14.

<sup>1328</sup> იქვე, II-22.

<sup>1329</sup> N2/2/558 გადაწყვეტილება, II-37.

<sup>1330</sup> N3/2/577 გადაწყვეტილება, II-10, 11.

საქმის სამართლიან განხილვასთან ერთად, უზრუნველყოფილი არის მისი დროული განხილვაც. დაგვიანებული მართლმსაჯულება ნაწილობრივ ან სრულად კარგავს თავის ფასს, თუნდაც სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში. საკონსტიტუციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საპროცესო ვადების მნიშვნელობაზე სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობისათვის.<sup>1331</sup> საქმის განხილვისა და გადაწყვეტის გაუმართლებელი დაყოვნება აზიანებს საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულებისადმი. ამავდროულად, ვადა უნდა იძლეოდეს საქმის გარემოებების ობიექტური და სრულყოფილი გამოკვლევის, მტკიცებულებების წარდგენისა და საპროცესო მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, საჭირო არის ერთგვარი „ოქროს შუალედის“ გამოძებნა. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ეს უნდა მოხდეს საქმის კონკრეტული გარემოებების შეფასების საფუძველზე. ამ თვალსაზრისით, ყურადღება ექცევა საქმის სამართლებრივ თუ ორგანიზაციულ სირთულეს, ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის აუცილებლობას, გასაჩივრებული აქტების სიმრავლეს და ა.შ.<sup>1332</sup> როგორც ვხედავთ, უნდა გაანალიზდეს კონკრეტული შემთხვევის როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი მონაცემები.

ეფექტიანი სასამართლო დაცვა ასევე მოიცავს სასამართლო გადაწყვეტილების ქმედით აღსრულებას.<sup>1333</sup> საკონსტიტუციო სასამართლო თვლის გადაწყვეტილების აღსრულებას სასამართლო დაცვის უფლების ნაწილად. წინააღმდეგ შემთხვევაში, დარღვეული უფლების აღიარება აზრს დაკარგავდა. უფლების ნამდვილი შინაარსი მდგომარეობს სწორედ მის რეალიზაციასა და აღსრუ-

<sup>1331</sup> N3/1/531 გადაწყვეტილება, II-16, 17.

<sup>1332</sup> N3/2/577 გადაწყვეტილება, II-7, 8.

<sup>1333</sup> მაგ.: Papier, Justizgewähranspruch, 491 (502); Schmidt-Aßmann, Rechtsstaat, 541 (582).

ლებაში.<sup>1334</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოადგინა ეს მოსაზრება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის იმ ნორმის კონსტიტუციურობის განხილვისას, რომელიც იძულებითი აღსრულებისაგან და აუქციონისაგან, ასევე ყადაღის დადებისაგან და სექვესტრისაგან ათავისუფლებდა გენერაციის ობიექტებს, ელექტროგამანაწილებელ და რეგიონალური გაზის ქსელებს, რომლებიც სახელმწიფო საკუთრებას ან იმ საწარმოთა საკუთრებას წარმოადგენდნენ, სადაც სახელმწიფო ფლობდა აქციათა ან საწესდებო კაპიტალში წილის არანაკლებ 50%-ს. სააღსრულებო წარმოებაში პრივილეგირებული სუბიექტების არსებობა ეჭვქვეშ აყენებდა აღსრულების გარდაუვალობას და საფრთხეს უქმნიდა მართლმსაჯულების განხორციელების საყოველთაო პრინციპებს.<sup>1335</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ მოგვიანებით კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობაზე და მიუთითა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე „შეიმუშაოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შესაბამისი პროცედურები/რეგულაციები, რომლებიც თანაბრად დაიცავს აღსრულების პროცესში მონაწილე ყველა მხარის უფლებებს ან/და კანონიერ ინტერესებს.“<sup>1336</sup>

## 5. კანონისმიერი მოსამართლის პრინციპი

კანონისმიერი მოსამართლის პრინციპი ითვლება სამართლებრივი სახელმწიფოს დამახასიათებელ ნიშანად.<sup>1337</sup> ის იცავს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს მანიპულაციისა და დაუშვებელი ზემოქმედებისაგან.<sup>1338</sup> კანონისმიერი მოსამართლის

<sup>1334</sup> N1/14/184, 228 გადაწყვეტილება, 4.

<sup>1335</sup> იქვე, 2.

<sup>1336</sup> N1/2/596 გადაწყვეტილება, II-8.

<sup>1337</sup> Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 509.

<sup>1338</sup> Heyde, Rechtsprechung, 1579 (1605).

პრინციპი არ წარმოადგენს სასამართლო დაცვის ზოგად საკონსტიტუციოსამართლებრივ საფუძველს. მისი ამოქმედების წინაპირობაა სასამართლოსათვის მიმართვა. ეს პრინციპი შეეხება სასამართლოს კომპეტენციის შიდასასამართლო განაწილებას.<sup>1339</sup> აქედან გამომდინარე, კანონისმიერი მოსამართლის პრინციპს აქვს უფრო სასამართლო დაცვის უფლების გამამყარებელი და განმარტობელი, დამხმარე ფუნქცია.<sup>1340</sup>

კანონისმიერი მოსამართლის პრინციპის მთავარი მოთხოვნა იმაში გამოიხატება, რომ საქმე უნდა განიხილოს მოსამართლემ, რომელსაც აქვს ამის უფლებამოსილება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. მოსამართლის შერჩევა სპეციალურად კონკრეტული შემთხვევის განსახილველად შეუთავსებელია სამართლებრივ სახელმწიფოსთან.<sup>1341</sup> ამის უზრუნველსაყოფად აუცილებელია უფლებამოსლების წინასწარი, ზოგად-აბსტრაქტული განსაზღვრა. კანონისმიერი მოსამართლის პრინციპი აძლიერებს სასამართლოს დამოუკიდებლობას, მისდამი ნდობას და ხელს უშლის არაუფლებამოსილი სუბიექტების ჩარევას მის საქმიანობაში.

კანონისმიერი მოსამართლის პრინციპი გათვალისწინებულია კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტით – „ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.“ კონსტიტუცია არ ადგენს კონკრეტულ მოთხოვნებს სასამართლოში საქმეების განაწილებასთან დაკავშირებით. კანონისმიერი მოსამართლის პრინციპის დაკონკრეტება ითვლება კანონმდებლის ამოცანად.<sup>1342</sup> საკონსტიტუციო სასამართლო აღიარებს განსჯადობის წესების დაცვას სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად. საქმე უნდა

<sup>1339</sup> Maurer, Rechtsstaatliches Prozessrecht, 467 (491).

<sup>1340</sup> Papier, Justizgewähranspruch, 491 (493); Schenke, Justizgewähr, 925.

<sup>1341</sup> შეადარე: BVerfGE 4, 412 (416); 82, 159 (194); 95, 322 (329).

<sup>1342</sup> N2/5/309, 310, 311 გადაწყვეტილება, 7.

განიხილოს და გადანყვიტოს სასამართლომ, „...რომელსაც კონსტიტუციისა და კანონის მიხედვით შესაბამისი უფლებამოსილება, კომპეტენცია გააჩნია.“<sup>1343</sup>

უცხოური თეორია და პრაქტიკა კანონისმიერი მოსამართლის პრინციპს განმარტავს იმაზე უფრო ფართოდ, ვიდრე საქმის განხილვის უფლებამოსილებათა კანონით წინასწარი განაწილებაა. მოსამართლის კანონისმიერებაში აგრეთვე იგულისხმება, რომ ის უნდა აკმაყოფილებდეს კონსტიტუციურსამართლებრივ სტანდარტებს დამოუკიდებლობასთან, მიუკერძოებლობასთან და ობიექტურობასთან დაკავშირებით.<sup>1344</sup> ეს არის სამართლებრივი სახელმწიფოს იმპერატიული მოთხოვნა.<sup>1345</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, მიუკერძოებლობას აქვს არსებითი დატვირთვა დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში. სწორედ ეს კრიტერიუმია გადამწყვეტი საზოგადოების ნდობისათვის სასამართლო ხელისუფლების მიმართ.<sup>1346</sup>

საგანგებო სასამართლოების აკრძალვა წარმოადგენს კანონისმიერი მოსამართლის პრინციპის გამოვლინებას<sup>1347</sup> და მისი დარღვევის პრევენციის საშუალებას.<sup>1348</sup> „საგანგებო სასამართლოდ“ ითვლება ორგანო, რომელიც შექმნილია კონკრეტული შემთხვევის განხილვისათვის, აბსტრაქტულ-გენერალური კომპეტენციური ნორმების დარღვევით.<sup>1349</sup> საქართველოს კონსტიტუცია საგანგებო სასამართლოების აკრძალვას ითვალისწინებს არა კანონისმიერ მოსამართლეზე უფლების დამდგენი ნორმით, არამედ 59-ე

<sup>1343</sup> N1/4/557, 571, 576 გადანყვიტეილება, II-106.

<sup>1344</sup> Maurer, Rechtsstaatliches Prozessrecht, 467 (496); BVerfGE 10, 200 (213); 14, 156 (162); 21, 139 (145 f.); 82, 286 (298).

<sup>1345</sup> Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 509.

<sup>1346</sup> N1/3/393, 397 გადანყვიტეილება, II.

<sup>1347</sup> Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 191, 509.

<sup>1348</sup> Heyde, Rechtsprechung, 1579 (1606).

<sup>1349</sup> მაგ.: BVerfGE 10, 200 (212 f.).

მუხლის (სასამართლო ხელისუფლება) მე-3 პუნქტის მე-4 წინადადებით. მიუხედავად ამისა, ამ კონსტიტუციურ დანაწესებს შორის არსებობს აშკარა კავშირი. კანონისმიერ მოსამართლეზე უფლების დარღვევასთან დაკავშირებით დავა შესაძლებელია საგანგებო სასამართლოს შექმნის შემთხვევაში.

## 6. დაცვის უფლება

დაცვის უფლებას ენიჭება დიდი მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოს კოტექსტში. ის ხელს უწყობს მართლსაჯულების განხორციელებას და ეფუძნება შანსებისა და საშუალებების თანაბრობას.<sup>1350</sup> დაცვის უფლება გარანტირებული არის საქართველოს კონსტიტუციის ორი ნორმით. მათგან ზოგადი ნორმაა 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებები – „დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში – წარმომადგენლის მეშვეობით.“ მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადება ადგენს დაცვის უფლების სპეციალურ შემთხვევას<sup>1351</sup> – „პირს დაკავებისთანავე შეუძლია მოითხოვოს ადვოკატის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.“ ეს ნორმა ხაზს უსვამს დაცვის უფლების მნიშვნელობას თავისუფლების აღკვეთისას.<sup>1352</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დაკავებული პირის მიერ დამცველის დახმარების მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შეძლებისდაგვარად გონივრულ დროში. მან არაკონსტიტუციურად და დაცვის უფლებასთან შეუსაბამოდ მიიჩნია დაცვის შესაძლებლობის შეზღუდვა დაკავებიდან 12 საათის განმავლობაში.<sup>1353</sup>

<sup>1350</sup> Robbers, BK, Art. 20, Rn. 1855.

<sup>1351</sup> N1/3/393, 397 გადაწყვეტილება, II.

<sup>1352</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 417.

<sup>1353</sup> N2/3/182, 185, 191 გადაწყვეტილება, 1.

დაცვის უფლება არს უზრუნველყოფილი ყველა სახის სამართალწარმოებაში.<sup>1354</sup> ამასთან, მას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში. ამ დროს ინდივიდს უპირისპირდება სახელმწიფო აპარატი, რომელსაც აქვს მასზე გაცილებით მეტი შესაძლებლობები. ამგვარი დისბალანსის გამოსწორება მოითხოვს სერიოზულ ძალისხმევას და მკაცრ მიდგომას. დაცვის უფლება „დაცვის მხარეს აღჭურავს შესაბამისი საპროცესო ინსტრუმენტით, რათა მან ბრალდების პოზიციას დაუპირისპიროს კონტრარგუმენტები, გამამართლებელი მტკიცებულებები და სასამართლო პროცესი წარმართოს სამართლიანი სასამართლოს პრინციპის შესაბამისად.“<sup>1355</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, დაცვის უფლება უზრუნველყოფს არა მხოლოდ დაცვის ფორმის შერჩევას, არამედ ის ასევე მოიცავს დაცვისათვის ადექვატური მომზადების შესაძლებლობას, პროცესსა და მის შედეგებზე ეფექტიანი ზეგავლენის მოხდენის მიზნით.<sup>1356</sup> კანონმდებლობით გონივრული და საკმარისი დროის განსაზღვრა აუცილებელი არის დაცვის სათანადოდ მომზადებისათვის.<sup>1357</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს დასაშვებად მიაჩნია დამცველთან შეხვედრის დროში შეზღუდვა, თუმცა ის აღნიშნავს, რომ ამ დროს გასათვალისწინებელია კონკრეტული საქმის სირთულე, დაცვის უფლება და გამოძიების ინტერესები. მან, ანონ-დანონვის შემდეგ, ჩათვალა არაკონსტიტუციურად ბრალდებულის დამცველთან შეხვედრის ზოგადი შეზღუდვა ერთი საათით.<sup>1358</sup> სასამართლომ ჩამოაყალიბა მსგავსი პოზიცია დამცველის შერჩევის დროის შეზღუდვასთან დაკავშირებით.<sup>1359</sup>

<sup>1354</sup> N1/1/186 გადაწყვეტილება; N1/2/503, 513 გადაწყვეტილება, II-56.

<sup>1355</sup> N1/1/650, 699 გადაწყვეტილება, II-25.

<sup>1356</sup> N1/2/503, 513 გადაწყვეტილება, II-55.

<sup>1357</sup> N1/3/393, 397 გადაწყვეტილება, II.

<sup>1358</sup> N2/3/182, 185, 191 გადაწყვეტილება, 2.

<sup>1359</sup> იქვე.

დაცვას, მისი ამოცანების სრულფასოვანი შესრულებისათვის, უნდა მიეცეს არა მხოლოდ საკმარისი დრო, არამედ საჭირო საშუალებებიც. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო ნორმები, რომლებიც ზღუდავდა ამ შესაძლებლობას და ამავდროულად, არღვევდა თანასწორობას მხარეთა შორის ბრალდების სასარგებლოდ.<sup>1360</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო შეეხო ასევე კანონით დამცველთა რაოდენობის შეზღუდვის საკითხს. მან უარი განაცხადა ამ საკითხის შეფასებაზე. საკონსტიტუციო სასამართლომ იმით გამართლა ეს უარი, რომ დამცველების რაოდენობა განისაზღვრება საპროცესო კანონმდებლობით და არა კონსტიტუციით.<sup>1361</sup> ეს არგუმენტი არ ჟღერს დამაჯერებლად. ანონ-დანონვა, ერთი მხრივ, დაცვის უფლებასა და მეორე მხრივ, მისი შეზღუდვის საფუძვლებს შორის, უფრო გონივრული ნაბიჯი იქნებოდა სასამართლოს მხრიდან. მას დასკვნა უნდა გამოეთანა მხოლოდ ანონ-დანონვის საფუძველზე. დამცველთა რაოდენობის განსაზღვრა ორგანულად უკავშირდება დაცვის უფლებას. არ არის მართებული ამ საკითხის განხილვა განსხვავებულ კონტექსტში.<sup>1362</sup>

## 7. უფლება სასამართლო მოსმენაზე

უფლება სასამართლო მოსმენაზე ითვლება ძირითადი უფლების მსგავს უფლებად, რომლის დაცვაც შესაძლებელია კონსტიტუციური სარჩელის საშუალებით<sup>1363</sup> და რომელიც უზრუნველყოფილია ყველა სახის სასამართლო წარმოებაში.<sup>1364</sup> მას, კანონისმიერი მოსამართლის პრინციპის მსგავსად, აქვს სასამართლო დაცვის

<sup>1360</sup> იქვე.

<sup>1361</sup> იქვე.

<sup>1362</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 418.

<sup>1363</sup> Schenke, Justizgewähr, 961; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 194.

<sup>1364</sup> Kunig, Rechtsstaatsprinzip, 383.

ზოგადი უფლების განმავრცობელი და გამამყარებელი ფუნქცია. უფლება სასამართლო მოსმენაზე უზრუნველყოფს სასამართლოს წინაშე მოსმენის შესაძლებლობას უკვე დაწყებული და მიმდინარე სამართალწარმოების ფარგლებში.<sup>1365</sup> უფლება სასამართლო მოსმენაზე მოითხოვს არა ხელმისაწვდომობას სასამართლოზე, არამედ გარკვეული სტანდარტების დაცვას სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას.<sup>1366</sup>

უფლება სასამართლო მოსმენაზე, პირველ რიგში, გულისხმობს პოზიციის გამოხატვის შესაძლებლობას სასამართლო პროცესზე გადანყვეტილების მიღებისათვის ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით.<sup>1367</sup> სასამართლომ არა მხოლოდ უნდა მოუსმინოს მხარეებს, არამედ მხედველობაში უნდა მიიღოს მათ მიერ გამოხატული პოზიციები.<sup>1368</sup> სასამართლოს გადანყვეტილება არის კანონსაწინააღმდეგო, თუ ის ეყრდნობა ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებთან დაკავშირებითაც მხარეს არ მიეცა პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა.<sup>1369</sup> გარდა ამისა, უფლებიდან სასამართლო მოსმენაზე გამომდინარეობს სასამართლოს ვალდებულება, მიუთითოს მხარეებს ახალ, ჯერ კიდევ განუხილველ გარემოებებზე და მისცეს მათ ამ გარემოებებთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციის გამოხატვის საშუალება.<sup>1370</sup>

სამეცნიერო ლიტერატურა მიუთითებს კავშირზე სასამართლო მოსმენაზე უფლებას, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპსა და ადამიანის ღირსებას შორის. ინდივიდი არის სასამართლო პროცესის დამოუკიდებელი მონაწილე, სუბიექტი და არა

<sup>1365</sup> Maurer, Rechtsstaatliches Prozessrecht, 467 (491).

<sup>1366</sup> Papier, Justizgewähranspruch, 491 (493).

<sup>1367</sup> მაგ.: Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 194.

<sup>1368</sup> მაგ.: BVerfGE 96, 205 (216); 98, 218 (263).

<sup>1369</sup> Heyde, Rechtsprechung, 1579 (1607); Maurer, Rechtsstaatliches Prozessrecht, 467 (498).

<sup>1370</sup> Schenke, Justizgewähr, 961.

მისი შიშველი ობიექტი.<sup>1371</sup> აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოც გამოხატავს მსგავს პოზიციას: „პასუხისმგებლობის დაკისრებისას ინდივიდი არ უნდა წარმოადგენდეს სამართალწარმოების ობიექტს და უნდა აღიჭურვოს დაცვის იმ მექანიზმებით, რასაც სამართლიანი სასამართლოს უფლება მოითხოვს.“<sup>1372</sup> პირს უნდა მიეცეს სასამართლოში თავისი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა.<sup>1373</sup> აქედან გამომდინარე, თუ სასამართლო უსპობს ინდივიდს პოზიციის გამოხატვის საშუალებას ან აიგნორირებს მის მიერ წარდგენილ რელევანტურ არგუმენტებს, ამით ხელყოფს არა მხოლოდ საპროცესო უფლებებს, არამედ ღირსების უფლებასაც.

## 8. მხარეთა თანასწორობა

მხარეთა თანასწორობის პრინციპი ითვლება კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის სპეციალურ შემთხვევად.<sup>1374</sup> ის ასევე მიიჩნევა სამართლიანი სასამართლოსა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების გამოხატულებად.<sup>1375</sup> მხარეთა თანასწორობაში იგულისხმება მათი თანაბარი შესაძლებლობები პოზიციის გამოხატვის, მტკიცებულებებისა და არგუმენტების წარდგენისა და საპროცესო მოქმედებების განხორციელების თვალსაზრისით.<sup>1376</sup>

<sup>1371</sup> Heyde, *Rechtsprechung*, 1579 (1607); Maurer, *Rechtsstaatliches Prozessrecht*, 467 (497).

<sup>1372</sup> გადანყვეტილება N3/3/601, II-11.

<sup>1373</sup> N2/2/558 გადანყვეტილება, II-40.

<sup>1374</sup> მაგ.: Maurer, *Rechtsstaatliches Prozessrecht*, 467 (499); Schmidt-Aßmann, *Rechtsstaat*, 541 (582); Tettinger, *Fairneß und Waffengleichheit*, 18 ff.; BVerfGE 52, 131 (143 ff., 156 f.).

<sup>1375</sup> Hofmann, GG, Art. 20, Rn. 61; Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 216; BVerfGE 52, 131 (144, 156 f.); 108, 150 (162); 110, 226 (252 f.).

<sup>1376</sup> Maurer, *Rechtsstaatliches Prozessrecht*, 467 (499).

მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში.<sup>1377</sup> ამის მიზეზზე უკვე გავამახვილეთ ყურადღება დაცვის უფლებაზე მსჯელობისას. ცხადია, სისხლის სამართლის პროცესზე ყურადღების გამახვილება არ ნიშნავს, რომ მხარეთა თანასწორობა არ უნდა იყოს დაცული სხვა სახის სამართალწარმოების ფარგლებში. აუცილებელია თანასწორობის დაცვა ადმინისტრაციულ პროცესში, სადაც კერძო პირი ადმინისტრაციულ ორგანოს უპირისპირდება. მხარეთა თანასწორობის პრინციპს მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო პროცესშიც, თუმცა შედარებით ნაკლები, ვიდრე ეს სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პროცესშია.<sup>1378</sup>

უცხოური თეორიისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ბრალდებულს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, დაიცვას თავისი უფლებები, გავლენა მოახდინოს საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე.<sup>1379</sup> მას აქვს უფლება, რომ მონაწილეობდეს საქმის განხილვაში,<sup>1380</sup> მიიღოს ინფორმაცია მნიშვნელოვან საპროცესო მოქმედებებთან დაკავშირებით და გამოხატოს პოზიცია იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ ფლობს სახელმწიფო ენას.<sup>1381</sup> საქმის განხილვა დაუშვებელია ბრალდებულის გარეშე, თუ ეს არ არის გამოწვეული მისივე ბრალეულობით.<sup>1382</sup>

მხარეთა თანასწორობის პრინციპი ასახულია საქართველოს კონსტიტუციის რამოდენიმე ნორმაში. პირველ რიგში, უნდა და-

<sup>1377</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 144; Jarass, GG, Art. 20, Rn. 98; BVerfGE 38, 105 (111); 110, 226 (253).

<sup>1378</sup> შეადარე: BVerfGE 52, 131 (144, 156 f.); 63, 266 (284); 93, 213 (236).

<sup>1379</sup> Hofmann, GG, Art. 20, Rn. 65; Jarass, GG, Art. 20, Rn. 98; BVerfGE 110, 226 (253).

<sup>1380</sup> BVerfGE 41, 246 (249).

<sup>1381</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 146; Jarass, GG, Art. 20, Rn. 100; Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 217.

<sup>1382</sup> Jarass, GG, Art. 20, Rn. 100; BVerfGE 89, 120 (129 f.).

ვასახელოთ 62-ე მუხლის მე-5 პუნქტი – „სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.“ ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადების მიხედვით, „პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი.“ ეს გარანტია არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმწიფო ენის არმცოდნე ბრალდებულებით და ვრცელდება სხვა სახის სამართალწარმოებებში მონაწილე პირებზეც.<sup>1383</sup>

ზემოთ მითითებული ნორმები არ არის განლაგებული კონსტიტუციის მეორე თავში. აქედან გამომდინარე, მათი დარღვევა პირდაპირ ვერ გახდება საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი. მიუხედავად ამისა, მოსარჩელეს და საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია მათზე აპელირება, 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან კავშირში.<sup>1384</sup> შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკაში ასეც ხდება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სამართალწარმოების სამართლიანობა<sup>1385</sup> და ეს პრინციპი სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი ელემენტია.<sup>1386</sup> სასამართლო ვრცლად მსჯელობს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე და მასში მოიაზრებს მხარეებისათვის არგუმენტების თავისუფლად წარდგენისა და სხვა პროცესუალური შესაძლებლობების თანაბრად მინიჭებას, ასევე მათ აღჭურვას სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით.<sup>1387</sup> საკონსტიტუციო სასამართლო მოითხოვს არა მხარეთა მექანიკურ, რაოდენობრივ თანასწორობას, არამედ მათთვის ხარისხობრივად თანაბარი შანსების უზრუნველყოფას.<sup>1388</sup>

<sup>1383</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 422.

<sup>1384</sup> იქვე.

<sup>1385</sup> N1/1/650, 699 გადაწყვეტილება, II-7, 9.

<sup>1386</sup> N3/1/608, 609 გადაწყვეტილება, II-14, 16–18.

<sup>1387</sup> N2/6/746 გადაწყვეტილება, II-23.

<sup>1388</sup> N1/8/594, II-28.

მხარეთა თანასწორობის პრინციპის კიდევ ერთი გამომხატულება არის კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტი – „ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მონმეების გამოძახება და ისეთივე პირობებში დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მონმეებს.“ ეს უფლება კონსტიტუციის მეორე თავის შემადგენელი ნაწილია და მისი დაცვა პირდაპირ არის შესაძლებელი კონსტიტუციური სარჩელის მეშვეობით.<sup>1389</sup>

## 9. სასამართლო პროცესის საჯაროობა და ზეპირობა

უცხოელი მეცნიერებისა და სასამართლო პრაქტიკის დამოკიდებულება სასამართლო პროცესის საჯაროობასა და ზეპირობასთან დაკავშირებით თავშეკავებულია.<sup>1390</sup> ითვლება, რომ სასამართლო პროცესის საჯაროობა და ზეპირობა არ არის გარანტირებული კონსტიტუციურსამართლებრივად.<sup>1391</sup> ამასთან, თუ საქმეზე იმართება ზეპირი განხილვა, ის, როგორც წესი, ღია უნდა იყოს. საჯაროობის შეზღუდვა დასაშვებია საქმეზე ქეშმარიტების დადგენის ინტერესიდან გამომდინარე.<sup>1392</sup>

სასამართლო პროცესის საჯაროობის პრინციპი გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-3 პუნქტით – „სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ.“ ეს ნორმა არ არის კონსტიტუციის მეორე თავში, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს საქმის ზე-

<sup>1389</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 422.

<sup>1390</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 140; BVerfGE 60, 175 (211 f.); 89, 381 (391); 103, 44 (63 ff.).

<sup>1391</sup> მაგ.: Schenke, Justizgewähr, 961.

<sup>1392</sup> Jarass, GG, Art. 20, Rn. 100; BVerfGE 103, 44 (63, 68 f.).

პირი მოსმენით განხილვას სამართლიანი სასამართლოს უფლების უმნიშვნელოვანეს კომპონენტად.<sup>1393</sup> მისი პოზიციით, ზეპირი მოსმენით განხილვა ხელს უწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას და უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლების ეფექტურად განხორციელებას.<sup>1394</sup>

ზეპირ განხილვასა და საჯაროობას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა პირის თავისუფლების აღკვეთის საკითხის განხილვისას. საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ პირის დაპატიმრება ზეპირი განხილვის გარეშე ზღუდავს მის შესაძლებლობას, დაესწროს პროცესს და ჩამოაყალიბოს პოზიცია, რაც წარმოადგენს სამართლიანი სასამართლო პროცესის მნიშვნელოვან წინაპირობას.<sup>1395</sup> პირს აქვს შესაძლებლობა, რომ გამოთქვას მოსაზრებები ზეპირი მოსმენისას თავისი ინტერესების დასაცავად. საქმის ზეპირი განხილვა ხელსაყრელია არა მხოლოდ მხარეებისთვის მათი მოთხოვნების უკეთ დასაბუთებლად, არამედ ის ხელს უწყობს მოსამართლესაც ობიექტური, კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანაში.<sup>1396</sup> ამავე დროს, ზეპირი მოსმენის ჩატარება არ განიხილება თვითმიზნად და „მისი საჭიროება არსებობს მაშინ, როდესაც ზეპირი მოსმენის ჩატარება ობიექტურად აუცილებელია საქმის სრულყოფილი გამოკვლევისათვის და საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად.“<sup>1397</sup>

საკონსტიტუციო სასამართლომ საქმის ზეპირი განხილვა დაუკავშირა სამართალწარმოების შინაარსს. თუ განიხილება ფორმალურ-სამართლებრივი საკითხები, მოქმედებს პრინციპი *jura novit*

<sup>1393</sup> N2/2/558 გადაწყვეტილება, II-5; N3/1/574, II-60; N2/1/631 გადაწყვეტილება, II-81; N1/5/675, 681 გადაწყვეტილება, II-10.

<sup>1394</sup> N2/8/734 გადაწყვეტილება, II-8.

<sup>1395</sup> N1/3/393, 397 გადაწყვეტილება, II.

<sup>1396</sup> N2/2/558 გადაწყვეტილება, II-34, 35, N2/1/631 გადაწყვეტილება, II-81.

<sup>1397</sup> N1/5/675, 681 გადაწყვეტილება, II-12.

curia.<sup>1398</sup> ამ დროს მხარეების მონაწილეობას დამხმარე ფუნქცია აქვს. როდესაც სასამართლო ადგენს და აფასებს ფაქტობრივ გარემოებებსაც, იზრდება ზეპირი მოსმენისა და მხარის მიერ მოსაზრებების წარდგენის მნიშვნელობა.<sup>1399</sup> საკონსტიტუციო სასამართლო ასევე აქცევს ყურადღებას იმ სამართლებრივი ინტერესის მნიშვნელობას, რომლის დაცვის შესაძლებლობაც იზღუდება.<sup>1400</sup>

საკონსტიტუციო სასამართლომ ფაქტობრივად გადაუხვია ზემოთ აღწერილ მიდგომას მოგვიანებით მიღებულ გადაწყვეტილებაში, სადაც დავის საგანი იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებდა ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ შუამდგომლობის განხილვას ზეპირი მოსმენის გარეშე და ამასთანავე, მოსამართლეს ანიჭებდა უფლებამოსილებას, შუამდგომლობა განეხილა მისი დამყენებელი მხარის მონაწილეობით. სასამართლომ კვლავ დაადასტურა, რომ ზეპირი განხილვის უფლების დაცვის სტანდარტი არის მნიშვნელოვნად დამოკიდებული სამართალწარმოების შინაარსზე. მან იქვე დასძინა, რომ სამართალწარმოების შინაარსში არ გულისხმობდა „...მხოლოდ გადასაწყვეტი საკითხის მიკუთვნებას ფორმალურ-სამართლებრივი თუ ფაქტობრივი გარემოებების კატეგორიისადმი.“<sup>1401</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ ახსნა დამკვიდრებული სტანდარტიდან გადახვევა განსახილველი შემთხვევის სპეციფიკით. მისი განმარტებით, ზეპირ სასამართლო განხილვაზე უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი არის ბრალდებულის ან მასთან დაკავშირებული პირების მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის

<sup>1398</sup> სასამართლომ იცის კანონი.

<sup>1399</sup> N2/2/558 გადაწყვეტილება, II-42; N3/1/574, II-74; N1/5/675, 681 გადაწყვეტილება, II-13; შეადარე ასევე: N1/3/638, II-8; N2/8/734 გადაწყვეტილება, II-11, 13.

<sup>1400</sup> N2/2/558 გადაწყვეტილება, II-10; N2/8/734 გადაწყვეტილება, II-12, 14, 15, 16.

<sup>1401</sup> N2/1/631 გადაწყვეტილება, II-83.

(ქონების ჩამორთმევის აღსრულებისათვის) ხელის შეშლის პრევენცია. ყადაღის დადების თაობაზე შუამდგომლობის განხილვის სხდომის შესახებ პირისათვის წინასწარ შეტყობინება ობიექტურად შექმნიდა ქონების გადამალვის/განადგურების რისკს.<sup>1402</sup> მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის პრევენცია, როგორც ასეთი, მნიშვნელოვანი მიზანია, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში რელევანტური იქნებოდა პასუხის გაცემა გარკვეულ კითხვებზე თანაზომიერების შემონიშნის ფარგლებში. საკონსტიტუციო სასამართლოს, სამწუხაროდ, არ შეუფასებია სრულყოფილად თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნების დარღვევის საკითხი. გასაჩივრებულ ნორმებს ჰქონდა ბლანკეტური ხასიათი. საეჭვოა, რომ მათ წარმატებით გაეწვლით თანაზომიერების ტესტი. ამ საქმეზე წარმოდგენილმა განსხვავებულმა აზრმა მართებულად მიუთითა, რომ ბრალდებულმა ან მასთან დაკავშირებულმა პირმა იცის სასამართლო განხილვის მიმდინარეობის შესახებ. ეს გარემოება აქცევს ყადაღის დადების შესახებ საკითხის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვას მიზნის მიღწევისათვის გამოუსადეგარ საშუალებად და ანიჭებს მას თვითმიზნურ ხასიათს.<sup>1403</sup>

ზეპირ მოსმენასთან დაკავშირებული სტანდარტების დარღვევა ართულებს დაცვის უფლების რეალიზაციას.<sup>1404</sup> საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა თავისთავად არ ნიშნავს დაცვის უფლების დარღვევას. ამასთან, თუ უფლების სრულყოფილი დაცვის ინტერესი მოითხოვს საქმის ზეპირ განხილვას, ამაზე უარი არღვევს არა მხოლოდ უფლებას სამართლიან სასამართლოზე,

<sup>1402</sup> იქვე, II-94.

<sup>1403</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ზაზა თავაძის და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2016 წლის 18 აპრილის N2/1/631 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, 28, 29.

<sup>1404</sup> N2/1/631 გადაწყვეტილება, II-81.

არამედ დაცვის უფლებასაც. ასეთ შემთხვევაში „ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვა უფლების დარღვევას იწვევს სწორედ იმის გამო, რომ პირს საერთოდ არ აქვს მტკიცებულებების წარდგენის, საკუთარი პოზიციის პირადად ან დამცველის მეშვეობით დაფიქსირების, დაცვის შესაძლებლობა.“<sup>1405</sup>

## **10. სისხლის სამართლის პროცესის სამართლებრივსახელმწიფოებრივი სტანდარტები**

სახელმწიფო ფლობს მონოპოლიას იძულების გამოყენებაზე. სახელმწიფოს ვალდებულება ქმედითი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან და იძულების გამოყენებაზე სახელმწიფო მონოპოლიიდან.<sup>1406</sup> სამართლიანობის აღსრულება შესაძლებელია მხოლოდ ამგვარად. სამართლებრივი სახელმწიფო მოითხოვს დამნაშავის კანონის ფარგლებში დევნას და სამართლიან დასჯას.<sup>1407</sup> საკონსტიტუციო სასამართლო ვრცლად მიმოიხილავს ამ თემას. ის, პირველ რიგში, მიუთითებს სახელმწიფოს მონოპოლიაზე სამართალდამრღვევთა დევნისა და პასუხისგებაში მიცემის სფეროში. საკონსტიტუციო სასამართლო გამოჰყოფს ვალდებულებებს, რაც ეკისრება სახელმწიფოს ამ კუთხით: ადამიანის უფლებათა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა კომპეტენტური ორგანოების საშუალებით; მიზნობრივი,

<sup>1405</sup> N3/1/574, II-95.

<sup>1406</sup> Hofmann, GG, Art. 20, Rn. 69; Robbers, BK, Art. 20, Rn. 1827; Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 214; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 511; BVerfGE 29, 183 (194); 33, 367 (383); 51, 324 (343 f.); 100, 313 (388 f.); 106, 28 (49); 107, 104 (118 f.).

<sup>1407</sup> Hofmann, GG, Art. 20, Rn. 69; Robbers, BK, Art. 20, Rn. 1829; BVerfGE 33, 367 (383); 38, 105 (115 f.); 41, 246 (250); 51, 324 (343).

ეფექტიანი და სამართლიანი დევნის, გამოძიებისა და მართლმსაჯულების განხორციელება; სამართალდაღვევათა გამოვლენა და სამართალდამრღვევის სწორად იდენტიფიცირება; უსამართლო ბრალდების/მსჯავრდებისა და ადამიანებისა და საზოგადოებისათვის საფრთხეების პრევენცია; საქმის მართებული გადაწყვეტა და სამართალდამრღვევზე პროპორციული პასუხისმგებლობის დაკისრება; დაზარალებულის ინტერესების სათანადო დაცვა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა.<sup>1408</sup>

ძირითადი უფლებების დაცვა მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას სისხლის სამართლის სფეროში. „სისხლის სამართლის დევნის პროცედურები ადამიანის თავისუფლებაში ინტენსიური ჩარევის თავისთავადი კანონზომიერებით ხასიათდება, ამიტომ ასევე კანონზომიერია მოთხოვნა სამართლებრივ სახელმწიფოში, შეიქმნას ყველა საჭირო ბერკეტი, მექანიზმი, რათა თავიდან იქნეს აცილებული პირის უსაფუძვლო, უსამართლო დევნა და პასუხისგებაში მიცემა.“<sup>1409</sup> აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის პროცესში მოქმედებს რიგი პრინციპებისა, რომლებიც აძლიერებს პირის მდგომარეობას და იცავს მას სახელმწიფო თვითნებობისაგან. განსაკუთრებით გამოჰყოფენ ისეთ პრინციპებს, როგორიცაა: *nulla poena sine lege, ne bis in idem, in dubio pro reo*, უდანაშაულობის პრეზუმფცია, დაცვა თვითინკრინაციისაგან, ასევე თავისუფლების აღკვეთის ფორმალურ წინაპირობებს და ა. შ.<sup>1410</sup>

საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „ადამიანის თავისუფლება დაცულია.“ ამ მუხლის სხვა ნორმები ადგენს თავისუფლების აღკვეთის ან სხვაგვარი შეზღუდვის ფორმალურ და პროცესუალურ პირობებს, რაც იძლევა პირის ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებას.

<sup>1408</sup> N1/8/594, II-20, 23, 29.

<sup>1409</sup> იქვე, II-27.

<sup>1410</sup> დანვრილებით იხ.: Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 196 ff.

ამ პირობებს განეკუთვნება: სასამართლოს დათქმა თავისუფლების აღკვეთისას ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვისას;<sup>1411</sup> პირის დაკავებასთან და დაპატიმრებასთან დაკავშირებული ვადებისა და ფორმალურ-კომპეტენციური ხასიათის მკაფიო და მკაცრი რეგულირებები;<sup>1412</sup> დაკავებისთანავე პირისათვის მისი უფლებებისა და დაკავების საფუძვლის განმარტების ვალდებულება;<sup>1413</sup> პირის უფლება, დაკავებისთანავე ისარგებლოს დამცველის დახმარებით;<sup>1414</sup> ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადის მკაცრი შეზღუდვა.<sup>1415</sup> ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის თავისუფლება გარანტირებული არის არა მხოლოდ მატერიალური ნორმით, არამედ პროცესუალურ ნორმათა ერთობლიობით. ეს გარემოება ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულ ადგილს ძირითადი უფლებების სისტემაში.<sup>1416</sup>

*უდანაშაულობის პრეზუმფცია* არის კავშირში სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან.<sup>1417</sup> პირი უნდა განიხილებოდეს, როგორც უდანაშაულო, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით დასრულებამდე.<sup>1418</sup> როგორც წესი, დაუშვებელია ბრალდებულის ვინაობის გახმაურება.<sup>1419</sup>

---

<sup>1411</sup> მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>1412</sup> მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>1413</sup> მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის პირველი წინადადება.

<sup>1414</sup> მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადება.

<sup>1415</sup> მე-13 მუხლის მე-5 პუნქტი.

<sup>1416</sup> N2/1/415 გადაწყვეტილება, II-1.

<sup>1417</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 148; Jarass, GG, Art. 20, Rn. 108; Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 219; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 198; BVerfGE 19, 342 (347); 38, 105 (114 f.); 74, 358 (370); 110, 1 (22 f.).

<sup>1418</sup> BVerfGE 74, 358 (370 ff.).

<sup>1419</sup> Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 148; Jarass, GG, Art. 20, Rn. 108.

საქართველოს კონსტიტუცია უძღვნის სპეციალურ ნორმას უდანაშაულობის პრეზუმფციას – „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.“<sup>1420</sup> საკონსტიტუციო სასამართლო გამოჰყოფს უდანაშაულობის პრეზუმფციის სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან კავშირის სხვადასხვა ასპექტებს. უდანაშაულობის პრეზუმფცია იცავს პირს მიკერძოებული და წინასწარ შექმნილი მოსაზრებების გავლენის ქვეშ მყოფი სასამართლო განხილვისაგან. ის, ამ კუთხით, უზრუნველყოფს სამართლიან სასამართლო განხილვას.<sup>1421</sup> უდანაშაულობის პრეზუმფციის საშუალებით ასევე ხდება სახელმწიფოს გონივრული შეკავება სისხლის სამართლის პროცესში და პირის დაცვა სახელმწიფო ორგანოების შესაძლო თვითნებობისაგან.<sup>1422</sup>

*მტკიცების ტვირთი* ცალსახად ეკისრება ბრალდების მხარეს – „არავინ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.“<sup>1423</sup> საკონსტიტუციო სასამართლო თვლის ამ ნორმას უდანაშაულობის პრეზუმფციის დამხმარე საპროცესო გარანტიად.<sup>1424</sup>

პრინციპს *in dubio pro reo* ითვალისწინებს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტი – „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.“ ამ პრინციპს ლოგიკურად განაგ-

<sup>1420</sup> 31-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

<sup>1421</sup> N3/1/633, 634 გადაწყვეტილება, II-31; N2/7/636 გადაწყვეტილება, II-31, 32.

<sup>1422</sup> N2/7/636 გადაწყვეტილება, II-33.

<sup>1423</sup> კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

<sup>1424</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 25 ნოემბრის N1/13/711 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ლოგუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8; N2/7/636 გადაწყვეტილება, II-32.

რცობს მოთხოვნა, რომ „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი – უტყუარ მტკიცებულებებს.“ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს ამ დანაწესს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ საფუძვლად, რადგანაც „სამართლებრივი სახელმწიფო გულისხმობს ისეთი სამართლებრივი სისტემის არსებობას, რომლის პირობებშიც პირის წინააღმდეგ განხორციელებული მართლმსაჯულების ღონისძიებები – ბრალდება და პასუხისმგებლობის დაკისრება უნდა განხორციელდეს ადეკვატური სტანდარტების შესაბამისად“.<sup>1425</sup> კონსტიტუცია უწესებს სახელმწიფოს სისხლის სამართლის პროცესში უტყუარობის მტკიცებულებით სტანდარტს, რომლის მიზანია სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა.<sup>1426</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მტკიცებულებათა უტყუარობას არ აქვს ფორმალური ნიშნები და ის ექვემდებარება შეფასებას კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. ეს შეფასება უნდა განახორციელოს საერთო სასამართლომ. ამ დროს საერთო სასამართლომ უნდა შეაფასოს მტკიცებულებები არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ შინაარსობრივად და მატერიალური კრიტიკის საფუძველზე.<sup>1427</sup> ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ ჩამოაყალიბა უტყუარობის კონსტიტუციური სტანდარტის შემდეგი მოთხოვნები: საეჭვო მტკიცებულების დაუშვებლობა; ეჭვის გამორიცხვა მტკიცებულების გაყალბების ან არსებითი ნიშან-თვისებების დაკარგვის შესახებ; საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტისა და გარემოების დადასტურება მხოლოდ

<sup>1425</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის N1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

<sup>1426</sup> N1/1/650, 699 გადაწყვეტილება, II-37.

<sup>1427</sup> იქვე, II-39, 42.

სანდო წყაროდან მიღებული და გადამონმეხული ინფორმაციის საფუძველზე.<sup>1428</sup>

პრინციპი *ne bis in idem* აღიარებულია კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტით – „არავის დაედება განმეორებით მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.“ საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს ამ პრინციპს, როგორც ინდივიდის სახელისუფლებო თვითნებობისაგან დაცვის უმნიშვნელოვანეს გარანტიას. ეს მეტყველებს მის კავშირზე სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან. საკონსტიტუციო სასამართლო გამოჰყოფს განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის პრინციპის სამ ასპექტს: (1) *სუბიექტური ასპექტი* – ინდივიდის დაცვა ერთი და იმავე ქმედების გამო განმეორებითი სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდებისაგან; (2) *ობიექტური ასპექტი* – სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესში მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებით სახელმწიფო ორგანოების ბოჭვა; (3) *პროცესუალური ასპექტი* – სახელმწიფო ორგანოთა პასუხისმგებლობა სისხლისსამართლებრივი დევნის სათანადოდ განხორციელებაზე.<sup>1429</sup> საკონსტიტუციო სასამართლო ასახელებს სამ *ელემენტს*, რომლთა არსებობის შემთხვევაში არსებობს განმეორებითი მსჯავრდება: „ა) პირის მიმართ უნდა არსებობდეს დასრულებული სისხლისსამართლებრივი პროცედურა კონკრეტულ დანაშაულთან მიმართებით, ბ) მას უნდა ემუქრებოდეს „განმეორებით“ მსჯავრდება (bis), გ) „ერთი და იმავე დანაშაულისათვის“ (idem).“<sup>1430</sup> *პირველადი მსჯავრდება დასრულებულად ითვლება* ორ შემთხვევაში: (1) საქმის არსებითი განხილვის შედეგად გადაწყვეტილების მიღებისას; (2) სისხლისსამართლებრივი პროცედურების დასრულებისას, რაშიც იგულისხმება, მაგალითად, გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ არასაკმარის

<sup>1428</sup> N1/1/548 გადაწყვეტილება, II-7.

<sup>1429</sup> N3/1/608, 609 გადაწყვეტილება, II-35.

<sup>1430</sup> N2/7/636 გადაწყვეტილება, II-9.

მტკიცებულებათა, დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის გასვლის, შეწყალების ან ამნისტიის გამო.<sup>1431</sup> „განმეორებით“ მსჯავრდება ითვლება სასჯელის ან სხვა იძულებითი ღონისძიების განმეორებით დაკისრება ერთი და იგივე სამართალდარღვევისათვის. სხვა ღონისძიების გამოყენება ითვლება მსჯავრის დადებად, თუ ის უტოლდება სისხლისსამართლებრივი ხასიათის იძულებით ღონისძიებას პირის კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის ინტენსივობით.<sup>1432</sup> ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო არ შემაფარგლავს განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის პრინციპს მხოლოდ სისხლის სამართლის სფეროთი. ის ასევე ადგენს სტანდარტებს „ერთი და იმავე დანაშაულისათვის“ მსჯავრდების იდენტიფიცირებისათვის. ბრალდება უნდა ეფუძნებოდეს „იგივე ან არსებითად იგივე ფაქტობრივ გარემოებებს, რაზეც პირის მიმართ უკვე არსებობს ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება“. ამის გასარკვევად აუცილებელია პირის მსჯავრდებების არსებითი ფაქტობრივი გარემოებების იდენტიფიცირება და მათი არსებითი მსგავსების დადგენა. არსებითი მსგავსება სახეზეა, თუ ქმედება (ქმედებები) ჩადენილია იგივე ადგილას (სივრცითი ელემენტი), იგივე დროის მონაკვეთში (დროითი ელემენტი) და იგივე პირის მიერ.<sup>1433</sup>

კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველი წინადადება ითვალისწინებს პრინციპებს *nullum crimen sine lege* და *nulla poena sine lege* – „არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა.“ პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება შესატყვისი საკანონმდებლო საფუძველის გარეშე დაუშვებელია სამართლებრივ სახელმწიფოში. სამართლებრივი უსაფრთხოების კონტექსტში, უკვე გავამახვილეთ ყურადღება კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მეორე წინ-

<sup>1431</sup> იქვე, II-15.

<sup>1432</sup> იქვე, II-10.

<sup>1433</sup> იქვე, II-13.

ნადადებაზე, რომელიც შეეხება პასუხისმგებლობის დამდგენი ან დამამძიმებელი კანონის უკუძალის აბსოლუტურ აკრძალვას.

საკონსტიტუციო სასამართლო აცხადებს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის გამოხატულებად კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტს – „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.“ მისი განმარტებით, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი ავალდებულებს სახელმწიფოს ისეთი მტკიცებების წესის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების უტყუარად დადგენას და კონკრეტული პირის სამართლიან მსჯავრდებას.<sup>1434</sup> ბრალდებული დაცულია სახელმწიფოს ისეთი უკანონო მოქმედებისაგან, როგორცაა კანონის დარღვევით ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება. გარდა ამისა, 31-ე მუხლის მე-10 პუნქტი ემსახურება მმართველობის კანონიერების უზრუნველყოფას სისხლის სამართლის პროცესში.<sup>1435</sup>

თვითნაკრძალვისაგან დაცვა უზრუნველყოფილია კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტით – „არავინ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა სანინაალმდეგო ჩვენება, რომელთა წრე განისაზღვრება კანონით.“ ეს ნორმა იცავს პირს სახელმწიფოს მხრიდან თვითნებობისა და იძულებისაგან, დაიბრალოს დანაშაული ან მისცეს ჩვენება მისთვის ძვირფასი ადამიანების წინააღმდეგ.

## 11. მოსამართლის დამოუკიდებლობა

მოსამართლის დამოუკიდებლობას აქვს უდიდესი მნიშვნელობა სამართლებრივსახელმწიფოებრივი პროცესისა და სასამართლო დაცვის უზრუნველსაყოფად.<sup>1436</sup> მხოლოდ დამოუკიდებელ

<sup>1434</sup> N2/2/579 გადაწყვეტილება, II-1, 2.

<sup>1435</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 425.

<sup>1436</sup> მაგ.: Denninger: „Rechtsstaat“ oder „Rule of law“, 41 (49); Mastronardi, Verfassungslehre, 282.

და მიუკერძოებელ მოსამართლეებს შეუძლიათ კანონების დაცვა და სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღება.<sup>1437</sup> მოსამართლის პერსონალური და საგნობრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნა ითვლება დისტანცირების ზოგადი სამართლებრივსახელმწიფოებრივი პრინციპის გამოხატულებად.<sup>1438</sup> ეს პრინციპი სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირებისაგან, განსაკუთრებით – მოსამართლეებისაგან მოითხოვს ნეიტრალობის შენარჩუნებასა და გარე გავლენებისაგან დისტანცირებას.

მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპი იცავს არა მხოლოდ ცალკეულ მოსამართლეებს, არამედ სასამართლოს, როგორც ინსტიტუციას.<sup>1439</sup> სასამართლო სისტემის ინსტიტუციური დასუსტება იწვევს მოსამართლის დამოუკიდებლობის ხელყოფას. თავის მხრივ, იმ მოსამართლის საქმიანობა, რომელიც დამოუკიდებელი არ არის, აზიანებს მთელ სასამართლო სისტემას და მის ავტორიტეტს. სასამართლო სისტემა ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ პრინციპულ საკითხებზე დამოუკიდებელი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება არ იყოს მოსამართლის გმირობის ტოლფასი. მოსამართლის დამოუკიდებლობა დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში უზრუნველყოფილია მისი და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლის, თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის რისკის შექმნის გარეშე.<sup>1440</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს მოსამართლის დამოუკიდებლობას სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპად. ეს პრინციპი, სხვა მოთხოვნებთან ერთად, კრძალავს ჩარევას მოსამართლის პროფესიულ საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში მასზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით.

<sup>1437</sup> Heyde, *Rechtsprechung*, 1579 (1580).

<sup>1438</sup> Sobota, *Das Prinzip Rechtsstaat*, 509.

<sup>1439</sup> Kunig, *Rechtsstaat*, 421 (438).

<sup>1440</sup> Loladze, *Rechtsstaatsprinzip*, 426.

მოსამართლე უნდა დისტანცირდებოდეს როგორც სახელმწიფო ხელისუფლებისაგან, ასევე სახვადასხვა საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ჯგუფებისა და კერძო ინტერესებისაგან.<sup>1441</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს ეს პოზიცია მართებულია. მოსამართლის დამოუკიდებლობის ხელყოფა, იმავდროულად, პირდაპირ ან ირიბადი არღვევს სამართლებრივი სახელმწიფოს ელემენტებს. ამის პრევენციისათვის საჭირო არის ჩამოყალიბდეს ისეთი გარემო, რომელიც მაქსიმალურად ეფექტიანად დაიცავდა მოსამართლის დამოუკიდებლობას როგორც სამართლებრივად, ასევე ინსტიტუციურად.<sup>1442</sup> არსებობს მოსამართლეზე გავლენის მოხდენის სხვადასხვა შესაძლებლობები, მაგალითად მოსამართლეთა დანიშვნისა და დანიშნულების, ასევე მათი დისციპლინური ზედამხედველობისა და დევნის ბოროტად გამოყენება.<sup>1443</sup> მოსამართლის დამოუკიდებლობის მხარდამჭერი გარემოს შექმნა საჭიროებს ამ და სხვა გამოწვევების დაძლევას.

---

<sup>1441</sup> N2/482, 483, 487, 502 გადაწყვეტილება, II-66.

<sup>1442</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 426.

<sup>1443</sup> Heyde, Rechtsprechung, 1579 (1616).

# თავი XIII. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება

## 1. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მნიშვნელობა და მისია სამართლებრივ სახელმწიფოში

საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ინსტიტუტს აქვს გამორჩეული მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის რეალიზებისათვის. კონსტიტუციის დაცვა და ამით სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვა აუცილებელია თანამედროვე სამართლებრივ სახელმწიფოში.<sup>1444</sup> საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც დამოუკიდებელი მაკონტროლებელი ინსტიტუცია, ასრულებს წამყვან როლს ამ კუთხით.<sup>1445</sup> სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვების დადგენა კონსტიტუციით და მათი შესრულების კონტროლი განეკუთვნება სამართლებრივი სახელმწიფოს არსს.<sup>1446</sup> განსაკუთრებით გამოჰყოფენ საკონსტიტუციო მართლმსაჯულების უფლებამოსილებების მნიშვნელობას ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში.<sup>1447</sup> აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას მოიხსენიებენ, როგორც „სამართლებრივი სახელმწიფოს გვრიგვინს“.<sup>1448</sup>

<sup>1444</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 102.

<sup>1445</sup> Böckenförde E.-W., Verfassungsgerichtsbarkeit, in: Neue juristische Wochenschrift, 52 (1999) 1, 9 (10 f.); Hopfauf A. (Bearb.), Kommentar zum Art. 93 GG, in: Schmidt-Bleibtreu, Bruno/Klein, Franz (Begr.), Hofmann, Hans/Hopfauf, Axel (Hrsg.): GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, Köln 2011, Rn. 4; Meyer W. (Berab.), Kommentar zum Art. 93 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz. Kommentar, Band 2 (Art. 70 bis 146), 6., neu bearbeitete Auflage, München 2012, Rn. 4.

<sup>1446</sup> შეადარე: Hopfauf, GG, Art. 93, Rn. 4.

<sup>1447</sup> მაგ.: Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 28; Karpen, Die geschichtliche Entwicklung, 108; Sachs, GG, Art. 20, Rn. 77; Schachtschneider, Prinzipien, 17; Schulze-Fielitz, GG, Art. 20, Rn. 35, 39.

<sup>1448</sup> Stern, Staatsrecht I, 788.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება მაინც არ ითვლება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის აუცილებელ ელემენტად. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ საკონსტიტუციო მართლმსაჯულების არსებობა მიზანშეწონილია, მაგრამ აუცილებელი არ არის.<sup>1449</sup> ეს მოსაზრება მართებულია იმ შემდგარ სამართლებრივ სახელმწიფოებთან მიმართებით, რომლებსაც არ აქვთ საკონსტიტუციო მართლმსაჯულება. განსხვავებულია ვითარება იმ სახელმწიფოებთან დაკავშირებით, რომელთაც არ გააჩნიათ სამართლებრივსახელმწიფოებრივი და დემოკრატიული განვითარების მდიდარი გამოცდილება, სამართლებრივი და პოლიტიკური კულტურის მაღალი დონე. ამგვარ შემთხვევებში საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს ძირითად ინსტიტუტს კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველსაყოფად, ძირითადი უფლებების დასაცავად და სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნების დასამკვიდრებლად.<sup>1450</sup> ამ ტიპის სახელმწიფოებისათვის, მათ შორის საქართველოსათვის, რელევანტურია, რომ მუდამ იგრძნობოდეს კონსტიტუციის დიდი ავტორიტეტი და ძალა. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის შესაბამისი მოქმედება უნდა ჩამოყალიბდეს აუცილებელ (შინაგან) მოთხოვნად ყველასათვის, მათ შორის ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის. საკონსტიტუციო კონტროლის სისტემას ამაში დიდი წვლილის შეტანა შეუძლია.<sup>1451</sup> მისი ამოცანა არის კონსტიტუციის მოთხოვნებისა და კონსტიტუციური სინამდვილის უნისონში მოყვანა. საკონსტიტუციო სასამართლო ამით აძლიერებს სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ კონსტიტუციურ წესრიგს.<sup>1452</sup> კონსტიტუცია,

<sup>1449</sup> Roellecke, GG, Art. 20, Rn. 65.

<sup>1450</sup> შეადარე: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 57.

<sup>1451</sup> შეადარე: იქვე, 102.

<sup>1452</sup> Federer J., Aufbau, Zuständigkeit und Verfahren des Bundesverfassungsgerichts, in: Das Bundesverfassungsgericht 1951–1971, 2., völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, Karlsruhe 1971, 59 (82).

რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს ეფუძნება, საჭიროებს საკონსტიტუციო სასამართლოს.<sup>1453</sup>

თანამედროვე დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოებში არ მოქმედებს საკონსტიტუციო მართლმსაჯულების უნიფიცირებული მოდელი. მიუხედავად ამისა, დიდი მსგავსება არსებობს სხვადასხვა ქვეყნებს საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ორგანოთა მიზნებს შორის. ამ მიზნებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: კონსტიტუციის უზენაესობის განმტკიცება,<sup>1454</sup> ძირითადი უფლებების დაცვა,<sup>1455</sup> ძალაუფლების ჰორიზონტალური და ვერტიკალური დაბალანსება,<sup>1456</sup> თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის უზრუნველყოფა.<sup>1457</sup>

დემოკრატიული და სამართლებრივსახელმწიფოებრივი სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება წარმოუდგენელია კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფის გარეშე. კონსტიტუციის უზენაესობის დაცვა, როგორც აღვნიშნეთ, არის საკონსტიტუციო მართლმსაჯულების იდეის საფუძველი და მიზანი.<sup>1458</sup> აქედან გამომდინარეობს, რომ კონსტიტუცია და საკონსტიტუციო მართლმსაჯულება მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს.<sup>1459</sup> საკონსტიტუციო

<sup>1453</sup> მო დ., უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის გამოყენება და დიალოგი საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, N2, 2010, 3 (5).

<sup>1454</sup> მაგ.: Meyer, GG, Art. 93, Rn. 4; Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 44; Stern K., Kommentar zum Art. 93 GG, in: Dolzer, Rudolf /Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), Band 12 (Art. 89–104), Heidelberg seit 1950, Rn. 37; BVerfGE 6, 32 (41).

<sup>1455</sup> Brohm W., Die Funktion des BVerfG – Oligarchie in der Demokratie? in: Neue juristische Wochenschrift, 54 (2001) 1, 1 (3); Meyer, GG, Art. 93, Rn. 4.

<sup>1456</sup> მაგ.: Meyer, GG, Art. 93, Rn. 4.

<sup>1457</sup> იქვე.

<sup>1458</sup> შეადარე: Voßkuhle A. (Bearb.), Kommentar zum Art. 93 GG, in: Mangoldt, Hermann von(Begr.)/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 3, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010, Rn. 17.

<sup>1459</sup> Stern, BK, Art. 93, Rn. 36.

სასამართლო, ამ კონტექსტში, წარმოჩინდება, როგორც კონსტიტუციის მცველი,<sup>1460</sup> მისი დაცვის სპეციფიური ფორმა<sup>1461</sup> და კონსტიტუციაზე დაფუძნებული სახელმწიფოებრიობის იდეის გვირგვინი.<sup>1462</sup> კონსტიტუციის უზენაესობა გადაიქცეოდა უშინაარსო და უშედეგო დეკლარაციად საკონსტიტუციო მართლმსაჯულების გარეშე,<sup>1463</sup> რადგანაც არ იარსებებდა მისი დაცვის ერთ-ერთი მთავარი საშუალება. თავის მხრივ, კონსტიტუციის უმაღლესი ძალა განაპირობებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებების უმაღლეს ძალასა და განსაკუთრებულ ეფექტს.<sup>1464</sup>

საკონსტიტუციო მართლმსაჯულება არის სახელმწიფო ხელისუფლების პერმანენტული „გამოფხიზლების“ ინსტრუმენტი, რათა მან არ გადაუხვიოს კონსტიტუციის მოთხოვნებიდან და არ გასცდეს სამართლებრივი სახელმწიფოს ფარგლებს.<sup>1465</sup> საკონსტიტუციო მართლმსაჯულების აქტივობა იცავს სამართალსა და საზოგადოებას სტაგნაციისაგან.<sup>1466</sup> ის, სტაბილურობასთან ერთად, ამკვიდრებს საკონსტიტუციოსამართლებრივი განვითარების პოზიტიურ დინამიკასაც. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება ახორციელებს კონსტიტუციის სისტემატურ აქტუალიზაციას სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის, მათი პოზიტიური განვითარების ტენდენციების კვალობაზე.<sup>1467</sup>

<sup>1460</sup> Hopfau, GG, Art. 93, Rn. 10; Mastronardi, Verfassungslehre, 281; Zippe-  
lius, Deutsches Staatsrecht, 518; Stern, BK, Art. 93, Rn. 38; BVerfGE 1, 184  
(195 ff.); 2, 124 (131); 40, 88 (93). კრიტიკულად: Hesse, Verfassung und Ver-  
fassungsrecht, 3 (10).

<sup>1461</sup> Böckenförde, Verfassungsgerichtsbarkeit, 9 (9).

<sup>1462</sup> Stern, BK, Art. 93, Rn. 34.

<sup>1463</sup> Hopfau, GG, Art. 93, Rn. 5.

<sup>1464</sup> იქვე, Rn. 14.

<sup>1465</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 105.

<sup>1466</sup> Müller J. P., Die Verfassungsgerichtsbarkeit im Gefüge der Staatsfunktionen,  
in: Korinek, Karl/Müller, Jörg P./Schlaich, Klaus: Die Verfassungsgerichtsbarkeit  
im Gefüge der Staatsfunktionen, Berlin/New York 1981, 55 (78).

<sup>1467</sup> Hopfau, GG, Art. 93, Rn. 14; Stern, BK, Art. 93, Rn. 36.

საკონსტიტუციო მართლმსაჯულება იცავს კონსტიტუციას მრავალნაირი თვალსაზრისით. ის უზრუნველყოფს კონსტიტუციის ორგანიზაციული და პროცესუალური მოთხოვნების შესრულებას. ამასთან, კონსტიტუციაში უმთავრესი მაინც ღირებულებათა სისტემა არის. კონსტიტუცია, პირველ რიგში, ქმნის ფასეულობათა წესრიგს.<sup>1468</sup> მისი ხელყოფა არღვევს იმ საფუძველს, რასაც სამართლებრივი სახელმწიფო და მისი სტაბილურობა ეყრდნობა.<sup>1469</sup> საკონსტიტუციო მართლმსაჯულება ხელს უშლის მოვლენების ამგვარ განვითარებას და აძლიერებს თავისუფალი, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მდგრადობას.

საკონსტიტუციო მართლმსაჯულება ხშირად იყენებს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს, როგორც შეფასების მასშტაბს. მაგალითად, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართო ეყრდნობა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს კონსტიტუციის ნორმების იერარქიის დადგენისას. ის ერთმანეთისაგან განასხვავებს კონსტიტუციის „უბრალო“ და „სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ“ დანაწესებს. გარდა ამისა, ხდება „სამართლებრივსახელმწიფოებრივი“ ნორმების გარკვეული შიდა დიფერენციაცია სამართლებრივი სახელმწიფოსათვის მათი მნიშვნელობის მიხედვით. სამართლებრივი სახელმწიფო ასევე ასრულებს „ზღვარი-სა“<sup>1470</sup> და „ინტერპრეტაციის მაქსიმას“<sup>1471</sup> ფუნქციას. მაშასადამე, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება არა მხოლოდ ემსახურება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განმტკიცებას, არამედ იყენებს მას თავისი ამოცანების შესასრულებლად.<sup>1472</sup>

<sup>1468</sup> Kirchhof P., Die Aufgaben des Bundesverfassungsgerichts in Zeiten des Umbruchs, in: Neue Juristische Wochenschrift, 49 (1996) 23, 1497 (1497).

<sup>1469</sup> ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი, 47.

<sup>1470</sup> Kunig, Rechtsstaatsprinzip, 248.

<sup>1471</sup> იქვე, 246.

<sup>1472</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 106.

კონსტიტუციის უზენაესობის დაცვა მოითხოვს პრინციპულობას საკონსტიტუციო სასამართლოსაგან. მან უნდა შეაჩეროს ის პროცესები, რომლებიც საფრთხეს უქმნის კონსტიტუციას და შესაბამისად, სამართლებრივ სახელმწიფოს, დემოკრატიულ და თავისუფალ კონსტიტუციურ წესრიგს.<sup>1473</sup> მარტოოდენ ხელისუფალთა მართლშეგნების იმედზე ყოფნა მცდარი გზა იქნებოდა ამგვარ შემთხვევებში. ძალაუფლებას ახლავს ძალიან დიდი ცდუნება, ამიტომ ნაკლებად უნდა გვექონდეს იმის მოლოდინი, რომ ძალაუფლების მქონენი ნებაყოფლობით დაემორჩილებიან სამართლებრივ შეზღუდვებს. კონსტიტუციის ნორმატიულ ძალას რეალობად საკონსტიტუციო მართლმსაჯულება გარდაქმნის.<sup>1474</sup>

საკონსტიტუციო მართლმსაჯულება ასრულებს ერთგვარ ფსიქოლოგიურ ფუნქციას სამართლებრივი სახელმწიფოს გაძლიერებისათვის. დამოუკიდებელი, პრინციპული, კვალიფიციური და ავტორიტეტული საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო აძლიერებს თავისუფლების შეგრძნებასა და სამართლიანობის რწმენას ინდივიდებში. ის აძლევს მათ ფსიქოლოგიურ სტიმულსა და გამბედაობას თავიანთი თავისუფლების დაცვისას უსამართლობასთან ბრძოლაში. ამასთან, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება თავისუფლებას აქცევს გონივრულ საზღვრებში, აქტიურად იყენებს რა თავის საქმიანობაში სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპსა და მის ელემენტებს, განსაკუთრებით – თანაზომიერების პრინციპს.<sup>1475</sup> ამ კონტექსტში, საინტერესოა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ამოცანასთან დაკავშირებით ხატოვნად და მარტივად ჩამოყალიბებული მოსაზრება: „ის იცავს მოქალაქის უფლებას ამტკიცოს, რომ ორჯერ ორი სამია; ის უბიძგებს მოქალაქეს დაფიქრდეს თეზაზე,

<sup>1473</sup> Benda E., Klein E., *Verfassungsprozessrecht. Ein Lehr- und Handbuch*, 3., völlig neu bearbeitete Auflage, Heidelberg 2012, 1.

<sup>1474</sup> Stein, Götz, *Staatsrecht*, 184.

<sup>1475</sup> შეადარე: Loladze, *Rechtsstaatsprinzip*, 106.

რომ ორჯერ ორი ოთხია; ის უზრუნველყოფს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება წარმართოს პრინციპით, რომ ორჯერ ორი ოთხია.“<sup>1476</sup>

საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას აქვს სტაბილიზაციისა და მშვიდობის დამკვიდრების ფუნქცია. მას გადაჰყავს შესაძლო სახელისუფლებო და სოციალური კონფლიქტები საკონსტიტუციო-სამართლებრივი გადანყვეტის სფეროში.<sup>1477</sup> ამით ხდება ნეგატიური შედეგების თავიდან აცილება და დავების სამართლებრივი გადანყვეტა. ამგვარად, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება აძლიერებს სამართლიანობაზე დაფუძნებულ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ სტაბილურობას.<sup>1478</sup>

საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, ერთი მხრივ, ემსახურება კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფის ობიექტურ მიზანს, ხოლო, მეორე მხრივ, ის წარმოადგენს სუბიექტური სამართლებრივი დაცვის მნიშვნელოვან საშუალებას და სამართლებრივი დაცვის სისტემის მწვერვალს.<sup>1479</sup> სახელმწიფო ორგანოთა აქტებისაგან სუბიექტური სამართლებრივი დაცვა არის სამართლებრივი სახელმწიფოს არსებითი ნიშანი.<sup>1480</sup> სწორედ აქ გადის მკაფიო მიჯნა კონსტიტუციურ სახელმწიფოსა და სხვა ტიპის სახელმწიფოებს შორის. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი წარმოადგენს კონსტიტუციური სახელმწიფოს ჩამოყალიბების ერთადერთ გზას. „სამართლებრივი სახელმწიფო სახელმწიფოსაგან ქმნის კონსტიტუციურ სახელმწიფოს.“<sup>1481</sup> ამ მიმართებით, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება არის განსაკუთრებული უფლებამოსილებებითა და მნიშვნელოვანი გავლენით აღჭურვილი ინსტიტუტი. მართებულად აღნიშნავენ, რომ მატერიალური კონ-

<sup>1476</sup> Kirchhof, Die Aufgaben des BVerfG, 1497 (1505).

<sup>1477</sup> Müller, Die Verfassungsgerichtsbarkeit, 55 (85).

<sup>1478</sup> Simon, Verfassungsgerichtsbarkeit, 1637 (1661).

<sup>1479</sup> შეადარე: Hopf auf, GG, Art. 93, Rn. 4; Mastronardi, Verfassungslehre, 282.

<sup>1480</sup> Sobota, Das Prinzip Rechtsstaat, 478.

<sup>1481</sup> Mastronardi, Verfassungslehre, 279.

სტიტუციური სახელმწიფოს დამკვიდრების ისტორია, არის საკონსტიტუციო მართლმსაჯულების გამარჯვების ისტორიაც.<sup>1482</sup>

საკონსტიტუციო მართლმსაჯულება დაცულია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპით და თავის მხრივ, მოქმედებს სამართლებრივი სახელმწიფოს დასაცავად. ის, ერთი მხრივ, არის ძალაუფლების დაბალანსების სისტემის ნაწილი, ხოლო მეორე მხრივ, თავად ექვემდებარება დაბალანსებას სამართლებრივი სახელმწიფოს ინტერესებში. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, როგორც გამანონსნორებელი ფაქტორი, ხშირად აღმოჩნდება ხოლმე სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის პრინციპებს შორის დაპირისპირების ველზე. ის საკონსტიტუციოსამართლებრივ ფილტრში ატარებს უმრავლესობის მიერ დემოკრატიულად მიღებულ გადაწყვეტილებებს.<sup>1483</sup>

საკონსტიტუციო მართლმსაჯულება შეიძლება თავად გახდეს დემოკრატიულად განხორციელებული ცვლილებების ობიექტი, რომლებიც მის ფორმას ან შინაარსს შეეხება.<sup>1484</sup> მან უნდა შეინარჩუნოს ავტორიტეტი ამ პროცესში და ადაპტირდეს იმ სიახლეებთან, რომელსაც დემოკრატია, როგორც განახლების ინსტრუმენტი, კონსტიტუციასთან შესაბამისი ფორმით გვთავაზობს.<sup>1485</sup>

საკანონმდებლო აქტები, როგორც წესი, ექვემდებარებიან საკონსტიტუციო კონტროლს. ზოგიერთი ავტორის აზრით, ეს ეწინააღმდეგება ძალაუფლების გამიჯვნის კლასიკურ სისტემას.<sup>1486</sup> ეს მოსაზრება განსაკუთრებით გავრცელებული არის იმ ქვეყნებში, სადაც მყარადაა ფესვგადგმული პარლამენტის უზენაესობის იდეა.<sup>1487</sup> ერთი შეხედვით, გარკვეული წინააღმდეგობა მართლაც

<sup>1482</sup> Voßkuhle, GG, Art. 93, Rn. 13.

<sup>1483</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 107.

<sup>1484</sup> Mastronardi, Verfassungslehre, 289.

<sup>1485</sup> შეადარე: Kirchhof, Die Aufgaben des BVerfG, 1497 (1505).

<sup>1486</sup> Doehring, Allgemeine Staatslehre, 191.

<sup>1487</sup> Simon, Verfassungsgerichtsbarkeit, 1637 (1644).

არსებობს. ამასთან, დაუშვებელია იმ როლის იგნორირება, რასაც საკონსტიტუციო მართლმსაჯულება ასრულებს ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის დასაცავად.<sup>1488</sup>

სამართლებრივ სახელმწიფოში კანონმდებელი არ არის შეუზღუდავი. მან პატივი უნდა სცეს კონსტიტუციის უზენაესობას, რასაც საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ინსტიტუტი ეფუძნება.<sup>1489</sup> კონსტიტუციით შეზღუდვა და ამასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო კონტროლი არათუ ნეგატიურია, არამედ პოზიტიური და აუცილებელიცაა ძალაუფლების განწინასწორებისათვის. ის უქვემდებარებს ყველა შტოს, გამონაკლისის გარეშე, ღირებულებათა ერთიან წესრიგს და ადგენს თამაშის უნივერსალურ წესებს.<sup>1490</sup>

საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას შეუძლია დემოკრატიულად მიღებული გადაწყვეტილებების შემოწმება და გაუქმება. ეს, გარკვეულწილად, ზღუდავს დემოკრატიას. ამავდროულად, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება ამ ფორმით აბრკოლებს დემოკრატიის გადაგვარებას უმრავლესობის თვითნებობად და ხელს უწყობს მის გაძლიერებას.<sup>1491</sup> ის ახორციელებს „უმცირესობის ქმედითი დაცვის ფუნქციას უმრავლესობის თავდასხმებისაგან, რომლის მმართველობაც მხოლოდ იმის გამოა ასატანი, რომ ის მართლზომიერად ხორციელდება.“<sup>1492</sup> აქ მოქმედებს პრინციპი, რომლის თანახმადაც შეიძლება დაეყრდნო იმას, რაც წინააღმდეგობას გიწევს. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება თამაშობს ამ პოზიტიური წინააღმდეგობის როლს როგორც დემოკრატიის, ასევე ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპისათვის.<sup>1493</sup>

<sup>1488</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 107 f.

<sup>1489</sup> იზორია, კორკელია, კუბლაშვილი ხუბუა, კომენტარები, 345; Simon, Verfassungsgerichtsbarkeit, 1637 (1661); Stern K., Verfassungsgerichtsbarkeit im Widerstreit, Passau 1979, 8.

<sup>1490</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 108.

<sup>1491</sup> შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, 286.

<sup>1492</sup> Kelsen, Wesen und Entwicklung der Staatsgerichtsbarkeit, 50.

<sup>1493</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 108.

საკონსტიტუციო მართლმსაჯულების, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტისა და კონსტიტუციის ინტერპრეტატორის, აუცილებლობა განსაკუთრებით იზრდება საპარლამენტო რესპუბლიკაში.<sup>1494</sup> ამ სისტემაში ძალაუფლების წონასწორობის ცენტრი გადანაცვლებული არის ხელისუფლების შტოებს შორის დაბალანსებიდან პოლიტიკურ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის დაბალანსებისკენ. ამ პირობებში იზრდება საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც უმცირესობის დაცვის არსებითი ფაქტორის,<sup>1495</sup> მნიშვნელობა, ასევე მისი გავლენა კონსტიტუციური წონასწორობის შენარჩუნებაზე.<sup>1496</sup> ამასთან დაკავშირებით რელევანტურია *კელზენის* სიტყვები: „თუ დემოკრატიის არსს დავინახავთ არა უმრავლესობის შეუზღუდავ ბატონობაში, არამედ მუდმივ კომპრომისში პარლამენტში უმრავლესობითა და უმცირესობით წარმოდგენილ ხალხის ჯგუფებს შორის, მაშინ საკონსტიტუციო მართლმსაჯულება ამ იდეის განსახორციელებლად განსაკუთრებით გამოსადეგი საშუალებაა.“<sup>1497</sup> ქართული გამოცდილებისა და არსებული ავტორიტარული რისკების გათვალისწინებით, უნდა გავიზიაროთ *კარლ დოერინგის*<sup>1498</sup> გაფრთხილება: „მაშასადამე, ვინც საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც სახელმწიფო ორგანოს, უარყოფს, უნდა იცოდეს, რომ საპარლამენტო მმართველობის ფორმა ამ შემთხვევაში საშიში ხდება.“<sup>1499</sup>

<sup>1494</sup> დანვრლებით იხ.: Doehring, *Allgemeine Staatslehre*, 195.

<sup>1495</sup> Stern, *Verfassungsgerichtsbarkeit im Widerstreit*, 9.

<sup>1496</sup> ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა. (რედ.), საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი 2022, 230.

<sup>1497</sup> Kelsen, *Wesen und Entwicklung der Staatsgerichtsbarkeit*, 51.

<sup>1498</sup> ცნობილი გერმანელი კონსტიტუციონალისტი და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი (1919–2011).

<sup>1499</sup> Doehring, *Allgemeine Staatslehre*, 196.

## 2. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების როლი საკონსტიტუციოსამართლებრივ დინამიკაში

კონსტიტუცია არ არის უცვლელი და სტატიკური. ის საჭიროებს დინამიკას, განვითარებასა და წინსვლას. კონსტიტუციის პროგრესული და ეპოქის სულისკვეთებასთან შესატყვისი ინტერპრეტაცი ნარმოადგენს ძირითად საშუალებას ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად. საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციის მთავარ ინტერპრეტატორს, აქვს წამყვანი ფუნქცია ამ მიმართულებით.<sup>1500</sup> აშშ-ის კონსტიტუციასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ ის შედგება არა მარტო ნორმებისაგან, არამედ აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა 550-ზე მეტი ტომისაგან.<sup>1501</sup> ეს მოსაზრება, ცხადია, შესაბამისი სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიძლება გავავრცელოთ სხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციებზე და საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ორგანოებზე.

სამართლებრივი სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა დიდწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად აუწყობს ის ფეხს საზოგადოებრივ განვითარებასა და თავისუფლების მუდმივად მზარდ მასშტაბებს. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო მართლმსაჯულებამ დროულად უნდა შენიშნოს თითოეული პოზიტიური ტენდენცია, წამოაყენოს ახალი ან გაითვალისწინოს უკვე არსებული პროგრესული იდეები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც უახლოეს წარსულში წარმოუდგენელი იყო. ბუნებრივია, ეს დიდ გამბედაობასთან ერთად, მაღალი დონის პროფესიონალიზმ-საც საჭიროებს.

საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას დიდი წვლილი შეაქვს საზოგადოებრივ და სამეცნიერო დისკუსიაში სამართლებრივ სა-

<sup>1500</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 109.

<sup>1501</sup> შვარცი ჰ., კონსტიტუციის მშენებლობის საფეხურები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, N1, 2009, 7–11.

ხელმწიფოსა და მის ელემენტებთან დაკავშირებით. მისი პოზიციები და მოსაზრებები სხვადასხვა მნიშვნელოვანი თემების შესახებ დიდ გავლენას ახდენს სამართლის მეცნიერებისა და მოქალაქეთა მართლშეგნების განვითარებაზე. სამართლებრივი სახელმწიფოს სხვადასხვა საკითხების სამეცნიერო ან საზოგადოებრივი განხილვისას ხშირად ეყრდნობიან საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პოზიციას, როგორც ამოსავალ წერტილს ან პოზიტიური თუ ნეგატიური შეფასების ობიექტს. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების გავლენა მეცნიერებაზე ხანდახან ისეთი ძლიერია, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიტივიზმზეც“ კი საუბრობენ.<sup>1502</sup>

### **3. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების კონცენტრირებული მოდელის დამკვიდრება საქართველოში**

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია ითვალისწინებდა სამართლებრივი სახელმწიფოს ისეთ მნიშვნელოვან ელემენტს, როგორც კონსტიტუციის უზენაესობა, რაზეც უკვე გავამახვილეთ ყურადღება კონსტიტუციით შეზღუდვის პრინციპზე მსჯელობისას. კონსტიტუციის ნორმები ქმნიდა ზოგად საფუძველს საკონსტიტუციო კონტროლის განსახორციელებლად, მაგრამ 1921 წლის კონსტიტუცია არ ითვალისწინებდა ამ ინსტიტუტს.

კონსტიტუციის რეალური უზენაესობა და საკონსტიტუციო მართლმსაჯულება არ არსებობდა საბჭოთა ოკუპაციის პირობებში. ამ პერიოდს შეიძლება ვუწოდოთ „მკვდარი კონსტიტუციების ეპოქა“. ე. წ. „გარდაქმნის“ პოლიტიკა დაიწყო მე-20 საუკუნის 80-იანი წლების შუაგულიდან. ეს იყო უფრო საბჭოთა იმპერიის მოდერნიზების წარუმატებელი მცდელობა, ვიდრე რეალური დემოკრატიული რეფორმების გატარება. „გარდაქმნის“ ერთ-ერთ

<sup>1502</sup> Zippelius, Deutsches Staatsrecht, 512.

ნოვაციას წარმოადგენდა კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის შექმნა. კომიტეტის ინსტიტუტი 1978 წლის კონსტიტუციაში შენარჩუნდა კომუნისტური რეჟიმის მარცხისა და კონსტიტუციის მასშტაბური გადასინჯვის შემდეგაც. კომიტეტს ირჩევდა რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. ის იმყოფებოდა უზენაესი საბჭოს დაქვემდებარებაში. კომიტეტის კომპეტენციაში შედიოდა: (1) უზენაესი საბჭოსათვის დასკვნის მომზადება კანონპროექტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე; (2) თვალყურის დევნება ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებისა და კანონების, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების დადგენილებებისა და განკარგულებების, ასევე ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობასა და კანონიერებაზე; (3) დასკვნის მომზადება სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობასა და კანონიერებაზე; (4) დასკვნის მომზადება უმაღლესი თანამდებობის პირთა ქმედებების კონსტიტუციურობასა და კანონიერებაზე. კომიტეტის რეალური ძალაუფლება შეზღუდული იყო, რადგანაც მას არ შეეძლო სავალდებულო გადაწყვეტილების მიღება, არაკონსტიტუციური და უკანონო სამართლებრივი აქტების გაუქმება.<sup>1503</sup> აღსანიშნავია, რომ კომიტეტი რეალურად არ შექმნილა და ამოქმედებულა. ეს ორგანო არის იმის მკაფიო მაგალითი, რომ ის ინსტიტუციები, რომლებიც სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებისათვის მნიშვნელოვანია, კარიკატურულ ფორმას იძენს ავტორიტარიზმის პირობებში.<sup>1504</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუტი საქართველოში დააფუძნა 1995 წლის კონსტიტუციამ. ამას წინ უძღვოდა საკმაოდ

<sup>1503</sup> 119-ე მუხლი.

<sup>1504</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 33.

საინტერესო პროცესი. საკონსტიტუციო კომისიაში არ არსებობდა კონსენსუსი საკონსტიტუციო კონტროლის მოდელთან დაკავშირებით. კომისიის წევრთა ერთი ნაწილი ემხრობოდა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელებას უზენაესი სასამართლოს მიერ. ეს გულისხმობდა *ერთიანი მოდელის* ანუ *დიფუზური საკონსტიტუციო მართლმსაჯულების* შემოღებას. საბოლოოდ, ამ პოზიციის მხარდამჭერები უმცირესობაში აღმოჩნდნენ.<sup>1505</sup> კონსტიტუციამ გაითვალისწინა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების *დაყოფის მოდელი* (*კონცენტრირებული საკონსტიტუციო მართლმსაჯულება*), რომელიც დღემდე განაგრძობს არსებობას. ეს მოდელი ეფუძნება *კელზენის* იდეას<sup>1506</sup> და პირველად დამკვიდრდა ჩეხოსლოვაკიაში 1920 წლის თებერვალში.<sup>1507</sup>

ერთიანი მოდელის შემოღება საქართველოში გაუმართლებელი იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკულმა გამოცდილებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების დამკვიდრებაში, მათ შორის ევროპის ქვეყნებში<sup>1508</sup> და ეს მოდელი მოქმედებს ისეთ დემოკრატიულ სახელმწიფოებში, როგორცაა: იაპონია, ავსტრალია, ისრაელი, კანადა, ინდოეთი, ირლანდია, ნორვეგია, შვედეთი, დანია და შვეიცარია.<sup>1509</sup> ქვემოთ გამოვყოფთ რამოდენიმე არგუმენტს, რომელიც გათვალისწინებული იყო საქართველოში საკონსტი-

<sup>1505</sup> ზოიძე, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა ნესრიგი, 182; ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 37–40.

<sup>1506</sup> შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, 284–286; Kelsen, Wesen und Entwicklung der Staatsgerichtsbarkeit, 23 ff.; Voßkuhle, GG, Art. 93, Rn. 15.

<sup>1507</sup> შვარცი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება, 57.

<sup>1508</sup> Zippelius, Deutsches Staatsrecht, 518.

<sup>1509</sup> Böckenförde, Verfassungsgerichtsbarkeit, 9 (14); Hopf auf, GG, Art. 93, Rn. 6; მო, პრაქტიკის გამოყენება და დიალოგი, 3 (6); Müller, Die Verfassungsgerichtsbarkeit, 55 (56); Münch I. v., Das Bundesverfassungsgericht als Teil des Rechtsstaates, Jura 1992, 505 (506); Voßkuhle, GG, Art. 93, Rn. 14.

ტუციო მართლმსაჯულების მოდელის შერჩევასა და დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.<sup>1510</sup>

საკონსტიტუციო მართლმსაჯულების დამოუკიდებელი ორგანო კონცენტრირებულია საკონსტიტუციოსამართლებრივი საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაზე. ეს ხელს უწყობს მისი საქმიანობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებას. ერთიან მოდელში სასამართლოებისათვის პრიორიტეტული არის მათი ზოგადი ამოცანების განხორციელება, ხოლო საკონსტიტუციო კონტროლს აქვს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა.<sup>1511</sup> საქართველოს საერთო სასამართლოები გადატვირთული არიან რუტინული საქმეებით, რაც ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის საკონსტიტუციოსამართლებრივ საკითხებზე მათ შესატყვის კონცენტრირებას.

აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლი არ ხორციელდება ერთიან მოდელში. ერთიან მოდელზე არჩევანის გაკეთება არის უარის თქმის ტოლფასი ამ საკმაოდ ეფექტიანი კონტროლის სახის გამოყენებაზე. მაგალითად, სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი წარმოადგენს ძირითად უფლებათა (და არა მხოლოდ) დაცვის კვალიფიციურ და ქმედით მექანიზმს. მისი საშუალებით შესაძლებელია უფლების დარღვევის როგორც აღკვეთა, ასევე პრევენცია. დიფუზური საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პირობებში, აუცილებელი იქნება დალოდება, თუ როდის მიაღწევს კონკრეტული დავა უზენაეს სასამართლომდე.

დაყოფის მოდელს შეუძლია მნიშვნელოვანი როლის თამაში პოლიტიკური წონასწორობის უზრუნველყოფისათვის. ეს შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ ძალაუფლების დაბალანსებაში,

---

<sup>1510</sup> ასევე იხ.: Loladze, *Rechtsstaatsprinzip*, 113 ff.; ლოლაძე ბ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გეგენავა დიმიტრი, გორაძე გიორგი (რედ.), შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, მეორე გამოცემა, თბილისი 2021, გვ. 247 (249); ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 58.

<sup>1511</sup> მო, პრაქტიკის გამოყენება და დიალოგი, 3 (6).

არამედ ასევე სამართლებრივი სახელმწიფოსათვის რელევანტური ნონასწორობის შენარჩუნებაში უმრავლესობასა და უმცირესობას შორის. ამ კუთხით, მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის კონსტიტუციური სარჩელის ინსტიტუტი. ეს შესაძლებლობა და მისი პოზიტიური სამართლებრივსახელმწიფოებრივი გავლენა თითქმის დაიკარგებოდა დიფუზური საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სისტემაში. ერთიან მოდელში საკონსტიტუციო მართლმსაჯულება უფრო კონცენტრირებული არის ინდივიდუალურსამართლებრივ დაცვაზე და ნაკლებად ახორციელებს არბიტრის ამოცანას პოლიტიკურ ძალებს შორის დავის შემთხვევაში.<sup>1512</sup>

საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განმხორციელებელი მოსამართლეების დამოუკიდებლობის გარანტიებს აქვს დიდი მნიშვნელობა. ერთიანი მოდელის შემოღება დაასუსტებდა მათ. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს დღეისათვის აქვთ დამოუკიდებლობის უფრო მყარი გარანტიები, ვიდრე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს და მით უმეტეს, საერთო სასამართლოების სხვა მოსამართლეებს.

საკითხავია, რამდენად არის მზად საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საერთო სასამართლოების მთელი სისტემის პერსონალი საკონსტიტუციო კონტროლის უაღრესად სპეციფიური ამოცანის განსახორციელებლად. საეჭვოა, რომ სამართლის ცალკეულ დარგებში თუნდაც მაღალი კვალიფიკაციის მქონე მოსამართლეებმა, საფუძვლიანი წინასწარი მომზადების გარეშე შეძლონ ურთულესი საკონსტიტუციოსამართლებრივი საკითხების სათანადოდ გადაწყვეტა. ამ კუთხით, საინტერესო არის იტალიის მაგალითი. საკონსტიტუციო კონტროლის ამერიკული მოდელი იქ დამკვიდრდა 1947 წელს, თუმცა საერთო სასამართლოებმა თავი ვერ გაართვეს ამ ამოცანას. იტალია გადა-

<sup>1512</sup> შეადარე: Simon, Verfassungsgerichtsbarkeit, 1637 (1643).

ვიდა დაყოფის მოდელზე 1956 წელს. იტალიის საკონსტიტუციო სასამართლომ თავი დაიმკვიდრა, როგორც ძლიერმა და ავტორიტეტულმა ინსტიტუტმა.<sup>1513</sup> თუნდაც სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინებების მცირე რაოდენობა საქართველოში ადასტურებს, რომ საერთო სასამართლოებს ნაკლებად აინტერესებთ იმ ნორმების კონსტიტუციურობის ანალიზი, რომლებიც ცალკეული საქმეების გადაწყვეტისას უნდა გამოიყენონ. აქედან გამომდინარე, საეჭვოა, რომ ისინი წარმატებით გაართმევენ თავს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების რთულ და საპასუხისმგებლო ამოცანას.

#### **4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა სამართლებრივსახელმწიფოებრივი კონტექსტი**

##### **4.1. ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლის მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის**

საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე. ის უფლებამოსილია, რომ ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე განიხილოს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობა კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით.

ეს უფლებამოსილება ემსახურება ძირითადი უფლებების დაცვას საჯარო ხელისუფლების არაკონსტიტუციური ჩარევებისაგან. მსგავსი კომპეტენცია ითვლება სუბიექტური სამართლებრივი დაცვის ცენტრალურ ინსტიტუტად<sup>1514</sup> და ძირითადი უფლებების

<sup>1513</sup> შვარცი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება, 59.

<sup>1514</sup> Stern, BK, Art. 93, Rn. 411.

დამცავ განსაკუთრებულ სამართლებრივ საშუალებად.<sup>1515</sup> უფლებების სასამართლო დაცვა მჭიდროდაა დაკავშირებული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან, რომლის მთავარი მიზანი არის ინდივიდუალური თავისუფლების დაცვა და განმტკიცება. თავის მხრივ, თავისუფლება პირდაპირ ან ირიბად, უპირველეს ყოვლისა, ძირითად უფლებებში გამოიხატება. აქედან გამომდინარე, ძირითადი უფლების დამცავი კონსტიტუციური სარჩელი დგას თავისუფლების, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს უმაღლესი სიკეთის, სამსახურში. ის წარმოადგენს მთავარ საშუალებას ძირითადი უფლებებით სახელმწიფოს შეზღუდვის ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპის რეალიზაციისათვის.<sup>1516</sup>

ძირითადი უფლების დამცავი კონსტიტუციური სარჩელი აყენებს მოსარჩელეს თანაბარ სიმაღლეზე უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებთან. ის ხანდახან არის ერთადერთი საშუალება ძირითადი უფლების სახელმწიფო ორგანოსაგან, მაგალითად პარლამენტისაგან, დასაცავად. ნებისმიერი პირი იღებს რეალურ შანსს, წარმატებით დაიცვას თავისი სამართლებრივი მდგომარეობა და ინტერესები უმაღლეს დონეზე. ძირითადი უფლების დამცავი კონსტიტუციური სარჩელი აიძულებს სახელმწიფო ორგანოებს, რომ უფრო მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინონ გადანყვეტილებათა მიღებისას და წინასწარ შეამოწმონ ისინი კონსტიტუციასთან შესაბამისობის კუთხით.<sup>1517</sup> აქედან გამომდინარე, მართებულია შეფასება, რომ ამ ინსტიტუტის არსებობასაც კი შეაქვს წვლილი ძირითადი უფლებების დარღვევის პრევენციაში.<sup>1518</sup>

<sup>1515</sup> Benda, Klein, Verfassungsprozessrecht, 186; Meyer, GG, Art. 93, Rn. 54; Simon, Verfassungsgerichtsbarkeit, 1637 (1649); Stern, BK, Art. 93, Rn. 403; Voßkuhle, GG, Art. 93, Rn. 165; BVerfGE 18, 315 (325).

<sup>1516</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 208.

<sup>1517</sup> იქვე.

<sup>1518</sup> Federer, Aufbau, Zuständigkeit und Verfahren des Bundesverfassungsgerichts, 59 (72).

ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლს აქვს ორმაგი ბუნება,<sup>1519</sup> რაც განპირობებულია ძირითადი უფლებების ორმაგი ხასიათით.<sup>1520</sup> როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს უფლებამოსილება იცავს სუბიექტურ უფლებებს,<sup>1521</sup> მაგრამ მას, ამავდროულად, აქვს ობიექტური ფუნქცია. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, ამ კომპეტენციის ფარგლებში, იცავს კონსტიტუციის უზენაესობას, დემოკრატიულ და სამართლებრივსახელმწიფოებრივ კონსტიტუციურ წესრიგს და მის მთავარ ღირებულებას – ადამიანს. ის არა მხოლოდ აღკვეთს ძირითადი უფლებების დარღვევებს, არამედ იცავს, განმარტავს და ავითარებს ობიექტურ საკონსტიტუციო სამართალს.<sup>1522</sup> ამიტომაც სცდება ძირითადი უფლების დამცავი კონსტიტუციური სარჩელის მნიშვნელობა კონკრეტული საქმის ფარგლებს.<sup>1523</sup> ეს კომპეტენცია ასევე ასრულებს ერთგვარ „საგანმანათლებლო“ ფუნქციას სახელმწიფო ორგანოებისათვის.<sup>1524</sup>

ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლის ობიექტივიზაციის ზღვარი გადის იქ, საიდანაც დაიწყებოდა სუბიექტური დაცვის ფუნქციის შედარებით დაქვეითება,<sup>1525</sup> ე. ი. ობიექტური მიზნების მიღწევა არ უნდა განხორციელდეს მოსარჩელის სუბიექტური ინტერესების დაზიანების ხარჯზე.<sup>1526</sup> აქე-

<sup>1519</sup> მაგ.: Böckenförde, Verfassungsgerichtsbarkeit, 9 (15).

<sup>1520</sup> მაგ.: Hopfau, GG, Art. 93, Rn. 151.

<sup>1521</sup> Seuffert W., Die Verfassungsbeschwerde in der Verfassungsgerichtsbarkeit, in: Das Bundesverfassungsgericht 1951–1971, zweite völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, Karlsruhe 1971, 159 (160); Stern, BK, Art. 93, Rn. 403.

<sup>1522</sup> შეადარე: Hopfau, GG, Art. 93, Rn. 153; Stern, BK, Art. 93, Rn. 407; Voßkuhle, GG, Art. 93, Rn. 172; BVerfGE 51, 130 (139).

<sup>1523</sup> Badura, Staatsrecht, 806; Federer, Aufbau, Zuständigkeit und Verfahren des Bundesverfassungsgerichts, 59 (72); Meyer, GG, Art. 93, Rn. 54.

<sup>1524</sup> Benda, Klein, Verfassungsprozessrecht, 187 f.; Stern, BK, Art. 93, Rn. 405; Voßkuhle, GG, Art. 93, Rn. 172; BVerfGE 33, 247 (259).

<sup>1525</sup> Hopfau, GG, Art. 93, Rn. 153.

<sup>1526</sup> ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 339.

დან გამომდინარე, ძირითადი უფლებების ინდივიდუალური დაცვა წარმოადგენს მთავარ მიზანს,<sup>1527</sup> ხოლო საკონსტიტუციო სამართლის განვითარება – მეორად ფუნქციას.<sup>1528</sup>

## **4.2. აბსტრაქტული ნორმატკონტროლის მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის**

საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს უფლებამოსილება, პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან მთავრობის სარჩელის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე.<sup>1529</sup> ამ უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება აბსტრაქტული ნორმატკონტროლი, რომელიც არ უკავშირდება კონკრეტულ საქმისწარმოებას საერთო სასამართლოში და სუბიექტური უფლებების დაცვას.<sup>1530</sup>

აბსტრაქტულ ნორმატკონტროლს აქვს ობიექტური ხასიათი. მის მიზანს წარმოადგენს კონსტიტუციის და არა მოსარჩელეთა სამართლებრივი პოზიციების დაცვა.<sup>1531</sup> აბსტრაქტული ნორმატკონტროლის ობიექტური ხასიათი არ ნიშნავს იმას, რომ შეიძლება მისი გამოყენება წმინდა თეორიული პოლემიკის წარსამართად<sup>1532</sup> ან გარკვეულ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციის

<sup>1527</sup> Hopfauf, GG, Art. 93, Rn. 153.

<sup>1528</sup> Meyer, GG, Art. 93, Rn. 54.

<sup>1529</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>1530</sup> შეადარე: ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 247 (257); ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 78, 434; Badura, Staatsrecht, 805; Ipsen J., Staatsrecht I. Staatsorganisationsrecht, 20., neu bearbeitete Auflage, Köln/München 2008, 218 f.; Stein, Götz, Staatsrecht, 190.

<sup>1531</sup> Meyer, GG, Art. 93, Rn. 35; Stern, BK, Art. 93, Rn. 202; BVerfGE 1, 396 (407).

<sup>1532</sup> Federer, Aufbau, Zuständigkeit und Verfahren des Bundesverfassungsgerichts, 59 (67).

გასარკვევად. მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს სარჩელი და წარმოადგინოს შესაბამისი არგუმენტები.<sup>1533</sup>

აბსტრაქტული ნორმათკონტროლის ფარგლებში, მოსარჩელეები შეიძლება იყვნენ სახელმწიფო ორგანოები ან თანამდებობის პირები. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო ორგანოთა კონსტიტუციური სარჩელები და წარდგინებები ემსახურება ორ უმნიშვნელოვანეს მიზანს: (1) ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის ქმედითობას და (2) ხელისუფლების კონსტიტუციის ფარგლებში განხორციელების უზრუნველყოფას.<sup>1534</sup> ორივე მიზანი არის სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ელემენტი.

აბსტრაქტული ნორმათკონტროლის ეფექტიანი გამოყენება ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის ბალანსისათვის მართლაც შესაძლებელია. ის უფრო მოქნილი საშუალება არის ამ მიზნის მისაღწევად, ვიდრე დავა უფლებამოსილების შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა გაცილებით ადვილია აბსტრაქტული ნორმათკონტროლის ფარგლებში. ის არ უკავშირდება იმ წინაპირობას, რაც გულისხმობს რომელიმე ორგანოს კონსტიტუციური უფლებამოსილების დარღვევას. უფლებამოსილების შესახებ დავა შემოიფარგლება კონსტიტუციის იმ ნორმებით, რომლებიც სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილებებს აწესრიგებს. ასეთი შეზღუდვა არ მოქმედებს აბსტრაქტული ნორმათკონტროლის განხორციელებისას.<sup>1535</sup>

აბსტრაქტული ნორმათკონტროლის ძირითადი მიზანი მაინც არის ხელისუფლების კონსტიტუციის ფარგლებში განხორციელების უზრუნველყოფა. მისი დაცვითი ფუნქცია სწორედ ეფუძნება კონსტიტუციის უზენაესობას და გამოიხატება სამართლებრივი წესრიგის უზრუნველყოფაში.<sup>1536</sup> კონსტიტუცია ამ ინსტიტუტის

<sup>1533</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 177.

<sup>1534</sup> N1/466 გადაწყვეტილება, II-18.

<sup>1535</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 180.

<sup>1536</sup> Stern, BK, Art. 93, Rn. 197.

საშუალებით იცავს თავის ფუნდამენტურ ელემენტებს პოლიტიკური უმრავლესობის მიერ პოლიტიკურ-პრაქტიკული გაუქმებისაგან.<sup>1537</sup> აბსტრაქტული ნორმათკონტროლი იცავს არა მხოლოდ სამართლებრივი სახელმწიფოს, არამედ დემოკრატიის პრინციპსაც, რადგანაც უმრავლესობის შეუზღუდავი და თვითნებური ბატონობა ეწინააღმდეგება ამ პრინციპსაც.<sup>1538</sup>

ნორმათკონტროლს, დაცვითი ფუნქციის გარდა, ასევე აქვს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სამართლებრივი სიცხადის ფუნქციები.<sup>1539</sup> საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას ხშირად შეაქვს სიცხადე უკიდურესად გაურკვეველ და სადავო თემებსა და სიტუაციებში. მას ამით შეაქვს წვლილი სამართლებრივი სტაბილურობის დამკვიდრებასა და შენარჩუნებაში. ნორმათკონტროლის სამართლებრივ მიზანს წარმოადგენს სამართლებრივი მშვიდობის დამყარება საკონსტიტუციოსამართლებრივ მდგომარეობაში სიცხადის შეტანით.<sup>1540</sup>

აბსტრაქტული ნორმათკონტროლი თეორიაში განიხილება, როგორც გამოსადეგი გზა უმცირესობის დაცვისათვის და პოლიტიკური უმრავლესობის გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციოსამართლებრივი კორექციისათვის.<sup>1541</sup> ამ უფლებამოსილების ფარგლებში, კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედსაც. საპარლამენტო უმცირესობას ეძლევა საშუალება, მოახდინოს უმრავლესობის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის

<sup>1537</sup> Meyer, GG, Art. 93, Rn. 32.

<sup>1538</sup> ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 436.

<sup>1539</sup> ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 439; Hopfau, GG, Art. 93, Rn. 97; Reineck, Allgemeine Staatslehre, 351; Stern, BK, Art. 93, Rn. 198.

<sup>1540</sup> BVerfGE 1, 396 (413).

<sup>1541</sup> Ipsen, Staatsrecht I, 219; Mager, Staatsrecht I, 308; Stern, BK, Art. 93, Rn. 208.

შემონმების ინიცირება.<sup>1542</sup> მიუხედავად ამისა, აბსტრაქტული ნორმათკონტროლის უმთავრეს ფუნქციად მაინც ითვლება კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფა. მართალია, საპარლამენტო უმცირესობას შეუძლია კონსტიტუციური სარჩელის საშუალებით მიაღწიოს პოლიტიკურად არასასურველი ნორმის გაუქმებას, მაგრამ ეს ნორმა, ამავდროულად და უპირველეს ყოვლისა, უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას.<sup>1543</sup>

### **4.3. საერთო სასამართლოს წარდგინების მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის**

საკონსტიტუციო სასამართლო, საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე, იხილავს იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს, რომელიც საერთო სასამართლომ უნდა გამოიყენოს კონკრეტული საქმის განხილვისას და რომელიც მისი საფუძვლიანი ვარაუდით შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას.<sup>1544</sup> მაშასადამე, საერთო სასამართლოს წარდგინება უკავშირდება კონკრეტულ, მიმდინარე სასამართლო საქმეს. საკონსტიტუციო სასამართლო, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ იღებს წარდგინებას არსებითად განსახილველად.<sup>1545</sup> აქედან გამომდინარე, ამ უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება *კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლი*.<sup>1546</sup>

<sup>1542</sup> ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 440; Loladze, Rechtsstaatsprinzip, 181.

<sup>1543</sup> Benda, Klein, Verfassungsprozessrecht, 279.

<sup>1544</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

<sup>1545</sup> მაგ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 აპრილის N1/3/99 განჩინება საქმეზე „თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“, 1, 3.

<sup>1546</sup> ლოლაძე, სასამართლოს შეზღუდვა, 522 (529); ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 247 (258); ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 79, 470.

ამ კომპეტენციას აქვს ობიექტური ხასიათი<sup>1547</sup> და ემსახურება, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტის – კონსტიტუციის უზენაესობის დაცვას.<sup>1548</sup> საკონსტიტუციო სასამართლო უწოდებს საერთო სასამართლოს წარდგინებას კონსტიტუციის უზენაესობის უმნიშვნელოვანეს გარანტიას.<sup>1549</sup> მისი მეშვეობით ხდება საერთო სასამართლოების კონსტიტუციით შეზღუდვის უზრუნველყოფა და არაკონსტიტუციური ნორმების გამოყენების თავიდან აცილება, რაც ასევე წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მოთხოვნას.<sup>1550</sup> თუ არაკონსტიტუციური ნორმა იწვევს სამართლებრივ შედეგებს, ირღვევა სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის მოთხოვნები.<sup>1551</sup> აქედან გამომდინარე, საერთო სასამართლოს წარდგინებას წვლილი შეაქვს ხსენებული პრინციპებისა და ასევე სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დაცვაში.<sup>1552</sup>

ნორმატიული აქტების, განსაკუთრებით კანონების, კონსტიტუციურობის სამოსამართლო შემოწმება ნიშნავს, რომ სასამართლო ხელისუფლება, კონსტიტუციის უზენაესობასთან ერთად,

---

<sup>1547</sup> მაგ.: Müller-Terpitz R. (Bearb.), Kommentar zum Art. 100 GG, in: Schmidt-Bleibtreu, Bruno/Klein, Franz (Begr.), Hofmann, Hans/Hopfau, Axel (Hrsg.): GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, Köln 2011, Rn. 1; Stern K., Kommentar zum Art. 100 GG, in: Dolzer, Rudolf /Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Bonner Kommentar zum Grundgesetz, Band 12 (Art. 89–104), Heidelberg seit 1950, Rn. 4.

<sup>1548</sup> ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 466.

<sup>1549</sup> N3/1/608, 609 გადანყვეტილება, II-5.

<sup>1550</sup> შეადარე: Sieckmann J.-R. (Bearb.), Kommentar zum Art. 100 GG, in: Mangoldt, Hermann von(Begr.)/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 3, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010, Rn. 3; BVerfGE 45, 63 (74).

<sup>1551</sup> Schmidt, Staatsorganisationsrecht, 271.

<sup>1552</sup> ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 247 (258–259); Benda, Klein, Verfassungsprozessrecht, 313; Sieckmann, GG, Art. 100, Rn. 3.

იცავს სახელმწიფო ხელისუფლების ძირითადი უფლებებით შეზღუდვისა და ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის პრინციპებს.<sup>1553</sup> სამოსამართლო შემონეშების უფლებამოსილება, რომელიც მოსამართლის კონსტიტუციითა და კანონით შეზღუდვის პრინციპიდან გამომდინარეობს, ემსახურება სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის რეალიზაციას.<sup>1554</sup> ეს უფლებამოსილება განიხილება სამართლებრივსახელმწიფოებრივ შემაკავებელ მექანიზმად საპარლამენტო დემოკრატიისათვის, რათა ის არ გადაიზარდოს საპარლამენტო აბსოლუტიზმში, რაც დააზიანებდა ინიდივიდუალურ უფლებებს.<sup>1555</sup>

სასამართლო ხელისუფლებას შეუძლია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების განონასწორება კონსტიტუციური წარდგინების გამოყენებით.<sup>1556</sup> საერთო სასამართლო თავად კი არ წყვეტს ნორმის კონსტიტუციურობის საკითხს, არამედ მიმართავს ამის გასარკვევად საკონსტიტუციო სასამართლოს. ეს მეტყველებს საერთო სასამართლოს წარდგინების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე კონსტიტუციის ერთგვაროვანი ინტერპრეტაციისათვის და წინააღმდეგობრივი მიდგომების თავიდან აცილებისათვის.<sup>1557</sup>

#### **4.4. უფლებამოსილების შესახებ დავის მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის**

საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება დავა უფლებამოსილების შესახებ.<sup>1558</sup> ის აძლევს კონსტიტუციური

<sup>1553</sup> Sieckmann, GG, Art. 100, Rn. 3.

<sup>1554</sup> Maunz T. (Bearb.), Kommentar zum Art. 100 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band VI, München seit 1958, Rn. 2; Stern, BK, Art. 100, Rn. 12.

<sup>1555</sup> ლოლაძე, სასამართლოს შეზღუდვა, 522 (528); Maunz, GG, Art. 100, Rn. 3.

<sup>1556</sup> დანვრილებით იხ.: Stern, BK, Art. 100, Rn. 14.

<sup>1557</sup> Maunz, GG, Art. 100, Rn. 4.

<sup>1558</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

უფლებამოსილების ხელყოფისაგან დაცვის შესაძლებლობას საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტს, მთავრობას, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, გენერალურ პროკურორს, ეროვნული ბანკის საბჭოს, გენერალურ აუდიტორს, სახალხო დამცველს ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ან აღმასრულებელ ორგანოს.

უფლებამოსილების შესახებ დავას აქვს მრავალმხრივი მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. კონსტიტუციით დადგენილი კომპეტენციის დაცვა და პატივისცემა, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპს.<sup>1559</sup> დავა უფლებამოსილების შესახებ წარმოადგენს ქმედით საშუალებას, რათა ხელისუფლების შტოებმა დაიცვან მათი კომპეტენცია სამართლებრივი გზით. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს პოლიტიკურად ნეიტრალური ორგანო – საკონსტიტუციო სასამართლო. თუ ამ ამოცანას სხვა (პოლიტიკური) ორგანო განახორციელებდა, ეს გარემოება დააყენებდა მას დანარჩენ სახელმწიფო ორგანოებზე მაღლა.<sup>1560</sup> ამით დაირღვეოდა ნონასწორობა ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის.<sup>1561</sup>

თეორიაში გვხვდება საკამათო მოსაზრება, რომ მხოლოდ ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელი და ნორმათკონტროლი შეიძლება მოექცეს სამართლებრივი სახელმწიფოს კონტექსტში. უფლებამოსილებათა ჰორიზონტალურ თუ ვერტიკალურ განანილებასთან დაკავშირებული დავები კი განეკუთვნება სხვა საკონსტიტუციოსამართლებრივ სფეროებს.<sup>1562</sup> ეს პოზიცია ყურადღების მიღმა ტოვებს იმ გარემოებას, რომ უფლებამოსილე-

<sup>1559</sup> ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 247 (260); ლოლაძე, მაჭარაძე, ფიცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 522; Böckenförde, Verfassungsgerichtsbarkeit, 9 (15).

<sup>1560</sup> Zippelius, Deutsches Staatsrecht, 519.

<sup>1561</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 185.

<sup>1562</sup> Scheuner, Die neuere Entwicklung, 461 (500).

ბის შესახებ დავა ემსახურება ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპს. ეს პრინციპი ვერ იქნება განხილული სამართლებრივი სახელმწიფოს კონტექსტიდან იზოლირებულად, რადგანაც წარმოადგენს მის ელემენტს.

უფლებამოსილების შესახებ დავის წარმოება ნიშნავს, რომ ამოიწურა კონფლიქტის გადაწყვეტის სხვა გზები. ეს ადასტურებს შესაბამისი პრობლემის პოლიტიკური სიმწვავისა და მგრძობელობის მაღალ ხარისხს.<sup>1563</sup> საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას გადაჰყავს პოლიტიკური დაპირისპირება სამართლებრივ კალაპოტში და მას აგვარებს საკონსტიტუციოსამართლებრივი სტანდარტების მიხედვით.<sup>1564</sup> ეს განამტკიცებს კონსტიტუციის უზენაესობასა და მის პატივისცემას სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მხრიდან, უზრუნველყოფს ერთიანი სამართლებრივი წესრიგის დაცვას.<sup>1565</sup> პოლიტიკური კონფლიქტის საკონსტიტუციოსამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევას ასევე შეაქვს წვლილი პოლიტიკური და სამართლებრივი სტაბილურობის გამყარებაში.<sup>1566</sup>

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის ძველი რედაქცია, უფლებამოსილების შესახებ დავის ფარგლებში, კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებამოსილებას აძლევდა პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს. პარლამენტის წევრთა შედარებით მცირე ჯგუფის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობა ითვლება პოლიტიკური უმცირესობის დაცვის მექანიზმად.<sup>1567</sup> ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი სახელმწიფოსათ-

<sup>1563</sup> შეადარე: Hopfauf, GG, Art. 93, Rn. 81.

<sup>1564</sup> Ipsen, Staatsrecht I, 214.

<sup>1565</sup> Stern, BK, Art. 93, Rn. 75.

<sup>1566</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 185.

<sup>1567</sup> ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 526; Hopfauf, GG, Art. 93, Rn. 81, 92; Stern, BK, Art. 93, Rn. 76.

ვის, განსაკუთრებით – საპარლამენტო რესპუბლიკის პირობებში, სადაც ძალაუფლების დაბალანსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი არის საპარლამენტო ოპოზიციის გაძლიერება. საპარლამენტო უმცირესობას უფლებამოსილების შესახებ დავის საშუალებით ეძლეოდა არა მხოლოდ თავისი პოლიტიკური პოზიციების, არამედ და უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციის პრინციპების, კონსტიტუციური ორგანოებისა და მათი კომპეტენციის დამდგენი ნორმების დაცვის შესაძლებლობა.<sup>1568</sup> 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ წაართვა ოპოზიციას ეს შესაძლებლობა, რადგანაც მოსარჩელედ პარლამენტი განისაზღვრა. ეს სიახლე მოგვიანებით აისახა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონშიც.<sup>1569</sup>

#### **4.5. საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის კონტროლის მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის**

კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი საკონსტიტუციო სასამართლოს ანიჭებს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვის კომპეტენციას პრეზიდენტის ან მთავრობის სარჩელის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის სარჩელის ან წარდგინების საფუძველზე. კონსტიტუცია ასევე აღიარებს საერთაშორისო სამართლის პრიმატს საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებით, გარდა კონსტიტუციისა და კონსტიტუციური შეთანხმებისა.<sup>1570</sup> ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ მიაკუთვნებს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას საქართველოს ნორმატი-

<sup>1568</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 186.

<sup>1569</sup> იხ.: 34-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>1570</sup> მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი.

ული აქტების კატეგორიას<sup>1571</sup> და განსაზღვრავს მათ ადგილს ნორმატიული აქტების იერარქიაში.<sup>1572</sup>

საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის კონტროლი არის აბსტრაქტული ნორმატკონტროლის სპეციფიური შემთხვევა. ამაზე მეტყველებს იმ გარემოებათა ერთობლიობა, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს ნორმატიული აქტების ნაწილია, მისი გასაჩივრება შეუძლიათ სახელმწიფო ორგანოებს ან თანამდებობის პრებს, ასევე ამ კომპეტენციას აქვს ობიექტური ხასიათი. ზემოთ უკვე შევხებით აბსტრაქტული ნორმატკონტროლის მიმართებას სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან. იგივე მოსაზრებები შეიძლება გავრცელდეს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის კონტროლზეც.

#### **4.6. პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის კონტროლის მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის**

საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას მიეკუთვნება პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობისა და მისი წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის განხილვა.<sup>1573</sup> ბუნებრივია, ამ საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის საფუძველი გაჩნდება იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე პოლიტიკური პარტია თავისი საქმიანობით ხელყოფს ან რეალურ საფრთხეს შეუქმნის კონსტიტუციის ნორმებსა და პრინციპებს, მათ შორის სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს. პოლიტიკური გაერთიანებისათვის, რომელიც არაკონსტიტუციურ საქმიანობას ეწევა, როგორც წესი, მიუღებელი არის თავისუფალი, დემოკრატიული და

<sup>1571</sup> მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>1572</sup> მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და მე-4 პუნქტი.

<sup>1573</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

სამართლებრივსახელმწიფოებრივი კონსტიტუციური წესრიგით შებოჭვის პერსპექტივა.<sup>1574</sup>

თუ პოლიტიკურ პარტიას არ სურს კონსტიტუციურ ჩარჩოებში ყოფნა, მაშინ იზრდება იმის ალბათობა, რომ ის შეეცდება თავისუფალი და დემოკრატიული წესრიგის გამოყენებას მისივე გასანადგურებლად.<sup>1575</sup> ამით არის გამოწვეული, რომ ყველა დემოკრატიული ქვეყანა ზღუდავს ისეთი გაერთიანებების საქმიანობას, რომლებმაც გადალახეს ქმედებისა და აზროვნების დასაშვები საზღვრები.<sup>1576</sup> საკონსტიტუციო მართლმსაჯულება იცავს კონსტიტუციას დესტრუქციული პოლიტიკური ჯგუფებისაგან მათი არაკონსტიტუციურად გამოცხადებით.<sup>1577</sup> ამიტომაც უწოდებენ ამ კომპეტენციას „კონსტიტუციის დაცვის პროცესს“.<sup>1578</sup>

პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი არის ერთ-ერთი შესაძლო მოსარჩელე ამ უფლებამოსილების ფარგლებში. ეს აძლევს საპარლამენტო უმცირესობას დამატებით შესაძლებლობას, დაიცვას როგორც თავისი პოლიტიკური შანსები, ასევე კონსტიტუციური წესრიგი.<sup>1579</sup> საფრთხის წყაროს ამჯერად წარმოადგენს არა სახელმწიფო ორგანო, არამედ არასახელმწიფო, პოლიტიკურ-იდეოლოგიური სუბიექტი. ამასთანავე, ისტორიულ გამოცდილება ადასტურებს, რომ საფრთხის მასშტაბი არის ამ შემთხვევაში არათუ ნაკლები, არამედ ზოგჯერ გაცილებით დიდციკი.<sup>1580</sup> პარტიებს, რომლებიც პატივს არ სცემდნენ დემოკრატიული

<sup>1574</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 188.

<sup>1575</sup> Loladze, იქვე; ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 602.

<sup>1576</sup> ისაშაროვი ს., მყიფე დემოკრატიები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, N2, 2010, 62 (62).

<sup>1577</sup> ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 247 (262); Benda, Klein, Verfassungsprozessrecht, 466.

<sup>1578</sup> Voßkuhle, GG, Art. 93, Rn. 93.

<sup>1579</sup> ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 603.

<sup>1580</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 189.

და სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნებს, მიუყენებიათ და დღეისთვისაც აყენებენ კოლოსალურ ზიანს არა მხოლოდ სხვა სახელმწიფოებს, არამედ ასევე საკუთარ ხალხს და ქვეყანას.

#### **4.7. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის კონტროლის მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის**

კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან შესაბამისი პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის საკითხს.

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის კონტროლი წარმოადგენს თავდაცვის საშუალებას საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან პოლიტიკურად მოტივირებული დევნის წინააღმდეგ.<sup>1581</sup> ამგვარი თვითნებობა შეუთავსებელი არის სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნებთან, განსაკუთრებით – თვითნებობის აკრძალვის პრინციპთან.<sup>1582</sup> იმ პირს, რომლის უფლებამოსილებაც არ ცნეს ან რომელსაც ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება, ეძლევა შესაძლებლობა, დაიცვას თავისი ინტერესები და რაც მთავარია, საჯარო თანამდებობის დაკავების კონსტიტუციური უფლება. გარდა ამისა, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, ანუ ოპოზიციას უჩნდება შანსი, რომ დაიცვას მისი რიგები უმრავლესობის თვითნებური და არაკონსტიტუციური შეტევებისაგან.<sup>1583</sup> საპარლამენტო

<sup>1581</sup> შეადარე: ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 247 (262–263).

<sup>1582</sup> ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 635.

<sup>1583</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 212.

უმცირესობას ასევე შეუძლია იდავოს, როდესაც საპარლამენტო უმრავლესობა კონსტიტუციის დარღვევით ცნობს მისთვის სასურველი პირის სადეპუტატო უფლებამოსილებას ან უარს განაცხადებს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტაზე, მიუხედავად ამის საკონსტიტუციო საფუძველის არსებობისა.

#### **4.8. რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლის მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის**

საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს რეფერენდუმის ან არჩევნების მომწესრიგებელი ნორმისა და ამ ნორმის საფუძველზე ჩასატარებელი ან ჩატარებული რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას.<sup>1584</sup> ამით მას ეძლევა როგორც არჩევნების ან რეფერენდუმის ნორმატიული ბაზის, ასევე თვით არჩევნების ან რეფერენდუმის კონსტიტუციურობის შეფასების შესაძლებლობა.

არჩევნები და რეფერენდუმი, რომელიც არ ეფუძნება ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლინებას და არ შეესაბამება კონსტიტუციის პრინციპებსა და ნორმებს შეუთავსებელია დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოსთან. არაკონსტიტუციური არჩევნებით ხდება სახელმწიფოში ძალაუფლების უზურპაცია. უზურპატორი დისტანცირდება ხალხისაგან, როგორც ხელისუფლების წყაროსაგან. მისთვის პრიორიტეტული არის ძალაუფლების შენარჩუნება, რაც გამორიცხულია თვითნებობისა და ინდივიდუალური თავისუფლების ტოტალური შეზღუდვის გარეშე. აქედან გამომდინარე, არჩევნებთან და რეფერენდუმთან დაკავშირებული პრინციპებისა და ნორმების დაცვა წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას,

<sup>1584</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

ხოლო რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლი – მისი დაცვის ქმედით ინსტრუმენტს.<sup>1585</sup>

კონსტიტუცია აღიარებს და იცავს საარჩევნო უფლებას და ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლინებას.<sup>1586</sup> რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლი ემსახურება იმ მიზანსაც, რომ სახელმწიფო შეიზღუდოს საარჩევნო უფლებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. მაშასადამე, ის იცავს არა მხოლოდ კონსტიტუციის ობიექტურ ფასეულობებს, არამედ სუბიექტურ სამართლებრივ პოზიციებსაც. ყოველივე ეს ძალიან მნიშვნელოვანია სამართლებრივი სახელმწიფოსათვის.<sup>1587</sup>

კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება ენიჭება საპარლამენტო უმცირესობასაც. ეს უფლება, ერთი მხრივ, ის იცავს უმცირესობის შანსს, გახდეს უმრავლესობა. მეორე მხრივ, ის იცავს თავისუფალ და დემოკრატიულ კონსტიტუციურ წესრიგს არჩევნებისა და რეფერენდუმის სფეროში უმრავლესობის ჩარევისა და მანიპულაციისაგან.<sup>1588</sup>

#### **4.9. მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელის მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის**

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელის განხილვის კომპეტენციას ითვალისწინებს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი. მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს აქვს ამ სარჩელის შეტანის უფლება. შეზღუდულია

<sup>1585</sup> ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 677, 679; Loladze, Rechtsstaatsprinzip, 195.

<sup>1586</sup> 24-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>1587</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 195; ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 678.

<sup>1588</sup> Loladze, იქვე, 196; ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 676.

დავის საგანიც – დავა შესაძლებელია მხოლოდ კონსტიტუციის მეცხრე თავთან მიმართებით.

კონსტიტუციის მეცხრე თავი ეძღვნება ადგილობრივ თვითმმართველობას და შეიცავს ისეთ გარანტიებს, როგორცაა: სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებების გამიჯვნა, თვითმმართველი ერთეულის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების დამოუკიდებლად და თავისი პასუხისმგებლობით განხორციელება, თვითმმართველი ერთეულის ქონებრივი, საფინანსო, ორგანიზაციული დამოუკიდებლობა და ა.შ. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების საშუალებით ამ გარანტიების დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს ძალაუფლების ვერტიკალური გამიჯვნის უზრუნველყოფისათვის.

#### **4.10. იმპიჩმენტთან დაკავშირებით დასკვნის მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის**

საკონსტიტუციო სასამართლო, პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის წარდგინების საფუძველზე, განიხილავს პრეზიდენტის, მთავრობის წევრის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გენერალური პროკურორის, გენერალური აუდიტორის ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საკითხს და წარუდგენს დასკვნას პარლამენტს.<sup>1589</sup>

კონსტიტუციის მოთხოვნების დაცვა და მის ფარგლებში მოქმედება არის ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოსა და თანამდებობის პირის უპირველესი ვალდებულება. ეს ვალდებულება განსაკუთრებით მკაცრია უმაღლესი თანამდებობის პირების მიმართ. მათ მიერ კონსტიტუციის უგულებელყოფამ შეიძლება უმძიმესი შედეგები გამოიწვიოს სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის.

<sup>1589</sup> საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის პირველი პუნქტი.

გარდა ამისა, თანამდებობის პირი, რომელიც კონსტიტუციას არღვევს, არ წარმოადგენს კანონმორჩილების კარგ მაგალითს საზოგადოებისათვის. ეს აძლიერებს ნიჰილისტურ დამოკიდებულებას კონსტიტუციისა და სამართლის უზენაესობის მიმართ.<sup>1590</sup>

უმაღლეს თანამდებობის პირს, რომელიც უარყოფს კონსტიტუციის უზენაესობას, არ აქვს თანამდებობაზე დარჩენის მორალური და სამართლებრივი უფლება. ამასთან, მისი თანამდებობიდან გადაყენება უნდა იყოს ჩადენილი დარღვევის სიმძიმის თანაზომიერი.<sup>1591</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს კონსტიტუციურ ფასეულობებზე ნათლად ორიენტირებული, ობიექტური მისია. თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევის შემონმებას აქვს პრევენციული ეფექტიც. ის აძლევს სტიმულს თანამდებობის პირს, რომ წინასწარ შეამონმოს თავისი აქტებისა და მოქმედებების კონსტიტუციასთან შესაბამისობა. ეს გარემოება პოზიტიურ გავლენას ახდენს მათ მიერ გადანყვეტილებების მიღების პროცესზე და ხელს უშლის არაკონსტიტუციური ნაბიჯების გადადგმას.<sup>1592</sup>

იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრისა და კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მესამედს. საპარლამენტო ოპოზიციას შეუძლია ამ ბერკეტის გამოყენებით მაღალი თანამდებობის პირების მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან დანაშაულის ჩადენის გამოაშკარავება მაინც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბოლოო გადანყვეტილებას პარლამენტი იღებს. აქედან გამომდინარე, იმპიჩმენტის პროცედურის წარუმატებლად

<sup>1590</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 215.

<sup>1591</sup> შეადარე: ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 743.

<sup>1592</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 215; ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 744.

დასრულების ალბათობა არის დიდი, თუნდაც საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტუროს კონსტიტუციის დარღვევა ან დანაშაულის ნიშნების არსებობა.

#### **4.11. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე დავის მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის**

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი მიაკუთვნებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე დავის განხილვას საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას.<sup>1593</sup> ამ უფლებამოსილების ფარგლებში, შესაძლებელი არის ცენტრალურ ხელისუფლებასა და ავტონომიურ რესპუბლიკას შორის დავის წარმართვა კომპეტენციის საკითხებთან დაკავშირებით. სამართლებრივ სახელმწიფოში ძალაუფლება საჭიროებს როგორც ჰორიზონტალურ, ასევე ვერტიკალურ დაბალანსებას. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე დავა, პირველ რიგში, ემსახურება ხელისუფლების ვერტიკალურ დაბალანსებას.<sup>1594</sup> საერთოდ, მსგავსი დავები ითვლება კონსტიტუციური მართლმსაჯულების ერთ-ერთ საფუძვლად.<sup>1595</sup>

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონი კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია. აქედან გამომდინარე, ეს ობიექტური ხასიათის კომპეტენცია ემსახურება კონსტიტუციის უზენაესობასაც. გარდა ამისა, ერთ-ერთი

<sup>1593</sup> მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

<sup>1594</sup> შეადარე: ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 247 (266); ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 776.

<sup>1595</sup> Ipsen, Staatsrecht I, 218.

პოტენციური მოსარჩელეა პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი.<sup>1596</sup> ეს საშუალებას აძლევს ოპოზიციას, რომ თავისი წვლილი შეიტანოს როგორც ძალაუფლების ვერტიკალურ დაბალანსებაში, ასევე კონსტიტუციის უზენაესობის განმტკიცებაში.

#### **4.12. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის კონტროლის მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის**

საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს საქართველოს კონსტიტუციასთან და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი.<sup>1597</sup> ეს კომპეტენცია ფლობს ძალაუფლების ვერტიკალური დაბალანსების ხელშეწყობის პოტენციალს, თუმცა დავის საგანი შეზღუდულია. გარდა ამისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის კონტროლმა შეიძლება ხელი შეუწყოს სახელმწიფოს ერთიანი სამართლებრივი სივრცის დაცვას.<sup>1598</sup> სამართლებრივი წესრიგის საფეხურებრივი მოწყობა და სამართლის ნორმათა იერარქია უნდა იყოს უზრუნველყოფილი სამართლებრივ სახელმწიფოში.<sup>1599</sup>

<sup>1596</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 411 მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>1597</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

<sup>1598</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 218; ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 247 (266); ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 791.

<sup>1599</sup> Stern, BK, Art. 93, Rn. 197.

#### **4.13. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების მნიშვნელობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის**

საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება ნორმატიული აქტების შესაბამისობის განხილვა კონსტიტუციის 59-ე – 64-ე მუხლებთან.<sup>1600</sup> მხოლოდ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აქვს კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლებამოსილება.<sup>1601</sup>

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით შესაძლებელია ნორმატიული აქტების შემოწმება კონსტიტუციის იმ მუხლებთან მიმართებით, რომლებიც შეეხება სასამართლო ხელისუფლებას, განამტკიცებს მის დამოუკიდებლობას, ადგენს სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპებს და ა. შ. ამ ნორმებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებისათვის, რაც წარმოუდგენელია შესატყვისი სასამართლო დაცვის უზრუნველყოფის, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს გარეშე.<sup>1602</sup>

### **5. ქართული საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ძირითადი ნაკლოვანებები, რომლებიც ხელს უშლის სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებას**

#### **5.1. კონსტიტუციური კანონების კონსტიტუციურობის კონტროლის არარსებობა<sup>1603</sup>**

კონსტიტუციური კანონი არის კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილი.<sup>1604</sup> თავის მხრივ, კონსტიტუცია წარმოადგენს საკონსტი-

<sup>1600</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი.

<sup>1601</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 414 მუხლი.

<sup>1602</sup> შეადარე: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 220 f.; ლოლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 247 (267).

<sup>1603</sup> დანვრილებით იხ.: ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 297–304.

<sup>1604</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი; „ნორმატიული

ტუციო კონტროლის მასშტაბს და არა ობიექტს.<sup>1605</sup> თუ საკონსტიტუციო სასამართლო განახორციელებს კონსტიტუციური კანონების კონტროლს, მაშინ მან თავად უნდა შექმნას ახალი უფლებამოსილება და თავადვე დაადგინოს შემონემების მასშტაბები. ცხადია, ეს გასცდება მის კომპეტენციას.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მკაფიოდ აქვს დაფიქსირებული პოზიცია ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით.<sup>1606</sup> მან უარი განაცხადა არა მხოლოდ კონსტიტუციური კანონის, არამედ სხვა საკანონმდებლო აქტების იმ ნორმების კონსტიტუციურობის შეფასებაზე, რომლებსაც აქვთ კონსტიტუციის ნორმების იდენტური შინაარსი.<sup>1607</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო არსებითად განსახილველად რამოდენიმე სარჩელი 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციურ კანონთან დაკავშირებით, რომელიც ინვევდა პრეზიდენტისა და პარლამენტის უფლებამოსილების მიმდინარე ვადების ცვლილებას.<sup>1608</sup> მან განაცხადა, რომ მის კომპეტენციაში არ შედის კონსტიტუციის ერთი ნორმის მეორე

---

აქტების შესახებ“ ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება.

<sup>1605</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 229 f.

<sup>1606</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის დაწვრილებით მიმოხილვა იხ.: ლოლაძე ბ., კანონმდებლის მიერ კონსტიტუციის უზენაესობის იგნორირება და მისი პრევენცია, კორკელია კონსტანტინე (რედ.), „დამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა“, თბილისი 2013, 187 (192–195).

<sup>1607</sup> N2/1/431 განჩინება.

<sup>1608</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 12 ივლისის N2/2/486 განჩინება საქმეზე „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „კონსტიტუციის დაცვის ეროვნული ლიგა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/523 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გერონტი აშორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის N1/1/549 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ირმა ინაშვილი, დავით თარხან-მოურავი და იოსებ მანჯავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ნორმასთან შესაბამისობის გარკვევა.<sup>1609</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ კონსტიტუცია არ შეიცავს მუდმივობის გარანტიას და ამის გარეშე მას არ შეუძლია კონსტიტუციის შეუცვლელი და მუდმივი ნორმების დამოუკიდებლად განსაზღვრა.<sup>1610</sup>

კონსტიტუციური კანონების კონსტიტუციურობის კონტროლის არარსებობა პოზიტიურად არ აისახება სამართლებრივ სახელმწიფოსა და მის ელემენტებზე. მართალია, გადაჭარბებული იქნებოდა იმის მტკიცება, რომ კონსტიტუციური კანონების უმრავლესობა არღვევდა ამ ფუნდამენტურ პრინციპს ან მომავალში მიღებული კონსტიტუციური კანონები აუცილებლად ხელყოფს მას, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობას, რაც ქმნის კონსტიტუციური კანონების ერთპარტიულად მიღების შესაძლებლობას, თან ახლავს თვითნებობის მაღალი ცდუნება და რისკი. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ საქართველოში ერთპარტიული საკონსტიტუციო უმრავლესობები უფრო წესია, ვიდრე გამონაკლისი.

ზემოხსენებული საფრთხის რელობას ადასტურებს პრაქტიკული მაგალითები. 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციურმა კანონმა დაადგინა დროის მყარი მონაკვეთი პარლამენტისა და პრეზიდენტის მორიგი არჩევნების გამართვისათვის. ამით შეიქმნა მნიშვნელოვანი აცდენის რისკი მათ კონსტიტუციურ და ფაქტობრივ უფლებამოსილების ვადებს შორის, რაც დემოკრატიის პრინციპთან მოდის წინააღმდეგობაში.<sup>1611</sup> ამ კანონის გამო, პრეზიდენტ სააკაშვილის უფლებამოსილების მე-2 ვადა გაგრძელდა არა 5 წელი, როგორც ამას განსაზღვრავს კონსტიტუცია, არამედ დაახლოებით 10

<sup>1609</sup> დაწვრილებით იხ/: N2/2/486 განჩინება, 2, 3; N1/2/523 განჩინება, 4, 5; N1/1/549 განჩინება, 2–20.

<sup>1610</sup> N1/1/549 განჩინება, 11.

<sup>1611</sup> უფლებამოსილების კონსტიტუციური ვადებით მანიპულირებასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ.: ლოლაძე, კანონმდებლის მიერ კონსტიტუციის უზენაესობის იგნორირება და მისი პრევენცია, 187 (189–192).

თვით მეტი – 2008 წლის 20 იანვრიდან 2013 წლის 17 ნოემბრამდე. 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი ეწინააღმდეგებოდა დემოკრატიის პრინციპს სხვა კუთხითაც. მან გაითვალისწინა, რომ 2004 წელს არჩეული პრეზიდენტისა და პარლამენტის მორიგი არჩევნები გაიმართებოდა 2008 წლის 1 ოქტომბერსა და 31 დეკემბერს შორის პერიოდში. ამის შედეგად, პარლამენტის მიმდინარე უფლებამოსილების ვადა გაიზარდა, ხოლო პრეზიდენტისა – შემცირდა. უფლებამოსილების მიმდინარე ვადებით ამგვარი მანიპულირება განიხილება დემოკრატიის პრინციპის დარღვევად.<sup>1612</sup> აღსანიშნავია, რომ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, კონსტიტუციამ გაითვალისწინა აკრძალვა საყოველთაო არჩევნებში არჩეული ორგანოს მიმდინარე უფლებამოსილების ვადის კონსტიტუციით ან კანონით შემცირებასთან ან გაზრდასთან დაკავშირებით.<sup>1613</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ, ამ ჩანაწერიდან გამომდინარე, აღარ უნდა განაცხადოს უარი იმ კონსტიტუციური კანონის კონსტიტუციურობის შეფასებაზე, რომელიც შეამცირებს ან გაზრდის უფლებამოსილების მიმდინარე ვადას.

კონსტიტუცია მოითხოვს სახელმწიფო ხელისუფლების, მათ შორის საკანონმდებლო ხელისუფლების, კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში განხორციელებას.<sup>1614</sup> ეს, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს კონსტიტუციური წესრიგისა და მისი ფუნდამენტური პრინციპების დაცვას. ეს მოთხოვნა ვრცელდება საკანონმდებლო ორგანოს მთელ საქმიანობაზე. გამონაკლისები არ დაიშვება, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანისთვისაც კი.<sup>1615</sup>

<sup>1612</sup> მაგ.: ლოლაძე ბ., კონსტიტუციის ცვლილებების კონსტიტუციურობის კონტროლის პერსპექტივა, <http://emc.org.ge/2014/11/11/experts-third/>, 14.11.2014; Sachs, GG, Art. 20, Rn. 34; Sachs M. (Bearb.), Kommentar zum Art. 79 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, München 2011, Rn. 69; Schmidt, Staatsorganisationsrecht, 32 f.

<sup>1613</sup> მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადება.

<sup>1614</sup> მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის პირველი წინადადება.

<sup>1615</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 236.

უმრავლესობის პრინციპი არის დემოკრატიის არსებითი ნიშანი, მაგრამ ის არ უნდა გადაიზარდოს უმრავლესობის აბსოლუტიზმში.<sup>1616</sup> კონსტიტუციის პრინციპებით შეუზღუდავი უმრავლესობა ქმნის იმის წინაპირობას, რომ დემოკრატიული სისტემა მის ანტიპოდად გადაგვარდეს. აქედან გამომდინარე, არ უნდა არსებობდეს სფერო, რომელშიც უმრავლესობა გადაწყვეტილებას მიიღებს აბსოლუტურად თავისუფლად, კონსტიტუციური ფასეულობების გათვალისწინების გარეშე. ეს, უპირველეს ყოვლისა, საფრთხეს უქმნის ისეთ ფუნდამენტურ სიკეთებს, როგორცაა: კონსტიტუციის უზენაესობა, დემოკრატია, თავისუფლება და სამართლებრივი სახელმწიფო. ნებისმიერი არაკონსტიტუციური ნორმა ინვესს უარყოფით შედეგებს, თუმცა კონსტიტუციის არაკონსტიტუციური ნორმა განსაკუთრებით მაღალ რისკს უკავშირდება, თუ გავითვალისწინებთ მის უმაღლეს იურიდიულ ძალას.<sup>1617</sup> ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს კონსტიტუციის ცვლილების შემონმების კომპეტენცია, ასუსტებს სამართლებრივი სახელმწიფოს, როგორც იმ მექანიზმის როლს, რომელიც ხელს უშლის დემოკრატიის გადაზრდას უმრავლესობის თვითნებობაში.<sup>1618</sup>

## **5.2. სახელისუფლებო საქმიანობის სრული საკონსტიტუციო კონტროლის არარსებობა<sup>1619</sup>**

საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია, გარდა რამოდენიმე გამონაკლისისა, შემოიფარგლება ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემონმებით. ის არ ახორციელებს ე.წ. „რეალურ“ საკონსტიტუციო კონტროლს. უდავოა, რომ ის საქმიანო-

<sup>1616</sup> Sachs, GG, Art. 20, Rn. 23.

<sup>1617</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 236.

<sup>1618</sup> იქვე.

<sup>1619</sup> დანვრილებით იხ.: ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 317–323.

ბაც შეიცავს კონსტიტუციის დარღვევის საფრთხეს, რომელიც ნორმატიული აქტის მიღებას ან გამოცემას არ უკავშირდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადმინისტრაციული ორგანოებისა და თანამდებობის პირების უმრავლესობას არ აქვს ნორმატიული აქტის მიღების ან გამოცემის უფლებამოსილება. ეს გარემოება სრულად ათავისუფლებს მათ საკონსტიტუციო კონტროლისაგან.

ძირითადი უფლებების პირდაპირი ან ირიბი ხელყოფა შესაძლებელია ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებით.<sup>1620</sup> მიუხედავად ამისა, საერთო სასამართლოების საქმიანობა სრულად თავისუფალია საკონსტიტუციო კონტროლისაგან. გამოჰყოფენ საერთო სასამართლოს მიერ ძირითადი უფლებების შესაძლო დარღვევის ოთხ ჯგუფს:<sup>1621</sup> (1) საპროცესო ძირითადი უფლების დარღვევა; (2) სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზე; (3) ძირითადი უფლებების უგულვებლყოფა კანონების განმარტებისა და გამოყენებისას; (4) თვითნებური მოქმედება სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას, როდესაც აშკარა არის შეცდომა კანონის გამოყენებისას.

დღეისათვის არსებული მდგომარეობით, საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვისა და შეფასების ობიექტი შეიძლება გახდეს საერთო სასამართლოების პრაქტიკა. ამას შედეგად არ მოჰყვება შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება არაკონსტიტუციურობის გამო. საკონსტიტუციო სასამართლო ამ გზას მიმართავს ძირითადად იმის გასარკვევად, რამდენად იძლევა ნორმა არაკონსტიტუციური განმარტების შესაძლებლობას და ხომ არ არის ამგვარი განმარტება გავრცელებული საერთო სასამართლო-

<sup>1620</sup> საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების საკონსტიტუციო კონტროლის აუცილებლობასთან დაკავშირებით იხ.: ლოლაძე, სასამართლოს შეზღუდვა, 522 (531–533).

<sup>1621</sup> დანვრილებით იხ.: Schmidt, Staatsorganisationsrecht, 297; Stern, BK, Art. 93, Rn. 687; Zippelius, Deutsches Staatsrecht, 523; BVerfGE 4, 1 (6 f.); 42, 64 (72 ff.); 52, 131 (157 f.).

ების პრაქტიკაში. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლო არ აფასებს მტკიცებულების სახით წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილების კონსტიტუციასთან შესაბამისობას.<sup>1622</sup>

სახელისუფლებო საქმიანობის სრული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების აუცილებლობა გამომდინარეობს თვით კონსტიტუციიდან და მისი პრინციპებიდან. კონსტიტუცია და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი ითვალისწინებს რამოდენიმე ფუნდამენტურ მოთხოვნას, რომელიც ვრცელდება ნებისმიერ სახელისუფლებო სუბიექტზე და საჯარო უფლებამოსილებების განხორციელების ყველა ფორმაზე: (1) ძირითადი უფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით, სახელმწიფოს შეზღუდვა;<sup>1623</sup> (2) სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში;<sup>1624</sup> (3) კონსტიტუციის უზენაესობა.<sup>1625</sup> ამ მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფა საჭიროებს სრულფასოვანი საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმის არსებობას.<sup>1626</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაამახვილა ყურადღება „რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლის არარსებობაზე საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“.<sup>1627</sup> საჩივრის დასაშვებობის განხილვისას მან იმსჯელა იმაზე, თუ რამდენად იყო საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი შიდასახელმწიფოებრივი საშუალება კონ-

<sup>1622</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 4 აპრილის N1/2/440 განჩინება საქმეზე „ანატოლი კოზლოვსკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

<sup>1623</sup> მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადება.

<sup>1624</sup> მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის პირველი წინადადება.

<sup>1625</sup> მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადება.

<sup>1626</sup> დანვრილებით იხ.: ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 69–72.

<sup>1627</sup> Apostol v. Georgia (N40765/02; 28.11.2006).

ვენციის 35-ე მუხლის მიზნებისათვის.<sup>1628</sup> მან მიაკუთვნა ძირითადი უფლების დამცავი კონსტიტუციური სარჩელი ე. წ. „არარეალური“ კონსტიტუციური სარჩელების კატეგორიას, რადგანაც შეუძლებელი იყო სასამართლო გადანყვეტილებებისა და სახელმწიფო ორგანოების ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების გასაჩივრება. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ძირითადი უფლების დამცავი კონსტიტუციური სარჩელი წარმოადგენდა ეფექტიან საშუალებას.<sup>1629</sup>

## **6. ქართული საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ძირითადი ნაკლოვანებების გამოსწორების გზები**

### **6.1. კონსტიტუციური კანონების კონსტიტუციურობის კონტროლის შემოღება<sup>1630</sup>**

იმისათვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ შეძლოს კონსტიტუციური კანონების კონსტიტუციასთან შემომნების განხორციელება, აუცილებელი არის ე. წ. „მუდმივობის გარანტიის“ ასახვა საქართველოს კონსტიტუციაში.<sup>1631</sup> „მუდმივობის გარანტია“ არის სადავო ნორმების შემომნების მასშტაბი.<sup>1632</sup> ის ადგენს კონტიტუციის გადასინჯვის მატერიალურ-შინაარსობრივ ფარგ-

<sup>1628</sup> იქვე, §§ 40–46.

<sup>1629</sup> იქვე, §46.

<sup>1630</sup> დანვრილებით იხ.: ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 305–316.

<sup>1631</sup> „მუდმივობის გარანტიის“ შინაარსთან და ფარგლებთან დაკავშირებით დანვრილებით იხ.: ლოლაძე, კანონმდებლის მიერ კონსტიტუციის უზენაესობის იგნორირება და მისი პრევენცია, 187 (196–200).

<sup>1632</sup> შეადარე: Badura P., *Verfassungsänderung, Verfassungswandel, Verfassungsgewohnheitsrecht*, in: Isensee, Josef/Kirchhof, Paul (Hrsg.): *Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland*, Band VII, *Normativität und Schutz der Verfassung – Internationale Beziehungen*, Heidelberg 1992, 57 (71); Robbers G., *Die Änderungen des Grundgesetzes*, in: *Neue Juristische Wochenschrift*, 1989, 1325 (1325).

ლებს<sup>1633</sup> და ამით იცავს კონსტიტუციური კანონებით გაუქმების ან გამოფიტვისაგან კონსტიტუციის ფუნდამენტურ, „მუდმივ“ ღირებულებებს, მათ შორის სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს. კანონმდებელი, როგორც ნაწარმოები ხელისუფლება, შეზღუდულია კონსტიტუციაში ასახული დამფუძნებელი ხელისუფლების ფუძემდებლური გადანაცვებით კონსტიტუციური კანონების მიღების შემთხვევაშიც კი.<sup>1634</sup> თვით „მუდმივობის გარანტიის“ დამდგენი კონსტიტუციური ნორმაც ხელშეუხებელია, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვერ შეასრულებს თავის ფუნქციას.<sup>1635</sup>

ქართულ კონსტიტუციონალიზმში არსებობს „მუდმივობის გარანტიის“ გარკვეული ტრადიცია. 1921 წლის კონსტიტუციის 148-ე მუხლი ხელშეუხებლად აცხადებდა რესპუბლიკური მმართველობის ფორმას. ეს არ იყო სრულყოფილი „მუდმივობის გარანტია“.

---

<sup>1633</sup> Bryde B.-O. (Bearb.), Kommentar zum Art. 79 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 2 (Art. 70 bis 146), 6., neu bearbeitete Auflage, München 2012, Rn. 26; Dreier H., Grenzen demokratischer Freiheit im Verfassungsstaat, in: Juristen Zeitung, 1994 (15/16), 741 (746); Dürig G., Zur Bedeutung und Tragweite des Art. 79 Abs. III des Grundgesetzes, in: Spanner, Hans/Lerche, Peter/Zacher, Hans/Badura, Peter/Freiherr von Campenhausen, Axel (Hrsg.): Festschrift für Theodor Maunz zum 70. Geburtstag am 1. September 1971, München 1971, 41 (42); Sachs, GG, Art. 79, Rn. 9; Stern K., Die Bedeutung der Unantastbarkeitsgarantie des Art. 79 III GG für die Grundrechte, in: Stern, Klaus/Siekmann, Helmut (Hrsg.), Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge, Köln/Berlin/Bonn/München 1992, 269 (269); Stern, BK, Art. 93, Rn. 222; Zippelius, Deutsches Staatsrecht, 536.

<sup>1634</sup> შეადარე: Hain K.-E., Kommentar zum Art. 79 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian: Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010, Rn. 31.

<sup>1635</sup> დანვრილებით იხ.: Badura, Verfassungsänderung, 57 (70); Evers H.-U., Kommentar zum Art. 79 Abs. 3 GG, in: Dolzer, Rudolf/Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), Band 10 (Art. 74–79), Heidelberg seit 1950, Rn. 133 ff.; Maurer H., Verfassungsänderung im Parteienstaat, in: Kästner, Karl-Hermann/Nörr, Knut Wolfgang/Schlaich, Klaus (Hrsg.): Festschrift für Martin Heckel zum siebzigsten Geburtstag, Tübingen 1999, 821 (832 f.); Sachs, GG, Art. 79, Rn. 80.

მისი რეალიზაციის ინსტიტუციური მექანიზმი არ არსებობდა. ეს გარემოება ამცირებდა 148-ე მუხლის სავალდებულო ძალას და მას დეკლარაციულ ხასიათს სძენდა. გარდა ამისა, აკრძალვა იყო შინა-ასობრივად ვინრო. 148-ე მუხლი იყო ორიენტირებული უფრო მონარქიის არდაშვებაზე და არა რესპუბლიკის პრინციპის დაცვაზე, რომელსაც აქვს გაცილებით ფართო შინაარსი.<sup>1636</sup>

2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ გაითვალისწინა „მუდმივობის გარანტიის“ მსგავსი ჩანაწერი: „საყოველთაო არჩევნებში არჩეული ორგანოს მიმდინარე უფლებამოსილების ვადის კონსტიტუციით ან კანონით შემცირება ან გაზრდა დაუშვებელია.“<sup>1637</sup> ამ ნორმის ტექსტიდან პირდაპირ გამომდინარეობს, რომ მიმდინარე უფლებამოსილების ვადის შემცირება ან გაზრდა კონსტიტუციის გადასინჯვის გზითაც კი დაუშვებელია.

მისასაღმებელია, რომ დემოკრატიის პრინციპის ზემოაღნიშნული მოთხოვნა ასე მყარად არის გარანტირებული. ამასთან დემოკრატიასა და სხვა ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპებს აქვთ არაერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც ასევე საჭიროებს „მუდმივობის გარანტიის“ მოქმედების არეალში მოქცევას. წარმოუდგენელია თავისუფალი და დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის ისეთი საფუძვლების გაუქმება ან გამოფიტვა, როგორცაა ადამიანის ღირსება, ადამიანის უფლებათა აღიარება, ძირითადი უფლებებით შეზღუდვა, დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სოციალური სახელმწიფოს პრინციპები. ეს გამოიწვევდა მთელი კონსტიტუციური სისტემის რღვევას.<sup>1638</sup>

კონსტიტუციური პრინციპების ნებისმიერი დეტალის დაცვა არის გადამეტებული და აზრს მოკლებული. „მუდმივობის გარა-

<sup>1636</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 243.

<sup>1637</sup> მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადება.

<sup>1638</sup> Loladze, Rechtsstaatsprinzip, 244.

ნტია“ უნდა უზრუნველყოფდეს მხოლოდ შესაბამისი პრინციპის არსის ხელშეუხებლობას. იგივე შეიძლება ითქვას ძირითად უფლებებზეც. ძირითადი უფლებების დამდგენი კონსტიტუციური ნორმების გადასინჯვა სრულად ვერ აიკრძალება, თუმცა დაუშვებელი უნდა იყოს კონსტიტუციაში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც ხელჰყოფს ძირითადი უფლების არსს. გარდა ამისა, მიზანშეწონილი იქნება კონსტიტუციაში ისეთ ცვლილების შეტანის აკრძალვა, რომელიც აუქმებს ძირითადი უფლების დამდგენ ნორმას, თუ ამ ნორმით დაცული სფერო არ გადაიფარება სხვა ძირითადი უფლების მიერ მსგავსი ეფექტიანობით მაინც.<sup>1639</sup>

ქართულმა „მუდმივობის გარანტიამ“ შეიძლება მოიცვას ასევე სპეციფიური და საქართველოსათვის პრინციპული მნიშვნელობის მქონე თემები. მათ რიცხვს განეკუთვნება ტერიტორიული მთლიანობისა და ოკუპირებულ ტერიტორიების არალიარების საკითხი. ვერც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ, თუნდაც საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, ვერ უნდა შეძლოს სახელმწიფოს იმ ტერიტორიის, რაც განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით, ნაწილზე უარის თქმა.<sup>1640</sup> ცხადია, უნდა გამოირიცხოს ოკუპაციის შედეგად შექნილი „სახელმწიფოების“ აღიარება.

კონსტიტუციური კანონი არა მხოლოდ შინაარსობრივად უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას, არამედ მისი მიღება უნდა განხორციელდეს იმ ფორმალური წესის ზედმინვენით დაცვით, რასაც ითვალისწინებს უზენაესი კანონი.<sup>1641</sup> აქედან გამომდინარე კონსტიტუციური კანონების კონსტიტუციურობის შემოწმება უნდა განხორციელდეს როგორც მატერიალური, ასევე ფორმალური თვალსაზრისით.

<sup>1639</sup> Loladze, იქვე, 245; ლოლაძე, კონსტიტუციის ცვლილებების კონსტიტუციურობის კონტროლის პერსპექტივა.

<sup>1640</sup> ლოლაძე, იქვე.

<sup>1641</sup> დანვრილებით იხ.: 77-ე მუხლი.

კონსტიტუციური კანონების კონსტიტუციურობის შემოწმების უფლებამოსილება უნდა აისახოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა კატალოგში.<sup>1642</sup> გარდა ამისა, მისი განხორციელების პროცედურა უნდა მოწესრიგდეს სრულყოფილად. ამ კუთხით, არსებობს როგორც რეპრესიული, მაგალითად გერმანიის, ასევე პრევენციული, მაგალითად რუმინეთის, საკონსტიტუციო კონტროლის გამოცდილება. პრევენციული საკონსტიტუციო კონტროლის მთავარი დადებითი მხარე იმაშია, რომ ის *ab initio* ახდენს საკონსტიტუციოსამართლებრივი პრობლემის არიდებას. ეს უკეთესია სამართლებრივი უსაფრთხოების დაცვისათვის.<sup>1643</sup> ამასთან, შესაძლებელი არის, რომ კონსტიტუციური კანონის არაკონსტიტუციურობა გამოაშკარავდეს მხოლოდ მისი ძალაში შესვლის შემდეგ.<sup>1644</sup> წინასწარი კონტროლი ასევე არ შეესაბამება საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც სასამართლო ორგანოს, არსს.<sup>1645</sup> სასამართლოს ჩარევა მიმდინარე საკანონმდებლო პროცესში ეწინააღმდეგება ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპს<sup>1646</sup> და ზრდის მისი პოლიტიზების ხარისხს, რაც არასასურველ ტენდენციას წარმოადგენს საკონსტიტუციო მართლმსაჯულებისათვის.<sup>1647</sup>

კონსტიტუციური კანონების საკონსტიტუციო კონტროლის ქართული მოდელი ისე უნდა ჩამოყალიბდეს,<sup>1648</sup> რომ მას არ ჰქო-

<sup>1642</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლო კომპეტენციის ფორმასა და შინაარსთან დაკავშირებით დანვრილებით იხ.: ლოლაძე, კანონმდებლის მიერ კონსტიტუციის უზენაესობის იგნორირება და მისი პრევენცია, 187 (200–203).

<sup>1643</sup> შვარცი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება, 70.

<sup>1644</sup> Doehring, *Allgemeine Staatslehre*, 202; შვარცი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება, 70.

<sup>1645</sup> Benda, Klein, *Verfassungsprozessrecht*, 176.

<sup>1646</sup> შვარცი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება, 70 f., 375 f.

<sup>1647</sup> ლოლაძე, კონსტიტუციის ცვლილებების კონსტიტუციურობის კონტროლის პერსპექტივა; შვარცი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება, 70.

<sup>1648</sup> ამ საკითხზე დანვრილებით იხ.: Loladze, *Rechtsstaatsprinzip*, 247 f.

ნდეს პრევენციული კონტროლის ფორმა თანმდევნი ნაკლოვანებებით. ამასთან, ის მაქსიმალურად უნდა ამცირებდეს ან სრულად აღმოფხვრიდეს არაკონსტიტუციური ნორმის მოქმედების შესაძლო ნეგატიურ შედეგებს. ამ მიზნის მისაღწევად ოპტიმალური გზა იქნებოდა რეპრესიული კონტროლის დანერგვა და ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში, მისი ძალის დაკარგვის მომენტის განსაზღვრის მინდობა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის.<sup>1649</sup> თუ არაკონსტიტუციური ნორმა ინვესს ისეთ შედეგს, რომლის აღმოფხვრაც აუცილებელი და შესაძლებელია, გონივრული იქნება მისი *ex-tunc* ძალადაკარგულად ცნობა. როდესაც ამგვარი საჭიროება არ იარსებებს, არაკონსტიტუციურმა ნორმამ შეიძლება დაკარგოს ძალა საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან (*ex-nunc*).

კონსტიტუციური კანონების გასაჩივრება, სამართლებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა იყოს შესაძლებელი მათი მიღებიდან გონივრული ვადის განმავლობაში. დაუშვებელია, რომ კონსტიტუციის ნორმა იმყოფებოდეს გაუქმების მუდმივი საფრთხის ქვეშ. კონსტიტუცია სამართლებრივი სტაბილურობის არსებითი ფაქტორია და თავადაც სტაბილური და სანდო უნდა იყოს.

## **6.2. „რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლის შემოღება<sup>1650</sup>**

საჯარო ხელისუფლების სრული საკონსტიტუციო კონტროლის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, რომ შესაძლებელი იყოს საკონსტიტუციო სასამართლოში არა მხოლოდ ნორმატიული, არამედ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების გასაჩივრება,

<sup>1649</sup> ლოლაძე, კონსტიტუციის ცვლილებების კონსტიტუციურობის კონტროლის პერსპექტივა.

<sup>1650</sup> დანვრილებით იხ.: ლოლაძე, მაჭარაძე, ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 324–332.

მიუხედავად მათი მიმღები/გამომცემი სუბექტისა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ეს დასაშვები იყოს ძირითადი უფლების დამცავი კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში.

პირს უნდა შეეძლოს როგორც ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების, ასევე სასამართლოს იმ გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობაზე დავა, რომლებიც ხელყოფს მის ძირითად უფლებას.<sup>1651</sup> საკონსტიტუციო კონტროლს უნდა დაექვემდებაროს ნებისმიერი სასამართლო აქტი, რომელსაც აქვს ძირითადი უფლების დარღვევის პოტენციალი. აქ იგულისხმება არა მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილება, არამედ ასევე ე. წ. „შუალედური აქტიც“, მაგალითად რომლიც შეეხება აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას.<sup>1652</sup>

სამართლებრივი აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების აუცილებელი წინაპირობა უნდა იყოს სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებების ამონურვა. ცხადია, ამას ვერ მოვითხოვთ მოსარჩელისაგან, თუ ობიექტურად არ არსებობს სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებები. მაგალითად, საკანონმდებლო აქტების გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოში და კონსტიტუციური სარჩელის შეტანამდე საერთო სასამართლოებში დავა გამოიციხულია.

კანონქვემდებარე აქტი შეიძლება გახდეს საერთო სასამართლოს განხილვის საგანი. მიუხედავად ამისა, მოქმედი კანონმდებლობა არ მოითხოვს სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებების ამონურვას მათი საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში. ამასთან, „საქართველოს საკონსტიტუციო

<sup>1651</sup> საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების საკონსტიტუციო კონტროლის შესაძლო მოდელთან დაკავშირებით დანვრილებით იხ.: ლოლაძე, სასამართლოს შეზღუდვა, 522 (533–536).

<sup>1652</sup> შეადარე: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 263.

სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი ირიბად ადგენს დაცვის სხვა სამართლებრივი საშუალებების ამონურვის მოთხოვნას – კონსტიტუციური სარჩელი განსახილველად არ მიიღება, თუ სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შეუძლებელია ნორმატიული აქტების იერარქიაში მასზე მაღლა მდგომი იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული არ არის.<sup>1653</sup> ეს წესი აიძულებს პოტენციურ მოსარჩელეს, რომ კარგად შეისწავლოს შესაბამისი კანონმდებლობა კონსტიტუციური სარჩელის შეტანამდე. თუ პრობლემა არის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში, ხოლო კანონი, რომლის საფუძველზეც ის გამოიცა, კონსტიტუციას შეესაბამება, მაშინ დღის წესრიგში დგება ამ კანონქვემდებარე აქტის კანონიერების საკითხი, რისი შეფასებაც საერთო სასამართლოების კომპეტენციაა. თუ სადავო კანონქვემდებარე აქტი გამოცემული არის სავარაუდოდ არაკონსტიტუციური კანონის საფუძველზე, რომელიც მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია, საკონსტიტუციო კონტროლი ნაკლოვანი იქნება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ კანონქვემდებარე აქტი გაუქმდება, მისი არაკონსტიტუციური საფუძველი – კანონი მაინც გააგრძელებს მოქმედებას. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ კანონის არაკონსტიტუციურად და ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში, შესაბამისი კანონქვემდებარე აქტიც კარგავს ძალას და მისი გასაჩივრება არ არის აუცილებელი.<sup>1654</sup>

„რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლის შემოღების შემთხვევაში, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის ზემოხსენებული მოთხოვნა, რა თქმა უნდა, აღარ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ უზრუნველყო-

<sup>1653</sup> 313 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

<sup>1654</sup> შეადარე: Loladze, Rechtsstaatsprinzip, 265.

ფილი იყოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვამდე სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებების ამონწურვა. მოსარჩელემ უნდა გამოიყენოს ყველა საშუალება, რასაც მას აძლევს შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობა. ამასთან, უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით, შეიძლება დადგინდეს გამოწვევები, რათა სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამონწურვა არ გადაიქცეს თვითმიზნად. ამ წინაპირობის დაყენებას აზრი დაეკარგებოდა, როდესაც არსებობს ძირითადი უფლების დაცვის გადაუდებელი და აღმატებული ინტერესი. იგივე შეიძლება ითქვას იმ შემთხვევაზე, როდესაც სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალების გამოყენება, დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე, აშკარად უპერსპექტივოა.<sup>1655</sup>

მიუხედავად სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამონწურვის მოთხოვნისა, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გაფართოება მას დააყენებს ისეთი გამონწვევების წინაშე, როგორცაა: გადატვირთვა, ეფექტიანობისა და გადანყვეტილებების ხარისხის დაქვეითება. აქედან გამომდინარე, აუცილებელი იქნება „რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლის მოდელზე ეტაპობრივი გადასვლა.<sup>1656</sup> საჭირო გახდება ორგანიზაციული (მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიების რაოდენობის გაზრდა) და საკადრო (მაგალითად, პროფესიონალი კადრების მოზიდვა) ღონისძიებების განხორციელება გამონწვევების წარმატებით დაძლევის მიზნით. ახალი და რთული უფლებამოსილების განხორციელებაზე ეტაპობრივი ადაპტირებისათვის, თავდაპირველად უმჯობესი იქნებოდა იმის შემოწმებით შემოფარგვლა, ხომ არ ეფუძნება სადავო აქტი ან სასამართლოს გადანყვეტილება არაკონსტიტუციურ ნორმას. სარჩელის დაკმაყოფილება გამოიწვევდა

<sup>1655</sup> შეადარე: იქვე, 266.

<sup>1656</sup> დანვრილებით იხ.: იქვე, 267 f.

არაკონსტიტუციური ნორმისა და მის საფუძველზე მიღებული აქტის ან სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებას. შემდეგი საფეხური შეიძლება ყოფილიყო იმის შემონმების დანერგვა, ხომ არ დაირღვა საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებით რომელიმე ძირითადი საპროცესო უფლება. ბოლო ეტაპზე, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს დაუგროვდება საკმარისი გამოცდილება, შესაძლებელი იქნება „რეალურ“ საკონსტიტუციო კონტროლზე სრული გადასვლა.

## ბიბლიოგრაფია

### სამეცნიერო ლიტერატურა

- აბაშმაძე ვ., ქართული ინტელექტუალური ფენომენები, ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებები, თბილისი 1992
- დემეტრაშვილი ა., კონსტიტუციონალიზმის პარადიგმები საქართველოში. საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, N3, 2010, 99-129.
- ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა ნესრიგი საქართველოში, თბილისი 2007
- იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი 2005
- ისაშაროვი ს., მყიფე დემოკრატიები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, N2, 2010, 62
- ლოლაძე ბ., აღმასრულებელი ხელისუფლების შეზღუდვა ძირითადი უფლებებით, კორკელია კონსტანტინე (რედ.), „ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა“, თბილისი 2018, 175-194
- ლოლაძე ბ., განსაზღვრულობის პრინციპი სამართლებრივ სახელმწიფოში, დემეტრაშვილი სოფიო (რედ.), ავთანდილ დემეტრაშვილი 80, თბილისი 2021, 509-528
- ლოლაძე ბ., თანაზომიერების პრინციპი და მისი გამოყენება საქართველოში, კორკელია კონსტანტინე (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული ინსტიტუტები, თბილისი 2024, გვ. 97-122
- ლოლაძე ბ., კანონმდებლის მიერ კონსტიტუციის უზენაესობის იგნორირება და მისი პრევენცია, კორკელია კონსტანტინე (რედ.), „ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა“, თბილისი 2013, 187-203
- ლოლაძე ბ., კონსტიტუციონალიზმის ძირითადი პრინციპები, გეგენავა დიმიტრი (რედ.), შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი 2021, 31-63

- ლოლაძე ბ., კონსტიტუციის ცვლილებების კონსტიტუციურობის კონტროლის პერსპექტივა, <http://emc.org.ge/2014/11/11/experts-third/>, 14.11.2014;
- ლოლაძე ბ., რამდენიმე მოსაზრება საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მეორე თავში შენარჩუნების მნიშვნელობაზე, [www.emc.org.ge](http://www.emc.org.ge), 02.05.2017.
- ლოლაძე ბ., სასამართლო სამართალსა და პოლიტიკას შორის, გეგენავა დიმიტრი (რედ.), ლადო ჭანტურია 60, თბილისი 2023, 316-331
- ლოლაძე ბ., სასამართლოს შეზღუდვა კონსტიტუციითა და ძირითადი უფლებებით, უგრეხელიძე მინდია, ქანთარია ბექა (რედ.), კონსტიტუციონალიზმი. მიღწევები და გამოწვევები, თბილისი 2019, გვ. 522-536
- ლოლაძე ბ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გეგენავა დიმიტრი, გორაძე გიორგი (რედ.), შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, მეორე გამოცემა, თბილისი 2021, 247-271
- ლოლაძე ბ., სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, გეგენავა დიმიტრი (რედ.), კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, ნიგნი I, თბილისი 2018, 73-89
- ლოლაძე ბ., სოციალური სახელმწიფო – საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის? კორკელია კონსტანტინე (რედ.), „ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები“, თბილისი 2012, გვ. 104-122
- ლოლაძე ბ., უკუძალის საკითხის მართებული განმარტების მნიშვნელობა ძირითადი უფლებების სფეროში, კორკელია კონსტანტინე (რედ.), „ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში“, თბილისი 2017, გვ. 115-130
- ლოლაძე ბ., ძირითადი უფლებების შეზღუდვის დელეგირების სტანდარტები და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა COVID-19-ის პირობებში, კორკელია კონსტანტინე (რედ.), „ადამიანის უფლებათა დაცვა და კოვიდ-19-ის პანდემია“, თბილისი 2021, 109-136

- ლოლაძე ბ., ხელისუფლების დაბალანსების დამატებითი მექანიზმი, ინტერნეტ-ჟურნალი „ლიბერალი“ (<http://liberali.ge/articles/view/2836/khelisuflebis-dabalansebis-damatebitimeqanizmi>), 04.12.12;
- ლოლაძე ბ., ფირცხალაშვილი ა., ძირითადი უფლებები. კომენტარი, თბილისი 2023
- ლოლაძე ბ., მაჭარაძე ზ., ფირცხალაშვილი ა. (რედ.), საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბილისი 2022
- მო დ., უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის გამოყენება და დიალოგი საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, N2, 2010, 3-25
- ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშენიერაძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა. 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა, თბილისი 2013
- შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი 2003
- შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, თბილისი 2003
- შვარცი ჰ., კონსტიტუციის მშენებლობის საფეხურები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, N1, 2009, 7
- ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა N4, 2010
- ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია. წიგნი მეორე. ნაკვეთი პირველი, თბილისი 1928
- ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია. წიგნი მეორე. ნაკვეთი მეორე, თბილისი 1929
- Alexy R., Bericht, in: Alexy, Robert/Kunig, Philip/Heun, Werner/Hermes, Georg: Verfassungsrecht und einfaches Recht, Verfassungsgerichtsbarkeit und Fachgerichtsbarkeit, VVDStRL, Berlin/ New York 2002, 7 ff.
- Alexy R., Grundrechte als subjektive Rechte und als objektive Normen, Der Staat 29 (1990), 49 ff.

- Altmeyer S., Vertrauensschutz im Recht der Europäischen Union und im deutschen Recht. Analyse und Vergleich anhand der Rechtsprechung des EuGH und der deutschen Fachgerichte, Baden-Baden 2003
- Aquin T. v., Über die Herrschaft der Fürsten (Übersetzung von Friedrich Schreyvogel, Nachwort von Ulrich Matz), Stuttgart 1971
- Arnauld A. v., Rechtsstaat, in: Depenheuer, Otto/Grabenwarter, Christoph: Verfassungstheorie, Tübingen 2010, 703 ff.
- Aubert J.-F., Willkürverbot und Vertrauensschutz als Grundrechte, in: Merten, Detlef/Papier, Hans-Jürgen (Hrsg.): Handbuch der Grundrechte in Deutschland und Europa, Band VII/2, Grundrechte in der Schweiz und in Lichtenstein, § 228, Heidelberg/Zürich/St. Gallen 2007, 723 ff.
- Bachof O., Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates. Der soziale Rechtsstaat in verwaltungsrechtlicher Sicht, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968, 201 ff.
- Badura P., Der Zustand des Rechtsstaates, in: Badura, Peter/Roellecke, Gerd (Mitarb.): Der Zustand des Rechtsstaates. Ein Cappenberges Gespräch, Köln 1986, 13 ff.
- Badura P., Staatsrecht. Systematische Erläuterung des Grundsatzes für die Bundesrepublik Deutschland, 4., neu bearbeitete Auflage, München 2010
- Badura P., Verfassungsänderung, Verfassungswandel, Verfassungsgewohnheitsrecht, in: Isensee, Josef/Kirchhof, Paul (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band VII, Normativität und Schutz der Verfassung – Internationale Beziehungen, Heidelberg 1992, 57 ff.
- Bähr O., Der Rechtsstaat. Eine publizistische Skizze, Kassel, Göttingen 1864
- Bäumlin R., Die rechtsstaatliche Demokratie. Eine Untersuchung der gegenseitigen Beziehungen von Demokratie und Rechtsstaat, Zürich 1954
- Bäumlin R., Ridder H., Kommentar zum Art. 20 Abs. 1-3 GG, in: Wassermann, Rudolf (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz für

die Bundesrepublik Deutschland, Band 1, Art. 1-37, 2. Auflage, Neuwied 1989, 1340 ff.

- Benda E., Der soziale Rechtsstaat, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, 719 ff.
- Benda E., Menschenwürde und Persönlichkeitsrecht, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, 161 ff.
- Benda E., Klein E., Verfassungsprozessrecht. Ein Lehr- und Handbuch, 3., völlig neu bearbeitete Auflage, Heidelberg 2012
- Böckenförde E.-W., Schutzbereich, Eingriff, verfassungsimmanente Schranken, Der Staat 42 (2003), 165 ff.
- Böckenförde E.-W., Verfassungsgerichtsbarkeit, in: Neue juristische Wochenschrift, 52 (1999) 1, 9 ff.
- Bogs W., Das Problem der Freiheit im sozialen Rechtsstaat, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968, 509 ff.
- Brand J., Hattenhauer H. (Hrsg.), Der europäische Rechtsstaat. 200 Zeugnisse seiner Geschichte, Heidelberg 1994
- Breuer M., Staatshaftung für judikatives Unrecht: eine Untersuchung zum deutschen Recht, zum Europa- und Völkerrecht, Tübingen 2011
- Brohm W., Die Funktion des BVerfG – Oligarchie in der Demokratie? in: Neue juristische Wochenschrift, 54 (2001) 1, 1 ff.
- Bryde B.-O. (Bearb.), Kommentar zum Art. 79 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 2 (Art. 70 bis 146), 6., neu bearbeitete Auflage, München 2012, 189 ff.
- Buchwald D., Prinzipien des Rechtsstaats. Zur Kritik der gegenwärtigen Dogmatik des Staatsrechts anhand des allgemeinen Rechtsstaatsprinzips nach dem Grundgesetz der Bundesrepublik Deutschland, Aachen 1996

- Cornils M., Gewaltenteilung, in: Depenheuer, Otto/Grabenwarter, Christoph: Verfassungstheorie, Tübingen 2010, 657 ff.
- Denninger E., „Rechtsstaat“ oder „Rule of law“, in: Festschrift für Klaus Lüderssen, Baden-Baden 2002, 41 ff.
- Detterbeck S., Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, Juristische Ausbildung, 4 (2002), 235 ff.
- Doehring K., Allgemeine Staatslehre. Eine systematische Darstellung, 3., neu bearbeitete Auflage, Heidelberg 2004
- Dreier H., Grenzen demokratischer Freiheit im Verfassungsstaat, in: Juristen Zeitung, 1994 (15/16), 741 ff
- Dreier H. (Bearb.), Kommentar zum Art. 1 Abs. 3 GG (Grundrechtsbindung), in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band 1, 3. Auflage, Tübingen 2013
- Dreier H. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG (Einführung), in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band 2, 2. Auflage, Tübingen 2006
- Dreier H. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG (Republik), in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, Band. 2, 2. Auflage, Tübingen 2006, Rn. 17; Karl-Michael Reineck: Allgemeine Staatslehre und Deutsches Staatsrecht, 15. überarbeitete Auflage, Hamburg 2007
- Dürig G., Zur Bedeutung und Tragweite des Art. 79 Abs. III des Grundgesetzes, in: Spanner, Hans/Lerche, Peter/Zacher, Hans/Badura, Peter/Freiherr von Campenhausen, Axel (Hrsg.): Festschrift für Theodor Maunz zum 70. Geburtstag am 1. September 1971, München 1971, 41 ff.
- Erbe W., Die Freiheit im sozialen Rechtsstaat, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968, 309 ff.
- Evers H.-U., Kommentar zum Art. 79 Abs. 3 GG, in: Dolzer, Rudolf /Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), Band 10 (Art. 74 – 79), Heidelberg seit 1950
- Fähnrich H., Geschichte Georgiens, Leiden/Boston 2010

- Fechner E., Freiheit und Zwang im sozialen Rechtsstaat, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968, 73 ff.
- Federer J., Aufbau, Zuständigkeit und Verfahren des Bundesverfassungsgerichts, in: Das Bundesverfassungsgericht 1951 – 1971, 2., völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, Karlsruhe 1971, 59 ff.
- Fischer K., Die Verfassungsmäßigkeit rückwirkender Normen, Juristische Schulung, 9 (2001), 861 ff.
- Forsthoff E., Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968, 165 ff.
- Fortshoff E., Der moderne Staat und die Tugend, in: Rechtsstaat im Wandel, Stuttgart 1964, 13 ff.
- Forsthoff E., Zur Problematik der Verfassungsauslegung, Stuttgart 1961
- Fürst W., Die Funktionsgebundenheit von Verfassungs- und Verwaltungsrechtsprechung im Spannungsfeld grundgesetzlicher Gewaltenteilung, in: Festschrift Edwin Loebenstein zum 80. Geburtstag, Wien 1991, 31 ff.
- Gärditz K. F., Kommentar zum Art. 20 GG, in: Friauf, Karl Heinrich/Höfling, Wolfram (Hrsg.): Berliner Kommentar zum Grundgesetz, Band 2, Berlin seit 2000
- Gassner U. M., Gesetzgebung und Bestimmtheitsgrundsatz, Zeitschrift für Gesetzgebung, 37 (1996), 37ff.
- Gaul W., Verfassungsgebung in Georgien. Ergebnisse internationaler rechtlicher Beratung in einem Transformationsstaat, Berlin 2001
- Gerber H., Die Sozialstaatsklausel des Grundgesetzes, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968, 340 ff.
- Gneist, R. v., Der Rechtsstaat, Berlin 1872
- Grabenwarter C., Die Verfassung in der Hierarchie der Rechtsordnung, in: Deppenheuer, Otto/Grabenwarter, Christoph (Hrsg.): Verfassungstheorie, Tübingen 2010, 391 ff.

- Gröschner R., Die Republik, in: Isensee, Josef/Kirchhof, Paul (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band II, Verfassungsstaat, 3., völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, Heidelberg 2004, 369 ff.
- Gröschner R. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG (Sozialstaat), in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 2. Auflage, Tübingen 2006
- Grzeszick B. (Bearb.), Art. 20 und die allgemeine Rechtsstaatlichkeit, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958
- Grzeszick B. (Bearb.), Die Verfassungsgrundsätze des Art. 20 Abs. 3 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958
- Hain K.-E., Kommentar zum Art. 79 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian: Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010, 2209 ff.
- Haller W., Menschenwürde, Recht auf Leben und persönliche Freiheit, in: Merten, Detlef und Papier, Hans-Jürgen (Hrsg.): Handbuch der Grundrechte in Deutschland und Europa, Band VII/2, Grundrechte in der Schweiz und in Lichtenstein, § 209, Heidelberg/Zürich/St. Gallen 2007, 199 ff.
- Henke W., Die Republik, in: Isensee, Josef/Kirchhof, Paul (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band I, Grundlagen von Staat und Verfassung, 2., unveränderte Auflage, Heidelberg 1995, 863 ff.
- Herdegen M. (Bearb.), Kommentar zum Art. 1 Abs. 3 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, München seit 1958
- Hermes G., Bericht, in: Alexy, Robert/Kunig, Philip/Heun, Werner/Hermes, Georg: Verfassungsrecht und einfaches Recht, Verfassungsgerichtsbarkeit und Fachgerichtsbarkeit, VVDStRL (61), Berlin/New York 2002
- Herzog R. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, Art. 20 im Gefüge des GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958

- Herzog R. (Bearb.), Die Verfassungsentscheidung für die Sozialstaatlichkeit, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958
- Herzog R. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG (Die Verfassungsentscheidung für die Gewaltenteilung), in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958, 135 ff.
- Hesse K., Bedeutung der Grundrechte, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, 127 ff.
- Hesse K., Der Rechtsstaat im Verfassungssystem des Grundgesetzes, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968, 557 ff.
- Hesse K., Verfassung und Verfassungsrecht, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, 3 ff.
- Heun W., Bericht, in: Alexy, Robert/Kunig, Philip/Heun, Werner/Hermes, Georg: Verfassungsrecht und einfaches Recht, Verfassungsgerichtsbarkeit und Fachgerichtsbarkeit, Berlin/New York 2002, 80 ff.
- Heyde W., Rechtsprechung, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 2, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, 1579 ff.
- Höfling W., Die Grundrechtsbindung der Staatsgewalt, in: Juristische Arbeitsblätter, 1995, 431 ff.
- Höfling W. (Bearb.), Kommentar zum Art. 1 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, München 2011
- Hofmann H. (Bearb.), Kommentar zum Art. 1 GG, in: Schmidt-Bleibtreu, Bruno/Klein, Franz (Begr.)/Hofmann, Hans/Hopauf, Axel (Hrsg.): GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, Köln 2011
- Hofmann H. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: Schmidt-Bleibtreu, Bruno (Begr.)/Hofmann, Hans/Hopauf, Axel (Hrsg.): GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, Köln 2011

- Hoffmann-Riem W., Gesetz und Gesetzesvorbehalt im Umbruch. Zur Qualitäts-Gewährleistung durch Normen, Archiv des öffentlichen Rechts, 130 (2005), 5 ff.
- Hömig D., Grundlagen und Ausgestaltung der Wesentlichkeitslehre, in: Schmidt-Aßmann, Eberhard/Sellner, Dieter/Hirch, Günter/Kemper, Gerd-Heinrich/Lehmann-Grube, Hinrich: Festgabe 50 Jahre Bundesverwaltungsgericht, Köln, Berlin, Bonn, München 2003, 273 ff.
- Hopfauf A. (Bearb.), Kommentar zum Art. 93 GG, in: Schmidt-Bleibtreu, Bruno/Klein, Franz (Begr.), Hofmann, Hans/Hopfauf, Axel (Hrsg.): GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, Köln 2011
- Horn H.-D., Gewaltenteilige Demokratie, demokratische Gewaltenteilung. Überlegungen zu einer Organisationsmaxime des Verfassungsstaates, Archiv des öffentlichen Rechts, 127 (2002), 427 ff.
- Huber E. R., Rechtsstaat und Sozialstaat in der modernen Industriegesellschaft, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968, 589 ff.
- Humboldt W. v., Ideen zu einem Versuch, die Grenzen der Wirksamkeit des Staats zu bestimmen. Über die Grenzen der Wirksamkeit des Staates, 2. Auflage, Nürnberg 1954
- Ipsen H. P., Über das Grundgesetz, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968, 16 ff.
- Ipsen J., Der Staat der Mitte. Verfassungsgeschichte der Bundesrepublik Deutschland, München 2009
- Ipsen J., Staatsrecht I. Staatsorganisationsrecht, 20., neu bearbeitete Auflage, Köln/München 2008
- Ipsen J., Staatsrecht II, 24., überarbeitete Auflage, 2021
- Jarass H. D. (Bearb.): Kommentar zum Art. 1 GG, in: Jarass, Hans D./Pieroth, Bodo: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, München 2012
- Jarass H. D. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: Jarass, Hans D./Pieroth, Bodo: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, München 2012

- Jhering R. v., Geist des römischen Rechts auf den verschiedenen Stufen seiner Entwicklung, Zweiter Theil, Zweite Abtheilung, 3. Auflage, Leipzig 1875
- Kägi W., Zur Entwicklung des schweizerischen Rechtsstaates seit 1848, in: Hundert Jahre schweizerisches Recht, Jubiläumsgabe der Zeitschrift für schweizerisches Recht, Centenarium 1852 – 1952, Basel 1952
- Kahl W., Grundrechte, in: Depenheuer, Otto/Grabenwarter, Christoph: Verfassungstheorie, Tübingen 2010, 807 ff.
- Kant I., Die Metaphysik der Sitten, 13. Auflage (Hrsg. von Wilhelm Weischedel), Frankfurt a. M., 2003 §§ 45, 46.
- Karpen U., Die geschichtliche Entwicklung des liberalen Rechtsstaates. Vom Vormärz bis zum Grundgesetz, Mainz 1985
- Kelsen H., Was ist Gerechtigkeit? Wien 1953
- Kelsen H., Wesen und Entwicklung der Staatsgerichtsbarkeit, in: Ooyen, Robert Christian van (Hrsg.): Wer soll der Hüter der Verfassung sein? Abhandlungen zur Theorie der Staatsgerichtsbarkeit in der pluralistischen, parlamentarischen Demokratie, Tübingen 2008
- Kirchhof P., Die Aufgaben des Bundesverfassungsgerichts in Zeiten des Umbruchs, in: Neue Juristische Wochenschrift, 49 (1996) 23, 1497 ff.
- Klein E., Der republikanische Gedanke in Deutschland. Einige historische und aktuelle Überlegungen, in: Die Öffentliche Verwaltung, Heft 18, September 2009, 741 ff.
- Klein E., Gesetzgebung ohne Parlament? Berlin 2004
- Klein E., Staatliches Gewaltmonopol, in: Depenheuer, Otto/Grabenwarter, Christoph: Verfassungstheorie, Tübingen 2010, 635 ff.
- Kloepfer M., Die Entfaltung des Verhältnismäßigkeitsprinzips, in: Schmidt-Aßmann, Eberhard/Sellner, Dieter/Hirsch, Günter/Kemper, Gerd-Heinrich/Lehmann-Grube, Hinrich (Hrsg.): Festgabe 50 Jahre Bundesverwaltungsgericht, Köln u. a. 2003, 329 ff.
- Kloepfer M., Verfassungsrecht I, Grundlagen, Staatsorganisationsrecht, Bezüge zum Völker- und Europarecht, München 2011

- Krell A., 10 Jahre brasilianische Bundesverfassung: Rechtsdogmatische und rechtssoziologische Aspekte der Entwicklung des Grundrechtsschutzes, in: *Verfassung und Recht in Übersee*, 32 (1999) 1, 8 ff.
- Kunig P., *Der Rechtsstaat*, in: Badura, Peter/Dreier, Horst (Hrsg.): *Festschrift 50 Jahre Bundesverfassungsgericht, Zweiter Band – Klärung und Fortbildung des Verfassungsrechts*, Tübingen 2001, 421 ff.
- Kunig P., *Das Rechtsstaatsprinzip. Überlegungen zu seiner Bedeutung für das Verfassungsrecht der Bundesrepublik Deutschland*, Tübingen 1986
- Kunig P. (Bearb.), *Kommentar zum Art. 1 GG*, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): *Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69)*, 6., neu bearbeitete Auflage, München 2012
- Leibholz G., Rinck H.-J., Hesselberger D., *Kommentar zum Art. 1 GG*, in: *Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar an Hand der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, Band I*, 6. Auflage, Köln 1975/1989
- Leibholz G., Rinck H.-J., Hesselberger D., *Kommentar zum Art. 20 GG*, in: *Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar an Hand der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, Band II*, 6. Auflage, Köln 1975/1989
- Lerche P., *Vorbehalt des Gesetzes und Wesentlichkeitstheorie*, in: Merten, Detlef/Papier, Hans-Jürgen (Hrsg.): *Handbuch der Grundrechte in Deutschland und Europa, Band III – Grundrechte in Deutschland: Allgemeine Lehren II*, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg 2009, § 62, 301 ff.
- Loladze B., *Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens*, Potsdam 2015
- Maihofer W., *Prinzipien freiheitlicher Demokratie*, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): *Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2.*, neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, 427 ff.
- Maihofer W., *Rechtsstaat und menschliche Würde*, Frankfurt a. M. 1968

- Mastronardi P., Verfassungslehre. Allgemeines Staatsrecht als Lehre vom guten und gerechten Staat, Bern/Stuttgart/Wien 2007
- Matscher F., Der Gesetzesbegriff der EMRK, in: Festschrift Edwin Loebenstein zum 80. Geburtstag, Wien 1991, 105 ff.
- Maunz T. (Bearb.), Kommentar zum Art. 100 GG, in: Maunz, Theodor/Dürig, Günter (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band VI, München seit 1958
- Maurer H., Kontinuitätsgewähr und Vertrauensschutz (§ 79), in: Isensee, Josef/Kirchhof, Paul: Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band IV – Aufgaben des Staates, 3., völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, Heidelberg 2006, 395 ff.
- Maurer H., Rechtsstaatliches Prozessrecht, in: Badura, Peter/Dreier, Horst (Hrsg.): Festschrift 50 Jahre Bundesverfassungsgericht, Zweiter Band – Klärung und Fortbildung des Verfassungsrechts, Tübingen 2001, 467 ff.
- Maurer H., Verfassungsänderung im Parteienstaat, in: Kästner, Karl-Hermann/Nörr, Knut Wolfgang/Schlaich, Klaus (Hrsg.): Festschrift für Martin Heckel zum siebzigsten Geburtstag, Tübingen 1999, 821 ff.
- Menger F.-C., Der Begriff des sozialen Rechtsstaates im Bonner Grundgesetz, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968, 42 ff.
- Meyer W. (Berab.), Kommentar zum Art. 93 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz. Kommentar, Band 2 (Art. 70 bis 146), 6., neu bearbeitete Auflage, München 2012
- Michael L., Die drei Argumentationsstrukturen des Grundsatzes der Verhältnismäßigkeit – Zur Dogmatik des Über- und Untermaßverbotes und der Gleichheitssätze, Juristische Schulung, 2 (2001), 148 ff.
- Mohl R. v., Das Staatsrecht des Königsreichs Württemberg, 1. Theil, Tübingen 1829
- Möllers C., Dogmatik der grundgesetzlichen Gewaltenteilung, Archiv des öffentlichen Rechts, 132 (2007), 493 ff.

- Müller G., Schutzwirkung der Grundrechte, in: Merten, Detlef/Papier, Hans-Jürgen (Hrsg.): Handbuch der Grundrechte in Deutschland und Europa, Band VII/2, Grundrechte in der Schweiz und in Lichtenstein, § 204, Heidelberg/Zürich/St. Gallen 2007, 59 ff.
- Müller J. P., Die Verfassungsgerichtsbarkeit im Gefüge der Staatsfunktionen, in: Korinek, Karl/Müller, Jörg P./Schlaich, Klaus: Die Verfassungsgerichtsbarkeit im Gefüge der Staatsfunktionen, Berlin/New York 1981, 55 ff.
- Müller J. P., Geschichtliche Grundlagen, Zielsetzung und Funktionen der Grundrechte, in: Merten, Detlef/Papier, Hans-Jürgen (Hrsg.): Handbuch der Grundrechte in Deutschland und Europa, Band VII/2, Grundrechte in der Schweiz und in Lichtenstein, § 202, Heidelberg/Zürich/St. Gallen 2007, 3 ff.
- Müller-Terpitz R. (Bearb.), Kommentar zum Art. 100 GG, in: Schmidt-Bleibtreu, Bruno/Klein, Franz (Begr.), Hofmann, Hans/Hopfauf, Axel (Hrsg.): GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, Köln 2011, 2062 ff.
- Münch I. v., Das Bundesverfassungsgericht als Teil des Rechtsstaates, Jura 1992, S. 505 (506);
- Münch I. v. (Begr.), Mager U. (Bearb.), Staatsrecht I. Staatsorganisationsrecht unter Berücksichtigung der europarechtlichen Bezüge, 7., völlig neu bearbeitete Auflage, Stuttgart 2009
- Murswiek D. (Bearb.), Kommentar zum Art. 2 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, 2011
- Neukomm R., Nachwort, in: Rustaweli, Schota: Der Mann im Pantherfell, Zürich 1974, 453 ff.
- Nierhaus M., Beweismaß und Beweislast: Untersuchungsgrundsatz und Beteiligtenmitwirkung im Verwaltungsprozeß, München 1989
- Ossenbühl F., Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, in: Isensee, Josef/Kirchhof, Paul (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band V – Rechtsquellen, Organisation, Finanzen, Heidelberg, München, Landsberg, Berlin 2007, § 101, 183 ff.
- Papier H.-J., Gewaltentrennung im Rechtsstaat, in: Merten, Detlef (Hrsg.): Gewaltentrennung im Rechtsstaat. Zum 300. Geburtstag

von Charles de Montesquieu; Vorträge und Diskussionsbeiträge der 57. Staatswissenschaftlichen Fortbildungstagung 1989 der Hochschule für Verwaltungswissenschaften Speyer, Berlin 1989, 95 ff.

- Papier H.-J., Möller J., Das Bestimmtheitsgebot und seine Durchsetzung, *Archiv des öffentlichen Rechts*, 122 (1997), 177 ff.
- Papier H.-J., Justizgewähranspruch, in: Isensee, Josef/Kirchhof, Paul (Hrsg.): *Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland*, Band VIII, Grundrechte: Wirtschaft, Verfahren, Gleichheit, Dritte, völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, Heidelberg 2010, § 170, 491 ff.
- Phirtskhalashvili A., *Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung Georgiens vom 24. August 1995*, Potsdam 2010
- Radbruch G., *Der Mensch im Recht*, Tübingen 1927
- Radbruch G., *Gesetzliches Unrecht und übergesetzliches Recht (1946)*, Baden-Baden 2002
- Reineck K.-M., *Allgemeine Staatslehre und Deutsches Staatsrecht*, 15. überarbeitete Auflage, Hamburg 2007
- Reuter T., Die Verhältnismäßigkeit im engeren Sinne – das unbekannte Wesen, *Juristische Ausbildung*, 7 (2009), 511 ff.
- Robbers G., *Ausländer im Verfassungsrecht*, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.), *Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland*, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, 391 ff.
- Robbers G., *Die Änderungen des Grundgesetzes*, in: *Neue Juristische Wochenschrift*, 1989, 1325 ff.
- Robbers G., *Kommentar zum Art.20 GG (Aktualisierung Oktober 2009)*, in: Dolzer, Rudolf /Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): *Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar)*, Band 5 (Art. 20 – 21), Heidelberg seit 1950
- Roellecke G., *Der Zustand des Rechtsstaates*, in: Badura, Peter/Roellecke, Gerd (Mitarb.): *Der Zustand des Rechtsstaates. Ein Cappenberger Gespräch*, Köln 1986, 27 ff.

- Roellecke G., Kommentar zum Art. 20 GG (Identität der Bundesrepublik), in: Umbach, Dieter C./Clemens, Thomas (Hrsg.): Grundgesetz. Mitarbeiterkommentar und Handbuch, Band I, Heidelberg 2002, 1271 ff.
- Sachs M. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, München 2011
- Sachs M. (Bearb.), Kommentar zum Art. 79 GG, in: Sachs, Michael (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, München 2011
- Schachtschneider K. A., Prinzipien des Rechtsstaates, Berlin 2006
- Schenke W.-R., Justizgewähr und Grundrechtsschutz, in: Merten, Detlef/Papier, Hans-Jürgen (Hrsg.): Handbuch der Grundrechte in Deutschland und Europa, Band III – Grundrechte in Deutschland: Allgemeine Lehren II, Heidelberg 2009, § 78, 923 ff.
- Schenke W.-R., Verfassungsrechtliche Garantie eines Rechtsschutzes gegen Rechtsprechungsakte? in: Juristen Zeitung, 3 (2005), 116 ff.
- Scheuner U., Die neuere Entwicklung des Rechtsstaats in Deutschland, in: Forsthoff, Ernst (Hrsg.): Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit. Aufsätze und Essays, Darmstadt 1968, 461 ff.
- Schlink B., Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, in: Badura, Peter/Dreier, Horst (Hrsg.): Festschrift 50 Jahre Bundesverfassungsgericht, Bd. II, Tübingen 2001, 445 ff.
- Schmidt R., Staatsorganisationsrecht sowie Grundzüge des Verfassungsprozessrechts, 7. Auflage, Grasberg bei Bremen 2007
- Schmidt-Aßmann E., Art. 19 VI GG als Teil des Rechtsstaatsprinzips, in: Neue Zeitschrift für Verwaltungsrecht, 1 (1983), 1 ff.
- Schmidt-Aßmann E., Der Rechtsstaat, in: Isensee, Josef/Kirchhof, Paul (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band II Verfassungsstaat, 3., völlig neu bearbeitete und erweiterte Ausgabe, Heidelberg 2004, 541 ff.
- Schmidt-Jortzig E., Effektiver Rechtsschutz als Kernstück des Rechtsstaatsprinzips nach dem Grundgesetz, in: Neue Juristische Wochenschrift, 40 (1994), 2569 ff.

- Schnapp F. E., Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung der Republik Polen, in: Osteuropa, 47 (2001) 3, 171 ff.
- Schnapp F. E., Die Grundrechtsbindung der Staatsgewalt, Juristische Schulung, 1 (1989), 1 ff.
- Schnapp F. E., Die Verhältnismäßigkeit des Grundrechtseingriffs, Juristische Schulung, 11 (1983), 850 ff.
- Schnapp F. E. (Bearb.): Kommentar zum Art. 20 GG, in: Münch, Ingo von (Begr.)/Kunig, Philip (Hrsg.): Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, München 2012
- Schneider H.-P., Gewaltenverschränkung zwischen Parlament und Regierung, in: Merten, Detlef (Hrsg.): Gewaltentrennung im Rechtsstaat. Zum 300. Geburtstag von Charles de Montesquieu; Vorträge und Diskussionsbeiträge der 57. Staatswissenschaftlichen Fortbildungstagung 1989 der Hochschule für Verwaltungswissenschaften Speyer, Berlin 1989, 77 ff.
- Schöbener B., Allgemeine Staatslehre, München 2009
- Schulze-Fielitz H. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG (Rechtsstaat), in: Dreier, Horst (Hrsg.): Grundgesetz Kommentar, 2. Auflage, Tübingen 2006, 170 ff.
- Schuppert G. F., Regierung und Verwaltung, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 2, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, 1499 ff.
- Seuffert W., Die Verfassungsbeschwerde in der Verfassungsgerichtsbarkeit, in: Das Bundesverfassungsgericht 1951 – 1971, zweite völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, Karlsruhe 1971, 159 ff.
- Sieckmann J.-R. (Bearb.), Kommentar zum Art. 100 GG, in: Mangoldt, Hermann von(Begr.)/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 3, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010, 887 ff.
- Simon H., Verfassungsgerichtsbarkeit, in: Benda, Ernst/Maihofer, Werner/Vogel, Hans-Jochen (Hrsg.): Handbuch des Verfas-

sungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 2, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, 1637 ff.

- Sobota K., Das Prinzip Rechtsstaat. Verfassungs- und verwaltungsrechtliche Aspekte, Tübingen 1997
- Sommermann K.-P. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: Mangoldt, Hermann von (Begr.)/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010, 1 ff.
- Stahl F. J., Die Philosophie des Rechts, Bd. II, Rechts- und Staatslehre auf der Grundlage christlicher Weltanschauung, 2. Abth., Die Lehre vom Staat und die Principien des deutschen Staatsrechts, 6. Aufl., Nachdr. Der 5. Aufl., Tübingen 1878 (1. Aufl. unter dem Titel: Die Philosophie des Rechts nach geschichtlicher Ansicht, 1830 – 1837)
- Starck C. (Bearb.), Kommentar zum Art. 1 GG, in: Mangoldt, Hermann von/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010
- Starck C. (Bearb.), Kommentar zum Art. 2 GG, in: Mangoldt,/ Klein, /Starck(Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010
- Stein E., Götz F., Staatsrecht, 21., neu bearbeitete Auflage, Tübingen 2010
- Stern K., Das Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, in: Stern, Klaus/Siekmann, Helmut (Hrsg.), Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge, Köln/Berlin/Bonn/ München 1992, 1036 ff.
- Stern K., Das Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland, Band I – Grundbegriffe und Grundlagen des Staatsrechts, Strukturprinzipien der Verfassung, 2., völlig neu bearbeitete Auflage, München 1984
- Stern K., Das Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland, Band III – Allgemeine Lehren der Grundrechte, Halbband 1 – Grundlagen und Geschichte, nationaler und internationaler Grundrechts-

- konstitutionalismus, juristische Bedeutung der Grundrechte, Grundrechtsberechtigte, Grundrechtsverpflichtete, München 1988
- Stern K., Der Rechtsstaat. Rektoratsrede, Krefeld 1971
  - Stern K., Die Bedeutung der Unantastbarkeitsgarantie des Art. 79 III GG für die Grundrechte, in: Stern, Klaus/Siekmann, Helmut (Hrsg.), Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge, Köln/Berlin/Bonn/München 1992, 269 ff.
  - Stern K., Grundgesetz in Gefahr? – Verfassungsprobleme nach 25 Jahren Bundesrepublik Deutschland, in: Stern, Klaus/Siekmann, Helmut (Hrsg.), Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge, Köln/Berlin/Bonn/München 1992, 38 ff.
  - Stern K., Kommentar zum Art. 93 GG, in: Dolzer, Rudolf /Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), Band 12 (Art. 89 – 104), Heidelberg seit 1950
  - Stern K., Kommentar zum Art. 100 GG, in: Dolzer, Rudolf /Graßhof, Karin/Kahl, Wolfgang/Waldhoff, Christian (Hrsg.): Bonner Kommentar zum Grundgesetz, Band 12 (Art. 89 – 104), Heidelberg seit 1950
  - Stern K., Menschenwürde als Wurzel der Menschen- und Grundrechte, in: Stern, Klaus/Siekmann, Helmut (Hrsg.), Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge, Köln/Berlin/Bonn/München 1992, 219 ff.
  - Stern K., Rechtliche und ökonomische Bedingungen der Freiheit, in: Stern, Klaus/Siekmann, Helmut (Hrsg.), Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge, Köln/Berlin/Bonn/München 1992, 206 ff.
  - Stern K., Verfassungsgerichtsbarkeit im Widerstreit, Passau 1979
  - Stern K., Verfassungsrechtliche wider „ideologische“ Deutung der Grundrechte, in: Stern, Klaus/Siekmann, Helmut (Hrsg.), Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge, Köln/Berlin/Bonn/München 1992, 234 ff.
  - Tettinger P. J., Fairneß und Waffengleichheit: rechtsstaatliche Direktiven für Prozeß und Verwaltungsverfahren, München 1984

- Thienel R., Vertrauensschutz und Verfassungsrecht, Wien 1990
- Vogel H.-J., Gewaltenvermischung statt Gewaltenteilung? Zu neueren Entwicklungen im Verhältnis der Verfassungsorgane zueinander, Neue juristische Wochenschrift, 23 (1996), 1505 ff.
- Voßkuhle A. (Bearb.), Kommentar zum Art. 93 GG, in: Mangoldt, Hermann von(Begr.)/Klein, Friedrich/Starck, Christian (Hrsg.): Kommentar zum Grundgesetz, Band 3, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010
- Voßkuhle A., Rechtsschutz gegen den Richter. Zur Integration der Dritten Gewalt in das verfassungsrechtliche Kontrollsystem vor dem Hintergrund des Art. 19 Abs. 4 GG, München 1993
- Wrege W. R., Das System der Gewaltenteilung im Grundgesetz, Juristische Ausbildung, 8 (1996), 436 ff.
- Zacher H. F., Das soziale Staatsziel, in: Isensee, Josef/Kirchhof, Paul (Hrsg.): Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band II, Verfassungsstaat, 3. völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, Heidelberg 2004, 659 ff.
- Zippelius R., Problemfelder der Machtkontrolle, in: Merten, Detlef (Hrsg.): Gewaltentrennung im Rechtsstaat. Zum 300. Geburtstag von Charles de Montesquieu; Vorträge und Diskussionsbeiträge der 57. Staatswissenschaftlichen Fortbildungstagung 1989 der Hochschule für Verwaltungswissenschaften Speyer, Berlin 1989, 27 ff.
- Zippelius R., Würtenberger T., Maunz T. (Begr.), Deutsches Staatsrecht. Ein Studienbuch, 32. Auflage, München 2008

#### ნორმატიული აქტები

- საქართველოს კონსტიტუცია (მიღების თარიღი – 1921 წლის 21 თებერვალი)
- საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) (მიღების თარიღი – 1978 წლის 15 აპრილი; ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თარიღები – 1984 წლის 7 იანვარი, 1986 წლის 5 ივლისი, 1989 წლის 18 ნოემბერი, 1990 წლის 20 მარტი, 18 აგვისტო, 15, 15 და 22 ნოემბერი, 11 და 28 დეკემბერი, 1991 წლის 29 იანვარი, 27 და 2 თებერვალი, 20 მარტი)

- საქართველოს კონსტიტუცია (მიღების თარიღი – 1995 წლის 24 აგვისტო)
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ (მიღების თარიღი – 1996 წლის 31 იანვარი)
- საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ (მიღების თარიღი – 2009 წლის 22 ოქტომბერი)
- საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ (მიღების თარიღი – 2009 წლის 4 დეკემბერი)
- საქართველოს რესპუბლიკის კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ (მიღების თარიღი – 1992 წლის 6 ნოემბერი)
- საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ (მიღების თარიღი – 1997 წლის 16 ოქტომბერი)
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (მიღების თარიღი – 1997 წლის 14 ნოემბერი)
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (მიღების თარიღი – 1999 წლის 25 ივნისი)
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (მიღების თარიღი – 1999 წლის 23 ივლისი)
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მიღების თარიღი – 2009 წლის 9 ოქტომბერი)
- საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) (მიღების თარიღი – 1936 წლის 5 დეკემბერი)
- საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) (მიღების თარიღი – 1977 წლის 7 ოქტომბერი)

#### საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები

- 1997 წლის 20 თებერვლის N1/3-21 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე ოთარ ზოიძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“
- 1997 წლის 21 ივლისის N1/51 გადაწყვეტილება საქმეზე „ქალაქ თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“

- 1997 წლის 29 დეკემბრის N2/35 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2001 წლის 7 ივნისის N1/1/103, 117, 137, 147-48, 152-53 გადაწყვეტილება საქმეზე – „საქართველოს მოქალაქეები – (1) ვალიდა დარბაიძე, ნათელა ციმაკურიძე და ნანა მირველაშვილი, (2) ნატალია ოკუჯავა, (3) მაია მელაძე, (4) მარი მიქიაშვილი, (5) დავით ადამიძე, ნანა სარაშვილი, გიორგი ოკუჯავა და სხვები (სულ 54 მოქალაქე), (6) ჟუჟუნა ბერიანიძე და (7) მარია ვარამაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2002 წლის 18 აპრილის N1/1/126, 129, 158 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – (1) ბაჭუა გაჩეჩილაძე, სიმონ თურვანდიშვილი, შოთა ბუაძე, სოლომონ სანადირაძე და ლევან ქვაცბაია, (2) ვლადიმერ დობორჯგინიძე, ნინელი ანდრიაძე, გურამ დემეტრაშვილი და შოთა პაპიაშვილი, (3) გივი დონაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2002 წლის 15 ოქტომბრის N1/2/174, 199 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ტრისტან ხანიშვილი, თედორე ნინიძე, ნოდარ ჭითანავა, ლევან ალექსიძე, გიორგი ქავთარაძე და სხვები (სულ 12 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2002 წლის 5 ნოემბრის N2/2/180-183 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2002 წლის 30 დეკემბერის N1/3/136 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ“
- 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება N2/1/187-188 საქმეზე „შპს „აირზენა საქართველოს ავიახაზები“ საქართველოს პარლამენტის და საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს წინააღმდეგ“

- 2003 წლის 29 იანვრის N2/3/182, 185, 191 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2003 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება N1/3/161 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2004 წლის 26 თებერვლის N1/1/186 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი წაქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2004 წლის 11 მარტის N2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2004 წლის 16 ნოემბრის N1/5/224 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ანზორ თევზაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2004 წლის 21 დეკემბრის N2/6/264 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „უნისერვისი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2005 წლის 17 მარტის N2/3/286 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე ოლეგ სვინტრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2005 წლის 13 ივლისის N2/5/309, 310, 311 გადაწყვეტილება საქმეზე „1) მოქალაქეები: ლილი თელია, არჩილ მეფარიძე და გურამ თოხაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2) მოქალაქე სერგო გოგიტიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 3) მოქალაქე როსტომ ბოლქვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2005 წლის 28 ივლისის N1/14/184, 228 გადაწყვეტილება საქმეზე „სააქციო საზოგადოებები – „საქვაზი“ და „ანაჯგუფი“ (ყოფილი „თბილგაზოპარატი“) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2006 წლის 13 ივლისის N1/2/378 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

- 2006 წლის 15 დეკემბრის N1/3/393, 397 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2007 წლის 9 თებერვლის N1/1/374, 379 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები შალვა ნათელაშვილი და აკაკი მიქაძე საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ“
- 2007 წლის 18 მაისის N2/1-370, 382, 390, 402, 405 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“
- 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2008 წლის 31 მარტის N2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406, 408 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2008 წლის 19 დეკემბრის N1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერგია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ

- 2009 წლის 6 აპრილის N2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2009 წლის 13 მაისის N1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2009 წლის 27 აგვისტოს N1/2/434 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“,
- 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/421, 422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2009 წლის 7 დეკემბრის N2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“
- 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება N2/482, 483, 487, 502 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

- 2011 წლის 11 ივლისის N3/2/416 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2011 წლის 22 დეკემბრის N1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2012 წლის 29 თებერვლის N2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2012 წლის 11 აპრილის N1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2013 წლის 11 აპრილის N1/2/503, 513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2013 წლის 11 აპრილის N1/1/539 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2013 წლის 14 მაისის N2/2/516, 542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2013 წლის 11 ივნისის N1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2013 წლის 5 ნოემბრის N3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი

- და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2013 წლის 27 დეკემბრის №2/3/522, 553 გადაწყვეტილება საქმეზე „სპს „გრიშა აშორდია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
  - 2014 წლის 29 იანვრის N1/1/543 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
  - 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“
  - 2014 წლის 27 თებერვლის N2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
  - 2014 წლის 11 აპრილის N1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
  - 2014 წლის 23 მაისის N3/1/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
  - 2014 წლის 24 ივნისის N1/3/538 გადაწყვეტილება საქმეზე „პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
  - 2014 წლის 12 სექტემბრის N2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე „რუსეთის მოქალაქეები – ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანნა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები – მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
  - 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532, 533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
  - 2014 წლის 13 ნოემბრის N2/5/556 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ია უჯმაჯურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

- 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/4/557, 571, 576 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2014 წლის 24 დეკემბრის N3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“
- 2015 წლის 22 იანვრის N1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2015 წლის 4 მარტის N1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2015 წლის 31 ივლისის N2/2/579 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2015 წლის 31 ივლისის N2/3/630 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2015 წლის 15 სექტემბრის N3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608, 609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამარ-

თლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“

- 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2016 წლის 13 აპრილის N3/1/633, 634 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“
- 2016 წლის 14 აპრილის N3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – სალომე ქინქლაძე, ნინო კვეციანიძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერადე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯავია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2016 წლის 18 აპრილის N2/1/631 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – თეიმურაზ ჯანაშია და გიული ალასანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2016 წლის 19 აპრილის N2/2/565 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ილია ლეჟავა და ლევან როსტომაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

- 2016 წლის 20 ივლისის N3/3/763 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტი წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 42 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2016 წლის 4 აგვისტოს № 2/4/570 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2016 წლის 29 სექტემბრის N3/4/641 გადაწყვეტილება საქმეზე „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“
- 2016 წლის 30 სექტემბრის N1/6/561, 568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2016 წლის 30 სექტემბრის N1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2016 წლის 30 სექტემბრის N1/2/596 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნათია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2016 წლის 30 სექტემბრის N1/4/614, 616 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიგა ბარათაშვილი და კარინე შახპარონიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ“
- 2016 წლის 30 სექტემბრის N1/5/675, 681 გადაწყვეტილება საქმეზე „„მშს სამაუნწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „მშს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2016 წლის 29 დეკემბრის N2/7/636 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით ცინცქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

- 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768, 769, 790, 792 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები – ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2017 წლის 27 იანვრის N1/1/650, 699 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2017 წლის 9 თებერვლის N1/2/622 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“
- 2017 წლის 14 თებერვლის N1/3/638 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლევან ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2017 წლის 15 თებერვლის N3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2017 წლის 27 მარტის N1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“
- 2017 წლის 7 აპრილის N3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2017 წლის 21 აპრილის N1/5/826 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა ფხალაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

- 2017 წლის 17 მაისის N3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2017 წლის 21 ივლისის N2/2/656 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „სილქ როუდ ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2017 წლის 21 ივლისის N2/1/598 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ კანდელაკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2017 წლის 21 ივლისის N2/3/680 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს იუ-სი-ჯი გრინ ფაუერი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2017 წლის 21 ივლისის N2/4/735 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – მერი გიორგაძე და ფიქრია მერაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2017 წლის 13 ოქტომბრის N1/10/703 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2017 წლის 17 ოქტომბრის N3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2017 წლის 17 ოქტომბრის N3/5/626 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ოლეგ ლაცაბიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2017 წლის 25 ოქტომბრის N1/11/629, 652 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – როინ გავაშელიშვილი და ვალერიანე მიგინეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“
- 2017 წლის 30 ნოემბრის N1/13/732 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2017 წლის 1 დეკემბრის N2/6/746 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „ჯორჯიან მანგანიზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

- 2017 წლის 28 დეკემბრის N2/8/734 გადაწყვეტილება საქმეზე „ააიპ „ფრემა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუნეებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2018 წლის 26 ივლისის N2/5/700 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, „შპს კასტელ ჯორჯია“ და „სს წყალი მარგებელი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ“
- 2018 წლის 30 ივლისის N1/3/1282 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2019 წლის 2 აგვისტოს N1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“
- 1999 წლის 22 აპრილის N1/3/99 განჩინება საქმეზე „თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“
- 1999 წლის 29 აპრილის N2/76/1 განჩინება საქმეზე „ირაკლი ბერიაშვილი და ვიქტორ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2002 წლის 29 ოქტომბრის N2/16/201 განჩინება საქმეზე „მოქალაქე დიმიტრი ციხელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2008 წლის 31 მარტის N2/1/431 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შალვა რამიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2008 წლის 4 აპრილის N1/2/440 განჩინება საქმეზე „ანატოლი კოზლოვსკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2008 წლის 18 ივნისის N2/3/441 განჩინება საქმეზე „საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

- 2009 წლის 10 ივნისის N1/2/458 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“
- 2010 წლის 22 მარტის N2/1/481 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნინო ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2010 წლის 12 ივლისის N2/2/486 განჩინება საქმეზე „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „კონსტიტუციის დაცვის ეროვნული ლიგა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/523 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გერონტი აშორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2013 წლის 5 თებერვლის N1/1/549 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ირმა ინაშვილი, დავით თარხან-მოურავი და იოსებ მანჯავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- 2016 წლის 25 ნოემბრის N1/13/711 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ლოგუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ლამარა ჩორგოლაშვილის განსხვავებული აზრი საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის N2/3/182, 185, 191 გადაწყვეტილებაზე საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების – ქეთევან ერემადის და ბესარიონ ზოიძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს N1/2/434 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ზაზა თავაძის და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2016 წლის 18 აპრილის N2/1/631 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს  
გადანყვეტილებები

- Apostol v. Georgia (N40765/02; 28.11.2006)

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს  
გადანყვეტილებები

- BVerfGE 1, 14 (Südweststaat)
- BVerfGE 1, 184 (Normenkontrolle I)
- BVerfGE 1, 396 (Deutschlandvertrag)
- BVerfGE 2, 124 (Normenkontrolle II)
- BVerfGE 3, 225 (Gleichberechtigung)
- BVerfGE 4, 1 (Bindung durch Rechtsinstanz)
- BVerfGE 4, 74 (Ärztliches Berufungsgericht)
- BVerfGE 4, 412 (Gesetzlicher Richter)
- BVerfGE 6, 32 (Elfes)
- BVerfGE 6, 290 (Washingtoner Abkommen)
- BVerfGE 7, 89 (Hamburgisches Hundesteuergesetz)
- BVerfGE 7, 198 (Lüth)
- BVerfGE 8, 274 (Preisgesetz)
- BVerfGE 9, 268 (Bremer Personalvertretung)
- BVerfGE 10, 200 (Friedensrichter Baden-Württemberg)
- BVerfGE 11, 232 (Korntal)
- BVerfGE 13, 261 (Rückwirkende Steuern)
- BVerfGE 14, 156 (Assessorenstrafkammern)
- BVerfGE 16, 6 (Verkündungszeitpunkt)
- BVerfGE 16, 147 (Werkfernverkehr)
- BVerfGE 17, 306 Mitfahrzentrale)
- BVerfGE 18, 315 (Marktordnung)
- BVerfGE 19, 342 (Wencker)
- BVerfGE 20, 323 (nulla poena sine culpa)
- BVerfGE 21, 73 (Grundstücksverkehrsgesetz)

- BVerfGE 21, 139 (Freiwillige Gerichtsbarkeit)
- BVerfGE 21, 378 (Wehrdisziplin)
- BVerfGE 25, 1 (Mühlengesetz)
- BVerfGE 26, 186 (Ehrengerichte)
- BVerfGE 29, 183 (Rücklieferung)
- BVerfGE 30, 250 (Absicherungsgesetz)
- BVerfGE 30, 292 (Erdölbevorratung)
- BVerfGE 30, 367 (Bundesentschädigungsgesetz)
- BVerfGE 31, 255 (Private Tonbandvervielfältigungen)
- BVerfGE 33, 247 (Klagestop Kriegsfolgen)
- BVerfGE 33, 367 (Zeugnisverweigerungsrecht für Sozialarbeiter)
- BVerfGE 34, 52 (Hessisches Richtergesetz)
- BVerfGE 38, 61 (Leberpfennig)
- BVerfGE 38, 105 (Rechtsbeistand)
- BVerfGE 39, 210 (Mühlenstrukturgesetz)
- BVerfGE 40, 88 (Führerschein)
- BVerfGE 41, 246 (Baader-Meinhof)
- BVerfGE 41, 251 (Speyer-Kolleg)
- BVerfGE 42, 64 (Zwangsversteigerung I)
- BVerfGE 45, 63 (Stadtwerke Hameln)
- BVerfGE 45, 187 (Lebenslange Freiheitsstrafe)
- BVerfGE 46, 202 (Pflichtverteidiger bei lebenslanger Freiheitsstrafe)
- BVerfGE 47, 239 (Zwangsweiser Haarschnitt)
- BVerfGE 49, 89 (Kalkar I)
- BVerfGE 50, 290 (Mitbestimmung)
- BVerfGE 51, 130 (Ausbildungskapazität)
- BVerfGE 51, 324 (Verhandlungsfähigkeit des Angeklagten)
- BVerfGE 52, 131 (Arzthaftungsprozeß)
- BVerfGE 52, 203 (Fristgebundener Schriftsatz)
- BVerfGE 53, 135 (Schokoladenosterhase)

- BVerfGE 54, 277 (Ablehnung der Revision)
- BVerfGE 55, 159 (Falknerjagdschein)
- BVerfGE 57, 9 (Einlieferungsersuchen)
- BVerfGE 57, 250 (V-Mann)
- BVerfGE 60, 175 (Startbahn West)
- BVerfGE 63, 88 (Versorgungsausgleich II)
- BVerfGE 63, 266 (Zulassung zur Rechtsanwaltschaft)
- BVerfGE 63, 343 (Rechtshilfevertrag)
- BVerfGE 65, 1 (Volkszählung)
- BVerfGE 65, 76 (Offensichtlichkeitsentscheidungen)
- BVerfGE 67, 1 (Emeritierungsalter)
- BVerfGE 67, 100 (Flick-Untersuchungsausschuß)
- BVerfGE 67, 157 (G 10)
- BVerfGE 68, 1 (Atomwaffenstationierung)
- BVerfGE 68, 193 (Zahntechniker-Innungen)
- BVerfGE 68, 287 (Rechnungszinsfuß)
- BVerfGE 69, 315 (Brokdorf)
- BVerfGE 70, 297 (Fortdauer der Unterbringung)
- BVerfGE 72, 200 (Einkommensteuerrecht)
- BVerfGE 74, 129 (Widerruf von Leistungen)
- BVerfGE 74, 358 (Unschuldsvermutung)
- BVerfGE 76, 1 (Familiennachzug)
- BVerfGE 76, 256 (Beamtenversorgung)
- BVerfGE 77, 84 (Arbeitnehmerüberlassung)
- BVerfGE 77, 170 (Lagerung chemischer Waffen)
- BVerfGE 77, 275 (Subsidiarität der Verfassungsbeschwerde)
- BVerfGE 78, 214 (Unterhaltsleistung ins Ausland)
- BVerfGE 80, 137 (Reiten im Walde)
- BVerfGE 81, 70 (Rückkehrgebot für Mietwagen)
- BVerfGE 82, 159 (Absatzfonds)
- BVerfGE 82, 286 (Amtszeit eines Verfassungsrichters)

- BVerfGE 83, 24 (Polizeigewahrsam)
- BVerfGE 83, 130 (Josefine Mutzenbacher)
- BVerfGE 83, 182 (Pensionistenprivileg)
- BVerfGE 84, 133 (Warteschleife)
- BVerfGE 84, 212 (Aussperrung)
- BVerfGE 85, 337
- BVerfGE 86, 288 (Strafaussetzung bei lebenslanger Freiheitsstrafe)
- BVerfGE 87, 234 (Einkommensanrechnung)
- BVerfGE 88, 103 (Streikeinsatz von Beamten)
- BVerfGE 88, 118 (Impliziter Einspruch)
- BVerfGE 88, 203 (Schwangerschaftsabbruch II)
- BVerfGE 89, 120
- BVerfGE 89, 381 (Volljährigenadoption II)
- BVerfGE 90, 1 (Jugendgefährdende Schriften)
- BVerfGE 90, 60 (8. Rundfunkentscheidung)
- BVerfGE 90, 145 (Cannabis)
- BVerfGE 92, 1 (Sitzblockaden II)
- BVerfGE 92, 277 (DDR-Spione)
- BVerfGE 92, 365 (Kurzarbeitergeld)
- BVerfGE 93, 99
- BVerfGE 93, 213 (DDR-Rechtsanwälte)
- BVerfGE 95, 1 (Südfahrt Stendal)
- BVerfGE 95, 64 (Mietpreisbindung)
- BVerfGE 95, 96 (Mauerschützen)
- BVerfGE 95, 267 (Altschulden)
- BVerfGE 95, 322 (Spruchgruppen)
- BVerfGE 96, 10 (Räumliche Aufenthaltsbeschränkung)
- BVerfGE 96, 68 (DDR-Botschafter)
- BVerfGE 96, 205 (Hochschullehrer II)
- BVerfGE 96, 375 (Kind als Schaden)
- BVerfGE 97, 67 (Schiffbauverträge)

- BVerfGE 97, 298 (extra-radio)
- BVerfGE 98, 17 (Sachenrechtsmoratorium)
- BVerfGE 98, 49 (Sozietätsverbot)
- BVerfGE 98, 83 (Landesrechtliche Abfallabgabe)
- BVerfGE 98, 106 (Kommunale Verpackungsteuer)
- BVerfGE 98, 218 (Rechtschreibreform)
- BVerfGE 98, 265 (Bayerisches Schwangerenhilfegesetz)
- BVerfGE 99, 216 (Familienlastenausgleich II)
- BVerfGE 100, 226 (Denkmalschutz)
- BVerfGE 100, 271 (Lohnabstandsklausel)
- BVerfGE 100, 313 (Telekommunikationsüberwachung I)
- BVerfGE 101, 1 (Hennenhaltungsverordnung)
- BVerfGE 101, 239 (Stichtagsregelung)
- BVerfGE 101, 275 (Fahnenflucht)
- BVerfGE 102, 254 (EALG)
- BVerfGE 102, 347 (Schockwerbung I)
- BVerfGE 103, 21 (Genetischer Fingerabdruck I)
- BVerfGE 103, 44 (Fernsehaufnahmen im Gerichtssaal II)
- BVerfGE 103, 172 (Altersgrenze für Kassenärzte)
- BVerfGE 103, 271 (Pflegeversicherung IV)
- BVerfGE 103, 293 (Urlaubsanrechnung)
- BVerfGE 103, 332 (Naturschutzgesetz Schleswig-Holstein)
- BVerfGE 103, 392 (Freiwillig versicherte Selbständige)
- BVerfGE 104, 249 (Biblis A)
- BVerfGE 104, 337 (Schächten)
- BVerfGE 106, 28 (Mithörvorrichtung)
- BVerfGE 105, 17 (Sozialpfandbriefe)
- BVerfGE 107, 104 (Anwesenheit im JGG-Verfahren)
- BVerfGE 107, 218 (Beamtenbesoldung Ost I)
- BVerfGE 107, 395 (Rechtsschutz gegen den Richter I)
- BVerfGE 108, 1 (Rückmeldegebühr)

- BVerfGE 108, 52 (Kindesunterhalt)
- BVerfGE 108, 150 (Sozietätswechsel)
- BVerfGE 108, 169 (Telekommunikationsgesetz)
- BVerfGE 108, 186 (Informationspflichten bei Sonderabgaben)
- BVerfGE 108, 282 (Kopftuch)
- BVerfGE 108, 341 – Rechtsschutz gegen den Richter II
- BVerfGE 109, 133 (Langfristige Sicherheitsverwahrung)
- BVerfGE 110, 1 (Erweiterter Verfall)
- BVerfGE 110, 33 (Zollkriminalamt)
- BVerfGE 110, 141 (Kampfhunde)
- BVerfGE 110, 177 (Freizügigkeit von Spätaussiedlern)
- BVerfGE 110, 226 (Geldwäsche)
- BVerfGE 110, 339 (Wiedereinsetzung)
- BVerfGE 111, 54 (Rechenschaftsbericht)
- BVerfGE 111, 307 (EGMR-Entscheidungen)
- BVerfGE 113, 63 (Junge Freiheit)
- BVerfGE 113, 167 (Risikostrukturausgleich)
- BVerfGE 113, 348 (Vorbeugende Telekommunikationsüberwachung)
- BVerfGE 114, 196 (Beitragssatzsicherungsgesetz)
- BVerfGE 115, 276 (Sportwetten)
- BVerfGE 115, 320 (Rasterfahndung II)
- BVerfGE 116, 24 (Einbürgerung)
- BVerfGE 116, 96 (Fremdrentengesetz)
- BVerfGE 116, 202 (Tariftreuerklärung)
- BVerfGE 117, 71 (Strafrestaussetzung)
- BVerfGE 117, 163 (Anwaltliche Erfolgshonorare)
- BVerfGE 117, 202 (Vaterschaftsfeststellung)
- BVerfGE 118, 168 (Kontostammdaten)
- BVerfGE 118, 212 (Revisionsgrenzen bei Rechtsfolgenzumessung)
- BVerfGE 120, 224 (Geschwisterbeischlaf)
- BVerfGE 120, 274 (Online-Durchsuchungen)

- BVerfGE 120, 378 (Automatisierte Kennzeichenerfassung)
- BVerfGE 122, 248 (Rügeverkümmern)
- BVerfGE 124, 78 (Untersuchungsausschuss Geheimgefängnisse)
- BVerfGE 124, 300 (Rudolf Heß Gedenkfeier)
- BVerfGE 128, 193 (Dreiteilungsmethode)

ელექტრონული წყაროები

[www.bailli.org](http://www.bailli.org)

[www.emc.org.ge](http://www.emc.org.ge)

[www.liberali.ge](http://www.liberali.ge)